# ნარკვევები

## მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან

ფეოდალური ხანა

1957

## წიგნში ნახმარი შემოკლებანი

ا

ابو يوسف—ქითაბ ალ-ხარაჯ.

საქ. ძველ.—საქართველოს ძველნი.

ВДИ—Вопросы древней истории.

ЗВО—Записки Восточного отделения Российского археологического общества.

ИВАН—Институт востоковедения АН СССР.

ИИМК—Институт истории материальной культуры АН СССР.

МИВ—Московский Институт востоковедения.

МИТТ—Материалы по истории туркмен и Туркмении. Изд. АН СССР.

САГУ—Среднеазиатский государственный университет.

СВ—Советское востоковедение.

ССИА—Сборник статей по истории Азербайджана. Изд. АН Азерб. ССР.

ТВО—Труды Восточного отделения Российского археологического общества.

ЮТАКЭ—Южнотуркменская археологическая комплексная экспедиция.

BSOS—Bulletin of the School of Oriental and African Studies, Uniwersity of London.

EI—Enziclopaedie des Islam, Leiden-Leipzig. აგრეთვე პარალელური გამოცემები ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

GMS—Gibb memorial series.

ZDMG—Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft, Leipzig.

## წინასიტყვაობა

„ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“ წარმოადგენს კოლექტიურ ნაშრომს, რომლის შედგენაში მონაწილეობდნენ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის წევრები და ყოფილი ასპირანტები. მას საფუძვლად დაედო ჩვენს უნივერსიტეტში სხვადასხვა დროს წაკითხული ლექციების კურსი მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, ცალკეული გამოკვლევები და საკანდიდატო დისერტაციები.

„ნარკვევები“ არ წარმოადგენს საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს. მან შეიძლება შეასრულოს მხოლოდ დამხმარე სახელმძღვანელოს მნიშვნელობა. ფეოდალური ხანის მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო არ არსებობს არც ქართულ და არც რუსულ ენებზე. პროფ. ბ. ზახოდერის „История восточного средневековья (Халифат и Ближний Восток)“, რომელიც 1944 წელს გამოსცა მოსკოვის უნივერსიტეტმა, წარმოადგენს მახლობელი აღმოსავლეთის გაბმული თხრობის შემცველ ისტორიას, მაგრამ მას არ აქვს და არც შეიძლება ჰქონოდა საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დანიშნულება. თვითონ ავტორი ასეთი სახელმძღვანელოს შედგენას არცთუ ისე ახლო მომავლის საქმედ სთვლიდა. 1944 წლისათვის მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის არა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არამცთუ დამუშავებული, დასმულიც კი არ ყოფილა. მას შემდეგ საბჭოურმა აღმოსავლეთმცოდნეობითმა ისტორიოგრაფიამ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია ფეოდალური აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლის საქმეში. ეს წარმატებანი სათანადოდაა ასახული წინამდებარე „ნარკვევებშიც“.

„ნარკვევებში“ გაბმული სახითაა წარმოდგენილი მახლობელი, აღმოსავლეთის ისტორია ჩვ. წელთაღრიცხვის III საუკუნიდან XVII საუკუნემდე. უმთავრესი ყურადღება მიექცა ფეოდალიზმის გენეზისს და ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებას აღმოსავლეთის ქვეყნებში, გლეხთა მდგომარეობას და გლეხთა ექსპლოატაციის ფორმებს, ხელოსნობა-ვაჭრობას და ქალაქებს, სოციალურსა და სახალხო მოძრაობებს. ავტორებმა სცადეს ეჩვენებინათ აღმოსავლეთის მწარმოებელი საზოგადოების ისტორია. შედარებით მკრთალადაა წარმოდგენილი აღმოსავლური კულტურა. სამწუხაროდ, ამ მნიშვნელოვანი ხარვეზის შევსება ამჯერად ვერ მოხერხდა.

„ნარკვევების“ ძირითადი ნაწილი სპეციალურ გამოკვლევებზეა დაფუძნებული. რედაქციამ სათანადო განყოფილებებში გააერთიანა ისინი და, ამ-

რიგად, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიას გაბმული და მთლიანი თხრობის სახე მისცა. მაგრამ ამ მთლიანობის თავისებურება ბუნებრივად გამომდინარეობს „ნარკვევების“ ხასიათიდან. ამასთან ძნელი აღმოჩნდა ერთგვაროვნების დაცვა აღმოსავლურ პირთა და გეოგრაფიულ სახელთა გადმოცემისას. აღმოსავლური ტერმინოლოგია (პირთა და გეოგრაფიული სახელები, სოციალურ-ეკონომიური ტერმინები...) ჯერ კიდევ არაა უნიფიცირებული. ავტორები ამ მხრივ ძირითადად ქართულში დამკვიდრებულ ტრადიციას მისდევდნენ. მაგრამ გათვალისწინებული იყო ის გარემოებაც, რომ ერთი და იგივე ტერმინი სხვადასხვანაირად გამოითქმის სპარსულში, არაბულში და თურქულში.

ამიერკავკასიის ქვეყნებს ძველი დროიდან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან (პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიური). ამიტომ რედაქციამ საჭიროდ სცნო ცალკე განყოფილებად გამოეყო „ამიერკავკასიის ქვეყნები და მახლობელი აღმოსავლეთი“. ამიერკავკასიის ქვეყნების მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის მთელი თავისებურება და მნიშვნელობა გასაგები გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესწავლილი და გათვალისწინებული იქნება მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონე სხვადასხვა პერიოდში. ამ თვალსაზრისით აღნიშნული განყოფილება ორგანულადაა დაკავშირებული „ნარკვევებთან“.

„ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“, რა თქმა უნდა, უნაკლო არ იქნება. ავტორები მადლობით მიიღებენ ყოველგვარ შენიშვნას.

დასასრულ, ავტორები თავიანთ მოვალეობად სთვლიან მადლობა გამოუცხადონ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მუშაკებს, რომელნიც აქტიურად მონაწილეობდნენ წიგნის ბეჭდვაში და რომელთა შრომის წყალობით შესაძლებელი გახდა სამეცნიერო აპარატს დართოდა სპარსული, არაბული და თურქული დამოწმებანი.

---

# შესავალი

V—VI საუკუნეებში მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნები ფეოდალიზაციის გზას დაადგნენ. მონათმფლობელობა ფეოდალურმა წყობილებამ შეცვალა.

ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა წარმოშობა-ჩამოყალიბების პროცესი აღმოსავლეთშიც ვითარდებოდა და ღრმავდებოდა მწვავე კლასობრივი ბრძოლისა და გლეხთა მასიური მოძრაობების პირობებში. ისტორიული ფაქტებით დასტურდება მონათმფლობელობიდან ფეოდალიზმში გადასვლის რევოლუციური გზა (მონების აქტიური მონაწილეობა მანიქეველთა და მაზდაკელთა მოძრაობებში, ზინჯიების (მონების) აჯანყება). ისლამი აღმოსავლური ფეოდალიზმის ისეთსავე იდეოლოგიად იქცა, როგორსაც დასავლეთის ფეოდალური საზოგადოებისათვის წარმოადგენდა ქრისტიანობა.

ფეოდალიზაციის პროცესს აღმოსავლეთში არ მოუცია არც „წარმოების აზიური წესი“ და არც „უნივერსალური ფეოდალიზმი“. საწარმოო ძალების განვითარებამ მოითხოვა ისეთივე წარმოებითი ურთიერთობა, როგორიც დამახასიათებელი იყო შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის.

აღმოსავლეთის ისტორიული განვითარების ყველა ხანა წარმოადგენს მსოფლიო ისტორიის შემადგენელ ნაწილს, რასაც ყოველთვის უარყოფდნენ ბურჟუაზიული ისტორიკოსები. ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ევროპოცენტრიზმი აღმოსავლეთის ხალხებს ფაქტიურად ისტორიული განვითარების გარეშე აყენებდა. საამისოდ იყო შემუშავებული „პანბაბილონური“ და „უნივერსალური ფეოდალიზმის“ თეორიები.

დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის საფუძველზე შესაძლებელი ხდება აეხსნათ აღმოსავლეთის ყველა ქვეყნის საზოგადოების განვითარება, როგორც კანონზომიერი და მთლიანი პროცესი, გამოხატული მის ყველა მრავალფეროვან ფორმებსა და წინააღმდეგობებში. „ადამიანთა ყველა საზოგადოების განვითარება მრავალი ათასი წლის მანძილზე, გამოუკლებლივ ყველა ქვეყანაში, გვიჩვენებს ამ განვითარების საერთო კანონზომიერებას, სისწორეს და თანამიმდევრობას“ [1].

აღმოსავლეთის ბევრმა ქვეყანამ განვლო მონათმფლობელობის საფეხური და ფეოდალური განვითარების გზას შეუდგა. აღმოსავლეთის ზოგი ხალხი კი, უპირატესად მომთაბარეები, მონათმფლობელობის გვერდის აცლით გვა-

[1] ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. 29, გვ. 559.

როვნული წყობილებიდან პატრიარქალურ-ფეოდალური წყობის სტადიაზე გადავიდა და თვით განვითარებული ფეოდალიზმის გარემოცვის პირობებში „ნახევრადპატრიარქალურ-ნახევრადფეოდალური“ წყობის ბევრი თავისებურებანი შეინარჩუნა.

მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებმა განვლეს ადრეფეოდალური (VI—X სს.) და განვითარებული ფეოდალიზმის ხანა (XI—XVI სს.). მაგრამ XVII—XVIII საუკუნეები მეტად თავისებური აღმოჩნდა მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიაში. მომთაბარეების მრავალსაუკუნოვანი ბატონობის წყალობით აღმოსავლეთის კულტურული (მიწისმოქმედი) ხალხები ფეოდალიზმის უმდაბლეს, ბარბაროსულ საფეხურზე აღმოჩნდნენ. გაბატონებული იყო მეურნეობის მარტივი და პოლიტიკური წყობილების ჩამორჩენილი ფორმები. ისტორიის ახალსა და უახლეს პერიოდში კი კოლონიურმა პოლიტიკამ უზრუნველჰყო ფეოდალური ეკონომიკის და ფეოდალური წყობილების გადანაშთების კონსერვაცია აღმოსავლეთში.

ფეოდალური ხანის აღმოსავლეთის ისტორიის პერიოდიზაციას დიდად ართულებს ის გარემოება, რომ დღემდე შესწავლილი არაა აღმოსავლური ფეოდალიზმის ყველა მოვლენა, აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის საკითხები, ფეოდალური განვითარების თავისებურებანი აღმოსავლეთის ცალკეულ ქვეყნებში.

ფეოდალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის საკითხი, მიწის ფეოდალური საკუთრების როგორც ფეოდალური წყობილების საფუძველის შესწავლა, სასაქონლო წარმოების როლის და ეკონომიური ფუნქციის ჩვენება ფეოდალურ ურთიერთობათა პირობებში, ეკონომიური ბაზისის და ზედნაშენის ურთიერთგავლენის გათვალისწინება და სხვ., მყარ საფუძველს უქმნის ფეოდალური ხახის მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის პერიოდიზაციას. საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსები სწორედ ამ მიმართულებით ამახვილებენ თავიანთ ყურადღებას.

ფეოდალური ხანის მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის პერიოდიზაციის გამო საბჭოთა ორიენტალისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ამავე დროს, ამ უაღრესად რთული საკითხის დამუშავებისას დაშვებული იყო მეთოდოლოგიურად შეუწყნარებელი შეცდომები. მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის პერიოდიზაციისათვის შემუშავებულ სქემებში ხშირად ვლინდებოდა ერთიანი ნაკადის „თეორიის“ ანარეკლი. სუსტად იყო ნაჩვენები მწარმოებელი საზოგადოების ისტორია, ხალხის მასების როლი ისტორიულ განვითარებაში.

მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიული განვითარება ზოგჯერ წარმოდგენილი იყო როგორც მთლიანი და განუყოფელი ისტორიული პროცესი. გამოცალკევებული არ იყო არაბეთის, ირანის, თურქეთის და შუა აზიის ქვეყნების ისტორიები. ამიტომ, ცხადია, არ შეიძლებოდა უგულვებელყოფილი არ ყოფილიყო დასახელებული ქვეყნების ისტორიული განვითარების თავისთავადი, მათი საზოგადოებრივი და ეკონომიური განვითარების დამოუკიდებელი გზები, მხოლოდ თვითეული მათგანისათვის დამახასიათებელი ფეოდალიზაციის პროცესის „სპეციფიკური ვარიანტი“.

აღნიშნული გარემოება, რა თქმა უნდა, ინას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ შუა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნები ერთიმეორისაგან გამოთიშული იყვნენ და განზე იდგნენ საერთო ისტორიული პროცესებისაგან.

სასანური ირანის სახელმწიფო, არაბთა სახალიფო, თურქ-სელჩუკიანთა სახელმწიფო, მონღოლების და თემურ-ლენგის იმპერიები, თურქმანების, ყიზილბაშების და ოსმალების სახელმწიფოები წარმოადგენდნენ კონგლომერატებს, დროებითს სამხედრო-ადმინისტრაციულ გაერთიანებებს, სადაც წარმოდგენილი დაპყრობილი ხალხები საზოგადოებრივი და ეკონომიური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებოდნენ. მაგრამ დასახელებულ სახელმწიფოთა ბატონობის პერიოდებში განვითარების საერთო ხაზს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქმნიდა მიწების პერიოდული გადანაწილება დამპყრობელთა სასარგებლოდ, რომლის შესაბამისად ეწყობოდა მიწის ფეოდალური საკუთრების საერთო ფორმები (იქტა, სოიურღალი, თიული, თიმარი).

ფეოდალური ინსტიტუტების საერთო მსგავსებაში გარკვეულ როლს (და არა გადამწყვეტს, როგორც ამას ბურჟუაზიული ისტორიკოსები ფიქრობენ) ასრულებდა ისლამი და მუსლიმანური სამართალი. ამას გარდა, აღმოსავლეთში მიწათმოქმედებისათვის აუცილებელი ხელოვნური რწყვა თავისებურ გამოხატულებას პოულობდა მიწისმფლობელობის, მიწათსარგებლობის და მწარმოებელი კლასის ექსპლოატაციის წესებში (ბიწის გლეხებზე იჯარით გაცემა საყოველთაო მოვლენაა შუა საუკუნეების მთელ მანძილზე), მაგრამ საერთოს მხრივ მთავარი მაინც ის იყო, რომ მომთაბარული ტომების და ხალხების განუწყვეტელი შემოსევებისა და ბატონობის შედეგები საერთო ეკონომიურ მდგომარეობას ქმნიდა აღმოსავლეთის უკლებლივ ყველა ქვეყანაში.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ფეოდალური საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა შესახებ გვეხმარება დადებითად გადავჭრათ ფეოდალური აღმოსავლეთის ისტორიის პერიოდიზაციის საკითხი. ამასთან, მარქსიზმის კლასიკოსებს არა ერთი მოსაზრება, შეხედულება და დებულება აქვთ გამოთქმული აღმოსავლეთის ისტორიული განვითარების თავისებურებაზე, სოციალურ-ეკონომიურ წყობაზე, პოლიტიკურ და სამხედრო ორგანიზაციაზე, კულტურასა და მწერლობაზე.

ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის სისტემის გაბატონებული მდგომარეობისათვის აუცილებელი პირობები, რა თქმა უნდა, დამახასიათებელი იყო აღმოსავლეთის ფეოდალური საზოგადოებისათვისაც. ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის „სისტემის გაბატონებული მდგომარეობა გულისხმობდა შემდეგ აუცილებელ პირობებს: ჯერ ერთი, ნატურალური მეურნეობის ბატონობას... მეორეც, ასეთი მეურნეობისათვის საჭიროა, რომ უშუალო მწარმოებელს მიცემული ჰქონდეს წარმოების საშუალებანი საზოგადოდ და მიწა კერძოდ; ესეც ცოტაა—საჭიროა, რომ ის მიმაგრებული იყოს მიწაზე, რადგან სხვანაირად მემამულე მუშახელით არ იქნება უზრუნველყოფილი... მესამეც, მეურნეობის ამ სისტემის პირობაა გლეხის პირადი დამოკიდებულება მემამულისაგან. მემამულეს რომ არ ჰქონოდა პირდაპირი ძალაუფლება გლეხის პიროვნების მიმართ, ის ვერ შესძლებდა თავის სასარგებლოდ ემუ-

შავებინა ადამიანი, რომელსაც მიწა მიუღია და რომელიც საკუთარ მეურნეობას ეწევა. საჭიროა, მაშასადამე, „გარეეკონომიური იძულება“, როგორც ამბობს მარქსი, როცა ახასიათებს ამ სამეურნეო რეჟიმს... ამ იძულების ფორმა და ხარისხი შესაძლებელია სულ სხვადასხვანაირი იყოს, დაწყებული ბატონყმური მდგომარეობით და გათავებული გლეხის წოდებრივი არასრულუფლებიანობით. ბოლოს მეოთხეც, ასაწერი სამეურნეო სისტემის პირობა და შედეგი იყო ტექნიკის უკიდურესად დაბალი და რუტინული მდგომარეობა, რადგან მეურნეობის გაძღოლა წვრილ გლეხთა ხელში იყო, რომელნიც გაჭირვებისაგან წელში წყდებოდნენ და პირადი დამოკიდებულებით და გონებრივი სიბნელით დაბეჩავებული იყვნენ“ [1].

მაგრამ მიუხედავად წარმოების წესის საერთო ზოგადი ნიშნებისა ფეოდალიზმის განვითარება და მისი პოლიტიკური, საზოგადოებრივი და სამეურნეო სტრუქტურის ფორმები ამჟღავნებდა ნაირსახეობას და თავისებურებას ცალკეული ქვეყნების მიხედვით. სხვადასხვა ქვეყანაში ფეოდალურ ურთიერთობათა ტიპი ხშირად მეტად განსხვავებული იყო. რუსულ ფეოდალიზმს ასხვავებენ დასავლეთ ევროპული ფეოდალიზმისაგან, ქართულ ფეოდალიზმს რუსული ფეოდალიზმისაგან. რუსული, დასავლეთ ევროპული და ქართული ფეოდალიზმი, რომელთაც ბევრი ბსგავსებაც ჰქონდათ, განსხვავდებოდა აღმოსავლური ფეოდალიზმისაგან. აღმოსავლური ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი იყო მთელი რიგი სპეციფიკური თავისებურებანი, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უკვე მარქსიზმის კლასიკოსებმა მიაქციეს.

იმაში, რომ აღმოსავლეთმა არ იცოდა კერძო საკუთრება მიწაზე, კ. მარქსი ხედავდა ნამდვილ გასაღებს „აღმოსავლური ზეცისთვისაც კი“ [2].

მარქსი აღნიშნავდა საკუთრების და მფლობელობის მთელ თავისებურებას აღმოსავლეთში მეურნეობისათვის აუცილებელი სარწყავი არხების საჭიროებასთან დაკავშირებით. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ქმნიდა „წარმოების აზიურ წესს“, როგორც ამას ზოგიერთი ისტორიკოსი ფიქრობდა.

გეოგრაფიული ფაქტორი (უდაბნოებითა და ნახევარუდაბნოებით დასერილი აღმოსავლეთი არაბეთის ნახევარკუნძულიდან დაწყებული ცენტრალური აზიის უკიდურეს დასავლეთ ნაწილამდე) მოქმედებდა ძველ და შუა საუკუნეთა აღმოსავლეთშიც, მაგრამ საზოგადოებრივ-ეკონომიურმა განვითარებამ ძველ პერიოდში მონათმფლობელობა მოგვცა, შუა საუკუნეებში—ფეოდალიზმი. წყლით სარგებლობის ორგანიზაცია სახელმწიფოს ან თემის მეშვეობით მხოლოდ აღმოსავლური მონათმფლობელობის ან აღმოსავლური ფეოდალიზმის სპეციფიკურ თავისებურებას აპირობებდა. მიწა აღმოსავლეთში ეკუთვნოდა თემს ან სახელმწიფოს [3].

კ. მარქსი და ფ. ენგელსი ხაზგასმით აღნიშნავდნენ აღმოსავლური მონათმფლობელობის და ფეოდალიზმის მთელ თავისებურებას, რითაც ისინი, ცხადია, სავსებით გამორიცხავდნენ „წარმოების აზიურ წესს“, მხოლოდ

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. 3, გვ. 207—209.

[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. წერილები „კაპიტალის“ შესახებ, 1952, გვ. 47.

[3] ფ. ენგელსი. ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 208.

აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი რაღაც განსაკუთრებული საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის არსებობას.

მიწაზე სახელმწიფო საკუთრების არსებობის პირობებში, მარქსის განსაზღვრით, „რენტა და გადასახადი ერთმანეთს თანაემთხვევა“ [1]. ეს კი არ შეიძლება დამახასიათებელი ყოფილიყო მონათმფლობელური აღმოსავლეთისათვის მიუხედავად იმისა, რომ ძველ აღმოსავლეთშიც მიწის უზენაესი მესაკუთრე სახელმწიფო იყო.

ის გარემოება, რომ აღმოსავლეთში „რენტა და გადასახადი ერთმანეთს თანაემთხვეოდა“ სრულიადაც არ სცვლიდა რენტის ფეოდალურ ბუნებას (ამასთან, გარკვეულ პირობებში იგი შეიძლებოდა დამახასიათებელი ყოფილიყო დასავლეთის ფეოდალური ქვეყნებისთვისაც). ამ შემთხვევაში, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, სულ ერთი იყო თუ ვის ეკუთვნოდა მიწა: მემამულე ფეოდალს თუ სახელმწიფოს. ფეოდალურ აღმოსავლეთში არსებობდა რენტის სამივე სახეობა (შრომითი რენტა, რენტა პროდუქტებით, ფულადი რენტა), რა თქმა უნდა, ისეთივე თანამიმდევრობით ან შერეული სახით, როგორც ე. წ. „კლასიკური ფეოდალიზმის“ ქვეყნებში.

მონათმფლობელურ და ფეოდალურ აღმოსავლეთში სახელმწიფო „მორწყვის ერთობლივი მომწესრიგებელი იყო“, მაგრამ ეს სრულიადაც არ უქმნიდა საფუძველს „წარმოების აზიურ წესს“. გეოგრაფიული ფაქტორის უცვლელობის მიუხედავად აღმოსავლეთის ქვეყნები ფეოდალური განვითარების გზას დაადგნენ, როცა საწარმოო ძალების განვითარების შეუსაბამობამ წარმოებითი ურთიერთობის ხასიათთან მონათმფლობელობის კრიზისი გააპირობა.

მარქსი მიუთითებდა, რომ მოსავალი აღმოსავლეთში დამოკიდებული იყო კარგ ან ცუდ მთავრობაზე, როგორადაც ის ევროპაში დამოკიდებული იყო კარგ ან ცუდ ამინდზე [2]. ენგელსი შენიშნავდა: „რამდენი დესპოტიები გაჩენილა და დაღუპულა სპარსეთსა და ინდოეთში და თვითეულმა მათგანმა ძლიერ კარგად იცოდა, რომ იგი უწინარეს ყოვლისა, მდინარეთა ხეობათა ერთობლივი მომწესრიგებელი იყო, მოურწყავად იქ შეუძლებელია მიწათმოქმედება“ [3].

კ. მარქსის და ფ. ენგელსის განსაზღვრით მთავრობას აღმოსავლეთში ყოველთვის სამი უწყება ჰქონდა: საფინანსო (საკუთარი მოსახლეობის ძარცვა), სამხედრო (ძარცვა ქვეყნის შიგნით და უცხო ქვეყნებში), საზოგადოებრივ სამუშაოთა უწყება (ზრუნვა რეპროდუქციისათვის) [4].

მიწათმოქმედებისათვის აუცილებელი ხელოვნური მორწყვა „მოითხოვდა ცენტრალიზაციის მომხდენი მთავრობის ძალის ჩარევას. აქედან — ის ეკონომიური ფუნქცია, რომელიც იძულებული იყო შეესრულებინა ყველა აზიურ მთავ-

---

[1] კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 310.

[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. I, 1950, გვ. 386—387.

[3] ფ. ენგელსი. ანტი-დიურინგი, გვ. 212.

[4] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 75; კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 386.

რობას, სახელდობრ—საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზაციის ფუნქცია"[1]. ამის საილუსტრაციოდ კ. მარქსი დასძენდა: „ბრიტანელებმა გადაიღეს ოსტინდოეთში მათი წინამორბედებისაგან საფინანსო უწყება და სამხედრო უწყება, მაგრამ სრულიად უყურადღებოდ დატოვეს საჯარო სამუშაოთა უწყება. აქედან—დაცემა სასოფლო მეურნეობისა... ჩვენ ჩვეულებრივ ვხედავთ აზიის სახელმწიფოებში, რომ სასოფლო მეურნეობა ეცემა ერთი მთავრობის მმართველობის დროს და ისევ აღორძინებას განიცდის რომელიმე სხვა მთავრობის მმართველობის დროს. აქ მოსავალიც კარგ თუ ცუდ მთავრობაზეა დამოკიდებული, ისე როგორც იგი ევროპაში დამოკიდებულია კარგ თუ ცუდ ამინდზე"[2].

დამოწმებული დებულება შეიძლება თამამად გავავრცელოთ სასანურ ირანზე, არაბთა სახალიფოზე, თურქ-სელჩუკების, მონღოლების, თურქმანების, ყიზილბაშების და ოსმალების სახელმწიფოებზე. საზოგადოებრივ სამუშაოთა უწყება ჩვეულებრივ იმ პერიოდებში მოქმედებდა, როცა „აღარაფერი იყო დასაპყრობ-მისატაცებელი და წარმოება იყო საჭირო" (კ. მარქსი). საზოგადოებრივ სამუშაოთა უწყება, სასანური ირანის და აბასელთა სახალიფოს გამოკლებით, ყოველთვის სუსტად იყო განვითარებული აღმოსავლეთის ნომადური წარმოშობის სახელმწიფოებში.

ძირითადი მწარმოებელი კლასის ექსპლოატაცია აღმოსავლეთში უპირატესად სახელმწიფოს მეშვეობით წარმოებდა. განვითარებული სახელმწიფო მიწისმფლობელობის პირობებში ფართო გასაქანი ეძლეოდა „ექსპლოატაციის აღმოსავლურ ფორმას"[3], რომელიც სახელმწიფო დიდმოხელეში იყო განსაბიერებული (ენგელსი, ოსმალეთის მაგალითზე, ასახელებს სატრაპს ანუ ფაშას).

მაგრამ აღნიშნული იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ აღმოსავლეთში საქმე გვაქვს „სახელმწიფო ფეოდალიზმთან" ან „სამოხელეო ფეოდალიზმთან".

აღმოსავლეთისათვის უცხო არ იყო გლეხის ფეოდალზე უშუალო დამოკიდებულება.

საამისო პირობას ქმნიდა სახელმწიფო ან სათემო მიწების გასაკუთრება აღზევებულ-გაძლიერებული ფეოდალების ბიერ (დეჰყანები, იკტადარები, თიულდარები, თიმარის მფლობელები...). მიწის ფეოდალური გასაკუთრება, მიწის ფეოდალური საკუთრების განვითარებული ფორმები ქმნიდნენ ახალ საფეხურებს ფეოდალიზმის განვითარებაში, რაც XIII—XIV საუკუნეთა მიჯნაზე გლეხთა მიწაზე მიმაგრებით დამთავრდა.

მაგრამ მომთაბარეთა ბატონობა ფეოდალიზაციის პროცესს ხანგრძლივ ვადას უდებდა. მომთაბარეები დაინტერესებული იყვნენ სახელმწიფო მიწისმფლობელობის შენარჩუნებით, რადგან ეს მათ შესაძლებლობას აძლევდა ვრცელი ქვეყნები მიეღოთ „საკმელად". ამასთან, უფლება მიწის შემოსავალზე ხორციელდებოდა მეჯოგური მეურნეობის პირობებში. „სამამულო სისტემის"

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ 387.
[2] იქვე.
[3] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. XXVII, გვ. 234.

უპირატესობის შეგნება მხოლოდ მომთაბარული არისტოკრატიის ერთ ნაწილში იკაფავდა თანდათან გზას.

მომთაბარეების შემოსევებისა და ბატონობის პირდაპირი შედეგი იყო მიწების გადანაწილება სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის სასარგებლოდ, რაც, ცხადია, ადგილობრივი ფეოდალების მიწების ექსპროპრიაციის ხარჯზე ხდებოდა. მომთაბარული არისტოკრატია არ მისდევდა მეურნეობას და რენტა-ხარკის (მთლიანად ან ნაწილობრივ) მითვისება სახელმწიფოს მეშვეობით ექსპლოატაციის საუკეთესო ფორმად მიაჩნდა მანამდე, სანამ მისი წარმომადგენლები გაფეოდალებას მოასწრებდნენ. მიწების პერიოდულ გადანაწილებას და ფეოდალური უფლებების პერიოდულ გადაჯგუფებას არ შეიძლებოდა დაბრკოლებები არ შეექმნა მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმების განვითარებისათვის. მართალია, გაფეოდალებული მომთაბარული არისტოკრატია ბოლოს მიწის ინტენსიური ექსპლოატაციის გზას ადგებოდა, მაგრამ ეს ხდებოდა ისეთ პირობებში, როცა მახლობელი აღმოსავლეთის მიწისმოქმედი ხალხები იძულებული იყვნენ განვითარება (განადგურებული საწარმოო ძალების აღდგენა) კვლავ თავიდან დაეწყოთ.

მარქსმა ყურადღება მიაქცია ბინადარი და მომთაბარე ბოსახლეობის თანაფარდობის ფაქტის მნიშვნელობას აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიულ ცხოვრებაში[1]. XI საუკუნიდან მოკიდებული (თურქ-სელჩუკების შემოსევები) მომთაბარული ელემენტი განუწყვეტლივ იზრდება მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. მომთაბარეთა ბატონობა და აღმოსავლური თემი მთავარი ფაქტორები იყო მეურნეობის ძველი ფორმების კონსერვაციის საქმეში.

აღმოსავლური თემი, რომელმაც საზოგადოდ დიდი განძლეობა გამოიჩინა, ჩამორჩენილ ურთიერთობათა ბაზისად იქცა აღმოსავლეთში. აღმოსავლეთის დესპოტიზმის ამ მტკიცე საფუძვლის დაშლის პროცესი საუკუნეობით გახანგრძლივდა. „აღმოსავლურმა დესპოტიზმმა და დამპყრობელი მომთაბარე ხალხების ცვალებადმა ბატონობამ ათასი წლების განმავლობაში ვერაფერი დააკლო ამ ძველ თემებს"[2].

სასოფლო თემი აღმოსავლეთში სახელმწიფოს მიერ გამოყენებული იყო როგორც მოხერხებული ფისკალური ერთეული. თემმა თავისი სამეურნეო ფუნქციეთით თავი შემოინახა აღმოსავლეთის განვითარებულ ფეოდალურ საზოგადოებაშიც.

განვითარების შემაფერხებელი მთავარი ძალა მაინც მომთაბარეთა ბატონობა იყო.

ამიტომ დაუშვებელი უნდა იყოს აღმოსავლეთის მომთაბარე ხალხებს მივაწერით ისეთივე როლი, როგორსაც ენგელსი გერმანელებს ანიჭებდა რომის იმპერიის მონათმფლობელური სახელმწიფოს დამხობაში. ძნელი წარმოსადგენია ეფტალიტების ამგვარივე როლი სასანური ირანის მიმართ (მ. მასონი) ან ჰუნების „პროგრესულობა" ამავე მიმართულებით (ა. ბერნშტამი).

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. წერილები „კაპიტალის" შესახებ, გვ. 47.

[2] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. ანტი-დიურინგი, გვ. 191.

საეჭვოა, რომ არაბებს ისეთივე როლი შეესრულებინათ წინა აზიის ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დალეწვის საქმეში, როგორიც შეასრულეს გერმანელებმა რომის მიმართ და სლავებმა ბიზანტიის მიმართ (ნ. პიგულევსკაია). კიდევ უფრო შეუწყნარებელია პროგრესული მნიშვნელობის მინიჭება თურქ-სელჩუკების შემოსევებისათვის (ა. იაკუბოვსკი, ბ. ზახოდერი) და თვით მონღოლთა ბატონობისათვის (აკად. ვ. ბარტოლდი).

თუ, მართლაც, არაბთა შემოსევები ემთხვევა მონათმფლობელობის რღვევას და ფეოდალიზმის განვითარებას აღმოსავლეთში, თურქ-სელჩუკებმა მოუსწრეს ფეოდალიზმის შუა ხანას, ხოლო მონღოლთა შემოსევები ხდება იმ დროს. როცა აღმოსავლეთის კულტურულ ქვეყნებში მთავრდება ფეოდალიზაციის პროცესი და ეზადდება პირობები განვითარების გვიანფეოდალურ ხანაში გადასასვლელად.

XIII საუკუნე წყალგამყოფი საუკუნე იყო მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაში.

მუსლიმანური ქვეყნების კულტურულ-პოლიტიკური ტრადიციების შეხსუსტებამ, წინარე ხანის საზოგადოებრივი და სამეურნეო განვითარების შეფერხებამ თავისი გამოხატულება სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის გამარტივებასა და ნახევრადპატრიარქალურ-ნახევრადფეოდალურ წყობაში ჰპოვა. მონღოლური იასა, როგორც მარქსი აღნიშნავს, საკუთრებით შეეფერებოდა ისეთ ხალხს, რომელიც ფეოდალიზმის უმდაბლეს, ბარბაროსულ საფეხურზე იმყოფება.

სპეციალურ ლიტერატურაში საკმაოდ კარგადაა ცნობილი მონღოლთა ბატონობის ეკონომიური და პოლიტიკური შედეგები. საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეობით ისტორიოგრაფიაში დამაჯერებლადაა ნაჩვენები, რომ მონღოლთა განადგურებელი შემოსევების შემდეგ სოფლის მეურნეობას აოასოდეს არ მიუღწევია XIII საუკუნემდელი დონისათვის. ყველგან მკვეთრად შემცირდა აგრიკულტურის ფართობი, მოიშალა სარწყავი არხები, მიწები ეწარმოებელი საზოგადოებისაგან დაცარიელდა, გლეხმა მეურნეობის განვითარების სტიმული დაკარგა, ერთ წერტილზე გაიყინა სოფლის მეურნეობის ტექნიკა. სასოფლო-სამეურნეო იარაღების გაუმჯობესებით დაინტერესებული არ იყო არც მიწისმფლობელი და არც მიწისმოქმედი.

მონღოლთა შემოსევებისა და ბატონობის პოლიტიკური შედეგი იყო ილხანთა ირანის სახელმწიფოს წარმოქმნა შუა აღმოსავლეთის ვრცელს ტერიტორიაზე და ოსმალთა სახელმწიფოს წარმოშობა-გაძლიერება მცირე აზიაში. ილხანთა ირანის სოციალურ-ეკონომიური წყობა და პოლიტიკური ინსტიტუტები დამახასიათებელი იყო თურქმანული და ყიზილბაშური სახელმწიფოებისათვისაც XV-XVI საუკუნეებში. შემთხვევით არ აიხსნება, რომ თურქმანებიც და ყიზილბაშებიც ილხანთა ირანის პოლიტიკურ მემკვიდრეობას ჩეულობდნენ.

ახლა საწარმოო ძალების განვითარების მოთხოვნილების ხალხებს გაცილებით უფრო მძიმე პირობებში უხდებათ დანგრეულის და განადგურებულის აღდგენა. ვიდრე არაბების ან თურქ-სელჩუკების დროს.

მაგრამ ადგილობრივი ფეოდალური ძალების გავლენა მონღოლ-თურქებსაც ფეოდალიზაციისაკენ მიაქანებდა. XIV ს-ში ჩამოყალიბდა და XV ს-ში საკმაოდ განვითარდა მიწის ფეოდალური საკუთრების ახალი და უფრო მაღალი ფორმა („სოიურღალი"), რომელიც საგადასახადო, ადმინისტრაციულ და სასამართლო იმუნიტეტს გულისხმობდა. მაგრამ განვითარება ამ მიმართულებით მომთაბარეთა ახალმა ტალღებმა შეაჩერეს. ყიზილბაშურმა თიულმა და ოსმალურმა თიმარმა წამყვანი როლი კვლავ სახელმწიფო მიწისმფლობელობას მიანიჭა, რაც სავსებით შეესაბამებოდა ყიზილბაშთა და ოსმალთა სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოების ბუნებასა და ხასიათს.

ნომადთა ბატონობის პირობებში შეფერხდა ფეოდალიზმის ნორმალური განვითარება აღმოსავლეთში. საწარმოო ძალების სისტემატური ნვრევა საჭიროდ ხდიდა განვითარების კვლავ თავიდან დაწყებას. ამასთან ნომადთა ბატონობა აფერხებდა ძველ ფორმაციათა გადანაშთების ლიკვიდაციის საქმეს. ნაგვიანევი შუა საუკუნეების მახლობელ აღმოსავლეთში გაბატონებული იყვნენ ყიზილბაშები და ოსმალები, რომლებიც ფეოდალური განვითარების უმდაბლეს, ბარბაროსულ საფეხურზე იმყოფებოდნენ.

XVII – XVIII საუკუნეებში მეურნეობის მარტივ ფორმებს არ შეიძლებოდა ნიადაგი მოემზადებინათ პოლიტიკური წყობილების განვითარებულ და მაღალ ფორმებზე გადასასვლელად. ნაგვიანევი ხანის აღმოსავლეთში არ შექმნილა აბსოლუტიზმისათვის საჭირო პირობები და, ამიტომ, იქ ვერ წარმოიშვა აბსოლუტური მონარქიები.

XIX ს-ის მახლობელ აღმოსავლეთში, მართალია, თვალსაჩინო ხდება მეურნეობის ძველი და მარტივი ფორმების დაშლა, მაგრამ ახლა მათი კონსერვაციით, აღმოსავლეთში ფეოდალური ურთიერთობის შენარჩუნებით დაინტერესებული არიან ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოები. ფეოდალიზმის ძლიერი გადანაშთები თანამედროვე აღმოსავლეთის მუსლიმანურ ქვეყნებში კოლონიური სისტემის ბატონობის პირდაპირი შედეგია. ამიტომ, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა იქ ორგანულადაა შერწყმული ფეოდალიზმთან ბრძოლასთან.

„აზიის გამოღვიძება" (ვ. ი. ლენინი) აღინიშნა რევოლუციებით აზიის მთელ რიგ ქვეყნებში XX საუკუნის დამდეგს. ამ რევოლუციებში აშკარად ჩანს რუსეთის 1905 წლის რევოლუციის გავლენა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა აღმოსავლეთის ხალხებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. ეს ბრძოლა მიმდინარეობს კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირობებში, რომლის შემადგენელი ნაწილია კოლონიური სისტემის კრიზისი.

აღმოსავლეთის ბევრი ქვეყანა დაადგა თავისუფალი და დამოუკიდებელი განვითარების გზას. ასეთ ქვეყნებში სწრაფად მოხდა ან ხდება ფეოდალური გადანაშთების ლიკვიდაცია. მაგრამ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების დიდს უმეტესობაში დღემდე მეტ-ნაკლებად შემონახულია ფეოდალური და თვით წინაფეოდალური ურთიერთობანი. თანამედროვე აღმოსავლეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ერთი მთავარი ადგილთაგანი

უპირავს აგრარულ საკითხს, რომლის წარმატებით გადაწყვეტაზეა დამოკიდებული აღმოსავლეთის მშრომელი მოსახლეობის ფეოდალური კაბალისაგან განთავისუფლება.

თანამედროვე აღმოსავლეთის აგრარული სისტემის გასაგებად და აგრარული რევოლუციის საკითხების გასარკვევად აუცილებელია ფეოდალური ხანის აღმოსავლეთის ისტორიის ცოდნა. ამ მხრივ შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლას არ შეიძლება არ ჰქონდეს აქტუალური მნიშვნელობა.

---

## I. მახლობელი აღმოსავლეთი მონათმფლობელობიდან ფეოდალიზმში გარდამავალ პერიოდში

### 1. ფეოდალიზმის გენეზისის პრობლემა

ფეოდალიზმის გენეზისი აღმოსავლეთში ჯერ კიდევ არაა საკმარო სისრულით შესწავლილი.

აღმოსავლური ფეოდალიზმის პრობლემა დააყენა მხოლოდ საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ.

რევოლუციამდელი რუსული ორიენტალისტიკა არ ცნობდა ფეოდალიზმს აღმოსავლეთში. ფეოდალური ურთიერთობის არსებობას აღმოსავლეთში უარყოფდა აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის ისეთი მკვლევარიც კი, როგორიც იყო აკად. ვ. ბარტოლდი. მან ბოლოდ 1923 წელს აღიარა გლეხთა მიწაზე მიმაგრების ფაქტი XIII—XIV სს. ირანში [1]. მაგრამ შემდეგ თვითონვე უარყო ეს შეხედულება და ამტკიცებდა, რომ „მუსლიმანურმა სამყარომ“ არ იცის ბატონყმური სამართალი და რომ აღმოსავლეთში გლეხები არ იყვნენ მიწაზე მიმაგრებული და შეეძლოთ თავისუფალი ადგილგადანაცვლება [2].

„წარმოების აზიური წესის“ მცდარმა „თეორიამ“ მნიშვნელოვნად შეაფერხა აღმოსავლური ფეოდალიზმის მეცნიერული შესწავლის საქმე. დამახასიათებელია, რომ თვით 40-იანი წლების დასაწყისისათვის ისტორიკოსებს ზუსტი წარმოდგენა არ ჰქონდათ ისეთ ფეოდალურ ინსტიტუტებზე, როგორიცაა სოიურღალი და თიული. ისინი ვერ ასხვავებდნენ ერთმანეთისაგან მიწის ფეოდალური საკუთრების სხვადასხვა ფორმებს.

გარდატეხა აღმოსავლური ფეოდალიზმის შესწავლის საქმეში იწყება მხოლოდ 40-იან წლებში. შედეგებიც ამის შესაბამისი იყო.

საბჭოთა ორიენტალისტმა ისტორიკოსებმა (ა. იაკუბოვსკი, ს. ტოლსტოვი, ნ. პიგულევსკაია, ი. პეტრუშევსკი, ბ. ზახოდერი, პ. ივანოვი და სხვ.) უჩვენეს ფეოდალური ურთიერთობის განვითარება აღმოსავლეთის ქვეყნებში (მესოპოტამია, ირანი, შუა აზია...), მაგრამ დღემდე მაინც გადა-

---

[1] В. В. Бартольд. К истории крестьянских движений в Персии. Сборник в честь П. П. Киреева, 1923, გვ. 53—60.

[2] В. В. Бартольд. К вопросу о феодализме в Иране, Новый Восток, № 28, 1930, გვ. 119.

უწყვეტელია აღმოსავლეთში ფეოდალიზმის ჩამოყალიბების სპეციფიკის საკითხები[1].

IV—VII საუკუნეები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაში წარმოადგენენ გარდატეხის პერიოდს, რომლის განმავლობაში მოხდა მთელი რიგი ისეთი ცვლილებები, რომლებიც დამახასიათებელია ერთი საზოგადოებრივი ფორმაციის მეორე ფორმაციით შეცვლასთან[2].

აღნიშნული დებულება შეიძლება თამამად გავავრცელოთ ბიზანტიის აღმოსავლურ პროვინციებზე, სასანურ ირანზე და შუა აზიაზე (ხორეზმი, თოხარისტანი, სოღდი, უსრუშანა, შაში).

სასანურ ირანში ფეოდალიზმს ხედავდა ჯერ კიდევ თეოდორ ნელდეკე[3]. ეს შეხედულება შემდეგ კიდევ უფრო განავითარა არტურ ქრისტენსენმა[4].

დასახელებული მკვლევრები სასანური დინასტიის ბატონობას, წარმოშობიდან გადაშენებამდე, განიხილავდნენ განვითარებული ფეოდალური წყობილების პირობებში. მაგრამ ფაქტიურად, სასანური ირანის ისტორიის მაგალითზე, ისინი იძლეოდნენ ფეოდალური ხანის დას. ევროპის პოლიტიკური ინსტიტუტების სრულ ანალოგიას და იგივეობის ნიშანს სვამდნენ სასანურ საზოგადოებასა და ევროპის ფეოდალურ საზოგადოებას. მორის[5]. ფეოდალიზმის გენეზისისა და მისი განვითარების საკითხები ბურჟუაზიულ ორიენტალისტიკურ ისტორიოგრაფიას არ დაუსვამს. ამას გამორიცხავდა ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი შეზღუდულობა.

ერთგვარად პოზიტიური აღნიშნულ შეხედულებებში მხოლოდ ის იყო, რომ ისინი საზოგადოდ სცნობდნენ ფეოდალიზმს (ისტორიულ განვითარებას) ირანში იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთმცოდნეობაში საყოველთაოდ იყო გაბატონებული ციკლური და პანბაბილონური თეორიები. XIX—XX სს. მიჯნაზე (იმპერიალიზმის ხანაში) წარმოშობილი ეს თეორიები გამორიცხავდნენ ყოველგვარ განვითარებას შუა საუკუნეების აღმოსავლეთში.

თანამედროვე ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას წამოყენებული აქვს ორი რეაქციული „თეორია“: „მოდერნისტულ-კაპიტალისტური“ და „მარადიული ფეოდალიზმის“ თეორია.

პირველი „თეორიის“ მიხედვით (მისი ავტორი ფრანგი ორიენტალისტი ლამენსია) კაპიტალისტური წყობა, მაგალითად, დამახასიათებელია VII ს-ის არაბული საზოგადოებისათვის. ლამენსის თვალსაზრისით მექაში, მუჰამედის

---

[1] А. Ю. Якубовский. Вопросы периодизации истории Средней Азии в средние века (VI—XV вв.). Краткие сообщения ИИМК, XXVIII, 1949. გვ. 30.

[2] Н. В. Пигулевская. Византия на путях в Индию, М—Л., 1951, გვ. 31. მისივე, Проблемы распада рабовладельческого общества и формирования феодальных обществ на Ближнем Востоке, Вопросы истории, 1953, № 6.

[3] Th. Nöldeke. Geschichte der Perser und Araber zur Zeit des Sasaniden, Leiden, 1897.

[4] A. Christenson. L'empir Sasanid: le peuple, la cour, l'état, Copenhague, 1907.

[5] Б. Н. Заходер. Иран при Сасанидах, Исторический журнал, №12, 1938. გვ. 86.

მოღვაწეობის ხანაში, ერთმანეთს უპირისპირდებიან მექელი ბანკირები და პროლეტარები. ამ ცრუმეცნიერული „თეორიის“ მიზანია „ისტორიული ფაქტებით“ დაადასტუროს კაპიტალიზმის ოდინდელობა და მისი მარადიულობა. ძველი აღმოსავლეთის მიმართ გამოყენებული ეს „თეორია“ (ედ. მაიერი და სხვ.) ლამენსს მექანიკურად გადმოაქვს არაბთა სახელმწიფოზე. ძველი აღმოსავლეთის დესპოტიებში კი ბურჟუაზიული ისტორიკოსები ხედავენ თვით „სახელმწიფო სოციალიზმს“ (პ. კოშაკერი).

უკანასკნელ ხანებში ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა შორის დიდის გავლენით სარგებლობს ე. წ. „უნივერსალური ფეოდალიზმის“ ანუ „მარადიული ფეოდალიზმის“ თეორია. ამ „თეორიის“ მიხედვით აღმოსავლეთის ხალხები ისტორიულ ცხოვრებას იმთავითვე ფეოდალიზმით იწყებენ, ფეოდალიზმი მათ თითქოს მოსდევთ დასაწყისიდანვე.

„მარადიული ფეოდალიზმის“ თეორიის მიზანია „ცხადჰყოს“ აღმოსავლეთის ისტორიული განვითარების განსაკუთრებული, დასავლური სანყაროს განვითარებისაგან განსხვავებული გზა. ეს „თეორია“ ბუნებრივად ეხმაურება „წარმოების აზიური წესის“ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში კარგა ხნის წინათ უარყოფილ თეორიას.

„მარადიული ფეოდალიზმი“ პანბაბილონიზმის გამეორებაა. პანბაბილონიზმის მიხედვით დასავლეთისათვის დამახასიათებელია „მუდმივი მოძრაობა“, ხოლო აღმოსავლეთისათვის „მუდმივი უძრაობა“. აღმოსავლეთის „უძრაობის“ ჩვენებას ცდილობს „მარადიული ფეოდალიზმის“ თეორიაც. ამდენადვე, ფეოდალური გადანაშთები თანამედროვე აღმოსავლეთში, ფეოდალური ეკონომიკის ბატონობა აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში (ირანი, ავღანისტანი, არაბული ქვეყნები და სხვ.), ამ თეორიის მიხედვით, წარმოადგენს ბუნებრივსა და ისტორიულად კანონზომიერ მოვლენას. ამგვარი „თეორიებით“ ცდილობენ ბურჟუაზიული ისტორიკოსები შეუქმნან იდეოლოგიური ნიადაგი იმპერიალიზმის ბატონობას აღმოსავლეთის კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

ბურჟუაზიული ისტორიკოსები აღმოსავლეთში არ ხედავენ მონათმფლობელურ საზოგადოებას, მონათმფლობელების მიერ მონების ექსპლოატაციას. ამდენადვე, რა თქმა უნდა, ფეოდალიზმის გენეზისი დაკავშირებული არაა მონათმფლობელობის კრიზისთან.

ძველი სახელმწიფოების დამხობას ბურჟუაზიული ისტორიკოსები უკავშირებენ „ბარბაროსული“ ხალხების შემოსევებს და სოფლის მასების გამარჯვებას ქალაქურ ცივილიზაციაზე (როსტოვცევი).

საბჭოური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი უეჭველი მიღწევაა ელინიზმის, როგორც მონათმფლობელობის განვითარების სრულიად გარკვეული საფეხურის, მარქსისტულ-ლენინური დახასიათება. ნაჩვენებია ელინიზმის მთელი თავისებურება აღმოსავლეთში, სადაც მონათმფლობელურმა საზოგადოებამ ვერ მიაღწია თავისი განვითარების სრულყოფილ, კლასიკურ ფორმებს.

სასანური დინასტიის გაბატონებაში ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ხედავდა და ხედავს რეაქციას ელინიზმის წინააღმდეგ. ელინიზმი ბურჟუაზიულ ისტორიკოსთათვის მხოლოდ კულტურულ-ისტორიული მოვლენაა. ამიტომ, ბუნებრივია, მათ არ შეეძლოთ სასანური ირანის ისტორიის დაკავ-

შირება მონათმფლობელობის კრიზისთან, საწარმოო ძალების იმ განუხრელ განვითარებასთან, რომელიც მოითხოვდა ახალ წარმოებით ურთიერთობას და მის შესაბამის პოლიტიკურ ორგანიზაციას, იდეოლოგიას.

ჩვენი წელთაღრიცხვის III ს-ში მკაფიო გამოვლინება ჰპოვეს ეკონომიური განვითარების იმ ტენდენციებმა, რომელთა სათავეს პართიის სახელმწიფოს არსებობის უკანასკნელ პერიოდში ვხედავთ.

## 2. სასანური ირანის სახელმწიფო

### § 1. სასანური ირანის წარმოშობის დრო და პირობები

მახლობელ აღმოსავლეთში დაწყებული მონათმფლობელობის კრიზისი მკაფიო გამოხატულებას პოულობს სასანურ ირანში. IV—V სს. ირანში ჩაისახა წარმოების ფეოდალური ელემენტები, VI ს-ში კი ფეოდალურმა ურთიერთობამ გამოკვეთილი სახე მიიღო.

სასანური ირანის პოლიტიკური ორგანიზაცია პართიის სახელმწიფოს ეკონომიური განვითარების ნაყოფი იყო.

პართიის ან პარტავას (ფაჰლავას) სამეფო სელევკიდების სახელმწიფოს გამოეყო ძვ. წელთაღრიცხვის III ს-ის მეორე ნახევარში (ამავე დროს წარმოიშვა ბაქტრიის ელინისტური სახელმწიფო შუა აზიაში). მისი ფუძემდებელი იყო არშაკ I (250—247), რომელმაც ანტიოქ II თეოსის და სელევკ II კალინიკის დროს, აჯანყების შედეგად მოიპოვა დამოუკიდებლობა და წარმოქმნა სამეფო კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

პართიის სამეფოს არსებობის პირველ საუკუნეებში არშაკიანთა პოლიტიკური ცენტრი იყო ქალაქი ნესა (ახლანდელი აშხაბადის მახლობლად). მხოლოდ II ს-ის დამლევს (ჩვ. ერამდე) არშაკიანები იპყრობენ დასავლეთ ირანს, სომხეთს და მესოპოტამიის ერთ ნაწილს. მეფე ოროდის (56—37 წწ. ჩვ. ერამდე) დროს ტიგროსის ნაპირზე დაარსდა პართიის სახელმწიფოს ახალი პოლიტიკური ცენტრი კტეზიფონი (არაბული მადაინი).

სასანური ირანი წარმოადგენდა საკუთრივ ირანის ტერიტორიაზე განვითარებული პართიის სახელმწიფოს უშუალო გაგრძელებას.

პართიის სახელმწიფოში გაბატონებული იყო მონათმფლობელური წყობა, მაგრამ წამყვან როლს ისევ სასოფლო თემი ასრულებდა. აღმოსავლეთის მონათმფლობელობის მთელი თავისებურება შეპირობებული იყო თემური მიწისმფლობელობის ძლიერი გამოვლინებით. აღმოსავლური დესპოტიზმი დაფუძნებული იყო თემურ მიწისმფლობელობაზე (ენგელსი).

ელინიზმი წარმოადგენდა ახალ ფაზას მონათმფლობელობის განვითარებაში. ელინისტურ ხანაში განმტკიცდა მონათმფლობელური წყობა, გაძლიერდნენ მონათმფლობელები. გვაროვნული არისტოკრატიის ტომთა საერთო მასიდან გამოყოფას ერთის მხრივ აძლიერებდა მსხვილი მიწისმფლობელობა, ხოლო მეორეს მხრივ, წარჩინებულთა მონაწილეობა მძიმედ შეპურვილ მხედრობაში, რომელიც განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ომში.

გვაროვნული არისტოკრატიის პოლიტიკური ძალაუფლების ეკონომიური დასაყრდენი იყო მსხვილი მიწისმფლობელობა, მონები, სავაჭრო ქარავ-

ნები, ომში მოპოვებული ნადავლი და ალაფი. მრავალწლოვანი ომები ქმნიდნენ მონობის წყაროებს. გვაროვნულ არისტოკრატიას ეს შესაძლებლობას აძლევდა გამოეყენებინა ბონის შრომა მიწათმოქმედებასა და საირიგაციო სამუშაოებზე. ირიგაციის ახალი ქსელი ზრდიდა მიწის ფართობებს, ხოლო გაზრდილ მიწისმფლობელობას პატრიარქალური დამოკიდებულება თანდათან გადაჰყავდა დამოკიდებულების ახალ ფორმებზე, რასაც არ შეიძლებოდა არ დაერღვია სათემო მიწისმფლობელობა და არ გამოეწვია კლასობრივი დიფერენციაცია საზოგადოების დაბალ, მაგრამ თავისუფალ ფენებში. პართიის სამეფოში დაწყებული ეს პროცესი განვითარდა III—Vსს. სასანურ ირანში.

პართიის სამეფოს გვაროვნული არისტოკრატიის შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა მსოფლიო ვაჭრობაში მონაწილეობა (დასავლეთთან, ჩინეთთან, ინდოეთთან). აბრეშუმით ვაჭრობის მონოპოლია პართიის სამეფოს ხელთ იყო, ხოლო „აბრეშუმის გზის“ მარშრუტები საიდუმლოდ დაცული. პართია დაუშვებლად თვლიდა ჩინეთის უშუალო ურთიერთობას რომთან. მან (ისევე როგორც შემდეგ სასანურმა ირანმა) ბოლომდე შეინარჩუნა შუამავლის როლი მსოფლიო ვაჭრობაში.

პართიის ეკონომიურ განვითარებას აპირობებდა შინაგანი და გარეგანი ხასიათის ფაქტორები. დიდად იყო განვითარებული მიწათმოქმედება, ვაჭრობა და ხელოსნობა მესოპოტამიაში, ირანის ჩრდილოეთ და, უფრო გვიან, სამხრეთ რაიონებში (ირანის ყურის სანაპიროების გასწვრივ). ჩინური ქრონიკები აღნიშნავენ ბრინჯის, ხორბლის, ვაზის კულტურებს, აღწერენ ქალაქებს, რომელთაც გარშემო კედლები აქვთ შემოვლებული. სხვა წყაროები ასახელებენ მდიდარ ქალაქებს (მრავალრიცხოვანი ვაჭრებით, ხელოსნებით) მესოპოტამიაში, ირანში, შუა აზიაში. საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა ქალაქი („ქალაქი სამეფოები“). ეს იყო საკმაოდ განვითარებული მონათმფლობელობის ერთი მთავარი ნიშანთაგანი.

რომის აღმოსავლეთში გაბატონების წადილი გარდაუვალს ხდიდა ომს პართიის სამეფოსთან.

ყოველწლიურად რომი აღმოსავლეთს უხდიდა 100 მილიონ სესტერცს (პლინიუსი) იმ საქონელში, რომლის უდიდეს ნაწილს აბრეშუმი შეადგენდა.

ხანგრძლივი ომები რომსა და პართიის სამეფოს შორის წარმოებდა მდიდარი მესოპოტამიისათვის, ეკონომიურად განვითარებული სომხეთისათვის, მსოფლიო სავაჭრო-სატრანზიტო გზებზე ბატონობისათვის. ამ ომებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აგრეთვე მონების გამოყვანას დაპყრობილი ქვეყნებიდან.

მესოპოტამიასთან ერთად კავკასია წარმოადგენდა ქიშპის მთავარ ობიექტს რომსა და პართიის სამეფოს შორის. კავკასიის მნიშვნელობას მეტოქე სახელმწიფოების ომებში განსაზღვრავდა ის, რომ იგი მდებარეობდა მთავარი სავაჭრო მაგისტრალის იმ მონაკვეთზე, რომლის საშუალებით ჩინეთი და ინდოეთი უკავშირდებოდა დასავლეთს (ამუ-დარია, კავკასია, შავი ზღვა).

რომის ექსპანსია ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ მიზნად ისახავდა ამ გზაზე გაბატონებას, მონათა ახალი წყაროების მოპოვებას.

თავის მხრივ პართია ცდილობდა მესოპოტამიაში (არამეული მოსახლეობით—ვაჭრებით, ხელოსნებით—დასახლებულ ქალაქებში) განუყოფელ ბატონობას, მის მთლიანად დაპყრობას. პართიის სამეფო მიისწრაფოდა ტერიტორიულად გაეფართოებინა თავისი სამფლობელოები, დაეპყრო მცირე აზია, არაბეთი, ეგვიპტე. მისი მთავარი მიზანი იყო აქემენიანთა ირანის ოდინდელი პოლიტიკური საზღვრების აღდგენა.

პართიის სამხედრო ორგანიზაცია (მხედრობა) რომაელთა ლეგიონების ღირსეული მეტოქე აღმოჩნდა. პართელთა მხედრობას და მარჯვედ გამოყენებულ სამხედრო ხელოვნებას არა ერთხელ დაუმარცხებია რომის სარდლები. თუმც ხანგრძლივი ომები მაინც ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. რომთან ომი პართიის სამეფომ სასანურ ირანს უანდერძა.

პართიის ეკონომიურ განვითარებას თან სდევდა მნიშვნელოვანი ცვლილებები საზოგადოებრივ ურთიერთობაში, თან სდევდა კლასობრივი დიფერენციაციის შემდგომი გაღრმავება.

გაბატონებული კლასის ზედა ფენა (გვაროვნული არისტოკრატიის წრიდან) მკვეთრად დაუპირისპირდა თავისუფალ მეთემეებს. ამ ნიადაგზე გვაროვნულ არისტოკრატიასა და თავისუფალ მეთემეებს შორის იწყება ხანგრძლივი კონფლიქტი, რომელიც თანდათან გადაიზარდა მწვავე კლასობრივ ბრძოლაში.

ავესტა ასახელებს ძველი ირანის ოთხს საზოგადოებრივ ფენს (გვარს):

1. ა თ რ ა ვ ა — ქურუმნი.
2. რ ა თ ა ე ს ტ ო — მხედრები.
3. ვ ა ს ტ რ ი ო ფ შ ი ო უ ნ — მიწისმოქმედნი.
4. ხ უ ტ უ ს — ხელოსნები.

თავისუფალთა აღმნიშვნელი ზოგადი სახელი იყო „შაჰრ“ (სიტყვასიტყვით ნიშნავს „ხელისუფლებას“, „ხელისუფლების მატარებელს“). „შაჰრს“ ეკუთვნოდა ყველა ირანელი, ირანული გვარტომობის ადამიანი. არაირანელის (იმის, ვინც ირანულ ტომს არ ეკუთვნოდა) სახელი იყო „ანირან“ („არაირანელი“). „ანირან“ ერთდროულად იყო „ანშაჰრიც“ ე. ი. არათავისუფალი, მონა. მაგრამ კლასობრივი დიფერენციაციის გარკვეულ საფეხურზე „ანშაჰრად“ ხდება ირანელიც. სწორედ განვითარების ამ საფეხურზე წარმოიქმნა სასანური ირანის სახელმწიფო.

საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა სათანადო გამოხატულება ჰპოვეს არა მარტო კლასობრივ დიფერენციაციაში, არამედ პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და იდეოლოგიაშიც.

პართიის სამეფოს არსებობის პირველი სამი საუკუნის განმავლობაში ძლიერი იყო ელინისტური კულტურა და იდეოლოგია. პართიის მეფეები თავიანთ თავს „ელინოფილებს“ („ბერძენთა მეგობრებს“) უწოდებდნენ. მათი მონეტები, როგორც წესი, იკრებოდა ბერძნული ზედწარწერებით. გავრცელებული იყო ბერძნული მწერლობა, თეატრი, არქიტექტურა, რელიგია.

გარდატეხა ამ მხრივ იწყება მხოლოდ ჩვენი წელთაღრიცხვის I ს-ის დამდეგს. რეაქცია ელინიზმის წინააღმდეგ გამოიწვია არა მარტო რომის ექსპანსიის გაძლიერებამ, არამედ უწინარეს ყოვლისა სოციალურ-ეკონომიურ წყობაში მომხდარმა ცვლილებებმა.

გვაროვნული არისტოკრატია თავისი კლასობრივი ბატონობის იდეოლოგიურ დასაყრდენს ნახულობს ზარათუშტრას სარწმუნოებაში. სწორედ ამ დროს და ამის გამო ძლიერდება მაზდეანური სარწმუნოების ქურუმთა გავლენა. ვოლაგაზ (ვალაგაშ) I-ს (51—77) მიეწერება ავესტას პირველი კანონიზაცია. მის დროსვე არშაკიანთა მონეტებზე ბერძნული ზედწარწერების მაგიერ ჩნდება ფალაური ლეგენდები. იქმნება ფალაური მწერლობის პირველი ნიმუშები.

ვოლაგაზ I-მა სცადა სატახტო ქალაქის ელინიზირებული კტეზიფონიდან ევფრატის მარჯვენა ნაპირზე ვოლაგასოკერტში გადატანა[1]. არშაკიანები შიისწრაფოდნენ აქ გადმოეტანათ მსოფლიო ვაჭრობა პალმირადან[2]. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აგრეთვე ძველ ნესას—პართიის სახელმწიფოს ძველ კერას.

გაძლიერდა ცენტრალიზაციის ტენდენციაც. ვოლაგაზ I-ის დროს არშაკიანი უფლისწულები მეფეებად სხდებიან მთელ რიგ ქვეყნებში. მაგრამ ამან სრულიად საწინააღმდეგო შედეგები გამოიღო. პართიის სახელმწიფო დანაწევრდა დამოუკიდებელ სამფლობელოებად და პროვინციებად. პლინიუსი აღნიშნავს 18 პართული სამეფოს არსებობას. რომთან მეტოქეობის პირობებში ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის საჭიროების შეგნება, რაც დრო გადიოდა, მით უფრო დამახასიათებელი ხდებოდა პართიის სახელმწიფოში გაბატონებული კლასისათვის.

ანტიელინისტური განწყობილების გაძლიერებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა იმაშიც, რომ ხმარებიდან იდევნებოდა ელინიზირებული გეოგრაფიული ტერმინოლოგია[3]. ასე, მაგალითად, მარგიანის ანტიოქიას პირველად ისტორიაში ეწოდა მერვი[4].

საბჭოთა არქეოლოგებმა ცხადჰყვეს ფალაური დამწერლობის არსებობა პართიის სამეფოში, რასაც დაჟინებით უარყოფდნენ XIX ს-ის და XX ს-ის დამდეგის ორიენტალისტები. შუა აზიაში (თურქმანეთის ტერიტორიაზე, ქალაქ ნესას მიდამოებში) აღმოჩენილ იქნა ფალაური მწერლობის ნიმუშები (სამეურნეო ხასიათის დოკუმენტები და სხვ.)[5], რომელთა გაშიფრვა, უეჭველია, სრულიად ახალ ფურცელს გადაშლის პართიის სამეფოს ისტორიაში.

---

[1] М. Е. Массон. Новые данные по истории Парфии, ВДИ, № 3, 1950, გვ. 49.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 50.

[4] იქვე, გვ. 50—51.

[5] И. М. Дьяконов, М. М. Дьяконов и В. А. Лившиц. Документы из древней Нисы (дешифровка и анализ), материалы ЮТАКЭ, вып. 2, М.—Л., 1951; И. М. Дьяконов, М. М. Дьяконов и В. А. Лившиц. Новые находки парфянских документов, Известия АН Туркменской ССР, № 2, 1953; И. М. Дьяконов, М. М. Дьяконов и В. А. Лившиц. Парфянский архив из древней Нисы, ВДИ, № 4, 1953, გვ. 114—130.

ამრიგად, სრული საფუძველი გვაქვს აღვნიშნოთ, რომ სასანური ირანის სინამდვილეში დადასტურებული სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკურ-კულტურული ხასიათის მოვლენები პართიის სამეფოში დაწყებული პროცესების განვითარებას წარმოადგენენ, ოღონდ, რა თქმა უნდა, ახალს პირობებსა და ვითარებაში.

საქმე ის არის, რომ ქვეყნის ეკონომიურ განვითარებასთან შეუთავსებელი აღმოჩნდა პართიის სამეფოს პოლიტიკური ორგანიზაცია. ეკონომიური განვითარება აუცილებლივ მოითხოვდა სახელმწიფო მართვა-გამგეობის ახალ ფორმებს. ირანის საერო და სასულიერო წარჩინებულთათვის მიუღებელი იყო არშაკიანთა ნაკლებ ცენტრალიზებული სახელმწიფოებრიობა, მისი სამხედრო ორგანიზაცია და ადმინისტრაციული აპარატი. ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის მოთხოვნა უშუალო კავშირში იმყოფებოდა როგორც შინაგანი ხასიათის მოვლენებთან, ისე საგარეო ფაქტორებთან, უპირველეს ყოვლისა რომის ექსპანსიის გაძლიერებასთან.

პართული არისტოკრატიის მსხვილმა მიწისმფლობელობამ მუქარის ქვეშ დააყენა მიწის თემური საკუთრება. ხანგრძლივი ომების შედეგად გამრავლებულ მონათა შრომის გამოყენება დიდი მასშტაბით წარმოებულ საირიგაციო სამუშაოებზე ზრდიდა წარჩინებულთა მიწების ფონდს. ახალი მიწების დამუშავება, ხელოვნური რწყვის საშუალებით უდაბნო ადგილების მეურნეობისათვის გამოყენება ეკონომიურად კიდევ უფრო აძლიერებდა წარჩინებულთ. მსხვილი მიწისმფლობელები იყვნენ აგრეთვე ქურუმები. ირანის მცირემიწიანობის პირობებში აღწერილ გარემოებას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა სასოფლო თემების მდგომარეობაზე, არ გაეზარდა თავისუფალ მეთემეთა დამოკიდებულება ირანელ წარჩინებულებზე.

თავისუფალი მეთემეები უბრძოლველად არ სთმობდნენ თავიანთ უფლებებს, არ სთმობდნენ სასოფლო თემის მიწებს, რომელზედაც დაფუძნებული იყო მეთემეთა თავისუფალი მდგომარეობა. გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში წარჩინებულთ სჭირდებოდათ ცენტრალიზებული სახელმწიფო, მოქნილი ადმინისტრაციული აპარატი, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა უშუალო მწარმოებლების მორჩილებაში მოყვანა, მათი ექსპლოატაციის უზრუნველყოფა, რაც წარჩინებულთა ძალაუფლების განმტკიცებისა და ძლიერების შემდგომი ზრდის მთავარი პირობა იყო. სასანურმა სახელმწიფომ განამტკიცა წარჩინებულთა კლასობრივი ბატონობა.

ნაკლებ ცენტრალიზებული, მრავალრიცხოვანი სამფლობელოებით მოფენილი პართიის სახელმწიფო წარჩინებულთათვის მიუღებელი იყო სხვა მხრივაც. რომის ექსპანსიის გაძლიერება აღმოსავლეთის მიმართ მოითხოვდა სახელმწიფოს ცენტრალიზებას, დამოუკიდებელი სამფლობელოების ლიკვიდაციას, ქვეყნის ახალ საფუძველზე გაერთიანებას. მეფე-მმართველების უშუალოდ ცენტრალური ხელისუფლებისათვის დამორჩილებას საჭირო ნიადაგი უნდა შეექმნა ერთიანი სახელმწიფოს არსებობისათვის.

ამ ამოცანის განხორციელების ინიციატივა ფარსის არისტოკრატიის ხელთ იყო. ეს შემთხვევით არ აიხსნება. რომის წარმატებამ მესოპოტამიასა და ამიერკავკასიაში მიმართულება შეუცვალა მსოფლიო სავაჭრო-სატრან-

ზიტო გზას. ამ გზამ ჩრდილოეთიდან სამხრეთში გადაინაცვლა, რამაც ეკონომიურად წამოსწია ფარსი და განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ირანის ყურეს.

ისთახრი (ბერძნული პერსეპოლისი) და ფასარგადი იქცნენ გაძლიერებული გვაროვნული არისტოკრატიის ბრძოლის ცენტრებად არშაკიანთა დინასტიის ბატონობის წინააღმდეგ. აქვე მეტად ძლიერი იყვნენ ზარათუშტრას სარწმუნოების ქურუმები, რომელნიც უპირისპირდებოდნენ როგორც პართულ მითრას კულტს და ბერძნულ ღვთაებებს, ისე ახლად გავრცელებულ ქრისტიანობას.

ისთახრის ქურუმებად იყვნენ სასანელთა საგვარეულოს წევრები. სწორედ მათ გარშემო დაირაზმა ფარსის გვაროვნული არისტოკრატია. სასანური ირანის სახელმწიფოს ფუძემდებელი არდაშირი გვაროვნული არისტოკრატიის და ზარათუშტრას სარწმუნოების ქურუმთა კლასობრივი ინტერესების გამომბატველი იყო. თვითონ იგი წყაროების მიხედვით საშუალო მიწისმფლობელად ჩანს. ირანელი საერო და სასულიერო წარჩინებულები არდაშირის სამხედრო წარმატებებს უკავშირებდნენ თავიანთი კლასობრივი ბატონობის უზრუნველყოფას. არდაშირს მხარს უჭერდნენ აგრეთვე ძლიერი და გავლენიანი პართული საგვარეულოები (სურენის, კარენის).

224 წელს აჯანყებულ არდაშირს შეუერთდნენ არშაკიანთა დინასტიის მორჩილი მფლობელები. სუზიანაში (თანამედროვე ხუზისტანში) მან დაამარცხა არტაბან V. 226 წელს არდაშირმა დაიპყრო კტეზიფონი და არშაკიანთა სხვა სამფლობელოები.

226 წელს წარმოიქმნა სასანური ირანის სახელმწიფო, რომლის არსებობა 642 წლამდე გაგრძელდა.

## § 2. სასანური ირანი III—IV საუკუნეებში

სასანური ირანის სახელმწიფო პართიის სახელმწიფოსთან შედარებით ცენტრალიზებული იყო. არდაშირ I-მა მიიღო შაჰინშაჰის („არამეული „მალქან მალქა“) წოდებულება. ქვეყანა დაიყო 18 სასატრაპოდ, რომელთა სათავეში მარზპანები და პიტიახშები იდგნენ.

სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა მაზდეანობა. არდაშირ I-ს მიეწერება გამოთქმა: „ტახტის დასაყრდენი საგზებელია, საგზებელის დასაყრდენი კი—ტახტი“. მაზდეანობა იქცა სასანელთა ბატონობის იდეოლოგიურ დასაყრდენად.

მეტად მრავალმხრივი იყო მაზდეანური სარწმუნოების ქურუმთა ფუნქციები. ისინი იყვნენ აღმზრდელები, მოძღვრები, მსაჯულები.

მთავარი ქურუმი „მობედან მობედი“ („მობედთა მობედი“) სახელმწიფოს უპირველესი მოხელეთაგანი იყო. მას, გარკვეულ დრომდე, პირველად ასახელებდნენ ხოლმე. რიგით მას მოსდევდა „ერანისპაჰბედი“ (ირანის სპასპეტი) და „ვასტრიოშანსალარი“ (საფინანსო მოხელე). ამ სამი ხელისუფალის ხელთ იყო სასანური ირანის სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმე.

III ს-ში გაბატონებული იყო ორი წოდება: ქურუმთა და მხედართა. ქურუმებს ეკუთვნოდნენ: მობედები, ჰერბედები, დადვარები (მსაჯულები) და სოფლის უბრალო და ღარიბი მოგვები; მხედრებს: მარზპანები, პიტიახშები, „რაინდები“ (მძიმედ შეჯავშნული მხედრები). ქურუმების ხელთ იყო სატაძრო მამულები, აუარებელი მონები. სამხედრო არისტოკრატია დიდძალი „დასთგეერდების“ („მამულების“) და მონების მფლობელი იყო. ზოგიერთი ირანელი წარჩინებული ჰაზარბანდაქის წოდებულებას ატარებდა, რაც სიტყვასიტყვით ათასი მონის მფლობელს ნიშნავს[1].

ირანელ სასულიერო და საერო წარჩინებულთა კლასობრივი ბატონობის იდეოლოგიური დასაყრდენი მაზდეანობა იყო. ცეცხლთაყვანისმცემელთა ათეშგაჰი (საგზებელი) ყველა ქალაქსა და სოფელში არსებობდა. წმინდა ცეცხლი ყველა სახლში იყო დანთებული. საგზებელი გამოხატული იყო სასანურ მონეტებზეც. მაგრამ სასანელებმა მაზდეანობა ახალი სოციალური და საგარეო პოლიტიკური ვითარების შესაბამისად გამოიყენეს. და ეს განსაკუთრებით იმიტომ, რომ ცეცხლთაყვანისმცემლობის უძველესი ტრადიციებიდან ბევრი რამ ახალ ისტორიულ პირობებსა და ვითარებას აღარ შეეფერებოდა. მაზდეანური სარწმუნოების ტრადიციულ თვალსაზრისს, რომელიც ქურუმთა უპირატესობას აღნიშნავდა, სამხედრო არისტოკრატიამ მალე საკუთარი თვალსაზრისი დაუპირისპირა.

სასანელების დროს შედგენილი იქნა ე. წ. „ხორდა ავესტა“ („მცირე ავესტა“). რომელიც ახალი ვითარებისა და პირობების ამსახველი იყო. ამას გარდა, სხვადასხვა დროს შეიქმნა საკანონმდებლო წიგნები. სასანური ირანის სამართლის უკანასკნელი კოდიფიკაცია მოხდა VI—VII სს. მიჯნაზე.

არდაშირ I-მა (226—241) მოახდინა სასანური ირანის საზოგადოების მკაცრი კასტურ-წოდებრივი რეგლამენტაცია. მაგრამ ის, რასაც ტრადიცია არდაშირ I-ს მიაწერს (მასვე მიეწერება საზოგადოდ სამართლის კრებულების რედაქცია) საზოგადოებრივსა და ეკონომიურს ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების გამოხატველი იყო.

შაბურ I-ის (241—273) წარწერაში (ჰაჯი-აბადში) გაბატონებული კლასი შემდეგ კატეგორიებად არის დაყოფილი:

1. შაჰრდარები—შაჰრის მმართველები, სამეფოთა მფლობელები, მეფეები, მეფის ხელისუფლების მატარებლები.
2. ვისფურები—სახლის (გვარის) შვილები[2].
3. ვუზურგან—დიდებულები, კეთილშობილნი.
4. აზატნი—თავისუფალნი.

შაჰრდარი მეფის წოდებულების მატარებლების აღმნიშვნელი სახელი იყო. შაჰრდარებად იწოდებოდნენ აგრეთვე იბერიის, სომხეთის, ალბანეთის

---

[1] A. Christensen. L'Iran sous les Sasanides, Copenhague, 1944, გვ. 144, 278, 410.

[2] „ვის“ ნიშნავს კლანს, სახლს (გვარს). ფალაურ წარწერებში „ვისფური“ ანუ „ვასფური“ არამეული იდეოგრამით გადმოცემული bar baita-დ, მრავლობითში bni bete (Н. В. Пигулевская. Византия и Иран на рубеже VI и VII веков, М.—Л., 1946, გვ. 208).

და არაბების (ლაჰმიდების არაბული სამეფოს) მეფეები. მათი დამოკიდებულება სასანური დინასტიის ხელისუფლებაზე აპირობებდა შაჰინშაჰის წოდებულების რეალურ შინაარსს[1]. IV—V სს. შაჰრდარები შედარებით დამოუკიდებელი მდგომარეობით სარგებლობდნენ, თვითონ მართავდნენ თავიანთ ქვეყნებს და გამოჰყავდათ თავიანთი ლაშქარი ომში[2].

ვისფურებს ეკუთვნოდნენ ძველი ირანული სახლები (წყაროები—ტანზარის წერილი, სიმოკატა, სპარსულ-არაბული ტრადიციული ცნობები—7 ასეთ საგვარეულოს ასახელებენ). მათ მონაწილეობა უნდა მიეღოთ შაჰინშაჰის ხელდასხმაში. კერძოდ, არშაკიანთა საგვარეულოს წარმომადგენლის უფლებას შეადგენდა დაედგა თავზე მეფური დიადემა (შარავანდედი) „მეფეთა მეფისათვის"; ვისფურების ხელთ იყო (მემკვიდრეობით) სახელმწიფოს ყველაზე დიდი თანამდებობები[3]. დიდის გავლენით სარგებლობდნენ ისინი სახელმწიფო საბჭოში (IV ს-ის დამდეგიდან).

დიდი უფლებებით სარგებლობდნენ აგრეთვე ვუზურგანები. მათ ხელთ იყო სახელმწიფო, სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობები. წყაროების მიხედვით ვუზურგანებად იწოდებიან ადმინისტრაციული და სამხედრო მმართველობის უმაღლესი ხელისუფლები[4].

აზატნი შეადგენდნენ გაბატონებული კლასის ყველაზე დაბალ, მაგრამ ყველაზე მრავალრიცხოვან ფენს. მიწისმფლობელთა ეს მრავალრიცხოვანი კლასი წარმოადგენდა სასანური სახელმწიფოს მთავარ დასაყრდენს[5]. აზატებისაგან შემდგარი იყო მხედრობა, რომელიც ირ-ნის ლაშქრის ბირთვს შეადგენდა[6].

შაბურ I-ის წარწერაში მოხსენებული არ არიან მიწისმოქმედნი და ხელოსნები. ეს მნიშვნელოვანი გარემოება ადასტურებს კლასობრივი დიფერენციაციის გაღრმავებას ირანულ საზოგადოებაში. თავისუფალი მეთემეები, ჩანს, დამოკიდებული არიან გაბატონებულ კლასზე, ხოლო არათავისუფალი ახლა შეიძლება იყოს ირანელიც.

მონის აღმნიშვნელი ძველი ტერმინის „ანშაჰრის" გვერდით ჩნდება „ბ ა რ დ ე" და „ბ ა ნ დ ა ქ" (მონა), რომელიც უკვე აღარ მიუთითებს ეთნიკურ სხვაობას. მონობის მთავარი წყარო ახლაც ომებია, მაგრამ სოციალურ-ეკონომიური განვითარების მოცემული საფეხური საჭირო პირობებს უქმნის თავისუფალთა მონების რიგში გადასვლას. მონად მხოლოდ უცხოელი („ანირან") აღარაა. თანდათან იზღუდება თვითონ თავისუფალ მეთემეთა ოდინდელი (თავისუფალი) მდგომარეობა. ყოველგვარ უფლებას არიან მოკლებული ვაჭრები, ხელოსნები.

წოდებრივი წყობილება და სახელმწიფო მმართველობის სისტემა მჭიდ-

---

[1] A. Christensen. L'Iran sous les Sasanides, გვ. 101.
[2] Н. В. Пигулевская. დასახ. ნაშრ., გვ. 208.
[3] იქვე, გვ. 211.
[4] იქვე, გვ. 208—209.
[5] იქვე, გვ. 213.
[6] იქვე.

რო კავშირში იმყოფებიან სასანურ ირანში[1]. მაგრამ ირანმა შეინარჩუნა კასტურ-წოდებრივი წყობილების პატრიარქალური ფორმები[2]. გამორიცხული იყო ერთი წოდებიდან მეორე წოდებაში გადასვლა. ირანელ „კეთილშობილთა" გვარებს ყველაფერი მემკვიდრეობით უფლებამდე დაჰყავდათ. ყველა პრივილეგიებით მხოლოდ „კეთილშობილი" გვარი სარგებლობდა. ხოსრო I ანუშირვანამდე (531—579) დაუშვებელი იყო ირანულ მაღალ საზოგადოებასთან ფეიქრების, ვაჭრების, ექიმების დაკავშირება. ფეიქრობა, ვაჭრობა და ექიმობა ყველაზე მდაბალ და სამარცხვინო ხელობად ითვლებოდა[3]. მხოლოდ ფეოდალიზაციის პროცესის გაძლიერებამ დაუკავშირა ვაჭარ-მევახშეები ირანული საზოგადოების ზედაფენებს.

სასანური დინასტიის ბატონობის დროს კიდევ უფრო გაძლიერდა მწარმოებელთა ექსპლოატაცია. გახშირდა მონის შრომის გამოყენება არა მარტო ყველაზე მძიმე სამუშაოებზე, არამედ სოფლის მეურნეობაშიც. გაიზარდა თავისუფალი მეთემეების დამოკიდებულება ირანელ წარჩინებულებზე. ყველაფერი ეს მიმდინარეობდა უკიდურესად გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში. ყველა ამან გააპირობა მანიქეველთა სოციალური მოძრაობა III ს-ის სასანურ ირანში.

მანიქეველთა სოციალური მოძრაობა ირანში მომხდარი სოციალურ-ეკონომიური ხასიათის ცვლილებებით იყო გამოწვეული. ეს სოციალური მოძრაობა მიმართული იყო არსებული წყობილების და მისი იდეოლოგიური დასაყრდენის—მაზდეანური სარწმუნოების წინააღმდეგ.

მანის (დაიბადა 215 წელს) რელიგიურ-ფილოსოფიურ (გნოსტიკურ) მოძღვრებას—აშკარად ეტყობა ქრისტიანობის გავლენა. მანიქეველობა წარმოადგენდა მაზდეანურ, ქრისტიანულ და თვით ბუდისტურ სარწმუნოებათა ერთგვარ ნარევს. ამავე დროს, მას შენარჩუნებული ჰქონდა ზარათუშტრას სარწმუნოების დუალისტური პრინციპი: კეთილისა და ბოროტის დაპირისპირება, სინათლისა და წყვდიადის ბრძოლა. ამგვარსავე დაპირისპირებას ხედავდნენ მანიქეველები ადამიანთა ურთიერთობაში, საზოგადოებაში.

მანიქეველთა ორგანიზაცია ქრისტიანული ეკლესიის მიხედვით იყო აგებული. მათი ორგანიზაციის სათავეში იდგა 12 მოციქული - მოძღვარი, 72 მოწაფე-ეპისკოპოსი. ამათ მოსდევდნენ მღვდელ-მსახურები, დიაკვნები, მონაზვნები, ბოლოს კი მოდიოდა მორწმუნეთა საერთო მასა.

მანი ქადაგებდა მკაცრს ასკეტიზმს, მოითხოვდა ქორწინების აღკვეთას. ბოროტების მოსპობა ამქვეყნად მას მხოლოდ ამ საშუალებით მიაჩნდა შესაძლებლად. მანის აზრით, ბოროტება უნდა მოსპობილიყო ადამიანთა მოდგმის გადაშენებასთან ერთად, რადგან ბოროტების წყაროდ მას თვითონ ადამიანი მიაჩნდა. ამიტომ მანიქეველობა არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო პასიური ხასიათის სოციალური მოძრაობა.

---

[1] Н. В. Пигулевская. დასახ. ნაშრ., გვ. 206.

[2] Б. Н. Заходер. Иран при Сасанидах, გვ. 89.

[3] იქვე.

მანი ერთხანს დაიახლოვა შაბურ I-მა (241 წელს). მაგრამ მის ქადაგებას მტრულად შეხვდნენ ირანელი წარჩინებულები, რომელნიც ცენტრალური ხელისუფლებისაგან მოითხოვდნენ მათი კლასობრივი ინტერესების უზრუნველყოფას, გაძლიერებული ექსპლოატაციის დაცვა-შენარჩუნებას.

მანი ირანიდან იქნა გაძევებული. მას ყოფნა მოუხდა თურქესტანში, ინდოეთში, ცენტრალურ აზიაში, ტიბეტში. ამით აიხსნება მანიქეველობის გავრცელება დასახელებულ ქვეყნებში. 273 წელს მანი უკან დაბრუნდა ირანში. მაგრამ მალე იგი შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. არაბულ წყაროებში შენახული ცნობების მიხედვით, მანის ცოცხლივ გააძვრეს ტყავი, თივით გასტენეს და ქალაქ გუნდეშაბურის ალაყაფზე ჩამოკიდეს.

მაგრამ გაბატონებულმა კლასმა მანიქეველობას ამით ბოლო მაინც ვერ მოუღო. მანიქეველობა როგორც სოციალურ მოძრაობათა იდეოლოგია გავრცელდა აზიაშიც და ევროპაშიც. მანიქეველთა მოძრაობის გამოძახილი აშკარად ეტყობა მაზდაკელთა დიდს სოციალურ მოძრაობას V—VI სს. სასანურ ირანში.

თუ სოციალური სტრუქტურისა და პოლიტიკური ორგანიზაციის მხრივ სასანური ირანი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა პართიის სახელმწიფოსაგან, სამაგიეროდ უცვლელი და ხელუხლებელი დარჩა ამ უკანასკნელის საგარეო პოლიტიკა. რომისა და ირანის ხანგრძლივი ომების მიზეზები იგივე იყო, რაც წინარე ხანაში წარმოებული პართია-რომის ომებისა: ბრძოლა სავაჭრო-სატრანზიტო გზებისათვის, აგრეთვე მონათა წყაროებისათვის „ბარბაროსთა“ ქვეყნებში.

პართელ და ირანელ წარჩინებულთ ცენტრალიზებული სახელმწიფო, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, სჭირდებოდათ დასავლური ექსპანსიის წინააღმდეგ. ამასვე მოითხოვდა მათი კლასობრივი ინტერესები. მათი შემდგომი ეკონომიური გაძლიერებაც მტკიცე ცენტრალური ხელისუფლების არსებობაზე იყო დამოკიდებული. და ამ ხელისუფლებას ირანელი წარჩინებულებიც ითმენდნენ იმ დრომდე, სანამ მათი კლასობრივი ინტერესები ყოველმხრივ იქნებოდა უზრუნველყოფილი.

III—VII სს. ირან-რომის (გვიან ირან-ბიზანტიის) ომები ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. მეტოქეობის ობიექტებს და, ამდენადვე, საომარი მოქმედების ასპარეზებს ახლაც მესოპოტამია და იბერია-სომხეთი წარმოადგენდნენ. ომი დასახელებული ქვეყნებისათვის იწყებოდა, ხოლო პშვიდობის პირობად ამ ქვეყნებზე გამარჯვებული მხარის უფლების აღიარება იყო.

შაბურ I-ის დროს ირანმა უკან დაიბრუნა მესოპოტამია და სომხეთი. 259 წელს 'შაბურმა სასტიკად დაამარცხა და ტყვედ იგდო ხელთ იმპერატორი ვალერიანე. მრავალრიცხოვანი რომაელი ტყვეები გამოყენებულ იქნენ კაშხალის ასაგებად მდ. კარუნზე. „ბანდ-ე ქასრა“ („კეისრის კაშხალი“) მონების ხელით იყო აგებული ისევე, როგორც სხვა კაშხალები და ხელოვნური სარწყავი არხები. შაბურ I-ის დიდი გამარჯვება სამუდამოდ აღიბეჭდა კლდეზე, რომლის მასშტაბები (უზარმაზარი ლოდები, გათლილი ქვები მონუმენტური ქანდაკებებისათვის) მონათა შრომის გამოყენებას მოწმობს.

III ს-ის 80-იან წლებში გამარჯვების სასწორი რომის მხარეზე გადაიხარა. 297 წლის ხავერ რომმა უკან დაიბრუნა მესოპოტამია და სომხეთი. მაგრამ ახალი ომისათვის საბზადისი ირანს არ შეუწყვეტია. შაბურ II-ის (309 – 379) კონსტანტინე კეისრისადმი მიწერილი წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ ირანი მესოპოტამიაზე და სომხეთზე ხელის აღებას არ აპირებდა. რომთან ბრძოლის პირობად შაბურ II მესოპოტამიისა და სომხეთის უკან დაბრუნებას აყენებდა (ამიან მარცელინი). 337—350, 359—361 და 371 – 576 წლების ომები ამ საკითხის გადასაწყვეტად წარმოებდა. მაგრამ ცვალებადი სამხედრო წარმატება ახლაც გამორიცხავდა მისი რომის ან ირანის სასარგებლოდ გადაჭრას.

ირან-რომის ომები IV ს-ში განსაკუთრებით გაამწვავა ახალმა ფაქტორმა: რომში ქრისტიანობის გამარჯვებამ. ირანის მთავრობას არ შეეძლებოდა ეჭვის თვალით არ შეეხედა ქრისტიან ქვეშევრდომთათვის, რომელთაც იგი ამიერიდან რომის ბუნებრივ მოკავშირედ სთვლიდა. განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა ირანის მთავრობის წინაშე ქრისტიანობის საკითხი ირან-რომის საცილობელ ქვეყნებში: მესოპოტამიასა და იბერიასომეთში.

ქრისტიანობა ვრცელდებოდა უპირატესად ირანის დაბალ საზოგადოებრივ ფენებში. „მალიქიტობა“ („კეისრის სარწმუნოება“) ფართო გასაქანს ეოულობდა ქალაქებში. ქრისტიანდებოდნენ ვაჭრები, ხელოსნები, მონები. უუფლებო ვაჭრები და ხელოსნები ისედაც რომის მხარეზე იხრებოდნენ, ახლა კი ქრისტიანობა მათი მოძრაობებისა და ბრძოლის იდეოლოგიურ ელფერს იღებდა. ვაჭარი უფლებას იყო მოკლებული იმ დროს, როდესაც თვითონ ვაჭრობა არაჩვეულებრივად იყო განვითარებული, ხოლო ფეიქრის ხელობა სამარცხვინოდ ითვლებოდა საფეიქრო ხელოვნების განმაცვიფრებელი წარმატების პირობებში. ქრისტიანობისათვის ნოყიერი ნიადაგი უნდა შეექმნა ვაჭარ-ხელოსნების მდგომარეობას. ხელოსნური გაერთიანებები ქრისტიანობას მკაფიოდ გამოკვეთილ ორგანიზაციულ სახეს ანიჭებდა. ამდენადვე ირანის გაბატონებული კლასისათვის ქრისტიანობა სოციალური თვალსაზრისითაც საშიშარი იყო.

ამას გარდა, ქრისტიანობა საკუთრივ მესოპოტამიასა და სომხეთში ახლებურად აყენებდა ამ ქვეყნების ორიენტაციის საკითხს. ამავე დროს, აქაურ ვაჭარ-ხელოსნებს ქრისტიანობა იმავე მიზნისათვის უნდა გამოეყენებინათ, რა მიზნითაც მას ირანელი ვაჭარ-ხელოსნები იყენებდნენ. ირანის მთავრობას დაპყრობილ მესოპოტამიასა და სომხეთში ისეთივე მდგომარეობა უნდა შეექმნა, როგორიც ირანელი ვაჭრებისა და ხელოსნებისათვის იყო დამახასიათებელი. ყოველ შემთხვევაში, სომხეთის ვაჭრები რომის ორიენტაციისანი იყვნენ. ამგვარივე განწყობილება, ალბათ, უცხო არ იყო არც იბერიის ვაჭარ-ხელოსნებისათვის.

ყველა აღნიშნული გარემოება სათანადოდ იყო გათვალისწინებული სასანური ირანის რელიგიურ პოლიტიკაში.

შაბურ II-ის ხანგრძლივი მეფობა აღინიშნა ქრისტიანთა სასტიკი დევნით. ირანელ ქრისტიანებს აეკრძალათ ლაშქრობაში მონაწილეობა. სამაგიე-

როდ მათ ორმაგად უნდა გადაეხადათ გადასახადები. გადასახადთა აკრეფის პასუხისმგებლობა ირანის ქრისტიანთა კათალიკოსს დაეკისრა. მაგრამ კათალიკოსმა უარი თქვა იმ მოტივით, რომ იგი ხარკის ამკრეფი მოხელე არ იყო. მისი უარი გახდა ქრისტიანთა დევნის საბაბი. ირანის ქალაქებში სიკვდილით დასაჯეს ეპისკოპოსები, მღვდლები, მონაზვნები, დაანგრიეს ქრისტიანთა საკულტო ტაძრები. შესაფერისი ღონისძიებების განხორციელებას შეუდგა ირანის მთავრობა აგრეთვე იბერია-სომხეთში. აქ მაზდეანობის გავრცელება მას თავისი პოლიტიკური ბატონობის აუცილებელ პირობად მიაჩნდა.

430 წლიდან სომხეთის აღმოსავლეთი ნაწილი ირანის პროვინციად იქცა. იბერიის მეფე კი ირანის მთავრობის თვალსაზრისით შაჰრდარი იყო. სანამ 523 წელს იგი ქართლში მეფობას გააუქმებდა. IV—Vსს. სასანურმა ირანმა მნიშვნელოვნად განამტკიცა თავისი პოზიციები ამიერკავკასიაში. თუმც სისტემატურად ჰქონდა მას საქმე ქართველების, სომხების, ალბანელების აჯანყებებთან.

ამიერიდან სასანური ირანი კონტროლს უწევდა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გამავალ სავაჭრო-სატრანზიტო გზებს. ამავე დროს აღმოსავლეთის ქვეყნებს, ვაჭრობის მიზნით, იგი ირანის ყურის საშუალებითაც უკავშირდებოდა. სასანური ირანი შუამავლის როლს ასრულებდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის როგორც ვაჭრობის, ისე კულტურულ ურთიერთობათა სფეროში. ყველა ამით აიხსნება ვაჭრობის, ბელოსნობის, ზღვაოსნობის არაჩვეულებრივი განვითარება. სასანურ ირანში განვითარებული ზღვაოსნობა შეითვისეს არაბებმა, ხოლო მას არაბების საშუალებით გაეცნო დასავლეთ ევროპა[1].

შუამავლის როლს ასრულებდა სასანური ირანი კულტურულ ურთიერთობათა სფეროშიც. სასანური ირანის საშუალებით გაეცნო დასავლეთი ცხოველთა ინდურ ეპოსს („ქილილა და დამანა"), ყველგან ირანის საშუალებით გავრცელდა ინდური წარმოშობის ჭადრაკი („შოთარნაგ"). ფალაურ ენაზე (სირიელების მონაწილეობით) ითარგმნებოდა არისტოტელეს და პლატონის ფილოსოფიური თხზულებები. ქალაქ გუნდეშაბურში დაარსდა (VI ს.) სამედიცინო სასწავლებელი. სასანურ ირანში, ისევე როგორც ყველგან წინა აზიაში, საყოველთაოდ იყო გავრცელებული არამეული დამწერლობა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მსოფლიო ვაჭრობასთან და მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობასთან.

„სასანური კულტურა", ამრიგად, ვერ ჰფარავდა წინა აზიის ხალხების თავისთავად კულტურულ მონაპოვარს. მასში შერწყმული იყო დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა ნაკადები.

ამავე დროს, ფალაურ ენაზე იქმნება ორიგინალური ნაწარმოებები: მხატვრული, ისტორიული („ხოდაი ნამაქ"—„მეფეთა წიგნი", „არდაშირ ბაბაქანის ცხოვრება"), იურიდიული (სასანური სამართლის წიგნები, „დადასტან ნამაქ"—სასამართლო გადაწყვეტილებათა წიგნი, „მატიკან-ი ჰაზარ დადასტან"), რელიგიური („ხორდა ავესტა"—ავესტას სასანური რედაქცია და სხვ.). შეიქმნა

---

[1] Б. Н. Заходер. Иран при Сасанидах, зз. 89.

მხატვრული მწერლობის ბრწყინვალე ნიმუშები, რომელთა უდიდესი ნაწილი არაბთა შემოსევების ხანაში დაიღუპა.

დიდად განვითარდა მხატვრობა (ფერწერა, ხელნაწერი წიგნის მინიატურა), ქანდაკება (მონუმენტური), ხელსაქმე (ოქროქსოვილები, ხალიჩები, ნოხები ნადირობის გრანდიოზული სცენებით ან ბუნების სურათებით), ჭედვითი ხელოვნება (სასანური ოქროს და ვერცხლის სურები, ლანგრები, ლითონის ჭურჭელი), ხუროთმოძღვრება (ხიდები, კაშხალები, ქარვასლები, სასაალეები). სასანური ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ხდება გუმბათოვანი და აივნიანი შენობები. მონუმენტური სტილის ნაგებობანი შენდება არა მარტო კტეზიფონში (სასანური ირანის სატახტო ქალაქში), არამედ აგრეთვე სასანელი შაჰინშაჰების საზაფხულო და საზამთრო რეზიდენციებში, ირანის მთავარ პროვინციებსა და ქალაქებში.

## § 3. ქალაქები, ხელოსნობა, ვაჭრობა

ჩვ. წელთაღრიცხვის III ს-ში მოისპო პოლისური მმართველობის და ავტონომიური ქალაქები სასანურ ირანში[1]. ქალაქი დაადგა ფეოდალური განვითარების გზას. წინარე ხანის ქალაქები თან გადაჰყვნენ მონათმფლობელურ წყობილებას[2]. ეს იყო საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი, რომელიც VI ს-ში ფეოდალური „ახალი ქალაქის“ წარმოქმნით დამთავრდა. ფეოდალური ქალაქი მახლობელ აღმოსავლეთში საბოლოოდ გაფორმდა X საუკუნისათვის.

სასანური ქალაქების შესწავლა შესაძლებელი ხდება ფალაური ტრაქტატის „შაჰრიარ-ი ირან“ („ირანის ქალაქები“), სირიული ქრონიკების და არაბული წყაროების საშუალებით. თუმც, უნდა ითქვას ისიც, რომ საქალაქო ცხოვრების ყველა მოვლენის დასადგენად საჭირო ცნობები არ მოგვეპოვება. ამასთან IX—Xსს. არაბულ წყაროებს ხშირად დასავლეთ ირანის გვიანდელი ქალაქების თავისებურებანი გადააქვთ სასანური ირანის ქალაქებზე. ყველა აღნიშნული გარემოების გათვალისწინება საჭიროა იმისათვის, რათა აღვადგინოთ IX საუკუნემდელი ირანის ქალაქის სოციალური სტრუქტურის, ეკონომიური ცხოვრების და გარეგანი სახის დამაჯერებელი სურათი.

წყაროები აღნიშნავენ ქალაქების დაარსებას თითქმის ყველა სასანელი შაჰინშაჰის მიერ. არდაშირ I-ს მიეწერება რვა ქალაქის დაარსება: ვეჰ-არდაშირი (ქერმანის და კტეზიფონის მახლობლად), რევ-არდაშირი, ბით-არდაშირი და სხვ. შაბურ I-მა დააარსა გუნდეშაბური (ხუზისტანში), ვეჰ-შაბური (ფარსში), ნევ-შაბური და სხვ. ქალაქები: რამ-პეროზი, როშან-პეროზი, შაჰრამ-პეროზი, ფიროუზაბადი ანდა ვეჰ-კავადი, კავად-ხურაჰი, კობადიანი და სხვ., მოწმობენ თუ რომელი ქალაქი როდის ან რომელი შაჰინშაჰის მიერ არის დაარსებული.

---

[1] Н. В. Пигулевская. К вопросу о городах Ирана в раннем средневековье, СВ. 1955, № 6. გვ. 73.

[2] იქვე.

ახალი ქალაქების დაარსება ანდა ძველი ქალაქების ახლად აშენება უშუალოდ იყო დაკავშირებული სასანელთა ცენტრალისტურ პოლიტიკასთან.

ქალაქები არსდებოდა ახლად დაპყრობილ ან მემკვიდრეობით მიღებულ მიწა-წყალზე. ახლად დაარსებულ ან განახლებულ-გადასახელებულ ქალაქს ჩვეულებრივ ეკვემდებარებოდა საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, რომელსაც ადმინისტრაციული ერთეულის რაოდენობის მიხედვით რამდენიმე რუსთაკი განაგებდა. რუსთაკებთან ინყოფებოდა ცენტრალური ხელისუფლების მოხელე ქ ა რ დ ა რ ი. შაჰინშაჰს უშუალოდ მიუწვდებოდა ხელი ახლად დაარსებული ქალაქის და მისდამი დაქვემდებარებული ტერიტორიის მოსახლეობის მიმართ. გადასახადებსაც აქ მისი მოხელეები ჰკრეფდნენ.

უკვე არდაშირ I სპობდა დინასტიურ მეფეებს და სცვლიდა მათ დამოკიდებული მეფეებით ან მმართველებით, რომელთაც საეკვოა შენარჩუნებული ჰქონოდათ მეფის წოდებულება [1]. დამოკიდებული მეფის ტიტულაცია კი შედგენილი იყო ქვეყნის სახელწოდების მიხედვით. მაგ., მაისანშაჰი, საგისტანშაჰი, მერვშაჰი, ქერმანშაჰი და სხვ.

შაჰის წოდებულება შენარჩუნებული ჰქონდა ან მეფედ დასმულ სასანელ უფლისწულს ანდა სასანური დინასტიის ერთგულ მეფეს. ირანის მთავრობა სასტიკი ღონისძიებებით ახორციელებდა ცენტრალისტურ პოლიტიკას დაპყრობილ სამეფოებში: ხოცავდა დამოუკიდებელ მეფეებს, ხოლო ამ უკანასკნელთა ქალაქებს ან სახელებს უცვლიდა ანდა მათს მახლობლად ახალ ქალაქებს აარსებდა.

ასე გაჩნდა სამეფო ქალაქები, რომლებიც უშუალოდ შაჰინშაჰს ემორჩილებოდნენ.

შაჰინშაჰები სამეფო ქალაქებში ასახლებდნენ ახალ მოსახლეობას. ასე მაგ., გუნდეშაბურში შაბურ I-მა დაასახლა რომაელი ტყვეები, რომლებიც ანტიოქიიდან იყვნენ გადმოყვანილი. სხვადასხვა ქვეყნებიდან ირანის ქალაქებში დიდი რაოდენობით მოჰყავდათ დახელოვნებული ხელოსნები. სამეფო ქალაქებისაკენ მოისწრაფოდა სოფლის ექსპლოატირებული მოსახლეობა, რადგან ქალაქი მიმზიდველი ხდებოდა იქ დაწესებული შეღავათების გამო. ამას გარდა, შრომის დანაწილების შემდგომი გაღრმავება იწვევდა საქალაქო ცხოვრების გაცხოველებას, აჩქარებდა თავისუფალ ხელოსანთა გამოყოფას [2]. ასეთ პირობებში ძლიერდებოდა ქალაქის პატრონის მნიშვნელობა. შაჰინშაჰი, შაჰი და მთავარი მფარველობდნენ ქალაქებს და ხელს უწყობდნენ მათს განვითარებას [3].

V ს-ის დამლევამდე ქალაქების დაარსება წარმოებდა მხოლოდ სამეფო მიწა-წყალზე და განისაზღვრებოდა არდაშირ I-ის მიერ დამოუკიდებელი მეფეებისათვის ჩამორთმეული ტერიტორიით [4]. მხოლოდ აქ იყო შაჰინშაჰი

---

[1] F. Altheim, R. Stiel. Staatshaushalt der Sasaniden, „La Nouvel Clio", ტ. V, № 5—6, 1953, გვ. 278.

[2] Н. В. Пигулевская. დასახ. ნაშრ., გვ. 72.

[3] იქვე.

[4] F. Altheim, R. Stiel. დასახ. ნაშრ., გვ. 278.

უშუალო ბატონ-პატრონი და შეეეძლო საკუთარ მიწაზე და საკუთარი სახელით ქალაქების დაარსება. ქალაქების დაარსება არ წარმოებდა იქ, სადაც ძლიერი წარჩინებულები ისხდნენ, რომელთა მეშვეობით ცენტრალური ხელისუფლება მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიას მართავდა[1]. გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ სანაპირო ქვეყნები უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთსა და ჩრდილო-დასავლეთში[2]. აქ სამეფო ქალაქების დაარსება შეპირობებული იყო სრულიად გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური მოსაზრებებით.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება ფეოდალებად მივიჩნიოთ ისინი, რომელთა მიწებზე სამეფო ქალაქების დაარსება არ წარმოებდა. ისინი, ვისაც ბურჟუაზიული ისტორიკოსები ფეოდალებს (Feudaladel) უწოდებენ, ჯერ ისევ მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული მონათმფლობელურ საზოგადოებასთან. მაგრამ საინტერესოა აღინიშნოს, რომ მათი მიწები ნაწილობრივ ან მთლიანად განთავისუფლებული იყო გადასახადებისაგან. არაბული წყაროები მათ „ხარაჯას ბატონებს" უწოდებენ. ისინი თვითონ ჰკრეფდნენ მიწაზე დაწესებულ გადასახადს სახელმწიფო მოხელეების ჩაურევლად[3]. აშკარაა რომ სასანურ ირანში ბევრგან შეურყეველად ბატონობდნენ მსხვილი მიწისმფლობელები. საგადასახადო შეღავათების წყალობით მათი მიწები კეთილმოწყობილი იყო და გლეხებიც მათთან გარბოდნენ ძძიშედ დახარკული ადგილებიდან.[4]

აღსანიშნავია, რომ გადასახადი მით უფრო მცირდებოდა, რაც უფრო მეტად დაშორებული იყო ესა თუ ის ადგილი ქალაქიდან[5]. სოფლის მეურნეობის რაიონები სასანურ ირანში, ამრიგად, ორ ნაწილად იყო დაყოფილი: ერთ მხარეზე იყო შაჰინშაჰის ხელისუფლებისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული მიწა-წყალი, მეორე მხარეზე მიწათმფლობელი არისტოკრატიის მიწა-წყალი[6]. კავადის (488—531) დროიდან დაწყებული ცენტრალური ხელისუფლება მიისწრაფვის გაავრცელოს თავისი ბატონობა ქალაქიდან დაშორებულ ადგილებზეც[7]. ხოსრო I ანუშირვანის დროს ეს მიზანი განსაკუთრებით ხელსაყრელ ისტორიულ პირობებში განხორციელდა[8]. მაგრამ ხოსრო ანუშირვანამდე ცენტრალური ხელისუფლება უნდა ცდილიყო სამეფო ქალაქების გაზრდას და მათზე დამოკიდებული რაიონების გავრცობას[9]. შაჰინშაჰი დაინტერესებული იყო იმით, რომ ქალაქი უშუალოდ მისი მორჩილი ყოფილიყო, რაც მიღწეული იყო კიდეც ქალაქის ავტონომიის მოსპობით.

ქალაქების ზრდას სასანურ ირანში აპირობებდა გაცხოველებული ვაჭრობა შუა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის. ქალაქების ზრდის პირდაპირი შედეგი იყო შრომის დანაწილება და საქალაქო ხელოსნობის სოფლის მეურნეობიდან გამოყოფა. ხელოსნობის განვითარება მთავარი

---

[1] F. Altheim, R. Stiel. დასახ. ნაშრ., გვ. 281.
[2] იქვე, გვ. 285.
[3] იქვე, გვ. 276.
[4] იქვე.
[5] იქვე.
[6] იქვე.
[7] იქვე, გვ. 277—278.
[8] იქვე.
[9] იქვე.

პირობა იყო საქალაქო ცხოვრების გართულებისა, ვაჭრობა-აღებმიცემობის გაცხოველებისა.

ირანი გაცხოველებულ ვაჭრობას აწარმოებდა ძვირფასი ქსოვილებით, კერძოდ, აბრეშუმით და აბრეშუმის ნაწარმით. ცნობილი „აბრეშუმის გზის“ დიდი მონაკვეთი ირანის სამფლობელოებზე გადიოდა. ამ გზით ირანიდან ჩინეთში გაჰქონდათ სოფლის მეურნეობის პროდუქცია: ღვინო, ხილი, კაკალი, ინის საღებავი და სხვ.[1] ჩინეთშივე გაჰქონდათ სპარსული ქსოვილები და ლითონის ჭურჭლეული[2]. ირანი ცხოველი სავაჭრო ურთიერთობით იყო დაკავშირებული ჩრდილოეთ ინდოეთთან. საზღვაო გზებით ირანი უკავშირდებოდა ინდოეთს და კუნძულ ცეილონს, ხოლო მეწამული ზღვით ეთიოპიას[3]. ირანი ცდილობდა ხელი დაედო აგრეთვე „გუნდრუკის გზისათვის“ არაბეთის ნახევარკუნძულზე. დასახელებულ საავაჭრო გზებზე მტკიცედ გაბატონების განზრახვა ან მათი დაუფლების სურვილი (ბრძოლა „გუნდრუკის გზისათვის“) ძლიერ იჩენდა თავს რომთან (გვიან ბიზანტიასთან) მეტოქეობაში. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ამ მხრივ ამიერკავკასიაში გაბატონების საკითხი, რადგან შუა აზიიდან მომავალი „აბრეშუმის გზა“ ამიერკავკასიის ქვეყნებზე გავლით უერთდებოდა შავი ზღვის სანაპიროს ქალაქებს.

ირანის შუამავლობა მსოფლიო ვაჭრობაში (დასავლეთი ირანის საშუალებით უკავშირდებოდა ინდოეთს, ცეილონს, ჩინეთს...) ზრდიდა ქალაქების რიცხვს, ავითარებდა ვაჭრობა-ხელოსნობას. სასაზღვრო ირანის ქალაქები (კეთილმოწყობილი ბაზრებით) წარმოადგენდნენ ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრებს.

ირანის პროვინციები და ქალაქები ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ სამეფო გზებით („შაჰრაჰ“—შარა). ამ გზებზე გამართული იყო საფოსტო სადგურები სწრაფი მიმოსვლისათვის. „მანზილების“ (ამ ტერმინის ქართული შესატყვისია „მანძილი“) შუალედებში არსებობდა სასტუმრო-ასპინძები (აქედანაა ნაწარმოები ქართული „ასპინძა“ და „მასპინძელი“), გზებზე დაცული იყო მგზავრების და ვაჭრების უშიშროება.

ირანში არსებობდა მდიდარი და კეთილმოწყობილი ქალაქები. მნახველთა განცვიფრებას იწვევდა ხალხმრავალი სატახტო ქალაქი კტეზიფონი. მსოფლიო ვაჭრობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ ნიზიბინს, ამიდს, აჰვაზის ქალაქებს. ყველა ქალაქში ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის მთავარი ცენტრი იყო ბაზარი, სადაც ყოველთვის მრავლად იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის ვაჭრები. კტეზიფონი განთქმული იყო თავისი „თივის ბაზრით“, რომელიც მუდამ გაჭედილი იყო ხალხით, ვაჭარ-სოვდაგრებით, ქარავნებით, განსაკუთრებით კი იმ დროს, როცა იქ დამნაშავეს სიკვდილით სჯიდნენ. ამიდში არსებობდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დიდი ბაზარი[4].

---

[1] Н. В. Пигулевская. Из истории экономических отношений Ирана в IV—VI вв., Краткие сообщения ИВ АН, XIV, 1955, გვ. 46.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 47.

ბაზარი, მოედანი (მმართველის სასახლითურთ), აბანოები და საკულტო ტაძარი (ათეშგაჰი, გვიან მეჩეთი...) აღმოსავლური ქალაქის ჩვეულებრივი ანსამბლი იყო.

ბაზარს განაგებდა საგანგებო მოხელე, რომელსაც „ბ ა ზ ა რ ბ ე დ ი“ (ბაზრის უფროსი) ეწოდებოდა[1].

ქალაქში ათასნაირი სანახაობა იყო მოწყობილი: ცირკი, სამხედრო ეტლების მარული, ჩოგბურთი და ცხენბურთი. ცხენბურთი ირანული სამხედრო არისტოკრატიის საყვარელი გასართობი იყო.

ქალაქებში ხელოსნები ცალკე უბნებად იყვნენ დასახლებული. ხელოსნები უპირატესად საზოგადოების მაღალი კლასების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საქმობდნენ. ხელოსნური ნაწარმი დიდი რაოდენობით გაჰქონდათ შორეულ ქვეყნებში.

ირანის ქალაქებში იყვნენ როგორც მონა ხელოსნები, ისე თავისუფალი ხელოსნები. დიდი რაოდენობით მუშაობდნენ მონა ხელოსნები სახელმწიფო სახელოსნოებში.

საქალაქო ცხოვრების გაცხოველებამ გამოიწვია თავისუფალ ხელოსანთა გამოყოფა მონა ხელოსნების რიგებიდან. ისინი, ვინც ქალაქებში სახლდებოდნენ, გარკვეული შეღავათებით სარგებლობდნენ. მაგრამ ხელოსნების მდგომარეობა მაინც მეტად მძიმე იყო. განსაკუთრებით მძიმე იყო მონა ხელოსნების მდგომარეობა. ამით აიხსნება ხელოსანთა აქტიური მონაწილეობა სოციალურ მოძრაობებსა და ბრძოლებში.

საქალაქო ხელოსნობის გვერდით არსებობდა შაჰის სახელოსნოები. სოფლებსა და თემებში ხელოსნობა აკმაყოფილებდა სოფლის მოთხოვნილებას, ატარებდა პრიმიტიულ ხასიათს და მნიშვნელოვანწილად ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი სოფლის მეურნეობიდან[2]. არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომ არსებობდა სხვადასხვა სახის პროდუქცია, რომელიც საზოგადოების სხვადასხვა კლასების მოთხოვნილებისამებრ საღდებოდა[3]. შაჰის მეურნეობის პროდუქცია ხმარდებოდა უწინარეს ყოვლისა შაჰის, მისი სახლის, ჰარამხანის, სასახლის საჭიროებებს, მაგრამ ამ პროდუქციის გარკვეული ნაწილი, უნდა ვიფიქროთ, სასაქონლო იყო[4]. ირანელი მიწისმფლობელების დასთვერდები („მამულები“) ნაწილობრივ სასაქონლო პროდუქციასაც იძლეოდა, ასევე მაზდეანელ ქურუმთა სატაძრო მამულები. იყიდებოდა ხორბალი, ეობო, ღვინო, ხორცი, კაკალი[5]. მაგრამ მთავარი მაინც საგარეო ვაჭრობისათვის განკუთვნილი ძვირფასი ქსოვილები, აბრეშუმი, აბრეშუმის ნაწარმი. ნოხები, ოქროს და ვერცხლის ჭურჭლეული იყო. ირანის ქალაქების ხელოსნები განთქმული იყვნენ თავიანთი ხელოვნებით და ნაკეთობებით.

როგორც აღვნიშნეთ, ერთი ხელობის ხელოსნები ჩვეულებრივ ქალაქის

---

[1] A. Christensen. L' Iran sous les Sasanides, გვ. 129.

[2] Н. В. Пигулевская. დასახ. ნაშრ., გვ. 46—47.

[3] იქვე, გვ. 47.

[4] იქვე.

[5] იქვე.

ვარკვეულ უბანში იყვნენ დასახლებული. ხელოსნებს ჰყავდათ უფროსი, რომელსაც „ქ ა რ უ გ ბ ე დ ი“ („სამუშაოთა უხუცესი“) ეწოდებოდა. თვითეული ხელობის ხელოსანთა ამხანაგობას საკუთარი უხუცესი ჰყავდა. სირიულ წყაროებში, მაგალითად, გვხვდება ოქრომჭედლების უხუცესი ანუ თავი[1]. ასეთივე უხუცესები უნდა ჰყოლოდათ წყაროებში მოხსენებულ ფეიქრებს, ხალიჩების მქსოველებს, მრეცხავებს, მღებავებს და სხვ.[2]

ირანის ქალაქებში არსებობდა როგორც ხელოსანთა, ისე ვაჭართა ამხანაგობები. ამ ამხანაგობებს ჯერ კიდევ ბევრი რამ ჰქონდათ საერთო თემის ორგანიზაციულ აღნაგობასთან.

ვაჭართა ამხანაგობას ეწოდებოდა „ ჰ ა მ ბ ა ი ჰ“ (ქართ. „ამხანაგი“ ნაწარმოებია სპარსულ „ჰამჰანგიდან“, რაც „ერთად მოქმედებას“ ნიშნავს). გაცხოველებული ვაჭრობისათვის აუცილებელი იყო რთული სავაჭრო ოპერაციების წარმოება (ანგარიში, განაღდება, სესხი, გირაო, მოგება და სხვ.), რასაც ვაჭართა ამხანაგობა უძღვებოდა[3].

თავდაპირველად ვაჭართა ამხანაგობის ყველა წევრს ერთნაირი წილი ჰქონდა დადებული ამხანაგობაში და მოგებასაც თანასწორად იყოფდნენ. მაგრამ დროთა განმავლობაში თავი იჩინა ქონებრივმა უთანასწორობამ ამხანაგობის წევრთა შორის. სწორედ ამ ახალმა მოვლენამ დააშორა „ჰამბაიჰი“ თემის ორგანიზაციულ აღნაგობას. მოგება და შემოსავალი ახლა ნაწილდებოდა ამხანაგობაში შეტანილი წილის ოდენობის მიხედვით[4]. მაგრამ მიუხედავად ამისა ვაჭართა ამხანაგობები მაინც განაგრძობდნენ არსებობას[5]. ასეთსავე კლასობრივ განშრეებას თავი უნდა ეჩინა აგრეთვე ხელოსანთა ამხანაგობაში. ხელოსანთა რიგებიდან დაწინაურდნენ უხუცესები, რომლებიც დიდის გავლენით სარგებლობდნენ საქალაქო ცხოვრებასა და სახელმწიფოში. ისინი ასრულებდნენ ხელოსანთა ამხანაგობების წარმომადგენელთა როლს და უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ მმართველ-მოხელეებთან[6].

ირანის ქალაქების ვაჭრების და ხელოსნების დიდს უმეტესობას, როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანები შეადგენდნენ. სანამ რომის იმპერიაში ქრისტიანთა დევნა წარმოებდა, ირანის მთავრობა ხელს არ უშლიდა ქრისტიანული მოსახლეობის ზრდას. ვითარება შეიცვალა მხოლოდ რომში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ. მაგრამ VI ს-ში ირანის რელიგიური პოლიტიკისათვის დამახასიათებელი ხდება მართლმადიდებლური ქრისტიანობისადმი ბიზანტიაში დევნილი იაკობიტობის, არიანობის, ნესტორიანობის და სხვა „ერესების“ დაპირისპირება. ირანში ფართო გასაქანი მიეცა ნესტორიანთა ქრისტიანულ ეკლესიას. ნესტორიან ქრისტიანთა

---

[1] Н. В. П и г у л е в с к а я. Византия и Иран, გვ. 228—229.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 230.

[3] Н. В. П и г у л е в с к а я. Из истории экономических отношений Ирана в IV—VI вв., გვ. 52.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 53.

[5] ი ქ ვ ე.

[6] Н. В. П и г у л е в с к а я. Византия и Иран, გვ. 230.

ეპისკოპოსები ისხდნენ რეიში, ამოლში, გურგანში, აბიევერდში, ჰერათში, მერვში, საგისტანში.

აღნიშნული მოვლენა შეპირობებული იყო არა მარტო ირანის ქრისტიანული მოსახლეობის ორიენტაციის შეცვლით, არამედ უპირატესად ირანის საზოგადოებრივი და ეკონომიური განვითარების შედეგად გამოწვეული ფაქტორებით. ირანის მთავრობა ახლა ანგარიშს უწევს ქალაქების ვაჭარ-ხელოსნების ეკონომიურ პოზიციებს და ცდილობს მათს გამოყენებას სახელმწიფოს ინტერესებისათვის.

დიდვაჭარი და გამდიდრებული მევახშე ახლა თვალსაჩინო ფიგურაა ირანის ეკონომიურ და პოლიტიკურ სარბიელზე. ისინი ქრისტიანული ეკლესიის მეშვეობით მონაწილეობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში. საეკლესიო კრებების დადგენილებების ხელისმომწერთა შორის ვხედავთ როგორც ვაჭართა, ისე ხელოსანთა უხუცესებს. თვითონ ქრისტიანული ეკლესია სულ უფრო და უფრო ძლიერდება და მდიდრდება. ქონების, მონების და მიწების შეწირულების ნიადაგზე გაჩნდენ მიწის მსხვილი მესაკუთრენი, მომავალი სასულიერო ფეოდალები[1]. ეს იყო ფეოდალიზაციის პროცესის ერთი მნიშვნელოვანი ნოვლენთაგანი სასანური ირანის სინამდვილეში. ქრისტიანობა, როგორც იდეოლოგია, მკვეთრად დაუპირისპირდა სასანური ირანის ოფიციალურ რელიგიას—მაზდეანობას.

## § 4. ირანი ფეოდალიზაციის გზაზე

V საუკუნემდე ირანში ძირითადად მონათმფლობელური წყობილება იყო გაბატონებული. მაგრამ მონათმფლობელობის კრიზისი აშკარა იყო. საერთო ეკონომიურმა აღმავლობამ ფართო გასაქანი მისცა ფეოდალურ ელემენტებს. საწარმოო ძალების განვითარებამ გააპირობა ირანის პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერება VI საუკუნეში.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ამ დროს სასანური ირანის სოციალურ სტრუქტურაში. თუ პირველი სასანელი შაჰინშაჰების დროს—ორი-გაბატონებული წოდება არსებობდა ქურუმებისა და სამხედრო არისტოკრატიის სახით, ახლა მას მიემატა მესამე წოდება—საერო მოხელეობა.

მესამე წოდების შემადგენლობაში იყვნენ: მწერლები (დაბირები), მოანგარიშენი, იურისტები, ბიოგრაფები, წერილების და საბუთების შემდგენელნი, პოეტები, ექიმები, ასტროლოგები[2]. ამათი უმრავლესობა ქურუმთა წოდებას გამოეყო.

მწერლების უფროსს ერანდაბირანბედი (ირანის მწერალთა უფროსი) ეწოდებოდა. ახლა მას მობედან მობედის, ერან-ისპაჰბედის და ვასტრიოშანსალარის გვერდით ასახელებდნენ.

საერო მოხელეები ვეზირის სახელისუფლოში შედიოდნენ.

ვეზირს თავდაპირველად ჰაზარაბედი ან ჰაზარაპეტი (ათასთა უფროსი)

---

[1] Н. В. Пигулевская. Из истории экономических отношений Ирана в IV—VI вв., გვ. 57.

[2] Н. В. Пигулевская. К вопросу о городах Ирана в раннем средневековье, გვ. 79—80.

ეწოდებოდა, ბოლოს კი, აღზევებულ-გაძლიერებულს, ბოზორგფრამადარი ეწოდა.

ვეზირის ხელისუფლების და დაბირების მნიშვნელობის გაძლიერება უშუალოდ იყო დაკავშირებული ცენტრალისტურ პოლიტიკასთან. რთული სახელმწიფო აპარატი და დაწესებულებები მრავალრიცხოვანი მოხელეებით იყო წარმოდგენილი. ირანში უაღრესად დაიხვეწა და განვითარდა მმართველობის ის სისტემა, რომელსაც ენგელსი „სასანელების სპარსეთის მოწესრიგებულ მონარქიას“ [1] უწოდებდა.

საქალაქო წოდება ცალკე არ არსებობდა. წყაროების მიხედვით მიწისმოქმედნი ხელოსნებთან ერთად ერთ წოდებაში არიან გაერთიანებული. ტანზარის წერილის (VI ს) მიხედვით მეოთხე წოდების შემადგენლობაში იყვნენ: ვაჭრები, მიწისმოქმედნი (გლეხები, რაიათები), ხელოსნები.

გაბატონებული წოდებებიდან თანდათან ნიადაგი ეცლება მაზდეანურ ქურუმობას, სამაგიეროდ ძლიერდება სამხედრო არისტოკრატია. ამის მკაფიო გამოხატულება იყო რათაესტორანსალარის (მხედართუფროსის) თანამდებობის დაარსება V ს-ის პირველ ნახევარში. ახლა სამხედროთა ხელთაა როგორც ვასტრიოშანსალარის (მიწისმოქმედთა უფროსის). ისე რათაესტორანსალარის თანამდებობა. ქურუმებმა შეინარჩუნეს სწავლა-განათლების საქმე, სასამართლო. დაბირების გაძლიერებამ მნიშვნელოვნად შეარყია ქურუმების მდგომარეობა. მაგრამ საერო მოხელეობას ირანის მთავრობა იყენებდა გაძლიერებულ-აღზევებული სამხედრო არისტოკრატიის წინააღმდეგაც. ეს უკანასკნელი ცენტრალურ ხელისუფლებას მხარს უჭერდა მხოლოდ ომების პერიოდებში, რადგან წარმატებულ ომებში მოპოვებული ნადავლი და ალაფი შემოსავლის ახალ წყაროებს ჰქმნიდა.

V ს-ში სასანური ირანი ომებს აწარმოებდა არა მარტო ბიზანტიასთან, არამედ მძიმე თავდაცვით ომებსაც ეფტალიტების წინააღმდეგ. ეფტალიტები სისტემატურად ესხმოდნენ თავს აღმოსავლეთ ირანის პროვინციებს და არბევდნენ იქაურ ქალაქებს.

მეოთხე წოდებიდან მძიმე ექსპლოატაციას განიცდიდნენ გლეხები და ხელოსნები. მათი ექსპლოატაცია თანდათან ფეოდალურ ხასიათს იღებდა. სოფლის მეურნეობის განვითარებამ ნიადაგი შეუქმნა ექსპლოატაციის ახალ ფორმებს, გაძლიერდა მიწისმოქმედთა გლეხებად გადაქცევის პროცესი.

სპარსულ-არაბული ტრადიციული ცნობები აღნიშნავენ არა მარტო ქალაქების, არამედ სოფლების დაარსებასაც. ქალაქები და სოფლები შენდება იმ ადგილებში, რომელნიც შემდეგ განთქმული არიან სოფლის მეურნეობის კულტურებით. ორი საუკუნის განმავლობაში დიდად გაიზარდა ნათესების ფართობი სასანურ ირანში [2]. ამა თუ იმ ქალაქის დაარსებას აუცილებლად ახლდა თან საირიგაციო სამუშაოები. ყველა მსგავსი სამუშაო წარმოებდა ტყვეების საშუალებით, რომლებიც ავსებდნენ მონების რიგებს.

წარმატებული ომების შედეგად ტყვეების განაწილება სასანური ლაშქ-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. XXI, стр. 491.
[2] Б. Н. Заходер. Иран при Сасанидах, стр. 89.

რის სარდლებს შორის სარწყავი არხების გაყვანისა და სოფლების დაარსების შესაძლებლობას იძლეოდა[1]. არაბულ-ირანული სამართლის მიხედვით კი მიწა იმისი იყო, ვისაც სარწყავი არხი გაჰყავდა[2].

აღზევებულ-გამდიდრებულ ირანელ ვუზურგანებს შესაძლებლობა ჰქონდათ ინდივიდუალურად გაეყვანათ სარწყავი არხები, ხოლო მწარმოებელი მოსახლეობა ფეოდალურ დამოკიდებულებაში მოექციათ.

ამას გარდა, ქვეყნის საერთო სამეურნეო აღმავლობა, საქონლის ბრუნვის ზრდა თავის მხრივ ხელს უწყობდა თემური მეურნეობიდან კერძო, ინდივიდუალური მფლობელობის გამოყოფას[3]. არსებობდა კერძო მიწისმფლობელობის სხვა წყაროებიც.

უკვე ბაჰრამ II (276—293) უხვად აძლევდა თავის მახლობლებს მიწის ნაკვეთებს. ბაჰრამ V-ის (420—438) დროს ეს მოვლენა იმდენად გავრცელდა, რომ ზოგიერთი ბურჟუაზიული ისტორიკოსი სასანურ პერიოდს განიხილავს როგორც განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქას, ხოლო ბაჰრამს „აზნაურთა ხელმწიფეს“ უწოდებს[4].

მაგრამ ფეოდალურ ურთიერთობას სრულიადაც არ ნიშნავდა წყაროებით დამოწმებული ის გარემოება, რომ შაჰინშაჰი ერთი წარჩინებულისათვის წართმეულ მიწას მეორე წარჩინებულს აძლევდა. არაფერი ჰქონდა საერთო განვითარებულ ფეოდალიზმთან არც სახელმწიფო მიწების გაცემას. თუმცა ყველაფერი ეს ხელს უწყობდა ირანელ წარჩინებულთა გაფეოდალებას. საქმე ისაა, რომ წარჩინებულები უშუალოდ სდებდნენ ხელს შაჰინშაჰისაგან მიღებულ მიწაზე მსხდარ მოსახლეობას იმით, რომ თვითონ ჰკრეფდნენ გადასახადებს[5]. ამასთან, ვეზირებთან გარიგების გზით ისინი ახერხებდნენ მიწაზე დაწესებული გადასახადისაგან განთავისუფლებას[6]. „ქრთამის“ წყალობით ზოგიერთი მიწა მცირე გადასახადს იხდიდა, ზოგ მიწას კი სრულიად არ ედო ხარაჯა[7]. ყველა ამის გამო მყისვე გასაგები ხდება, თუ რატომ მცირდებოდა გადასახადები ქალაქებიდან დაშორებულ ადგილებზე, სადაც ქვეყნის თუ ქვეყნების ბატონ-პატრონები მსხვილი მიწისმფლობელები იყვნენ[8]. ხარაჯას ეს „ბატონები“ მომავალი საერო ფეოდალები არიან.

საინტერესოა ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც: მრავალწლოვანი ომების წარმოება ცენტრალურ ხელისუფლებას იძულებულს ხდიდა გაედიდებინა გადასახადები, მძიმედ დაეხარჯა მწარმოებელი მოსახლეობა. წყაროების მიხედვით ბაჰრამ II სრულიადაც არ ზრუნავდა ქვეშევრდომთა კეთილდღეობისათვის[9]. გაუთავებელი ომების შედეგები, მოუსავლიანი და შიმშილიანი

---

[1] Б. И. Заходер. Иран при Сасанидах, გვ. 89—90.
[2] იქვე, გვ. 90.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] F. Altheim, R. Stiel. დასახ. ნაშრ., გვ. 276.
[6] იქვე.
[7] იქვე.
[8] იქვე.
[9] იქვე.

წლები, ეპიდემიები სასტიკად ანადგურებდა მატერიალური დოვლათის შემქმნელ მოსახლეობას. სოფლის მეურნეობით განთქმული რაიონები ქვეითდებოდა და უდაბურდებოდა [1]. მძიმედ დახარკული მოსახლეობა მეურნეობას სტოვებდა და გარბოდა. მაშინ, როდესაც მსხვილ კერძო მიწისმფლობელთა მიწები ჰყვაოდა. მთლიანად მითვისებულ ან სახელმწიფო მოხელეების ჩაურევლად აკრეფილ გადასახადებს ისინი მეურნეობის განვითარებისათვის იყენებდნენ. ასეთ პირობებში მწარმოებელი მოსახლეობაც მოშენებული ქვეყნებისაკენ გარბოდა [2].

V—VI სს. სასანურ ირანში ჩვეულებრივ მოვლენად ხდება აგრეთვე მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწების დატაცება. ვუზურგანები იტაცებენ და ისაკუთრებენ უწინარეს ყოვლისა სასოფლო თემის მიწებს. ამრიგად, კერძო მიწათმფლობელობის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენდნენ სახელმწიფო და სათემო მიწები.

მიწისმფლობელობის საფუძველზე აღზევებულ-გაძლიერებული ვუზურგანები უპირისპირდებიან ცენტრალურ ხელისუფლებას. IV ს-ში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო საბჭოს, რომელშიაც წარმოდგენილი არიან საერო და სასულიერო წარჩინებულები. IV ს-ის დამდეგს ისინი პირველად ასახელებენ მომავალ ხელმწიფეს (საინტერესოა 309 წელს შაბურ II-ის „ხელდასხმა" მანამდე, სანამ მას დედა შობდა), ხოლო V ს-ის 20-იანი წლებიდან მემკვიდრეობითი მონარქია მათ არჩევით მონარქიად გადააქციეს. მემკვიდრეობითი მონარქია აღადგინა მხოლოდ კავადმა V ს-ის დამლევს. IV ს-ის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ვუზურგანების წინააღმდეგ ბრძოლამ არა ერთი შაჰინშაჰი შეიწირა. ახლა შაჰინშაჰები იშვიათად ამთავრებენ სიცოცხლეს ბუნებრივი სიკვდილით.

ზოგიერთი ირანული საგვარეულო იმდენადაა აღზევებული, რომ ერთდროულად სხვადასხვა თანამდებობათა მატარებელია. ბაჰრამ V-ის ვეზირი მიჰრ-ნარსე ბურაზის ძის ერთი ვაჟი ქურუმი და მსაჯულია, მეორე ვასტრიოშანსალარის [3] თანამდებობის მქონე, მესამე რათაესტორანსალარი [4]. ვუზურგანები ცდილობენ თანამდებობების მემკვიდრეობით შენარჩუნებას და თავიანთ უფლებას აქემენიანთა დროინდელი წესებით ასაბუთებენ. ცენტრალური ხელისუფლება, პირიქით, მიისწრაფვის დამოკიდებული გახადოს მოხელე-ხელისუფლები. ამ ნიადაგზე მთელი ორი საუკუნის განმავლობაში მიმ-

---

[1] F. Altheim, R. Stiel. დასახ. ნაშრ., გვ. 276.

[2] იქვე.

[3] ვასტრიოშანსალარის საკითხავი იყო მიწისმოქმედებისა და სარწყავი არხების კონტროლი, სარწყავი არხებით სარგებლობა, კაშხალების და ხიდების აგება და მისთანანი. შემოსავალთან დაკავშირებული ამ ხელისუფლის მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. მით უმეტეს, რომ V ს-ში დაუმუშავებელ მიწებსაც დაედო გადასახადი, რის გამოც გადასახადების გადამხდელები იძულებული იყვნენ დაემუშავებინათ მიწის სულ ახალ-ახალი ფართობები. ვასტრიოშანსალარი კონტროლს უწევდა ხელოსნობასაც, რის გამოც მას მეორენაირად ხუტუსბედი ეწოდებოდა.

[4] Н. В. Пигулевская. Византия и Иран, გვ. 307; F. Altheim, R. Stiel. დასახ. ნაშრ., გვ. 288—269.

დინარეობს დაძაბული ბრძოლა. ვითარება ცენტრალური ხელისუფლების სასარგებლოდ შეიცვალა მხოლოდ ხოსრო I ანუშირვანის დროს.

ვუზურგანები სხვა მხრივაც ცდილობენ ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებას. საშუალო მიწისმფლობელების (აზატების) შევიწროება და ბძლავრობა თავისუფალ მეთემეებზე ემუქრება ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენ მთავარ სოციალურ ძალებს. თავის მხრივ ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს გადაარჩინოს აზატები და თავისუფალი მიწისმოქმედნი — სასანური ლაშქრის ძირითადი ბირთვი (მხედრობა) და მთავარი კონტინგენტი (თავისუფალი გლეხობა).

ბაგრამ ცვლილებები აგრარულ ურთიერთობაში ახლებურად აყენებს მიწისმფლობელების მიწისმოქმედებთან დამოკიდებულების საკითხს. ვუზურგანები მიისწრაფვიან გლეხებად გადააქციონ თავისუფალი მეთემეები. ამავე დროს ისინი თანდათან ათავისუფლებენ მონებს და სვამენ მათ თავიანთ ბიწებზე, რადგან ახლად ათვისებული მიწების მეურნეობისათვის გამოყენების პირობებში მონის შრომა რენტაბელური აღარაა. ამ მოვლენებთან უშუალოდაა დაკავშირებული საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების ქალაქიდან სოფელში გადანაცვლება. სოფელი შენდება მიწისმფლობელის ციხე-კოშკის ძირში, ხოლო თვითონ მიწისმფლობელი უშუალოდ უკავშირდება ბწარმოებელ საზოგადოებას. ყველაფერი ეს მონათმფლობელობის კრიზისის მომასწავებელი იყო.

ირანელი მიწისმოქმედი დამოკიდებული ხდება ირანელ მიწისმფლობელზე. თავისუფალი მეთემე გლეხი გახდა. მისი დაყმევების პროცესის დაწყებამ გააპირობა მძლავრი სოციალური მოძრაობანი სასანურ ირანში.

V ს-ის 80-იან წლებში ირანი ძძიმე ომებს აწარმოებდა ეფტალიტებთან (თეთრ ჰუნებთან). პეროზი (459—484) იძულებული იყო ყოველწლიური ხარკი ეძლია გამარჯვებულთათვის (ცოტა გვიან ეფტალიტებს მძევლად ჰყავდათ სასანელი უფლისწული კავადი). თეთრ ჰუნებთან ომის დროს აჯანყდნენ ქართველები, სომხები და ალბანელები ვახტანგ გორგასალის და ვაჰან მამიკონიანის მეთაურობით. ირანელებმა ეს აჯანყება ქართველი აზნაურების და სომეხი ნახარარების ღალატის წყალობით ჩააქრეს. პეროზის დროსვე ზედიზედ მიჰყვა ერთმანეთს გვალვიანი და მოუსავლიანი წლები. დამშეული მოსახლეობა უდიდეს გაჭირვებას განიცდიდა, გადასახადები კი განუხრელად იზრდებოდა. წარუმატებელმა ომებმა მკვეთრად შეუმცირა შემოსავალი ირანელ სარდლებს და მათს მეომრებს, რომლებიც დაუნდობლად ძარცვავდნენ ხოლმე დაპყრობილ ქალაქებსა და სოფლებს. ამიტომ სამხედრო არისტოკრატიამ მთელი თავისი ყურადღება საკუთარი მოსახლეობის ექსპლოატაციის გაძლიერებაზე გადაიტანა. დამშეულ მოსახლეობას კი არაფრის გადახდა არ შეეძლო. გაღატაკებულ-გაჭირვებულ გლეხს არც იმ პურის ყიდვა ბეეძლო, რომელსაც წარჩინებულები გადიდებულ ფასებში ჰყიდდნენ თავიანთი ბელლებიდან.

დამშეული მოსახლეობა სოფლებიდან გარბოდა და ქალაქებს აწყდებოდა. პეროზმა ხალხს მიმართა წერილით, სადაც ნათქვამი იყო, რომ იგი „მთელ თავის ხალხს ათავისუფლებდა ხარაჯასა, ჯიზიასა, ნაიბასა და სუხ-

რასაგან[1]. ტაბარის ცნობაში დამოწმებულ „ნაიბას“ თ. ნელდეკე თარგმნიდა როგორც საზოგადო სარგებლობისათვის გამიზნულ გამოსაღებს. თ. ნელდეკეს განმარტებას ფ. ალტჰაიმი ასწორებს და ამ ტერმინის მნიშვნელობას უკავშირებს ქალაქის მოსახლეობის გამოსაღებს, რადგან პეროზმა, მისი სიტყვით, მიმართა არა მარტო მიწისმოქმედთ, არამედ მთელ ხალხს[2]. საზოგადოდ, ფ. ალტჰაიმი იმ აზრისაა, რომ როგორც მიწაზე დაწესებულ, ისე სულად გადასახადს მხოლოდ მიწისმოქმედნი იხდიდნენ[3]. იმის გამო, რომ ტაბარის ცნობაში ნაიბა სულად გადასახადს (ჯიზიას) მოსდევს, ფ. ალტჰაიმის დაკვირვებით, პირველი მეორის შემცველი უნდა ყოფილიყო ქალაქებში[4]. და რომ ქალაქის მცხოვრებლები იხდიდნენ არა პირდაპირ გადასახადებს (ხარაჯას, ჯიზიას), არამედ არაპირდაპირ გამოსაღებებს, მაგ., ბაჟებს და მისთანებს[5].

გადასახად-გამოსაღებებს იხდიდნენ მხოლოდ მიწისმოქმედნი და ვაჭარ-ხელოსნები. პირველთა ვალდებულებაში შედიოდა აგრეთვე ბეგარა, რომლის არაბული შესატყვისი სუხრა იყო. სპ. სიტყვა „ბეგარა“, რომელიც ფართოდ გავრცელდა ამიერკავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ფეოდალურ ქვეყნებში, გულისხმობდა გლეხების მუშაობას გზების, ხიდების, სარწყავი არხების, ციხე-სიმაგრეების და სხვ. მშენებლობაში. ირანის მწარმოებელი მოსახლეობა იხდიდა აგრეთვე ნოვრუზის და მიჰრგანის დღესასწაულების აღსანიშნავ გამოსაღებებს. ეს დღესასწაულები ირანში იმთავითვე დაკავშირებული იყო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების კალენდართან.

აქოდენა გადასახადების გადახდა განსაკუთრებით ძნელი იყო მოუსავლიან წლებში. მაგრამ ირანელი მიწისმფლობელები ამას ყურადღებას არ აქცევდნენ. მწარმოებელს წელზე ფეხი უნდა დაედგა და გადასახადი მაინც გადაეხადა. ყველაფერი ეს ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა მძლავრ სოციალურ მოძრაობებსა და აჯანყებებს, რომელთაც თავზარი დასცეს ირანის გაბატონებულ კლასს V—VI საუკუნეთა მიჯნაზე.

## § 6. მაზდაკელთა აჯანყება

გარეგნულად რელიგიურ სამოსელში გამოხვეული ეს სოციალური მოძრაობანი გამოწვეული იყო ფეოდალიზაციის თანმხლები მოვლენებით. მანიქეველთა (III ს.) და მაზდაკელთა (V—VI სს.) სოციალური მოძრაობები დაკავშირებული იყვნენ ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჩასახვა-ჩამოყალიბებასთან. მაზდაკელთა მოძრაობა მიმართული იყო ფეოდალიზაციის პროცესების წინააღმდეგ[6].

---

[1] Th. Nöldeke. Geschichte der Perser und Araber zur Zeit der Sasaniden, Leiden. 1879, გვ. 122.

[2] F. Altheim, R. Stiel. დასახ. ნაშრ., გვ. 277.

[3] იქვე, გვ. 312—318.

[4] იქვე, გვ. 277.

[5] იქვე, გვ. 219—320.

[6] Б. Н. Захорнер. დასახ. ნაშრ., გვ 94.

მაზდაკელთა სოციალური მოძრაობა დაიწყო 488 წელს და გაგრძელდა 529 წლამდე[1].

მაზდაკური მოძრაობა დააჩქარა ხანგრძლივი გვალვებით და ბოუსავლიანობით გამოწვეულმა შიმშილმა, რომელსაც მასიური ეპიდემიები მოჰყვა. შიმშილსა და ეპიდემიებს (შუა საუკუნეების ჩვეულებრივ მოვლენებს დასავლეთის და აღმოსავლეთის ქვეყნებში) ხშირად თან სდევდა სოციალური მოძრაობანი, რადგან ეს სახალხო უბედურებანი უპირველეს ყოვლისა მწარმოებელ საზოგადოებას ავლებდა მუსრს.

წყაროებში აღნიშნულია „დაბალი ხალხის" უუფლებო მდგომარეობა სასანურ ირანში. აღათი სქოლასტიკოსი აღნიშნავს, რომ „ძლიერი სუსტს ჩაგრავს და სასტიკად და არაადამიანურად ეპყრობა"[2]. ამიან მარცელინის სიტყვით, ირანელ წარჩინებულთა ხელთ იყო „მონებისა და ხალხის სიცოცხლისა და სიკვდილის საქმე"[3]. მაზდეანელ ქურუმებს, მხედრებს და მოხელეებს მწარმოებელი საზოგადოება ინახავდა თავისი შრომით, სასანელი შაჰინშაჰების ბრწყინვალე კარის შენახვას და გაუთავებელ ომებს ხმარდებოდა გლეხთა ექსპლოატაციით მიღებული თანხები[4].

მძიმე გადასახადების წყალობით ნწარმოებელი საზოგადოება ირანში უკიდურეს მდგომარეობამდე იყო მიყვანილი.

სანამ გადასახადების ამკრეფი მოხელე სოფელში არ მივიდოდა. გლეხს არ შეეძლო მოემკო ყანა, გაელეწა პური, მოეწყვიტა ხეხილის ნაყოფი. გადასახადების ამკრეფი მოხელე გლეხებს საწყაოებით ადგა თავზე, ყანაში, კალოზე, ვენახში, ბოსტანში. ბოსავლის დიდი და საუკეთესო წილი მას მიჰქონდა, ცოტაოდენი კი გლეხს და მის ოჯახს გამოსაკვებად არ ჰყოფნიდა. გლეხის ხვედრი მძიმე მუშაობა, სიღატაკე და შიმშილი იყო.

მაზდაკური მოძრაობის მთავარი მამოძრავებელი ძალა გლეხობა იყო. აჯანყებული გლეხები ამტვრევდნენ მდიდართა პურის ბეღლებს, იტაცებდნენ მიწებს, საირიგაციო ნაგებობებს, წარჩინებულთა ქონებას, ხოცავდნენ გაბატონებული კლასის წარმომადგენლებს. მაზდაკური მოძრაობის დროს ბევრი ვუზურგანი დაიღუპა, ბევრმა ქონება დაკარგა, ბევრიც მეზობელ სახელმწიფოებში გაიქცა.

ამ მოძრაობას შეთაურობდა მაზდაკი, რომლის მკაფიო და გასაგებია მოძღვრებამ ფართო გავრცელება ჰპოვა ირანის პროვინციებში. ბოროტების არსებობას მაზდაკი კერძო საკუთრების ნაყოფად თვლიდა. ამიტომ იგი მოითხოვდა სოციალური და ქონებრივი თანასწორობის დამყარებას. ერთ-ერთი წყაროს მიხედვით მაზდაკი თავის მიმდევრებს ამგვარი სიტყვებით მიმართავდა: „დაე, განაწილდეს სიკეთე ადამიანთა შორის, რადგან ყველანი ღვთის მონები არიან, ყველა ადამის შვილია. დაე, ერთმა მეორეს მისცეს

---

[1] A. Christensen. L'Iran sous les Sasanides, გვ. 311—357; მისივე. Le roi Kawadh I et le communisme masdakite. 1925; Н. В. Пигулевская. Маздакитское движение, Известия АН СССР, Отд. история и философии, № 4, 1944, გვ. 171—191.

[2] დამოწმებული აქვს ა. კრისტენსენს: L'Iran sous les Sasanides, გვ. 434.

[3] იქვე. გვ. 316.

[4] იქვე, გვ. 107.

თავისი სიმდიდრე, რათა არ იყოს სიღატაკე, სიღარიბე, რომ ყველას თანაბრად ხვდეს ცხოვრების სიკეთე". სხვა წყაროში ნათქვამია: „მაზდაკმა ადამიანთა შორის საერთო გახადა მოძრავი და უძრავი ქონება, ქალები, ბონები და მხევლები, რომ არავის ზედმეტი არაფერი ჰქონოდა". ქალების ბონებთან ერთად დასახელება აიხსნება იმით, რომ ქალი ყოველგვარ უფლებას იყო მოკლებული სასანურ ირანში. ქონებისა და მონების განაწილების ბოფხოვნა კი ადასტურებს არა განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის არსებობას, არამედ ფეოდალიზმის ადრინდელ სტადიას V—VI სს. ირანში[1].

მაზდაკის მოძღვრებაში მთავარი იყო თანასწორობის იდეა[2]. ამას ერთხმად აღნიშნავენ თანამედროვე წყაროები (VI ს-ის სირიელი მემატიანე იეშუ სტილიტი, პროკოპი კესარიელი, სპარსული ფსევდოეპიგრაფი „ტანზარის წერილი") და არაბი ისტორიკოსები და მეცნიერები (ტაბარი, თაალიბი, მასუდი, აშ-შაჰრისთანი)[3]. მაზდაკის პიროვნებისა და მოძღვრების შესახებ მეტად საყურადღებო ცნობები მოიპოვება ფირდოუსის „შაჰ-ნამეში", რომელშიაც, არაბი ისტორიკოსების მსგავსად, გამოყენებულია VI ს-ის ოფიციალური ფალაური ქრონიკები.

მაზდაკი და მისი მიმდევრები ხალხს ასწავლიდნენ, რომ ბუნების ღვთაებრივი წყალობანი მიცემული აქვს ყველა ადამიანს იმისათვის, რომ იძით ერთად ისარგებლონ და თანასწორად გაინაწილონ, „რათა ერთს მეტი არ ჰქონდეს, ვიდრე სხვებს" (თაალიბი)[4]. სიძულვილი, წინააღმდეგობები, ბრძოლა აღმოცენდებიან უპირატესად მატერიალური დოვლათის ნიადაგზე, ამიტომ იგი საერთო უნდა გახდეს და ყველას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს მისით, როგორც სარგებლობენ წყლით, ცეცხლით და საძოვრებით[5]. წყალი, ცეცხლი და საძოვრები ახლაც საერთო სარგებლობაში იყო, როგორც წინათ საერთო სარგებლობაში იყო სახნავ-სათესი მიწები და სხვა ქონება. მაზდაკი ამბობდა: „აუცილებელია გამოვართვათ მდიდრებს ღარიბთათვის, რათა ქონებრივად გავათანასწოროთ ისინი"[6]. იდეალური თანასწორობას მაზდაკელები გლეხურ თემში ხედავდნენ.

მაზდაკური მოძრაობა გამოწვეული იყო იმით, რომ ფეოდალური ურთიერთობანი ირანში სულ უფრო და უფრო გამოკვეთილ სახეს იღებდა. გაფეოდალების გზაზე შემდგარი მიწისმფლობელები ავიწროვებდნენ უშუალო მწარმოებლებს, ცდილობდნენ მათს დამოკიდებულ გლეხებად გადაქცევას და მიწაზე მიმაგრებას, რასაც უკანასკნელნი სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ[7]. მაზდაკური მოძრაობა ანტიფეოდალური ხასიათის მატარებელი იყო. მაგრამ

---

[1] Б. Н. Заходер. დასახ. ნაშრ., გვ. 93.

[2] Н. В. Пигулевская. Идея равенства в учении маздакитов. Сб. „Из истории социально-политических идей", к семидесятилетию академика В. П. Волгина, М., 1955, გვ. 97—101.

[3] იქვე, გვ. 97.

[4] იქვე, გვ. 98.

[5] იქვე, გვ. 98—99.

[6] იქვე, გვ. 98.

[7] იქვე, გვ. 97.

მონათმფლობელობის არსებობის პირობებში ამ მოძრაობას მონებიც უერთდებოდნენ.

მაზდაკელთა სოციალურ მოძრაობაში მონაწილეობდნენ გლეხები, ხელოსნები, ქალაქის ღარიბები, მონები. მაზდაკს დაუკავშირდა აგრეთვე საშუალო და წვრილი მიწისმფლობელების ერთი ნაწილი, რომელთა საკუთრებას ემუქრებოდნენ მსხვილი მიწისმფლობელები და რომელთა გადარჩენით ცენტრალური ხელისუფლება დიდად იყო დაინტერესებული. გაბატონებული კლასის ეს ფენი (სპ. „აზატნი") წარმოადგენდა ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენს. აქედან გამოდიოდნენ „რაინდები"—მძიმედ შეჯავშნული მხედრები. ირანელი „დიდებულების" (სპ. „ვუზურგან") აღზევება-გაძლიერება უშუალოდ ეხებოდა ამ ფენის პოლიტიკურ და ეკონომიურ ინტერესებს.

მაზდაკელთა მოძრაობაში მკაფიო გამოხატულება ჰპოვეს ფეოდალიზაციის პროცესით შეპირობებულმა სოციალურმა წინააღმდეგობებმა. მაზდაკელებში შაჰინშაჰის ხელისუფლება გაძლიერებული ვუზურგანების დამასუსტებელ ძალას ხედავდა და, ამიტომ, მათს მოძრაობას მხოლოდ გარკვეულ დრომდე უჭერდა მხარს.

აჯანყებული გლეხების მთავარი მოთხოვნა იყო მიწისმფლობელობის არქაული ფორმების აღდგენა, თემურ წყობილებასთან უკან დაბრუნება. ამდენადვე მათი ბრძოლის მიზანი გამორიცხავდა საზოგადოების წინსვლას, მის განვითარებას. მაგრამ მაზდაკელთა დიდმა სოციალურმა მოძრაობამ, რომლის გამოძახილს თვით XII ს-ში ვნახულობთ, ძლიერად შეარყია მონათმფლობელური ირანის სახელმწიფოს საფუძვლები.

ჯერ კიდევ X ს-ის არაბულენოვანმა ისტორიკოსმა შენიშნა, რომ მაზდაკელთა მოძრაობა „მაღალთა წინააღმდეგ მიმართული დაბალთა მოძრაობა" იყო. ტაბარის ამ სიტყვებს პირველად აკად. ვ. ბარტოლდმა მიაქცია ყურადღება[1]. მაგრამ მას აუხსნელი დარჩა ამ მოძრაობის გლეხური ხასიათი.

მართალია, სპარსულ-არაბულ ტრადიციულ ცნობებში საკმაო მასალა არ მოიპოვება გლეხთა მდგომარეობის დასახასიათებლად, მაგრამ მაზდაკური მოძრაობის მასშტაბები მოწმობს, თუ რამდენად მწვავე იყო კლასობრივი ბრძოლა V—VI სს. სასანურ ირანში. საინტერესოა, რომ მაზდაკელებზე დაყრდნობით კავად I-მა (488—531) მნიშვნელოვნად შეასუსტა აღზევებულ-გაძლიერებული ვუზურგანების გავლენა. სრულიად გარკვეულ მომენტში კი იგი განუდგა მაზდაკელებს და თავის ვაჟიშვილ ხოსრო ანუშირვანთან ერთად 528 წელს სისხლში ჩააბრჩო მათი მოძრაობა.

გლეხთა ამ დიდი მოძრაობის და მრისხანე აჯანყების პირდაპირი შედეგი იყო მნიშვნელოვანი ცვლილებები ირანის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და სახელმწიფო წყობილებაში. გლეხთა აჯანყებამ ობიექტურად ხელი შეუწყო ფეოდალური ელემენტების წარმატებას, ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებას. მაზდაკურმა მოძრაობამ სპეციფიკური მიმართულება მისცა ფეოდალიზაციის პროცესს ირანში.

---

[1] В. В. Бартольд. К истории крестьянских движений в Персии, გვ. 56; შდრ А. Ю. Якубовский. Вопросы периодизации истории Средней Азии в средние века. გვ. 30.

საქმე ისაა, რომ გაქცეულ-დახოცილი მიწისმფლობელებისაგან დაცარიელებული მიწები სახელმწიფოს განკარგულებაში აღმოჩნდა. ცენტრალურმა ხელისუფლებამ ეს მიწები დაურიგა დასუსტებულ და დაღარიბებულ წარჩინებულებს, რამაც უკანასკნელნი მსახურეულ წოდებად გადააქცია და, პიროობითი მიწისმფლობელობის ნიადაგზე, განაპირობა მათი ცენტრალურ ხელისუფლებაზე ფეოდალური დამოკიდებულება. ამავე დროს ცენტრალური ხელისუფლება იძულებული იყო ცოტა რამ დაეთმო გლეხთათვის და მოეწესრიგებინა გადასახადები, რათა ამით უზრუნველეყო განადგურებული სოფლის მეურნეობის აღდგენა და მისი განვითარება.

მაზდაკური მოძრაობის ლიკვიდაციამ მოითხოვა „რეფორმების" საჭიროება. „რეფორმების" გატარებას იწყებს კავად I, მაგრამ ახორციელებს მას ხოსრო I ანუშირვანი.

## § 6. ხოსრო ანუშირვანის „რეფორმები"

ხოსრო I-მა განახორციელა სამხედრო, ადმინისტრაციული და საგადასახადო რეფორმები.

სამხედრო რეფორმა ითვალისწინებდა შაჰინშაჰის ხელისუფლებაზე დამოკიდებული ლაშქრის შექმნას, რისთვისაც ხოსრომ საშუალო მიწისმფლობელები აღჭურვა იარაღით და მისცა ცხენები[1]. საზოგადოდ, სასანელი შაჰინშაჰები მიისწრაფოდნენ შეექმნათ ჯარი, რომლის შემადგენლობაში ძირითადად საშუალო მიწისმფლობელები და თავისუფალი გლეხები უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილი[2].

სამხედრო რეფორმის შედეგად გაუქმდა ირანის ისპაჰბედის (მთავარსარდლის) თანამდებობა. სამხედრო ხელისუფლება ოთხ ისპაჰბედს შორის განაწილდა. ჯერ კიდევ კავად I-ის დროს მარზპანებს მოესპოთ სამოქალაქო მართვა-გამგეობის უფლება. სამოქალაქო საქმეები ფადგოსპანებს გადაეცათ. მარზპანებმა შეინარჩუნეს მხოლოდ სამხედრო ხელისუფლება. სასანური ირანის ახალი სამხედრო-ადმინისტრაციული სისტემა ბიზანტიის თემური ორგანიზაციის ნიმუშად იქცა[3].

ხოსრო I-ის დროს 18 ოლქის მაგიერ ირანში შეიქმნა 4 ოლქი: 1. ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს (ხორასანი), 2. ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს (სომხეთი და აზერბაიჯანი)[4], 3. დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს (ჰამადანი და ერაყი), 4. ს ა მ ხ რ ე თ ი ს (ქერმანი და ხუზისტანი).

ოთხი მთავარი მარზპანი ამიერიდან ატარებდა მეფის (შაჰის) წოდებულებას. სამაგიეროდ ადგილობრივი მეფეები (შაჰრდარები), რომელნიც

---

[1] A. Christenson. L'Empir des Sasanides, გვ. 57.

[2] Н. В. Пигулевская. К вопросу о податной реформе Хосроя Ануширвана, ВДИ, 1937, № 1, გვ. 153.

[3] იქვე, გვ. 145.

[4] არაბებმა მთლიანად გადაიღეს ირანელთა ადმინისტრაციული დანაწევრება. ამით აიხსნება, რომ არაბ მწერალთა თხზულებებში ქართლი (ჯურზანი) მოთავსებულია არმენიის პროვინციაში.

IV—V სს. დამოუკიდებლად განაგებდნენ თავიანთ სამეფოებს და საკუთარი სარდლობით გამოჰყავდათ ლაშქარი, აღარ ჩანან[1]. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ლაჰმიდების არაბული სამეფო[2], რომელსაც, სრულიად გარკვეული მოსაზრებით, სასანელი შაჰინშაჰები უპირისპირებდნენ ბიზანტიის მფარველობაში მყოფ ჰასანიდების არაბულ სამეფოს[3].

აღსანიშნავია, რომ კავადის და ხოსროს რეფორმების შემდეგ მობედან მობედი კარგავს ოდინდელ პირველობას და იხსენიება მხოლოდ მთელ რიგ საერო ხელისუფალთა შემდეგ. მაზდეანური სარწმუნოების ქურუმთა პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა VI ს-ში მნიშვნელოვნად შერყეული ჩანს.

სამაგიეროდ წამოიწია სამოქალაქო ბიუროკრატიამ, რომელიც ფაქტიურად ახალ წოდებად იქცა. ამასთან დაკავშირებით გაძლიერდა ვეზირი (ბოზორგფრამადარი). თვალსაჩინოდ გაიზარდა ვეზირის სახელისუფლოს როლი სახელმწიფოში. ვეზირს ემორჩილებოდნენ სახელმწიფო სამდივანმწიგნობროსა და საფინანსო დაწესებულებებში მოღვაწე მწერლები (დაბირები). ვეზირი ბოზორგმიჰრი (არაბული წყაროების ბოზორჯმიჰრი) ხოსრო I-ის მარჯვენა ხელი, რეფორმების ენერგიული გამტარებელი და სახელმწიფოს მშენებლობის აქტიური მონაწილე იყო.

ყველა ამასთან ერთად ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებული გახდნენ დაზარალებული და დაღარიბებული წარჩინებულები იმით, რომ მათ სახელმწიფოსაგან მიიღეს მაზდაკური მოძრაობის დროს პატრონებისაგან დაცარიელებული მიწები.

ხოსრო I-ის რეფორმების შემდეგ შეიცვალა აგრეთვე ვაჭრების და ხელოსნების მდგომარეობა სასანური ირანის ქალაქებში.

ამრიგად, მაზდაკური მოძრაობის პირდაპირი შედეგი იყო სოციალური რიგის გადაჯგუფებანი ირანის საზოგადოებაში.

მაზდაკური მოძრაობის შედეგებით ფაქტიურად საშუალო მიწისმფლობელებმა ისარგებლეს. სამხედრო რეფორმა სწორედ მათ გაძლიერებას ისახავდა მიზნად.

„ახატნი“ ხოსრომ მსახურეულ წოდებად აქცია, გაუჩინა ჯამაგირი და დაუკავშირა სანეფო კარს. ასე წარმოიშვა დ ე ჰ ყ ა ნ თ ა კ ლ ა ს ი, რომელიც უკვე VI ს-ში მკაფიოდ გამოკვეთილი ფეოდალური ნიშნების მატარებელი იყო.

აკად. ვ. ბარტოლდმა VI ს-ის პირველ ნახევარს მიაკუთვნა ტაბარის მიერ ლეგენდარული მეფის მანუჩარის დროსთან დაკავშირებული დეჰყანთა კლასის წარმოშობა. აკად. ვ. ბარტოლდის მიერ მოტანილ ტაბარის ცნობაში ნათქვამია: „[მანუჩარმა] სათავე დაუდო დეჰყანობას, ყოველ სოფელს დეჰყანი დაუნიშნა, სოფლის მცხოვრებნი მის მსახურებად და მონებად აქცია და ძორჩილება უბრძანა[4].

ამ დროიდან მოყოლებული გლეხები დეჰყანებზე დამოკიდებული ხდე-

---

[1] Н. В. Пигулевская. Византия и Иран, გვ. 208.

[2] იქვე.

[3] სასანელი შაჰინშაჰების ცენტრალისტურ პოლიტიკასთან უშუალოდ დაკავშირებული ჩანს მეფობის გაუქმება ქართლში 523 წელს.

[4] В. В. Бартольд. დასახ. ნაშრ., გვ. 55.

ბიან და მათს კონტროლს ექვემდებარებიან[1]. დეჰყანები (ირანელი და შუაზიელი ფეოდალები) ამიერიდან კიდევ უფრო აძლიერებენ ძალადობას გლეხების მიმართ, ხოლო ჩამოყალიბების პროცესში მყოფი მიწის ფეოდალური საკუთრება (დეჰყანური მიწისმფლობელობა) ფეოდალური წყობილების საფუძველი ხდება.

სამხედრო-ადმინისტრაციული რეფორმა შესაძლებელი იყო მხოლოდ საგადასახადო რეფორმასთან კავშირში[2]. ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებული მძიმედ შეჯავშნული მხედრობის შენახვა აუცილებლივ მოითხოვდა სახელმწიფო ხაზინის შემოსავლის გაზრდას გადასახადების მოწესრიგების გზით. საგადასახადო რეფორმაც ძირითადად საშუალო მიწისმფლობელის გაძლიერებას ისახავდა მიზნად[3]. ამავე დროს, გადასახადების მოწესრიგებას სოფლის მეურნეობით უნდა დაეინტერესებინა გლეხობა. ახალ საგადასახადო სისტემას ერთის მხრივ უნდა უზრუნველეყო მწარმოებელი საზოგადოების ექსპლოატაცია, ხოლო მეორეს მხრივ კი შეექმნა სტიმული გლეხისათვის სოფლის მეურნეობის განსავითარებლად.

მკვლევართა დაკვირვებით (ნ. პიგულევსკაია, ი. სოლოდუხო) მიწაზე დაწესებული გადასახადის ნიმუშად ბიზანტიური საგადასახადო სისტემა იყო მიღებული.

უკვე კავად I-ის მეფობის დასასრულს გაიზომა მთები და ველები მიწაზე დაწესებული გადასახადის ოდენობის განსაზღვრის მიზნით. მის დროს დაწყებული საკადასტრო სამუშაოები დაამთავრა მისმა მემკვიდრემ. ხოსრო I ანუშირვანის დროს მთელი მიწები და მოსახლეობა („თითოეული თავი") აღწერილი იყო. გადასახადებს კრეფდნენ წელიწადში ორჯერ მტკიცედ დადგენილი წესის მიხედვით.

ხოსრო I-ის საგადასახადო რეფორმამდე მიწაზე დაწესებული გადასახადის აკრეფა წარმოებდა პრიმიტიული წესით. გადასახადს იღებდნენ ნატურით — მოსავლის 1/3, 1/4, 1/5, და 1/6-ის რაოდენობით[4]. ახლა ყველაფერი აღწერილ-დაბეგრილი იყო მიწის ნაყოფიერების გათვალისწინებით ან ქალაქთან სიახლოვის ნიშნის მიხედვით. დაწესდა ფულადი გადასახადი მიწის ფართობის ყოველ ერთ ღერიბზე (2.400 კვად. მეტრი)[5]. ამის მიხედვით

---

[1] А. Ю. Якубовский. დასახ. ნაშრ., გვ. 30.

[2] „Проведение военной реформы было возможно лишь в связи с податной реформой. Последняя была направлена на получение необходимых средств для пополнения казны в случае войны. Она также была опорой и для создания независимых от крупной родовой знати отрядов, содержание которых требовало запасов хлеба и фуража". Н. В. Пигулевская. К вопросу о податной реформе Хосроя Ануширвана, გვ. 145.

[3] Н. В. Пигулевская. დასახ. ნაშრ., გვ. 146.

[4] იქვე.

[5] ახალი საგადასახადო სისტემის ნაკლოვანი მხარე თანამედროვეებს, ჩანს, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. ერთ-ერთმა დაბირმა (მწერალმა) ხოსროს განუცხადა, რომ ბუნებრივი პირობების ცვალებადობის გამო გადასახადის თანხა უცვლელი ვერ დარჩებოდა, რადგან შეიძლება დაშრეს აოხი, დაიშრიტოს წყარო, ხოლო ვენახმა ნაყოფი არ გამოიღოსო. ამაზე, ტაბარის მიხედვით, ხოსროს უთქვამს, რომ კადასტრი ყოველწლიურად იქნებოდა განახლებული და გადასინჯული (იქვე, გვ. 147).

განისაზღვრა გადასახადი ხორბალზე, ქერზე, ბრინჯზე, იონჯაზე, ინდისურმაზე, პალმებზე, ზეთისხილზე, ვენახზე. დაიბეგრა ყველა ჯგუფურად მდგარი ხეხილი. დაბეგრილი არ იყო მხოლოდ ცალკე მდგარი ხე. დასაბეგრად ჩამოთვლილ მცენარეთა მრავალფეროვნებამ ნ. პიგულევსკაიას საბაბი მისცა აღენიშნა, რომ სახელმწიფო, გარდა ფულადი გადასახადისა, დაინტერესებული იყო მიეღო აგრეთვე ნატურით გადასახადი ყველა სახეობის მცენარიდან, რომლითაც მინდორი იყო დათესილი[1]. მაგრამ ფულად გადასახადს, როგორც ჩანს, მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა.

თვითეულ ღერიბ მიწაზე, ტაბარის ცნობების მიხედვით, დაწესდა 1 დირჰემი, ვენახზე 8 დირჰემი. სულადი გადასახადი, იმის მიხედვით თუ ვინ რა ქონების პატრონი იყო, განისაზღვრა 12, 8, 6 ან 4 დირჰემის რაოდენობით. სულად გადასახადს იხდიდა ყველა მამაკაცი 20-დან 50 წლამდე. ამ გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ მხოლოდ დიდგვაროვანნი, წარჩინებულნი, ქურუმები, სახელმწიფო მოხელეები, მწერლები და ლაშქრის ნეომრები.

მიწაზე დაწესებულ გადასახადს ეწოდებოდა „ხარაგ“, სულად გადასახადს „ჯეზით“[2]. არაბულში ეს ტერმინები დამკვიდრდა „ხარაჯას“ და „ჯიზიათის“ სახით. არაბებმა მთლიანად გადაიღეს სასანური ირანის საგადასახადო სისტემა.

„ხარაგიდან“ არის ნაწარმოები ქართული „ხარკი“. ეს სიტყვა ქართულში უშუალოდ სასანური ირანიდან არის შემოსული.

ხოსრო I ანუშირვანის რეფორმები გამოწვეული იყო ირანის საზოგადოებრივი და ეკონომიური განვითარებით.

ნ. პიგულევსკაია მართებულად მიუთითებს, რომ ხოსრო I-ის რეფორმები ასახავდა საზოგადოების სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს, ცვლილებებს, რომელთაც შეიძლება ფეოდალიზაცია ვუწოდოთ[3].

საწარმოო ძალების განუხრელი განვითარება ვეღარ უთავსდებოდა ძველს წარმოებითს ურთიერთობას, მოითხოვდა მონათმფლობელური ექსპლოატაციის წესიდან ფეოდალური ექსპლოატაციის წესზე გადასვლას. დამახასიათებელია, რომ მიწისმფლობელებს საკუთრივ ირანელი მონები („ბანდაქ“) თანდათან დამოკიდებულების ახალ ფორმაზე გადაჰყავთ და მეურნეობაში

---

[1] Н. В. Пигулевская. დასახ. ნაშრ., გვ. 147.

[2] ბაბილონურ თალმუდში მიწაზე დაწესებულ გადასახადს ეწოდება tasqa, სულად გადასახადს karaga ან keraga. ჯერ კიდევ ნელდეკე განცვიფრებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ თალმუდში „châräga“ სულად გადასახადს ნიშნავს (Th. Nöldeke. Geschichte der Perser und Araber zur Zeit der Sasaniden, გვ. 241, შენ. 1). როგორც ჩანს, „ხარაგ-ხარაჯამ“ გვიან მიიღო მიწაზე დაწესებული გადასახადის მნიშვნელობა. დაწვრილებით იხ. Ю. А. Солодухо. Подати и повинности в Иране в III—V вв., СВ, V, 1948, გვ. 56—57. Н. В. Пигулевская. Византия и Иран, გვ. 224—225.

[3] Н. В. Пигулевская. Проблемы распада рабовладельческого общества и формирования феодальных отношений на Ближнем Востоке. „Вопросы истории“, 1953, № 3. გვ. 56.

ᲛᲝᲜᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲢᲧᲕᲔᲓᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲔᲑᲡ, ᲣᲪᲮᲝ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲔᲑᲡ („ᲐᲜᲨᲐᲰᲠ“) ᲣᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲔᲜ.[1]

ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲛᲙᲐᲤᲘᲝᲓᲐᲐ ᲐᲦᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲜᲣᲠᲘ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲙᲝᲓᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ VI—VII ᲡᲡ. ᲛᲘᲯᲜᲐᲖᲔ ᲛᲝᲮᲓᲐ[2]. ᲛᲝᲜᲐᲗᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲡ ᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲡ 1/10, 1/9, 1/8-ᲘᲗ ᲓᲐ Ა. Ш. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓᲐᲪ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲣᲪᲘᲚᲝᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲔᲥᲡᲞᲚᲝᲐᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲤᲝᲠᲛᲐᲡ. ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲐᲜ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲔᲑᲨᲘ. ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲓ ᲛᲝᲜᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲚᲘᲥᲕᲘᲓᲐᲪᲘᲐ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲕᲘᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲡ ᲒᲕᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲝᲗ, ᲠᲝᲛ III—V ᲡᲡ. ᲡᲐᲡᲐᲜᲣᲠᲘ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲮᲘᲚᲝᲗ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲜᲐᲗᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲘᲖᲛᲨᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ.

## § 7. ᲡᲐᲡᲐᲜᲣᲠᲘ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲮᲚᲝᲑᲐ-ᲒᲐᲓᲐᲨᲔᲜᲔᲑᲐ

ᲛᲐᲖᲓᲐᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲩᲐᲮᲨᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲐᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲐ ᲘᲠᲐᲜᲨᲘ ᲛᲬᲕᲐᲕᲔ ᲙᲚᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ. 551 ᲬᲔᲚᲡ ᲮᲣᲖᲘᲡᲢᲐᲜᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐᲪ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲐᲜᲡ ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲗᲐᲜ[3]. ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲝᲑᲡ ᲮᲝᲡᲠᲝ I ᲐᲜᲣᲨᲘᲠᲕᲐᲜᲘᲡ ᲕᲐᲟᲘ ᲐᲜᲝᲨᲖᲐᲓᲘ. ᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲔᲜᲔᲑᲘ[4]. ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐᲨᲘ „ᲠᲐᲘᲜᲓᲔᲑᲗᲐᲜ“ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲘᲝᲑᲔᲜ ᲭᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲭᲐᲠ-ᲮᲔᲚᲝᲡᲜᲔᲑᲘ (ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲐᲓ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲔᲑᲘ[5]). ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲮᲝᲡᲠᲝ I ᲐᲜᲣᲨᲘᲠᲕᲐᲜᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ ᲛᲝᲔᲚᲘᲗ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲘᲡ ᲘᲛ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲗ, ᲕᲘᲜᲪ „ᲠᲐᲘᲜᲓᲔᲑᲘᲡ“ ᲐᲜ ᲛᲐᲠᲬᲞᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲠᲔᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲐᲜ[6].

ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ ᲮᲣᲖᲘᲡᲢᲐᲜᲨᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲮᲝᲡᲠᲝ I ᲐᲜᲣᲨᲘᲠᲕᲐᲜᲘᲡ „ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ“ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ. ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ VI Ს-ᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲡ ᲘᲠᲐᲜᲨᲘ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, ᲨᲐᲰᲠᲐᲛ ᲩᲝᲑᲘᲜᲘᲡ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ, ᲪᲮᲐᲓᲧᲝᲤᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ „ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲛᲐ“ ᲕᲔᲠ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲰᲧᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ.

ᲛᲝᲜᲐᲗᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲣᲠ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲝᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲓᲐᲞᲧᲠᲝᲑᲘᲗ ᲝᲛᲔᲑᲨᲘ ᲮᲔᲓᲐᲕᲓᲐ. 532 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣ-

---

[1] Н. В. Пигулевская. დასახ. ნაშრ., გვ. 56.

[2] S. Bulsara. The Laws of the Ancient Persians as found in the Mâtîkan é Hazâr Dâtastân, Bombay, 1937. (სამართლის ეს წიგნი თბილისში არ მოიპოვება. ვსარგებლობთ ნ. პიგულევსკაიას, მ. დიაკონოვის და ს. ერემიანის ზოგადი ხასიათის დაკვირვებებით).

[3] Н. В. Пигулевская. Восстание в Хузистане при Хосрове I. Краткие сообщения ИВ АН, IV, 1952, გვ. 3—10.

[4] იქვე, გვ. 7—8.

[5] იქვე, გვ. 7—10.

[6] იქვე, გვ. 7.

კუნო ზავი ხოსრო ანუშირვანმა რეფორმებისათვის გამოიყენა. 542 წელს კი ბიზანტიასთან ომი განაახლა. ირან-ბიზანტიის ეს ახალი ომი, რომლის ერთ-ერთი მთავარი ასპარეზი ლაზიკა იყო, VI ს-ის მეორე ნახევარშიც გაგრძელდა. მრავალწლოვანმა ომმა მნიშვნელოვნად დაასუსტა როგორც ბიზანტია, ისე ირანი. ომში მოპოვებული ალაფითა და ნადავლით ცენტრალურ ხელისუფლებას მხოლოდ დროებით შეეძლო წარჩინებულთა შეკავება, მაგრამ ომში წარმატებას წარუმატებლობაც მოსდევდა და სწრაფად იშრიტებოდა ალაფისა და ნადავლის წყაროები. VI ს-ის 60-იან წლებში ბიზანტიის მოკავშირე თურქებმა მედგრად შემოუტიეს ირანის სამფლობელოებს აღმოსავლეთში. ასეთ პირობებში წარჩინებულები ისევ მკვეთრად დაუპირისპირდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას.

ყველა ამასთან ერთად VI ს-ის მეორე ნახევრის ირანში თავი იჩინეს ეკონომიური დაქვეითების ნიშნებმა. აბრეშუმის ჭიის გავრცელებამ ბიზანტიაში და ადგილობრივი აბრეშუმის დამზადებამ (იმპერატორ იუსტინიანეს დროს) ირანს აბრეშუმით ვაჭრობის მონოპოლია მოუსპო. ოდინდელი მნიშვნელობა დაჰკარგა სავაჭრო-სატრანზიტო გზამ, რომლის გასწვრივ მრავლად იყო აბრეშუმის ვაჭრობით დაწინაურებული და გამდიდრებული ქალაქები. სახელმწიფოს უდიდესი შემოსავალი მოაკლდა, ხოლო მისი დასუსტების ხარჯზე ირანელი წარჩინებულები გაძლიერდნენ.

მიწების კონცენტრაციამ დეჰყანების ხელთ, სასოფლო თემის მიწების დატაცებამ და თავისუფალი გლეხების (ირანის ლაშქრის ბირითადი კონტინგენტის) დამოკიდებულების გაძლიერებამ მიწისმფლობელებზე, მონების მიწაზე დასმამ და კოლონებად გადაყვანამ მათი თანდათანი განთავისუფლების გზით გასაქანი მისცა ფეოდალურ ძალებს, კვლავინდებურად გააძლიერა გაფეოდალებულ წარჩინებულთა განკერძოებისაკენ მისწრაფება. ეს იყო სასანური ირანის მოსპობა-გადაშენების ერთი მთავარი მიზეზთაგანი.

თემის რღვევა და თავისუფალი მეთემეების დეჰყანებზე ფეოდალური დამოკიდებულების გაძლიერება ქვეყანას ფეოდალიზაციისაკენ მიაქანებს. მაგრამ თემის რღვევის თავისებურება სასანურ ირანში ფეოდალიზაციის პროცესს სპეციფიკურ აღმოსავლურ ნიშნებს ანიჭებს.

საყურადღებოა: ირანის სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონეს VI ს-ში აღარ შეეფერებოდა მაზდეანური სარწმუნოება, როგორც იდეოლოგია. იგი სულ სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნაყოფი იყო.

შემთხვევით არ აიხსნება, რომ VI—VII სს. ზარათუშტრას სარწმუნოება ოდინდელი მნიშვნელობით აღარ სარგებლობს, თუმცა მაზდეანელი ქურუმები ყველა საშუალებით ცდილობენ მის გადარჩენას. მონათმფლობელური საზოგადოების კრიზისთან ერთად ირანში იწყება მაზდეანური სარწმუნოების კრიზისი. მანიქეველთა მოძრაობა III ს-ის ირანში ამის მკაფიო მოწმობას წარმოადგენს.

VI—VII სს-ში ახლებურად დადგა ქრისტიანულ სარწმუნოებასთან დამოკიდებულების საკითხი აგრეთვე სასანური ირანის საგარეო პოლიტიკაში. მაზდეანობის იძულებით გავრცელების მარცხმა ირან-რომის საცილობელ ქვეყნებში (ქართლში, სომხეთში, ალბანეთში) ირანის მთავრობა აიძულა

ახალ რელიგიურ პოლიტიკას დასდგომოდა. კეისრის სარწმუნოებას (მართლ-მადიდებლობას) ირანის მთავრობამ დაუპირისპირა ქრისტიანული „ერესები“ (ნესტორიანობა, არიანობა, იაკობიტობა და სხვ.). ნესტორიანთა ქრისტიანული ეკლესია ირანში კეისრის ბუნებრივი მოკავშირე სრულიადაც არ იყო ამავე დროს, მონოფიზიტების და დიოფიზიტების ბრძოლა იქცა ირანის მთავრობის მარჯვე პოლიტიკურ იარაღად ბიზანტიასთან მეტოქეობაში.

VI ს-ში ნესტორიანთა ქრისტიანული ეკლესია მაზდეანობის საშიშარი მეტოქე აღმოჩნდა[1]. ირანული ქალაქების მოსახლეობის (ვაჭარ-ხელოსნების) დიდს უმეტესობას ქრისტიანები შეადგენდნენ. სასანელი შაჰინშაჰები საჭირო ანგარიშს უწევდნენ ქალაქების ქრისტიანული მოსახლეობის ეკონომიურ მდგომარეობას, მათს როლს მსოფლიო ვაჭრობაში. ჰორმიზდ IV (579—590) აღნიშნავდა, რომ ქრისტიანული სარწმუნოება სახელმწიფოს ისეთივე დასაყრდენია, როგორც მაზდეანური სარწმუნოება[2]. ხოსრო II-ის (590—628) კარზე ტრაპეზის კურთხევა ქრისტიანთა პატრიარქის უფლებას შეადგენდა[3]. გასაგებია, რომ მაზდეანური სარწმუნოების ქურუმები რეაქციული ძალების დამმრაზმველთა როლში გამოდიან. მაგრამ მათ მხოლოდ ის შესძლეს, რომ გამოცემული კანონით აიკრძალა მაზდეანელთა ქრისტიანულ სარწმუნოებაში გადასვლა. თავისთავად ასეთი კანონის გამოცემა ადასტურებდა ქრისტიანობის გავლენის ზრდას და მაზდეანობის გავლენის შემცირებას. ავესტას რედაქცია ხოსრო II-ის დროს[4] მაზდეანური სარწმუნოების კრიზისის აშკარა მოწმობაა.

ირანის საზოგადოებრივი და ეკონომიური განვითარება გზას უკაფავდა მონოთეიზმს. მაგრამ ის, რაც ირანში ქრისტიანობამ დათესა, მოიმკო ისლამმა[5]. ირანის ფეოდალიზმის იდეოლოგიად იქცა ისლამი. ოღონდ არაბული რელიგია ირანმა მისთვის მისაღებ ფორმაში მიიღო. სპარსელებმა ისლამი გაასპარსულეს.

შიას სარწმუნოების დამახასიათებელი მონარქიული იდეა, ზარათუშტრას სარწმუნოების ელემენტები, ალის გაღვთაებრივება და მისი ჩამომავლების სასანურ დინასტიასთან ნათესაური ურთიერთობით დაკავშირება მნიშვნელოვნად ასხვავებდა სპარსულ ისლამს არაბული რელიგიისაგან და, საზოგადოდ, მართლმადიდებლური ისლამისაგან (სუნნას სარწმუნოება).

VI—VII საუკუნეთა მიჯნაზე მძაფრდება ჭიდილი ქრისტიანობასა და მაზდეანობას შორის.

სასანური ირანის ისტორიის ეს ხანა აღინიშნა მეტად რთული საშინაო და საგარეო ხასიათის მოვლენებით.

VII ს-ის მეორე ნახევარში კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო კლასობრივმა ბრძოლამ სასანურ ირანში. ჩანს, გაფეოდალებული ირანელი

---

[1] Н. В. Пигулевская. Мар Аба I (К истории культуры VI в.), СВ, V, გვ. 73—84.

[2] Н. В. Пигулевская. Византия и Иран, გვ. 85—86, 235.

[3] იქვე, გვ. 235.

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 248.

წარჩინებულები განუხრელად ახორციელებენ სათემო მიწების დატაცებას, გლეხთა ფეოდალურ დამორჩილებას. ისინი ახალი ძალით ანახლებენ ბრძოლას ცენტრალური ხელისუფლების შესუსტების მიზნით. თავის მხრივ სახელმწიფო ცდილობს გადაარჩინოს თავისუფალ გლეხთა ფენი, რომლისაგანაც შედგება ირანის ლაშქრის ძირითადი მასა. მართალია, შაჰინშაჰები ცდილობენ უზრუნველჰყონ წარჩინებულთა ფეოდალური დამოკიდებულება ცენტრალურ ხელისუფლებაზე, მაგრამ მსხვილი მიწისმფლობელების კლასობრივი ინტერესები მოითხოვს ახალ პოლიტიკურ ორგანიზაციას (ფეოდალურს), ძველის საბოლოო ლიკვიდაციას. სასანური ირანის სახელმწიფო მხოლოდ ამ მიმართულებით შეიძლება განვითარდეს.

ბრძოლა შაჰინშაჰის ხელისუფლებასა და აღზევებულ-გაძლიერებულ ფეოდალებს შორის სასტიკი და დაუნდობელია. ჰორმიზდ IV-მ სიკვდილით დაასჯევინა 13.000 საერო და საეკლესიო წარჩინებული. საპყრობილეში გამოჭკეტა ბევრი მათგანი. ბევრსაც ქონება და მიწა ჩამოართვა. სამაგიეროდ, აღნიშნავენ წყაროები, ლმობიერი იყო იგი „დაბალი ხალხის“ მიმართ [1]. წყაროთა ეს ჩვენებანი ფეოდალიზაციის გაძლიერებული პროცესის მკაფიო ილუსტრაციებს წარმოადგენენ.

ჰორმიზდ IV-ის პოლიტიკის საწინააღმდეგო რეაქცია იყო ბაჰრამ ჩობინის აჯანყება (590 წ.). ეს აჯანყება, რომლის მეთაური ისპაჰბედი ხელმწიფობის მიტაცებას ცდილობს, თავისი ხასიათით და შინაარსით სრულიად ახალი მოვლენაა სასანური ირანის სინამდვილეში და, ამდენადვე, ერთ-ერთი საინტერესო ფურცელი მის ისტორიაში.

ირანელ წარჩინებულთა დიდი უმეტესობა დაუყოვნებლივ შეუერთდა აჯანყებულ ბაჰრამ ჩობინს. დინასტია გადაარჩინა მხოლოდ წარჩინებულთა შორის პირველობისათვის ბრძოლამ. ბაჰრამ ჩობინის მეტოქეებმა კტეზიფონში საპყრობილიდან გაათავისუფლეს ირანელი დიდკაცები, შეიკრნენ სასახლეში, ტახტიდან გადააყენეს ჰორმიზდ IV და თვალები დათხარეს მას. მის მაგიერ შეთქმულებმა ტახტზე დასვეს მისივე ვაჟიშვილი ხოსრო II. მაგრამ გადამწყვეტ ბრძოლაში გაიმარჯვეს ბაჰრამ ჩობინის მომხრეებმა. ხოსრო II ფარვიზი ბიზანტიაში გაიქცა. მალე მან მავრიკე კეისრის დახმარებით უკან დაიბრუნა ტახტი. სამაგიეროდ კეისარს „დაუთმო“ მთელი ამიერკავკასია და მესოპოტამიის ქალაქები. მაგრამ VII ს-ის დამდეგს ბიზანტიაში გამეორდა ის, რაც ათი წლით ადრე მოხდა ირანში. მავრიკე კეისრის წინააღმდეგ მოეწყო შეთქმულება ფოკას მეთაურობით.

მონათმფლობელობის კრიზისმა ბიზანტიაშიც დაძაბული გახადა სოციალური წინააღმდეგობანი და უკიდურესად გაამწვავა კლასობრივი ბრძოლა. მოვლენების განვითარებამ პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივა ცენტურიონი ფოკა. მავრიკე კეისრის მკვლელობა და ფოკას იმპერატორად გახდომა ხოსრო II-მ გამოიყენა ბიზანტიასთან ომის განახლების საბაბად. ნამდვილად, შურისმგებლის როლში გამოსული ხოსრო II კარგა ხანი იყო უცდიდა მარჯვე მომენტს. მას ბიზანტიასთან ომი სჭირდებოდა

[1] Н. В Пигулевская. დასახ. ნაშრ., გვ. 85.

იმისთვისაც, რომ ირანელ წარჩინებულთა ყურადღება საგარეო დაპყრობით ომებზე გადაეტანა. დაიწყო ირან-ბიზანტიის ომების ახალი დიდი ციკლი. ბიზანტიასთან ახალ ომში ხოსრო II-მ ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა. მის დროს სასანელთა სახელმწიფომ თითქმის აქემენიანთა ირანის პოლიტიკურ ფარგლებს მიაღწია. მაგრამ ამ თავბრუდამხვევ წარმატებებს ოდნავადაც არ შეუნელებია შინაგანი წინააღმდეგობები ირანში. ეს ცხადჰყო გამარჯვების სასწორის გადახრამ ბიზანტიის მხარეზე. ჰერაკლე კეისარმა მოკავშირე ხაზარებთან ერთად მედგრად შეუტია ირანს და საქართველოს ტერიტორიაზე გავლით, მის შუაგულ პროვინციებში შეიჭრა. ბიზანტიის ჯარი დაპყრობით დაემუქრა კტეზიფონს. ირანელმა წარჩინებულებმა ხოსრო II ფარვიზი საპყრობილეში გამოჰკეტეს და შიმშილით სიკვდილი გადაუწყვიტეს.

სასანური ირანი ანარქიამ მოიცვა. 628—632 წლებში ირანელი წარჩინებულები თავიანთი ნებასურვილის მიხედვით ზედიზედ ცვლიან ხელმწიფეებს. ახლა ხელმწიფეებად ხდებიან აგრეთვე უფლისწული ქალები. სახელმწიფოს „სიძედ“ გახდომის სურვილი კიდევ უფრო აძლიერებს შინაკლასობრივ ბრძოლას. ერთგვარად სტაბილური მდგომარეობა ირანში შეიქმნა მხოლოდ 632 წლისათვის, როცა იეზდიგერდ III გახელმწიფდა. ამავე წელს წარმოიშვა არაბთა სახალიფოც.

ბიზანტია და ირანი მრავალწლოვანი ომებიდან უკიდურესად დასუსტებული გამოვიდნენ. ამით ისარგებლა მანამდე უჩინარმა არაბობამ. მათი შემოსევები ბიზანტიის და ირანის ექსპლოატირებულმა სოციალურმა ფენებმა კლასობრივი თვალსაზრისით შეაფასეს. არაბებმა ადვილად დაიპყრეს ირანი (მთლიანად) და ბიზანტიის აღმოსავლური პროვინციები (პალესტინა, სირია, ეგვიპტე). ისინი აგრეთვე გამოჩნდნენ ამიერკავკასიაში და შუა აზიის საზღვრებზე.

მახლობელ აღმოსავლეთში დაიწყო არაბთა ბატონობის ხანა.

---

## II. მახლობელი აღმოსავლეთი ადრეფეოდალურ ხანაში

### 1. არაბთა სახალიფო

სასანურ ირანში დაწყებული ფეოდალიზაციის პროცესი გაგრძელდა არაბთა სახალიფოში. ადრეფეოდალური სახელმწიფო მახლობელ აღმოსავლეთში ფაქტიურად აბასელთა სახალიფოს სახით ჩამოყალიბდა.

#### § 1. არაბები

არაბები დაპყრობილ კულტურულ ხალხებთან შედარებით საზოგადოებრივი განვითარების დაბალ საფეხურზე იმყოფებოდნენ. მაგრამ იქ სადაც ისინი ადრევე გადავიდნენ ბინადარ ცხოვრებაზე და ხელი მოჰკიდეს მიწისმოქმედებას შეიქმნა საკმაოდ განვითარებული პოლიტიკური ორგანიზმები.

VII საუკუნისათვის არაბთათვის დამახასიათებელი იყო მრავალწყობიანი საზოგადოებრივი ურთიერთობანი. ზოგან მონათმფლობელობა კარგა ხნის წინათ იყო გაბატონებული (სამხრეთ არაბეთში), ზოგან გვაროვნული წყობილება ახლად იყო დაშლილი და მომხდარი კლასობრივი დიფერენციაცია ფეოდალიზაციისაკენ ამყლავნებდა მიდრეკილებას (ჩრდილოეთ არაბეთში). ამ თვალსაზრისით ისლამის წარმოშობა შეიძლება ავხსნათ როგორც ახლად ჩასახული ფეოდალური ურთიერთობის იდეოლოგია.

ენგელსი ისლამის, ისევე როგორც სხვა მსოფლიო რელიგიების, წარმოშობას უკავშირებდა დიდ ისტორიულ შემობრუნებას არაბთა საზოგადოებრივ განვითარებაში [1].

ისლამი აღმოსავლეთის ფეოდალური საზოგადოების იდეოლოგიად იქცა.

ისლამმა გააერთიანა არაბული ტომები. ისლამის მონოთეისტურმა იდეამ თავისი გამოხატულება არაბთა ერთიან სახელმწიფოში ჰპოვა. მაგრამ ადრინდელი ისლამი მხოლოდ არაბთა მარტივი საზოგადოებრივი ცხოვრების და პოლიტიკური ორგანიზაციის შესაფერისი იყო. მსოფლიო რელიგიად ისლამი ყალიბდება VIII ს-ის შუახანებში სახალიფოს ფეოდალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებასთან ერთად.

ისლამის წარმოშობის ხანაში არაბთა დიდი უმეტესობისათვის (სამხრეთის არაბების გამოკლებით) დამახასიათებელი იყო მომთაბარული ცხოვრება და მეჯოგური მეურნეობა. ბიზანტიურ-ირანულ ცივილიზაციას ზიარებული იყვნენ მხოლოდ სამხრეთ არაბეთიდან გამოსული ჰასანიდები (სირიაში) და ლაჰმიდები (ერაყში).

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. XIV, гз. 656.

ჩრდილოეთის არაბები (ბედუინები) მუდამ მტრულად უყურებდნენ სამხრეთის მკვიდრბინადრულ არაბებს (მიწისმოქმედ ფელაჰებს). კაისიტების (ჩრდილოეთის არაბების) და კელბიტების (სამხრეთის არაბების) ანტაგონიზმი გაგრძელდა სახალიფოშიც.

ისლამის აკვანი ჰიჯაზში[1] დაირწა. ჰიჯაზის მთავარი ქალაქები იასრიბი და მექა I ათასწლეულიდან მოყოლებული ვაჭრობით და აღებ-მიცემით იყვნენ განთქმული. ისინი მდებარეობდნენ დიდი სავაჭრო-საქარავნო გზის გასწვრივ, რომლის საშუალებით ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნები ინდოეთს უკავშირდებოდნენ. სანამ არაბეთის ნახევარკუნძულზე „გუნდრუკის გზა“ გადიოდა, ჰიჯაზის ქალაქები ვითარდებოდნენ, სატრანზიტო ვაჭრობის მნიშვნელოვან ცენტრებს წარმოადგენდნენ. სავაჭრო-სატრანზიტო გზის სხვა მიმართულებით გადანაცვლებამ (576 წლის შემდეგ, როცა სასანელებმა იამანი დაიპყრეს) დასცა საქალაქო ცხოვრება ჰიჯაზში, დააღარიბა აქაური ქალაქები. კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ არაბული ქალაქების დაცემამ თავის მხრივ „ბიძგი მისცა“ ისლამის წარმოშობას[2].

ვაჭრობის დაქვეითების შედეგად მექელმა ვაჭრებმა გააძლიერეს მევახშეობა. გაძლიერებული მევახშეობის შედეგი იყო ღარიბი მექელების და ბედუინების დაკაბალება. ამავე დროს ჰიჯაზში ღრმავდებოდა გვაროვნული წყობილების დაშლის პროცესი. იქმნებოდა საზოგადოებრივი კლასები და, ამრიგად, ჩნდებოდა პირობები სახელმწიფოს არსებობისათვის. მექაში გაბატონებულ ყურეიშის ტომში საზოგადოებრივი დიფერენციაცია უკვე საკმაოდ შორს იყო წასული. საძოვრების გამოფიტვისა და ბეჯოგური მეურნეობის კრიზისის პირობებში კიდევ უფრო გაძლიერდა კლასობრივი ბრძოლა. მექის მონათმფლობელური არისტოკრატია მკვეთრად დაუპირისპირდა გვაროვნულ დემოკრატიას. გვაროვნული არისტოკრატია ცდილობს შესაფერისი პოლიტიკური ორგანიზაციით საზოგადოების დაბალი ფენების დამორჩილებას, არაბული ტომების მექის გარშემო გაერთიანებას. არაბთა ერთიანი სახელმწიფოსათვის ბრძოლის იდეოლოგიური საფუძველია მონოთეისტური შეხედულება. ჰანიფიტები, რომელნიც მუჰამედის უშუალო წინამორბედნი არიან, მონოთეისტური იდეის მქადაგებლად გამოდიან.

არაბთა გაერთიანებას („კინდთა ტომის კავშირი“) ხელს უწყობს საგარეო ფაქტორებიც. სასანური ირანი არაბეთს ომანის ზღვიდან უტევს და VI ს-ის 70-იან წლებში იამანს იპყრობს. სამხრეთ-დასავლეთიდან არაბულ ტომებს დაპყრობით ემუქრებიან აბაშელები. ამრიგად, არაბთა გაერთიანების ერთ-ერთი პირობა უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროება იყო. მაგრამ ამ მხრივ მთავარი მაინც საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების მოცემული საფეხური იყო, რომელიც VI—VII საუკუნეების არაბეთში შესაბამისი პოლიტიკური ორგანიზაციის და იდეოლოგიის არსებობას მოითხოვდა.

---

[1] ჰიჯაზი მეწამული ზღვის გასწვრივ მდებარეობს. ჰიჯაზი ნეჯდთან, იამანთან და ომანთან ერთად, არაბეთის ნახევარკუნძულის მთავარი რაიონია.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. XIV, გვ. 488.

ისლამის წარმოშობა განაპირობა არაბული საზოგადოების სოციალურმა ზრდამ, ისლამი წარმოიშვა მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში.

ისლამის მქადაგებლად ითვლება მუჰამედი, რომელიც მექის გვაროვნულ დემოკრატიას ეკუთვნოდა. მისი რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწეობა ორ მთავარ პერიოდად იყოფა. პირველი პერიოდი ქრონოლოგიურად თავსდება 610—622 წლებში, მეორე 622—632 წლებში. პირველ პერიოდში მუჰამედი მხოლოდ ახალი რელიგიის მქადაგებელია. მდიდრების მიმართ იგი გამაფრთხილებლის როლში გამოდის და მათ ჯოჯოხეთის საშინელ სურათებს უხატავს, ხოლო ღარიბებისაგან ალაჰისადმი მინდობას მოითხოვს (აქედანაა ნაწარმოები: ისლამი — მინდობა და მუსლიმი — მინდობილი). ამავე დროს მუჰამედი გამოდიოდა არა საერთოდ მდიდრებისა და ვაჭრების წინააღმდეგ, არამედ მევახშეობისა და მევახშეების წინააღმდეგ. ამასთან იგი მონობას ალაჰის მიერ დაკანონებულად და ადამიანთა ურთიერთობის მუდმივ მოვლენად სთვლიდა. აღნიშნული გარემოებანი სათანადოდაა აღბეჭდილი „ყურანის“ მექურ სურებში. ამის მიუხედავად მუჰამედის მიმდევრებს შორის იყვნენ როგორც მექის ღარიბები და ჰიჯაზის ბედუინები, ისე მონები.

მუსლიმად ხდებოდა ყველა, ვინც აღიარებდა მონოთეისტურ ფორმულას: „არა არს სხვა ღმერთი გარდა ალაჰისა და მუჰამედია მისი მოციქული“. ამას თანდათან დაემატა მუსლიმთა კიდევ ოთხი მთავარი მოვალეობა: ნამაზი—ლოცვა, ჰაჯი—მექის მობილვა და მოლოცვა, ზაქათი – ღარიბთა სასარგებლოდ დაწესებული გადასახადი, ჯიჰადი (ჰაზავათი)—საღვთო ომი ურწმუნოთა წინააღმდეგ. მუსლიმისათვის მეჩეთი იყო ყველგან, სადაც ხალიჩას გაშლიდა ლოცვის შესასრულებლად. ადრინდელი ისლამი საესებით შეესაბამებოდა არაბთა მარტივ სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებას.

მუჰამედის გავლენის განუხრელი ზრდა საზოგადოების ექსპლოატირებულ ფენებში იწვევდა მექის გვაროვნული არისტოკრატიის შეშფოთებას. მექაში დევნილი მუჰამედი იძულებული გახდა 622 წელს („ჰიჯრა“) გადასულიყო იასრიბში, რომელიც მექის მეტოქედ ითვლებოდა და რომელსაც ამიერიდან მედინა („ქალაქი“) ეწოდა. 622 წლიდან იწყება მუჰამედის მოღვაწეობის მეორე პერიოდი.

მედინაში მოღვაწე მუჰამედს კარგად ესმოდა, რომ „ანსარებს“ (მედინელ „მშველელებს“), „მუჰაჯირებს“ (მექიდან გადმოსულ მიმდევრებს) და ბედუინებს მხოლოდ ალაფისა და ნადავლის წყაროების შექმნით დააკავშირებდა ისლამთან. მან ამ მიზნით მედინის ორ ებრაულ ტომს ჩამოართვა მიწები და მუსლიმებს დაურიგა. მუსლიმების შემოსავლის წყაროდ იქცა მდიდარი სავაჭრო ქარავნების ძარცვა. რელიგიის მიმართ საერთოდ გულგრილად განწყობილი არაბების მიმხრობა მუჰამედს სხვა საშუალებებით არ შეეძლო. მისი წარმატება ამ მიმართულებით (ბრძოლა ბადრთან 624 წელს) მკვეთრად ზრდიდა მის მომხრეთა რიცხვს, დამარცხება (ბრძოლა ოხოდის მთასთან 625 წელს) სწრაფად სთიშავდა ისლამს ახალ სარწმუნოებაზე მოქცეულთ. მაგრამ მუჰამედი მარჯვედ იყენებდა სოციალურ დემაგოგიას იმისათვის, რათა გაეზარდა მუსლიმთა რიცხვი. მან მომხრეები გაიჩინა თვით მდიდარ ყურეიშებს შორის.

მედინაში მოღვაწეობის პერიოდში მუჰამედი გვეელინება არა რელიგიის უბრალო მქადაგებლად, არამედ პირწავარდნილ პოლიტიკურ მოღვაწედ. აქ მან დააარსა მუსლიმთა თემი („ჯამაათი"), რომელშიაც გაერთიანება ხდებოდა არა სისხლითი ნათესაობის მიხედვით, როგორც წინათ, არამედ რელიგიისადმი კუთვნილების ნიშნის მიხედვით. ეს არაბთა შორის გვაროვნული წყობილების დაშლის აშკარა მოწმობა იყო. მუსლიმთა თემი ანუ საზოგადოება იქცა მომავალი არაბული სახელმწიფოს საფუძვლად, რომელზედაც შემდეგ (632—661 წლებში) შენდებოდა და ვითარდებოდა არაბთა სამხედრო-თეოკრატიული სახელმწიფო.

მუჰამედმა შესძლო მექელთა ლაშქრის დამარცხება მედინის კედლებთან (627 წელს), მომდევნო 628 წელს კი იგი მექაში ქააბას ტაძრის მოსალოცავად მივიდა. ამით იგი მექას მის ოდინდელ (რელიგიური და სავაჭრო ცენტრის) მნიშვნელობას უნარჩუნებდა. ამიერიდან მექა გახდა ყველა მუსლიმანის „ყიბლად", საითკენაც ლოცვის დროს მას პირი შექცეული უნდა ჰქონოდა. მექელ ვაჭრებს ეს ვაჭრობისა და შემოსავლის ფართო პერსპექტივებს უსახავდა და ისინიც საამისოდ ისლამის გამოყენებას ყველა საშუალებით ცდილობდნენ.

ამას გარდა, თვითონ მუჰამედი დაადგა კომპრომისის გზას მექის გვაროვნულ არისტოკრატიასთან ურთიერთობაში. ახლა იგი აშკარად მოითხოვდა მორჩილებას იმისადმი, ეისაც ძალაუფლება ჰქონდა. ამ ფორმულის შინაარსი მკაფიოდ გამოიკვეთა მომდევნო ხანებში, როდესაც არაბული საზოგადოება ფეოდალურად განვითარდა, ხოლო ისლამი საბოლოოდ იქცა გაბატონებული ფეოდალური კლასის იდეოლოგიად.

630 წელს („კაპიტულაციის წელი") მუჰამედმა აიღო მექა. მექის გვაროვნულ არისტოკრატიას მისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. ისლამი მისთვისაც მისაღები აღმოჩნდა. მით უმეტეს, რომ არაბეთში კლასობრივი ბრძოლის შესასუსტებლად ისლამი საუკეთესო იდეოლოგიურ იარაღად ჩანდა. ისლამი მექის არისტოკრატიამ თავისი კლასობრივი მიზნებისათვის გამოიყენა, მისთვის საშიშარი სოციალური ძალები ადგილობრივ ნიადაგს გამოსთიშა და საგარეო დაპყრობითი ომების ვრცელს ასპარეზზე გადაიყვანა. არაბთა, ისევე როგორც ყველა მომთაბარეების, მოძრაობა კულტურული ქვეყნებისაკენ კლასობრივ ნიადაგზე იყო აღმოცენებული და განვითარებული.

არაბთა პირველი ლაშქრობანი მეზობლების წინააღმდეგ უკვე მუჰამედის დროს იწყება. მას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ისლამს არაბებს შორის აუცილებელი მარცხი მოელოდა, თუკი საკუთრივ არაბეთის ფარგლებს არ გასცდებოდა. მაგრამ დაწყებულ ლაშქრობათა განვითარება მას არ დასცალდა. მუჰამედი გარდაიცვალა 632 წელს. მის მიერ დაწყებული საქმე ხალიფებმა გააგრძელეს.

## § 2. არაბთა ხალიფო VII—VIII საუკუნეებში

632 წელს დაარსდა არაბთა სამხედრო-თეოკრატიული სახელმწიფო (632—661). ამ სახელმწიფოს სათავეში ხალიფა იდგა.

ხალიფა ნიშნავს მოციქულის მოადგილეს (ხალიფა რასულიაჰ), ხალიფას მიხედვით არაბთა სახელმწიფოს ეწოდა სახალიფო ანუ ხალიფატი.

არაბთა დიდი დაპყრობითი ომები სახალიფოს დაარსებიდანვე იწყება. პირველმა ხალიფა აბუ ბაქრმა (632—634) საამისოდ მხოლოდ არაბეთში მომხდარ შინაურ არეულობათა ჩაქრობის შემდეგ მოიცალა.

პირველი ხალიფა თავიდანვე დიდს წინააღმდეგობებს წააწყდა. ანსარები იმით იყვნენ უკმაყოფილონი, რომ ხალიფა მუჰაჯირების წრიდან იყო არჩეული. თვითონ მუჰაჯირებს შორის ერთსულოვნება არ სუფევდა. აბუ ბაქრი გვაროვნულ დემოკრატიას ეკუთვნოდა (ხელობით ის ბაზაზი იყო), მაგრამ ამავე საზოგადოებრივ ფენში ბევრი მომხრე ჰყავდა აგრეთვე მუჰამედის ბიძაშვილს და სიძეს ალის, რომელიც აბუ ბაქრთან ერთად ისლამის ერთი პირველი მიმდევართაგანი იყო. ამას გარდა, არაბეთში ამ დროს მრავლად იყვნენ ე. წ. „ცრუ მოციქულები“, რომელთა მოქმედებას უეჭველია ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა რთული სოციალური წინააღმდეგობები, გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა.

აბუ ბაქრს მოუხდა არაბთა ხელახლად გაერთიანება. ამგვარი „გაერთიანება“ ჩვეულებრივ თან სდევდა სოციალური და პოლიტიკური კრიზისის ლიკვიდაციას არაბეთში (ამის მკაფიო ნიმუშებს წარმოადგენენ 632—634, 656—661 და 681—694 წლებთან დაკავშირებული მოვლენები). ხალიფა გამოსავალს საგარეო დაპყრობითს ომებში ხედავდა. და აბუ ბაქრმაც არაბთა ლაშქარი პირველად გაიყვანა არაბეთის ფარგლებიდან.

მაგრამ ფაქტიურად არაბთა დაპყრობითი ომების ორგანიზატორი იყო მეორე ხალიფა ომარი (634—644), რომელსაც ისლამის და არაბთა სახელმწიფოს მეორე დამაარსებელს უწოდებენ.

ომარმა მიიღო ამირ ალ-მუმინის („მართლმორწმუნეთა მბრძანებლის“) წოდებულება. ეს ღონისძიება არაბთა სახელმწიფოს განვითარებით იყო ნაკარნახევი და სახელმწიფოში თეოკრატიული ელემენტის შესუსტებას ისახავდა მიზნად.

აკად. ვ. ბარტოლდის მოსწრებული გამოთქმით, ახლა არაბები ზეცისაკენ კი არ იყურებოდნენ, არამედ ამქვეყნიური საქმეებით იყვნენ დაინტერესებული.

ომარის მთავარ საზრუნავს ხარკის აკრეფის ორგანიზაცია შეადგენდა. მან სასანური ირანიდან გადმოიღო საფინანსო დაწესებულება „დივანი“ და თითქმის უცვლელად შემოიღო სასანური საგადასახადო სისტემა. არაბთა სამხედრო-თეოკრატიული სახელმწიფოს არსებობის პირობებში ომარმა პირველმა აუხვია გვერდი არაბულ ტრადიციებს, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა თვით ისლამის სარწმუნოებაში, სახელმწიფო წყობილებაში ფართო გასაქანი მისცა კულტურული ქვეყნების პოლიტიკური ორგანიზაციების გავლენას, თუმც ამავე დროს საპირო ღონისძიებებს მიმართავდა, რათა არ დაეშვა არაბთა გათქვეფა დაპყრობილ მოსახლეობაში და უზრუნველეყო მათი ბატონობა დაპყრობილ ქვეყნებში.

ხალიფა ომარ I-ის დროს სახალიფო უზარმაზარ სახელმწიფოდ იქცა. არაბები სწრაფად გავრცელდნენ ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის და დასავლე-

თის მიმართულებით. 641 წელს (ნეჰავენდთან გამართული ბრძოლის შედეგად) არაბებმა ბოლო მოუღეს სასანური ირანის სახელმწიფოს არსებობას, დაიპყრეს ბიზანტიის აღმოსავლური პროვინციები (სირია, პალესტინა) და შეტევა განავითარეს ეგვიპტის მიმართულებით. VII ს-ის 40-იან წლებში არაბთა მარბიელი ლაშქარი პირველად გამოჩნდა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე.

არაბთა თავბრუდამხვევი სამხედრო წარმატებები გაპირობებული იყო უმთავრესად მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების შინაგანი ვითარებით, სოციალური წინააღმდეგობანი და კლასობრივი ბრძოლა ამ ქვეყნებში უკიდურეს წერტილს იყო მიღწეული. საზოგადოების დაბალი ფენები არაბთა შემოსევებს კლასობრივი თვალსაზრისით აფასებდნენ. არაბებში ისინი ხედავდნენ განმათავისუფლებლებს ექსპლოატატორული კლასების მძიმე უღლისაგან. სოციალური, ეროვნული და რელიგიური ჩაგვრით გამოწვეული მდგომარეობა არაბებს ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ირანში, ბიზანტიაში. საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ ისლამს, რომელიც სხვადასხვა სარწმუნოების (იუდეველობის, ქრისტიანობის) ერთგვარ ნარევსაც წარმოადგენდა, დაპყრობილი ხალხები ჯერ კიდევ ვერ ასხვავებდნენ სხვა მონოთეისტური რელიგიებისაგან და იგი იუდეველობის ან ქრისტიანობის ერთ-ერთ მიმართულებად მიაჩნდათ.

ტომობრივ პრინციპზე აგებული არაბთა ლაშქარი ზედიზედ ამარცხებდა მრავალწლოვან ომებში დასუსტებული ბიზანტიის და ირანის უკეთ გაწვრთნილ და შეიარაღებულ ლაშქარს. ამასთან არაბები გულადი მეომრები იყვნენ. მათ ნიჭიერი სარდლებიც აღმოაჩნდათ. თუმც მათი ფანატიკური ბრძოლის წარმატების მთავარი პირობა მაინც მიმზიდველი მდიდარი ალაფი და ნადავლი იყო. ერაყში და სირია-პალესტინაში (ბიზანტიის „პურის ბეღლებში") არაბებს მუჰამედის მიერ აღთქმული სამოთხე ეჩვენებოდათ.

არაბთა დაპყრობითი ომები დაემთხვა პოლიტიკურ კრიზისს მახლობელ აღმოსავლეთში, რაც მონათმფლობელობიდან ფეოდალიზმში გადასვლით იყო გამოწვეული. ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი არაბთა სამხედრო წარმატებას.

მაგრამ არაბთა ბატონობამ აღმოსავლეთის კულტურული ქვეყნები ააცდინა ფეოდალური ურთიერთობის ნორმალურად განვითარების გზას.

დიდი მასშტაბებით წარმოებულ დაპყრობით ომებში არაბებმა აუარებელი ტყვე იგდეს ხელთ. დატყვევებულნი მონებად იქცნენ. მონობის წყარო იყო აგრეთვე ხარკი. მონები გამოყენებული იყვნენ ხელოსნობასა და სოფლის მეურნეობაში. ყველა ამან გაზარდა მონათმფლობელური სექტორი. გააძლიერა მონათმფლობელური წყობა [1].

მონები არაბებს გამოჰყავდათ მიწისმოქმედი მოსახლეობიდან. ამან გამოიწვია ექსპლოატაციის ფეოდალურ წესზე გადასვლის ადრე დაწყებული პროცესის შეჩერება. VII—VIII სს-ში სახალიფოში ჩვეულებრივი იყო გადასახადთა გადამხდელი მოსახლეობის „დაბეჭდვა". ამა თუ იმ რუსთაკის ან სოფ-

---

[1] А. Ю. Якубовский. Вопросы периодизации истории Средней Азии в средние века, გვ. 33.

ლის მცხოვრებს დადაღული ჰქონდა შუბლი ან ყელზე შებმული ჰქონდა ტყვიის ბექედი წარწერით, თუ რა რაოდენობით უნდა გადაეხადა მას გადასახადი. წყაროების მიხედვით ეს წესი გავრცელებული იყო ალ-ჯაზირაში, ერაყში, ირანში, ამიერკავკასიაში და მავერანნაჰრში (შუა აზიაში)[1].

არაბთა მიერ დაპყრობილი ხალხების დიდი უმეტესობა კულტურულ მიწისმოქმედებას მისდევდა, გაელილი ჰქონდა მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ცხოვრების გზა. ამიტომ არაბები არ შეიძლება არ მოქცეულიყვნენ დაპყრობილ კულტურულ ხალხთა გავლენაში, არ მიეღოთ მათგან განვითარებული პოლიტიკური ინსტიტუტები.

ხალიფა ომარ I იძულებული იყო ხელუხლებლად დაეტოვებინა დაპყრობილი ქვეყნების მმართველობის სისტემა, ადმინისტრაციული დანაწევრება, ადგილობრივი მოხელეები და მიწისმფლობელობის ადგილობრივი წესები.

VII ს-ის დამლევამდე სახალიფოს დასავლეთ ნაწილში ფულის ტრიალში იყო ბიზანტიური მონეტა ჯვრის გამოსახულებით, ხოლო სახალიფოს აღმოსავლეთ ნაწილში სასანური მონეტა საგზებლის გამოსახულებით.

თუ სახალიფოს დასავლეთ პროვინციების სამდივანმწიგნობროებში ხმარებაში იყო ბერძნული ენა, აღმოსავლეთში კვლავ სპარსული იყო გამოყენებული სახელმწიფო დოკუმენტების და საგადასახადო დავთრების შესადგენად. მოხელეებადაც, ცხადია, უპირატესად ბერძნები და სპარსელები იყვნენ.

არაბებმა დაპყრობილ ქვეყნებში აუარებელი მიწები იგდეს ხელთ, მაგრამ არ შეეძლოთ არსებითი ცვლილებები მოეხდინათ მიწისმფლობელობის იმ წესებში, რომლებიც მათ დაპყრობილ ქვეყნებში დახვდათ. დაპყრობილი, მიტაცებული და ჩამორთმეული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი არაბებმა სახელმწიფო მიწებად გამოაცხადეს. იმ ქვეყნებში, სადაც ისინი უომრად შევიდნენ, ხელშეკრულებების ანუ „დაცვის სიგელების“ საფუძველზე მიწები ადგილობრივ მიწისმფლობელთ შეუნარჩუნეს („სულჰის მიწები“) „ხარაჯას“ გადახდის პირობით. თუმც თეორიულად ხალიფა ყველა მიწის უზენაეს მესაკუთრედ გამოდიოდა. მუსლიმანთა თვალსაზრისით, როგორც ომით, ისე ხელშეკრულებით (მშვიდობიანი გზით) მიღებული მიწა ეკუთვნოდა „ალაჰს და მის მოციქულს“.

არაბები დაპყრობილ მიწებს თავიანთ ნადავლად სთვლიდნენ. ამ ნადავლის განაწილება შემდეგნაირად წარმოებდა: დაპყრობილი მიწების 1/5 მიჰქონდა იმამს (მუსლიმანური თემის მეთაურს, ე. ი. ხალიფას), დანარჩენი ნაწილდებოდა საღვთო ომის მონაწილე მეომრებს შორის და წარმოადგენდა მუსლიმანური თემის საერთო საკუთრებას („ფაი“)[2]. ნადავლის განაწილებიდან, ზოგიერთი მუსლიმანი სწავლულის მიხედვით, გამორიცხული იყო გადაშენებული ხელმწიფეების (მაგ., სპარსელი შაჰინშაჰების) და მათი სახლის წევრების (უფლისწულების), მარზპანების, მაზდეანური ეკლესიის და ომში და-

---

[1] А. Ю. Якубовский. Вопросы периодизации истории Средней Азии в средние века, зз. 33.

[2] „ფაი“ არაბულად ნიშნავს მტრისათვის წართმეულ ყოველგვარ საგანს, აგრეთვე მიწებს. ფართო გაგებით „ფაი“ გულისხმობდა ურწმუნოთაგან თვით უომრად მიღებულ საგნებს, პროდუქტებს, მიწებს.

ღუპულთა მიწები, აგრეთვე ჰაობები, დაუმუშავებელი ანუ მკვდარი მიწები („მავათ"), მდინარეთა სანაპიროები, წისქვილები და სხვ. ეს მიწები შეადგენდნენ სახელმწიფო მიწებს და აღინიშნებოდნენ „საავფის" სახელით.

ყურანის „სურა ნადავლზე" („სურათ ალ-ღანიმათ") მუსლიმანის მოვალეობად სთვლიდა ურწმუნოთა ქონების მიტაცებას. მტკიცედ იყო დადგენილი ალაფისა და ნადავლის განაწილების წესი მუსლიმანთა შორის. აბუ იუსუფ იაკუბი (VIII ს.ის დამლევის არაბი მწერალი) თავის „ქითაბ ალ-ხარაჯში" ომარ I-ს მიაწერს შემდეგ სიტყვებს: „მუსლიმანები სჭამენ მათ (დამორჩილებულთ) სანამ ცოცხლები არიან; როცა ჩვენ და ისინი დავიხოცებით, ჩვენი შვილები შესჭამენ მათ შვილებს, სანამ ცოცხლები იქნებიან". მეტად დამახასიათებელია არაბული წყაროების გამოთქმა: „ქვეყნის ჭამა". ისტორიკოს ალ-ბალაძორის (IX ს.) ამასთან დაკავშირებით მოაქვს საინტერესო დიალოგი. ხორასნის ამირას აბდალაჰ იბნ-ხაზიმს (683—691) ერთ-ერთი ტომის არაბები ეკითხებიან: „რატომ ჭამენ ესენი (სხვა არაბული ტომები — ე. გ.) ხორასანს უჩვენოდ?" დაპყრობილი ქვეყნების „ჭამის" გამო არაბულ ტომებს შორის დაუსრულებელი ქიშპი და მტრობა იყო. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ამ მხრივ ჩრდილოეთის არაბები, რომელნიც ალაფსა და ნადავლს ომს უკავშირებდნენ და სამხრეთის არაბებისაგან განსხვავებით, მეურნეობას საპიროდ არ სთვლიდნენ. მათთვის ომი და დაპყრობა ურწმუნოთა ქვეყნების „ჭამის" მთავარი პირობა იყო.

შემთხვევით არ აიხსნება, რომ ჯოგის აღმნიშვნელი არაბული ტერმინი „რაიათი" (მრავლ. „რაია") გლეხის აღმნიშვნელ სიტყვად იქცა. არაბთა ბატონობის დროიდან მოყოლებული ამ სიტყვით იწოდებიან გლეხები ყველა მუსლიმანურ ქვეყანაში.

არაბთა წარმოდგენა ნადავლის გახაწილებაზე, დაფუძნებული ყურანის საგანგებო სურაზე („სურათ ალ-ღანიმათ"), თანდათან იცვლებოდა არაბთა საზოგადოებრივი განვითარების შესაბამისად. კლასობრივმა თვალსაზრისმა ამ საკითხში ადრევე იჩინა თავი. არაბული საზოგადოების დაბალი ფენების მონაწილეობა ნადავლის განაწილებაში მნიშვნელოვნად შეიზღუდა უკვე ოსმანის (644—656) ხალიფობაში. გვიან კი არაბულმა არისტოკრატიამ მიწისმფლობელობის საფუძველზე განამტკიცა როგორც დაპყრობილი მოსახლეობის, ისე არაბი ფელაჰების (მიწისმოქმედთა) და ბედუინების (მომთაბარეთა) ექსპლოატაცია.

გაბატონებული საგადასახადო სისტემის მიხედვით მიწები არაბთა სახალიფოში ორ მთავარ კატეგორიად იყოფოდა: 1. უშრის მიწებად და 2. ხარაჯას მიწებად. უშრის მიწა განიხილებოდა როგორც საკუთრება, ხარაჯას მიწებში კი მხოლოდ მფლობელობა იყო ნაგულისხმევი. უშრის პატრონი აუცილებლივ მუსლიმანი უნდა ყოფილიყო. ხარაჯას მიწა შეიძლებოდა ქცეულიყო უშრის მიწად იმ შემთხვევაში, თუ მას მუსლიმანი (არაბი) არამუსლიმანისაგან შეიძენდა. მაგრამ ეს წესი მოქმედებდა მხოლოდ VII ს-ის დამლევამდე.

სახალიფოში მიწები ნაწევრდებოდა მფლობელობის ნიშნის მიხედვითაც: გარდა სახელმწიფო და მუსლიმთა თემის მიწებისა, არსებობდა კერძო

საკუთრებაში ნყოფი მიწებიც. მიწა კერძო საკუთრებად გადაიქცეოდა, თუ მას არაბი მუსლიმანი მახვილით დაიპყრობდა[1], გააცოცხლებდა მკვდარ მიწას, იყიდდა ანდა მემკვიდრეობით მიიღებდა მას. ამ ნიადაგზე განვითარდა „მულქი"-ს (მიწის კერძო საკუთრების) ინსტიტუტი. დაპყრობილი ირანის ზოგ პროვინციაში, განსაკუთრებით ფარსში, ადგილობრივი მიწისმფლობელები სარგებლობდნენ მიწებზე სრული განკარგულების უფლებით (ხელუხლებელი იყო დეჰყანური მიწისმფლობელობა). მაგრამ მათს მნიშვნელოვან ნაწილს არაბება მხოლოდ მფლობელობის უფლება შეუნარჩუნეს. VII—VIII საუკუნეებში ჯერ კიდევ არ არსებობდა „ვაკფი" (მუსლიმანური ეკლესიის მიწები), რომელმაც IX—X საუკუნეებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა აღმოსავლურ მიწისმფლობელობაში.

მიწაზე დაწესებულ გადასახადს ხარაჯა ეწოდებოდა. ჯიზია VII საუკუნეში ჯერ კიდევ არ ნიშნავდა სულად გადასახადს. ხარაჯას და ჯიზიას სინონიმური მნიშვნელობა ამ დროს აღნიშნავდა არა გადასახადს, არამედ ხარკს. ჯიზიამ სულადი გადასახადის მნიშვნელობა მიიღო VII—VIII საუკუნეთა მიჯნაზე და ამიერიდან მკვეთრად გაემიჯნა ხარაჯას, რომელიც ახლა, და შემდეგაც, მხოლოდ მიწაზე დაწესებულ გადასახადს ნიშნავდა.

ხარაჯა არამუსლიმთა გადასახადი იყო. ამათ არაბული და, საზოგადოდ, აღმოსავლური წყაროები ზიმიებს უწოდებენ. ზიმიებად ითვლებოდნენ საღვთო წერილის ხალხები (აჰლ ალ-ქითაბ), რომელთაც სარწმუნოების შენარჩუნება ხარაჯას გადახდის პირობით შეეძლოთ. ამდენადვე არაბული გადასახადები დაპყრობილ ხალხთა განუკითხავ ექსპლოატაციაზე იყო დაფუძნებული.

VII ს-ში მუსლიმანი ხარაჯას არ იხდიდა. მუსლიმანს უნდა გამოეღო მხოლოდ ზაქათი (მოწყალება) ან, მეორენაირად, სადაკა. ამიტომ უშრი (ნიშნავს ქონების. შემოსავლის 1/10-ს), რომელსაც მუსლიმანი მიწისმფლობელები იხდიდნენ, ზაქათის ან სადაკას სინონიმური მნიშვნელობითაც იხმარებოდა.

ხარაჯასაგან თავისუფლდებოდა ყველა, ვინც კი ისლამის სარწმუნოებაზე მოექცეოდა. ეს კი იწვევდა ხარაჯას შემცირებას. ამიტომ შემოსავალი მიწებიდან განუწყვეტლივ კლებულობდა, რაც დიდ არევ-დარევას იწვევდა არაბული ადმინისტრაციის და საფინანსო უწყების მოქმედებაში.

ხარაჯას შემცირების მიზეზი იყო არა მარტო მუსლიმანთა რიცხვის ზრდა დაპყრობილ ქვეყნებში, არამედ, უმთავრესად, მწარმოებელი საზოგადოების ველური ექსპლოატაცია. არაბები დაინტერესებული იყვნენ გადასახადების მიღებით და არა მეურნეობის წარმოებით. ეს იწვევდა დამუშავებული მიწების გაპარტახებას, სარწყავი არხების მოშლას, სოფლის მეურნეობის სწრაფ დაქვეითებას. აუტანელი გადასახადებით შეწუხებული გლეხები სტოვებდნენ მიწებს. გლეხთა აყრა-გაქცევა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. განვითარე-

[1] მიწისმოქმედი ხალხების ქვეყნებს არაბები ორ ნაწილად ყოფდნენ: დარ ულ-ისლამად (მუსლიმთა ტერიტორიად) და დარ ულ-ჰარბად (ურწმუნოთა ტერიტორიად). მთავარი დარ ულ-ჰარბ (ომის ქვეყანა) იმ დროს იყო ბიზანტია.

ბული სოფლის მეურნეობით განთქმული სავადი (ერაყი) დაქვეითების გზაზე იყო შემდგარი. აქაური სოფლები გლეხებისაგან დაცარიელებული იყო.

არაბული წყაროების ცნობების მიხედვით (აბუ იუსუფ იაკუბი, აბუ საიდ ისთახრი, აბულ ამას ბ. სურაი), ომარ I იძულებული იყო ხელახლად გადაენაწილებინა მიწები ერაყში. მან უარი თქვა ერაყის მიწების დამპყრობელთა შორის განაწილებაზე მიუხედავად იმისა, რომ ეს ოლქი ომით იყო დაპყრობილი და, ამდენადვე, მუსლიმანთა ნადავლად ითვლებოდა. ომარმა მიწები აქ იმათ შეუნარჩუნა, ვინც მეურნეობისათვის ზრუნავდა და გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაციის საშუალებით ხარაჯას წყაროებს ჰქმნიდა. მისი ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა შემოსავლის უზრუნველყოფას ერაყში „მუსლიმთავე სასარგებლოდ“, როგორც ამას წყაროები (აბუ იუსუფი) აღნიშნავენ. ამას გარდა, ომარ I საერთოდ წინააღმდეგი იყო არაბების დაპყრობილი ქვეყნების მიწებზე დაჯდომის, რადგან შიშობდა, რომ ეს გამოიწვევდა მათს ასიმილირებას უცხო ხალხებში. მისი თვალსაზრისით, დაპყრობილი ქვეყნები არაბების „საქმელი“ იყო და არაბებს მხოლოდ დამუშავებული მიწების გადასახადებით უნდა ეცხოვრათ.

ხარაჯას საერთო შემოსავლის შემცირების პირობებში არაბული გვაროვნული არისტოკრატია ყველაფრის მითვისებას თვითონ ცდილობდა და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა ნადავლში წილი არ დაედო არაბული საზოგადოების დაბალი ფენებისათვის. ეს გახდა ერთ-ერთი მიზეზი პირველი სამოქალაქო ომისა არაბეთში.

დაპყრობითი ომების წარმატებას არ შეუსუსტებია სოციალური წინააღმდეგობანი არაბთა შორის. მექის მონათმფლობელური არისტოკრატია ყველა საშუალებით ცდილობდა თავისი კლასობრივი ბატონობის უზრუნველყოფას. მისი კლასობრივი ინტერესების გამომხატველი იყო ხალიფა ოსმანი (644—656), რომელიც ბანუ-ომაიას გვარს ეკუთვნოდა და რომლის მოღვაწეობამ ნიადაგი მოუმზადა გვაროვნული არისტოკრატიის გაბატონებას სახალიფოში.

ოსმანის ბრძანებით შესრულებული ყურანის რედაქცია მიზნად ისახავდა არაბთა სახელმწიფოს განვითარებაში მომხდარი ცვლილებების იდეოლოგიურ დასაბუთებას. ხალიფას სადგომად მედინაში მან ააგო სასახლე. ამით სახელმწიფო მეჩეთს გამოეყო. ამ მხრივ ოსმანი ომარის პოლიტიკის გამგრძელებელი იყო, მაგრამ იგი, ომარისაგან განსხვავებით, დაპყრობილი ქვეყნების მმართველებად, როგორც წესი, ომაელებს ნიშნავდა. მანვე მკვეთრად შეუმცირა წილი ნადავლში გვაროვნულ დემოკრატიას. ყველაფერი ეს იწვევდა გვაროვნული დემოკრატიის დიდს უკმაყოფილებას. „ძველი მუსლიმები“ (მუჰამედის პირველი მიმდევრები) მოითხოვდნენ მუჰამედის დროინდელი წესების დაცვას, სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროს მუსლიმანური თემისადმი დაქვემდებარებას, ალაფისა და ნადავლის თანაბრად განაწილებას, ალის გახალიფებას. ოსმანის ხალიფობა, ამრიგად, აღინიშნა მწვავე კლასობრივი ბრძოლით.

651 წელს დაწყებული პირველი არეულობანი არაბეთში მალე გადაიზარდა სამოქალაქო ომში (656—661 წწ.). 656 წელს მოკლული ხალიფა ოს-

მანის მაგიერ ხალიფად გახდა ალი (656—661). ალის ხალიფობაში კიდევ უფრო გაძლიერდა სამოქალაქო ომი არაბეთში. მონათმფლობელური არისტოკრატია სირიის მმართველ და ოსმანის ნათესავ მუავიას გარშემო დაირაზმა. ალი პირველ ხანებში წარმატებით ებრძოდა თავის მეტოქეს. მაგრამ მალე მისი ძალები განახევრდა. გვაროვნული დემოკრატიის ერთი ნაწილი უკმაყოფილო იყო იმით, რომ ალიმ სახალიფოს ცენტრი მედინიდან ̓ეუფაში (ერაყში) გადაიტანა. ალის ეს ღონისძიება გამოწვეული იყო იმით, რომ მედინის მარტივი პოლიტიკური ორგანიზაცია აღარ მეეფერებოდა არაბთა უზარმაზარ სახელმწიფოს. ამასთან ჰიჯაზის სოციალურ-ეკონომიური განვითარების მოცემული საფეხური დიდად ჩამორჩებოდა დაპყრობილი ქვეყნების დიდი უმეტესობის სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონეს. ერთი სიტყვით, მედინიდან სახალიფოს მართვა შეუძლებელი იყო. მაგრამ ალის აღნიშნულ ღონისძიებაში გვაროვნული დემოკრატიის წარმომადგენლებმა მუსლიმთა თემის ინტერესების შელახვა დაინახეს.

„ხარიჯიტები" (ალის ლაშქრიდან გამოყოფილი მუსლიმები) ხალიფას ბრალს სდებდნენ იმაშიც, რომ იგი ენერგიულად არ ებრძოდა მუავიას. განხეთქილება არაბთა შორის სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. პირველი სამოქალაქო ომის მსვლელობაში წარმოიშვა სამი მიმდინარეობა, რომელნიც სოციალურ წინააღმდეგობათა ნიადაგზე აღმოცენდნენ და შემდეგ ისლამის სარწმუნოების მთავარ მიმართულებებად იქცნენ. ესენი იყვნენ: შიები, სუნიტები და ხარიჯიტები.

პირველ ხანებში განსხვავება მათ შორის ხალიფად არჩევის საკითხთან იყო დაკავშირებული.

შიები კანონიერ ხალიფად სთვლიდნენ მხოლოდ მუჰამედის ასულის ფატმას და მისი მეუღლის ალის ჩამომავლებს. სუნიტების თვალსაზრისით, ხალიფად შეიძლებოდა ყოფილიყო ყველა, ვინც კი ყურეიშის ტომს ეკუთვნოდა. ხარიჯიტების აზრით, ხალიფად გახდომის უფლება ჰქონდა ყველა მართლმორწმუნე მუსლიმანს, მიუხედავად სოციალური მდგომარეობისა და ეროვნული კუთვნილებისა, თვით მონასაც კი. ამიტომ ხარიჯიტობა არ შეიძლებოდა არ ქცეულიყო უკიდურეს დემოკრატიულ მიმართულებად ისლამის სარწმუნოებაში და არ დაკავშირებოდა სახალიფოში მიმდინარე სოციალურ მოძრაობებს. ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა შიიტობას, რომელსაც სუნიტი მბრძანებლები სასტიკად სდევნიდნენ და, ამდენადვე, არ შეიძლებოდა არ გამოეწვია სიმპათიები საზოგადოების ექსპლოატირებულ ფენებში. შიიტობას უკავშირდებოდნენ როგორც სოციალური, ისე ეროვნული ბრძოლის მონაწილენი.

კერძოდ, სპარსელებმა ადრევე დაუნათესავეს ალი და მისი ჩამომავლები უკანასკნელი სასანელი შაჰინშაჰის იეზდიგერდ III-ის სახლს და გასპარსულებული ისლამი (შიას სარწმუნოება) არაბთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლას დაუკავშირეს.

661 წელს ქუფას კათედრალურ მეჩეთში ხარიჯიტებმა მახვილით განგმირეს ალი. გვაროვნულ დემოკრატიაში მომხდარი განხეთქილება გვაროვნულმა არისტოკრატიამ მარჯვედ გამოიყენა. 661 წელს ხალიფად გახდა

ომაელთა გვარის წარმომადგენელი მუავია I (661—681). სახალიფოში დაიწყო არაბული გვაროვნული არისტოკრატიის განუყოფელი ბატონობა. 661 წელს დასრულდა არაბთა სამხედრო-თეოკრატიული სახელმწიფოს არსებობა და იგი აღმოსავლური ტიპის დესპოტიაში გადაიზარდა. მუავია იყო არა მარტო ხალიფა, არამედ მალიქიც („მეფეც“).

მუსლიმანთა ტრადიციულ ცნობებში ომაელი ხალიფები უზურპატორებად ითვლებიან, ხოლო პირველი ოთხი ხალიფას დრო „ოქროს ხანად“ არის გამოცხადებული. მათი ხალიფობის დროს თითქოს არავინ არავის ჩაგრავდა და ადამიანები თანხმობითა და სიყვარულით ცხოვრობდნენ მუჰამედის მიერ დადგენილი წესების მიხედვით. ამ შეგნებას ა'აზრდოებდა ომაელთა დროინდელი მძიმე ექსპლოატაცია. ნამდვილად, სწორედ ე. წ. „ოქროს ხანაში“ იწყება გლეხების და მონების განუკითხავი ექსპლოატაცია. ომაელებმა მხოლოდ უზრუნველჰყვეს ექსპლოატატორთა ბატონობა, განავითარეს უფრო ადრე საამისოდ მოწოდებული კლასობრივი ბატონობის პოლიტიკური ორგანიზაცია.

მართალია, არაბებმა დაპყრობილ ქვეყნებში ხელუხლებლად დატოვეს გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაციის სისტემა, მაგრამ ამავე დროს ფართოდ იყო გამოყენებული მონის შრომაც.

ომაელთა სახალიფოში ძირითადად მონათმფლობელური წყობა იყო გაბატონებული.

ომაელმა ხალიფებმა სახალიფოს პოლიტიკური ცენტრი გადაიტანეს სირიაში (661 წ.), სადაც ჯერ ისევ ძლიერი იყო მონათმფლობელური წყობა და, ამდენადვე, არსებობდა არაბული გვაროვნული არისტოკრატიის კლასობრივი ინტერესების შესაფერისი პირობები.

არაბული ორგანიზაციის ბატონობამ დააბრკოლა საწარმოო ძალების განვითარება. არაბულმა ხარკმა გამოჰფიტა დაპყრობილი ქვეყნების კულტურული მეურნეობა. ხარაჯას ოდენობის განუწყვეტელი ზრდის შედეგი იყო სოფლის მეურნეობის დაცემა, გლეხთა გაღატაკება. თუ, მაგალითად, ერაყი სასანელების დროს (VI ს-ში) ყოველწლიურად იძლეოდა 214 მილიონი დირჰემის შემოსავალს, უკანასკნელი ომაელი ხალიფების დროს ყოველწლიური შემოსავალი გადასახადებიდან 70 მილიონ დირჰემამდე დაეცა. ასეთსავე მდგომარეობაში იყო უკლებლივ ყველა ოლქი.

არაბთა სახელმწიფოში გლეხები მარტო მძიმე გადასახადებით არ იყვნენ დახარკული. მათს სხვადასხვა ნატურალურ ვალდებულებაში შედიოდა ქალაქების კედლების, სასახლეების, მეჩეთების მშენებლობა, გზების გაყვანა, სარწყავი არხების ნოვლა, ხიდების შენება-შეკეთება და სხვ[1]. აღმოსავლური ბეგარის მთელი თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ იქ გლეხთა ძირითადი მასის ექსპლოატაცია სახელმწიფოს მეშვეობით წარმოებდა. სახელმწიფო ხარაჯას კრეფდა მსხვილი და ძლიერი მიწისმფლობელთა კლასის სასარგებლოდ.

---

[1] А. Ю. Якубовский. Вопросы периодизации истории Средней Азии в средние века, გვ. 33—34.

ისეთ პირობებში, როცა გლეხები „დაბეჭდილი“ იყვნენ, ხოლო ხელოსნები მონათა სახელმწიფო სახელოსნოებში („თირაზებში“) გამოკეტილი, მწარმოებელ საზოგადოებას მეურნეობის განვითარების არავითარი სტიმული აო ჰქონდა. ხარაჯას ოდენობა კი მეურნეობის შენება-აყვავებაზე იყო დამოკიდებული. სოფლის მეურნეობის დაცემა მკვეთრად ამცირებდა შემოსავალს ხარაჯადან და არაბებიც გამოსავალს დაპყრობითი ომების გაგრძელებაში ხედავდნენ. რა თქმა უნდა, სანამ მათ საამისო უნარი და ძალა შესწევდათ.

ომაელებმა ხელახლად გააჩაღეს დაპყრობითი ომები. VII ს-ის 70-იან წლებში ორგზის ჰქონდა ადგილი კონსტანტინოპოლის გარემოცვას, რაც ორჯერვე არაბთა დამარცხებით დამთავრდა. მუავიამ პირველმა შესვა არაბები ხომალდებზე, რადგან კონსტანტინოპოლის დასაპყრობად აუცილებელი იყო შეტევა როგორც ხმელეთიდან, ისე ზღვის მხრიდან. ბიზანტიელებმა ე. წ. „ბერძნული ცეცხლით“ გადაწვეს არაბთა ხომალდები. სამაგიეროდ არაბებმა წარმატებით განავითარეს შეტევა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართულებით სახალიფოს ტერიტორიული გაფართოების მიზნით.

დაპყრობითი ომების წარმატებით წარმოებასთან ერთად მუავია ცდილობდა მიწისმოქმედებისა და ვაჭრობის განვითარებას. ომს გარდა შემოსავლის წყაროებს იგი სოფლის მეურნეობაზე და ვაჭრობაზე დაწესებულ გადასახადებშიც ხედავდა. ყურადღება მიექცა სარწყავი არხების მშენებლობას. სახალიფოს ნავსადგურებში ახლა მრავლად იდგნენ სავაჭრო ხომალდები. ამ დროისათვის უკვე საკმაოდ განვითარებული იყვნენ ახლად წარმოშობილი ქალაქები—ბასრა, ქუფა, შირაზი, ფუსტატი (მომავალი კაირო) და სხვ., რომელნიც „ამსარების“ (არაბთა სამხედრო ბანაკების) ადგილზე აღმოცენდნენ. მაგრამ საზოგადოებრივ სამუშაოთა (აღწარმოების) უწყება ომაელთა სახალიფოში მაინც სუსტად იყო განვითარებული. სამაგიეროდ დიდად იყვნენ განვითარებული სამხედრო და საფინანსო უწყებები.

საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ მუავია I წააწყდა ჩრდილოეთის არაბების მედგარ წინააღმდეგობას. მომთაბარე არაბები მხოლოდ ომითა და რბევა-ტყვეევნით იყვნენ დაინტერესებული. მათ არაბებისათვის შეუფერებლად მიაჩნდათ მიწისმოქმედება, ვაჭრობა, ხელოსნობა, ქალაქებში ცხოვრება. ომაელები დაპყრობითი ომების გაგრძელებაში და ტერიტორიულ გაფართოებაში ხედავდნენ შემოსავლის მთავარ წყაროებს, თუმც ჩრდილოეთის არაბების ტენდენციების შესუსტებასაც ცდილობდნენ. ბრძოლა სამხრეთისა და ჩრდილოეთის არაბებს შორის ხელს უშლიდა არაბთა კონსოლიდაციას და ომაელთა სახალიფოს მოსპობა-გადაშენების ერთ-ერთ მთავარ პირობად იქცა.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ომაელი ხალიფები სახელმწიფოს ინტერესებს რელიგიის ინტერესებზე მაღლა აყენებდნენ. წყაროები გადმოგვცემენ: როდესაც აბდ ალ-მალიქს ხალიფად გახდომა აცნობეს, მან გვერდზე გადასდო ყურანი და წარმოთქვა „ამიერიდან ჩვენი გზები გაიყარაო“. ერთ-ერთ ომაელ ხალიფას ისრით სროლის ვარჯიშობაში მიზნად კედელზე გამოკიდებული ყურანის ფურცლები ჰქონდა. მუავია I-ის მემკვიდრე იაზიდ I (681—683) ცნობილია როგორც ელეგანტური ხალიფა, მონადირე და პოეტი. ძველი მუსლიმანები აღშფოთებული იყვნენ იმის ჩამომავლების მკრეხელობით,

ვინც თავის დროზე მექაში მუჰამედს სდევნიდა და მუსლიმანების წინააღმდეგ ბრძოლას მეთაურობდა (მუავია მუჰამედის მოწინააღმდეგის, ისლამის შეურიგებელი მტრის და სიკვდილამდე წარმართად დარჩენილი აბუ სუფიანის შვილი იყო).

მეორე სამოქალაქო ომის საბაბად არაბეთში (681—694) გახდა იაზიდის ხალიფად დანიშვნა, რაც გაგებული იქნა როგორც მონარქიული პრინციპის გამარჯვება. მაგრამ ეს საესებით შეესაბამებოდა ომაელების პოლიტიკურ მიზანს. მუავია I-მა რკინის ხელით და სასტიკი მოხელეების საშუალებით შებოჭა თავისი მოწინააღმდეგენი, ზოგი კი უხვი წყალობით მოიმადლიერა, ზოგიც ცბიერებით და „ტკბილი ენით“ აიძულა გაჩუმებულიყო და ომაელის ხალიფობას შერიგებოდა. მუავია ხშირად აღნიშნავდა, რომ ენა მახვილზე ძლიერი იყო, მაგრამ მახვილიც მუდმივად მოქმედებდა ქალაქების მოედნებზე და პატიმრებით გაჭედილ საპყრობილეებში. მან შესძლო სახელმწიფოში „წესრიგის“ დამყარება. მაგრამ ეს წესრიგი მისი გარდაცვალებისთანავე დაირღვა.

681 წელს ერაყში აჯანყდნენ ალიდები; იქვე ალ-მუხთარის მეთაურობით მრავალწლოვანი ბრძოლა გააჩაღეს მავალებმა (ახლად მოქცეულმა მუსლიმანებმა, არაბული ტომების კლიენტებმა); მექასა და მედინაში აჯანყებული იყვნენ ძველი მუსლიმანები. თუ მავალები ალიდებთან ერთად მოქმედებდნენ, ძველი მუსლიმანები სრულიად დამოუკიდებლად იბრძოდნენ. ამან ხალიფას დამსჯელ ჯარებს აჯანყებულთა ცალ-ცალკე დამარცხების შესაძლებლობა მისცა.

აჯანყების მონაწილე ძალები ერთფეროვანი არ იყო. მათ არც ბრძოლის საერთო მიზნები ჰქონდათ. ალიდები ალის სახლის „უფლების“ აღდგენას მოითხოვდნენ, მავალები უფლებებით არაბებთან გათანასწორებას, ძველი მუსლიმანები პატრიარქალური წყობის დაბრუნებას. მეორე სამოქალაქო ომის საერთო დამახასიათებელი ის იყო, რომ ამ დროს სოციალური ბრძოლა გადაეჭდო ეროვნულ ბრძოლას (მავალების აჯანყება). მაგრამ თუ სოციალური მოძრაობები შიობის უკიდურესი მიმართულებების („ღულათ“) სამოსელში გამოეხვია, სამაგიეროდ ზომიერი შიობა განმათავისუფლებელი (უპირატესად ირანელების) ბრძოლის იდეოლოგიურ იარაღად ხდება. ირანელებიდან ამ დროს გამაჰმადიანებული არიან უმთავრესად ვაჭრები და ხელოსნები. ირანელი ფეოდალებისათვის კი ისლამი მიუღებელი იყო, რადგან ის არაბთა ზედა ფენის ბატონობისათვის იყო გამოყენებული. ესენი მასიურად მაჰმადიანდებიან მხოლოდ ისლამის განვითარების იმ საფეხურზე, როცა არაბთა სარწმუნოება მსოფლიო რელიგიად იქცა და ისლამის გასპარსულებამ იდეოლოგიური საფუძვლები შეუქმნა ირანული ფეოდალური კლასის ბატონობას.

მეორე სამოქალაქო ომი არაბეთში ხალიფა აბდ ალ-მალიქის (685—705) დროს დამთავრდა. 694 წელს ომაელთა სასტიკი მოხელე ჰაჯაჯ იბნ იუსუფი დაუნდობლად გაუსწორდა ძველ მუსლიმანებს. მან ლოდმტყორცნელებით დაანგრია ქაბას ტაძრის კედლები, ხოლო შემდეგ ცეცხლი შეუნთო მხოლოდ იმის გამო, რომ იქ ძველი მუსლიმანები იყვნენ გამაგრებული. ჰაჯაჯის სახელი მუსლიმანურ აღმოსავლეთში იქცა მრისხანე და ულმობელი მოხელის

სიმბოლოდ. 694—714 წლებში იგი მახვილით განაგებდა სახალიფოს ყველაზე მოუსვენარ ოლქს ერაყს, სადაც უპირატესად ირანული ელემენტი იყო წარმოდგენილი. ომაელებმა კვლავ შესძლეს „წესრიგის“ აღდგენა სახელმწიფოში.

არაბთა სახელმწიფო აბდ ალ-მალიქის და ალ-ვალიდის (705—715) ხალიფობაში ტერიტორიულად დიდად გაფართოვდა. არაბებმა დაიპყრეს ჩრდილოეთ აფრიკა, ესპანეთი, შუა აზია და ჩრდილოეთ ინდოეთი. ომაელთა სახალიფო ატლანტის ოკეანეს სანაპიროებიდან ქაშღარის მთებამდე (ცენტრალურ აზიაში) გადაიქიმა. ამ უზარმაზარ სახელმწიფოში არაბთა ბატონობის უზრუნველსაყოფად საჭირო იყო მისი არაბიზირება, არაბული ელემენტის პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნება.

ომაელი ხალიფები ყველა ღონისძიებას იყენებდნენ იმისათვის, რომ არ დაეშვათ არაბების გათქვეფა დაპყრობილ ხალხებში, უზრუნველეყოთ არაბთა უპირატესობა და ბატონობა.

ხალიფა აბდ ალ-მალიქის „რეფორმები“ მიზნად ისახავდნენ სახელმწიფოს „არაბიზირებას“ (არაბულის სახელმწიფო ენად გამოცხადება, არაბული მონეტების მოჭრა, უცხო ეროვნების მოხელეების არაბი მოხელეებით შეცვლის ცდა და სხვ.). დამასკოსთან სახალიფოს შორეული პროვინციების დასაკავშირებლად გაყვანილი იქნა კეთილმოწყობილი გზები, რომელზედაც გამართული საფოსტო სადგურები (ალ-ბარიდები) სწრაფი მიმოსვლისა და ინფორმაციის მიწოდების საშუალებას იძლეოდა. გაძლიერდა დამასკოს კონტროლი ოლქების და რუსთაკების ამირების მიმართ.

„არაბიზირებულ“ სახალიფოში საგსებით უგულებელყოფილი იყო დაპყრობილ ხალხთა უფლებები. დაუშვებლად ითვლებოდა თვით მავალების უფლებებით არაბებთან გათანასწორება. პირიქით, შემოსავლის გაზრდის მიზნით ომაელმა ხალიფებმა ხარაჯას გადახდა დააკისრეს ყველა არაარაბული წარმოშობის მუსლიმანს. ამით მათ არაბობა ისლამს გამოსთიშეს იმ თვალსაზრისით, რომ ახლა ბრძოლა წარმოებდა არა ისლამის წინააღმდეგ, არამედ არაბობის წინააღმდეგ.

მავალების ბრძოლა ფართო გამოძახილს პოულობდა დაპყრობილ ხალხებში, ექსპლოატირებულ სოციალურ ფენებში. ესენი აქტიურად უჭერდნენ მხარს ყველას, ვინც კი ომაელების წინააღმდეგ იბრძოდა, მათ შორის აგრეთვე ხალიფობის პრეტენდენტ აბასელებს.

მუჰამედის ბიძის, აბასის, ჩამომავლებმა შექმნეს საიდუმლო ორგანიზაცია. რომლის პროპაგანდისტები (დაი, მრავლ. დუათ) სახალიფოს ქალაქებსა და სოფლებში აბასელების სასარგებლოდ მოღვაწეობდნენ. აბასელები მარჯვედ იყენებდნენ სოციალურ დემაგოგიას, აღუთქვამდნენ გადასახადების შემსუბუქება-შემცირებას, რათა მიემხროთ ვაჭრები, ხელოსნები, გლეხები, ბედუინები.

მავალების ბრძოლის გაძლიერებამ ხალიფა ომარ II (717—720) აიძულა უცხო ეროვნების მუსლიმები, უფლებებით არაბებთან გაეთანასწორებინა. ეს იყო მავალის საკითხის გადაჭრის პირველი ცდა. მაგრამ ეს ცდა მარცხით დამთავრდა. ომარ II-ს წინააღუდგა არაბთა ზედაფენა. მაგრამ არც მავა-

ლებს შეუწყვეტიათ ბრძოლა. ამ ბრძოლას ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა ომაელთა სახალიფოს დაძაბული შინაგანი და გართულებული საგარეო მდგომარეობა.

არაბთა სანხედრო ძლიერება ამ დროისათვის თვალსაჩინოდ იყო შერყეული. ეს საესებით ცხადჰყო არაბთა გამანადგურებელმა დამარცხებამ პუატიესთან 732 წელს. არაბთა დამარცხებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ბერბერმა მეომრებმა (მავალებმა), რომელთაც გადამწყვეტ მომენტში ბრძოლის ველი მიატოვეს. დასავლეთ ევროპისაკენ არაბებისათვის გზა შეკრული აღმოჩნდა. მათ ვერც ხაზარების დამარცხება და იმიერკავკასიაში შეკრა შესძლეს. არაბთა დამსჯელ ჯარებს სასტიკ ბრძოლებში უხდებოდათ ამიერკავკასიის და მაგერანნაჰრის (შუა აზიის) ხალხთა დაპყრობა-დამორჩილება.

არაბებს ახალი ტერიტორიების დაპყრობა აღარ შეეძლოთ. ამავე დროს, იქლო შემოსავალმა სახალიფოს პროვინციებიდან. ომაელები იძულებული გახდნენ გადასახადები გაეწერათ თვით სირიაზე. ამ ღონისძიებამ მათ დასაყრდენი მოუშალა იმ ოლქში, სადაც ისინი ყოველთვის დიდის გავლენით სარგებლობდნენ. მალე სირია მესამე სამოქალაქო ომის (744—749) ერთ-ერთ მთავარ კერად იქცა.

ომაელთა ანუ დამასკოს სახალიფოს დამხობაში მთავარი როლი გლეხთა მოძრაობებმა და აჯანყებებმა შეასრულეს. აქტიური უნდა ყოფილიყო მონების ბრძოლაც, მეტადრე სახალიფოს დასავლეთ პროვინციებში (ბიზანტიის ყოფილ აღმოსავლურ სამფლობელოებში), სადაც ყველაზე უფრო ძლიერად იყო წარმოდგენილი მონათმფლობელური წყობა. ამას ადასტურებს არა მარტო სირიაში განვითარებული მოვლენები, არამედ განსაკუთრებით ის, რომ მაღრიბში (დასავლეთში) გაჩაღებული სოციალური მოძრაობანი ხარიჯიტობის იდეოლოგიურ სამოსელში იყო გამოხვეული. ხარიჯიტები კი, როგორც ვნახეთ, მონას უფლებით არაბს უთანასწორებდნენ, თუკი მონა მუსლიმანი იყო. თუ მაშრიყში (აღმოსავლეთში) სოციალური მოძრაობანი უპირატესად შიიტური იდეოლოგიით წარმოებდა, მაღრიბში განსაკუთრებული პოპულარობით ხარიჯიტობა სარგებლობდა. ხარიჯიტობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული, კერძოდ, ბერბერი მავალების აჯანყება 740—741 წლებში.

გაუთავებელი ომები დიდძალ თანხებს მოითხოვდა. ომაელებმა დაამძიმეს ხარკი და გაზარდეს გადასახადები. ახალი დაპყრობითი ომების მსვლელობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა სახალიფოს საგადასახადო პოლიტიკაში სახელმწიფო შემოსავლის გაზრდის მიზნით.

როგორც აღვნიშნეთ, ხარაჯას გადახდა ახლა არაარაბული წარმოშობის მუსლიმანებსაც დაეკისრათ. ეს ღონისძიება გამოწვეული იყო იმით, რომ ახლად მოქცეულ მუსლიმანთა რიცხვის ზრდამ მკვეთრად შეამცირა შემოსავალი ხარაჯადან. და ეს იმ გასაგები გარემოების გამო, რომ ახლად გამუსლიმანებულნი თავიანთ მოვალეობად სთვლიდნენ გადაეხადათ უშრი და არა ხარაჯა.

ამას გარდა, საკუთრივ არაბი მუსლიმანები ნასყიდ ხარაჯას მიწას უყურებდნენ როგორც უშრის მიწას. არაბი მუსლიმანები კი ამ დროს დიდი

რაოდენობით ყიდულობდნენ ხარაჯას მიწებს. ადგილი ჰქონდა აგრეთვე მიწის ფიქტიურ ყიდვასაც. „მფარველობის“ ამგვარი წესი არაბ მიწისმფლობელებს შემოსავლის დამატებით წყაროებს უქმნიდა, ოღონდ, რა თქმა უნდა, სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე. აღნიშნული მოვლენა იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ იგი თანდათან კომენდაციის რიგში მოთავსდა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფეოდალური დამოკიდებულების გაძლიერების საქმეში.

შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი ომაელებმა იმაში ჰპოვეს, რომ ახლად გამუსლიმანებულებიც ხარაჯას ვალდებული გახადეს. ამას, ცხადია, არ შეიძლებოდა არ მოეშალა ომაელთათვის დასაყრდენი დაპყრობილ ხალხთა მუსლიმანურ ფენებში.

ამავე დროს აიკრძალა ნასყიდობის გზით ხარაჯას მიწის უშრის მიწად გადაქცევა, ხოლო უკვე ნასყიდ მიწაზედ ხელახლად დაწესდა ხარაჯა. ეს კი უშუალოდ ეხებოდა არაბ მიწისმფლობელთა ინტერესებს. ამიტომ თვით გაფეოდალებული არაბები არ შეიძლებოდა არ გადასდგომოდნენ ომაელებს და მათ მიმართ მტრული პოზიცია არ დაეჭირათ.

აღნიშნული ღონისძიებანი ჩვეული სისასტიკით განახორციელა ომაელების ერთგულმა მოხელემ ჰაჯაჯ იბნ იუსუფმა—აღმოსავლეთის ამირამ.

ჰაჯაჯ იბნ იუსუფის სახელთანაა დაკავშირებული ე. წ. 700 წლის კანონი (გამოცემული 700 წელს), რომელიც დაუშვებლად სთვლიდა გამუსლიმანებულის ხარაჯასაგან განთავისუფლებას. მანვე ხარაჯას გადახდა დააკისრა არაბ მუსლიმანებს, რომელთაც მიწები არამუსლიმანებისაგან ჰქონდათ შეძენილი[1].

700 წლის კანონი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ იგი კრძალავდა მიწისმოქმედთა მიერ სოფლების დატოვებას და ქალაქებში გადასვლას. გაქცეულთ ძალით უკანვე აბრუნებდნენ. ამრიგად, მიწისმოქმედნი გადასახადებზე იყვნენ მიმაგრებული, ხოლო მიწისმფლობელების პასუხისმგებლობა ხარაჯას აკრეფის საქმეში კიდევ უფრო გაიზარდა. 700 წლის კანონის გაუქმება (უკეთ, შესწორება) სცადა ხალიფა ომარ II-მ, მაგრამ მისი ეს ცდაც მარცხით დამთავრდა ისევე, როგორც მავალის საკითხის „მუსლიმანთა სასარგებლოდ“ გადაწყვეტა.

საფიქრებელია, რომ სწორედ ომარ II-ის დროიდან მოკიდებული მუსლიმანთა და არამუსლიმანთა უფლებრივი მდგომარეობის განსხვავება იმაში გამოიხატებოდა, რომ ამიერიდან სულად გადასახადს (ჯიზიას) მხოლოდ არამუსლიმანები იხდიდნენ. ეს ღონისძიება უშუალოდ შეეხო ადგილობრივი ფეოდალების ინტერესებს.

საქმე ისაა, რომ ხარაჯას მსგავსად სასანური ირანიდან მომდინარე ჯიზია (თავის დროზე ვაჭრობასა და ხელოსნობაზე დაწესებული სულადი გადასახადი) შენარჩუნებული იყო ირანელი ფეოდალების მიწებზე. მართალია, არაბთა ბატონობის ხანაში გაჰქრა ირანელ წარჩინებულთა მსხვილი მიწისმფლობელობა, მაგრამ დეჰყანებმა (საშუალო მიწისმფლობელებმა) შემოინახეს

---

[1] ხარაჯას მიწები სახალიფოში თავისუფლად იყიდებოდა იმის გამო, რომ საგადასახადო ვალდებულება ფაქტიურად ხელშეუხებელი იყო.

თავი, ქონება და უფლება თავიანთ მიწებზე მსხდარი გლეხების მიმართ. ირანის მთელ რიგ პროვინციებში შენარჩუნებული იყო დეჰყანური მიწისმფლობელობა, რომლის საფუძველზეც კვლავინდებურად წარმოებდა გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაცია.

დეჰყანები ძველი წესით იღებდნენ ჯიზიას, ხოლო ხარაჯას გარკვეულ წილს დამასკოს ხაზინაში გზავნიდნენ. ისინი წინააღმდეგობას უწევდნენ თავიანთი მიწა-წყლის მოსახლეობის გამაჰმადიანებას, რათა შეენარჩუნებინათ ჯიზია და სხვა ფეოდალური ვალდებულებანი. დეჰყანები ცდილობდნენ არ დაეშვათ ჯიზიას გაუქმება თვით გლეხთა გამაჰმადიანების შემთხვევაშიც. მაგრამ ჯიზიას არამუსლიმანებზე საყოველთაოდ გავრცელების პირობებში ამ გადასახადის მიმთვისებლად არაბთა ხელისუფლება გამოდიოდა. ამან გააძლიერა ადგილობრივი ფეოდალების ბრძოლა არაბობის წინააღმდეგ. მით უმეტეს, რომ ისინი საერთოდ მიისწრაფოდნენ გლეხთა ექსპლოატაციით მიღებული შემოსავალი მთლიანად თვითონ მიეღოთ, რადგან გადასახადების დიდი ნაწილი დამასკოში მიდიოდა. ფეოდალური უფლების დაცვის წადილმა დეჰყანები მკვეთრად დაუპირისპირა ომაელი ხალიფების ხელისუფლებას.

ჯიზიას არაბულ გადასახადად გადაქცევამ დაამძიმა ვაჭრებისა და ხელოსნების მდგომარეობაც.

ცნობილია, რომ არაბთა მიერ დაპყრობილ ქალაქებში უწინარეს ყოველისა ვაჭრები და ხელოსნები მაჰმადიანდებოდნენ. მაგრამ ბევრი ისევ ინარჩუნებდა მამა-პაპურ (ქრისტიანულ, ებრაულ, მაზდეანურ) სარწმუნოებას. ჯიზიას შემოღება მკაფიოდ მიუთითებს, თუ ჯერ კიდევ რა დიდი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი სხვადასხვა სარწმუნოების ვაჭრები და ხელოსნები სახალიფოს ქალაქებში. ასეთ ვაჭარ-ხელოსნებში ჯიზია ამიერიდან არაბული ხარკის წესით იკრიფებოდა. ამასთან თვით გამაჰმადიანებულ ვაჭარ-ხელოსნებს არაბები მავალებად სთვლიდნენ. ამიტომ ისინი იმ უფლებებს იყვნენ მოკლებული, რომლითაც ჩვეულებრივ არაბი მუსლიმანები სარგებლობდნენ.

რა თქმა უნდა, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში გლეხობა იყო როგორც ირანში, ისე არაბთა მიერ დაპყრობილ სხვა ქვეყნებში. გლეხები ორმაგ ექსპლოატაციას განიცდიდნენ. მათ ერთნაირის სისასტიკით ყვლეფდნენ ადგილობრივი ფეოდალები და ხალიფას მოხელეები. ხარაჯა, ჯიზია, საძოვრებზე დაწესებული გადასახადები („მარაი“) მიწისმოქმედთა და მესაქონლეთა გადასახდელი იყო.

ხარაჯას აკრეფა „მისაჰას“ და „მუკასამას“ წესით ხდებოდა.

გლეხთათვის განსაკუთრებით აუტანელი იყო „მისაჰა“, რომლითაც გადასახადი მიწის მოცულობის მიხედვით იყო განსაზღვრული და, ამასთან, ხარაჯა გასტუმრებული უნდა ყოფილიყო არა ნატურით, არამედ ფულით. „მისაჰა“ გადასახადების ამკრეფ მოხელეებს საშუალებას აძლევდა თვითნებურად მოეკლოთ მიწის საზომი ერთეული („გაზ“), რაც, ცხადია, დადგენილი ჯერიბის (საგადასახადო ერთეულის) შემცირებას იწვევდა და ერთბაშად ზრდიდა გადასახადის ოდენობას.

ხარაჯას აკრეფა „მუკასამას“ წესით გულისხმობდა მოწეული მოსავლის გაოკვეულ წილს და, ამ შემთხვევაში გადასახდელი, ჩანს, უპირატესად ნატურით იკრიფებოდა. გლეხებისათვის ხარაჯას მუკასამას წესით გადახდა შედარებით უფრო იოლი იყო, ვიდრე მისაჰას წესით.

მისაჰაც და მუკასამაც არაბებს სასანური ირანის საგადასახადო პრაქტიკიდან ჰქონდათ გადმოღებული, მაგრამ უპირატესობას, ხანმოკლე პერიოდის გამოკლებით, მუდამ მისაჰას ანიჭებდნენ. მისაჰა სახალიფოში გაბატონებული იყო აბასელ ხალიფა ალ-მანსურამდე.

მისაჰაც და მუკასამაც მხოლოდ დამუშავებულ მიწებზე იყო დაწესებული. ამავე დროს გადასახადის ოდენობის დაწესებისას მხედველობაში იყო ნიღებული სარწყავი და ურწყავი მიწები, მორწყვის საშუალებები და მიწის დამუშავების წესები, მფლობელობის ფორმები თუ სხვა ფაქტორები, მაგრამ ყველა ამას ადვილად უვლიდნენ გვერდს ისინი, ვინც გლეხთა ექსპლოატაციით ცხოვრობდნენ. მუსლიმანური სამართალი ამ შემთხვევაშიც დიდად იყო დაცილებული პრაქტიკას. გლეხის გამკითხავი არავინ იყო. უკიდურეს გაპირვებამდე მისული გლეხობა ბობოქრობდა, ჯანყდებოდა.

გლეხთა აჯანყებები ანტიფეოდალური ხასიათის მატარებელი იყო, რამდენადაც ეს აჯანყებები ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგაც იყო მიმართული. მაგრამ ადგილობრივი ფეოდალები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა გლეხთა ანტიფეოდალური მოძრაობისათვის მათთვის სასურველი მიმართულება მიეცათ, გადაეზარდათ იგი განმათავისუფლებელ ბრძოლაში და გამოეყენებინათ არაბობის წინააღმდეგ.

ომაელთა სახალიფო ფაქტიურად ხორასნის აჯანყებულმა გლეხებმა დაამხვეს, მაგრამ ამით მხოლოდ ირანელმა ფეოდალებმა ისარგებლეს.

VIII ს-ის პირველ ნახევარში ომაელი ხალიფების წინააღმდეგ ფარულად თუ აშკარად მოქმედებდნენ სხვადასხვა სოციალური ძალები. გაძლიერდა დაპყრობილ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლა. ბევრგან სოციალური ბრძოლა გადაეკვეთა განმათავისუფლებელ ბრძოლას. ომაელთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებენ მავალები, არაბი მიწისმფლობელები, ადგილობრივი ფეოდალები, გლეხები, ვაჭრები, ხელოსნები, მონები. თვით ჩრდილოეთის და სამხრეთის არაბებს შორის დაუსრულებლად წარმოებული ბრძოლა მარჯვედ გამოიყენეს ომაელი ხალიფების მოწინააღმდეგეებმა.

ომაელები ყოველმხრივ იზოლირებული აღმოჩნდნენ. მათი დამარცხების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ სახალიფოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების საფეხური VIII ს-ის პირველ ნახევარში აღარ შეესაბამებოდა არაბთა პოლიტიკურ ორგანიზაციას.

დამახასიათებელია, რომ ომაელი ხალიფების წინააღმდეგ მოქმედებენ ის არაბი ამირებიც, რომელნიც თანდათან ადგილობრივი მიწისმფლობელების წრეში აღმოჩნდნენ. ფეოდალიზაციის პროცესის გაძლიერებას არ შეიძლებოდა არ წარეხოცა ზღვარი არაბ და ადგილობრივ მიწისმფლობელებს შორის. ახლა უკვე არაბები არავითარ ანგარიშს არ უწევენ ომარ I-ის იმ კანონს, რომელიც სასტიკად კრძალავდა არაბების დაპყრობილი ქვეყნების მიწებზე დაჯდომას, მათს მიწისმფლობელებად გადაქცევას. ამ კანონის მთავარი მიზა-

ნი (არაბების დაპყრობილ ხალხებში ასიმილირების აღკვეთა) მიუღწეველი დარჩა. არაბების მიწისმფლობელობასთან დაკავშირება მყარ საფუძველს უქმნის დეჰყანებთან კავშირს, რაც სათანადო გამოხატულებას პოულობდა საერთო კლასობრივ ინტერესებში.

დეჰყანები ცდილობენ შეინარჩუნონ გადასახადების ის მნიშვნელოვანი ნაწილიც, რომელიც ხალიფას მოხელეებს დამასკოს ხაზინაში მიაქვთ (ამ განზრახვის რეალურად განხორციელება იქცა სახალიფოს სანაპირო ოლქების ეკონომიური დაწინაურების მნიშვნელოვან წყაროდ). ამასვე ცდილობენ ოლქების, ქალაქების და რუსთაკების ამირები. დეჰყანებნა მარჯვედ გამოიყენეს ხორასანში მომხდარი გლეხთა აჯანყება (747 წ.) აბუ მუსლიმის მეთაურობით. ამ აჯანყებამ, რომელშიაც არაბული ტომებიც მონაწილეობდნენ, დაამხო ომაელთა სახალიფო (750 წ.). აბასელთა სახალიფოს პოლიტიკურ ასპარეზზე დაწინაურდნენ ირანელი და შუაზიელი ფეოდალები.

ფაქტიურად აბასელთა სახალიფოში განახლდა ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების ის ხაზი, რომელიც VII ს-ში არაბებმა შეწყვიტეს და რომლის სათავე ჩვენ V—VI სს. ირანში დავინახეთ.

აბასელთა სახალიფოში საყოველთაოდ ვრცელდება ირანული პოლიტიკური ინსტიტუტები (ვეზირის თანამდებობა, მრავალცოლიანი დივანი), მიწისმოქმედებასთან ორგანულად დაკავშირებული ირანული ეროვნული დღესასწაულები (ნოვრუზი, მიჰრგანი...), მწერლობა (ფალაურიდან არაბულად გადათარგმნილი თხზულებები), ტანსაცმელი. თვით სპარსული მენიუც კი. ირანული გავლენის სიმბოლური გამოხატულება იყო ბაღდადის ისლამის მეტროპოლიად გამოცხადება (762 წ.). ბაღდადი გაშენდა ძველი კტეზიფონის მახლობლად. ტიგროსის მარჯვენა ნაპირზე. სახალიფოს პოლიტიკურმა ცენტრმა გადაინაცვლა ერაყში, სადაც ადრეკე იყო ჩასახული და საკმაოდ განვითარებული ფეოდალური ურთიერთობა.

დეჰყანებმა (მსხვილმა კერძო მიწისმფლობელებმა) მნიშვნელოვნად განამტკიცეს თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური პოზიციები აბასელთა ანუ ბაღდადის სახალიფოში. VIII ს-ში მასიურად ხდება დეჰყანების გამაჰმადიანება. ისლამი მათთვის მიუღებელი აღარ იყო. ახლად გამაჰმადიანებული არიან, კერძოდ, ყოვლისშემძლე ბარმაქელი ვეზირები. ისლამი დეჰყანებმა თავიანთ კლასობრივ ინტერესებს დაუქვემდებარეს. მათ არაბებს მიაღებინეს არა მარტო ადგილობრივ ნიადაგზე განვითარებული მიწისმფლობელობის წესები, არამედ თვით მათს სარწმუნოებაში შეიტანეს არსებითი ხასიათის ცვლილებები.

VIII ს-ის ისლამი, როგორც მსოფლიო რელიგია, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ადრინდელი, საკუთრივ არაბების, ისლამისაგან.

აბასელთა გამარჯვების ხანაში არაბთა სამხედრო შესაძლებლობა ამოწურული იყო. ამიტომ აღმოსავლეთის სახელმწიფოებისათვის საერთოდ დამახასიათებელი სამი უწყებიდან (სამხედრო, საფინანსო და საზოგადოებრივი სამუშაოები) მოქმედებას იწყებს მესამე უწყება (რეპროდუქციის, კვლავწარმოების). სახელმწიფოს განსაკუთრებული ყურადღების საგნად ხდება ახალი სარწყავი არხების გაყვანის და მათი მოვლა-შეკეთების საქმე. ახლად დამუშავებული მიწები ზრდის ხარაჯას. ხარაჯა ხდება სახელმწიფოს და მიწის-

მფლობელების შემოსავლის ერთადერთი წყარო, რადგან ამ დროისათვის დაშრეტილი აღმოჩნდა შემოსავლის მთავარი წყარო—ომში მოპოვებული ალაფი და ნადავლი.

აშკარაა სახალიფოს ეკონომიური აღმავლობა VIII ს-ის მეორე ნახევარში. ვითარდება ქალაქები, ვაჭრობა და ხელოსნობა. ძლიერდება ხელოსნობის სოფლის მეურნეობიდან გამოყოფის პროცესი.

ქალაქი სახალიფოში ამიერიდან განუხრელად ადგება ფეოდალური განვითარების გზას.

მთავარი ყურადღება, რა თქმა უნდა, მაინც მიწას და მიწის დამუშავებას მიექცა. VIII ს-ის დამლევს ხალიფების დაკვეთით აბუ იუსუფ იაკუბი წერს ეკონომიურ ტრაქტატს „ქითაბ ალ-ხარაჯ“ („ხარაჯას წიგნს“), სადაც დაწვრილებითაა აღნუსხული მიწათსარგებლობის წესები, გადასახადები და მწარმოებელ საზოგადოებასთან დამოკიდებულების ფორმები.

აბუ იუსუფის, კუდამას (IX ს.) და მავარდის (XI ს.) ეკონომიური ტრაქტატების („ქითაბ ალ-ხარაჯების“) მიხედვით შესაძლებელი ხდება სახალიფოს სოციალურ-ეკონომიური ვითარების გათვალისწინება VIII—IX საუკუნეებში.

## § 3. აბასელთა სახალიფოს სოციალურ-ეკონომიური ვითარება VIII—IX საუკუნეებში

VIII ს-ის შუა წლები არაბთა სახელმწიფოს ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი ცვლილებებით აღინიშნა. „ადრეფეოდალურმა, მრავალწყობიანმა არაბთა სახელმწიფომ გადაიტანა პოლიტიკური კრიზისი, რომელიც აბასელთა გამარჯვებით დამთავრდა“ [1]. 750 წლის გადატრიალების შედეგად ომაელთა დინასტია აბასელთა დინასტიამ შეცვალა. მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ პოლიტიკური გადატრიალება, დინასტიების უბრალო ცვლა; იგი აღნიშნავდა ღრმა ცვლილებებს როგორც ქვეყნის პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში. მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახალიფოს შემდგომი განვითარებისათვის, ფეოდალიზაციის პროცესის დაჩქარებისათვის. ომაელთა სახალიფოს დამხობა ფეოდალიზაციის პროცესის კანონზომიერ შედეგს წარმოადგენდა. იგი გამოწვეული იყო უფრო განვითარებული ფეოდალური ბაზისის შესაბამისი პოლიტიკური წყობილების არსებობის აუცილებლობით. ფეოდალური ურთიერთობის განვითარება მოითხოვდა პოლიტიკური წყობილების შედარებით უფრო განვითარებულ სტადიაზე გადასვლას. ამდენადვე, აბასელთა სახალიფოს სახელმწიფო წყობილება ახალი საფეხური იყო არაბთა სახელმწიფოს განვითარებაში.

აბასელთა გამარჯვების შედეგებმა თავისი გამოხატულება რელიგიის სფეროშიც ჰპოვა. ამ დროს ისლამი ნსოფლიო რელიგიად იქცა. წაიშალა განსხვავება არაბ და არაარაბული წარმოშობის მუსლიმანებს შორის. ახლა ირანელი ფეოდალები ხალისით მაჰმადიანდებიან, რადგან ისლამი ფეოდალური საზოგადოების იდეოლოგიად ხდება. მუსლიმანური ეკლესიის მოწოდება—

[1] Н. В. Пигулевская. Проблемы распада рабовладельческого общества и формирования феодальных отношений на Ближнем Востоке, გვ. 61.

„მორწმუნენო! დაემორჩილეთ ალლაჰს, დაემორჩილეთ მოციქულს მისას და იმათ თქვენს შორის, ვისაც აქვს ძალაუფლება“—კლასობრივი ბატონობის იარაღია როგორც არაბი, ისე ირანელი და არაირანელი ფეოდალების ხელში.

ირანული გავლენის შედეგად სწრაფად ვითარდება ფეოდალიზაციის პროცესი. ირანელი ფეოდალები სულ სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობის მატარებელი იყვნენ. ისინი ავითარებენ ექსპლოატაციის იმ ფორმებს, რომლებიც საგრძნობლად განსხვავდებოდა არაბთა გვაროვნული არისტოკრატიის ბატონობის დროს არსებული ექსპლოატაციის ფორმებისაგან. ხარკისა და ნადავლის ნაცვლად, რაც ომაელთა ხანაში წარმოადგენდა გაბატონებული კლასის გამდიდრების ძირითად წყაროს, ახლა შემოსავლის მთავარ წყაროდ იქცა რენტა—გადასახადი, რომლის აკრეფა ძირითადად ნატურის სახით წარმოებს.

მაგრამ ფეოდალურ ურთიერთობათა სრულ განვითარებას ბაღდადის სახალიფოში მნიშვნელოვან დაბრკოლებას უქმნიდა მონათმფლობელური წყობის გადანაშთები, რომლის შეუფასებლადაც შეუძლებელია აბასელთა სახალიფოს ფეოდალური ურთიერთობის თავისებურების წარმოდგენა.

მონის შრომა ფართოდ იყო გამოყენებული სახალიფოში. მონებს ამუშავებდნენ საზოგადოებრივი შრომის ყველაზე მძიმე უბნებზე: ხელოვნური მორწყვის სისტემაში, ბამბის პლანტაციებზე, მაღაროებში, ქაობების ამოშრობაზე, მარილის მოსაპოვებლად და სხვ.

მონის შრომა გამოყენებული იყო აგრეთვე ხელოსნობასა და სოფლის მეურნეობაში. მონები ისხდნენ იმ მიწებზე, რომლებსაც ამუშავებდნენ, ანდა ეწეოდნენ ხელოსნობას. მონის შრომის შემოსავალი მონათმფლობელს მიჰქონდა. მონა ხელოსანი მონათმფლობელს უხდიდა ყოველდღიურ გადასახადს, დარიბას, რომელიც ერთ დირჰემზე ნაკლები თითქმის არასოდეს არ იყო. მონას შეეძლო განთავისუფლებულიყო. განთავისუფლებული მონა იქცეოდა მავალად, მაგრამ არავითარი უფლებებით არ სარგებლობდა.

არსებობდა მიწისმოქმედი და ხელოსანი მონის ექსპლოატაციის სხვა ფორმაც: მონათმფლობელი უხდიდა მონას დღეში ერთ დირჰემს, სამაგიეროდ ართმევდა მას შრომის მთელ პროდუქტს.

მონათა რიცხვი სახალიფოში მეტად დიდი იყო. არაბული წყაროების ცნობების მიხედვით სახალიფოს წარჩინებულებს ათასობით მონები ჰყავდათ.

ფართოდ იყო გავრცელებული მონებით ვაჭრობა. სახალიფოს ყველა დიდ ქალაქში, განსაკუთრებით კი ერაყის ქალაქებში, არსებობდა მონათა სპეციალური ბაზრები.

სასტიკი ექსპლოატაციისაგან თავის დასაღწევად მონები ხშირად ერთიანდებოდნენ, გარბოდნენ ან ჯანყდებოდნენ. ასეთი გაქცეული ან აჯანყებული მონებით სავსე იყო სახალიფოს საპატიმროები.

ყოველივე ზემომოყვანილი იმაზე მიუთითებს, რომ ეს არ იყო მხოლოდ საოჯახო მონობა. მაგრამ ამავე დროს შეცდომა იქნებოდა ჩაგვეთვალა სახალიფო მონათმფლობელურ სახელმწიფოდ. დაწვრილებით განიხილავს რა-

მონობის საკითხს სახალიფოში, პროფ. იაკუბოვსკი დაასკვნის: „Однако было бы огромной ошибкой сделать вывод, что халифат был рабовладельческим обществом, ибо анализ остальных сторон общественной жизни определенно вскрывает, что мы имеем дело с действующими феодальными отношениями. Рабство—только уклад, но уклад, имеющий огромное значение для социально-политической и культурной жизни арабского государства“ [1].

მონათმფლობელობის ასეთი ძლიერი გადმონაშთები იმაზე მიუთითებს, რომ ფეოდალიზაციის პროცესი სახალიფოში ჯერ კიდევ არაა დამთავრებული და რომ იგი შეიძლება განვითარდეს ფეოდალური წარმოების წინამორბედი ფორმების ლიკვიდაციის ხარჯზე. მართლაც, ერთი იმ არხთაგანი, რომლის მიხედვითაც წარმოებს ფეოდალური ურთიერთობის ზრდა, არის მონების გადაყვანა კოლონებად, როგორც მეიჯარე, ისე ბეგარა ვალდებულ მიწის დამმუშავებლებად [2]. იყო მეორე გზაც, რომლის მიხედვითაც ხდებოდა ფეოდალური ურთიერთობის შემდგომი ზრდა. მიწისმოქმედი თემის შიგნით ვითარდება გარკვეული ტიპის ურთიერთობა, რომელიც მუზარაყას სახელითაა ცნობილი. ესაა მიწის დამუშავების ისეთი სისტემა, როდესაც თემის წევრების ერთი ნაწილი უშუალოდ მიწის დამმუშავებელს წარმოადგენს, მეორე კი—სასოფლო-სამეურნეო იარაღის, მუშა საქონლის და თესლის მფლობელია. ასეთი სისტემა თავისთავად ქმნის ექსპლოატაციის პირობებს, ვინაიდან იარაღის, მუშა საქონლისა და თესლის მფლობელი პირები შემოსავლის მეტ ნაწილს მოითხოვენ. პროდუქტების გასხვისებას მუზარაყას პირობებში თანდათანობით მოყვა რენტის აღება [3].

მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახალიფოს შემდგომი ფეოდალიზაციის საქმეში იკტას ინსტიტუტმაც.

განვითარების ახალ საფეხურს მიაღწია ამ დროს არაბთა სახელმწიფო წყობილებამაც. აბასელთა სახალიფოს პოლიტიკურმა ორგანიზაციამ ფეოდალური ბაზისის შესაბამისი სახე მიიღო. იგი მუსლიმანური აღმოსავლეთის ფეოდალური წარმონაქმნების სახელმწიფო წყობილების ნიმუშად იქცა.

ახალ ბაზაზე იქნა გამოყენებული სასანიანთა ირანის სახელმწიფო ტრადიციები და გამოცდილება. თავისი ადმინისტრაციულ-ფინანსური სტრუქტურით და მრავალრიცხოვან უწყება-დაწესებულებებით აბასელთა სახალიფო სასანიანთა სახელმწიფოს მოგვაგონებს. მაგრამ, როგორც ვ. ბარტოლდმა მიუთითა თავის დროზე, სახალიფოს სახელმწიფო წყობილება, სასანელთა სახელმწიფო წყობილების განმეორება კი არ იყო, არამედ მისი შემდგომი განვითარება [4].

---

[1] А. Ю. Якубовский. Ирак на грани VIII—IX вв., Труды первой сессии арабистов. 1937, გვ. 40.

[2] А. Ю. Якубовский. Об испольных арендах в Ираке в VIII в., СВ, 1947 IV, გვ. 180.

[3] Е. Беляев. Ислам и арабский халифат VII—IX вв., Исторический журнал, 1938, № 7, გვ. 67.

[4] В. В. Бартольд. Иран, 1926, გვ. 30.

აბასელთა სახალიფოს სათავეში იდგა ხალიფა, რომლის ხელთ იყო მთელი საერო და სასულიერო ძალაუფლება. იგი წარმოადგენდა „ალაჰის აჩრდილს დედამიწაზე“ [1]. სახელმწიფოს ხალიფა სხვადასხვა უწყების ანუ დივანის საშუალებით განაგებდა.

პირველი პირი სახელმწიფოში ხალიფას შემდეგ და ამ დაწესებულებათა ფაქტიური ხელმძღვანელი ვეზირი იყო. იგი წარმოადგენდა ხალიფას მოადგილეს საერო დარგში.

ვეზირის სახელისუფლოს საკითხავი იყო ყველა სამოქალაქო და სამხედრო საქმე, ადმინისტრაციის, ფინანსების და ჯარის ზედამხედველობა.

ვეზირი ხელმძღვანელობდა და კონტროლს უწევდა სახელმწიფოს ყველა ადმინისტრაციულ, საფინანსო და სამეურნეო დაწესებულებას. მას უშუალოდ ექვემდებარებოდა რამდენიმე **დივანი**. მათ შორის 1) სახელმწიფო ბეჭდის დივანი—კანცელარია, საიდანაც გამოდიოდა სახელმწიფო საბუთები; 2) დოკუმენტთა დივანი—დაწესებულება, რომელიც განაგებდა ბოძების საქმეს და დიპლომატიურ მიმოწერას; 3) სახელმწიფო შემოსავლის (ხარაჯას) დივანი—განაგებდა გადასახადების აღრიცხვისა და აკრეფის საქმეს; 4) გასავლის დივანი; 5) გვარდიის დივანი—დაწესებულება, რომელიც უწევდა სამეურნეო და საფინანსო მომსახურებას ლაშქარს, რომლის მოვალეობას შეადგენდა სასახლისა და ხალიფას პიროვნების დაცვა; 6) აბასელთა ლაშქრის ყველა სხვა სახეობათა დივანი—განაგებდა სახალიფოს ყველა დანარჩენი სამხედრო ძალის სამეურნეო ნაწილს; 7) აუცილებელი მარაგის დივანი—განაგებდა სასახლის მომარაგების საქმეს.

ვეზირის უპირველეს მოვალეობას შეადგენდა გადასახადების აკრეფისათვის თვალყურის დევნება ხალიფასა და სახელმწიფო მიწებიდან.

ვეზირის ხელთ იყო აგრეთვე სახელმწიფო კონტროლის საქმე, რომელსაც იგი ახორციელებდა სპეციალური დაწესებულებების დივან აშ-შურტასა და ბარიდის [2], საფოსტო სადგურის, საშუალებით.

დივან აშ-შურტას—პოლიციის დივანის—ფუნქციებში შედიოდა მუსლიმანთა მორალის დაცვა, ვაჭრობისათვის თვალყურის დევნება.

ბარიდის საშუალებით ვეზირი სახელმწიფო აპარატის საქმიანობის კონტროლსა და სადაზვერვო საქმეს ხელმძღვანელობდა. თავდაპირველად ბარიდის ფუნქციებში შედიოდა სახელმწიფო კორესპონდენციების მიწოდება ცენტრიდან პროვინციებში და, პირუკუ. მასვე ევალებოდა ახლად დანიშნული მოხელეების მიყვანა დანიშნულებისამებრ. ამ დაწესებულების ძთავარი მოვალეობა იყო თვალყური სჭერდა სახელმწიფო მოხელეებზე. ბარიდის უფროსი წარმოადგენდა ცენტრალური ხელისუფლების „თვალსა“ და „ყურს“. მას ჰყავდა ინფორმატორებისა და მეთვალყურეების მთელი შტატი. მეთვალყურე

---

[1] თავდაპირველად ხალიფა ნიშნავდა მოციქულის მოადგილეს. აბასელების ხანიდან მოყოლებული ხალიფა აღნიშნავს არა მარტო მოციქულის მოადგილეს, არამედ ალაჰის მოადგილესაც.

[2] აბასელების ბარიდი სასანელთა მსგავსი დაწესებულების შემდგომ განვითარებას წარმოადგენს.

მოხელეებს რეგულარულად უნდა მიეწოდებინათ ცნობები მოხელეთა საქმიანობის, ადგილობრივი მოსახლეობის განწყობილების, მიწისმოქმედებისა და ხელოვნური მორწყვის სისტემის მდგომარეობის, ზარაფხანებისა და მოჭრილი ოქროსა და ვერცხლის ფულის რაოდენობის შესახებ [1]. მთავარი ფოსტის (ალ-ბარიდის) უფროსი პროვინციების ფოსტის უფროსების მიერ მოწოდებული ცნობების საფუძველზე მოხსენებას უკეთებდა ვეზირს. ჰარუნ არ-რაშიდის დროს ამ უწყებამ ძირფესვიანი რეორგანიზაცია განიცადა. ამ ხანიდან „საჰიბ ალ-ბარიდი“ უშუალოდ ხალიფას ემორჩილება [2].

ვეზირი განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა. იგი დამოუკიდებლად წყვეტდა მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეებს. ხსნიდა და ნიშნავდა მოხელეებს, სარდლებს და ვალდებული იყო გადაწყვეტილებები მხოლოდ ხალიფასათვის მოეხსენებინა. იყო შემთხვევები, როცა ვეზირი ხალიფას დაუკითხავად წყვეტდა მეტად მნიშვნელოვან საქმეებს. გარკვეულად შეიზღუდა ვეზირის უფლებები ჰარუნ არ-რაშიდის დროს, ხოლო ხალიფა მუთასიმის დროიდან მას უპირისპირდება ამირ ალ-უმარა (თურქი სარდალი), რომელიც X საუკუნეში ვეზირის ადგილს იკავებს სახალიფოში.

სასულიერო დარგში ხალიფას მოადგილედ ითვლებოდა კადი ალ-კუდათი, მთავარი ყადი, რომლის ხელთ იყო სასამართლო და განათლების საქმე. აბასელთა რელიგიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით მთავარი ყადი მეტად მნიშვნელოვანი ფიგურა იყო სახალიფოში.

სახალიფოს განვითარებულ ეკონომიურ და სოციალურ ურთიერთობათა პირობებში შეუთავსებელი აღმოჩნდა მუჰამედის დროინდელი წესები. აბასელები კი, ომაელებისაგან განსხვავებით, თეოკრატიული სახელმწიფოს იდეას უპირდნენ მხარს, რათა მუჰამედის ჩამომავლობის აღნიშვნით განემტკიცებინათ თავიანთი ბატონობა. ამიტომ საჭირო გახდა ახალი (ფეოდალური განვითარების შედეგად მიღებული) მოვლენების მუჰამედის სუნნასა და ისლამის რელიგიის მოთხოვნებთან შეხამება. მუჰამედის დროინდელად გასაღებული ჰადისების (გადმოცემების) საშუალებით განიხილებოდა მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის, გადასახადების და საგადასახადო სისტემის, იკტა ინსტიტუტის და გლეხთა ექსპლოატაციის პრაქტიკა. სწორედ ამიტომ კადი ალ-კუდათის თანამდებობას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა.

მთავარ ყადის ემორჩილებოდნენ ქალაქების და პროვინციების ყადიები. კადი ალ-კუდათის ყოველწლიური შემოსავალი ოდენობით ვეზირის ყოველწლიურ შემოსავალს უტოლდებოდა.

სახალიფოს პროვინციული მმართველები ახლაც ამირები იყვნენ. ამირები განაგებდნენ ქალაქებს, რუსთაკებს, ქვეყნებს. მათ ემორჩილებოდა მოხელეთა მრავალრიცხოვანი შტატი, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ამილები—ხარაჯას ამკრეფი მოხელეები.

აბასელთა სახელმწიფო, როგორც გაბატონებული ფეოდალური კლასის პოლიტიკური ორგანიზაცია, ყველა პირობას ქმნიდა მწარმოებელთა ექსპლოატაციის უზრუნველსაყოფად.

---

[1] А. Мюллер. История ислама, II, გვ. 151.

[2] Ph. Hitti. History of the Arabs, 1946, გვ. 323.

განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა „საფინანსო უწყებას“, რომლის როლი „სამხედრო უწყების“ მოქმედების შესუსტებასთან ერთად კიდევ უფრო გაიზარდა. დაპყრობითი ომების წარმოების შესაძლებლობა აბასელთა სახალიფოში ამოწურული იყო. აბასელთა დაპყრობები მხოლოდ ცალკეულ ლაშქრობათა ხასიათს ატარებს, რომელთა მიზანია სახალიფოს ძველი ტერიტორიების შემომტკიცება. ხარკი და ნადავლი სახალიფოს შემოსავლის ძირითადი წყარო აღარაა. სახელმწიფო ხაზინის შევსება ახლა ხოლოდ გადასახადების ხარჯზე ხდება. გადასახადები სახელმწიფოს შემოსავლის ძირითად წყაროდ იქცა. არაბული გადასახადების უდიდესი ნაწილი დაპყრობილ მოსახლეობას დააწვა მხარზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე მყარი წყარო მიწაზე დაწესებული გადასახადებია. ამიტომ აბასელი ხალიფები ყოველგვარი ღონისძიებით ცდილობენ მიწისმოქმედი მოსახლეობის გადასახადისუნარიანობის გადიდებას. პირველი აბასელი ხალიფები ატარებენ გარკვეულ საგადასახადო რეფორმას, რაც მაღლა სწევს მოსახლეობის დაინტერესებას სოფლის მეურნეობით და ზრდის ხარაჯის ოდენობას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სახალიფოს შიდა რაიონებს, რომლებიც გამოირჩევიან სიმდიდრით. ასეთია უპირველეს ყოვლისა ერაყი, სახალიფოს ყველაზე მდიდარი ოლქი, დასერილი უამრავი სარწყავი არხებით, მოფენილი ბაღებით, პალმებით, ბამბისა და ბრინჯის ნათესებით. ერაყიდან შემოდიოდა სახელმწიფო შემოსავლის 35%. ასევე დიდი შემოსავალი მოქონდა სახალიფოსათვის ირანულ პროვინციებს, განსაკუთრებით ხორასანსა და ხუზისტანს.

პირველი აბასელი ხალიფების დროს გაძლიერებულად მოქმედებს „საზოგადოებრივ სამუშაოთა უწყება“, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს საწარმოო ძალთა განვითარებას. მიწისმოქმედებისა და ხელოსნობის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვნად ცხოველდება გაცვლა-გამოცვლა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მეზობელ ქვეყნებთან. ვითარდება ვაჭრობა, იზრდება ქალაქების რაოდენობა, რთულდება საქალაქო ცხოვრება. არაბული ქალაქები ამ დროს წარმოადგენენ მნიშვნელოვან ეკონომიურ და კულტურულ ცენტრებს. არაბი ვაჭრები დაკავშირებულნი იყვნენ მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრებთან, ქალაქებთან, ნავსადგურებთან. სახალიფო აწარმოებდა ვაჭრობას ინდოეთთან, ჩინეთთან, რუსეთთან, აღმ. აფრიკასთან, სახელმწიფო დიდძალ შემოსავალს იღებდა საგარეო ვაჭრობიდან. სახალიფოს ეკონომიური და კულტურული აღმავლობა დამახასიათებელია განსაკუთრებით VIII ს-ის მეორე ნახევრისათვის.

სახალიფოს ეკონომიურ ძლიერებას მოწმობს აღებული ხანის სახალიფოს ბიუჯეტი, რომელიც ძირითადად გადასახადებისაგან შედგებოდა. VIII—IX ს. მიჯნაზე სახალიფოს საერთო შემოსავალი 530.312.000 დირჰემს უდრიდა. აქედან 125.533.000 ოქროთი (5.706.000 დინარი), დანარჩენი 404.730.000 ვერცხლით შემოდიოდა[1]. ამას გარდა, შემოდიოდა აუარებელი ად-

[1] A. Kremer. Über das Budget der Einnahmen unter der Regierung des Harun ar-Rašid, Wien, 1887; რობენის რეცენზია დასახელებულ შრომაზე, ЗВО, т. IV, вып. 1—2, 1889, зз. 130.

გილობრივი პროდუქტი ნატურის სახით, რომლის გამოთვლაც ჭირს: ქსოვილები, ტანსაცმელი, ნოხები, ფრინველები, ცხოველები, ცხენები, აქლემები, სპილოები, თევზები, თაფლი, ნიგოზი, შაქარი და სხვა.

ყველაფერი ეს დაფუძნებული იყო არაბულ ხარკსა და გადასახადებზე.

აბასელთა სახალიფოს ძლიერება და ეკონომიური აღმავლობა გაპირობებული იყო მწარმოებელი საზოგადოების ექსპლოატაციით.

მიწის საკუთრების ფეოდალურ ფორმებში განვითარება უზრუნველყოფდა და განამტკიცებდა ფეოდალების ძალაუფლებას, უზრუნველყოფდა ფეოდალებზე მწარმოებლების დამოკიდებულებას და მათ მიმართ გარეეკონომიური იძულების გამოყენებას.

## ა. მიწისმფლობელობის კატეგორიები

არაბული საისტორიო წყაროებისა და საკანონმდებლო ძეგლების საფუძველზე სახალიფოში ძირითადად მიწისმფლობელობის ხუთი სახეობის გამოყოფაა შესაძლებელი:

1. სახელმწიფო მიწები.
2. ხალიფასა და მისი სახლის წევრების მიწები (სულთნის „ჰამული").
3. მუსლიმანური ეკლესიის მიწები („ვაკუფები").
4. კერძო საკუთრების მიწები („მულქი" ანუ „მილქი").
5. სათემო მიწები.

სახელმწიფო საკუთრება მიწაზე არ გამორიცხავდა სხვა პირთა მფლობელობით უფლებას ამავე მიწაზე. როგორც კ. მარქსი შენიშნავს „სახელმწიფო აქ (აღმოსავლეთში—ე. ს.) მიწის უზენაესი მესაკუთრეა, სუვერენიტეტი აქ ნაციონალური მასშტაბით კონცენტრირებული მიწის საკუთრებაა. სამაგიეროდ ამ შემთხვევაში არ არსებობს არავითარი კერძო მიწის საკუთრება, თუმცა არსებობს როგორც კერძო, ისე თემური მფლობელობა და სარგებლობა მიწისა" [1].

მიწით სარგებლობა არ იყო გათიშული წყლით სარგებლობისაგან.

აღმოსავლეთში მიწა მხოლოდ ირწყვის საშუალებით ხდება გამოსადეგი მიწისმოქმედებისათვის. „მიწისმოქმედების პირველ პირობას აქ ხელოვნური მორწყვა წარმოადგენს" [2]. ამიტომაც მიწების მორწყვის ორგანიზაცია აღმოსავლეთში ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობათაგანი იყო. სახელმწიფოს მბრძანებელი, როგორც ენგელსი შენიშნავს, უწინარეს ყოვლისა, მინდვრების მთავარი მომწესრიგებელი იყო, რადგანაც „მოურწყავად იქ შეუძლებელია მიწისმოქმედება" [3].

აბასელებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სარწყავ არხებს და მიწის მორწყვის სხვა საშუალებების ორგანიზაციას. ხალიფა მანსურიდან

---

[1] კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, 1934, გვ. 310.
[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, გვ. 75.
[3] ენგელსი. ანტი-დიურინგი, გვ. 212.

მოკიდებული ეს საკითხი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი გახდა. ამასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული განვითარება საზოგადოებრივ სამუშაოთა უწყებისა, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერებულად მოქმედებს აბასელების დროს.

დიდი მაგისტრალური არხების მესაკუთრედ სახელმწიფო ითვლებოდა. მასვე ეკუთვნოდა ხშირად წვრილი სარწყავი არხებიც. ამ არხებისათვის თვალყურის დევნება და წესრიგში მოყვანა სახელმწიფოსვე ევალებოდა. რაც შეეხება კერძო საკუთრების არხებს, მათზე მთლიანად ერცელდებოდა მფლობელის უფლებები.

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო  მ ი წ ე ბ ი — მიწების უდიდესი ნაწილი სახელმწიფოს განკარგულებაში იყო. აბუ იუსუფის „ქითაბ ალ-ხარაჯში“ ეს მიწები აღნიშნულია ტერმინით „კატაიღი“. ერაყში მათ სხვანაირად „სავაფისაც“ უწოდებდნენ. არაბთა სახელმწიფოს მიწების ეს ფონდი შედგა ხოსროს (სასანელი შაჰინშაჰის) და მისი ოჯახის წევრების, მარზპანების, ბრძოლაში მოკლულ ან მტრის ტერიტორიაზე გაქცეულ პირთა კუთვნილი მიწებისაგან. ასევე ყველა ამომშრალი, ჭაობიანი, სილიანი, წყლით დაფარული ადგილებისა და ტყეებისაგან, რომლებიც არავის საკუთრებას არ წარმოადგენდა. ეს მიწები ჯერ კიდევ ომარ I-მა აქცია სახელმწიფო მიწებად. ისინი განიხილებოდა როგორც ნადავლი—ფაი და ამის საფუძველზე წარმოადგენდა მუსლიმთა თემის საერთო საკუთრებას.

სახელმწიფო მიწების რიცხვში შედიოდა აგრეთვე ის 1/5, რომელიც დაპყრობილ ტერიტორიაზე ნადავლის გაყოფის, შედეგად სახელმწიფო ხაზინას წილში რჩებოდა ხოლმე. დაპყრობილ ტერიტორიაზე ხალიფას შეეძლო გაეყო მიწები დამპყრობელთა შორის როგორც ნადავლი, გამოყოფდა რა 1/5-ს სახელმწიფო ხაზინისათვის. მაგრამ ხალიფები გარკვეული მოსაზრებებით ერიდებოდნენ მიწების გაყოფას, რის გამოც ასეთი მიწები სახელმწიფო მიწების მცირე ნაწილს შეადგენდა.

სახელმწიფო მიწების რიცხვს განეკუთვნებოდა ე. წ. მკვდარი მიწები (მავათი). მკვდარი ისეთი მიწაა, რომელზედაც არა ჩანს დამუშავების კვალი, არაა ზედ აგებული შენობა, არ წარმოადგენს არავის საკუთრებას და არც არავის მფლობელობაში არ იმყოფება[1]. მკვდარ მიწას უტოლდება აგრეთვე ის ტერიტორია, რომელიც ქალაქს გარეთ მდებარეობს. ასევე წყლის გათხელების შედეგად ტიგროსსა და ევფრატში გაჩენილი კუნძულები.

სახელმწიფო მიწები ძირითადად იჯარის წესით მუშავდებოდა ანდა გაიცემოდა მფლობელობაში იკტას სახით.

სახალიფოში იკტა აღნიშნავდა: 1. მ ი წ ი ს  გ ა ც ე მ ა ს  გ ა რ კ ვ ე უ ლ ი  გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი ს  პ ი რ ო ბ ი თ, 2. მ ი წ ი ს  შ ე მ ო ს ა ვ ლ ი ს  გ ა ც ე მ ა ს  ჯ ა მ ა გ ი რ ი ს  ან  პ ე ნ ს ი ი ს  ს ა ხ ი თ. პირველ შემთხვევაში გაიცემოდა მიწა, რომელიც არ იყო კერძო მფლობელობაში. სამაგიეროდ მიწის მიმღები იხდიდა მიწაზე დაწესებულ გარკვეულ გადასახადს—ხარაჯას ან უშრს. მეორე შემთხვევაში კი გაიცემოდა მიწის შემოსავალი, როგორც სახელმ-

[1] ა ბ უ  ი უ ს უ ფ ი, გვ. 76.

წიფო ხაზინის მიერ გარკვეული თანხის გადახდის გარანტია. თანდათან იკტას ცნება გაფართოვდა და იხმარებოდა სხვადასხვა მნიშვნელობით. მაგ., გადასახადების, ბაჟების, არხებსა და მდინარეებზე გამოსაღების აკრეფის უფლების იჯარით გაცემის მნიშვნელობით. უფრო გვიან კი იკტამ მიიღო განსაკუთრებული მნიშვნელობა. იგი „სამხედრო ლენის“ აღმნიშვნელ ტერმინად იქცა [1].

იკტას შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს აბუ იუსუფის „ქითაბ ალ-ხარაჯი“. წიგნში განხილულია მხოლოდ მიწის გაცემა სამხედრო ან სამოქალაქო სამსახურისათვის, ასევე გარკვეული დამსახურებისათვის, გადასახადის—ხარაჯას ან უშრის—გადახდის პირობით, რომელსაც ამ მიწებზე აწესებს სახელმწიფო და კრეფს სახელმწიფო მოხელე. აბუ იუსუფის ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ იკტას სახით მიწის გაცემა ძირითადად მკვდარი მიწების, მავათების, ხარჯზე ხდებოდა. მავათი, რომელიც ეძლეოდა გარკვეულ პირს, დამუშავებული უნდა ყოფილიყო სამი წლის განმავლობაში, წინაალმდეგ შემთხვევაში მიწის მფლობელი კარგავდა ამ მიწაზე უფლებას.

აბუ იუსუფის ნაშრომში იკტას მიწები გაგებულია როგორც ქონება, რომლის ყიდვა-გაყიდვა და მემკვიდრეობით გადაცემა შეიძლება. წიგნში მოტანილია იკტას ყიდვა-გაყიდვის მაგალითები. [2] აბუ იუსუფის მიხედვით არავის არა აქვს უფლება წაართვას იკტა მას, ვინც მიიღო იგი მემკვიდრეობით ანდა იყიდა [3]. აბუ იუსუფის თვალსაზრისით ასეთი მიწა მფლობელის მეტ დაინტერესებას იწვევს და მეურნეობის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

საჩუქრად გაცემული მიწა უტოლდება ფულს ასევე საჩუქრად გაცემულს. აბუ იუსუფს უკეთესად მიაჩნია მიწის გაცემა, რადგანაც, ერთის მხრივ, ეს ხელს უწყობს მეურნეობის განვითარებას ხოლო, მეორეს მხრივ, სახელმწიფო ხაზინას ათავისუფლებს ფულის გაცემისაგან. „მიწა,—წერს აბუ იუსუფი,—ჩემის აზრით, იგივეა, რაც ფული (ქონება). იმამს აქვს უფლება აჩუქოს სახელმწიფო ხაზინიდან ფული მათ, ვინც მოუტანს ისლამს სარგებლობას და რომელთა საშუალებითაც შეიძლება მტერს გაუსწორდეს. ამ შემთხვევაში იმამი აკეთებს იმას, რაშიც ხედავს მეტ სარგებელს მუსლიმანებისათვის და [რაც მიაჩნია] უკეთესად მათი [საერთო] საქმისათვის“ [4].

აბუ იუსუფის მიხედვით იკტას აძლევდნენ მათ, ვისაც რაიმე დამსახურება მიუძღოდა ისლამის წინაშე, ანდა მათ, რომელთაც შეეძლოთ მტრის დამარცხება [5], ე. ი. იკტას მიღება შეეძლო სახალიფოში ყველა პირს, ვინც რაიმე სამსახურს ასრულებდა—სამოქალაქოს თუ სამხედროს. ამავე დროს სამსახური არ იყო აუცილებელი პირობა. იკტას სახით მიწის მიღება რაიმე დამსახურებისათვისაც იყო შესაძლებელი.

იკტას მფლობელი წიგნში საჰიბ ალ-იკტაყის სახელითაა მოხსენიებული. საინტერესოა, რომ იკტას მფლობელის აღმნიშვნელი უფ-

---

[1] E. J. ტ. II, გვ. 491.
[2] აბუ იუსუფი, გვ. 73.
[3] იქვე, გვ. 72.
[4] იქვე.
[5] იქვე.

რო გვიანდელი ტერმინი მუკტაყი „ქითაბ ალ-ხარაჯში“ არა გვხვდება. მუკტაყის მოუხსენებლობა, უკეთ ტერმინის არარსებობა, არ შეიძლება ყურადღებას არ იქცევდეს. აღნიშნული გარემოება იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მიწისმფლობელობის ეს წესი აბასელთა სახალიფოში ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება.

IX საუკუნის დამდეგისათვის იკტა აღნიშნავს მიწის ბოძებას სამხედრო ან სამოქალაქო სამსახურისათვის, ანდა გარკვეული დამსახურებისათვის. იკტას სახით გაცემული მიწა მემკვიდრეობით გადაიცემა, შეიძლება მისი ყიდვა-გაყიდვაც. ამ სახით მიწა მფლობელის ქონებას წარმოადგენს, მაგრამ მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს გარკვეული გადასახადი, რომელსაც ამ მიწაზე სახელმწიფო აწესებს და რომელსაც სახელმწიფო მოხელე კრეფს. ფეოდალური იმუნიტეტისათვის ამ დროს არავითარი პირობა არ არსებობს. ამას გამორიცხავს გაბატონებული მიწისმფლობელობის წესი.

მიწის შემოსავლის გაცემა იკტას სახით უფრო გვიანდელი მოვლენაა და, ჩანს, აბუ იუსუფის დროს არც თეორიაში და არც პრაქტიკაში არ არსებობდა.

სულთნის მიწები — ეკუთვნოდა სულთანსა და მისი სახლის წევრებს. სულთნის მიწებიდან შემოსავალი მიდიოდა არა სახელმწიფო ხაზინაში „ბაით ალ-მალში“, არამედ ხალიფას პირად სალაროში.

აბუ იუსუფთან ვკითხულობთ: „არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, აიღონ ნატურით თუ დირჰემებით ის გადასახადი, რომელიც ეკუთვნის სულთანს, ანდა შედის სახელმწიფო ხაზინაში“ [1]. აქ, როგორც ვხედავთ, იგულისხმება შემოსავალი, ერთის მხრივ, სულთნის მიწებიდან და, მეორეს მხრივ, სახელმწიფო მიწებიდან. მაგრამ სულთნის მიწების ცალკე კატეგორიად გამოყოფას აბუ იუსუფთან არ ვხვდებით. მართალია აბუ იუსუფი წერს: „ზარალი ადგება სულთანს [2] და ხარაჯის გადამხდელებს“ [3], „მოსავალი ორივე მხარისათვის, რაც ეკუთვნის სულთანს და მიწის მუშას, უნდა აიზომოს ერთნაირი საზომით“ [4], მაგრამ აქ ერთნაირად შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც სახელმწიფო მიწა, რომლის უზენაესი გამგებელი სულთანია (ე. ი. —ხალიფა), ასევე სულთნის მიწებიც, რომელთა მესაკუთრე აგრეთვე ხალიფაა.

ის გარემოება, რომ წიგნში სულთნის მიწები ცალკე კატეგორიად არ გამოიყოფა, ადვილი ასახსნელია. მუსლიმანურ სამართალში სულთნის მიწები ჩვეულებრივ სახელმწიფო მიწებთანაა გაიგივებული. ამ კატეგორიის მიწები შეადგენდნენ მიწების უზარმაზარ ფონდს, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნოდა და რომელთა უზენაესი მფლობელი ხალიფა იყო. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ შემოსავალი სახელმწიფო მიწებიდან მიდიოდა სახელმწიფო ხაზინაში და იხარჯებოდა სახელმწიფო აპარატისა და ჯარის

---

[1] აბუ იუსუფი, გვ. 57.

[2] ამ შემთხვევაში იგულისხმება ხალიფა—სახალიფოს უზენაესი მბრძანებელი.

[3] აბუ იუსუფი, გვ. 130.

[4] იქვე.

შესანახავად, ხოლო სულთნის მიწებიდან მიღებული შემოსავალი ხმარდებოდა ხალიფას სასახლის საჭიროებებს. გარკვეული ხანიდან მათი მართვა ორ სხვადასხვა უწყებას დაეკისრა[1]. აღებულ ხანაში კი დასახელებული კატეგორიის მიწებს ერთი დივანი „ხარაჯის დივანი" განაგებდა.

ვ ა კ უ ფ ი — ვაკუფი მუსლიმანური ეკლესიის საკუთრებას წარმოადგენდა. შემოსავალიც ამ მიწებიდან მუსლიმანური ეკლესიის განკარგულებაში მიდიოდა და ხმარდებოდა მუსლიმანურ-სამღვდელოებას, აგრეთვე სასტუმროების, ფუნდუკების, საქარავნო გზების, საავადმყოფოების და სხვა საქველმოქმედო დაწესებულების შენახვას. ხშირად ვაკუფის ხარჯზე ინახავდნენ აგრეთვე ღაზიების (სარწმუნოებისათვის მებრძოლთა) რაზმებს. ვაკუფის კონფისკაცია არ შეიძლებოდა. რადგანაც ვაკუფზე არც გადასახადი იყო შეწერილი და არც მისი კონფისკაცია შეიძლებოდა, გარკვეული ხანიდან გავრცელდა მიწების ფიქტიურად შეწირვა ვაკუფად. ასეთ შემთხვევაში შემოსავლით სარგებლობდა მუსლიმანური ეკლესიაც და ვაკუფის შემწირველიც.

კ ე რ ძ ო  ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს  მ ი წ ე ბ ი — მ უ ლ ქ ი. კერძო საკუთრების მიწებს მულქი ან მილქი ეწოდებოდა. ამ კატეგორიის მიწები არსებობდა სახალიფოს ჩამოყალიბების პირველი დღიდანვე.

მულქი ფეოდალური მიწისმფლობელობის დანარჩენი კატეგორიებიდან ორი ნიშნით განსხვავდებოდა: 1. შეიძლებოდა ამ მიწების ყიდვა-გაყიდვა, გასხვისება და მემკვიდრეობით გადაცემა; 2. მულქის მფლობელობა დაკავშირებული არ იყო სამსახურის აუცილებლობასთან.

მულქი გადასახადებისაგან არ იყო თავისუფალი. საგადასახადო ნიშნის მიხედვით განირჩეოდა ორი სახის მულქი: სახარაჯო ან უშრის. მაგრამ მფლობელობის უფლება ორსავე შემთხვევაში ერთგვარი იყო.

მულქის პატრონს განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდა თავისი მიწის ნაკვეთზე. ამავე დროს იგი მორწყვის საშუალებების მესაკუთრეც იყო. მას ეკუთვნოდა მიწაცა და წყალიც. მულქის მიწებზე სარწყავი საშუალებები: პატარა არხები: მიწისქვეშა (კუნია) და მიწისზედა (ნაჰრი) ჭები (ბი'რი), წყაროები (ღაჯნი) მულქის პატრონის საკუთრებად ითვლებოდა.

მულქი როგორც წესი მემკვიდრეობით გადაიცემოდა. როცა მულქის პატრონი გარდაიცვლებოდა ისე, რომ მემკვიდრე არ რჩებოდა, მიწა სახელმწიფო ხაზინაში გადადიოდა[2], მაგრამ როგორც კი მულქს კანონიერი მემკვიდრე გამოუჩნდებოდა, მიწას მას უბრუნებდნენ. მულქი ხანდაზმულობის ვადას არ ექვემდებარებოდა. თუ ვინმე ძალადობით ჩაიგდებდა მულქს ხელში, რამდენ ხანსაც არ უნდა ჰქონოდა იგი მას, კანონიერ მემკვიდრეს რამდენიმე თაობის შემდეგაც შეეძლო დაებრუნებინა. მემკვიდრეობის უფლებაზე ხელის აღებინება არ შეიძლებოდა[3].

მულქის ტერიტორიაზე პატრონი რასაც უნდოდა იმას მოიმოქმედებდა და არაფერზე პასუხს არ აგებდა, რადგანაც მას თავის მიწაზე ყველაფრის

---

[1] დივანს და დარგაჰს.

[2] ა ბ უ  ი უ ს უ ფ ი, გვ. 220.

[3] ი ქ ვ ე.

უფლება ჰქონდა. მულქის პატრონს შეეძლო იჯარით გაეცა თავისი მიწა, ანდა გაეყიდა. ასეთი მიწის ყიდვა-გაყიდვა სახალიფოში კარგად ცნობილი ფაქტია. აბასელთა ხანის წყაროებში ვხვდებით მრავალ ცნობას მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ. ყიდვა-გაყიდვის დროს არ შეიძლებოდა გადასახადის შეცვლა. ნაყიდი მიწა იხდიდა იმავე გადასახადს, რასაც გაყიდვამდე[1].

რადგანაც მიწა იყიდებოდა, არსებობდა მყიდველიც, რომელსაც ფული გააჩნდა. სახალიფოში ასეთი ძირითადად ვაჭარი იყო. აბასელთა ხანის წყაროებში ვხვდებით ვაჭარ მიწისმფლობელს, რომელმაც ასეთი გზით, ყიდვით, შეიძინა „მამული" (არაბული წყაროების დაიყათი ან დიაყი). მსხვილი ვაჭარი იგივე მსხვილი მიწისმფლობელია[2], ე. ი. ფაქტიურად იქცევა ფეოდალად და იყენებს გარეეკონომიური იძულების იმ ფორმას, რაც აღებული ხანის ფეოდალური ურთიერთობისათვისაა დამახასიათებელი. აბასელთა ხანისათვის ეს საკმაოდ ხშირი მოვლენაა. მაგრამ მულქი მიწისმფლობელობის დანარჩენ კატეგორიებთან შედარებით მეტად სუსტად იყო განვითარებული.

კერძო მიწის ნაკვეთების აღსანიშნავად სახალიფოში იხმარებოდა აგრეთვე ტერმინები კატაიყი და დიაყი. კატაიყი ჩვეულებრივ წვრილ და საშუალო მიწის ნაკვეთებს ეწოდებოდა, დიაყი კი უფრო მსხვილს. დიაყები პრივილეგირებული მიწები იყო. ისინი, როგორც წესი, უშრს იხდიდნენ. ზოგჯერ კი სრულიად თავისუფლდებოდნენ გადასახადისაგან[3]. საშუალო და წვრილ მიწის ნაკვეთებზე კი ხარაჯა იყო დაწესებული.

დროთა განმავლობაში წვრილი მიწის საკუთრება თანდათან მცირდებოდა და მის ხარჯზე იზრდებოდა მსხვილი მიწისმფლობელობა, იზრდებოდა დიაყების რიცხვი. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა როზენის მიერ მოცემული წვრილი და მსხვილი მიწისმფლობელობის დახასიათება, რომელიც X საუკუნის დასაწყისს ეხება[4]: „Мелкий собственник был совершенно в руках местной администрации, которая его грабила нещадно, обогащаясь безнаказанно за его счет. Но крупный собственник, с большими или меньшими связями при дворе или во влиятельных военных и чиновных сферах всегда мог расчитывать на них, и чем слабее становилась центральная власть халифа, тем эти выгоды больше.

Благодаря этому стремлению к приобретению больших пространств земли образовалось множество крупных поместий, латифундий, дай'а, множ. ч. дийа', и число мелких собственников сокращалось все более и более; они превращались в фермеров или простых рабочих, батраков, или уходили в большие города, усиливая городской пролетариат. Бесправность и необеспеченность мелких владельцев доходили до того, что они иногда свои земли как бы переписывали на имя

---

[1] აბუ იუსუფი, გვ. 103.

[2] А. Ю. Якубовский. Ирак на грани VIII—IX вв., გვ. 46.

[3] აბუ იუსუფი, გვ. 147.

[4] იხ. როზენის რეცენზია კრეშერის შრომაზე: „Über das Einnahmenbudget des Abbasidenreiches von Jahre 306 H (918—919), ЗВО, IV, вып. I—II, 1889.

какого нибудь вельможи, по взаимному с ним договору, чем достигалось значительное понижение податей и повинностей, ибо власть имущие классы заботились о том, чтобы с их крупных земельных владений поземельная подать взималась не только без переборов, но в меньших размерах против законной нормы"[1].

როზენი საკმაოდ ზუსტად გადმოგვცემს მსხვილი მიწისმფლობელობის ზრდის სურათს წვრილი და საშუალო მიწისმფლობელობის ხარჯზე, მიუხედავად იმისა, რომ იგი მიმართავს ზოგიერთი სოციალური ტერმინის მოდერნიზაციას. მას შემჩნეული აქვს მსხვილი მიწისმფლობელობის გაძლიერება და წვრილ და საშუალო მიწისმფლობელთა თანდათანობითი გაქრობა, მათი დაკაბალება. ყველაფერი ეს სახალიფოს შემდგომი ფეოდალიზაციის შედეგი იყო. VIII საუკუნის ბოლოს ეს პროცესი უკვე დაწყებულია და ქვეყნის განვითარებაც მხოლოდ ერთი მიმართულებით მიდის—ფეოდალიზმის განმტკიცებისაკენ, რასაც მყარ საფუძველს უქმნის მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმების შემდგომი განვითარება.

სათემო მიწები. ცალკე კატეგორიად შეიძლება გამოვყოთ მიწები, რომლებიც სასოფლო თემს ეკუთვნოდა: საძოვრები, ადგილები სასაფლაოებისთვის და სხვ. ეს მიწები სოფლის მცხოვრებთა (აჰლ ალ-ქარიათი) საკუთრებად ითვლებოდა და უტოლდებოდა მულქს. მულქის მსგავსად წარმოებდა თემის მიწების ყიდვა-გაყიდვა და მემკვიდრეობით გადაცემა. მიუხედავად ამისა თემის მიწები მულქისაგან რამდენადმე განსხვავდებოდა. საკვები ბალახის არც გაყიდვა, არც იჯარით გაცემა არ შეიძლებოდა, რადგანაც იგი თემის მიწაზე იყო და საერთო საკუთრებად ითვლებოდა. თემის ყველა წევრი თანასწორუფლებიანი იყო ესარგებლა საძოვრებითა და წყლით სასმელად. მაგრამ მოსარწყავად წყლით სარგებლობისათვის საჭირო იყო თემის წევრთა საერთო თანხმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში წყლით სარგებლობა არ შეიძლებოდა. სხვა სოფლის მცხოვრებლებსაც შეეძლოთ ესარგებლათ მეზობელი თემის მიწებით იმ შემთხვევაში, თუკი ეს ზიანს არ მოუტანდა ამ თემის მცხოვრებლებს.

ფეოდალური ურთიერთობის განვითარებასთან ერთად სულ უფრო და უფრო მცირდებოდა სასოფლო თემის მიწები. სათემო მიწების დატაცება ფეოდალების მიერ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მაგრამ სახელმწიფო მიწისმფლობელობის პირობებში თემმა მაინც შემოინახა თავი როგორც ფისკალურმა ერთეულმა.

### ბ. არაბული გადასახადები

VII—VIII სს. სახალიფოში ძირითადად ოთხი გადასახადი არსებობდა: ჯიზია (ჯავალი), ხარაჯა, უშრი და სადაკა (ზაქათი). წყაროებში ხშირად იხსენიება აგრეთვე, მეხუთე გადასახადიც ხუმსი, რომე-

[1] ციტირებულია იაკუბოვსკის შრომიდან: Об испольных арендах в Ираке в VIII в., გვ. 180—181.

ლიც ჩამოთვლილი გადასახადებისაგან თავისი შინაარსით და მნიშვნელობით რამდენადმე განსხვავდებოდა.

ხარაჯა (خراج) — ხარაჯას არაბები გაეცნენ მათ მიერ დაპყრობილი სპარსეთის ტერიტორიაზე. თვით სიტყვა აღებული უნდა იყოს ბიზანტიური ადმინისტრაციული ტერმინოლოგიიდან (Χορηγία)[1].

ხარაჯა არაბულში აღნიშნავს საერთოდ ხარკს, ღალას, გადასახადს[2]. ამავე მნიშვნელობით იხმარება მეორე ტერმინიც ხარჯი[3].

სახალიფოში ხარაჯა სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა: იგი აღნიშნავდა, ფართო მნიშვნელობით, ხარკს არამუსლიმებისაგან, როგორც გადასახადს მიწაზე, ასევე სულად გადასახადსაც[4] და, აგრეთვე, ვიწრო მნიშვნელობით, გადასახადს მიწაზე.

ხარაჯა აიღებოდა: ხორბლიდან, ქერიდან, ფინიკიდან, ჩამიჩიდან, კენკრადან, ბოსტნეულიდან, ზამთრის და ზაფხულის პურიდან, თხილიდან, კაკლიდან, ფსტიდან, შაქრისა და ჭილის ლერწამიდან, ყველა იმ პროდუქტიდან, რომლის აწონაც შეიძლება[5].

ხარაჯა რამდენიმე სახედ იყოფა. აბუ იუსუფის მიხედვით, სახალიფოში, ძირითადად, ხარაჯას ორი სახე იყო გაბატონებული: ხარაჯა მუკასამა (مقاسمة) და ხარაჯა მისაჰა (مساحة)[6].

ხარაჯას ეს ორივე სახე ცნობილი იყო ჯერ კიდევ სასანიანთა ირანში. მუკასამა ნაწარმოებია قسم-საგან (წილი, ნაწილი), მისაჰა კი مساحة-დან (ფართობი). აქედან მუკასამა—გადასახადი მოსავლის სიდიდის მიხედვით, მისაჰა—ფართობის მიხედვით.

არაბებმა დაპყრობილ ქვეყნებში ყველგან შეინარჩუნეს მანამდე არსებული საგადასახადო სისტემა[7]. პირველი ხალიფებისა და ომაელების დროს თითქმის ყველა მიწა სახალიფოში იხდიდა ხარაჯას მისაჰას ფორმით. როგორც აკად. ს. ჯანაშია შენიშნავს, „ეს იყო ძალიან მაღალი, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი,—ოდენობის მხრივ, გადასახადი, რომელიც არ ითვალისწინებდა მიწის ნამდვილი შემოსავლის ზომასა და ხასიათს. ხარაჯის გადახდისათვის ვალდებული იყო ესა თუ ის თემი მთლიანად. ერთი რომელიმე ინდივიდუალური გადამხდელის გაღატაკების შემთხვევაში მისი გადასახადი ეწერებოდა მის მეზობლებს. ამიტომ თვით მიწისმქირავის პიროვნება არაბებს არ აინტერესებდათ და ამიტომაც მიწის ცალკე ნაკრების ყიდვა-გაყიდვა აკრძალული არ იყო. მთელი მიწა გაზომილ და კადასტრირებულ იყო და იგუ-

---

[1] P. Schvarz. Die Herkunft von arabisch harāǧ (Grund)—Steuer. Der Islam, 1915, Bd. IV, H. I, გვ. 97.

[2] لسان العرب ტ. 3, გვ. 76. تاج العروس ტ. 2, გვ. 28.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] История народов Узбекистана, I, გვ. 165.

[6] აბუ იუსუფი, გვ. 61, 66.

[7] A. Kremer. Culturgeschichte des Orients unter den Chalifen, I, გვ. 256.

ლისხმებოდა, რომ მტკიცედ განსაზღვრული რაოდენობა გადასახადისა არ შეიძლებოდა შეცვლილიყო მიწის მიმოქცევისა და მიწისმპირავთა გამოცვლის გამო[1].

მეორე ხალიფა ომარ I ბრძანებით აზომეს სავადის მიწები და დააწესეს ყოველ ჯერიბ ყამირსა და ღამირზე[2] დირჰემი და კაფიზი[3]. გადასახადების დაწესებისას ომარი ხელმძღვანელობდა ხოსრო ანუშირვანის დროინდელი განაკვეთით, რომელშიაც ომარმა მხოლოდ ცოტაოდენი ცვლილებები შეიტანა. კერძოდ, ომარმა დაუმუშავებელ, მაგრამ დასამუშავებლად ვარგის მიწებზეც დააწესა შესაძლებელი გადასახადი იმ მიწების ტოლად, რომლებიც ფაქტიურად მუშავდებოდა[4]. ომარ I დროს დაწესებული ყოფილა ჯერიბ ვენახზე 10 დირჰემი, ფინიკზე—5, პალმაზე—8, ხორბალზე—4, ქერზე—2, ზაფხულის პურზე—3, ლერწამზე—6 დირჰემი[5].

ომარ I მიერ შემუშავებული და დადგენილი წესები გადასახადის აკრეფისა ძალიან დიდხანს არსებობდა სახალიფოში.

მხოლოდ მეორე აბასელი ხალიფა მანსურის (754—775) დროს მოხდა საგადასახადო რეფორმა, რომლის მიხედვით პურისა და ქერის ნათესებზე ხარაჯა მისაჰა ხარაჯა მუკასამათი შეიცვალა, ნაკლებად მნიშვნელოვან კულტურებზე, პალმაზე და ხილის ხეებზე, კი ძველებურად მისაჰა დარჩა. მომდევნო ხალიფა მაჰდის (775—785) დროიდან კი სახალიფოში გადასახადის ძირითადი ფორმა მუკასამა იყო[6].

ასეთი ღონისძიების გატარება პირველი აბასელი ხალიფების გარკვეული პოლიტიკით იყო გამოწვეული. ისინი დიდად იყვნენ დაინტერესებულნი ქვეყნის ეკონომიურად გაძლიერებით, რაც თავის მხრივ სოფლის მეურნეობის განვითარებასთან იყო დაკავშირებული.

მუკასამა რამდენადმე ამსუბუქებდა გადასახადის გადამხდელთა მდგომარეობას, აქეზებდა მათ მიწის დამუშავებისაკენ და ხელს უწყობდა ხარაჯას გადიდებას. მაგრამ ასეთი მდგომარეობა სახალიფოში დიდხანს არ გაგრძელებულა.

დიდი მასშტაბით დაპყრობითი ომების წარმოება, როგორც აღვნიშნეთ, ამ დროს შეუძლებელი იყო და, ამდენადვე სახელმწიფოსა და გაბატონებული კლასის შემოსავლის ერთადერთ წყაროდ გადასახადები რჩებოდა. აბასელი ხალიფები გამოსავალს გადასახადების ზრდაში ხედავდნენ. VIII ს. ბოლოს, ჰარუნ არ-რაშიდის დროს (786—809), სახალიფოს საშინაო და საგარეო მდგომარეობის გართულებასთან დაკავშირებით, ისევ ხარაჯა მისაჰას დაუბრუნდნენ.

სახელმწიფოსათვის ამ ღონისძიების გატარებას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. რადგანაც გადასახადის სიდიდე წინასწარ იყო განსა-

[1] ს. ჯანაშია. არაბობა საქართველოში, 1936, გვ. 38—39.

[2] დამუშავებული და დაუმუშავებელი მიწა.

[3] წონის ერთეული. სხვადასხვა დროს სხვადასხვა სიდიდის იყო. იხ. მის შესახებ E. J. II, გვ. 666.

[4] აბუ იუსუფი, გვ. 45, 57.

[5] იქვე, გვ. 42—46, 153.

[6] იქვე, გვ. 153.

ზღვრული, წინასწარვე იყო ცნობილი სახელმწიფო ხაზინის შემოსავალიც, რომელიც წლიდან წლამდე ურყევი იყო. მაგრამ ხარაჯას ამ სახეს, მისაჰას, ბევრი უარყოფითი მხარე ჰქონდა, რის გამოც ახალმა რეფორმამ საბედისწერო შედეგი მოუტანა აბასელებს. საქმე ისაა, რომ გადასახადის რაოდენობა ერთხელ და სამუდამოდ იყო დადგენილი მიწის გარკვეულ ფართობზე და მხედველობაში არ იყო მიღებული საკუთრივ მოსავლის ოდენობა. მაგრამ, რადგანაც ბუნებრივი პირობები იცვლება, არხები შეიძლება დაინგრეს, წყარო დაშრეს, მიწა გამოიფიტოს, ხემ ნაყოფის მოცემა შეწყვიტოს და სხვა, ამიტომ ბუნებრივია, რომ ერთხელ დადგენილი გადასახადიც არ შეიძლება უცვლელი დარჩეს. მისაჰას დროს კი არავითარი ცვლილება მხედველობაში არ მიიღებოდა. ამ გარემოებამ გლეხთა მდგომარეობა მკვეთრად გააუარესა და ნიადაგი მოუმზადა გლეხთა აჯანყებების ახალ ციკლს აბასელთა სახალიფოში.

ამავე დროს, ომარ I მიერ დაწესებული ხარაჯას განაკვეთი მეტად მძიმე იყო ჰარუნ არ-რაშიდის დროის სახალიფოს მოსახლეობისათვის. ასეთ პირობებში მიწისმოქმედი მეურნეობის ხალისს ჰკარგავდა, რაც გავლენას ახდენდა წინასწარ გათვალისწინებული გადასახადის ოდენობაზე. ამას ემატებოდა ისიც, რომ აღებული ხანისათვის იმატა დაუმუშავებელი, მიტოვებული მიწების რაოდენობამაც[1]. ამის მიზეზი შეიძლება იმაში ვეძიოთ რომ, დამუშავებულ და დაუმუშავებელ მიწებზე გადასახადი ერთნაირი რაოდენობით იყო დაწესებული. გადახდა კი შეუძლებელი იყო, რადგანაც დაუმუშავებელი მიწა გაცილებით მეტ ხარჯებს მოითხოვდა და ხშირად მოსავალი გაწეულ ხარჯებსაც ვერ ფარავდა პირველი ორი წლის განმავლობაში მაინც.

მისაჰას სხვა უარყოფითი მხარეც ჰქონდა. მას იხდიდნენ არა მიწის თვითეული ნაკვეთიდან ინდივიდუალურად, არამედ მიწის გარკვეული კომპლექსიდან[2]. ამიტომ ხარაჯას გადახდისათვის ვალდებული იყო მთელი თემი. ასეთი წესიც თავის მხრივ ბევრ უხერხულობას ქმნიდა და ხელს უწყობდა უსამართლობას, ძალადობას და ძლიერის მიერ სუსტის დაჩაგვრას.

გადასახადების გადამხდელთა მდგომარეობას ამძიმებდა ისიც, რომ გადასახადს ძირითადად ფულით იღებდნენ. ესეც თავის მხრივ მრავალ უსამართლო მოქმედებას უწყობდა ხელს. გადასახადის ამკრეფი მოხელეები, გამორჩენის მიზნით, ვერცხლის ფულს, რომელიც იწონებოდა ხოლმე, ხშირად არასრულფასოვნად თვლიდნენ, რათა ზედმეტი მოეთხოვათ. სანაზღაოს, რომელსაც იღებდნენ დირჰემების გაცვეთისათვის რავაჯი ეწოდებოდა. რავაჯის უმეტეს ნაწილს ხარაჯას ამკრეფი მოხელეები ითვისებდნენ.

ზემოჩამოთვლილი მიზეზების გამო, ხარაჯა მისაჰა ექსპლოატაციის უმძიმესი ფორმა იყო, „რომლის დროსაც მოუსავლობა და ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების მერყეობა მხოლოდ და მხოლოდ მიწისმუშებს აწვებოდა მხარზე“[3]. ეს იწვევდა გლეხთა უკმაყოფილების ზრდას სახალიფოში.

---

[1] აბუ იუსუფი, გვ. 57.

[2] იქვე, გვ. 58; A. Kremer. Culturgeschichte..., I, გვ. 276.

[3] შუა საუკუნეების ისტორია, I, 1947, გვ. 248.

სახალიფოში არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ყოფილიყო გადახდილი გადასახადი—ნატურით თუ ფულით[1]. აბუ იუსუფი მხარს უჭერდა გადასახადის აკრეფას შერეული სახით: ნატურით და ფულით ერთად. მარტო ფულით ან მარტო ნატურით გადასახადის აკრეფამ, ფასების მერყეობის დროს, ამბობს აბუ იუსუფი, შეიძლება გარკვეული ზარალი მიაყენოს ერთის მხრივ გადასახადის სიდიდეს, ხოლო მეორეს მხრივ, გადასახადის გადამხდელებს.

აბუ იუსუფის აზრით, სავადის იმ მცხოვრებლებმა, რომლებსაც მოყავთ ხორბალი და ქერი, უნდა გადაიხადონ მოსავლის 2/5 მიწებიდან, რომლებიც ბუნებრივად ირწყვება. რაც შეეხება იმ მიწებს, რომლებიც სარწყავი იარაღებით ირწყვება, ასეთი მიწებიდან უნდა გადაიხადონ მოსავლის 3/10 (1/5+1/10) ნაწილი. ფინიკის პალმებიდან, ვენახიდან, მდელოებიდან, ბაღებიდან—1/3, ზაფხულის პურიდან კი მოსავლის 1/4 ნაწილი. არც ერთი დასახელებული ობიექტი არ უნდა დაიხარკოს მოსავლის წინასწარი, მიახლოებითი განსაზღვრის საფუძველზე. თუ საჭირო იქნება გადასახადის გადახდა ფულით, მაშინ გადასახადი აღებულ უნდა იქნას ამ პროდუქტების ფასების გათვალისწინებით. შეფასება უნდა მოხდეს სამართლიანად, ისე, რომ არც მბრძანებელს მოუტანოს ზიანი და არც ხარაჯას გადამხდელთათვის იყოს შეუძლებელი მისი გადახდა. გამოყენებულ უნდა იქნას ის გზა, რომელიც ნაკლებად მძიმეა ხარაჯას გადამხდელთათვის[2]. თუ ასეთია მათთვის მოწეული პროდუქტების გაყიდვა და მიღებული ფასის გაყოფა მათსა და მბრძანებელს შორის, მაშინ ასე უნდა მოიქცნენ[3].

მაგრამ აბუ იუსუფის ზემომოყვანილი შეხედულება, როგორც ჩანს მხოლოდ თეორიად რჩებოდა. პრაქტიკაში მუკასამას სიდიდე მოსავლის 2/5-დან 1/2-მდე მერყეობდა იმ მიწებზე, რომლებზეც ხორბალი და ქერი მოყავდათ[4]. სახელმწიფო მკაცრად იცავდა თავის უფლებას გადასახადზე. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ მეტად საინტერესო ადგილი „ქითაბ ალ-ხარაჯიდან“, სადაც აბუ იუსუფი მოგვითხრობს ნატურალური გადასახადის აკრეფის პრაქტიკაზე და იძლევა რჩევას, თუ როგორ სჯობია გადასახადის აკრეფა. „უბრძანე,—მიმართავს აბუ იუსუფი ჰარუნ არ-რაშიდს—რომ პურის მომკა და ლეწვა ხდებოდეს სამართლიანად, რომ არ იქნას შეჩერებული პური მომკის შემდეგ იმაზე დიდხანს, ვიდრე არ იქნება შესაძლებელი ლეწვა. როცა შესაძლებელი გახდება ლეწვა, [პური] გადატანილ უნდა იქნას კალოზე და არ უნდა იქნას დატოვებული ლეწვის საშუალების მიცემის შემდეგ ერთი დღეც კი [მინდორში], რადგანაც ვიდრე შეინახებოდეს კალოზე, დაიტაცებენ მას მიწისმუშები, გამვლელები, ფრინველები, ცხოველები და ეს ზიანს მოუტანს ხარაჯას. რაც შეეხება მოსავლის პატრონს, მას არა, რადგანაც იგი ხმარობს მას საკმელად, როგორც გავიგე [ჯერ კიდევ] თავთავებში, მომკამდე, ვიდრე არ

---

[1] აბუ იუსუფი, გვ. 57.
[2] იქვე, გვ. 59.
[3] იქვე.
[4] А. Ю. Якубовский. Ирак на грани VIII—IX вв., გვ. 41.

დამდგარა დრო მუკასამასი. და [ამიტომ] პურის დაყოვნებას მინდორში ანდა კალოზე მოაქვს ზარალი ხარაჯასათვის. როცა გადაიტანენ [პურს] კალოზე და შეკრავენ ძნებად, [მაშინვე] შეუდგნენ ლეწვას. არ შეიძლება პური კალოზე გადატანის შემდეგ თვე, ორი ან სამი თვე გაულეწავი დარჩეს, რადგანაც კალოზე პურის შეჩერებით ზარალი ადგება სულთანსაც და ხარაჯას გადამხდელებსაც და აყოვნებს მიწის დამუშავებას და თესვას"[1]. როდესაც პური გაილეწებოდა და განიავდებოდა, მაშინ ამილი განსაზღვრავდა ხარაჯას ოდენობას მოსავლის მიხედვით. აბუ იუსუფის აზრით მოსავლის ორივე ნაწილი, როგორც სულთნის, ისე მიწისმუშის წილი ერთნაირი საზომით უნდა აიზომოს. აზომვა და მოსავლის ოდენობის გამორკვევა მიახლოებით არ უნდა მოხდეს, რათა შემდეგ არ მოსთხოვონ ხარაჯას გადამხდელებს ის, რაც დააკლდებათ წინასწარ გამოთვლასთან დაკავშირებით. არც ისაა დასაშვები, რომ ამილმა დააბრალოს ხარაჯას გადამხდელებს პურის გაჩანაგება იმ საბაბით, რათა აიღოს მათგან იმაზე მეტი, რაც მათ ევალებათ[2].

„ქითაბ ალ-ხარაჯის" ეს ადგილი კარგად მიუთითებს სოფლის მეურნეობის უშუალო მწარმოებელის მდგომარეობაზე, რომელიც „უფრო შეღავათიანი" გადასახადის გადახდის დროსაც კი არ იყო თავისი შრომის პროდუქტის პატრონი. მას არ შეეძლო მოსავლით ესარგებლა მანამ, ვიდრე მას არ გაყოფდნენ და სახელმწიფო თავის წილს არ წაიღებდა. სახელმწიფო მოხელეებს მკაცრად უნდა ედევნებინათ თვალყური, რომ გლეხებს არ ესარგებლათ პურით სახელმწიფო ხაზინაში გადასახადის ჩაბარებამდე.

როგორც აღვნიშნეთ, აბუ იუსუფი ხარაჯა მუკასამას მომხრეა, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში ამ დროს მისაჰა ბატონდება. წიგნი დაწერილია იმ დროს, როდესაც ახალი საგადასახადო რეფორმა ტარდება და, როგორც ჩანს, არც მთლად უმტკივნეულოდ. გადასახადის გადამხდელი მოსახლეობა ახალ რეფორმას მტრულად შეხვდა. ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენია აბუ იუსუფს. იგი ურჩევს ხალიფას ხარაჯას ძველი სახის—მუკასამას შენარჩუნებას. მაგრამ აბუ იუსუფის შეხედულებები მხოლოდ თეორიად დარჩა, პრაქტიკულად არ განხორციელებულა. ხალიფამ გაატარა საგადასახადო რეფორმა, რამაც სხვა მიზეზებთან ერთად უკიდურესად გაამწვავა კლასობრივი ბრძოლა, გამოიწვია გლეხთა მრისხანე აჯანყებები და, საბოლოოანგარიშში, ხელი შეუწყო სახალიფოს დაშლას.

ჯიზია (جزية მრ. أجزاء)—სულადი გადასახადი, რომელსაც იხდიდნენ ზიმიები[3].

ჯიზია ნაწარმოებია სიტყვისაგან جزاء (ჯილდო, გადასახადი). ჯიზიას იხდიან ზიმიები, როგორც სანაზღაუროს სიცოცხლის შენარჩუნებისათვის[4].

მუსლიმანური სამართლის წიგნებში ჯიზია განხილულია ჯიჰადთან კავშირში. მაშინ, როდესაც წარმართებს უნდა აერჩიათ ან სიკვდილი ან ისლამი,

---

[1] აბუ იუსუფი, გვ. 129—130.

[2] იქვე, გვ. 130.

[3] არამუსლიმი ქვეშევრდომები, ე. ი. ქრისტიანები, ებრაელები, მაზდეანელები.

[4] لسان العرب ტ. 18, გვ. 159—160; تاج العروس ტ. 10, გვ. 73.

აჰლ ალ ქითაბის ხალხს ჯიზიას გადახდით შეეძლო მოეპოვებინა პირადი და საკუთრების უშიშროება[1].

ჯიზიას შესახებ მოძღვრება საფუძველს პოულობს ყურანში. ყურანის IX სურაში ვკითხულობთ: „ებრძოლეთ იმათ, რომელთაც არ სწამთ ალლაჰი და საშინელი სამსჯავროს დღე, რომლებიც არ თვლიან აკრძალულად მას, რაც აკრძალეს ალლაჰმა და მისმა მოციქულმა, რომელთაც არ სწამთ ჭეშმარიტი სარწმუნოება და თაყვანს სცემენ თავიანთ წიგნებს, ვიდრე არ გადაიხდიან ჯიზიას პირადად, დამცირების ნიშნად“[2].

ამის საფუძველზე მუსლიმანურ სამართალში ჯიზია გაგებული იყო, როგორც სულადი გადასახადი, რომელსაც იხდიდნენ ქრისტიანები, იუდეველები, მაჯუსები, საბაელები და სამარიტელები მუსლიმანებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე[3]. ამ ხელშეკრულების მიხედვით, არამუსლიმებს ეძლეოდათ ნება დარჩენილიყვნენ მუსლიმების ტერიტორიაზე. ამავე დროს მათ რჩებოდათ მიწები და მთელი ქონება, მაგრამ სამაგიეროდ იხდიდნენ ჯიზიას, „რადგანაც მათი (არამუსლიმების) სიცოცხლისა და ქონების ხელშეუხებლობა შეპირობებულია მხოლოდ ჯიზიას გადახდით“[4].

მაგრამ, როგორც ჩანს, თავიდანვე ჯიზია არ აღნიშნავდა მხოლოდ და მხოლოდ სულად გადასახადს, რომელსაც იხდიდნენ სახალიფოს არამუსლიმანი ქვეშევრდომები.

რადგანაც ზიმიას სიცოცხლის და ქონების ხელშეუხებლობა შეპირობებული იყო ჯიზიას გადახდით, ამიტომ ჯიზია თავდაპირველად აღნიშნავდა დაპყრობილ ქვეყნებზე დაწესებულ ხაოკს. არაბებმა, როგორც ცნობილია, მმართველობის სისტემა ყველგან უცვლელი დატოვეს და პროვინციების სახაზინო შემოსავალს უყურებდნენ როგორც მათ ჯიზიას[5]. ამ დროს სულადი და მიწაზე დაწესებული გადასახადი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ იყო მკაცრად გამიჯნული.

თავდაპირველად ურწმუნონი[6] ჯიზიას იხდიდნენ კომლობრივად[7].

ჯიზიას შეესატყვისება აგრეთვე ჯავალი (جوالى), რომლითაც სავადში აღნიშნავდნენ სულად გადასახადს.

აბუ იუსუფის მიხედვით ჯიზიას იხდის ყველა ზიმია, რომელიც ცხოვრობს სავადში ან სახალიფოს სხვა ოლქებში: ქრისტიანები, იუდეველები, მაჯუსები (მაზდეანელები), საბაელები, სამარიტელები[8]. გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ ბანუ თაღლიბის ტომის ქრისტიანები, რომლებიც ჯიზიას

---

[1] E. J. I, გვ. 1098.
[2] ყურანი, IX, 29.
[3] E. J. I, გვ. 1098.
[4] აბუ იუსუფი, გვ. 147.
[5] E. J. I, გვ. 1098.
[6] ვინც ისლამს არ აღიარებდა.
[7] Н. П. Петрушевский. Очерки..., გვ. 283.
[8] აბუ იუსუფი, გვ. 145.

ნაცვლად იხდიან ორმაგ სადაკას[1] და ნეჯრანის მცხოვრებლები[2]. ჯიზიას იხდიან აგრეთვე: კერპთაყვანისმცემლები, ცეცხლთაყვანისმცემლები, ქვისთაყვანისმცემლები. ამ შემთხვევაში წარმართები, არაბებს გარდა, უთანასწორდებიან წიგნის ხალხს[3]. ასევე არაბები, რომელთაც აქვთ წმინდა წიგნები[4], უტოლდებიან არაარაბებს და იხდიან ჯიზიას[5]. რაც შეეხება ისლამისაგან განდგომილებს და კერპთაყვანისმცემელ არაბებს, მათგან ჯიზია არ მიიღება. მათ ან უნდა მიიღონ ისლამი, ანდა ხოცავენ, ხოლო ცოლები და ბავშვები მიყავთ ტყვედ[6].

აბუ იუსუფის სიტყვით: ჯიზიას იხდიან მხოლოდ სრულწლოვანი, სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელი და გადასახადისუნარიანი მამაკაცები. ქალები, ბავშვები და ღრმა მოხუცები ჯიზიას არ იხდიან. ჯიზიასაგან თავისუფლდებიან აგრეთვე მათხოვრები, სულიერად დაავადებულნი და ქრონიკული ავადმყოფები, ასევე მონაზვნებიც, რომელთაც მატერიალური სახსარი არ გააჩნიათ და სხვისი მოწყალებით ცხოვრობენ. მაგრამ თუ ზემოჩამოთვლილი პირები მატერიალურად უზრუნველყოფილნი არიან, მაშინ ისინი ჯიზიას იხდიან[7].

ჯიზია აიღებოდა ყოველწლიურად, წელიწადში ერთხელ, დადგენილი განაკვეთის მიხედვით. თავდაპირველად გადასახადის ოდენობა 1 დინარს ან 12 დირჰემს არ აღემატებოდა[8]. შემდეგ კი დაკანონდა გადასახადი 12, 24 და 48 დირჰემის ოდენობით[9].

აბუ იუსუფის მიხედვით ჯიზიას გადამხდელები სამ ჯგუფად იყოფიან: მ დ ი დ რ ე ბ ა დ, ს ა შ უ ა ლ ო ებ ა დ და ღ ა რ ი ბ ე ბ ა დ. მდიდრები იხდიან 48 დირჰემს. ესენი არიან მემამულე (صاحب الضيعة), ზარაფი (صيرفي), ბაზაზი (بزاز), ვაჭარი (تاجر), მკურნალი ექიმი (الطبيب العالج), თვითეული მათგანი იხდის ხელობისა და ვაჭრობის შემოსავლის შესაბამისად. საშუალოები იხდიან 24 დირჰემს, მაგრამ აბუ იუსუფი არ ჩამოთვლის იმ ხალხს, რომლებსაც საშუალოებს განაკუთვნებს. ღარიბები იხდიან 12 დირჰემს. ღარიბებად აბუ იუსუფი თვლის თავისი ხელით მომუშავეებს (عامل بيده). ესენი არიან: გაჭირვებული მიწის მუშა (المحتاج الحراث), მკერავი (خياط), მღებავი (صباغ), მეწაღე (سكاف), ხარაზი (خراز) და მათი მსგავსნი[10].

---

[1] ა ბ უ ი უ ს უ ფ ი, გვ. 79.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 85, 90.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 153—154.
[4] ქრისტიანი და იუდეველი არაბები.
[5] ი ქ ვ ე, გვ. 79.
[6] ი ქ ვ ე, გვ. 79, 153, 154.
[7] ი ქ ვ ე, გვ. 146, 147.
[8] E. J. გვ. 1099. დინარი იმ დროს უდრიდა 12 დირჰემს.
[9] ა ბ უ ი უ ს უ ფ ი, გვ. 42, 44, 153.
[10] ი ქ ვ ე, გვ. 146—147.

ჯიზია ძირითადად ფულით უნდა ყოფილიყო გადახდილი, მაგრამ ფულის ნაცვლად შეიძლებოდა აეღოთ: სახედარი (دواب)[1], სასარგებლო რამ ნივთები (متاع): ტანსაცმელი, ავეჯი, ჭურჭელი, იარაღი, საყოფაცხოვრებო საგნები და სხვა[2]. „ქითაბ ალ-ხარაჯში“ მოტანილი ერთი ჰადისის მიხედვით, ხალიფა ალიმ (656—661), აიღო ნემსი და ჩათვალა იგი ჯიზიაში[3]. შეიძლება ეს ჰადისი ალის დროისათვის გამოგონილი იყოს, მაგრამ იგი საინტერესოა აბუ იუსუფის თვალსაზრისის გასაგებად, რომლის მიხედვითაც ჯიზიად ყოველგვარი ნივთის აღება შეიძლება, ნემსისაც კი. ყველა ეს ნივთები აიღება მათი ფასის მიხედვით. ჯიზიად არ შეიძლება, მხოლოდ, აღებულ იქნას ღვინო, ღვინო და ღორი, მაგრამ შეიძლება მათი გაყიდვა და მიღებული თანხის გადახდა[4].

გამუსლიმანებული ზიმია ჯიზიისაგან თავისუფლდება[5].

თუ ზიმია საგადასახადო წლის განმავლობაში მიიღებდა ისლამს, იგი არ იხდიდა ჯიზიას არავითარ წილს. წლის დამთავრების შემდეგ გამუსლიმებული ზიმია ვალდებული იყო გადაეხადა ჯიზია, რადგანაც ამ შემთხვევაში ეს გადასახადი ითვლებოდა ხარაჯას ნაწილად, რომელიც ყველა მუსლიმის საერთო საკუთრებას წარმოადგენდა[6].

გარდაცვლილებიდან ჯიზია არ აიღებოდა. თუ ჯიზიას ვალდებული პირი გადასახადის გადახდის ვადამდე გარდაიცვლებოდა, ჯიზია მისი ქონებიდან არ აიღებოდა, რადგანაც ჯიზია სულადი გადასახადი იყო და მისი გადახდა ევალებოდა მხოლოდ ცოცხალ ადამიანს.

უ შ რ ი (عشر)—მეათედი, მუსლიმანური მოსახლეობის გადასახადი. თავისი შინაარსით ეს გადასახადი შეესაბამება ზაქათს ან სადაკას.

აბუ იუსუფთან უშრი ორგვარ გადასახადს აღნიშნავს:

1. უშრი ეწოდება იმ გადასახადს, რომელსაც იხდიან მუსლიმები უშრის მიწებიდან.

2. უშრი აღნიშნავს, აგრეთვე, იმ გადასახადს, რომელსაც იხდიან სავაჭროდ გამიზნული ყოველგვარი საქონლიდან. ამ შემთხვევაში უშრის გადახდის ვალდებულია ყველა: მუსლიმიც და არამუსლიმიც. მაგრამ განსხვავება აქაც შეინიშნება—მუსლიმები გაცილებით ნაკლები სიდიდით იხდიდნენ ამ გადასახადს, ვიდრე არამუსლიმები.

აბუ იუსუფის აზრით, უშრი აიღება მიწის იმ პროდუქტებიდან, რომელთა შენახვაც შეიძლება. იმ პროდუქტებიდან კი, რომელთა შენახვაც არ შეიძლება, როგორიცაა მაგ., ბოსტნეული (ნესვი, კიტრი, გოგრა, ბადრიჯანი,

---

[1] ვგულისხმობთ ძვ. ქართულის მნიშვნელობით.
[2] ა ბ უ ი უ ს უ ფ ი, გვ. 146.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე, გვ. 146—147.
[6] იქვე.

სტაფილო და სხვ.), საკვები ბალახი და სათბობი, უშრი არ აიღება. უშრს იხდიან იმ პროდუქტებიდან, რომლებიც იზომება კაფიზებით[1] ან იწონება რიტლებით[2]. ასეთია ხორბალი, ქერი, ფეტვი, ბრინჯი, კენკრა, გუნეუთი, კენაფი, ნუში, კაკალი, თხილი, ფსტა, ზაფრანა, ზეითუნის ზეთი, ალისარჩული, კორიანდრი, კვლიავი, ცერცვი, ხახვი, ნიორი და მისთანები. თუ მიწა მოიწევს ამ პროდუქტების 5 ვასკს[3] ან მეტს, მაშინ იღებენ უშრს ან ნახევარ უშრს, მიწის მორწყვის საშუალებების მიხედვით. იმ შემთხვევაში, როცა მოსავალი 5 ვასკს არ აღწევს, უშრი არ აიღება. უშრი გადახდილი უნდა იქნას იმ შემთხვევაშიც თუ ზემოთ დასახელებული სხვადასხვა პროდუქტების სიდიდე საერთოდ 5 ვასკს შეადგენს. მაგრამ თუ 5 ვასკს დააკლდება სულ მცირე ნაწილიც კი, უშრს არ იხდიან. გამონაკლისია მხოლოდ ზაფრანა. თუ იგი იზრდება უშრის მიწაზე და მოვა იმდენი, რომ მისი ფასი გაუტოლდება რომელიმე ყველაზე უბრალო მარცვლეული კულტურის ფასს, რომლიდანაც იხდიან უშრს, ამ შემთხვევაში ზაფრანიდანაც უნდა გადაიხადონ უშრი[4].

უშრის სიდიდე განსაზღვრული იყო მორწყვის საშუალებების მიხედვითაც. თუ მიწა ბუნებრივად ირწყვებოდა იხდიდნენ უშრს, თუ სარწყავი საშუალებებით—ნახევარ უშრს.

უშრი, როცა იგი სავაჭროდ გამოტანილი საქონლის გადასახდელს გულისხმობდა, აიღებოდა შემდეგი წესით: თუ გასაყიდი საქონლის ფასი აღწევს 200 დირჰემს ან 20 მისკალს[5], მაშინ მუსლიმები იხდიან 1/4 უშრს, ზიმიები 1/2 და ჰარბიები[6] კი უშრს. იმ შემთხვევაში, როცა გასაყიდი საქონლის ფასი 200 დირჰემზე ან 20 მისკალზე ნაკლებია, მაშინ არაფერს არ იხდიან. გადასახადს ჩვეულებრივ იხდიან დირჰემებით. 200 დირჰემიდან ან 20 მისკალიდან მუსლიმი იხდის 5 დირჰემს, ზიმია—10-ს, ჰარბი—20-ს. გადასახადი შეიძლება აღებულ იქნას ოქროს დინარითაც. ამ შემთხვევაში მუსლიმი იხდის 1/2 მისკალს, ზიმია—1, ჰარბი—2-ს[7].

იმ ქონებიდან, რომელიც არაა სავაჭროდ გამიზნული, უშრს არ იხდიან, რადგანაც „უშრი ძევს მხოლოდ (იმ საქონელზე), რომელიც ნაყიდია სავაჭროდ“[8]. უშრს გასაყიდი საქონლიდან იხდიან წელიწადში ერთხელ[9].

---

[1] ზომის ერთეული. დაახლოებით უდრიდა 55 ლიტრს. იხმარებოდა აგრეთვე ფაოთობის სახომად და უდრიდა 1/10 ჯერიბს.

[2] წონის ერთეული. მისი სიდიდე სხვადასხვანაირი იყო სხვადასხვა დროს და სხვა დასხვა ტერიტორიაზე. დაახლოებით უდრიდა 1 გირვანქას.

[3] წონის ერთეული. უდრიდა 275 კგ. აბუ იუსუფის მიხედვით ვასკი = 60 სარს მუჰამედის ზომით. 5 ვასკი = 300 საკს. საკი = 51/3 რიტლს და შეესაბამება ჰაჯაჯისეულ კაფიზს (გვ. 63). აღსანიშნავია, რომ ვასკი 50 საკს უდრის იაჰია იბნ ადამის (VIII—IX ს.) მიხედვითაც: يحيى بن آدم، كتاب الخراج გვ. 49, 100.

[4] იქვე, გვ. 61, 62, 63.

[5] წონის ერთეული ძვირფასი ლითონებისათვის, ქვებისათვის, უდრიდა დაახ. 13/7 დირჰემის წონას.

[6] ჰარბი—პირი რომელიც მტრის მხრიდან გადმოვიდა.

[7] აბუ იუსუფი, გვ. 158—159.

[8] იქვე, გვ. 159.

[9] იქვე, გვ. 158.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უშრი თავისი შინაარსით განსხვავდება ხარაჯასაგან და სხვა საპიროებებს ხმარდება ვიდრე ხარაჯა. მაგრამ თვით უშრის სახით აკრეფილი გადასახადი ერთნაირად არ იხარჯება. „ყველაფერი, რაც უშრის სახით აიკრიფება მუსლიმებისაგან მიდის იმავე საპიროებებზე, რაზედაც სადაკა, ხოლო რაც აიღება ზიმიებიდან და ჰარბიებიდან, იმავე საპიროებებზე, რაზედაც ხარაჯა[1].

სადაკა (صدقة) — მოწყალება. აღნიშნავდა ღარიბთათვის გამოღებულ გადასახადს, რომელსაც იხდიდა მუსლიმანი მოსახლეობა. „ქითაბ ალ-ხარაჯში“ ამავე მნიშვნელობით იხმარება ზაქათი. სადაკას იხდიდნენ საერთოდ ქონებიდან: მარცვლეული კულტურებიდან, ხილიდან, ჯოგიდან, ოქროვერცხლიდან. აბუ იუსუფთან სადაკაში შემავალი გადასახადებიდან მხოლოდ ცხოველებზე დაწესებული გადასახადია განხილული. რაც შეეხება მოსავალს, აქ ზაქათი უტოლდება უშრს და ამიტომ უშრთანაა განხილული.

სადაკას სიდიდე, როგორც აბუ იუსუფი აღნიშნავს, თვით მუჰამედის მიერ იყო დაწესებული და იმ ნორმებით ხელმძღვანელობდნენ VIII საუკუნეშიც[2]. ამ ნორმების მიხედვით: ყოველი 40 ცხვრიდან 120-მდე აიღებოდა 1 ცხვარი, 120-დან 200 მდე—2; 200-დან 300-მდე—3 და ა. შ., ყოველ 100 ცხვარზე—თითო ცხვარი. ამავე რაოდენობით იხდიდნენ სადაკას თხებიდანაც[3]. 5 აქლემზე აიღებოდა 1 ცხვარი, ათზე—ორი, თხუთმეტზე—სამი, ოცზე—ოთხი. 25 აქლემიდან 35-მდე—ერთი ბინთ მახადი[4], 35-დან 45-მდე ერთი ბინთ ლაბუნი[5] 45 აქლემიდან 60-მდე ერთი ჰიკკა[6], 60-დან 75-მდე ერთი ჯაზაცა[7], 75-დან 90-მდე 2 ბინთ ლაბუნი, 90-დან 120-მდე 2 ჰიკკა. თუ კაცს 120 აქლემზე მეტი ყავდა, მაშინ ყოველი 50 აქლემიდან უნდა გადაეხადა თითო ჰიკკა და ყოველი 40 აქლემიდან თითო ბინთ ლაბუნი[8].

30-ზე ნაკლებ ძროხაზე არაფერს არ იხდიდნენ. 30 ძროხიდან 39-მდე აიღებოდა ერთი თაბიც ჯაზაცა[9], ყოველი 40 ძროხიდან ერთი მუსსანა[10]. თუ ძროხების რიცხვი 40-ს აღემატებოდა მაშინ ყოველი 30 ძროხიდან აიღებოდა თითო თაბიც ჯაზაცა და ყოველი 40-დან თითო მუსანნა[11].

ცხენებზე სადაკას გადახდის თაობაზე, როგორც ჩანს, აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. ზოგიერთის აზრით თვითეულ ცხენზე უნდა გადაეხადათ სადაკას სახით ერთი დინარი, სხვების მიხედვით კი არაფერი.

---

[1] ა ბ უ ი უ ს უ ფ ი, გვ. 160.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 90.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 91.

[4] ერთ წელზე მეტი ხნის აქლემი, გვ. 91.

[5] ორ წელზე მეტი ხნის აქლემი.

[6] სამ წელზე მეტი ხნის აქლემი.
ოთხ წელზე მეტი ხნის აქლემი.

[8] მხედველობაში მიიღებოდა ყოველი ოთხი ან ხუთი ათეული. მაგ., 121—129=(40×3+ +9)=3 ბინთ ლაბუნი; 140=(40+50×2)=1 ბინთ ლაბუნი და 2 ჰიკკა, 200=40×5 ან 50×4=5 ბინთ ლაბუნი ან 4 ჰიკკა და ა. შ., გვ. 91.

[9] ერთი წლის ხბო.

[10] ორ წელზე მეტი ხნის ხბო.

[11] ა ბ უ ი უ ს უ ფ ი, გვ. 92.

მუშა საქონელზე (აქლემი, ხარი), სადაკა არ აიღებოდა[1].

სადაკას გადახდის დროს, ქონების არც შეერთება და არც დაშლა არ შეიძლებოდა[2], რადგანაც ამას ზიანი მოჰქონდა სახელმწიფო ხაზინისათვის.

სადაკა არსებითად განსხვავდება ხარაჯასაგან. „ქონება, რომელიც შეკრეფილია სადაკას სახით, არ უნდა იქნას შერეული ხარაჯას სახით შეკრეფილ ქონებაში, რადგანაც ხარაჯა შეადგენს ფაის ყველა მუსლიმისას, მაშინ როდესაც სადაკა ეკუთვნის ხალხს, რომელიც ალლაჰმა ჩამოთვალა თავის წიგნში“[3].

აბუ იუსუფის აზრით, სადაკას სახით შეკრეფილი ქონება ასეთნაირად უნდა განაწილდეს: შეკრეფილი ქონების 1/8 უნდა გამოიყოს სადაკას ამკრეფთათვის. დარჩენილი ქონება კი უნდა დაურიგდეს ღარიბებს, მევალეებს, რომელთაც ვალის გადახდა არ შეუძლიათ, მოგზაურებს, რომლებიც ჩამორჩნენ ქარავანს, გზის გასაგრძელებლად და მონებს მონობისაგან თავის გამოსასყიდად. აქედანვე უნდა გამოიყოს გარკვეული წილი იმ გზების შესაკეთებლად, რომლებიც მუსლიმთა საერთო სარგებლობაში ითვლება[4].

სადაკას სახით შეკრეფილი ქონება ღარიბებს, ობლებს და არაფრისმქონეებს უნდა მოხმარდეს. ასეთია მუსლიმანური სამართლის აზრი ამ გადასახადის შესახებ. სინამდვილეში კი სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. სადაკას სახით შეკრეფილი ქონება ხარაჯასთან ერთად სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა და მას ხალიფა თავისი შეხედულებებისამებრ ხარჯავდა, უმეტეს წილად კი ხალიფას კარს ახმარდა.

სადაკა მძიმე ტვირთად აწვებოდა მუსლიმან მოსახლეობას. მუსლიმები ილაშქრებდნენ სადაკას ამკრეფი მოხელეების წინააღმდეგ. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ამ მხრივ არაბი ბედუინები, რომლებიც სრულებით არ ემორჩილებოდნენ სადაკას აკრეფის წესს. წყაროები სადაკას ამკრეფ მოხელეებს „ალლაჰის გზაზე მეომრებს“ უტოლებენ. ასეთი შეხედულებაა გადმოცემული „ქითაბ-ალ-ხარაჯშიც“. აქ მოტანილ ერთ-ერთ ჰადისში მუჰამედის პირით ნათქვამია „სადაკას ამკრეფი მოხელე ჭეშმარიტად უტოლდება ალლაჰის გზაზე მეომარს“[5].

ე. ხუმსი (خمس) — მეხუთედი. იღებდნენ მადნებიდან (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, თუთია, რკინა), სადაც არ უნდა ყოფილიყო ეს მადანი არაბების თუ არაარაბების მიწაზე. ამავე დროს იხარკებოდა არა მადანი, არამედ სუფთა ოქრო, ვერცხლი, რკინა, ტყვია, თუთია, მიუხედავად იმისა თუ რა სიდიდით იყო მოპოვებული. რაც შეეხება დანარჩენ წიაღისეულ სიმდიდრეებს: იაგუნდი, ფირუზი, სურმა, ვერცხლისწყალი, გოგირდი, ოხრა—ესენი გათანაბრებული იყო თიხასა და სილასთან[6] და ამიტომ მათგან მეხუთედი

---

[1] აბუ იუსუფი, გვ. 92.
[2] იქვე, გვ. 95.
[3] იქვე, გვ. 93.
[4] იქვე, გვ. 95.
[5] იქვე, გვ. 97.
[6] იქვე, გვ. 25—26.

არ აიღებოდა. მეხუთედი უნდა გადაეხადათ ნაპოვნი განძიდანაც[1]. მეხუთედი უნდა გადაეხადათ აგრეთვე ზღვაში მოპოვებული პროდუქტებიდან, როგორიცაა ფუფუნების საგნები და სხვადასხვა სურნელებანი[2].

ზემოგანხილული გადასახადების გარდა პრაქტიკაში სხვა გადასახადებიც იყო ცნობილი. ამ გადასახადებს ადგილობრივი მმართველები და გადასახადის ამკრეფი მოხელეები აწესებდნენ თავიანთი შეხედულებისამებრ. მაგ., ხარაჯას ამკრეფი მოხელეები მოითხოვდნენ ხარაჯას გადამხდელთაგან ზედმეტ გადასახადებს, რომელთა გადახდაც კანონით არ იყო გათვალისწინებული: გადასახადებს ამილის შესანახად, სანაზღაოს მოსავლის აზომვისათვის, სადგომებისათვის, სულთნის (სახელმწიფოს) წილი პურის გადატანისათვის, საგადასახადო დავთრებისა და სიების შედგენისათვის, არხების გასაყვანად, გასამრჯელოს მათთვის, ვინც განსაზღვრავს მოსავლის ოდენობას.

აბუ იუსუფის შრომიდან ჩანს, რომ პრაქტიკაში ასეთი ზედმეტი გადასახადების დაკისრება ხარაჯას გადამხდელთათვის საკმაოდ გავრცელებული მოვლენა ყოფილა.

სახელმწიფო შემოსავლის ძირითად წყაროს ზემოგანხილული გადასახადები შეადგენდა. გადასახადების აკრეფის საქმეს განაგებდა სახელმწიფო შემოსავლის დივანი—დივან ალ-ხარაჯი, რომლის სათავეშიც იდგა დივანის მეთაური საჰიბ დივან ალ-ხარაჯი ანდა საჰიბ ალ-ხარაჯი (ხარაჯას დივანის გამგებელი), რომელიც გადასახადის ამკრეფ სპეციალურ მოხელეთა, ვალიებისა და ამილების საშუალებით აწესრიგებდა გადასახადების აკრეფის საქმეს.

გადასახადის ამკრეფი მოხელეები ხშირად თვითნებობდნენ, თავიანთი შეხედულების მიხედვით აწესებდნენ გადასახადებს და მოითხოვდნენ ხარაჯას გადამხდელთაგან იმაზე მეტს, რაც კანონით იყო გათვალისწინებული. ეს კიდევ უფრო ამძიმებდა მიწის მუშების ისედაც მძიმე მდგომარეობას. ამას ემატებოდა გადასახადის ამკრეფ მოხელეთა უსამართლო მოქმედება გადასახადის გადამხდელთა მიმართ. მოხელეები ცდილობდნენ აეკრიფათ ზედმეტი გადასახადი, რასაც აღწევდნენ კიდეც შევიწროვებისა და ძალდატანების საშუალებით. ხარაჯას გადამხდელებს აყენებდნენ მზეში, ცემდნენ ძლიერად, კიდებდნენ ყელზე სხვადასხვა ნივთებს, ბორკავდნენ ისე რომ ეს ხელს უშლიდა მათ ლოცვის დროს[3]. ხშირად გადასახადში მიყავდათ მათი წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი. ასე ექცეოდნენ მათ მანამდე, ვიდრე არ აიღებდნენ იმას, რასაც ითხოვდნენ. ასევე ექცეოდნენ ზიმიებს ჯიზიას გადახდის დროს. თუმც კანონით ყოველგვარი ასეთი სახის მოქმედება აკრძალული იყო. შეიძლებოდა მხოლოდ ზიმიების დაპატიმრება და ისიც ჯიზიას გადახდამდე[4].

ამას ემატებოდა ისიც, რომ ხარაჯას აკრეფას ხშირად შემთხვევით პირებს ავალებდნენ. ეს ვიგინდარა პირები განსაკუთრებით უსამართლოდ მოქ-

---

[1] აბუ იუსუფი, გვ. 27.
[2] იქვე, გვ. 83.
[3] იქვე, გვ. 128, 129.
[4] იქვე, გვ. 147.

მედებდნენ. როგორც აბუ იუსუფი აღნიშნავს, მან მრავლად იცოდა ფაქტები, როდესაც ვალიებისა და ამილების ირგვლივ თავს იყრიდნენ ადამიანები, რომლებიც სარგებლობდნენ ამ მოხელეთა მფარველობით. ამათ ვალიები აგზავნიდნენ მათთვის მინდობილ ოლქებში ხარაჯას ასაკრეფად. ესენი კი გამორჩენის მიზნით მოქმედებდნენ უსამართლოდ და ავიწროვებდნენ ხარაჯას გადამხდელებს [1].

გადასახადის გადამხდელთა მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა სახალიფოში ფართოდ გავრცელებული გადასახადის იჯარათ გაცემის წესი. აბუ იუსუფი სასტიკად ილაშქრებს ამ წესის წინააღმდეგ. იგი ასე მიმართავს ჰარუნ არ-რაშიდს: „მე ვფიქრობ, რომ შენ არ უნდა გასცე იჯარით (تقبل) გადასახადი არც სავადის რაიმე ნაწილისა და არც სხვა რომელიმე ოლქისა. მუთაკაბილი [2] (متقبل), იმის გამო, რომ მის კაბალაში [3] (قبالة) მეტი ითვლება, ვიდრე ხარაჯა იძლევა, შეავიწროვებს ხარაჯას გადამხდელებს, და დააკისრებს მათ იმას, რისი გადახდაც არ ევალებათ შეავიწროვებს და აიღებს მათგან იმას, რაც დაღუპავს მათ (ხარაჯას გადამხდელებს), რათა შეასრულოს ის, რაც აიღო თავის თავზე. ესა და ამის მსგავსი ამბები აჩანაგებენ ქვეყანას და ღუპავენ მიწის მუშაკებს. მუთაკაბილი ისეა გართული იჯარის საშუალებით საქმის გამოკეთებით, რომ ყურადღებას არ აქცევს ამას. შეიძლება (მუთაკაბილმა) მოინდომოს მიიღოს ძალიან დიდი ნაჭარბი ამ კაბალას საშუალებით. ამას კი არ შეიძლება მიაღწიოს თუ არ ქვეშევრდომთა მიმართ ცუდი მოპყრობით, ძალმომრეობით, ცემით. იგი დააყენებს მათ მზეზე, ჩამოკიდებს ყელზე ქვებს, მიაყენებს საშინელ წამებას, რათა გადაახდევინოს ხარაჯას გადამხდელებს ის, რის გადახდის ვალდებულნიც არ არიან. მე პირადად უარეყოფ კაბალას, რადგანაც არ მწამს, რომ მუთაკაბილი არ დააკისრებს ხარაჯას გადამხდელებს იმას, რაც მათთვის არაა აუცილებელი და არ მოიქცევა ისე, როგორც აგიწერე. ეს კი ზიანს მიაყენებს მათ (მიწისმოქმედებს), ისინი მიატოვებენ იმას, რასაც ამუშავებენ და რაზედაც პრეტენზიებს აცხადებენ. ამით კი ხარაჯას საქმე დაირღვევა“ [4].

რადგანაც მუთაკაბილები არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მომავალ წელსაც მიიღებდნენ გადასახადის აკრეფის უფლებას, ამიტომ ისინი ჩქარობდნენ, რაც შეიძლება მეტი მიეღოთ და მიეტაცებინათ. სრულებით არ ზრუნავდნენ მიწების კეთილმოწყობაზე, მათ არც რაიების (მიწის მუშების) მდგომარეობის გაუმჯობესება აინტერესებდათ.

ხშირად მუთაკაბილებად მოხელეები ან ფეოდალები იყვნენ. გამდიდრების მიზნით ისინი უწყალოდ აჩანაგებდნენ მოსახლეობას და ზოგჯერ მთელი წლის სარჩოსაც ართმევდნენ. რაკი გლეხის წლიური შემოსავალი გადასახადებს ვერ აუდიოდა, მოსახლეობა ტოვებდა სოფლებს და გარბოდა. მიწები ცარიელდებოდა და ნადგურდებოდა.

---

[1] აბუ იუსუფი, გვ. 129.

[2] პირი, რომელიც მიიღებს გადასახადის აკრეფის უფლებას იჯარით.

[3] გარიგება.

[4] აბუ იუსუფი, გვ. 125—126.

## გ. გლეხთა მდგომარეობა

მატერიალური დოვლათის ძირითადი მწარმოებელი აბასელთა სახალიფოში გლეხი იყო. გლეხის აღსანიშნავად არაბულ წყაროებში სხვადასხვა ტერმინი გვხვდება. ყველაზე ხშირად იხმარება ტერმინები: აჰლ ალ-არდი (اهل الارض)[1], აჰლ ალ-ხარაჯა (اهل الخراج)[2] და აჰლ აზ-ზიმმათი (اهل الذمة)[3] გლეხის მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე ტერმინი რაია (رعية). ზემოთ ჩამოთვლილ ტერმინებს გარდა მიწის მუშის აღსანიშნავად გვხვდება აგრეთვე: ჰარრასი (حراث), აქქარი (اكرة) ყულუჯი (علوج) და ფელაჰი (فلاح). როგორც ვხედავთ წყაროები გლეხის აღმნიშვნელ რამდენიმე ტერმინს ასახელებენ, მაგრამ აქ საქმე უნდა გვქონდეს არა მრავალფეროვან გლეხთა კატეგორიებთან, რაც განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის შესაფერისია, არამედ მიწისმფლობელობის სპეციფიკიდან გამომდინარე თავისებურებასთან.

იმ პირობებში, როდესაც ქვეყნის მთელი მეურნეობა ხელოვნური მორწყვის ბაზაზე იყო აგებული, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მთელს მახლობელ აღმოსავლეთში და, კერძოდ, სახალიფოში, არსებობდა უმიწაწყლო გლეხების დიდი რაოდენობა. ამას გარდა, სათემო მიწების დიდი ნაწილი დატაცებული ქონდათ მსხვილ მიწისმფლობელებს. ასეთ პირობებში სანახევრო იჯარა გლეხისათვის შუა საუკუნეებში ეკონომიური აუცილებლობა იყო[4]. აღნიშნული მიზეზების გამო სოფლის მეურნეობაში დიდი ადგილი უჭირავს მოიჯარეს (მოწილადეს, მონახევრეს), რომლის აღსანიშნავადაც არაბულ წყაროებში სხვადასხვა ტერმინი გვხვდება, კერძოდ: „მუნასიფი“, „ცამილი“, „აქქარი“, „შარიქი“, „ცამირი“[5]. მოიჯარე უდიდეს როლს ასრულებდა სახალიფოს ეკონომიურ ცხოვრებაში.

იაკუბოვსკი აღნიშნავს: „Испольщик в сельском хозяйстве тех частей феодального Востока, которые жили в условиях искусственного орошения, фигура крупная, без нее не понять ни аграрных отношений, ни истории революционных движений большей части областей Передней и Средней Азии. Известно, что испольщик жил во все периоды феодализма на Востоке и дожил в ряде зарубежных стран до наших дней“[6].

„ქითაბ ალ-ხარაჯში“ იჯარისადმი სპეციალური თავია მიძღვნილი. ამ თავში აბუ იუსუფი დაწვრილებით განიხილავს იჯარასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. მოიჯარეს აღსანიშნავად ზემოჩამოთვლილი ტერმინები-

---

[1] აბუ იუსუფი, 100, 101, 102, 181; იაჰია იბნ ადამი, გვ. 33.

[2] იქვე, გვ. 51, 59, 99, 100, 126; იქვე, გვ. 9, 30, 65.

[3] იაჰია იბნ ადამი, გვ. 7, 8, 16, 38, 46, 49, 50, 51, იშვიათად იხმარებოდა اهل ذى ذمة, გვ. 46, 47.

[4] А. Ю. Якубовский. Серьезное исследование по истории таджикского народа, Коммунист, 1953, № 1, გვ. 108; მისივე, Ирак на грани VIII—IX вв., გვ. 45.

[5] მისივე, Об испольных арендах в Ираке в VIII в., გვ. 171.

[6] იქვე, გვ. 184.

დან აქ მხოლოდ აქქარი[1] გვხვდება, დამატებით კი მუსთაცირი[2] და მუსთა'ჯირი[3].

იჯარა ქითაბ ალ-ხარაჯში მუზარაცად (مزارعة) ან მუსაკათად[4] (مساقاة) იწოდება. ორივე ეს ტერმინი სანახევრო იჯარას აღნიშნავს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პირველ შემთხვევაში დასამუშავებლად გაიცემა სახნავ-სათესად ვარგისი დაუმუშავებელი მიწა, ხოლო მეორე შემთხვევაში მიწა, რომელზედაც პალმისა და ნაყოფის ხეები იზრდება.

საინტერესოა თვით ტერმინების مزارعة და مساقاة წარმოების საკითხიც. ორივე ზმნის მესამე თემის მასდარს წარმოადგენს და ერთად მოქმედებაზე მიუთითებს. مزارعة — საფუძვლად უდევს زرع III თ زارع თესვა, ხოლო مساقاة კი سقى III თ ساقى—რწყვა. თვით სიტყვის მნიშვნელობები ხაზს უსვამს მასში მოთავსებულ შინაარსს: პირველ შემთხვევაში, როცა საქმე დაუმუშავებელ მიწას ეხება, მთავარი მნიშვნელობა თესვას ენიჭება, მეორე შემთხვევაში კი—რწყვას.

იჯარის აღსანიშნავად იხმარება აგრეთვე ტერმინი كبالة. ამ ტერმინით სახალიფოში აღინიშნებოდა ყოველგვარი გარიგება საერთოდ. კიბალა ეწოდებოდა იჯარის წესით გარიგებას, ხოლო თვითონ გარიგების წიგნს—კაბალა[5]. თუ კაბალა ეხება მიწას, მაშინ იგი იღებს მუზარაცას ან მუსაკათის ფორმას. მუზარაცა აბუ იუსუფის მიხედვით სულ 5 სახისაა:

1. მიწის გაცემა მოსავლის 1/2 ნაწილად. ამ შემთხვევაში მოიჯარე წარმოების ყველა საშუალებებს ფლობს მიწის გარდა.

2. მიწის გაცემა აგრეთვე მოსავლის 1/2 ნაწილად. იჯარის ამ სახის დროს თესლს და მუშა საქონელს თანაბრად იღებს ორივე მხარე.

3. მიწის გაცემა ფულით გარკვეული ხნის მანძილზე, 1 ან 2 წლის ვადით. გარიგების ამ სახეს იჯარა ეწოდება.

4. მიწის გაცემა მოსავლის 1/3 ან 1/4 ნაწილად.

5. მიწის გაცემა მოსავლის 1/6 ან 1/7 ნაწილად. იჯარის ამ სახის დროს, როგორც მიწა, ასევე წარმოების ყველა საშუალება მიწისმფლობელს ეკუთვნის.

გარიგების პირველ სახეს აბუ იუსუფთან ცარიდა ეწოდება. „ალ-მუზარაცა, ჩვენის აზრით, რამდენიმე სახისაა—წერს აბუ იუსუფი—მათგან: [პირველია] ცარიდა, რომელშიაც არ იგულისხმება იჯარა (ე. ი. მიწის გაცემა ფულად). ეს არის [ის სახეობა, როდესაც] გარკვეული პირი გადასცემს მეორეს მიწას დასამუშავებლად და იჯარის შესახებ მას პირობას არ უდებს. მუსთაცირი[6] ამუშავებს [მიწას] თავისი თესლით, მუშა საქონლით და ხარჯებით.

---

[1] აბუ იუსუფი, 108.

[2] იქვე, გვ. 107.

[3] იქვე, გვ. 108.

[4] დაწვრილებით აქეს განხილული მუზარაცა და მუსაკათი XI ს. ავტორს აბუ ისჰაკ აშ-შირაზის თავის „ათ-თანბიჰში“ (გვ. 142, 144).

[5] აბუ იუსუფი, გვ. 106.

[6] მოიჯარე.

მოსავალი ეკუთვნის ორივე მხარეს (თანაბრად). ხარაჯა აკისრია მიწის პატრონს, ხოლო თუ მიწა უშრისაა, მაშინ მოიჯარეს[1].

როგორც ვხედავთ, მოიჯარე მიწას თავისი საშუალებებით: თესლით, ხარებით და თავისი ხარჯებით ამუშავებს. მოსავალს ორივე მხარე ინაწილებს ტოლად. მიწაზე დაწესებულ გადასახადს კი სახარაჯო მიწებიდან იხდის მიწის პატრონი, უშრის მიწებიდან კი მოიჯარე.

მეორე სახე რამდენადმე გავს პირველს. „მიწა ეკუთვნის გარკვეულ პირს. იგი იხმობს სხვას, რათა დაამუშაონ ერთად. ხარჯები და თესლი თანაბრად აკისრია ორივეს. ეს სახე მსგავსია პირველისა. მოსავალი ეკუთვნის ორივე მხარეს (ტოლად). უშრი უნდა იქნას გადახდილი მოსავლიდან (ე. ი. იხდის ორივე მხარე) თუ მიწა უშრისაა, ხოლო თუ მიწა სახარაჯოა, მაშინ, ხარაჯას იხდის მიწისმფლობელი"[2].

მუზარაყას მეორე სახე პირველისაგან იმით განსხვავდება, რომ ამ შემთხვევაში თესლსა და მიწის დასამუშავებლად საჭირო სხვა ხარჯებს მიწისმფლობელი და მოიჯარე სანახევროდ იყოფენ. მიწის პატრონი მიწის გარდა თესლისა და მიწის დასამუშავებელი ხარჯების ნაწილსაც იღებს. მოსავალს, როგორც პირველ შემთხვევაში, ახლაც ორივე მხარე ტოლად იყოფს. სახარაჯო მიწებიდან ხარაჯას იხდის მიწის პატრონი, უშრს კი ორივე მხარე ზიარად.

მუზარაყას მესამე სახე აბუ იუსუფთან წარმოადგენს მიწის გაცემას გარკვეული ფასის გადახდით: „[მუზარაყას] შემდეგი სახე არის იჯარა დაუმუშავებელი მიწისა დირჰემების გარკვეული რაოდენობით ერთი ან ორი წლის ვადით. ასეთი გარიგება კანონიერია. აბუ ჰანიფას აზრით, ხარაჯა [ამ შემთხვევაში] მოდის მიწისმფლობელზე. თუ მიწა უშრისაა, მაშინ უშრიც მიწისმფლობელზე მოდის. ამასვე ამბობს აბუ იუსუფი სახარაჯო მიწის იჯარის შესახებ. რაც შეეხება უშრს, უშრი მოსავლის პატრონს (ე. ი. მოიჯარეს) ეკისრება"[3]. გარიგების ეს სახე გულისხმობს გარკვეული ფასის გადახდის პირობით მიწის გაცემას ერთი ან ორი წლის ვადით. ხარაჯას იხდის

---

[1] აბუ იუსუფი, გვ. 107, 108. المزارعة عندنا على وجوه منها عارية ليس فيها اجارة و هو الرجل يعير اخاه ارضا يزرعها و لا يشترط عليه اجارة فيزرعها المستعير ببذره و بقره و نفقته فالزرع له (უნდა იყოს لهما) و الخراج على رب الارض، فان كانت من الارض العشر فالعشر على الزارع.

[2] იქვე, გვ. 108. تكون الارض للرجل فيدعو الرجل الى ان يزرعها جميعا و النفقة و البذر عليهما نصفان فهذا مثل الاول الزرع بينهما و العشر فى الزرع ان كانت ارض العشر، وان كانت ارض الخراج على رب الارض.

[3] იქვე, و وجه آخر: اجارة ارض بيضاء بدراهم مسماة سنة و سنتين فهذا جائز و الخراج على رب الارض فى قول ابى حنيفة رضى الله تعلى عنه وان كانت ارض عشر فالعشر على الارض و كذلك قال ابو يوسف فى الخراج، و اما العشر فعلى صاحب الطعام.

მიწისმფლობელი, ხოლო უშრს—მოიჯარე. მუზარაცას ეს სახე საგრძნობლად განსხვავდება დანარჩენი სახეებისაგან. ამ შემთხვევაში ნატურალური გარიგების ნაცვლად ფულად გარიგებასთან გვაქვს საქმე, რომლის აღსანიშნავადაც აბუ იუსუფის შრომაში იხმარება ტერმინი იჯარა. იჯარა ჩხოლოდ ამ სახის გარიგებას აღნიშნავს და წიგნის მიხედვით სხვა სახეების მიმართ ეს ტერმინი არ გამოიყენება.

მუზარაცას მეოთხე სახე გულისხმობს მიწის გაცემას მოსავლის 1/3 ან 1/4 ნაწილად: „ესაა მუზარაცა მესამედად და მეოთხედად (მოსავლისა). ამბობს აბუ ჰანიფა... რომ იგი არის ზიანის მომტანი, რომ მოიჯარემ უნდა მიიღოს საზღაური მისი შრომის მიხედვით. ხარაჯა უნდა გადაიხადოს მიწის პატრონმა ასევე უშრიც. მე კი ვამბობ: ასეთი სახე მუზარაცასი კანონიერია შეთანხმების საფუძველზე. ხარაჯა აკისრია მიწის პატრონს, ხოლო უშრი ორივეს ერთად მოსავლის წილის შესაბამისად“ [1].

როგორც წიგნიდან ჩანს, მუზარაცას ამ სახის გარშემო აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. ზოგიერთი კანონმდებელი, მათ შორის აბუ ჰანიფაც მუზარაცას ამ სახეს უკანონოდ მიიჩნევს. მისი აზრით მოიჯარემ ამ შემთხვევაში უნდა ჩიიღოს თავისი შრომის სანაზღაო და არა მოსავლის 1/3 და 1/4 ნაწილი. ამავე დროს როგორც ხარაჯა, ისე უშრი მიწისმფლობელმა უნდა გადაიხადოს. რაც შეეხება აბუ იუსუფს, იგი როგორც ვხედავთ, მუზარაცას ამ სახეს კანონიერად თვლის.

დასასრულ აბუ იუსუფი მუზარაცას კიდევ ერთ სახეს განიხილავს. „მიწა, ხარები და თესლი ეკუთვნის გარკვეულ პირს. იგი მოუხმობს აქქარს და აძლევს (ყველაფერ ამას) მას. იგი (აქქარი) ამუშავებს მიწას და იღებს მოსავლის 1/6 ან 1/7 ნაწილს. აბუ ჰანიფასა და მისი მიმდევრების მიხედვით ასეთი გარიგება დაუშვებელია. მოსავალი მათი სიტყვით ეკუთვნის მიწის პატრონს, ხოლო აქქარს სანაზღაო მისი შრომის მიხედვით. ხარაჯა აკისრია მიწისმფლობელს, უშრი კი მოსავალს. თქვა აბუ იუსუფმა: ეს (ასეთი გარიგება) ჩემის აზრით დასაშვებია ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. როგორც ამაზე ლაპარაკობს გადმოცემა“ [2].

ამ შემთხვევაში მიწისმფლობელს გარდა მიწისა ეკუთვნის აგრეთვე თესლი და მუშა საქონელიც. მოიჯარე ამუშავებს მიწას და სანაზღაოდ

---

[1] იქვე, عنه تعالى الله رضى حنيفة ابو فقال الثلث و الربع بالمزارعة فى هذا: انه فاسد و على المستأجر اجر مثلها و الخراج على رب الارض و العشر على رب الارض و قلت: المزارعة جائزة على شروطها و الخراج على رب الارض والعشر عليهما جميعا فى الزرع.

[2] იქვე, فيها فيدخله اكارا فيدعو بقر و بذر فيكون للرجل ارض و يكون له السدس و السبع فهذا فاسد فى قول ابى فيعمل ذلك حنيفة رضى الله تعالى عنه و من وافقه والزرع فى قولهم لرب الارض و للاكار اجر مثله و الخراج على رب الارض و العشر فى الطعام قال ابو يوسف هو عندى جائز على ما اشترطا عليه على ما جاءت به الاثار.

იღებს მოსავლის 1/6 ან 1/7 ნაწილს. ზოგიერთი მუსლიმანი კანონმდებელი, მაგ., აბუ ჰანიფა ასეთი გარიგების წინააღმდეგია. მისი აზრით ამ შემთხვევაშიც მოიჯარემ თავისი შრომის საფასური უნდა მიიღოს. აბუ იუსუფის აზრით კი ასეთი გარიგებაც დასაშვებია ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

სახალიფოში მიწების დიდი ნაწილი იჯარის წესით მუშავდებოდა. მოიჯარეები ამუშავებდნენ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო მიწებს. „ქითაბ ალ-ხარაჯში" მხოლოდ კერძო მიწების იჯარით გაცემაზეა მსჯელობა, მაგრამ საფიქრებელია, რომ იჯარის ზემოგანხილული სახეები იყო გამოყენებული სახელმწიფო მიწების მიმართაც. იჯარის წესით მუშავდებოდა როგორც მსხვილი, ასევე საშუალო და წვრილი მიწის ნაკვეთები. მსხვილ მიწის ნაკვეთებს, დიაცებს, როგორც წესი მოიჯარეები ამუშავებდნენ. მიწისმფლობელები ყოფდნენ მიწას წვრილ-წვრილ ნაკრებად და ურიგებდნენ მოიჯარეებს. მსხვილი მიწისმფლობელისათვის იჯარა ექსპლოატაციის ყველაზე უფრო ხელსაყრელ ფორმას წარმოადგენდა [1].

მოიჯარედ შეიძლება ყოფილიყო მეზობელი თემის გლეხი ანდა სრულიად უმიწო კაცი. თავისი სამეურნეო მდგომარეობის მიხედვით მოიჯარე დებდა ხელშეკრულებას მიწისმფლობელთან. სხვადასხვა პირობები: მცირემიწიანობა, მოუსავლიანი წელიწადი, ვალები და სხვა, აიძულებდა თავისუფალ მიწის მუშას მოიჯარე გაეხდარიყო. ყოველ სოფელში იყო მცირემიწიან გლეხთა დიდი ნაწილი, რომელსაც მიწა არ ყოფნიდა. ისინი იძულებულნი იყვნენ ან ქალაქში წასულიყვნენ, ანდა ეძებნათ დამატებით მიწა თემის ტერიტორიის გარეთ, მსხვილ მიწისმფლობელთან. აბუ იუსუფის მიერ განხილული იჯარის სახეებში პირველ ორ შემთხვევაში მოიჯარეებად სწორედ ასეთი პირები იგულისხმებიან. ამ მოიჯარეებს მხოლოდ მიწა არა აქვთ საკმარისი. მაგრამ ფლობენ წარმოების საშუალებებს: თესლს, მუშა საქონელს, იარაღებს. როგორც ჩანს, მუნასიფის—მენახევრის სახელით სწორედ ასეთი მოიჯარეები აღინიშნებიან.

ერთ შემთხვევაში (იჯარის მეხუთე სახე) მოიჯარეს გარდა სამუშაო ძალისა არაფერი გააჩნია. ამ შემთხვევაში მოიჯარე (აქქარი) სრულიად მოკლებულია წარმოების საშუალებებს. მიწის პატრონისაგან მიწის გარდა იგი ღებულობს აგრეთვე თესლს, იარაღს, მუშა საქონელს და სამაგიეროდ იღებს მოსავლის 1/6 ან 1/7 ნაწილს. ეს არის ის მინიმუმი, ურომლისოდაც მიწის მუშას არსებობა არ შეუძლია. ასეთი მოიჯარე არ შეიძლება იყოს მიწიანი გლეხი, იგი სრულიად უმიწოა. ასეთები ფეოდალიზაციის პროცესის გაძლიერებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მომრავლდნენ სახალიფოში VIII ს. დამლევიდან.

მოიჯარეთა მდგომარეობას ამძიმებდა ის გარემოებაც, რომ აბასელების დროს ყველა მიწა სახელმწიფოში სახარაჯო ან უშრის მიწად ითვლებოდა. ეს მოიჯარეებს მიწის დამუშავების დროს უთვალისწინებდა გარკვეულ ვალდებულებას სახელმწიფოს მიმართ [2].

იჯარის წესით სახალიფოში ძირითადად კერძო საკუთრების მიწები მუშავდებოდა. სახელმწიფო მიწებს კი ჩვეულებრივ სოფლის თემის გლეხები

---

[1] А. Ю. Якубовский. Серьезное исследование по истории таджикского народа, გვ. 108.

[2] А. Ю. Якубовский. Ирак на грани VIII—IX вв., გვ. 45—46.

ამუშავებდნენ, რომლებიც სახელმწიფოს, როგორც მიწის მესაკუთრის, წინაშე გარკვეულ ვალდებულებებს ასრულებდნენ.

არხების გაყვანა და გაწმენდა, ახალი გზების გაყვანა და ძველების შეკეთება, ხიდების მშენებლობა, ქალაქებისა და ციხეების კედლების აყვანა გლეხების მოვალეობა იყო. გლეხი ვალდებული იყო გამოცხადებულიყო თავისი სანოვაგით, ხელსაწყოებით და სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ვადებში შეესრულებინა უფასოდ მისთვის სავალდებულო ეს სამუშაო[1].

ამგვარი მუშაობა ბეგარა იყო, მაგრამ აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული ბეგარის ის სახე, რომელიც გულისხმობდა არა ფეოდალის პირად მეურნეობაში „მუშაობას", არამედ „მუშაობას" არხების, გზების, ხიდების და სხვა ნაგებობათა გასაყვანად.

ამასთანავე მოსახლეობას ევალებოდა თავის ხარჯზე შეენახა გზად მიმავალი ვაჭრები, „დახმარებოდა" მუსლიმურ ეკლესიას და სხვა. განსაკუთრებით საინტერესო სახეს იღებდა გლეხის ვალდებულებები სამხედრო საქმეებთან დაკავშირებით. ხშირად ამირას ლაშქრობაში მიყავდა მთელი თემი, გზაზე გლეხები ვალდებულნი იყვნენ ეჩეხათ ტყეები, შეესრულებინათ სხვადასხვა სამუშაოები და სხვ.[2].

დაპყრობილ ადგილებში, განსაკუთრებით კი სანაპირო ოლქებში მდგარი არაბული გარნიზონები ასევე მძიმე ტვირთად აწვა დაპყრობილ მოსახლეობას. ეს ლაშქარი ჯამაგირს სახელმწიფო ხაზინიდან არ იღებდა და მეზობელი სოფლებისა და ნადავლის ხარჯზე ცხოვრობდა. მოსახლეობა ვალდებული იყო მიეცა მათთვის ბინები, მოემარაგებინა სურსათ-სანოვაგით და ფურაჟით[3].

ყველაზე მძიმე ტვირთი მიწისმოქმედი მოსახლეობისათვის მიწაზე დაწესებული გადასახადი, ხარაჯა იყო. ხარაჯა მისაჰამ კიდევ უფრო დაამძიმა სახალიფოში ძირითადი მწარმოებელი კლასის მდგომარეობა.

ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადგილობრივი მმართველები და გადასახადის ამკრეფი პირები ხშირად თავიანთი შეხედულებისამებრ აწესებდნენ გადასახადებს, მოითხოვდნენ იმაზე მეტს, რაც კანონით იყო გათვალისწინებული.

ზედმეტი გადასახადები კიდევ უფრო ამძიმებდა მიწის მუშების ისედაც მძიმე მდგომარეობას. ამას ემატებოდა კიდევ გადასახადის გადამხდელთა მიმართ გადასახადის ამკრეფ მოხელეთა უსამართლო მოქმედება.

რადგანაც გლეხს გადასახადი ნაწილობრივ ფულით უნდა გადაეხადა, იგი იძულებული იყო ფული ეშოვნა. ამ შემთხვევაშიაც უმეტესად გლეხი იჩაგრებოდა. გლეხებს ჩვეულებრივ აძლევდნენ გაცვეთილ მონეტას. ხშირად მათ მიერ გადახდილ ფულს არასრულფასოვნად თვლიდნენ და მეტს ითხოვდნენ, რასაც უმეტესად გადასახადის ამკრეფი მოხელეები ითვისებდნენ ხოლმე[4]. გამოძალვა, წამება, მოტყუება, ტიპიური მოვლენა იყო სახალიფოს

[1] История народов Узбекистана, ტ. I, გვ. 175.

[2] Б. Н. Заходер. История восточного средневековья (Халифат и Ближний Восток), М., 1944, გვ. 77.

[3] История народов Узбекистана, გვ. 175.

[4] აბუ იუსუფი, გვ. 130.

საგადასახადო სისტემისა[1]. განსაკუთრებით მძიმე იყო გლეხობისათვის გადასახადების აკრეფის უფლების იჯარით გაცემის წესი, რომელიც მრავალ უსამართლო მოქმედებას უწყობდა ხელს. გლეხობა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ყველაზე მეტად მაინც დაპყრობილი, არამუსლიმანი მოსახლეობა იყო დაჩაგრული.

განსაკუთრებით დამძიმდა არაბთა უღელი დაპყრობილი ხალხებისათვის აბასელების დროს. თუ ომაელების დროს მათ მარტო არაბები „ქამლნენ", ახლა ირანელი და ადგილობრივი ფეოდალებიც მიემატნენ და გლეხი აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდა.

გაძლიერებული ექსპლოატაცია აღატაკებდა გლეხს, ძირს უთხრიდა მის ეკონომიურ მდგომარეობას. მძიმე და აუტანელ ფეოდალურ ექსპლოატაციას უკიდურესობამდე მიყვანილი გლეხი აჯანყებით ან აყრა-გაქცევით პასუხობდა. იყენებდა კლასობრივი ბრძოლის როგორც აქტიურ, ისე პასიურ ფორმებს. რადგანაც გლეხის წლიური შემოსავალი გადასახადებს ვერ აუდიოდა, იგი იძულებული იყო მიეტოვებინა მეურნეობა და გაქცეულიყო. მოსახლეობა ტოვებდა სოფლებს და გარბოდა. გლეხების აყრა-გაქცევის შესახებ უხვი ცნობები მოიპოვება არაბულ წყაროებში.

გლეხის აყრა-გაქცევის შედეგები მძიმე ტვირთად აწვებოდა დარჩენილებს, რადგანაც მთელი გადასახადი მათ უნდა გადაეხადათ.

ფეოდალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ იყო აგრეთვე მიმართული კლასობრივი ბრძოლის აქტიური ფორმა—გლეხთა მასობრივი აჯანყებები. აბასელთა სახალიფოში ხშირი იყო გლეხთა ან ხელოსანთა აჯანყება. გლეხთა აჯანყებანი წითელ ზოლად გასდევს აბასელთა სახალიფოს არსებობას. იგი თან დაჰყვა მის გაჩენას და დარჩა მის მუდმივ მოვლენად. აღსანიშნავია, რომ ყველაზე დაძაბული დრო ამ თვალსაზრისით სწორედ VIII—IX საუკუნეებია.

ამ ხანებში სახალიფოში გლეხთა რამდენიმე აჯანყებაა ცნობილი: სუნბადის აჯანყება 755 წელს, 756 წ. გლეხთა დიდი აჯანყება მოსულში, რომელიც ბთელს ჩრდ. დასავლეთ ირანში გავრცელდა, გლეხთა აჯანყებები მესოპოტამიაში, სისტანში, მუკანას აჯანყება შუა აზიაში 776—783 წ. და ბაბეკის აჯანყება აზერბაიჯანში 817—837 წლებში.

განსაკუთრებული როლი ითამაშეს სახალიფოს ისტორიაში მუკანასა და ბაბეკის აჯანყებებმა, რომლებიც, როგორც პროფ. იაკუბოვსკი აღნიშნავს, წარმოადგენენ „ეშმარიტად ღირსშესანიშნავ მოვლენას აღმოსავლეთში ფეოდალური საზოგადოების კლასობრივი ბრძოლის ისტორიაში"[2].

ორივე მოძრაობა მიმართული იყო არა მარტო არაბული ხელისუფლებისა და სახარაჯო სისტემის, გაზრდილი გადასახადებისა და ფეოდალური ექსპლოატაციის გაძლიერების წინააღმდეგ, არამედ თვით ფეოდალური საზოგადოების საფუძვლების, ყოველგვარი გადასახადების, წოდებრივი უთანასწორობისა და ფეოდალური პრივილეგიების წინააღმდეგაც. ორივე მოძრაობა გამოხეული იყო რელიგიურ საბურველში, რომელიც მაზდაკელთა მოძღვრების დიდ გავლენას განიცდიდა.

---

[1] აბუ იუსუფი, გვ. 128—129.

[2] А. Ю. Якубовский. Ирак на грани VIII—IX вв. გვ. 32.

გლეხთა აჯანყებანი, როგორც აღვნიშნეთ, აბასელთა სახალიფოს წარმოშობისთანავე დაიწყო. 755 წელს ხალიფა ალ-მანსურის ბრძანებით მოკლეს ხორასნის გლეხთა აჯანყების მეთაური აბუ-მუსლიმი. ამან დაუყოვნებლივ გამოიწვია გლეხთა მოძრაობა, რომელიც „მუსლიმიას“ სახელწოდებით ცხობილი რელიგიური სექტის მოღვაწეობასთან იყო დაკავშირებული.

აბასელებმა იმედი გაუცრუეს საზოგადოების დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებს, რომლებიც წინათ აბასელთა სასარგებლოდ ეწეოდნენ პროპაგანდას. გლეხთა ექსპლოატაციის გაძლიერების პირდაპირი შედეგი იყო სხვადასხვა „ერესების“, მათ შორის, სუფიზმის და ისმაილიტობის წარმოშობა. ეს რელიგიური სექტები ადრე მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული გლეხთა მოძრაობებთან, სანამ მათ ფეოდალები თავიანთი კლასობრივი მიზნებისათვის გამოიყენებდნენ.

## 2. სახალიფოს ფეოდალური დაშლა

### § 1. დამოუკიდებელი საამიროების წარმოშობა

სახალიფოს ფეოდალური დაშლის ნიშნებმა უკვე VIII—IX საუკუნეთა მიჯნაზე იჩინეს თავი.

ჰარუნ არ-რაშიდის (786—809) გარეგნულად ბრწყინვალე ხანა ფაქტიურად აბასელთა სახალიფოს ძლიერების დასასრულის დასაწყისი იყო.

აბასელთა სახალიფოს დასავლეთ ნაწილში წარმოიქმნა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები: თულუნიანთა (788 წ.) და აღლაბიანთა (800 წ). მუსლიმანურ ესპანეთში არსებობდა კორდოვას დამოუკიდებელი საამირო, რომლის სათავეშიც (756 წლიდან) დამასკოდან გაქცეული ომაელი უფლისწულის ჩამომავლები იდგნენ. 929 წელს აქ წარმოიქმნა კორდოვას სახალიფო (929—1031), ეგვიპტე IX ს-ის მთელს სიგრძეზე აჯანყებათა ცეცხლში იყო გახვეული. შიიტობის რელიგიურ სამოსელში გამოხვეულმა სოციალურმა მოძრაობამ ნიადაგი მოუმზადა ფატიმიდების სახალიფოს წარმოშობას X საუკუნის დამდეგს. ფატიმიდების ანუ კაიროს სახალიფოს (910—1171) დაუკავშირდა სირიაც.

განკერძოებისადმი ტენდენცია ძლიერი იყო აგრეთვე სახალიფოს აღმოსავლეთ ნაწილში. X ს-ის შუა წლებისათვის აბასელთა სახალიფო ბაღდადით და მისი სანახებით შემოიზღუდა.

განსაკუთრებით აქტიური იყო აღმოსავლეთში ირანული ელემენტი. ახალს ვითარებასა და პირობებში ირანელები დღის წესრიგში აყენებდნენ ირანის სახელმწიფოს აღდგენის საკითხს. ირანელთა ინტელექტუალური მოძრაობა („შუბია“) ამ დროს აშკარად გადაიზარდა პოლიტიკურ მოძრაობაში.

„შუბიას“ მთავარი ეროვნული მოტივი („ჩვენ (ირანელები) ჯემშიდების ჩამომავლები ვართ, არაბს კი თავისი პაპის სახელიც არ ახსოვს“), რომლითაც ირანელთა კულტურული უპირატესობა და ათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ტრადიციები იყო ხაზგასმული, არაბთა ბატონობის დამბობის ლოზუნგად იქცა.

IX საუკუნეში ყალიბდება და ვითარდება ახალი სპარსული ენა, რომელმაც მალე არაბული შეცვალა და სწრაფად გავრცელდა შუა აზიაში, ირანში. ახალი სპარსული ენა მარჯვედ იქნა გამოყენებული დამოუკიდებელი ფეოდალური სახელმწიფოების მშენებლობაში. დამახასიათებელია, რომ ახა-

ლი სპარსული არაბულს უპირისპირდება ხორასანსა და შუა აზიაში, სადაც პირველი დამოუკიდებელი ფეოდალური ორგანიზმები წარმოიშვა.

IX ს-ის დამდეგისათვის კომპრომისის პერიოდი არაბულ და ირანულ არისტოკრატიას შორის მწვავე კონფლიქტით დამთავრდა. ირანული ელემენტის დაწინაურებით უკმაყოფილო არაბები ახლა თავიანთი ოდინდელი პირველობისა და უპირატესობის აღდგენას მოითხოვენ. თვით ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდი შეშფოთებული იყო ირანელი ფეოდალების აღზევება-გაძლიერებით. უეჭველია, ეს იყო ბარმაქელ ვეზირთა საგვარეულოს წევრების გაჟლეტის, დაპატიმრების და ქონების კონფისკაციის მთავარი მიზეზი. ჰარუნ არ-რაშიდი სასტიკად გაუსწორდა ხალიფას ტოლ ვეზირს. მაგრამ ამით ბრძოლა არაბებსა და ირანელებს შორის არ დამცხრალა. ამ ბრძოლასთან უნდა იყოს დაკავშირებული ხალიფას დაღუპვა 909 წელს, როდესაც იგი ხორასანში მომხდარი აჯანყების ჩასაქრობად მიემართებოდა.

ბრძოლა არაბულ და ირანულ ელემენტს შორის კიდევ უფრო გაძლიერდა ალ-ამინის ხალიფობაში (909—913). ალ-ამინი დედითაც არაბი იყო; ბავშვობაში აღსაზრდელად ბედუინებში გაბარებული და საერთოდ არაბულ ტრადიციებზე აღზრდილი.

ალ-ამინს არაბებმა დაუპირისპირეს მისივე ძმა ალ-მამუნი, დედით სპარსელი, ხორასანში აღზრდილი, ხორასნის გამგებელი და ირანული ტრადიციების ერთგული დამცველი. ირანელებთან ერთად ალ-მამუნს მხარს უჭერდნენ ირანიზებული (უპირატესად ქალაქებში მოსახლე) და გაფეოდალებული არაბები იმათ წრიდან, ვინც ირანში მიწა-წყალი შემოიმტკიცა და დეჰყანების საზოგადოებრივ ფენაში მოექცა.

ბრძოლა ალ-ამინსა და ალ-მამუნს შორის დამთავრდა 813 წელს ალ-მამუნის გამარჯვებით. გამარჯვება მას ირანელმა სარდალმა ალ-თაჰერმა მოუპოვა.

ხალიფა ალ-მამუნმა (813—835) არა მარტო აღადგინა პირველი აბასელი ხალიფების პოლიტიკა ირანელ ფეოდალებთან დამოკიდებულებაში, არამედ უფრო რადიკალურ ღონისძიებებს მიმართა. მან ხალიფას მემკვიდრედ გამოაცხადა შიიტების მერვე იმამი ალ-რიზა და აბასელების შავი ალამი შიიტების მწვანე ალმით შეცვალა. ეს უკვე სახელმწიფო გადატრიალებას ნიშნავდა. და არაბებმაც ამას აჯანყებით უპასუხეს. ამიტომ ალ-მამუნი მხოლოდ 818 წელს შევიდა ბაღდადში. არაბებმა მას ქალაქ ბაღდადის ალაყაფები გაუღეს მხოლოდ შიიტური მიდრეკილებების უარყოფის შემდეგ. ალ-რიზა ყურძნის მტევანზე დაყრილ საწამლავს გადაჰყვა, ხოლო არაბთა საძულველი ირანელი ვეზირი ხალიფას ბრძანებით მოაშთვეს. მაგრამ ხალიფა კიდევ უფრო მეტს უთმობდა ირანელებს. 820 წელს იგი იძულებული იყო ალ-თაჰერი ხორასნის დამოუკიდებელ ამირად ეცნო. ასე წარმოიშვა თაჰერიდების საამირო—პირველი დამოუკიდებელი ფეოდალური სახელმწიფო სახალიფოს აღმოსავლეთ ნაწილში.

ალ-მამუნი განათლებული ხალიფა იყო. იგი დაინტერესებული იყო მხატვრული, საისტორიო, გეოგრაფიული და ფილოსოფიური მწერლობის განვითარებით. მთავარი ყურადღება მაინც ბუნებისმეტყველებასა და მათემა-

ტიკას მიექცა. ალ-მამუნის თაოსნობით ბაღდადში დაარსდა ობსერვატორია. მანვე ქალაქ ჯუნდეშაპურში (სასანური გუნდეშაბური—ხუზისტანში) აღადგინა უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი. მის დროს მეცნიერებმა პირველად გაზომეს დედამიწა და აღნიშნეს, რომ დედამიწა სფეროსებრი იყო. ბუნებისმეტყველების განვითარებამ წარმოშვა რაციონალური მიმართულება არაბულენოვან ფილოსოფიაში, რომელიც მუთაზილობის სახელითაა ცნობილი.

მუთაზილები უარყოფდნენ ყურანის ღვთაებრივ წარმოშობას და ჰქადაგებდნენ ნებისყოფის თავისუფლებას. ამრიგად, მუთაზილები მკვეთრად დაუპირისპირდნენ შუასაუკუნეებრივ პროვიდენციალიზმს („ღვთის მნებელობას"), რომელიც საყოველთაოდ იყო გაბატონებული როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მწერლობასა და ისტორიოგრაფიაში. მათი მსჯელობა დამყარებული იყო ბუნებისმეტყველების მიღწევებზე. ამით ისინი ყოველგვარ ნიადაგს აცლიდნენ ორთოდოქსალური ისლამის წარმოდგენებს. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა მაინც რელიგიურ სამოსელში იყო გახვეული, თუმცა მუთაზილებმა წარმოდგენა ალაჰზე ანტროპომორფიზმისაგან გაანთავისუფლეს და ბუნებასა და ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობას გამოსთიშეს.

მუთაზილობა ხალიფა ალ-მამუნმა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, რამაც რეაქციული ძალების გაბოროტება და მძაფრი წინააღმდეგობა გამოიწვია. ორთოდოქსალური ისლამი სახელმწიფო რელიგიის უფლებებში ხელახლად აღდგენილი იქნა ალ-მუთავაქილის ხალიფობაში (847—862), როდესაც სახალიფო სწრაფად დაადგა დაქვეითებისა და დაშლილობის გზას.

მაგრამ მუთაზილობას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია. ორთოდოქსალური (სუნიტური) ისლამის წარმომადგენლები შერყეული პრესტიჟის აღდგენის მიზნით იძულებული იყვნენ მიემართათ მუთაზილების მიერ შემუშავებული მსჯელობის მეთოდებისათვის და მტკიცების ხერხებისათვის. ამ ნიადაგზე VIII—IX საუკუნეებში ჩამოყალიბდა სუნიტობის ოთხი სკოლა: მალიქიტების, ჰანიფიტების, შაფიტების და ჰანბალიტების[1].

ადრინდელი ისლამის მარტივი თეოლოგია ისლამის მსოფლიო რელიგიად გადაქცევის პერიოდში სუნიტური სკოლების რთული თეოლოგიით შეცვალა. ახლა უკვე მუთაზილებს საქმე ჰქონდათ არა მომთაბარე არაბების პრიმიტიულ სარწმუნოებრივ წარმოდგენებთან, რომელთა გაბათილება ძნელი არ იყო კერძოდ ყურანის ღვთაებრივი წარმოშობის საკითხში, არამედ ფილოსოფიურ სამოსელში გამოხვეულ ისლამთან. სწორედ ეს ისლამი გახდა გაბატონებული კლასის იდეოლოგიად აღმოსავლეთში.

---

[1] ამ სკოლების დამაარსებლები იყვნენ: მალიქ ბ. ანასი (715—795), აბუ ჰანიფა (გარდაიცვალა 767 წელს), აშ-შაფი (767—820) და აჰმედ ბ. მუჰამედ ბ. ჰანბალი (780—855). შაფიტები და ჰანიფიტები ირანელი სუნიტები იყვნენ, ჰანიფიტები ოსმალები, მალიქიტებს და ჰანბალიტებს მიმდევრები უპირატესად არაბეთში და აფრიკაში ჰყავდათ. ამ სკოლების თეორიების მიხედვით წარმოებს მუსლიმანურ სამართალში მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის, გადასახადების და საგადასახადო სისტემის, ქონების და საკუთრების იურიდიული ინტერპრეტაცია. ამასთან სუნიტური, როგორც გაბატონებული კლასის იდეოლოგიის, თეორიები პრაქტიკასთან შედარებით უფრო ახლოს დგას, ვიდრე შიიტური თეორიები. და ეს იმის გამო რომ სახელმწიფო რელიგიად შიიტობა მხოლოდ XVI ს-ის დამდეგს იქცა.

„არაბული კულტურის“ აღმავლობა-განვითარება მიმდინარეობს არაბთა ბატონობის დასუსტებისა და სახალიფოს ფეოდალური დაშლის პერიოდში. ამიტომ გამოთქმა „არაბული კულტურა“ შეიძლება ვიხმაროთ მხოლოდ პირობითი მნიშვნელობით[1]. ცნობილია: „არაბული კულტურის“ შექმნაში, გარდა საკუთრივ არაბებისა, აქტიურად მონაწილეობდნენ დაპყრობილი ხალხები, რომელთა მეურნეობის და კულტურის განვითარებას ფართო გასაქანი მისცა სახალიფოს ფეოდალიზაციამ. გამოჩენილი მწერლების, ისტორიკოსების, გეოგრაფოსების, მათემატიკოსების უმრავლესობას ირანელები შეადგენდნენ. არაარაბული წარმოშობის მწერლები და მეცნიერები არაბულად წერდნენ და აზროვნებდნენ იმიტომ, რომ იძულებით გავრცელებულმა არაბულმა ენამ ლათინური ენის მსგავსი ადგილი დაიჭირა შუა საუკუნეების აღმოსავლეთში.

„არაბული კულტურის“ აღმავლობას საფუძველი შეუქმნა დაწინაურებულმა ფეოდალურმა ეკონომიკამ.

ინტენსიური სოფლის მეურნეობა, ფეოდალური ქალაქების წარმოშობა, საქალაქო ცხოვრების გართულება, ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარება, საქონლის ბრუნვისა და ფულადი მეურნეობის ზრდა მახლობელ და შუა აღმოსავლეთის სამეურნეო ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენებია IX—X საუკუნეებში.

დამუშავებული მიწების ფართობის გაზრდის საქიროებამ გააძლიერა ბრძოლა მიწების ფეოდალური მითვისებისათვის. ეს ბრძოლა, რომელშიაც საზოგადოების სხვადასხვა ფენები იყვნენ ჩაბმული, კლასობრივ ნიადაგზე იყო აღმოცენებული და განვითარებული. მწვავე კლასობრივი ბრძოლის მკაფიო გამოხატულება იყო გლეხთა მრისხანე აჯანყება ალ-მამუნის ხალიფობაში. გლეხთა აჯანყების მიზეზი იყო არა მარტო გადასახადების გადიდება, გლეხთა მოტყუება (საწყაოების გაზრდა, ჯერიბის ზომის შემცირება, პროდუქტების გაცვეთილი მონეტებით გასტუმრება) და ძარცვა (ხარაჯას წელიწადში ორჯერ ან ოთხჯერ აღება), არამედ სათემო მიწების დატაცებაც ფეოდალების მიერ.

თუ ომაელების და აბასელების დროს განუხრელად იზრდება სახელმწიფო მიწების ფონდი, ახლა მიწებისათვის ბრძოლა ამის საწინააღმდეგო ტენდენციას ამჟღავნებს. ამიერიდან ბრძოლა მიწის ფეოდალური გასაკუთრებისათვის წარმოებს.

ხალიფები (ხოლო შემდეგ დამოუკიდებელი ამირები და სულთნები) ცდილობენ გაზარდონ სახელმწიფო მიწისმფლობელობა. საამისოდ ისინი ყველა საშუალებას მიმართავენ: დაპყრობას, იძულებას, კონფისკაციას, მისართმეველის ფორმაში გამოხატულ მიტაცებას, ყიდვას[2]. ფართოდ იყო გამოყენებული აგრეთვე კოშენდაციის წესი: ხალიფასათვის მიწების გადაცე-

---

[1] ამგვარადვე შეუფერებელია გამოთქმა „მუსლიმანური კულტურა“, რადგან არაბული თუ მუსლიმანური კულტურის განვითარებაში მონაწილეობდნენ ქრისტიანებიც და ებრაელებიც.

[2] საამისო მაგალითები იხილე ლამბტონის წიგნში: A. Lambton. Landlord and paasant in Persia, London, 1953, გვ. 25—28.

მა და მის მფარველობაში შესვლა. ამავე დროს აბასელი ხალიფები ცდილობენ გააძლიერონ მუსლიმანური ეკლესიის მიწისმფლობელობა. ჰარუნ არ-რაშიდი, ჩანს, მუსლიმანურ ეკლესიას ეურდნობა აღზევებული ფეოდალების გავლენის შეზღუდვის საქმეში; ცდილობს განამტკიცოს სასულიეროთა ფეოდალური ორგანიზაცია უხვი შეწირულების გზით. აღსანიშნავია, რომ სწორედ IX ს-ში ყალიბდება „ვაკფი", რომელმაც საზოგადოდ მუსლიმანურ აღმოსავლეთში განვითარების მეტად გრძელი და რთული გზა განვლო.

მაგრამ ყველა ზემოაღწერილ საშუალებას მიმართავენ ამირებიც, რომელთაც ფეოდალური საკუთრების ნიმუშად დეჰყანური მიწისმფლობელობა აქვთ ან არაბებისაგან დამოუკიდებლივ განვითარებული მიწისმფლობელობის პრაქტიკა დაპყრობილ ქვეყნებში.

ამირები ითვისებენ სამმართველოდ მიცემული ქვეყნების მიწა-წყალს. ამ ნიადაგზე ცალკეული ოლქების ამირებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო გამართული. ძლიერი სუსტის „მფარველად" ხდებოდა მფლობელობის მიზნით. ძლიერ ფეოდალებს ხელში უვარდებოდათ ის მიწაც, რომელსაც გადასახადებით წელში გატეხილი მიწისმფლობელი ჰყიდდა. მკვდარი მიწის („მავათ") გაცოცხლებაც (დამუშავება) მხოლოდ მსხვილ მიწისმფლობელს შეეძლო. მიწის ფეოდალურ გასაკუთრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა „იკტაც", რომლის შინაარსი, ფეოდალური განვითარების შესაბამისად, თანდათან იცვლებოდა.

გლეხთა ფეოდალურ ექსპლოატაციაში ახლა დეჰყანებთან ერთად არაბი მიწისმფლობელებიც მონაწილეობენ. დეჰკანები უპირატესობას მეურნეობაში მონის შრომის მაგიერ გლეხის შრომას ანიჭებდნენ. ამ შეხედულების განმტკიცებაზე არსებითი გავლენა მაინც გლეხთა აჯანყებებმა მოახდინეს. IX—X სს. არაბულ წყაროებში აღარ გვხვდება გლეხების „დაბეჭდვის" ფაქტები, ჩანს მიწისმოქმედ მოსახლეობას ახსნეს ბეჭდები. გლეხები სახალიფოში მონურ მდგომარეობიდან გამოიყვანეს. ამიერიდან გლეხები არიან არა მონები, არამედ სახელმწიფოს და კერძო მიწისმფლობელების ყმები[1].

ამავე დროს ჩვეულებრივ მოკლენად იქცა საკუთრივ მონების მიწაზე დასმა. მონების ფეოდალურ დამოკიდებულებაზე გადაყვანა უფრო ხელსაყრელი ჩანდა იმის გამო, რომ ამ დროს მთელი ყურადღება მიწების დამუშავებისა და სოფლის მეურნეობიდან შემოსავლის გაზრდისკენ იყო მიპყრობილი.

დაპყრობითი ომების შეწყვეტის შემდეგ არაბთა შემოსავლის ერთადერთ წყაროდ, როგორც აღვნიშნეთ, მიწა ხდება. არაბების თვალში მიწას ფასი დაედო.

ახლა სოფლის მეურნეობის განვითარებაზეა დამოკიდებული გადასახადების გაზრდა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მიწათმოქმედებას. სოფლის მეურნეობის განვითარებაზე მიუთითებს სახალიფოს უმრავლეს რაიო-

---

[1] А. Ю. Якубовский. Ирак на грани VIII—IX вв., гл. 44—45.

ნებში მძიმე გუთნის გამოყენება, რომელშიაც 8 უღელი ხარია შებმული[1]. მიწისმფლობელები ყველა საშუალებას იყენებენ, რათა გაზარდონ დამუშავებული მიწების ფართობი.

წყაროებში აღნიშნულია, ე. წ. „მკვდარი მიწების“ („მავათ“) გაცოცხლება, ყამირების გატეხვა, მიწების ინტენსიური ყიდვა-გაყიდვა („მულქის“ მიწის კერძო საკუთრების მთავარი წყაროები). ყველა ამას არაბი ამირები უმატებენ მახვილით დაპყრობილ და დასაკუთრებულ მიწებს. მსხვილი მიწისმფლობელობა მყარ ეკონომიურ საფუძველს უქმნის ამირების პოლიტიკურ მიზნებს—განკერძოებას, დამოუკიდებელი საამიროების წარმოქმნას.

გაფეოდალებული ამირების განკერძოებისადმი მიდრეკილება ისევე საშიშარი ხდება ხალიფას ხელისუფლებისათვის, როგორც ადგილობრივი ფეოდალების ცდანი გამოსთიშონ თავიანთი ქვეყნები სახალიფოს ცენტრს—ბაღდადს. ხალიფას ხელისუფლების დასაყრდენი სოციალური ბაზა თანდათან ვიწროვდება. IX ს-ის დამდეგიდან აბასელი ხალიფები უკვე ეშვის თვალით უყურებენ ირანელ და შუაზიელ ფეოდალებს. ამავე დროს არც საკუთრივ არაბი ამირები არიან სანდონი. პირიქით, სწორედ მათ გარშემო ირაზმებიან ადგილობრივი ფეოდალური ძალები და ქმნიან პირველ დამოუკიდებელ საამიროებს.

ამ თვალსაზრისით საესებით გასაგები ხდება, მაგალითად, საჯიანების და ქესრანიანთა ფეოდალური სამთავროების წარმოშობა სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. დამახასიათებელია, რომ დასახელებული ფეოდალური სამთავროები (ისევე როგორც მრავალი სხვა) არაბთა სახელმწიფო ორგანიზაციას სწორედ არაბული წარმოშობის დინასტიებმა გამოსთიშეს.

თბილისის საამიროს დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებაც აბასელთა სახალიფოში მიმდინარე საერთო პროცესის გამოვლინებას წარმოადგენდა.

### § 2. ალ-მუთასიმის სამხედრო რეფორმა

ცენტრმსრბოლ ძალებს აბასელმა ხალიფებმა თურქული ელემენტი დაუპირისპირეს. მაგრამ ხალიფა ალ-მუთასიმის (833—842) სამხედრო „რეფორმამ“ (თურქი ღოლამების დაწინაურება სახალიფოს სამხედრო ასპარეზზე) ხალიფას ხელისუფლებისათვის სრულიად საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო. აღზევებული თურქების თვითნებობამ კიდევ უფრო დაასუსტა ხალიფას ხელისუფლება. ფეოდალიზაციის პროცესის გაძლიერება სახალიფოს ფეოდალურ დაშლას გარდუვალს ხდიდა.

აშკარაა „სამხედრო რეფორმის“ კლასობრივი მიზანი. თურქი ღოლამები უპირატესად ექსპლოატირებული ფენების დასათრგუნად იყვნენ მოწოდებული. თუმცა მათვე ევალებოდათ გამდგარი ამირების დამორჩილება და დასჯა. თურქი სარდლები (ამ დროს მოღვაწეობს სწორედ ქართული წყაროებით კარგად ცნობილი ბუღა-თურქი) სამხედრო მოვალეობას პირნათლად ასრულებდნენ, მაგრამ თან თავიანთ მეომრებთან ერთად პირწმინდად ძარცვავდნენ მოსახლეობას სოფლებში, ქალაქებში, შარაგზებზე. ბაღდადის ქუჩებში თურქები დღის სინათლეზე ავკაცობდნენ და ყაჩაღობდნენ. თვითონ ხალიფა ალ-მუთავაქილი ისე დაფრთხა, რომ ბაღდადიდან საცხოვრებლად ახლო

---

[1] Б. Н. Заходер. История восточного средневековья, зз. 71.

მდებარე სამარაში გაიქცა, მაგრამ თურქებმა ის არც აქ მოასვენეს და სასახლეში საბლით მოაშთვეს.

არაბულ მონეტებზე ხალიფა ალ-მუთავაქილი მაღალი სპარსული ქუდით არის გამოსახული. მაგრამ ეს ნუმიზმატიკური ფაქტი არ მეტყველებს იმას, რაც მის დროს ნამდვილად მოხდა. სამხედრო და პოლიტიკურ ასპარეზზე მან ირანელები თურქებით შეცვალა. საზოგადოებრივი განვითარების უმდაბლეს საფეხურზე მდგარ თურქებს, ცხადია, არ შეეძლოთ ისეთივე როლის შესრულება, როგორიც ირანულმა ელემენტმა შეასრულა სახალიფოში. თურქთა ბატონობის უარყოფითმა შედეგმა უკვე ამ დროს იჩინა თავი. ალ-მუთავაქილის ხალიფობა აღინიშნა შავბნელი რეაქციით, რელიგიური ფანატიზმით.

ალ-მუთავაქილმა ყურადღების „ქიაფირების“ („ურწმუნოთა“) დევნაზე გადატანით სცადა მუსლიმთა შორის მშვიდობის დამყარება და სახელმწიფოში წესრიგის აღდგენა. კვლავ გაბატონდა ისლამის სარწმუნოების სუნიტური მიმართულება. ხალიფას ბრძანებით ქალაქებში დაანგრიეს ქრისტიანთა და ებრაელთა საკულტო ტაძრები. მათ აეკრძალათ ცხენზე შეჯდომა, მუსლიმანთა სახლებზე უფრო მაღალი სახლების აშენება. „ურწმუნოებს“ უნდა სცმოდათ მუსლიმანებისაგან განსხვავებული ტანსაცმელი, მათი საცხოვრებელი ბინების კარებს და ფანჯრებს გაკეთებული უნდა ჰქონოდათ დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი ნიშნები. ისინი არ უნდა გამოჩენილიყვნენ იმ ქუჩებზე და მოედნებზე, სადაც დიდი რაოდენობით იყვნენ თავმოყრილი მუსლიმანები. ამრიგად, ხელახლად აღსდგა არამუსლიმანებთან დამოკიდებულების ის წესები, რომელიც არაბთა შემოსევების პირველი ხანისათვის იყო დამახასიათებელი. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ხალიფას ხელისუფლება ახლა ისე ძლიერი არ იყო, როგორც ომარ I-ის დროს.

ასეთ ვითარებაში ახალი ძალით განახლდა დაპყრობილ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლა არაბთა ბატონობის წინააღმდეგ.

## § 3. დაპყრობილ ხალხთა ბრძოლა არაბობის წინააღმდეგ და გლეხთა აჯანყებები

დაპყრობილ ხალხთა (შუა აზიაში, ირანში, ამიერკავკასიაში, ეგვიპტეში) განმათავისუფლებელმა ბრძოლამ გადამწყვეტი როლი შეასრულა არაბთა ბატონობის დამხობაში. ეს ბრძოლა არა ერთხელ გადაზრდილა დიდს სახალხო მოძრაობაში.

სახალხო მოძრაობათა მთავარი მამოძრავებელი ძალა გლეხობა იყო.

გლეხთა მდგომარეობა აბასელთა სახალიფოში ოდნავაც არ გაუმჯობესებულა. პირიქით, აბასელებმა კიდევ უფრო დაამძიმეს გადასახადები. მოსავლის წილის მაგიერ („ხარაჯა მუკასამა“) მათ ხარაჯა მიწის ფართობზე დააწესეს („ხარაჯა მისაჰა“). განსაკუთრებით მძიმეა უმიწაწყლო გლეხების (მათი რაოდენობა მიწის დამუშავების სარწყავ არხებზე დამოკიდებულების პირობებში უთვალავია) მდგომარეობა. მეიჯარე გლეხები (ჩარ-ი ჭარ —ირანსა და შუა აზიაში, მუნასიფი, აკკარი, ამირი, ამილი—ერაყსა და წინა აზიაში) ახლაც იჯარის წესით ამუშავებენ მიწის წვრილ ნაკვეთებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მათი ექსპლოატაცია ახლა ძირითადად ფეოდალურ ფორმებში ხორციელდება. ამავე დროს, მსხვილმა მიწისმფლობელებმა ხელი დასდეს სათემო მიწებს. განახლდა არაბთა შემოსევამდე დაწყებული სათემო მი-

წების დატაცების პროცესი. გლეხთა მიერ თავისუფლების დაკარგვამ უკიდურესად გაამწვავა კლასობრივი ბრძოლა. ყველა ამით აიხსნება, რომ IX ს-ის პირველი ნახევარი აბასელთა სახალიფოში აღინიშნა გლეხთა მასიური აჯანყებებით.

გლეხთა მასიურმა აჯანყებებმა ძლიერად შეარყიეს აბასელთა სახელმწიფოს საფუძვლები. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გლეხთა დიდ აჯანყებას აზერბაიჯანში (816—837 წწ.). გლეხთა ომი სწრაფად გავრცელდა ალბანეთში, სომხეთში, ირანში. აჯანყებას მეთაურობდა ხურამიტი बाबეკი. აჯანყების მონაწილეებს უწოდებდნენ „წითლად შემოსილებს" (არაბ. „ალ-მუხარიმა") ან „წითელ ალმიანებს" (სპ.-არაბ. „სორხ ალემ"). წითელი ფერი იყო აჯანყებულ გლეხთა ბრძოლის სიმბოლო. გლეხთა ეს ანტიფეოდალური მოძრაობაც რელიგიურ სამოსელში იყო გამოხეული.

ხურამიტების იდეოლოგია თავის სათავეს პოულობს მაზდაკის მოძღვრებაში. ბოროტების წყაროს ხურამიტები ხედავდნენ მიწის კერძო საკუთრებასა და სოციალურ უთანასწორობაში, ისინი მოითხოვდნენ მიწების სასოფლო თემის მფლობელობაში გადაცემას. მიწის სახელმწიფო საკუთრების არსებობის და გლეხთა სახელმწიფოს მეშვეობით ექსპლოატაციის პირობებში აჯანყება ანტიარაბული მოძრაობის ხასიათის მატარებელიც იყო. ამიტომ, პირველ ხანებში, बाबेკს შეუერთდნენ ადგილობრივი ფეოდალებიც, რომელთაც გლეხთა აჯანყების წარმატებები გამოიყენეს ხალიფას მოხელეების თავიანთი ტერიტორიიდან განსადევნად. ამის შემდეგ ისინი გადაუდგნენ აჯანყებულთ. აჯანყება დამარცხდა, მაგრამ ამით გლეხთა მოძრაობანი არ დამცხრალა.

839 წელს აჯანყებამ იფეთქა ტაბარისტანში, სადაც გლეხებმა გაჟლიტეს არაბი მიწისმფლობელები და ხელთ იგდეს მიწები.

869—883 წწ. ერაყში მძვინვარებდა ზინჯიების (მონების) აჯანყება. ზინჯიების აჯანყების ლიკვიდაციის შემდეგ მნიშვნელოვნად შესუსტდა მონათმფლობელური ტენდენციები სახალიფოში, გახშირდა მონების მიწაზე დასმა, აჩქარდა ფეოდალიზაციის ტემპი.

IX ს-ის დამლევს ზედიზედ ხდება კარმატთა აჯანყებები ბედუინების, გლეხების, ხელოსნების მონაწილეობით. კარმატები მოითხოვდნენ სოციალური და ქონებრივი თანასწორობის დამყარებას. სირიაში, ერაყში, ბაჰრეინში, იამანში, ეგვიპტეში და ხორასანში კარმატებს უერთდებოდნენ აჯანყებული გლეხები და ხელოსნები. კარმატები ძარცვავდნენ მდიდართა ქარავნებს, ხოლო წართმეულს ღარიბებს ურიგებდნენ. მათ მოიტაცეს და დალეწეს ქაბას შავი ქვა, მუსლიმანთა თაყვანისცემის საგანი, რითაც გამოჰხატეს ღრმა სიძულვილი გაბატონებული კლასის რელიგიის მიმართ. ბაჰრეინში X ს-ის დამდეგს კარმატებმა შექმნეს სახელმწიფო, რომლის მოსახლეობა ძირითადად თავისუფალი გლეხობისა და ხელოსნებისაგან შედგებოდა. არც ერთი მათგანი არ იხდიდა არავითარ გადასახადს. გაჭირვებულ გლეხებს და ხელოსნებს სესხი ეძლეოდათ საერთო ხაზინიდან. ბაჰრეინში კარმატებს არ ჰქონდათ მეჩეთები, არ ასრულებდნენ ლოცვებს, არ ინახავდნენ მარხვას, მაგრამ არც სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევართ სდევნიდნენ. სახელმწიფოს მართავდა ექვსი

მმართველისაგან შემდგარი კოლეგია და მათი ექვსი თანაშემწე (ვეზირები). ასეთი იყო საზოგადოებრივი წყობილება ბაჰრეინის სახელმწიფოში, რომლის დამაარსებლებს (კარმატებს) ბურჟუაზიული ისტორიკოსები „ისლამის ბოლშევიკებს“ უწოდებენ.

სახალიფოს ფეოდალური დაშლა მიმდინარეობდა მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში.

IX—X სს. წარმოიქმნა დამოუკიდებელი ფეოდალური სახელმწიფოები ირანსა და შუა აზიაში (თაჰერიანთა, საფარიანთა, სამანიანთა, ზიარიანთა, ბუვეიდების). სახალიფოს აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილები მოიფინა დამოუკიდებელი საამიროებით. 945 წელს, ბუვეიდების მიერ ბაღდადის დაპყრობის შემდეგ, აბასელმა ხალიფამ საბოლოოდ დაკარგა საერო მბრძანებლის ფუნქცია. მისი ადგილი ამიერიდან სულთანმა დაიჭირა.

სახალიფოს ფეოდალურმა დაშლამ უდიდესი გასაქანი მისცა განთავისუფლებული ხალხების ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას.

სახალიფოს ფეოდალიზაციის პროცესში განსაკუთრებული როლი შეასრულა „იკტას“ ფეოდალურმა ინსტიტუტმა.

„იკტა“ უკვე განვითარებული სახით წარმოდგენილია X ს-ში ბუვეიდთა სახელმწიფოში (დასავლეთ ირანში).

„იკტა“ განვითარდა სახელმწიფო მოხელეებისათვის ფულადი ჯამაგირის მაგიერ ხარაჯას გარკვეული წილით სარგებლობის უფლების საფუძველზე. ამიერიდან ამ წილის აკრეფა კერძო პირების ხელთ იყო, რამაც ეს პირები, ცხადია, უშუალოდ მიწას დაუკავშირა. ამ მოვლენის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მან ნიადაგი მოუმზადა „იკტას“ ტერიტორიაზე მსხდარი გლეხების ფეოდალურ დამოკიდებულებას იკტას მფლობელებზე. „იკტას“ მფლობელის (არაბ. „მუკტა“, სპ. „იკტადარი“) უშუალო კავშირს მწარმოებლებთან არ შეიძლებოდა არ გადაექცია „იკტა“ ფეოდალურ ინსტიტუტად.

სახელმწიფო იძულებული იყო ასე მოქცეულიყო, რადგან მოხელეების ძველი წესით (ფულადი ჯამაგირით) გასტუმრება აღარ შეეძლო. „იკტას“ წარმოშობას სავსებით გასაგებს ხდის აბასელთა სახალიფოს პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინება.

ბაღდადის სახალიფო, დამასკოს ომაელთა სახალიფოსაგან განსხვავებით, ტერიტორიულად დიდად იყო შემცირებული, ლოკალური ხასიათის ომებს (უმთავრესად ბიზანტიასთან) თან არ სდევდა დიდი ალაფი და ნადავლი, დამოუკიდებელი ამირები საკუთარი სახელით სჭრიდნენ ვერცხლის მონეტებს, დეჰყანები (ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანში, შუა აზიაში) სახელმწიფოს ჩაურევლად განაგებდნენ თავიანთ მიწებს (აღარ იხდიდნენ ხარაჯას), ფეოდალურმა ქალაქებმა, რომელნიც ბაღდადისაგან დამოუკიდებელ სავაჭრო-სახელოსნო და ადმინისტრაციულ ცენტრებად იქცნენ, ხარკის ძლევა შეუწყვიტეს ხალიფებს. ყველა ამის გამო იკლო შემოსავლის სხვადასხვა არხებით დენამ სახელმწიფო ხაზინაში. და სახელმწიფოც გამოსავალს ხედავდა არა მარტო გადასახადების გადიდება-დამძიმებაში, არამედ „იკტას“ წყალობის წესით გაცემაშიც.

ამავე დროს, „იკტა“ დაუპირისპირდა დეჰყანურ მიწისმფლობელობას (ირანული ფეოდალური ურთიერთობის ნაყოფს) და მან განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოების ცენტრალისტურ პოლიტიკაში.

ბუვეიდთა სახელმწიფოში „იკტას“ განსაკუთრებით გავრცელებას ა. იაკუბოვსკი მიაწერს ფულად კრიზისს, რომელიც მისი აზრით საწარმოო ძალების მოშლით იყო გამოწვეული[1]. მაგრამ მასვე, პირველად სპეციალურ ლიტერატურაში, აღნიშნული აქვს „იკტას“ არსებობა შუა აზიაში, სადაც სწორედ საწარმოო ძალების განუხრელმა განვითარებამ წარმოშვა დამოუკიდებელი ფეოდალური პოლიტიკური ორგანიზმები, ხოლო X ს-ში გააპირობა სამანიანთა უაღრესად კულტურული სახელმწიფოს არსებობა. დამახასიათებელია, რომ ახლა დეჰყანები ებრძვიან იმ ხელისუფლებას, რომელიც თვითონ მათ წარმოშვეს არაბთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში. თავის მხრივ ახლად წარმოქმნილი ფეოდალური დინასტია შესაფერისი ღონისძიებებით ხვდება დეჰყანების განკერძოებას. მისთვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო კერძოდ დეჰყანების ვასალური მორჩილების გამომრიცხველი „მამული“ („დასთგერდი“), რომელიც დეჰყანურ მიწისმფლობელობას სასანური ირანიდან მოჰყვებოდა.

ამ თვალსაზრისით „იკტას“ გაცემა უშუალოდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული დამოუკიდებელი დინასტიების ცენტრალისტურ პოლიტიკასთან და დეჰყანებ ის, აღზევებულ-გაძლიერებული მსხვილი მიწისმფლობელების, შესუსტების განზრახვასთან. ა. იაკუბოვსკი ასახელებს შუა აზიის და ირანის მთელ რიგ ოლქებს (ხუთალანი, ჩაღანიანი, რეშთი, ხორეზმი, ისფიჯაბი, თუნქენდი და სხვ.), რომელნიც არ იხდიან ხარაჯას. ამ მოვლენას იგი საკვლევით მართებულად ცენტრმსრბოლ ძალებს (დეჰყანების აჯანყებებს) უკავშირებს[2], მაგრამ არ აღნიშნავს, თუ რა ღონისძიებებს მიმართავდა ცენტრალური ხელისუფლება დეჰყანების ალაგმვის მიზნით საადგილმამულო ურთიერთობაში. ეს საკითხი სპეციალურ შესწავლას საჭიროებს. მაგრამ „იკტა“, ცნობილია, შინაარსობლივად განსხვავდებოდა დეჰყანური მიწისმფლობელობისაგან. „იკტა“, როგორც სამმართველო ქვეყნის და ხარაჯას წ ყ ა ლ ო ბ ი ს გამოხატულება და, ამდენადვე, ვასალური დამოკიდებულების მთავარი პირობა, უნდა დაპირისპირებოდა დეჰყანურ (უპირობო) მიწისმფლობელობას.

---

[1] „Процесс феодализации при Буидах выражался в том, что сама центральная власть, ввиду глубокого денежного кризиса, который сам был порожден расстройством производительных сил, вынуждена была выплачивать жалованье военачальникам и даже простым солдатам не деньгами, а определенной долей хараджа“. А. Ю. Я к у б о в с к и й. Вопросы периодизации истории Средней Азии в средние века, გვ. 36. მართალია, ბუვეიდთა სახელმწიფოს, რომელიც 945—1055 წწ. მოიცავს ერაყსაც ბაღდადითურთ, ეკონომიურად წინ გაუსწრეს აღმოსავლეთ ირანმა და შუა აზიამ, მაგრამ არაფერით არ დასტურდება იქ საწარმოო ძალების მოშლა. ამას გარდა, საკვლევით გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება ავხსნათ ფეოდალიზაციის პროცესი საწარმოო ძალების მოშლით?

[2] А. Ю. Я к у б о в с к и й. დასახ. ნაშრ., გვ. 36.

„იკტა“ წყალობის წესით ეძლეოდათ მმართველებს, სარდლებს, დიდმოხელეებს სამსახურის სანაცვლოდ. „იკტას“ ამ წესით გაცემა, როგორც ზემოთ მივუთითეთ, იწყება აბასელების დროს და ვითარდება X ს-ის დამოუკიდებელ ფეოდალურ სახელმწიფოებში, ჩვენი აზრით, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო.

„იკტა“, როგორც ფეოდალური ინსტიტუტი, მოგვაგონებს ევროპულ „ბენეფიციუმს“. სპეც. ლიტერატურაში „იკტა“ მიჩნეულია აღმოსავლური ბენეფიციუმის თავისებურ ფორმად[1]. მართალია, იკტას მფლობელს უფლება ჰქონდა აეკრიფა „ხარაჯა“ თავის სასარგებლოდ, მაგრამ ეს ხელი არ მიუწვდებოდა არც წყალობის წესით მიღებულ მიწაზე და არც მიწაზე მსხდარ გლეხებზე. გლეხთა ექსპლოატაცია ახლაც ძირითადად სახელმწიფოს მეშვეობით წარმოებდა. მაგრამ იმდენად, რამდენადაც „ხარაჯას“ აკრეფის უფლება ერცელდება ნაწყალობევ მიწაზე, იკტას მფლობელი მეტი ინტერესით ეკიდება მას და მასზე მსხდარ გლეხებს. იკტას მფლობელები მიისწრაფვიან შეიმტკიცონ არა მარტო „ხარაჯას“ შემოსავალი, არამედ დაისაკუთრონ მიწები და გაავრცელონ თავიანთი ძალაუფლება გლეხებზე.

„იკტას“ ინსტიტუტთან დაკავშირებით ა. იაკუბოვსკის შენიშნული აქვს ის მეტად საყურადღებო ფაქტი, რომ ფეოდალიზაციის პროცესი მიმდინარეობდა როგორც ზემოდან (იკტას საფუძველზე), ისე ქვემოდან (კომენდაციის საშუალებით). მისი სიტყვით: „Икта—это процесс феодализации как бы сверху. Навстречу этому процессу шла феодализация снизу, мы имеем в виду комендацию со стороны крестьян и мелких землевладельцев“.[2] კომენდაციის აღსანიშნავად იმ დროს არაბულში იხმარებოდა სპეციალური ტერმინი „ილჯა“ (ნაწარმოებია ზმნა „ლაჯაა“-დან, ნიშნავს მფარველის, დამცველის ძებნას). „ილჯას“ საფუძველზე გლეხები და წვრილი მიწისმფლობელები თავიანთ მიწებს უქვემდებარებდნენ ძლიერი და მსხვილი მიწისმფლობელების მფარველობას. სუსტს ძლიერი დამცველად სჭირდებოდა, მის მფარველობაში ხედავდა „ხარაჯას“ შემცირება-შემსუბუქების საშუალებას. მაგრამ მფარველობა თანდათან იცვლებოდა უშუალო დამოკიდებულებით და თავისუფლების დაკარგვით. აღნიშნულმა პროცესმა მოიცვა ერაყის, ფარსის და ირანის მთელი რიგი სხვა ოლქები[3].

„იკტამ“ და „ილჯამ“ IX—X სს. მოუმზადა ნიადაგი აღმოსავლეთის ადრეფეოდალურ ხანიდან განვითარებულ ფეოდალურ ხანაში გადასვლას.

---

[1] А. Ю. Якубовский. დასახ. ნაშრ., გვ. 36.
[2] იქვე, გვ. 37.
[3] იქვე.

## III. მახლობელი აღმოსავლეთი განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში

### 1. მახლობელი აღმოსავლეთი X—XII საუკუნეებში

სახალიფოს ფეოდალურმა დაშლამ არაბთა მიერ დაპყრობილ კულტურულ ხალხებს განვითარების ახალი შესაძლებლობა მისცა. IX ს-ში განვითარების შემაფერხებელი არაბთა ორგანიზაცია აღარ არსებობდა. ამ დროისათვის აბასელთა სახალიფო ფაქტიურად ბაღდადით და მისი სანახებით შემოიზღუდა.

სახალიფოს დაშლის შედეგად შუა აზიის და ირანის ტერიტორიებზე წარმოიქმნა დამოუკიდებელი ფეოდალური სახელმწიფოები: თაჰერიანების, საფარიანების, სამანიანების, ზიარიანების, ბუვეიდების.

შეიცვალა ამიერკავკასიის პოლიტიკური რუკაც. მისი სამხრეთი და აღმოსავლეთი ნაწილები მოიფინა დამოუკიდებელი საამიროებით (საჯიანები, ქესრანიანები, არმენშაჰები...).

945 წელს ბუიდებმა ანუ ბუვეიდებმა დაიპყრეს ბაღდადი. ამ წელს ხალიფამ საერო მბრძანებლობა საბოლოოდ დაუთმო სულთანს.

არაბთა ბატონობის დამხობამ განაპირობა შუა აზიის, ამიერკავკასიის და წინა აზიის ქვეყნების ეკონომიური აღმავლობა. მძარცველური ექსპლოატაციის და არაბული ხარკის შეწყვეტამ დიდად შეუწყო ხელი საწარმოო ძალების სწრაფ განვითარებას.

ირანში არაჩვეულებრივადაა განვითარებული სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, ვაჭრობა. ხელოვნური სარწყავი არხების და ქარიზების (მიწისქვეშა რუების) ინტენსიური მშენებლობის შედეგად დიდად გაიზარდა დამუშავებული მიწების ფართობი. ირანის სოფლის მეურნეობის დარგების (მემინდვრეობის, მევენახეობის, მეაბრეშუმეობის, მებოსტნეობის, მებაღეობის, მებამბეობის) განვითარება შეხამებული იყო ბუნებრივს პირობებთანაც. საუკეთესო ღვინო მზადდებოდა ხორასანში და ფარსში, მეაბრეშუმეობით განთქმული იყო ხორასანი, გურგანი, ტაბარისტანი, მებამბეობით ხორასანი და ირანის ჩრდილო ოლქები, შაქრის ლერწამი მოჰყავდათ ხუზისტანში და ქერმანში, სამხრეთ ირანში ზეთისხილის, ინდის ხურმის და საღებავ მცენარეთა კულტურების გვერდით გავრცელდა ნარინჯ-თურინჯიც. ხორასანი განთქმული იყო საუკეთესო ჯიშის აქლემებით, ცხენებით, ცხვრებით. საერთოდ დიდ წარმატებას მიაღწია ამ დროს ირანში მესაქონლეობამ.

სოფლის მეურნეობიდან ხელოსნობის გამოყოფამ განაპირობა ქალაქების ეკონომიური მნიშვნელობა. განთქმული ქალაქებია: შირაზი, ისფაჰანი, რეი, ნიშაბური, იეზდი, ქაშანი. ირანის ქალაქები გადაიქცნენ ხელოსნობის და ვაჭრობის ცენტრებად, სწრაფად იზრდებიან და ვითარდებიან მთავარ

სავაჭრო-საქარავნო გზებზე მდებარე ქალაქები, რომელთა მცხოვრებთა რიცხვი 100.000 აღემატება. საქარავნო და საგზაო გზებით ირანი დაკავშირებული იყო ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან, ამიერკავკასიასთან, აღმოსავლეთ ევროპასთან, შუა აზიასთან, რუსეთთან, არაბეთთან, ინდოეთთან, ჩინეთთან. ჰორმუზის და სირაფის ნავსადგურების (ირანის ყურეში) საშუალებით ირანელები ვაჭრობდნენ არაბეთთან, ინდოეთთან, ჩინეთთან, ამოლის და სარის ნავსადგურებით ხორეზმთან, ამიერკავკასიის ქვეყნებთან, ხაზარებთან, რუსებთან. საქარავნო და საზღვაო გზებით ირანიდან გაჰქონდათ: ხორბალი, ქერი, ბრინჯი, შაქარი, აბრეშუმი, ბამბა, ქიშმიში, ხმელი ხილი, ღვინო (შირაზის, რეის), სპილენძის, ვერცხლის და ოქროს ნაკეთობანი, ფურჭელი, ნაირ-ნაირი ქსოვილები, ნოხები, ხალიჩები, ტყავეული; გაჰყავდათ აქლემები, ცხენები. ზოგი ქალაქი ფურჭლის დამზადებით იყო განთქმული (ქაშანი, რეი), ზოგი ფარჩის, აბრეშუმის და ოქროქსოვილების დამზადებით (ნიშაბური, ისფაჰანი, თუშთერი, იეზდი). სელის საუკეთესო ქსოვილები მზადდებოდა ფარსის ქალაქებში, მეტადრე ქ. ქაზერუნში. შალის და აბრეშუმის ხალიჩები იქსოვებოდა ხუზისტანის, ფარსის, გილანის და ხორასნის ქალაქებში. ამრიგად, ხელახლად აღდგა განთქმული ირანული საფეიქრო ხელოსნობა და ოქრომჭედლობა.

განვითარებული ქალაქების შესაფერისი იყო საკმაოდ რთული საქალაქო ცხოვრება. თუმც ირანის ქალაქებში, ისევე, როგორც საზოგადოდ აღმოსავლეთის სხვა ქალაქებში, ძლიერი იყო ფეოდალების გავლენა. საქალაქო თვითმმართველობისათვის საჭირო პირობები აღმოსავლეთის ქალაქებში არ არსებობდა. ფეოდალების კავშირი დიდ ვაჭრებთან და საქარავნო ვაჭრობასთან გამორიცხავდა ვაჭრების მიწისმფლობელი არისტოკრატიის წინააღმდეგ დაპირისპირებას. IX საუკუნიდანაა დამოწმებული ხელოსანთა გაერთიანება „სინფი“ (სპ. „ქარ“), რომელიც კარმატთა სოციალური მოძრაობის მსვლელობაში წარმოიშვა[1]. ხელოსნურ გაერთიანებებს მტრულად უყურებდნენ როგორც ფეოდალები, ისე დიდი ვაჭრები. ხელოსნები აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალურ მოძრაობებში და ყველაზე თავდადებით იცავდნენ ქალაქებს მტრისაგან.

კეთილმოწყობილი ირანული ქალაქების შესახებ მრავალი ცნობა მოიპოვება წყაროებში. ქალაქები ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ კარგად მოვლილი გზებით და საფოსტო სადგურებით. ირანის ქალაქების ბაზრები, მოედნები, ქარვასლები გაჭედილი იყო სხვადასხვა ეროვნების ვაჭრებით, სავაჭრო ქარავნებით.

ირანის ეკონომიურმა განვითარებამ, სავაჭრო ურთიერთობის გაცხოველებამ ცალკეულ ოლქებს შორის დღის წესრიგში დააყენა ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების ამოცანა. სასანური ირანის აღდგენის იდეა დამახასიათებელი ხდება როგორც ირანელი პოლიტიკური მოღვაწეებისათვის, ისე მწერლებისათვის.

---

[1] E J. ტ. IV, გვ. 468—469.

შუბიას მოტივები ყველაზე მკვეთრად ხაზგასმულია სამანიანთა კარზე მოღვაწე პოეტების (რუდაქი, დაყიყი, ფირდოუსი) ნაწარმოებებში და, თუ ბუვეიდების სახელმწიფოში (დასავლეთ ირანში) ისევ არაბული იყო გაბატონებული, სამანიანთა სახელმწიფოში (მის ფარგლებში წარმოდგენილი იყო აღმოსავლეთი ირანიც) უაღრესად დაიხვეწა და განვითარდა ახალი სპარსული ენა. X ს-ის მეორე ნახევარში არაბულიდან სპარსულად ითარგმნა ტაბარის საისტორიო თხზულება, ყველაზე უხვი ცნობების შემცველი სასანური ირანის ისტორიისათვის. ტაბარის სპარსული თარგმანი, ფარმაკოლოგიის სახელმძღვანელოსთან ერთად, პირველი პროზაული ნიმუში იყო ახალ სპარსულ ენაზე. სპარსულადაც წერდნენ X—XI საუკუნეების ენციკლოპედიურად განათლებული მეცნიერები იბნ სინა და ალ-ბირუნი. ფირდოუსის მონუმენტურ „შაჰ-ნამეში" მინიმუმამდეა დაყვანილი არაბული სიტყვების ხმარება.

სამანიანები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ სასანური ტრადიციების აღდგენის საქმეს. ამას მნიშვნელობა ჰქონდა ცენტრმსრბოლ ძალებთან ბრძოლაშიც, რადგან დეჰყანები მსხვილი მიწისმფლობელობის საფუძველზე უპირისპირდებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას.

ახლადწარმოქმნილი ფეოდალური სახელმწიფოების უმეტესობა სასანური ირანის პოლიტიკურ მემკვიდრეობას ჩემულობდა და ირანის გამაერთიანებლის როლში გამოდიოდა. ახალი ფეოდალური დინასტიები თავიანთ თავს სასანელ შაჰინშაჰებს ან სარდლებს უკავშირებდნენ. სამანიანები ბაჰრამ გურის ჩამომავლებად აცხადებდნენ თავს, ზიარიანები კავად I-ის, ხოლო ბუვეიდები ბაჰრამ ჩობინის.

ფეოდალური დინასტიების „დაძველება" სრულიად გარკვეული პოლიტიკური მიზნებით იყო ნაკარნახევი. თვითეული მათგანი ირანის პოლიტიკურ გაერთიანებას თავის მოვალეობად თვლიდა, ხოლო ირანში ბატონობას თავის „უფლებად".

ამგვარ მისწრაფებათა გამოძახილი უნდა იყოს ქართული წყაროების „სპარსთა ქვეყანა" ან „სპარსთა მეფენი" X—XI სს. პოლიტიკური ორგანიზაციების აღსანიშნავად.

ბრძოლა ჰეგემონიისათვის (ირანში, შუა აზიაში) ორ საუკუნეს გაგრძელდა. თაჰერიანები დაამარცხეს საფარიანებმა, საფარიანები—სამანიანებმა. ნაგრამ სამანიანთა საშიშარ მეტოქედ X ს-ში ბუვეიდები აღმოჩნდნენ. X ს-ის მეორე ნახევარში გაუთავებელი ომები წარმოებდა სამანიანთა და ბუვეიდებს შორის. სამანიანები დასავლეთ ირანს ეკიდებოდნენ, ბუვეიდები აღმოსავლეთ ირანის შეერთებას ცდილობდნენ. ხანგრძლივს ომებში მათი დასუსტებით მხოლოდ თურქებმა ისარგებლეს. ცენტრალური აზიიდან გამოსულმა ყარახანიანებმა (ილექ-ხანებმა) სამანიანთა სახელმწიფოს აღმოსავლეთიდან შეუტიეს, ღაზნევიანებმა სამხრეთ-დასავლეთიდან.

ფირდოუსი ამაოდ აფრთხილებდა შინაფეოდალური ომებით გართულ დეჰყანებს ახალი აფრასიაბის გამოჩენით.

999 წელს დაემხო სამანიანთა სახელმწიფო. 1055 წელს თურქ-სელჩუკებმა ბოლო მოუღეს ბუვეიდების ბატონობას დასავლეთ ირანში.

XI საუკუნიდან მოყოლებული ირანში უკლებლივ თურქულ-მონღოლური დინასტიები ბატონობენ.

ლაზნევიანთა სახელმწიფო (ახლანდელი ავღანეთის ტერიტორიაზე) ღოლამის (მონის) მდგომარეობიდან სულთნობამდე აღზევებულმა თურქმა დააარსა. მაჰმუდ ღაზნევიმ (999 — 1030) სულ სხვანაირად დასვა ირანის გაერთიანების საკითხი. მისთვის, როგორც თურქისათვის, მიუღებელი იყო ირანული ტრადიციები. ამიტომ მისი დამოკიდებულება ფირდოუსის „შაჰნამესთან“ ისეთივე ანტიირანული დემონსტრაცია იყო, როგორც სახელმწიფო სამდივანმწიგნობროებში სპარსული ენის არაბულით შეცვლის განზრახვა.

შიიტური იდეებით გამსჭვალულ „შუბიას“ (ირანელთა ინტელექტუალურ-პოლიტიკურ მოძრაობას არაბობის წინააღმდეგ) თურქებმა ორთოდოქსალური ისლამი (სუნიტობა) დაუპირისპირეს. თუმცა სუნას დაცვა და ხალიფას მფარველობა ნამდვილად მათ გასპარსულებული ისლამის (ირანელთა პოლიტიკური ბრძოლის იდეოლოგიური იარაღის) დასათრგუნავად სჭირდებოდათ. ამ პოლიტიკურ ხაზს შემდეგ აგრძელებენ თურქ-სელჩუკი სულთნები, რომლებიც ფაქტიურად ხალიფებისაგან სრულიად დამოუკიდებლივ მოქმედებდნენ.

თურქ-სელჩუკებამდე კარგა ხნით ადრე მაჰმუდ ღაზნევიმ დასდო ხელი დეჰყანურ მიწისმფლობელობას. ნის ცენტრალისტურ პოლიტიკას დეჰყანების ეკონომიური მდგომარეობა გადაულახველ დაბრკოლებებს უქმნიდა. სულთანს კარგად ესმოდა, რომ სამანიანთა სახელმწიფოს დასუსტების მთავარი მიზეზი დეჰყანების განკერძოებისათვის ბრძოლა იყო.

სოციალური ხასიათის წინააღმდეგობებს, რამაც სამანიანთა სახელმწიფო მოსპობა-გადაშენებამდე მიიყვანა, მაჰმუდ ღაზნევიმ თავი იმით დააღწია, რომ ყურადღება საგარეო დაპყრობით ომებზე გადაიტანა. ამ დროებითმა, მაგრამ მაინც ეფექტურმა ღონისძიებამ მნიშვნელოვნად განამტკიცა მისი მდგომარეობა სახელმწიფოში.

ინდოეთის წინააღმდეგ ყოველწლიურ ლაშქრობას მაჰმუდ ღაზნევი „საღვთო ომის“ სახელით აწარმოებდა. „ღაზიები“ (რომელთა რაზმებს უპირატესად უმიწაწყლო გლეხები ავსებდნენ) თურქ ღოლამებთან ერთად იბრძოდნენ ინდოეთში. ქალაქების ბაზრები და მოედნები გაიწმინდა მოუსვენარი და ხელისუფლებისათვის საშიშარი ელემენტისაგან. მათ უერთდებოდნენ დეჰყანების მიერ ექსპლოატირებული გლეხებიც. დეჰყანთა მიწები დაცარიელდა გლეხებისაგან. ერთბაშად იკლო ირანელი ფეოდალების შემოსავალმა. ამავე დროს მათი მონაწილეობა ინდოეთის წინააღმდეგ ლაშქრობებში მაჰმუდ ღაზნევის დაუშვებლად მიაჩნდა. ამიტომ დეჰყანები იმითაც იყვნენ უკმაყოფილნი, რომ ინდოეთიდან წამოღებული მდიდარი ალაფისა და ნადავლის განაწილებაში არ მონაწილეობდნენ[1].

ამას გარდა, დეჰყანებს „იკტას“ საფუძველზე გაფეოდალებული თურქები (ყოფილი ღოლამები, ახლანდელი სარდლები, ამირები) ისევე უპირისპირდებოდნენ, როგორც მანამდე სამანიანთა ცენტრალურ ხელისუფლებას. მათ თვალი ახლა დეჰყანების მიწებზე ეჭირათ. მაგრამ არც ეს უკანასკნელნი

---

[1] А. Ю. Якубовский. Махмуд Газневи, Сб. Фердовси, Л., 1934, гз. 91.

მსხდარან გულხელდაკრეფილნი თავიანთ ციხე-დარბაზებში. X ს-ის დამდეგს იწყება მიწისმფლობელობისათვის სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა ირანელებსა და თურქებს შორის. ეს ბრძოლა ახალი ძალით ვითარდება თურქ-სელჩუკთა ბატონობის ხანაში.

მაჰმუდ ღაზნევის ყოველწლიურ ლაშქრობას ინდოეთის წინააღმდეგ დიდი თანხები სჭირდებოდა. სულთანმა მძიმედ დახარკა ირანული მოსახლეობა. მაჰმუდ ღაზნევის საგადასახადო პოლიტიკით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ ყველა საზოგადოებრივ ფენში გაიდგა ფესვი და მალე ამბოხებებში გადაიზარდა. დეჰყანებმა მარჯვე მომენტი დაუყოვნებლივ გამოიყენეს. მოვლენების განვითარებას დაემთხვა თურქ-სელჩუკების გაჩენა. დეჰყანებმა თურქ-სელჩუკებში დაინახეს ძალა, რომლის შემწეობით შესაძლებელი ჩანდა ღაზნევიანთა ბატონობის დამხობა. ირანის მრავალმა ქალაქმა გაუღო თავისი ალაყაფები თურქ-სელჩუკებს. ირანელი წარჩინებულები ზეიმით ხვდებოდნენ მათ. დრტვინავდა და ღელავდა მხოლოდ „დაბალი ხალხი", რომელსაც გაგონილი ჰქონდა თურქ-სელჩუკთა ძარცვა-რბევის ამბავი შუა აზიის ქალაქებში.

1040 წ. დენდენაკანთან თურქ-სელჩუკებმა გაანადგურეს სულთან მასუდ ღაზნევის ლაშქარი.

მაგრამ დენდენაკანის ბრძოლის შედეგი მხოლოდ ღაზნევიანთა სახელმწიფოს არსებობის საკითხს არ სწყვეტდა. გაძლიერებულმა თურქ-სელჩუკებმა შეტევა განავითარეს ერაყის, მცირე აზიის და კავკასიის მიმართულებით, მათი ტალღა თვით შორეულ ეგვიპტეს მისწვდა.

თუ IX—X სს. ახლადწარმოქმნილ მუსლიმანურ სახელმწიფოებს შორის წარმოებული ბრძოლა კავკასიიდან დიდად დაშორებულ ტერიტორიებზე მიმდინარეობდა, XI ს-ში კავკასია თურქ-სელჩუკთა „გაერთიანებული" სახელმწიფოს აგრესიული პოლიტიკის ობიექტად იქცა.

## 2. თურქ-სელჩუკების შემოსევები და ბატონობა

თურქ-სელჩუკების შემოსევები XI ს-ის 30-იან წლებში დაიწყო. ისინი სწრაფად გავრცელდნენ სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის მიმართულებით. თურქ-სელჩუკები დაპყრობით დაემუქრნენ ირანს, ბიზანტიას და კავკასიას.

პოლიტიკური ვითარება XI ს-ის მახლობელ აღმოსავლეთში არსებითად შეიცვალა.

დაიწყო თურქ-სელჩუკთა ბატონობის ხანა მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ ქვეყნებში.

ა. იაკუბოვსკი მართებულად მიუთითებდა: „Сельджукское движение отразилось не только на жизни Передней Азии, Кавказа, но в известной мере—Египта, Византии, Юговосточной Европы, а в эпоху крестовых походов и на жизни стран Западной Европы[1].

---

[1] А. Ю. Якубовский. Сельджукское движение и туркмены в XI веке, Известия АН СССР, Отд. общ. наук, 1937, № 4, ss. 921.

თურქ-სელჩუკთა ბატონობა მახლობელი აღმოსავლეთის კულტურული ხალხებისათვის კიდევ უფრო საშიშარი და მძიმე იყო, ვიდრე თავის დროზე არაბთა ბატონობა.

თურქ-სელჩუკები საზოგადოებრივი და ეკონომიური განვითარების დაბალ საფეხურზე იმყოფებოდნენ. ოღუზურ თურქულ ტომებში, საბჭრეთის არაბებისაგან განსხვავებით, არც ერთი არ იყო სახელმწიფოებრივი ტრადიციების მქონე. X ს-ში ისინი, როდესაც მათ პირველად შეხვდა იბნ-ფადლანი, ჯერ ისევ გვაროვნული წყობილების საფეხურზე იმყოფებოდნენ. XI ს-ის პირველ ნახევარში კლასობრივი დიფერენციაცია მათ შორის უკვე მოხდარი იყო, მაგრამ ეს პროცესი ძალიან შორს მაინც არ იყო წასული. ისტორიკოს ბეიჰაკის აღწერილი აქვს, თუ როგორ განცვიფრებული დარჩა ნიშაბურის მოსახლეობა, როდესაც ქალაქის ალაყაფთან პირველად შეხვდა მწყემსების ტანსაცმელში გამოწყობილ სელჩუკ მხედრებს.

თურქ-სელჩუკები ახლად იყვნენ გამუსლიმანებული. მუსლიმანობა პირველად მიიღო სელჩუკმა, რომლის სახელიდან ნაწარმოებია ამ თურქი ხალხის სახელწოდება — სელჩუკები.

თურქმანულ ტომებში ისლამმა შესცვალა წარმართული სარწმუნოება, რომელიც გვაროვნული წყობილების შესაბამისი იყო. ისლამი თურქმანებში ვრცელდება საძოვრებისათვის წარმოებული ბრძოლის პირობებში. ხელმოკლე და ღარიბი მწყემსების დაკაბალებით გამოწვეული სოციალური წინააღმდეგობების შესუსტება ტომთა ბელადებმა სამხედრო თარეშს დაუკავშირეს. თურქ-სელჩუკების მოძრაობა ახალი მიწებისაკენ კლასობრივ ნიადაგზე იყო განვითარებული.

ოღუზური თურქული ტომები ჯერ ცენტრალური აზიის სტეპებიდან, ხოლო შემდეგ შუა აზიიდან საძოვრების კრიზისმა გამოიყვანა. მათი ელჩები ღაზნევიანებთან „მშვიდობიანი“ მოლაპარაკების დროს აღნიშნავდნენ, რომ „მათ დედამიწაზე ადგილი არა აქვთ“. ხორეზმისაკენ სელჩუკებს გზა შეკრული ჰქონდათ. ამიტომ მათი თავდაპირველი მოძრაობის ასპარეზად ხორასანი იქცა. აქედან მათ პირველი მარბიელი რაზმები ქერმანისა და კავკასიისაკენ გაუშვეს. თურქ-სელჩუკები მოდიოდნენ თავიანთი ოჯახებით და ჯოგებით. ისინი ინტენსიური მეურნეობისათვის გამოყენებულ მიწებს საძოვრებისათვის იჭერდნენ, ხოლო დამარცხებული ბინადარი მოსახლეობა მთებსა და ხეობებში იხიზნებოდა.

დამპყრობლებმა განვითარებულ ფეოდალურ მეურნეობას ბევრგან მთლიანად გამოაცალეს მისი საფუძველი — მიწა. მაგრამ ის, რაც მათ ოჯახებს და ჯოგებს გადაურჩა, მძიმედ დაიხარკა.

თურქ-სელჩუკებმა მთლიანად დაიპყრეს ირანი. ამიერიდან ირანის ტერიტორიას მოიცავდა ძირითადად ე. წ. „დიდ სელჩუკთა“ სახელმწიფო, რომლის დამაარსებელი თოღრულ-ბეგი (1037—1063) იყო.

თოღრულ-ბეგმა ირანის დაპყრობის შემდეგ მიზანში ბაღდადის სახალიფო ამოიღო, ერთდროულად მან ბიზანტიასაც დაჰკრა.

1055 წელს თოღრულ-ბეგმა აიღო ბაღდადი და ბოლო ნოუღო აქ ბუვეიდთა ასწლოვან ბატონობას.

ხალიფამ თოღრულ-ბეგი სულთნად დალოცა. ხალიფას სასახლეში „ფეხშიშველა მწყემსმა“ თავზე ორრქიანი გვირგვინი დაიდგა. თაჯის ორი რქა სიმბოლურად აღნიშნავდა იმას, რომ ამიერიდან თურქ-სელჩუკი სულთანი აღმოსავლეთისა და დასავლეთის მბრძანებელი ხდებოდა. ხალიფა კი, რა თქმა უნდა, ფორმალურად, მას ამის „დასტურს“ აძლევდა.

ისლამის სარწმუნოების სუნიტური მიმართულება თურქ-სელჩუკებმა იმთავითვე გარკვეულ პოლიტიკურ მიზანს დაუკავშირეს; კერძოდ, მარჯვედ გამოიყენეს მათ ეს შიიტი ბუვეიდების წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი სუნიტობის ალმით აწარმოებდნენ დაპყრობით ომებს. მაგრამ ხალიფას გაძლიერება მათს ანგარიშში სრულიადაც არ შედიოდა. ამ მხრივ თურქ-სელჩუკები მაჰმუდ ღაზნევის პოლიტიკის გამგრძელებელი იყვნენ.

თურქ-სელჩუკთა დაპყრობითი ომები განაგრძო თოღრულ-ბეგის მემკვიდრე სულთანმა ალფ-არსლანმა (1063 — 1072). მან ორგზის დალაშქრა საქართველო. დიდს წარმატებას მიაღწია ბიზანტიასთან ომშიც.

ვანასკერტის ბრძოლის (1071 წ.) შედეგად ბიზანტიამ სამუდამოდ დაკარგა თავისი აღმოსავლური პროვინციები. მცირე აზიაში თურქ-სელჩუკები გაბატონდნენ. ამიერკავკასიაში ისინი დაეპატრონენ სომხეთს, ალბანეთს, დაიპყრეს საქართველოს სამხრეთი და აღმოსავლეთი ნაწილები.

## § 1. დიდ სელჩუკთა სახელმწიფო

მალიქ-შაჰის (1072—1092) დროს მნიშვნელოვნად გაფართოვდა „დიდ სელჩუკთა“ სახელმწიფოს ტერიტორია. სულთანი თავმომწონედ აღნიშნავდა, რომ შუა აზიიდან წამოსულმა მან თავისი ცხენი ხმელთაშუა ზღვის წყლებში შეიყვანა. მაგრამ ეს ეფექტური წარმატება დროებითი აღმოჩნდა. ტერიტორიულ გაფართოებასთან დაკავშირებული ალაფის და ნადავლის მოპოვებამ მხოლოდ დროებით შეასუსტა შინაგანი ხასიათის წინააღმდეგობები თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში.

თურქ-სელჩუკებს, ისევე როგორც თავის დროზე არაბებს, სახელმწიფო მართვა-გამგეობის გამოცდილება არ ჰქონდათ. ამიტომ სახელმწიფოს უპირველეს მოხელედ (ვეზირად) ირანელი იყო. ირანელებივე იყვნენ მოხელეებად დივანის დაწესებულებებსა და სამდივანმწიგნობროებში. თურქ-სელჩუკებმა მხოლოდ პროვინციის გამგებლები შეცვალეს თურქი და თურქმანი ამირებით.

ალფ-არსლანის და მალიქ-შაჰის ვეზირად იყო ნიზამ ულ-მულქი — განათლებული ადამიანი და ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე.

ნიზამ ულ-მულქი იღვწოდა სამანიანთა და ღაზნევიანთა სახელმწიფოებრივი ტრადიციების აღდგენისათვის. ამ ენერგიული და განსწავლული მოღვაწის თაოსნობით დაარსდა უმაღლესი სასწავლებლები (ნიზამიე), ობსერვატორია, ბიბლიოთეკები; მისი აქტიური მონაწილეობით გატარდა სამხედრო, სასამართლო და საკალენდრო რეფორმები. მანვე დაწერა პოლიტიკური ტრაქტატი „სიასეთ-ნამე“ („პოლიტიკის წიგნი“).

„სიასეთ-ნამეში“ უხვადაა მოტანილი ირანული კულტურულ-პოლიტიკური ტრადიციების მკაფიო მაგალითები (უპირატესად სასანური ირანის სახელმწიფოს ისტორიიდან) და ხაზგასმულია ამ ტრადიციების გამოყენების მნიშვნელობა თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს მშენებლობაში.

ნიზამ ულ-მულქი, აღმოსავლეთის კულტურული და პოლიტიკური ტრადიციების პრაქტიკულად გამომხატველი, თურქ-სელჩუკი სულთნების მისამართით ამბობდა: სულთანმა „უნდა გაიყვანოს მიწის ქვეშა რუები (ყანათ), გათხაროს მთავარი სარწყავი არხები, ააგოს ხიდები დიდ მდინარეებზე, სადაც გზები ერთმანეთს ხვდებიან; განავითაროს სოფლები, გაამაგროს ციხეები, დააარსოს ახალი ქალაქები და კეთილმოწყობილი ნაგებობანი, ფანჩატურები და თავშესაფარები მთავარ გზებზე"[1]. ყველაფერი ეს სოფლის მეურნეობის, ქალაქების, ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას გულისხმობდა.

ნიზამ ულ-მულქი სელჩუკების საშუალებით ცდილობდა სახელმწიფოს ცენტრალიზებას. ამ მხრივ იგი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა მუდმივი ჯარის შექმნას. მალიქ-შაჰის სულთნობაში სასამართლო და საკალენდრო რეფორმასთან ერთად გატარდა სამხედრო რეფორმაც. დაარსდა ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებული მუდმივი ჯარი[2]. ამ ჯარის მეომრებს დაურიგდათ მიწები იკტას საფუძველზე. იკტა ამ დროს მკაფიოდ გამოკვეთილ სამხედრო-ლენურ სისტემად ჩამოყალიბდა.

ნიზამ ულ-მულქმა დიდი ყურადღება მიაქცია თურქ-სელჩუკთა ძირითადი მასების ირანში განსახლების საკითხს. მაგრამ მომთაბარული ელემენტის ცენტრალური ხელისუფლებისათვის დამორჩილების განზრახვა მარცხით დამთავრდა.

საინტერესოა, რომ ნიზამ ულ-მულქი მოითხოვდა მომთაბარეთა მასების ბიზანტიის და საქართველოს საზღვრებზე გადაყვანას, რადგან ეს მოუსვენარი ელემენტი მრავალ დაბრკოლებას უქმნიდა მმართველ კლასს[3]. ამ ღონისძიების რეალიზაციას უნდა უზრუნველეყო ირანის ნორმალური ეკონომიური და კულტურული განვითარება.

ირანელებს და ირანიზებულ არაბებს (ქალაქებში) სავსებით შეგნებული ჰქონდათ, თუ რას უქადდა მათს წარმოება-მეურნეობას, სამიწათმოქმედო ფეოდალურ კულტურას, ქალაქებს და საქალაქო ცხოვრებას მომთაბარე თურქ-სელჩუკების პრიმიტიული მეურნეობა (მეჯოგეობა). ამიტომ მოითხოვდა მათი კლასობრივი ინტერესების დამცველი ნიზამ ულ-მულქი თურქულ-მომთაბარული ელემენტის გაყვანას ირანის ფარგლებიდან. იგი პირადად მონაწილეობდა მდიდარი ბიზანტიის და კავკასიის ქვეყნების წინააღმდეგ ომებში.

ნიზამ ულ-მულქი დაუნათესავდა ბაგრატ IV-ს, მაგრამ ეს მას, რა თქმა უნდა, ხელს არ უშლიდა მუდამ მხედველობაში ჰქონოდა მთავარი მიზანი: მცირე აზიასა და კავკასიაში თურქ-სელჩუკიანთა მეურნეობისათვის საჭირო მიწის ფართობების გათავისუფლებით, ამ მიწების იალაღებად და

---

[1] Siasat Nameh, ed. C. Schefer, Paris, 1891—3, გვ. 18.

[2] დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაღთაგან შემდგარი ლაშქარი, შეიძლება ვიფიქროთ, მალიქ-შაჰის ამ ღონისძიებითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული. თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში აუცილებელი იყო სელჩუკთა ახალი ორგანიზაციისათვის ახალი ძალის დაპირისპირება.

[3] А. Ю. Якубовский. Сельджукское движение и туркмены в XI веке, გვ. 945.

ყიშლაღებად გადაქცევის გზით მომთაბარეთა ენერგიის შესუსტება საკუთრივ ირანში.

„დიდი თურქობა" XI ს-ის 80-ანი წლების საქართველოში მკაფიოდ მიუთითებს მომთაბარეთა მოძრაობის მასშტაბებზე.

ქართველი ხალხი უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა: „თურქების შემოსევა არსებითად განსხვავდებოდა ბიზანტიელებისა თუ არაბების ბატონობისაგან. თურქები მომთაბარე-მეჯოგეები იყვნენ. ისინი გადმოსახლებით შოდიოდნენ და დაპყრობილ ქვეყნებში თავისი მეურნეობისათვის საჭირო მიწებს იჭერდნენ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ როგორ შეუთავსებელი, როგორ ერთიმეორის გამომრიცხველი იყო ორი მეურნეობა — თურქულ-მომთაბარული და ქართულ-ფეოდალური"[1]. თურქ-სელჩუკების შემოსევების შედეგად შეფერხდა ქართული (კავკასიური) ფეოდალური მეურნეობის განვითარება: „თურქობა... ამ მეურნეობას საფუძველს (მიწას) აცლიდა და მას ერთიანად გადაშენების საფრთხეს უქმნიდა"[2]. ეს საფრთხე ქართველმა ხალხმა თავიდან აიცდინა, შესძლო თურქების დამარცხება.

ქართველი ხალხის გამარჯვება თურქებზე, სომეხი ხალხის ფართო მასების და ალბანელი (შირვანელი) ტომების მხარის დაჭერით და აქტიური დახმარებით[3], განვითარებისათვის საჭირო პირობების გადარჩენას ნიშნავდა. ამიერკავკასიის ხალხთა ბრძოლის პროგრესული მნიშვნელობა საკუთრივ კავკასიის ფარგლებს სცილდებოდა, რადგან ამ ბრძოლამ დაასუსტა, მაგალითად, თურქ-სელჩუკთა პოლიტიკური წარმონაქმნი მცირე აზიაში — რუმის სასულთნო[4].

აკად. ელ. გორდლევსკი უსაყვედურებს იმ მკვლევრებს, რომელნიც თურქებს და მონღოლებს მხოლოდ კულტურის ნგრევას მიაწერდნენ და მოითხოვს ამ ბრალდების მოხსნას[5].

ნამდვილად თურქები და მონღოლები დაუნდობლად ანადგურებდნენ ყოველგვარ კულტურულ მონაპოვარს.

აღმოსავლეთის კულტურული (მიწისმოქმედი) ხალხები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდნენ მომთაბარე თურქებთან და მონღოლებთან. და სწორედ ეს ბრძოლა იყო პროგრესული, რადგან ქრისტიანი და მუსლიმანი ხალხები ამით თავიანთ განვითარებულ მეურნეობას და კულტურას იცავდნენ.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, მნათობი, № 6, 1954, გვ. 123.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 124.

[4] Е. Беляев. Периодизация средневековой Турции, Изв. АН СССР. Серия истории и философ., т. IV, № 1, зз. 87, 88.

[5] „Снять с них обвинения, подсказываемые иногда пристрастием национальных историков, как будто восточные народы — тюрки, монголы — только и разрушали культуру народов, исповедующих христианство". В. А. Гордлевский. Государство Сельджукидов Малой Азии, М.—Л., 1941, зз. 21.

მომთაბარე თურქ-სელჩუკების შემოსევებმა უდიდესი ზიანი მიაყენეს როგორც ქრისტიან, ისე მუსლიმან ხალხებს. მათ ყველგან იალაღები და ყიშლაღები სჭირდებოდათ თავიანთი ოჯახებისათვის და ჯოგებისათვის. ამიტომ მათთვის სულ ერთი იყო ვის ეკუთვნოდა მიწა — ქრისტიანებს თუ მუსლიმანებს.

საქმე ისაა, რომ თურქ-სელჩუკები ქვეყანას არ ყოფდნენ დარ ულ-ისლამად და დარ ულ-ჰარბად. და ეს იმიტომ, რომ ისინი უპირატესად მულიმანთა ქვეყნებს იპყრობდნენ. ახალს ვითარებაში ისლამის ბევრი ძველი თეორია მიუღებელი იყო[1]. ამ მხრივაც თურქ-სელჩუკები მონღოლების წინამორბედნი იყვნენ. თუმცა ცვლილებები ამ მიმართულებით მონღოლთა ბატონობის ხანაში უფრო ღრმა და უფრო საფუძვლიანი იყო.

XI საუკუნეში მუსლიმანთა თემის ცნება ხალხის (უკეთ, ტომის თუ ტომთა) ცნებამ შეცვალა. იმამის ადგილი ახლა საბოლოოდ სულთანმა დაიჭირა. სულთანი (ხანი) განასახიერებდა მიწის უზენაეს საკუთრებას მიწაზე. მომთაბარულმა არისტოკრატიამ ახალი საფუძველი მოუძებნა მუსლიმანთა მიწების დატაცებას და დასაკუთრებას.

მნიშვნელოვნად შეიცვალა წარმოდგენა გადასახადებზეც. ახლა ჩვეულებრივი ხდება ა რ ა კ ა ნ ო ნ ი ე რ ი გადასახადების დაწესება, თუმცა საამისო ტენდენცია უკვე წინარე ხანაში იჩენს თავს. მუსლიმანური სამართლით გათვალისწინებული კ ა ნ ო ნ ი ე რ ი გადასახადები (ხარაჯა, უშრი, ჯიზია, ზაქათი) საგადასახადო სისტემაში ახლაც გარკვეულ ადგილს იკერს, მაგრამ ამავე დროს დიდი რაოდენობით წესდება გადასახადთა ახალი სახეობები (სახელმწიფო, სამოხელეო, ფეოდალური...) მუსლიმანთა (დაბალი ფენების) წარმოდგენით კ ა ნ ო ნ ი ე რ ი გადასახადები „პატრიარქალურ წყობასთან“ იყო დაკავშირებული. ამიერიდან არაკანონიერ გადასახადთა გაუქმება სოციალური მოძრაობების მონაწილეთა მთავარი მოთხოვნა ხდება.

თურქ-სელჩუკების ხანაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა სოციალურ და პოლიტიკურ სტრუქტურაში.

მოსახლეობა ორ მთავარ ნაწილად დაიყო. ერთს სამხედრონი (დამპყრობლები) შეადგენდნენ, მეორეს რაიათები (დაპყრობილი ქვეშევრდომები). ამდროინდელ წყაროებში ამგვარი დანაწევრების აღსანიშნავად ხშირადაა მოხსენებული ს ი ფ ა ჰ ი და რ ა ი ა თ ი ანდა ლ ა შ ქ ა რ ი და რ ა ი ა თ ი. სამხედრონი თურქები იყვნენ, რაიათები არათურქები.

მთელი მოსახლეობა, ამრიგად, დაყოფილი იყო თურქებად და არათურქებად. არათურქის აღსანიშნავად საყოველთაოდ გავრცელდა „ტაჯიკი“. ტაჯიკი იყო ყველა, ვინც კი მიწისმოქმედებას და საქალაქო ცხოვრებას მისდევდა: გლეხი, ვაჭარი, მოქალაქე, ხელოსანი.

გაბატონებული კლასის ცალკეული ჯგუფების აღსანიშნავად იხმარებოდა აგრეთვე მახვილის და კალმის ხალხი. მახვილის ხალხს თურქები შეადგენდნენ, კალმის ხალხს—სამოქალაქო ბიუროკრატიის წარმომადგენლები

---

[1] A. L a m b t o n. Landlord and peasant in Persia, გვ. 59.

(უპირატესად ირანელები). კალმის ხალხის (ვეზირების, მუსტოფების, მწერლების) მნიშვნელობა ამ დროიდან მოკიდებული განუხრელად იზრდება საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. სამოქალაქო ბიუროკრატიამ დაიპირა თურქ-სელჩუკების მიერ ფიზიკურად გაჟლეტილი, გაქცეული და დაღარიბებული ირანელი ფეოდალების (დეჰყანების) ადგილი.

მახვილის ხალხი სოციალურად, რა თქმა უნდა, ერთფეროვანი არ იყო. სულთნის ანუ ხანის სახლის წევრები (შვილები, ძმები, ნათესავები)[1], რომელთაც აუარებელი მიწები ჰქონდათ მიღებული სახელმწიფოში, დიდის გავლენით სარგებლობდნენ სულთნის კარზე და პროვინციებში. მალე მათ წარმოქმნეს დამოუკიდებელი სამთავროები და სახელმწიფოები ნაწყალობევ მიწაწყალზე. იკტას მფლობელობის საფუძველზე აღზევდნენ თურქი ამირები — ერცელი და მცირე ქვეყნების გამგებლები. XII ს-ში ამირებიც განკერძოების გზაზე იდგნენ და დამოუკიდებელი მდგომარეობის მოპოვებას ცდილობდნენ.

თურქ-სელჩუკთა გაფეოდალებული ზედა ფენა ადრევე მოსწყდა და გამოეთიშა თანამეტომეთა მასებს, რომელთათვისაც ისევ მომთაბარული ტრადიციები და პატრიარქალური წყობის ძლიერი გადანაშთები იყო დამახასიათებელი. შემდგომი ფეოდალიზაცია საჭირო პირობებს უქმნიდა მომთაბარეთა ძირითადი მასების ფეოდალურ ექსპლოატაციას. თურქმანული ტომებიც ისევე იყვნენ დახარკული როგორც გლეხები და ხელოსნები. ოღუზებს, მაგალითად, ყოველწლიურად 24.000 ცხვარი უნდა მიეცათ სულთნის საბზარეულოსათვის[2]. იშვიათი არ იყო არც ძალადობა მათ მიმართ. მაგრამ არც ღარიბი მომთაბარეები რჩებოდნენ ვალში მჩაგვრელებს. მომთაბარული მასების ცენტრალური ხელისუფლების კონტროლისათვის დამორჩილება სელჩუკი სულთნების ერთი ყველაზე მწვავე პრობლემათაგანი იყო.

მახვილის და კალმის ხალხის შემდეგ წყაროები (ნასირ ედ-დინ ტუსის „ახლაყი ნასირი“, რომელიც მონღოლთა შემოსევამდეა დაწერილი) ასახელებენ ვაჭრებს[3]. მეოთხე საზოგადოებრივ ფენად დასახელებულია გლეხობა, რომელიც ნასირ ედ-დინ ტუსის სიტყვით, მიწისმოქმედებით ინახავს ყველა ზემოთ დასახელებულთ და ურომლისოდაც ვერც ერთი მათგანი ვერ იარსებებდა[4]. ზოგიერთი აღმოსავლური წყარო ერთ საზოგადოებრივ ფენში აერთიანებს გლეხებს და ხელოსნებს.

ცვლილებებმა სოციალურ სტრუქტურაში თავისი გამოხატულება ჰპოვა იდეოლოგიაშიც. თურქ-სელჩუკთა ზედა ფენა და სამოქალაქო ბიუროკრატია სუნიტობას მჭიდროდ უკავშირებს თავის კლასობრივ ინტერესებს. სუნიტები არიან მეტწილად ვაჭრებიც. შიიტობას უმთავრესად სოფლის მოსახლეობა, ნაწილობრივ აგრეთვე ხელოსნები, უკავშირდებოდა. შიიტობისადმი ამეღავნებენ მიდრეკილებას ღარიბი მომთაბარეებიც, რომლებიც ამიერიდან აქტი-

---

[1] ამათ წყაროები მალიქებს უწოდებენ. მალიქები ეწოდებოდათ იმ ირანელ ფეოდალებსაც, რომლებმაც მიწები შეინარჩუნეს.

[2] A. Lambton. დასახ. ნაშრ., გვ. 58.

[3] იქვე, გვ. XXV — XXVI.

[4] იქვე, გვ. XXVI.

ურად მონაწილეობენ სოციალურ ბრძოლებში[1]. ერთი სიტყვით, სუნიტობა ირანის ქალაქებისათვის იყო დამახასიათებელი, შიიტობა სოფლებისათვის.

თურქ-სელჩუკების შემოსევებისა და ბატონობის მნიშვნელოვანი შედეგი იყო ეთნიკური ხასიათის ცვლილებები მუსლიმანური აღმოსავლეთის მოსახლეობის შემადგენლობაში.

თურქული ელემენტი სწრაფად გავრცელდა ცენტრალური აზიიდან დაწყებული ეგვიპტემდე.

თანამედროვე ირანის ეთნიკური შემადგენლობა, მაგალითად, ყალიბდება XI ს-ში, ე. ი. სწორედ თურქ-სელჩუკების შემოსევებისა და ბატონობის ხანაში. იგივე უნდა ვთქვათ მცირე აზიის, ნაწილობრივ აგრეთვე აზერბაიჯანის მოსახლეობაზე.

აღნიშნული ფაქტები კარგად მოწმობენ, თუ რამდენად ინტენსიური იყო ნომადების „დასხდომა“ იქ, სადაც თავის დროზე ასე ძლიერად იყო წარმოდგენილი მკვიდრბინადარი, სამიწათმოქმედო კულტურის მოსახლეობა.

მომთაბარე სელჩუკები ბინადარ მოსახლეობას (გლეხებს, ხელოსნებს, ვაჭრებს) მხოლოდ ძარცვის და თარეშის ობიექტად თვლიდნენ. განსაკუთრებით მაინც გლეხთა მდგომარეობა დამძიმდა.

თურქ-სელჩუკებმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს არა მარტო მწარმოებელი კლასი, არამედ ადგილობრივი მიწისმფლობელებიც. ირანელი ფეოდალების მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქულ-მომთაბარულმა არისტოკრატიამ იგდო ხელთ. ასევე მოხდა შუა აზიაში, ერაყში, მცირე აზიაში და, საზოგადოდ, ყველგან, სადაც მათ გაბატონება შეძლეს. ამავე მიზნით მოდიოდნენ ისინი სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში.

თურქ-სელჩუკთა ბატონობის ხანაში კიდევ უფრო შეირყა დეჰყანთა მდგომარეობა. მაგრამ უბრძოლველად ისინი ახლაც არ სთმობდნენ თავიანთ მიწებს. ამასთანაა დაკავშირებული ისმაილიტთა ცნობილი მოძრაობა, რომლის მახვილი თურქ-სელჩუკების, უკეთ ახალი მიწისმფლობელების წინააღმდეგ იყო მიმართული[2].

მართალია, თურქ-სელჩუკებმა ვერ შეძლეს ისმაილიტთა მოძრაობის მთლიანად ჩახშობა, მაგრამ მათ მაინც მნიშვნელოვნად შეასუსტეს ირანელი ფეოდალების ეკონომიური პოზიციები. თურქ-სელჩუკიანთა ბატონობის ხანაში საბოლოოდ მოისპო დეჰყანური მიწისმფლობელობა. დამახასიათებელია, რომ სწორედ ამ დროს (XI—XII სს.) ტერმინი დეჰყანი (ადრე მიწისმფლობელის, ფეოდალის აღმნიშვნელი) იქცა გლეხის აღმნიშვნელ ტერმინად.

---

[1] გაბატონებული კლასის იდეოლოგები თურქების მახვილს უკავშირებდნენ ორთოდოქსალური ისლამის (აბუ ჰანიფას სკოლის მიმართულების) გავრცელებას და აღნიშნავდნენ, რომ აბუ ჰანიფას შემდეგ „დ ა ი ხ შ ო (მ უ ს ლ ი მ ა ნ უ რ ი  ს ა მ ა რ თ ლ ი ს) ი ნ ტ ე რ პ რ ე ტ ა ც ი ე ბ ი ს  კ ა რ ი“. ეს აშკარად მიმართული იყო სოციალური მოძრაობების წინააღმდეგ, რომელიც ერესების („ზენდიკების“) რელიგიურ სამოსელში იყო გამოხვეული.

[2] აკად. ვ. ბარტოლდს ისმაილიტთა მოძრაობა დაჰყავდა ფეოდალური ციხე-დარბაზების და ქალაქების ბრძოლამდე. მაგრამ ნამდვილად ისმაილიტთა მოძრაობა დეჰყანური მიწისმფლობელობის და ირანელი ფეოდალების საადგილმამულო უფლებების დასაცავად იყო მოწოდებული.

ღაზნევიანთა მიერ დაწყებული საქმე სელჩუკებმა დაამთავრეს. ირანული ძალებით ირანის პოლიტიკური გაერთიანების ამოცანა მარცხით დამთავრდა.

სელჩუკების დროს კარიდან კარზე მოხეტიალე ზიარიანთა მაგალითზე ე. ბერტელსი მოსწრებულად შენიშნავს, რომ „სასანური მონარქიის აღდგენის იმედი გაცრუებული აღმოჩნდა“ და „ბენი სასანი“ („სასანის შვილები“) იძულებული იყვნენ ბაზრის ხალხში გარეულიყვნენ[1]. ზოგი მათგანის ერთადერთ ლოზუნგად იქცა ubi bene ibi patria, ზოგი კი გაბოროტებული შუბიას უკანასკნელ წარმომადგენლებს—ასასინებს (ისმაილიტებს) შეუერთდა[2].

ამრიგად, თურქ-სელჩუკიანთა ბატონობის ხანაში საბოლოოდ გაჭრა მიწისმფლობელთა ის კლასი, რომელიც თავის დროზე სასანურმა ირანმა წარმოშვა და რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა სახალიფოს ფეოდალიზაციის საქმეში.

ამიერიდან გაბატონებული ფეოდალური კლასის მთავარსა და წამყვან ჯგუფს წარმოადგენდნენ თურქი ამირები. ადგილობრივი ფეოდალების მოქმედების ასპარეზი კი სამდივანმწიგნობრო და საფინანსო დაწესებულებებით შემოიფარგლა. სამოქალაქო ბიუროკრატია მუსლიმანურ ეკლესიასთან ერთად იქცა თურქ-სელჩუკთა ბატონობის დასაყრდენად. ასე დაუკავშირდა დამპყრობელთა ზედა ფენა ადგილობრივი ფეოდალების იმ წრეს, რომელმაც მიწები სამსახურის პირობით შეინარჩუნა და რომლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი XI ს-ში „დიდ სელჩუკთა“ ვეზირი და პირველი ათაბეგი ნიზამ ალ-მულქი იყო.

დეჰყანური მიწისმფლობელობის დარღვევის საქმეში იკტა იმთავითვე გარკვეულ როლს ასრულებდა. მაგრამ ახლა, თურქ-სელჩუკთა ბატონობის პირობებში, მას ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. მრავალრიცხოვან სელჩუკ უფლისწულებს და არისტოკრატებს მიწები მხოლოდ დეჰყანური მიწისმფლობელობის ხარჯზე შეეძლოთ მიეღოთ. მიწების ექსპროპრიაცია, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა დეჰყანებს შეეხოთ. ამას გარდა მიწისმფლობელობის ამ გაბატონებულ ფორმაზე თანდათან გადაჰყავდათ ის მიწისმფლობელებიც, რომელნიც თურქ-სელჩუკების სამსახურში აღზევდნენ.

იკტა სელჩუკებისათვის, ისევე როგორც შუა აზიაში ყარახანიანთათვის ომავე XI ს-ში, სხვა მხრივაც იყო მისაღები. ყარახანიანების მაგალითზე ა. იაკუბოვსკი აღნიშნავდა: „Караханидские правители использовали эту икта в своих интересах. Ведь верхние слои караханидского войска, типичные представители кочевой военной знати, не могли сразу перейти на оседлый быт. Для этого надо было по крайней мере, столетие... как хозяин страны новая кочевая военная аристократия, владевшая огромным количеством скота, не хотела, да и не могла

---

[1] Кабус-нама. Перевод, статья и примечания Е. Э. Бертельса, М., 1953, ss. 243.

[2] იქვე.

жить в определенном городе и селении, а передвигалась со ставкой своих ханов... указанные соображения делают совершенно понятным желание этой военной кочевой аристократии, — не оседая, получать систематические доходы с земель, которые обрабатывались трудолюбивыми руками крестьян. Что же могло быть более соответствующим этому желанию, чем икта — эта восточная форма бенефиция"[1]. ასევე უყურებდნენ იკტას სელჩუკები მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ ქვეყნებში.

იკტა თურქ-სელჩუკიანთა სამხედრო-ნომადურ არისტოკრატიას საშუალებას აძლევდა მიწაზე დაუჯდომლად წელიწადში რამდენჯერმე მიეღო ხარაჯა. იკტაში თურქ-სელჩუკები ხედავდნენ სისტემატური და უექველი შემოსავლის საუკეთესო ფორმას.

თურქი იკტადარები ცდილობდნენ სახელმწიფოსაგან მიეღოთ ისეთი მიწები, სადაც ჭარბად იჯდა ბინადარი მოსახლეობა და განვითარებული იყო ინტენსიური მეურნეობა. რაიათების რაოდენობაზე იყო დამოკიდებული ხარაჯას ოდენობა, შემოსავლის ზრდა. და თურქი იკტადარიც ხარაჯას მიღებას იქ ცდილობდა, სადაც მრავლად იყვნენ რაიათები — კულტურული მიწის მუშები, მებაღეები, მევენახეები, მეაბრეშუმეები. შემთხვევით არ აიხსნება, რომ „რაიათებს" ამ დროსაც და გვიანაც (XIII—XVIII სს.) უპირისპირებდნენ „ელს" (მომთაბარე ხალხს), რომლის მეურნეობა (მეჯოგეობა) მკვეთრად განსხვავდებოდა ბინადარი და კულტურული (მიწათმოქმედი) მოსახლეობის მეურნეობისაგან.

ქვეყნის შიგნით თურქულ-მომთაბარული არისტოკრატიის შემოსავლის ძირითად წყაროს ბინადარი მოსახლეობის ძარცვა შეადგენდა (ქვეყნის გარეთ შემოსავლის წყაროებს ომი და თარეში ჰქმნიდა). ამ ნიადაგზე უკვე XI ს-ში წარმოსდგა თურქული ანდაზა: „თ უ რ ქ ი უ ტ ა ჯ ი კ ო დ ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს, რ ო გ ო რ ც კ ა ც ი უ ქ უ დ ო დ".

გლეხთა ექსპლოატაცია სახელმწიფოს მეშვეობით თურქულ-მომთაბარული არისტოკრატიისათვის სავსებით მისაღები ფორმა იყო. იკტას წესისათვის აუცილებელი არ იყო მისი მფლობელის ცხოვრება ნაწყალობევ მიწაზე. ეს ტომთა ბელადებს (სუბაშებს) საშუალებას აძლევდა, როცა ომი არ იყო, დაეკრათ ქალაქებისათვის, ეძარცვათ ვაჭართა ქარავნები, ხელთ ეგდოთ ის, რასაც ხელოსნები ქმნიდნენ. სწორედ ასეთ ვითარებაში გაფორმდა ხელოსნური ორგანიზაცია „ა ხ ი" („ძმობა") თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს ქალაქებში.

ყველაფერი ეს ორგანულად იყო დაკავშირებული მომთაბარული ცხოვრების წესებთან.

მაგრამ სახელმწიფოს მეშვეობით გლეხთა ექსპლოატაცია, ჩანს, გაგრძელდა მანამდე, სანამ სელჩუკი მიწისმფლობელები გაფეოდალებას მოას-

---

[1] А. Ю. Якубовский. Вопросы периодизации истории Средней Азии в средние века, зз. 40.

წრებდნენ. ადგილობრივმა ფეოდალურმა სინამდვილემ გააძლიერა იკტას განვითარების ის ტენდენცია, რომელიც ამ ფეოდალურ ინსტიტუტს უკვე X ს-ში შევნიშნეთ. XI ს-ის დამლევს იკტადარები ხელს სდებენ არა მარტო სამსახურის სანაცვლოდ ნაწყალობევ მიწას, არამედ მიწაზე მსხდარ გლეხებსაც.

ნიზამ ულ-მულქის „სიასეთ-ნამეში" („პოლიტიკის წიგნში") იკტას ინსტიტუტთან დაკავშირებით მოტანილია ფაქტები, რომელთა განსაკუთრებული მნიშვნელობა მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის პერიოდიზაციისათვის ბევრმა მკვლევარმა აღნიშნა (ა. იაკუბოვსკი, ი. პეტრუშევსკი, ბ. ზახოდერის მიერ შესრულებულ რუსულ თარგმანში.

ნიზამ ულ-მულქი აღნიშნავს: „Мукта, у которых икта, пусть знают, что по отношению к народу им не приказано ничего, кроме как собирать добрым образом законную подать, что им препоручена; когда они это собрали, пусть будут у народа безопасны тело, имущество, жены и дети, пусть будут безопасны их вещи и владения, пусть не будет мукта к ним никакого пути. Если кто из народа захочет отправиться ко двору, чтобы открыть свои обстоятельства, пусть к тому не чинят помехи; любому, кто сделает иначе, пусть укоротят руки, пусть от него отберут икта, и накажут, чтобы показать пример другому" [1]. იკტას ეს დახასიათება ეკუთვნის ალფ-არსლანის (1063 — 1072) და მალიქ-შაჰის (1062 — 1092) ვეზირს, რომლის სახელისუფლოს განსაგებელს უმთავრესად ხარაჯას აკრეფის საქმე შეადგენდა.

მაგრამ ის გარემოება, რომ ნიზამ ულ-მულქი მოითხოვს მის მიერ დახასიათებული იკტას წესის მტკიცედ დაცვას და პასუხისმგებლობას აკისრებს იმას, ვინც ამ წესს არღვევს, მოწმობს, თუ რა მიმართულებით სცვლიდა თავის დამოკიდებულებას მუკტა ანუ იკტადარი მწარმოებლებთან. მართალია ნიზამ ულ-მულქი უარყოფს გლეხთა მიწაზე მიმაგრების იურიდიულ გაფორმებას, მაგრამ საამისო პროცესი მის დროს უკვე დაწყებული ჩანს.. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ დასჭირდებოდა იმის თქმა, რომ იკტადარს უფლება აქვს აკრიფოს მხოლოდ კანონიერი გადასახადი და რომ მას ხელი არ მიუწვდება გლეხის პიროვნებასა და ქონებაზე. საჭირო არ იქნებოდა აგრეთვე ამ წესის დამრღვევის პასუხისმგებლობის აღნიშვნა სახელმწიფოს

---

[1] Низам ал-мульк. Спасет-намэ, Перевод, введение в изучение памятника и примечания Б. Н. Заходера, М. — Л., 1949, გვ. 34. ჩვენი აზრით, სპარსული ტექსტის უფრო ზუსტ თარგმანს იძლევა ა. იაკუბოვსკი. გარდა იმისა, რომ იგი „ხალხს" თარგმნის „გლეხებად": „Мукта должны знать, что с крестьян не могут взимать ничего другого, кроме предоставленной им законной подати... И когда они (мукта) ее (законную подать) взимают, то крестьяне должны быть спокойны за свою жизнь, имущество, жён и детей, а также за орудия и земельные участки, так как у мукта на всё это права нет". А. Ю. Якубовский. დასახ. ნაშრ., გვ. 40; ასევე თარგმნის დამოწმებულ კონტექსტს ა. ლამბტონი. იხ. Lambton. დასახ. ნაშრ., გვ. 66.

წინაშე და დამნაშავის დასჯის მოთხოვნა იმისათვის, რომ სხვებისათვის ეს მაგალითად ყოფილიყო.

ოფიციალური თვალსაზრისით იკტა ახლაც დროებითს მფლობელობას ნიშნავდა. იკტადარი გარკვეული დროის განმავლობაში, სანამ იგი გარკვეულ სამსახურს ასრულებდა, იღებდა მიწაზე დაწესებული გადასახადის იმ წილს, რომელიც სახელმწიფოს მისთვის ჰქონდა გადაკვეთილი, მისი უფლება ხარაჯაზე (ნაწილობრივ ან მთლიანად) წინასწარ იყო განსაზღვრული. კანონიერი გადასახადიც სწორედ ამ წილის აკრეფის უფლებაში იყო გამოხატული. იკტას კავშირი სახარაჯო სისტემასთან სავსებით აშკარაა.

იკტას მფლობელობის საფუძველი წყალობა იყო. მაგრამ იკტათი გაპირობებული ვასალური დამოკიდებულება ახლა ჰქმნიდა რთულ ფეოდალურ იერარქიას. ახლანდელი იკტა X ს-ის იკტასაგან იმითაც განსხვავდებოდა, რომ მისი გაცემა უპირატესად სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ წარმოებდა. თურქ-სელჩუკების დროს მკაფიოდ გამოკვეთილი სახით ჩამოყალიბდა სამხედრო-ლენური სისტემა. მეომრების გარკვეული რაოდენობის გამოყვანა სულთნის სამსახურში უეჭველად გულისხმობდა იკტადარის დამოკიდებულებას განსაზღვრული ტერიტორიის მოსახლეობის მიმართ. ასე რომ თვით ოფიციალურ თვალსაზრისში გამჟვირვალედ მოჩანს, თუ რა მიმართულებით განვითარდა ამ დროს იკტას ფეოდალური ინსტიტუტი.

სულთნის ხელისუფლება ცენტრალური პოლიტიკის თვალსაზრისით უყურებს ფეოდალების სალაშქრო მოვალეობას. მაგრამ ფეოდალების უშუალო დამოკიდებულება გარკვეული ტერიტორიის მოსახლეობასთან ნიადაგს უქმნის დამოუკიდებელი ათაბეგების წარმოშობას.

დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ფეოდალური დაშლა უფლისწულთა შორის ბრძოლით დაიწყო.

მალიქ-შაჰმა დიდის გაჭირვებით და ნიზამ ულ-მულქის აქტიური დახმარებით მოიპოვა სულთნის ტახტი (და მადლიერმა სულთანმაც თავის ვეზირს ათაბეგის წოდებულება უწყალობა [1]). სელჩუკ უფლისწულებს ამის შემდეგაც არ შეუწყვეტიათ ბრძოლა. მათს გარშემო ირაზმებოდნენ ცალკეული ფეოდალური ჯგუფები, რომელთა პოლიტიკურ მიზნებს სავსებით შეესაბამებოდა ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება.

სელჩუკი უფლისწულები ქმნიან პირველ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. 1080 წელს უფლისწულმა სულეიმანმა საფუძველი დაუდო რუმის სასულთნოს — სელჩუკთა სახელმწიფოს მცირე აზიაში, დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს გამოეთიშა ქერმანი სელჩუკი უფლისწულის მეთაურობით, სელჩუკური ფეოდალური სამთავრო შეიქმნა სირიაშიც. განკერძოების გზას დაადგნენ ქვეყნების მმართველი ფეოდალებიც. სწორედ ასეთ ვითარებაში და ამგვარი ტენდენციების წინააღმდეგ მალიქ-შაჰი ქმნის მუდმივ ლაშქარს,

---

[1] ათაბეგობა ნიზამ ულ-მულქმა 1076 წ. მიიღო. იგი რიგით პირველი ათაბეგი იყო. XII ს-ში ათაბეგებად იწოდებოდნენ ქვეყნის მმართველებიც.

რომლის არსებობა ფეოდალური ლაშქრის გვერდით ცენტრალურ ხელისუფლებას სჭირდებოდა ერთის მხრივ მოწინააღმდეგე ფეოდალების ასალაგმავად, ხოლო მეორეს მხრივ საგარეო დაპყრობითი ომებისათვის.

მალიქ-შაჰის სულთნობის ბოლო წლებში მდგომარეობა სელჩუკთა სახელმწიფოში უკიდურესად გართულდა და დაძაბული გახდა (ნიზამ ულ-მულქის მკვლელობა, სულთნის საიდუმლოებით მოცული სიკვდილი, ხალიფას მტრული მოქმედება სულთნის წინააღმდეგ, ისმაილიტთა ბრძოლის გაძლიერება, უფლისწულთა ქიშპი (მაჰმუდი და ბარქიაროკი), გლეხთა აჯანყებები და სხვ.). ამას ზედ დაერთო ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობა. თუმცა ჯვაროსანთა ლაშქრობის შედეგებს უმთავრესად დასავლეთის სელჩუკებისათვის ჰქონდა მნიშვნელობა. ამიტომ საგარეო ფაქტორებიდან საქართველოსათვის მთავარი იყო არა ჯვაროსანთა ლაშქრობა, არამედ „დიდ სელჩუკთა" სახელმწიფოს ფეოდალური დაშლა.

XII ს-ის პირველი მეოთხედი დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიაში აღინიშნა უფლისწულთა შორის წარმოებული მრავალწლოვანი ბრძოლით. ამ ბრძოლიდან გამარჯვებული სულთანი სანჯარი (1117 — 1157) გამოვიდა. სულთანი სანჯარი დიდ სელჩუკთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო. თუმცა მისი სიკვდილის შემდეგ ფეოდალურ ძალებს მარიონეტ სულთნად ერთხანს თოღრულ II ჰყავდა დასმული.

სულთანმა სანჯარმა მთელი თავისი ენერგია ისმაილიტების და მომთაბარული ტომების წინააღმდეგ ბრძოლას შეალია. იგი უძლური აღმოჩნდა გზა შეეკრა ცენტრალური აზიიდან განუწყვეტლივ მომდინარე ოღუზთა ტალღებისათვის. 1154 წელს იგი ოღუზებმა ტყვედ იგდეს ხელთ. ტყვეობიდან სულთანი მხოლოდ 1156 წელს განთავისუფლდა. მომდევნო 1157 წელს მის სიკვდილთან ერთად დიდ სელჩუკთა სახელმწიფო დაემხო.

XII ს-ის მეორე ნახევარში შუა აზიაში გაძლიერდა ხორეზმშაჰების სახელმწიფო, რომელსაც თვალი დასავლეთ ირანზე ეჭირა და ბაღდადზე სალაშქროდ ემზადებოდა. მცირე აზიაში რუმის სასულთნო მეზობლების ხარჯზე ცდილობდა ტერიტორიულ გაფართოებას. რუმის სულთანი გამოდიოდა მუსლიმანური კოალიციების დამრაზმველად საქართველოს წინააღმდეგ. მაგრამ გაძლიერებული საქართველოსათვის მცირე აზიის თურქ-სელჩუკთა სახელმწიფო სერიოზულ ძალას არ წარმოადგენდა.

1171 წელს არსებობა შესწყვიტა ფატიმიდების სახალიფომ, რომლის ნანგრევებზე წარმოიქმნა ეგვიპტის სახელმწიფო სალაჰ ედ-დინის (სალადინის) მეთაურობით.

სამხრეთ ამიერკავკასიის და ირანის ტერიტორია მოფენილი იყო წვრილ-წვრილი ფეოდალური სამთავროებით (სალღარიანთა საათაბეგო ფარსში, ილდიღიზების საათაბეგო აზერბაიჯანში). ამრიგად, ამ დროისათვის დიდი და ძლიერი პოლიტიკური ერთეულები მხოლოდ მუსლიმანური სამყაროს უკიდურეს ნაწილებში არსებობდა (ხორეზმი აღმოსავლეთში, ეგვიპტე დასავლეთში).

ბაღდადის ხალიფები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა ხელი შეეშალათ სულთნების (საერო მბრძანებლების) გაძლიერებისათვის, მტრობ-

დნენ ხორეზმშაჰებს და ეგვიპტის სულთნებს. ხალიფების ამგვარი პოლიტიკა მხოლოდ მონღოლებისათვის აღმოჩნდა სასარგებლო.

თურქ-სელჩუკების სახელმწიფოს დაშლა-გადაშენება ფეოდალური ეკონომიკის განვითარების შედეგი იყო. ამდენადვე ძნელია თურქ-სელჩუკებს პროგრესული მნიშვნელობა მივანიჭოთ იმის გამო, რომ XI ს-ში მათ ფეოდალურად დაქსაქსული აღმოსავლეთი გააერთიანეს.

ა. იაკუბოვსკი თურქ-სელჩუკებში ხედავდა პროგრესულ ძალას, რომელმაც ფეოდალურად დაქსაქსული აღმოსავლეთი გააერთიანა. თავის დროზე იგი როგორც სელჩუკების, ისე მონღოლების შემოსევებს აღმოსავლეთის ვაჭრების ინიციატივას მიაწერდა[1].

ზოგიერთი მკვლევარი ახალ საფეხურს აღმოსავლური ფეოდალიზმის განვითარებაში — განვითარებული ფეოდალიზმის ხანას — ორგანულად უკავშირებს თურქ-სელჩუკთა ბატონობას. ამგვარ თვალსაზრისს გამოთქვამს პროფ. ბ. ზახოდერი[2]. თუმცა ა. იაკუბოვსკიც და ბ. ზახოდერიც თურქ-სელჩუკიანთა დროინდელი ფეოდალური ურთიერთობის ბევრ მოვლენაში არაბულ-ირანული პრაქტიკის და ტრადიციების გაგრძელებას ხედავენ.

მაგრამ წინა აზიის აშკარა სამეურნეო და კულტურული აღმავლობა XII — XIII სს. თურქ-სელჩუკებისაგან სრულიად დამოუკიდებლივ მოხდა. აღებულ ხანაში ფაქტიურად გაგრძელდა წინარე ხანაში დაწყებული, და ერთხანს სწორედ სელჩუკების შემოსევებით შეფერხებული, სოციალურ-ეკონომიური და კულტურული განვითარება. „დიდ სელჩუკთა“ სახელმწიფოში დამპყრობლები ირანელების გავლენაში მოექცნენ, მცირე აზიაში ლაზების, სომხების და ბერძნების გავლენაში. ახლაც გამეორდა ის, რაც ადრე არაბთა ბატონობის ხანაში მოხდა.

აღნიშნული გარემოებანი, როგორც აღვნიშნეთ მითითებული აქვთ ზემოთ დასახელებულ მკვლევრებსაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ფეოდალური განვითარებისათვის ხელსაყრელი ნიადაგის შექმნას ისინი თურქ-სელჩუკებს მიაწერდნენ.

და ეს იმიტომ, რომ იკტას ინსტიტუტი ამ დროს ახალი შინაარსით შეივსო.

---

[1] А. Ю. Якубовский. Феодальное общество Средней Азии и его торговля с Вост. Европой в X — XV вв., Материалы по истории Узбекской, Таджикской и Туркменской ССР, ч. 1, Л., 1933.

[2] Б. Н. Заходер. Хорасан и образование государства сельджуков, Вопросы истории, 1945, № 5 — 6, გვ. 119— 141; ა. იაკუბოვსკი თურქ-სელჩუკებს მიაწერდა უდიდეს როლს ფეოდალური ურთიერთობის განვითარებაში („Роль сельджуков-туркмен в этом огромна“) და აღნიშნავდა: „Создавшееся на Востоке (Иран, Малая Азия, отчасти Закавказье) Сельджукское государство — один из важнейших этапов в росте феодализма на мусульманском Востоке. С именем сельджуков для Ирана связано время резкого поворота в сторону дальнейшей феодализации всех сторон общественной жизни Ирана“. А. Ю. Якубовский. Сельджукское движение, გვ. 943 — 944.

ა. იაკუბოვსკის აღნიშნული აქვს, რომ იკტა წარმოიშვა XI საუკუნემდე, მაგრამ ფართო გავრცელება ჰპოვა მხოლოდ XI — XII საუკუნეებში (ყარახანიანთა და სელჩუკების სახელმწიფოებში, აიუბიდების სირიასა და ეგვიპტეში)[1].

იკტა ფეოდად გადაქცევის ტენდენციას, როგორც ზემოთ ვნახეთ, უკვე X ს-ში ამჟღავნებს. ამიტომ საკითხავია, რამდენად „პროგრესული" იყო ყარახანიანთა და თურქ-სელჩუკების შემოსევები იმ დროს, როცა აღმოსავლეთი ფეოდალიზმის განვითარებულ ხანაში გადადიოდა?

მომთაბარეთა შემოსევების ჩვეულებრივი შედეგი საწარმოო ძალების განადგურება იყო. კ. მარქსი და ფ. ენგელსი ამ გარემოებას არა ერთგან აღნიშნავენ. „გერმანულ იდეოლოგიაში" ნათქვამია: „ბარბაროსული ხალხების შესევა, ჩვეულებრივი ომებიც კი, საკმარისია, რათა განვითარებული საწარმოო ძალებისა და მოთხოვნილებების მქონე რომელიმე ქვეყანა იქამდე მივიდეს, რომ იძულებული გახდეს ყველაფერი კვლავ თავიდან დაიწყოს"[2].

ასე მოხდა თურქ-სელჩუკების ბატონობის ხანაშიც.

ადგილობრივი ფეოდალური ძალების უეჭველი გავლენის შედეგი იყო მომთაბარული არისტოკრატიის გარკვეული ნაწილის გაფეოდალება, მათი გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაციით დაინტერესება, მიწისმფლობელობის ნიადაგზე განკერძოებისადმი მიდრეკილება.

XI ს-ის დამლეს სელჩუკი უფლისწულები მხოლოდ გარეგნულად სცნობდნენ „დიდ სელჩუკი" სულთნების უზენაესობას. მათ წარმოქმნეს დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები ქერმანში, მცირე აზიაში, სირიაში. განსაკუთრებული იკტას საფუძველზე წარმოიშვა დამოუკიდებელი ათაბეგების ქვეყნები (აზერბაიჯანში, ფარსში) და ყველაფერი ეს მოხდა არა იმის გამო, რომ სელჩუკებს თან მოჰყვათ საუფლისწულო წარმოდგენები და ამ წარმოდგენების შესაბამისად გაიყვეს დაპყრობილი ქვეყნები, როგორც ამას აკად. ვ. ბარტოლდი აღნიშნავდა, არამედ წარმოადგენდა შემდგომი ფეოდალიზაციის ბუნებრივ შედეგს.

პროგრესული იყო არა თურქ-სელჩუკების მიერ აღმოსავლეთის „გაერთიანება", არამედ მათი სახელმწიფოს ფეოდალური დაშლა.

ფეოდალიზაციის პროცესში თურქ-სელჩუკებს განსაკუთრებული როლის შესრულება არ შეეძლოთ. ნამდვილად ადგილობრივმა ფეოდალურმა სინამდვილემ თანდათან გაიკვლია გზა თურქ-მომთაბარულ არისტოკრატიაში. ფეოდალური მეურნეობის უპირატესობის შეგნებამ თურქ-სელჩუკთა ზედა ფენა (უმცირესობა) სოფლებს და ქალაქებს დაუკავშირა. იკტას ფეოდალური ინსტიტუტის განვითარება ამის საუკეთესო მოწმობაა. გადაშენებული დეჰყანური მიწისმფლობელობის მაგიერ ფაქტიურად იქმნებოდა ახალი მსხვილი მიწისმფლობელობა.

---

[1] А. Ю. Якубовский. დასახ. ნაშრ., გვ. 944.

[2] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. „გერმანული იდეოლოგიიდან", 1948, გვ. 66.

XII — XIII სს. მიწის გასაკუთრების საერთო ტენდენცია ნიადაგს უშზადებდა სოციალური განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლას, რამდენადაც მფლობელების მწარმოებლებთან უშუალო დამოკიდებულებაზე დაფუძნებული ფორმა მოასწავებდა ახალ ეტაპს ფეოდალიზმის განვითარებაში.

ამგვარადვე დგას ფეოდალური კულტურის გავლენის საკითხიც.

ფეოდალური კულტურის გავლენა თავის გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ თვით თურქი ფეოდალებისათვის და თურქული ფეოდალური დინასტიებისათვის დამახასიათებელი ხდება სპარსული ენა, სპარსული ტრადიციები. ირანული კულტურული ტრადიციების აღდგენა, ღაზნევიანთაგან განსხვავებით, თურქ-სელჩუკებისათვის საშიშარი აღარ იყო, რადგან განადგურდა და მოისპო დეჰყანთა კლასი. ისინი დაუშვებლად თვლიდნენ მხოლოდ შიიტური განწყობილების გაძლიერებას.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ შიიტურ მიდრეკილებებს აშკარად ამჟღავნებენ მომთაბარეთა ძირითადი მასის ექსპლოატირებული ფენები, რომელნიც ამ ნიადაგზე ადვილად უკავშირდებიან აჯანყებულ გლეხებს და ხელოსნებს. ახალს ვითარებაში შიიტობა უკავშირდება არა პოლიტიკურ, არამედ სოციალური ხასიათის მოტივებს.

XI—XIII სს-ში განუხრელად ვითარდება „ირანულ-მუსლიმანური" კულტურა ისევე, როგორც თავის დროზე „არაბულ-მუსლიმანური" კულტურა ვითარდებოდა. მაგრამ გარეგნულად ირანულ ფორმაში გამოხვეულ კულტურაში (შუა აზიიდან ეგვიპტემდე) გამქვირვალედ მოჩანს თურქ-სელჩუკთა მიერ დაპყრობილი ხალხების თავისთავადი, ადგილობრივ ნიადაგზე განვითარებული კულტურა, ხელოვნება და მწერლობა.

XII — XIII საუკუნეებში (მონღოლთა შემოსევამდე) აღმოსაელეთის კულტურულ ქვეყნებში განუხრელად ვითარდება ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, ვაჭრობა და ხელოსნობა. აღმავლობას განიცდის სოფლის მეურნეობა.

თუ იკტას დროებითი მფლობელობის დროს იკტადარი მხოლოდ შემოსავლით იყო დაინტერესებული, იკტას გასაკუთრების პირობებში იგი მიწის ინტენსიურ ექსპლოატაციას ცდილობს. ამ მიზნით უმჯობესდება სოფლის მეურნეობის იარაღები, ვითარდება სოფლის მეურნეობის ტექნიკა.

უკვე XI ს-ში იშვიათი არ უნდა ყოფილიყო იკტას გასაკუთრება, ე. ი. ხარაჯას მიღების უფლების მიწისმფლობელობის უფლებასთან შეერთება. XII ს-ის მეორე ნახევარში, შუა აზიის წყაროების მიხედვით, იკტას მფლობელობა შერწყმულია თითქმის შეუზღუდავ უფლებასთან იკტას ტერიტორიის მოსახლეობის მიმართ. XI — XII სს. აზერბაიჯანში იკტას მფლობელობა ფაქტიურად მემკვიდრეობითი ხდება. წარმოებს იკტას გადაცემა ანდერძით.

აღებულ ხანაში მიწის ფეოდალურმა საკუთრებამ მიაღწია თავისი განვითარების ისეთ საფეხურს, რომ დღის წესრიგში დადგა ბეგარის (სუხრას) ფართოდ გამოყენება გლეხთა მიწაზე მიმაგრების გზით. მფლობელების და მწარმოებლების უშუალო ურთიერთობამ (სახელმწიფოს ჩაურევლად) ახალი

შინაარსით შეავსო იკტას ფეოდალური ინსტიტუტი. საადგილმამულო ურთიერთობაში მფლობელობის საბუთად ხდება ფორმულა: „ის, რაც მამაჩემისაა, ჩემიც არის“. ამ თვალსაზრისის გავრცელება საესებით შეესაბამებოდა ფეოდალური ურთიერთობის განვითარების იმ საფეხურს, რომელსაც აღმოსავლეთმა XII—XIII სს. მიჯნაზე მიაღწია.

უშუალო მწარმოებლები, რაც დრო გადის, მით უფრო მეტად დამოკიდებული ხდებიან იკტადარებზე. უკვე XII ს-ში გლეხის პირადი დამოკიდებულება თითქმის საყოველთაო ფაქტი ხდება[1]. მოჰამედ ბაღდადის ოფიციალურ სპარსულ დოკუმენტთა კრებულში მოიპოვება სიგელები (منشور), რომელთა მიხედვით აღიარებულია იკტადარების სრული განკარგულების უფლება როგორც მიწების, ისე მიწებზე მსხდარი გლეხების მიმართ. XII ს-ის დამლევს ხორეზნშაჰ თექეშის მიერ მელიქ თულანშაჰისათვის ბოძებული სიგლის შინაარსიდან კარგად ჩანს, რომ იკტადარს ხელი მიუწვდება გლეხის პიროვნებასა და მეურნეობაზე[2]. ამიერიდან, რა თქმა უნდა, გარეეკონომიური იძულება ფეოდალების ხელთ იყო. მაგრამ მათი ძალაუფლება მიწის ფეოდალური საკუთრების განვითარებულმა ინსტიტუტმა გააპირობა.

XII ს-ში იკტას მფლობელები ყველგან გლეხებისაგან მოითხოვენ სამუშაო ბეგარას („სუხრა გერეფთან“)[3]. XI ს-ის ქართულ დოკუმენტურ წყაროებში დაწერილი „სუხრა“ (სპ. ბეგარის არაბული შესატყვისი) იმის მაგალითი უნდა იყოს, რომ საამისო პროცესი XII საუკუნეზე ადრე იწყება მახლობელ აღმოსავლეთში.

ამრიგად, აღმოსავლური „ბეგარა“ (გლეხის შრომის უპირატესად სასახლეების, ციხე-სიმაგრეების, სარწყავი არხების, გზების მშენებლობაში გამოყენებას რომ გულისხმობდა) უშუალოდ უკავშირდება ფეოდალის მეურნეობას. ბეგარა სასაკუთრო მეურნეობის განვითარების პირობებში აუცილებელი ხდება. სასაკუთრო მეურნეობები განვითარებული ფეოდალიზმის შესაბამისი იყო.

ფეოდალები დაინტერესებული არიან მუშა-ხელით. ისინი ერთმანეთს სტაცებენ გლეხებს და სვამენ თავიანთ მიწებზე. ძალიან საინტერესოა, რომ ამ დროს წარმოებს გლეხთა დაქირავებაც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე. წყაროებში ასეთი გლეხების აღსანიშნავად ნახმარია „მოზდვარან“[4].

XII — XIII საუკუნეებში გლეხობა ერთფეროვანი არ ჩანს. ამ მხრივ მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის განთქმული სუფიური მწერალი ნაჯმ ედ-დინ რაზი (გარდაიცვალა 1256 წელს), რომლის ფილოსოფიურ თხზულებაში („მირსად ალ-მიბად“) გამოთქმულია შეხედულებები საზოგადოებისა და სხვადასხვა კლასების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

---

[1] А. Ю. Якубовский. Вопросы периодизации истории Средней Азии в средние века, გვ. 41.

[2] В. В. Бартольд. Туркестан в эпоху монгольского нашествия, ნაწ. I, ტექსტები, გვ. 74—75. ამ სიგლის შინაარსს სხვადასხვა დროს ყურადღება მიაქციეს ი. პეტრუშევსკიმ და ა. იაკუბოვსკიმ.

[3] А. Ю. Якубовский. დასახ. ნაშრ., გვ. 41.

[4] A. Lambton. დასახ. ნაშრ., გვ. XXVII.

ნაჯმ ედ-დინ რაზი სოფლის მეურნეობაში დაკავებულ ადამიანებს სამ ჯგუფად ჰყოფს: პირველს შეადგენენ მიწისმფლობელები, მეორეს მოურავები, მამასახლისები და მიწისმფლობელთა მოხელე-მეთვალყურეები, მესამეს მეიჯარე გლეხები და დაქირავებული მიწის მუშაკები[1].

მიწისმფლობელები, რომელთაც ქონება და საკუთრება აქვთ, ამბობს ნაჯმ ედ-დინ რაზი, საჭიროებენ მეიჯარე გლეხებს (მურაზან), მშველელებს (შაგირდან) და დაქირავებულ მიწის მუშაკებს (მოზდვარან) მიწათმოქმედებასა და ქვეყნის განვითარებაში[2].

მოურავები (მუბაშირან), მამასახლისები (ქედხუდა) და მიწისმფლობელთა წარმომადგენლები (სოფლებში) უნდა იცავდნენ წესსა და რიგს გლეხებში (რაიათ), არ უნდა მისცენ ძლიერს სუსტის დაჩაგვრის ნება, არ უნდა აიღონ ქრთამები, უნდა შეუქმნან გლეხებს მშვიდობიანი ცხოვრების და შრომის პირობები, ხელი არ უნდა დასდონ გლეხის მფლობელობას, ქონებას და იმას, რაც გლეხს ეკუთვნის; აუკრძალონ მათ ის, რაც ასაკრძალია; თუ რომელიმე გლეხმა რამე დააშავა, დასაჯონ და მოანანიონ დანაშაული[3].

მეიჯარე გლეხებმა და დაქირავებულმა მიწის მუშაკებმა ერთგულად და თავდადებით უნდა იმუშაონ და არ უნდა დააზარალონ სხვა ჯგუფის (ადაშიანები). მონდომებით და პატიოსნად გაისარჯონ, როცა თავადები (რუასა), სოფლის უფროსები და მიწისმფლობელები მათთან არიან და როცა მათთან არ არიან. გაუფრთხილდნენ ამ უკანასკნელთა მფლობელობას და მამულებს. ოღონდ მიწისმფლობელები ნუ მოეპყრობიან მათ მკაცრად, ნუ ამუშავებენ დაუნდობლად, ნუ დატვირთავენ მძიმედ და ნუ სცემენ ძალიან მაგრად[4].

ნაჯმ ედ-დინ რაზის მსჯელობა გამოხვეულია სუფიურ-რელიგიური თვალსაზრისის სამოსელში. მაგრამ მის ცნობებში გამქვირვალედ მოჩანს გლეხთა მდგომარეობის დამამძიმებელი გარემოებანი: მიწისმფლობელების და მათი მოხელეების ძალადობა, ქრთამები, გლეხის ქონების ხელყოფა, მძიმე მუშაობა, ტვირთის ზიდვა, დასჯა, ცემა. აღსანიშნავია სუფიური მწერლის სიტყვები: გლეხებს „ძალიან მაგრად ნუ სცემენ“.

მითითება იმის თაობაზე, რომ გლეხები უნდა გაუფრთხილდნენ მიწისმფლობელთა მამულებს, ყრუდ გადმოსცემს გლეხთა ბრძოლის ეფექტურ საშუალებას (მჩაგვრელთა სახლ-კარის გადაწვა, ქონების განადგურება) ფეოდალების წინააღმდეგ.

გლეხის აღმნიშვნელი საერთო სახელი, როგორც ვიცით, რაიათი იყო. ამ მნიშვნელობით ხმარობს მას ნაჯმ ედ-დინ რაზიც. მაგრამ იგი ცალკე გამოჰყოფს მეიჯარე გლეხებს და დაქირავებულ მიწის მუშაკებს. გლეხთა წრისანი ჩანან მუბაშირებიც და ქედხუდებიც. თუმც ესენი ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობით განსხვავდებოდნენ დანარჩენი გლეხებისაგან. ამავე

---

[1] A. Lambton. დასახ. ნაშრ., გვ. XXVII — XXX.
[2] იქვე, გვ. XXVII.
[3] იქვე, გვ. XXIX.
[4] იქვე.

დროს, ნაჯმ ედ-დინ რაზი მათ ასხვავებს პირველი ჯგუფისაგან (მიწისმფლობელებისაგან).

მიწისმფლობელები მუბაშირების და ქედხუდების საშუალებით აწარმოებენ გლეხთა ძირითადი მასის ფეოდალურ ექსპლოატაციას. ეს აშკარად მიუთითებს გლეხების ფეოდალებზე უშუალო დამოკიდებულებას, რადგან მუბაშირების და ქედხუდების გამოყენება გამორიცხავს გლეხთა სახელმწიფოს მეშვეობით ექსპლოატაციას.

მიწის მესაკუთრე გლეხის აღმნიშვნელ ტერმინად დეჰყანი ჩანს. მიწათმოქმედებაც ახლა ამ სახელიდანაა ნაწარმოები („დეჰყანათ"). ამრიგად, რაიათებს შორის შეინიშნება გარკვეული განშრეება: დეჰყანები, მეიჯარე გლეხები, დაქირავებული მიწის მუშაკები. მათი ფეოდალური დამოკიდებულებაც, რა თქმა უნდა, სხვადასხვანაირი იყო.

ყველაზე დიდი რაოდენობით უმიწაწყლო გლეხები იყვნენ წარმოდგენილი. ესენი იჯარის წესით ამუშავებდნენ სახელმწიფოს და ფეოდალების მიწის ნაკვეთებს. უეჭველია, უმიწაწყლო გლეხები იყვნენ მოზდვარებიც (დაქირავებული მიწის მუშაკები).

მიწის მუშაკების დაქირავების საჭიროება ფეოდალთა სასაკუთრო მეურნეობების არსებობით იყო გაპირობებული. ეს მოვლენა, ჩანს, გლეხების ფეოდალებზე პირად დამოკიდებულებაში გადაყვანის პარალელურად მიმდინარეობს. მოთხოვნილებას მუშა ხელზე ზრდიდა განვითარებული სოფლის მეურნეობა, მეურნეობის ინტენსიური დარგების დაწინაურება. ფეოდალური ეკონომიკის განვითარებას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია გლეხთა მიწაზე მიმაგრების პროცესის გაძლიერება. ამას უნდა მოწმობდეს ბეგარის ანუ სუბრას ფართოდ გამოყენება.

აღებულ ხანაში განვითარებულია არა მარტო სოფლის მეურნეობა, არამედ ქალაქებიც და საქალაქო ცხოვრებაც, ვაჭრობაც და ხელოსნობაც.

დიდადაა განვითარებული მწერლობა, მეცნიერება, ხუროთმოძღვრება, მხატვრული ხელსაქმე, ჭედვითი ხელოვნება.

ამ ხანას განეკუთვნება სადა, გამჭვირვალე სტილის და უაღრესად მხატვრული პროზაული ნაწარმოებები (ნასერე ხოსროვის „საფარ-ნამე", ნიზამ ულ-მულქის „სიასეთ-ნამე"). შეიქმნა ომარ ხაიამის ბრწყინვალე რობაიები, ხაყანის და ნიზამი განჯელის პოეტური შედევრები, საადის „გოლესთანი" და „ბუსთანი". მეცნიერებაში ბევრი გამგრძელებელი ჰყავდათ იბნ სინას და ალ-ბირუნის. დაწინაურდა ისტორიოგრაფია და გეოგრაფიული მწერლობა.

განუხრელ აღმავლობა-განვითარებას ფეოდალური საზოგადოება აღმოსავლეთში თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლის პერიოდში შეუდგა. XII ს-ის მეორე ნახევრიდან კი პოლიტიკური ძალაუფლება თურქ-სელჩუკების ხელთ უკვე აღარ იყო. კულტურულმა ხალხებმა შეძლეს მათთვის მიუღებელი თურქულ-მომთაბარული ორგანიზაციის გადალახვა.

მახლობელ აღმოსავლეთში შეიქმნა ნორმალური საერთაშორისო ურთიერთობის პირობები. სავაჭრო ურთიერთობა მყარდება მახლობელ და

შორეულ ქვეყნებთან: კავკასიასთან, ბიზანტიასთან, აღმ. ევროპის ქვეყნებთან, რუსეთის სამთავროებთან.

აღმოსავლეთის ქალაქები შორეულ ქვეყნებთან დაკავშირებული იყვნენ როგორც ხმელეთის, ისე საზღვაო გზებით. აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალი სავაჭრო მაგისტრალის მნიშვნელოვანი მონაკვეთი იყო საქართველოს ტერიტორია, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მისი ქალაქების დაწინაურებას და გამდიდრებას.

ქალაქები აღებული ხანის აღმოსავლეთში განუხრელი განვითარების გზაზე იმყოფებოდნენ.

## § 2. ქალაქები, ხელოსნობა და ვაჭრობა X — XII საუკუნეებში

ფეოდალური ქალაქის წარმოქმნა-განვითარების პროცესი მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში ჯერ კიდევ არაბთა შემოსევებამდე დაიწყო და მონათმფლობელური ქალაქების გაქრობის გზით მიმდინარეობდა[1]. ადრეფეოდალურ ხანაში (VI — X სს.) ხდება ანტიკური ქალაქის კვდომა და, პროფ. ა. ი. იაკუბოვსკის სიტყვით, იქმნება ქალაქის გარდამავალი ტიპი, რომელიც თანდათან ფეოდალურ ქალაქად გარდაიქმნება[2].

ადრეფეოდალური ხანის ქალაქი, ანუ IX — XI საუკუნეთა გეოგრაფიული ლიტერატურის ტერმინოლოგიით „შაჰრესთანი"[3], ფართობით ფეოდალურ ქალაქზე მცირე იყო. VI—VIII საუკუნეებში იგი პატარა სამფლობელოს ცენტრს წარმოადგენდა. მისთვის დამახასიათებელი იყო მონუმენტური ნაგებობანი. ერთ შენობას ზოგჯერ მთელი კვარტალი ეპირა (ნაგებობათა ასეთი ხასიათი აშკარად მიუთითებს, რომ შაჰრესთანი მართლაც გარდამავალი ტიპის ქალაქია მონათმფლობელურიდან ფეოდალურისაკენ). შაჰრესთანში მოთავსებული იყო ქალაქის მფლობელის რეზიდენცია — ციხე-სიმაგრე („კოჰანდიზი"), დეჰყანთა და მდიდარი ვაჭრების სახლები და სხვადასხვა სარწმუნოების ტაძრები: ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძრები, მანიქეველთა სამლოცველოები, ნესტორიანელთა ეკლესიები და სხვ.[4] ამდენი სხვადასხვანაირი ტაძრის არსებობა აშკარა მოწმობაა უცხოელი ვაჭრებისა და ხელოსანთა სიმრავლისა, რაც ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. შაჰრესთანები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც საშინაო, ასევე საქარავნო ვაჭრობაში.

---

[1] А. Ю. Якубовский. Главные вопросы изучения истории развития городов Средней Азии, Труды Тадж. Филиала АН СССР, XXIX, Сталинабад, 1951, გვ. 15.

[2] იქვე, გვ. 9. პროფ. ა. ი. იაკუბოვსკის ადრეფეოდალური ხანა ე. წ. „გარდამავალ ხანად" მიაჩნია და მის აღსანიშნავად „წინაფეოდალურ ხანას" ხმარობს.

[3] ტერმინოლოგია, რომელსაც IX — XI სს. არაბი და ირანელი გეოგრაფები იყენებდნენ ქალაქების მიმართ, შეისწავლა ვ. ვ. ბარტოლდმა. В. В. Бартольд. К истории Мерва, ЗВО, XIX, გვ. 115 — 138.

[4] А. Ю. Якубовский. დასახ. ნაშრ., გვ. 13.

შაჰრესთანს გალავანი ერტყა გარს. მის გარეთ მოთავსებული იყო სავაჭრო-სახელოსნო გარეუბანი — რ ა ბ ა დ ი, რომელიც რამდენიმე ან ყოველი მხრიდან ეკვროდა ქალაქს. ხელოსნები ადრეფეოდალური ხანის ქალაქში საკმაოდ დიდ როლს თამაშობდნენ, თუმცა კი მათ ჯერ კიდევ არ ეკავათ საქალაქო ცხოვრებაში ისეთი ადგილი, როგორიც, მოგვიანებით, ფეოდალურ ქალაქში. ხელოსანთა ნაწილი, რომელიც მოკლებული იყო პირად თავისუფლებას, შაჰრესთანში, დეჰყანთა სასახლეებთან ცხოვრობდა. თავისუფალი ხელოსნები ქალაქის განაპირა უბნებში გალავანთან ან მის გარეთ სახლობდნენ. აქვე ჰქონდათ მათ გამართული თავისი სახელოსნო-დუქნებიც. ხშირად ბაზრებიც რაბადში ან გალავნის შიგნით, ქალაქის კართან იყო მოთავსებული.

ფეოდალიზაციის პროცესი, რაც არაბთა შემოსევებმა დროებით შეაფერხა, VIII საუკუნიდან კვლავ სწრაფი ტემპით წავიდა წინ და სამეურნეო ცხოვრების ყველა მხარე მოიცვა. ჯერ კიდევ აკად. ვ. ვ. ბარტოლდმა გამოთქვა მოსაზრება, რომ X—XI საუკუნეებში საქალაქო ცხოვრების ცენტრმა შაჰრესთანიდან რაბადში გადაინაცვლა, სადაც წარმოიშვა ახალი ქალაქი[1]. ამ მოსაზრების საფუძველზე პროფ. ა. ი. იაკუბოვსკიმ შექმნა თეორია რაბადის, როგორც ფეოდალური ქალაქის წარმოქმნისა[2]. მან გვიჩვენა, რომ საწარმოო ძალთა და ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა შემდგომ განვითარებასთან ერთად აღმოსავლეთის ქვეყნებში უკვე X საუკუნის დასასრულისათვის შეიქმნა და ჩამოყალიბდა ტიპიური აღმოსავლური ქალაქი[3].

ფეოდალური ქალაქების წარმოქმნა-განვითარება აღმოსავლეთის ქვეყნებში სავსებით შეესაბამებოდა ამ ქვეყნების შემდგომ ფეოდალიზაციას, რაც მონათმფლობელური გადმონაშთების ლიკვიდაციის გზით მიმდინარეობდა.

ცნობილია, რომ ქალაქის განვითარების პერიოდიზაცია და მთლიანად ქვეყნის ისტორიის პერიოდიზაციაც, ძირითადად ერთი და იგივეა[4]. X საუკუნე წარმოადგენს მნიშვნელოვან ტეხილს აღმოსავლური ქალაქის განვითარებაში, რაც ადრეფეოდალური ხანის დასასრულსა და განვითარებული ფეოდალიზმის ხანის დასაწყისს ემთხვევა[5]. ამ დროისათვის „ქალაქი უკვე

---

[1] В. В. Бартольд. К истории Мерва, გვ. 130; История культурной жизни Туркестана. Л., 1927, გვ. 28.

[2] А. Ю. Якубовский. Феодальное общество Средней Азии и его торговля с Восточной Европой, გვ. 4—5, 27, 28; История Узбекской ССР, ტ. I, ნ. 1, გვ. 209 და შემდ. Главные вопросы изучения истории развития городов Средней Азии, გვ. 13—15.

[3] А. Ю. Якубовский. Вопросы периодизации истории Средней Азии в средние века, გვ. 37, 38—39; Главные вопросы изучения истории развития городов Средней Азии, გვ. 15.

[4] იქვე, გვ. 8.

[5] А. Ю. Якубовский. Вопросы периодизации истории Средней Азии, გვ. 39; ამავე სტატიაშია მოცემული შუა აზიის ქვეყნების ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაციის სქემა, რაც ზოგიერთი შენიშვნით ირანის მიმართაც შეიძლება გამოვიყენოთ.

წარმოადგენდა მოსახლეობის, საწარმოო იარაღების, კაპიტალის, მოთხოვნილებებისა და მათი დაკმაყოფილების საშუალებათა კონცენტრაციის ფაქტს“ [1].

აღნიშნული ტიპი ქალაქისა აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებს თვით XIX საუკუნემდე მოჰყვა. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ამ დროის განმავლობაში აღმოსავლური ქალაქები აღარ ვითარდებიან და ძველი ქალაქები წარმოადგენენ ნიმუშს ახალთა აგების დროს [2]. ასეთი შეხედულება უნებლიეთ ეხმაურება ბურჟუაზიულ მეცნიერთა „თეორიას“ აღმოსავლეთის ქვეყნებში განვითარების არარსებობის შესახებ. სინამდვილეში, აღმოსავლეთის ქალაქები, როგორც ეს მდიდარი ფაქტიური მასალის მოტანით სამარყანდის რეგისტანის მაგალითზე დაამტკიცა პროფ. მ. ე. მასონმა, შემდგომშიც ვითარდებოდნენ და მნიშვნელოვნადაც იცვლიდნენ გარეგნულ სახეს, მაგრამ ეს ხდებოდა ფეოდალური ქალაქის ფარგლებში და ტიპი ქალაქისა, რა თქმა უნდა, არ შეცვლილა [3].

ჯერ კიდევ აბასელთა სახალიფოში ჩამოყალიბდა სახელმწიფო მმართველობის ის სისტემა, რომელმაც სამანიანთა სახელმწიფოში ჰპოვა შემდგომი განვითარება. ეს სისტემა შედგებოდა ათი დივანისაგან, რომელთა შორის მთავარი იყო ვეზირის დივანი. იგი ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევდა სახელმწიფოს ადმინისტრაციულ, პოლიტიკურ და სამეურნეო დაწესებულებებს. ვეზირის დივანს ემორჩილებოდნენ ყველა დანარჩენი დივანები.

საქალაქო ცხოვრებაში ყველაზე დიდ როლს თამაშობდა მუჰთასიბის დივანი. მუჰთასიბის ინსტიტუტი ფართოდ იყო გავრცელებული მთელს მუსლიმანურ აღმოსავლეთში. მუჰთასიბი ყოველ ქალაქში ინიშნებოდა [4]. მის მოვალეობას შეადგენდა თვალყური ედევნებინა ბაზარში საზომ-საწონებისათვის. მასვე თვალი უნდა სჭეროდა, რომ ხელოსნებს მდარე ხარისხის ნაკეთობა არ დაემზადებინათ, მოვაჭრეებს კი თვითნებურად არ გაეზარდათ ფასები და სხვ. შემდგომში მასვე დაეკისრა ზედამხედველობა იმაზე, რომ მოქალაქენი არ დამთვრალიყვნენ, წესიერად ევლოთ მეჩეთში და სხვ.

საქალაქო ცხოვრების ამა თუ იმ მხარესთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული აგრეთვე მუსტოუფის დივანი, ყადის დივანი და მუშრიფის დივანი.

ყოველ ქალაქში საკმაო რაოდენობით იმყოფებოდნენ საფინანსო უწყების მოხელეები — მუსტოუფი, ამილები, დაბირები, მუთასარიფები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ გადასახადთა გაწერა-აკრეფის საქმეს, განაგებდნენ სახელმწიფო თანხებს და სხვ.

ყადიც აგრეთვე ყოველ ქალაქში ინიშნებოდა და შარიათის მიხედვით არჩევდა საქმეებს. ნიზამ ულ-მულქი აღნიშნავს, ყადიები მბრძანებლის მო-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. IV, გვ. 40.

[2] იხ. მაგ., Б. Н. Засыпкин. Архитектура Средней Азии, М., 1948, გვ. 15.

[3] М. Е. Массон. Самаркандский Регистан, Труды САГУ, XI, ნაწ. 3, გვ. 75 და შემდ.

[4] Низам ал-мульк. Сиасет-намэ, Перевод Б. Н. Заходера, გვ. 47.

ადგილეები არიანო[1]. მუსლიმანური სასულიერო პირები დიდი გავლენით სარგებლობდნენ აღმოსავლურ ფეოდალურ ქალაქში. ისინი განაგებდნენ მეჩეთებისა და წმიდა ადგილებისთვის შეწირულ ქონებას — ვაკფებს და მსხვილი მიწათმფლობელებიც იყვნენ.

მუშრიფის დივანი კონტროლს უწევდა სახელმწიფო ხაზინის შემოსავალ-გასავალს. აკად. ვ. ვ. ბარტოლდისა და პროფ. ა. ი. იაკუბოვსკის აზრით, მუშრიფების მეთვალყურეობა ძირითადად მბრძანებლის სასახლის კარის შენახვაზე დახარჯულ თანხებზე ხორციელდებოდა[2].

ნიზამ ულ-მულქის სიტყვით, მუშრიფი ყოველ ქალაქსა და ოლქში ინიშნებოდა. ყველას, ვისაც კი დიდ თანამდებობას აბარებენ, საიდუმლოდ უნდა მიეჩინოს მუშრიფი, ისე რომ თვითონ არაფერი იცოდეს; მუშრიფი ყოველთვის შეატყობინებს მბრძანებელს ამა თუ იმ მოხელის საქმიანობის შესახებო[3].

ცალკე ქალაქებისა და ოლქების გამგებლებად — ჰაქიმებად ცენტრალური ხელისუფლება ჩვეულებრივ გავლენიანი ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებს ნიშნავდა. ჰაქიმს ემორჩილებოდა ქალაქსა და მის ოლქში დანიშნული ყველა სხვა მოხელე. ეს მოხელეები ამავე დროს შესაბამის ცენტრალურ დივანსაც ექვემდებარებოდნენ.

ჰაქიმის შემდეგ პირველი პირი ქალაქში იყო რაისი — ქალაქის თავი. რაისი ქალაქის ადგილობრივი არისტოკრატიის წარმომადგენელთაგან, უფრო ხშირად უმაღლეს მუსლიმანურ სასულიერო პირთაგან ინიშნებოდა[4]. რაისის დანიშვნა ჰაქიმის კომპეტენციას შეადგენდა. აკად. ვ. ბარტოლდის აზრით, რაისი ქალაქის ინტერესების წარმომადგენელი იყო და მისი საშუალებით გადაეცემოდა მბრძანებლის ნება-სურვილი ქალაქის მცხოვრებთ[5]. მასვე ევალებოდა ქალაქის მორთვა საზეიმო დღეებში და ქუჩებში წესრიგის დაცვა[6].

აღმოსავლური ფეოდალური ქალაქისათვის XI — XII საუკუნეებში (და უფრო გვიანაც), ისევე, როგორც დასავლეთ ევროპის ფეოდალური ქალაქებისთვისაც, დამახასიათებელი იყო შრომის დანაწილების სისუსტე. „შრომის დანაწილება ფეოდალიზმის აყვავების ხანაში უმნიშვნელო იყო. ყოველ ქვეყანაში არსებობდა ქალაქისა და სოფლის დაპირისპირება;... მაგრამ... არ არსებობდა შრომის რამდენადმე მნიშვნელოვანი დანაწილება“[7].

აღმოსავლურ ფეოდალურ ქალაქში ხელოსნობა სუსტად იყო გამოყოფილი სოფლის მეურნეობიდან. ქალაქები ნახევრადაგრარული ხასიათის

---

[1] Низам ал-мульк. Сиасет-намэ, გვ. 46.

[2] В. В. Бартольд. Туркестан в эпоху монгольского нашествия, ნაწ. II, СПб, 1900, გვ. 240: История Узбекской ССР, ტ. I, წ. 1, გვ. 220.

[3] Низам ал-мульк. Сиасет-намэ, გვ. 33, 61.

[4] История Узбекской ССР, ტ. I, წ. 1, გვ. 221.

[5] В. В. Бартольд. დასახ. ნაშრ., გვ. 244.

[6] Б. Н. Заходер. Хорасан и образование государства сельджуков, გვ. 131.

[7] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. „გერმანული იდეოლოგიიდან“, გვ. 21—23.

მატარებელი იყო[1]. მოსახლეობას საჭირო სურსათ-სანოვაგის მნიშვნელოვანი ნაწილი თვითონ მოჰყავდა შიგ ქალაქში ან იქვე მის კედლებთან გაშენებულ ბაღებსა და ყანებში. „ქალაქის სავაჭრო-სახელოსნო უბნები უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო რაიონში გადადიოდა“[2].

ფ. ენგელსი შემდეგნაირად ახასიათებს შუა საუკუნეთა ქალაქის ხელოსანს: „ის თვითონ ჯერ კიდევ რამდენადმე გლეხია, მას აქვს არა მარტო ბოსტანი და ბაღი, არამედ ძალიან ხშირად მიწის ნაკერი, ჰყავს ერთი-ორი ძროხა, ღორები, შინაური ფრინველი და ა. შ.“[3].

ამასთან ერთად, სოფლის მოსახლეობაც ხელოსნობის ამა თუ იმ დარგს მისდევდა და თვითონვე ამზადებდა ოჯახში საჭირო ნაწარმის დიდ ნაწილს.

ვ. ი. ლენინი თავის ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ აღნიშნავს, რომ „თუმცა ხელოსნობა ქალაქის ყოფაცხოვრების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ ის მნიშვნელოვნად არის გავრცელებული სოფლადაც და გლეხური მეურნეობის დამატების დანიშნულებას ასრულებს. სოფლის მოსახლეობის განსაზღვრულ პროცენტს შეადგენენ ხელოსანი-სპეციალისტები, რომლებიც (ხან მხოლოდ და მხოლოდ, ხან კი მიწათმოქმედებასთან დაკავშირებით) ამუშავებენ ტყავს, კერავენ ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს, ასრულებენ სამეედლო სამუშაოს, ღებავენ შინაურ ქსოვილებს, ალამაზებენ გლეხურ მაუდს, ფქვავენ ხორბალს და სხვ.“[4].

ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ სოფლის ხელოსნები ხშირად ბაზარზე გასატანადაც ამზადებდნენ სახელოსნო ნაწარმს[5].

საყურადღებო ცნობებს იძლევა ამის შესახებ X საუკუნის ისტორიკოსი მოჰამედ ნერშახი. თავის „ბუხარის ისტორიაში“ („თარიხე ბუხარა“) ნერშახი მოგვითხრობს, რომ ბუხარის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ სოფელ ზენდანეში დიდი რაოდენობით მზადდებოდა მაღალხარისხოვანი ქსოვილი, რომელსაც სოფლის სახელის მიხედვით ზენდანიჩი (زندنیچی) ეწოდებოდა. ეს ქსოვილი გასასყიდათ გაჰქონდათ ერაყში, ფარსში, ქერმანში, ინდოეთში და სხვა ქვეყნებში[6]. დამახასიათებელია, რომ იგივე ქსოვილი სხვა სოფლებშიც და თვით ბუხარაშიც მზადდებოდა, მაგრამ იქაც მაინც ზენდანიჩის სახელით იყო ცნობილი[7]. ასევე გასასყიდად ამზადებდნენ თავიანთ ნაწარმს ბუხარის მახლობლად მდებარე სხვა სოფლების ხელოსნებიც[8].

---

[1] Б. Н. Заходер. Хорасан и образование государства сельджуков, გვ. 124.

[2] იქვე, გვ. 125; შდრ. ნ. ბერძენიშვილი. ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი). მიმომხილველი, 2, თბილისი, 1952; აგრეთვე, შ. მესხია. საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, იქვე, გვ. 102 — 103.

[3] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., ტ. XVI, ნაწ. 2, გვ. 499.

[4] ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. 3, გვ. 383.

[5] Б. Н. Заходер. დასახ. ნაშრ., გვ. 125.

[6] Nerchakhy Mohammed. Dèscription topographique et historique de Boukhara par Mohammed Nerchakhy, suivie de textes rélatifs à la Transoxiane, texte persan publié par Ch. Schefer, Paris, 1892, გვ. 13, 14.

[7] იქვე, გვ. 13, 18.

[8] იქვე, გვ. 11, 13, 14.

უკვე X—XI საუკუნეებში ირანის, ამიერკავკასიის და შუა აზიის ქალაქებში მაღალ განვითარებას მიაღწია სახელოსნო წარმოებამ. ბევრი ქალაქის ნაწარმი საკმაოდ შორს, სხვა ქვეყნებშიც იყო ცნობილი.

მოჰამედ ნერშახის ცნობით, ბუხარაში დამზადებული ხალიჩები, ფარდაკები და ძვირფასი ქსოვილები სირიაში, ეგვიპტესა და მცირე აზიაში გაჰქონდათ[1].

მერვის ტანსაცმელი და ქსოვილები, რომლებიც უმაღლესი ხარისხის „ბოლჰამისაგან" (ملحم) მზადდებოდა, მრავალ შორეულ ქვეყანაში გადიოდა გასასყიდად. მერვი ცნობილი იყო აგრეთვე მაღალხარისხოვანი ბამბითაც[2].

სამარყანდში მზადდებოდა საუკეთესო ხარისხის ქაღალდი, რომელიც ჩვრის ქაღალდის უძველეს ნიმუშს წარმოადგენს მთელს მსოფლიოში[3]. უკვე X საუკუნის დასასრულისათვის სამარყანდის ქაღალდმა მთლიანად შეცვალა მუსლიმანურ აღმოსავლეთში პაპირუსი და პერგამენტი[4]. აქედანვე გაჰქონდათ ვერცხლით ნაკერი ქსოვილები, ფარჩა, ტილოს და აბრეშუმის ქსოვილები და სხვ.

ფეოდალურ ქალაქში ბაზარი წარმოადგენდა არა მარტო ვაჭრობის, არამედ სახელოსნო წარმოების ცენტრსაც. აღმოსავლეთის ქვეყნების ბაზრები შედგებოდა რიგებისაგან (რასთე). ყოველ რიგში ერთი რომელიმე დარგის ვაჭრები და ხელოსნები საქმობდნენ.

წყაროებში განსაკუთრებით ვრცლად არის აღწერილი ხორასნის მთავარი ქალაქის ნიშაბურის ბაზრები, ქარვასლები, ვაჭრობა და ხელოსნობა. ამ მხრივ ნიშაბური გამონაკლისს არ უნდა შეადგენდეს და მოცემული მასალა შეიძლება გამოყენებულ იქნას ირანის სხვა ქალაქების დასახასიათებლადაც. მით უფრო თამამად შეიძლება ამის გაკეთება, რომ იბნ-ჰაუკალის სიტყვით, ნიშაბურის „ყოველი ქარვასლა სხვა რომელიმე ქალაქის ბაზარს წააგავს".

ნიშაბურის ბაზრები მოთავსებული იყო რაბადში. ბაზრებს შორის აგებული იყო ქარვასლები, რომლებშიც ბინავდებოდნენ ვაჭრები თავიანთი საქონლითურთ. არსებობდა ბაზართა სპეციალიზაციაც. იბნ-ჰაუკალი მოგვითხრობს, ყოველ ბაზარზე ის საქონელი გამოაქვთ გასაყიდად, რაც მას შეესაბამებაო[5]. ამას გარდა, მდიდარ ვაჭართათვის ქარვასლები ცალკე ყოფილა აგებული, წვრილი ვაჭრებისა და ხელოსნებისათვის კი ცალკე[6].

---

[1] ნერშახი. თარიხე ბუხარა, ციტ. გამოც., გვ. 18.

[2] МИТТ, ტ. I, Труды ИВ АН СССР, 1939, გვ. 174; Худуд ал-'алем. Рукопись Туманского. С введением и указателем В. Бартольда. Л., 1930, ფ. 20а.

[3] В. В. Бартольд. Туркестан в эпоху монгольского нашествия, ნაწ. II, გვ. 47.

[4] იქვე. იხ. აგრეთვე, Б. Н. Заходер. История восточного средневековья, გვ. 73.

[5] МИТТ, ტ. I, გვ. 182.

[6] იქვე.

ნიშაბური გაცხოველებული სახელოსნო წარმოების ქალაქი იყო. იგი განთქმული იყო კერამიკული და ლითონის ნაწარმით. განსაკუთრებით განვითარებული იყო აქ საფეიქრო წარმოება. სახალიფოს დასავლეთ ოლქებისაგან განსხვავებით, რომლებიც უპირატესად სელის ნაწარმს ამზადებდნენ, ნიშაბურში იქსოვებოდა ძირითადად ბამბის, აბრეშუმისა და შალის ქსოვილები[1].

ამას გარდა, აქ განვითარებული იყო სამთამადნო მრეწველობა. ნიშაბურისა და ტუსის მთებში მოიპოვება სპილენძი, რკინა, ვერცხლი, ფირუზი და სხვა ძვირფასი ლითონები[2]. აკად. ვ. ბარტოლდის სიტყვით, ნიშაბურის ფირუზის საბადოებმა უკანასკნელ დრომდე შეინარჩუნეს მნიშვნელობა და წარმოადგენდნენ ფირუზის ერთადერთ საბადოებს მსოფლიოში, რომლებიც მოგებას იძლეოდა[3].

ნიშაბური მდებარეობდა აღმოსავლეთიდან დასავლეთში და სამხრეთიდან ჩრდილოეთში მიმავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების გზაჯვარედინზე. ისთახრის სიტყვით, მისი საქონელი გადიოდა არა მარტო მუსლიმანურ ქვეყნებში, არამედ ზოგიერთ „მრავალღმერთიანობის“ ქვეყანაშიც[4]. მაკდისი აღნიშნავს, რომ ნიშაბური აღმოსავლეთისა და დასავლეთის ვაჭრობის ადგილია. აქ დამზადებული საქონელი ეგვიპტესა და ერაყში გადის. იგი წარმოადგენს ბაზარს ფარსის, სინდისა და ქერმანისათვის და, აგრეთვე, სასაწყობო ადგილია ხორეზმის, რეისა და ჯურჯანისათვის[5].

X საუკუნის ანონიმური გეოგრაფის ცნობით, აზერბაიჯანის, ფარსის, ქერმანის, ხუზისტანის და ირანის სხვა ოლქების ქალაქებში გაცხოველებული ვაჭრობა-ხელოსნობა წარმოებდა. სამხრეთ აზერბაიჯანში მზადდებოდა წითელი საღებავი, ხამი შალის, ბამბისა და სელის ტანსაცმელი და სხვ.[6] ფარსში სხვადასხვანაირი ტანსაცმელი, ძვირფასი ხალიჩები, ფარდაგები და სხვა საქონელი[7].

ქალაქ ისფაჰანის ვრცელი აღწერილობა დაგვიტოვა XI საუკუნის მოგზაურმა ნასერე ხოსროვმა თავის „საფარ-ნამე“-ში („მოგზაურობის წიგნი“)[8]. იგი აღნიშნავს, რომ არცერთ ქვეყანაში, სადაც სპარსულ ენაზე ლაპარაკობენ, არ არის ისეთი ლამაზი, დასახლებული და კეთილმოწყობილი ქალაქი, როგორიც ისფაჰანია[9]. ქალაქს შემოვლებული ჰქონდა გალავანი, რომლის სიგრძე, როგორც მოგზაურისთვის უთქვამთ, სამნახევარ ფარსანგს უდრიდა. იმ ქარავანს, რომელსაც ჩვენი ავტორი მოჰყვებოდა, 1300 ხარვარი სხვადა-

---

[1] Б. Н. Заходер. Хорасан и образование государства сельджуков, გვ. 124.

[2] ისთახრი, МИТТ, ტ. I, გვ. 172; იბნ-ჰაუკალი, იქვე, გვ. 183; მაკდისი, იქვე, გვ. 203; Худуд ал-'алем, ფ. 196.

[3] В. В. Бартольд. Историко-географический обзор Ирана, СПб, 1903, გვ. 66—67.

[4] МИТТ, ტ. I, გვ. 171.

[5] იქვე, გვ. 197.

[6] Худуд ал-'алем, ფ. 326.

[7] იქვე, ფ. 27а.

[8] سفر نامهٔ ناصر خسرو- در چاپخانه "کاویانی" در برلین بچاپ رسید ۱۳۴۰

[9] იქვე, გვ. 138.

სხვა საქონელი მოჰქონდა, მაგრამ ქალაქი იმდენად კეთილმოწყობილი ყოფილა, რომ ამოდენა ქარავნის მოსვლა სრულიად შეუმჩნეველი დარჩა — ყველა თავისუფლად მოთავსდა. მოგზაურის სიტყვით, ისფაჰანში ბევრი დიდი ბაზარი იყო. მაგალითად, ზარაფების ბაზარში ორასი ზარაფი საქმობდა. ზარაფების ასეთი რაოდენობა აშკარა მოწმობაა იმ ხანის აღმოსავლურ ქალაქში ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა დიდი განვითარებისა. ამას გარდა, ისფაჰანში ბევრი კეთილმოწყობილი ქარვასლა იყო აგებული. მარტო ერთ ქუჩაზე, რომელსაც მჭარგავთა ქუჩა ეწოდებოდა, ორმოცდაათი ქარვასლა ყოფილა, რომლებშიც მრავალი ხელოსანი და ვაჭარი ცხოვრობდა და საქმობდა[1].

საყურადღებო ცნობები მოეპოვება ნასერე ხოსროვს ირანის სხვა ქალაქების შესახებაც. მისი სიტყვით, ნიშაბურში სარაჯებს ცალკე ბაზარი ჰქონიათ[2]. ყაზვინი ლამაზი ქალაქია და კარგი ბაზრები აქვს; ხელოსანთაგან ამ ქალაქში ყველაზე მეტი ფეხსაცმლის მკერავი იყოო, — მოგვითხრობს მოგზაური[3].

ამავე ავტორისთვის ქალაქ თუნში, რომელიც იმ დროს მეტწილად დანგრეული იყო, უამბნიათ, რომ ქალაქში ოთხასი სახელოსნო იყო, სადაც ხალიჩები იქსოვებოდაო[4].

საინტერესო ცნობებია დაცული ხელოსანთა შესახებ ცნობილი სუფიური შეიხის აბუ სა'იდ მეიჰენელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერილობაში, რომელიც მისი შთამომავლების მიერ არის შედგენილი[5].

აბუ სა'იდი XI საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა და უმთავრესად ხორასნის ქალაქების ხელოსანთა შორის ჰქადაგებდა სუფიურ იდეებს. მისი ცხოვრების აღწერილობაში ხშირად არიან დასახელებული სხვადასხვა ქალაქების ცნობილი ხელოსნები, რომლებიც იმავე დროს გამოჩენილი სუფიური მოღვაწეებიც იყვნენ. მაგალითად, ზემოთ დასახელებულ თხზულებებში შემდეგი სპეციალობის ხელოსნები არიან გამოყვანილი მოქმედ პირებად: მჭედელი (حدّاد)[6], ყასაბი (قصاب)[7], დურგალი (نجار)[8], სარაჯი (سرّاج)[9], ბამბის მპენტავი (حلّاج)[10], მესაპნე

---

[1] سفر نامهٔ ناصر خسرو გვ. 138.

[2] იქვე, გვ. 4.

[3] იქვე, გვ. 6.

[4] იქვე, გვ. 140.

[5] В. А. Жуковский. Жизнь и речи старца Абу-Са'ида Мейхенейского, СПб, 1899; Тайны единения с богом в подвигах старца Абу-Са'ида. СПб, 1899 (სპარსული ტექსტი).

[6] Тайны единения, გვ. 295.

[7] იქვე, გვ. 42, 52—54, 59, 60; Жизнь и речи, გვ. 12, 13, 14 41.

[8] Тайны единения, გვ. 44; Жизнь и речи, გვ. 12, 60, 64.

[9] Тайны единения, გვ. 46, 59; Жизнь и речи, გვ. 9.

[10] Тайны единения, გვ. 91; Жизнь и речи, გვ. 5.

(صابونی)[1], ხელის ქსოვილების მქსოველი (کتانی)[2], კლიტეების მკეთებელი (قفال)[3], ფეიქარი (نساج)[4], ქაღალდის მკეთებელი (ورقی)[5], მეღუმელე (تونی)[6], მეშეშე (خشاب)[7], მღებავი (صباغ)[8], იუველირი (جوهری)[9], დანების მკეთებელი (کارد)[10], ნელსაცხებელთა გამყიდველი (عطار)[11], ბრინჯის მცეხველი (دقاق)[12], აბჯრის მკეთებელი (زرّاز)[13] და სხვ.

საყურადღებო ცნობებს იძლევა ირანის ქალაქების შესახებ სპარსული გეოგრაფიული თხზულება „აჯაიბ ად-დუნია“ („სამყაროს საკვირველებანი“), რომელიც უცნობი ავტორის მიერ არის შედგენილი XIII საუკუნის 20-იან წლებში[14]. ამ ნაწარმოების ავტორი წინარე ხანის გეოგრაფიული თხზულებებით სარგებლობდა, მაგრამ, ამავე დროს, საკუთარი დაკვირვებებითაც ავსებდა იქიდან ამოღებულ ცნობებს. ამდენად, ამ თხზულებას პირველხარისხოვანი წყაროს მნიშვნელობა აქვს.

„აჯაიბ ად-დუნიას“ ავტორი მოგვითხრობს, რომ ისფაჰანი ლამაზი ქალაქია, კარგი ჰავა და სასარგებლო წყალი აქვს. მოსახლეობას, ხელოსნები და დიდებულნი შეადგენენ. ამბობენ, ისფაჰანში ყველა დარგის ხელოსანთა თორმეტი ათასი დუქანი და ორმოცი მინარეთი იყოო. ისფაჰანში მზადდებოდა სხვადასხვა სახის ქსოვილები, ოქროსვარაყიანი ძვირფასი ქაღალდი, ჟურჟლეული, კარგად ნაკერი კარვები და სხვ.[15].

იმავე ავტორის ცნობით, რეი დიდი ქალაქი იყო. იქ მზადდებოდა მუარის ქსოვილი (عتابی), ქვის ქვაბები და ხის ნაკეთობანი — ტაბაკები, გობები, ზარდახშები, ბზის სავარცხლები[16].

ასევე აღმავლობას განიცდიდა საქალაქო ცხოვრება ამიერკავკასიის ქვეყნებშიც.

---

[1] Тайны единения, გვ. 156, 166, 167, 194, 257.
[2] იქვე, გვ. 326, 333.
[3] იქვე, გვ. 22, 117; Жизнь и речи, გვ. 9, 43.
[4] Жизнь и речи, გვ. 74, 75, 77.
[5] Тайны единения, გვ. 147, 418; Жизнь и речи, გვ. 59.
[6] Тайны единения, გვ. 119, 120.
[7] იქვე, გვ. 114; Жизнь и речи, გვ. 16, 47, 56.
[8] Жизнь и речи, გვ. 47.
[9] იქვე, გვ. 16.
[10] Тайны единения, გვ. 232, 244, 245.
[11] იქვე, გვ. 349.
[12] იქვე, გვ. 204.
[13] იქვე.
[14] სსრკ მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი, A — 253. (ხელნაწერის შესახებ დაწვრ. იხ. Н. Д. Миклухо-Маклай. Географическое сочинение XIII в. на персидском языке. Ученые записки ЛГУ АН, IX, 1951).
[15] ციტ. ხელნაწერი, ფ. 188б — 189а.
[16] იქვე, ფ. 205б.

თურქ-სელჩუკიანთა შემოსევებმა დიდი ზიანი მიაყენა ამიერკავკასიის ქალაქებს და შეაფერხა მათი განვითარება. მაგრამ საზოგადოებრივი განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომი დამპყრობლები მალე მოექცნენ უფრო კულტურული დაპყრობილი ხალხების გავლენის ქვეშ. ამასთან დაკავშირებით, უკვე XII საუკუნის მეორე მეოთხედიდან იწყება ამიერკავკასიის ქვეყნების ქალაქების ახალი აღმავლობა.

სომხეთში ვაჭრობისა და სახელოსნო წარმოების ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრები იყო ქალაქები— ანისი და დვინი. XIII საუკუნის დასაწყისის ერთი ხელნაწერის ცნობით, ანისში ხელოსნობის 38 დარგი ყოფილა განვითარებული[1]. განსაკუთრებით მაღალ საფეხურზე იდგა სამხედრო საჭურვლის, ლითონის ნაწარმის და ტყავის წარმოება, მეჭურჭლეობა, საფიქრო საქმე და სხვ. XIII საუკუნის დასაწყისიდან კვლავ ფართოვდება სომხეთის ქალაქების მონაწილეობა საერთაშორისო ვაჭრობაში[2]. გეოგრაფიულ თხზულება „აჯაიბ ად-დუნიაში“ ქალაქ ხლათის აღწერისას ნათქვამია, რომ ქალაქში ბევრი ბაზრებია და აქ მთელი მსოფლიოს საქონელი გვხვდება, მათ შორის სირიისა და მცირე აზიის საუკეთესო საქონელიო[3].

განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ხელოსნობამ საქართველოშიც, სადაც შუა საუკუნეებში ცნობილი ხელოსნობის ყველა დარგი იყო წარმოდგენილი. ხელოსნობის განვითარებას თან სდევდა საგარეო და საშინაო ვაჭრობის აღმავლობა. ვაჭრობისათვის ხელის შესაწყობად გაჰყავდათ გზები, შენდებოდა ხიდები, ქარვასლები და სასტუმროები.

თამარ მეფის დროს თბილისს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ისეთ მახლობელ და შორეულ ქვეყნებთან, როგორიც იყო ეგვიპტე, არაბთა სახალიფო, ირანი, მცირე აზია, სომხეთი, ჩრდილოეთ კავკასია და რუსეთი[4]. საქართველოდან სხვა ქვეყნებში გაჰქონდათ გასასყიდად ბამბა, მატყლი, აბრეშუმი, ტანსაცმელი, ხალიჩები და სხვ.

XIII საუკუნის დასაწყისში თბილისიდან გადიოდა უნაგირები, სხვადასხვა სახის სამხედრო საჭურველი, ბეწვეული, მინისა და ბროლის ნაკეთობანი[5].

აზერბაიჯანის ქალაქები — შამქორი, განჯა, ბელაქანი, შემახა, ნახჭევანი, მნიშვნელოვან სავაჭრო და სახელოსნო ცენტრებს წარმოადგენდნენ.

---

[1] С. Еремян. Опыт периодизации истории Армении эпохи феодализма. Вопросы истории, 1951, № 7, გვ. 65.

[2] Я. А. Манандян. О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, Ереван, 1954, გვ. 276—277.

[3] „აჯაიბ ად-დუნია“, ციტ. ხელნაწერი, ფ. 191 ბ.

[4] პ. გუგუშვილი. ამქრული ხელოსნობის დაშლა ამიერკავკასიაში. საქ. სსრ მეცნ. აკად. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1953, გვ. 350; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორია XIII — XIV სს., თსუ შრომები, VI, 1937, გვ. 268.

[5] „აჯაიბ ად-დუნია“, ციტ. ხელნაწერი, ფ. 199 ა.

შირვანის აბრეშუმი XII საუკუნეში იტალიაშიც კი იყო ცნობილი[1]. აზერბაიჯანიდან გაჰქონდათ, აგრეთვე, ძვირფასი საღებავები, რკინისა და სპილენძის მადანი, აბრეშუმი, იარაღი და სხვ. ქალაქი ბაქო უკვე X საუკუნიდან ამარაგებდა ნავთით მთელს ირანსა და ერაყს.

განჯა განთქმული იყო ატლასითა და დიბა-აბრეშუმით. აქედანვე გაჰქონდათ ბამბა და ყაჟი[2]. ნახჩევანში, რომელიც XIII საუკუნის დასაწყისისათვის განსაკუთრებით გაიზარდა და გაშენდა, მზადდებოდა სხვადასხვანაირი ძვირფასი ქსოვილები და მოხატული ხის ჭურჭელი, რომელიც ბევრ ქვეყანაში გადიოდა გასასყიდად[3].

სამხრეთ აზერბაიჯანშიც ასევე მაღალ განვითარებას მიაღწია სოფლის მეურნეობამ და საქალაქო ცხოვრებამ. ქალაქი თავრიზი სახელოსნო წარმოებისა და ვაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. აქ დამზადებულ დიბა-აბრეშუმს, ფარჩას, შალეულს და ხალიჩებს მთელს მსოფლიოში ჰქონდა სახელი მოხვეჭილი.

ქალაქ არდებილში მზადდებოდა ძვირფასი ქსოვილები და ხის ნაკეთობანი. ხოი ცნობილი იყო აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილებით და სპილენძის ჭურჭლით[4].

ამგვარად, როგორც ვნახეთ, მონღოლთა შემოსევების წინარე ხანა წარმოადგენდა ირანისა და მეზობელი ქვეყნების ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების აღმავლობის ხანას. ფეოდალური საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარება, ხელოსნობისა და ვაჭრობის გაცხოველება აპირობებდა დასახელებული ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ აღმავლობას.

ფეოდალურ ქალაქში ხელოსნობა ფეოდალური საზოგადოების ინტერესებს ემსახურებოდა და მისი ორგანიზაციაც ამის შესაბამისი იყო.

ხელოსანთა დიდი ნაწილი საერო ან სასულიერო ფეოდალებზე იყო დამოკიდებული და სასტიკ ექსპლოატაციას განიცდიდა. „ევროპისაგან განსხვავებით აღმოსავლეთის ქალაქების ვაჭრულ-ხელოსნურმა მოსახლეობამ ვერა და ვერ შეძლო მიწისმფლობელ ფეოდალთა ყოვლისმომცველი მეურვეობიდან თავის დაღწევა"[5]. ასეთი დამოკიდებული ხელოსნები თავიანთი ბატონებისთვის ამზადებდნენ ნაწარმს. სახელოსნო ნაწარმი ეკუთვნოდა არა მწარმოებელს, არამედ ამა თუ იმ ქალაქის მფლობელს. ფეოდალი კონტროლს უწევდა ხელოსნის მიერ დამზადებულ მთელ ნაკეთობას, მწარმოებელი კი გარკვეულ გასამრჯელოს ღებულობდა მისგან.

---

[1] И. П. Петрушевский. Из героической борьбы азербайджанского народа в XIII — XIV веках, Баку, 1941, გვ. 9.

[2] „აჯაიბ ად-დუნია", ციტ. ხელნაწერი, ფ. 221 ა.

[3] იქვე, ფ. 226 ბ.

[4] იქვე, ფ. 190 ბ.

[5] Б. Н. Заходер. История восточного средневековья, გვ. 106.

ამგვარად, აღმოსავლურ ქალაქში ხელოსნების დიდი ნაწილი ქალაქის ფეოდალურ არისტოკრატიაზე იყო დამოკიდებული. მაგრამ უკვე XI საუკუნიდან ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებასთან ერთად ხელოსანთა ნაწილი თანდათან თავისუფლდება ფეოდალური დამოკიდებულებისაგან. ნერშახი მოგვითხრობს, რომ ბუხარის მახლობლად მდებარე სოფელ ესქეჯქათის მცხოვრებნი ფეიქრობას მისდევდნენ და ყოველწლიურად 10 ათას დირჰემს[1] უხდიდნენ სოფლის მეპატრონე დეჰყანს. ბოლოს ესქეჯქათელებმა გადაწყვიტეს თავი გამოესყიდათ ამ გადასახადისაგან და ერთდროულად 170 ათასი დირჰემი გადაუხადეს დეჰყანს[2]. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი პროცესი უფრო ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა დიდ სავაჭრო-სახელოსნო ქალაქებში, სადაც თანდათან იზრდებოდა თავისუფალ ხელოსანთა რაოდენობა.

XI — XII საუკუნეებში ირანში, შუა აზიაში, მცირე აზიაში, ამიერკავკასიაში და სხვაგან ხელოსნები თავიანთ პროფესიულ გაერთიანებებს ქმნიან. უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლურ ქალაქში ფეოდალური არისტოკრატიის განუყოფელი ბატონობა და საქალაქო თვითმმართველობის არარსებობა ხელს უშლიდა ხელოსანთა ამქრების განვითარებას, მაგრამ ნაინც ეს ორგანიზაციები გარკვეულ როლს თამაშობდნენ ქვეყნების ეკონომიურ ცხოვრებაში.

ნიზამ ულ-მულქი მოგვითხრობს, რომ, როცა ერთხელ ღაზნაში ხაბაზებმა თავიანთი დუქნები დაკეტეს, ქალაქში პური სრულიად გაქრა. გაპირვებაში ჩაცვენილმა მოსახლეობამ სულთან იბრაჰიმთან[3] იჩივლა. ამ უკანასკნელმა დაიბარა ხაბაზები და დუქნების დაკეტვის მიზეზი იკითხა. მეპურეებმა უპასუხეს, ყოველთვის, როცა ქალაქში ხორბალი და ფქვილი შემოაქვთ, სასახლის ხაბაზები ყიდულობენ და ბეღლებში ინახავენო. როგორც ჩანს, ქალაქის მეპურეებს შემდეგ მათგან უფრო მაღალ ფასებში უხდებოდათ ფქვილის შეძენა, რაც, ცხადია, არ იქნებოდა ხელსაყრელი. იბრაჰიმმა სასახლის მთავარი ხაბაზი სიკვდილით დაასჯევინა, ბეღელში დაგროვილი ფქვილი კი მეპურეებს დაურიგა[4].

XIII საუკუნის პირველი ნახევრის ავტორის, მოჰამედ აუფის ცნობით, სულთან თამღაჩ-ხანის დროს სამარყანდში ქალაქის ყასბების ამქარმა (جماعتی قصابان) სულთანს მოახსენა, ცხვრებს ვყიდულობთ, ვკლავთ და ხორცს ვყიდით, მაგრამ დიდი მოგება არა გვრჩებაო. ყასბებმა სთხოვეს თამღაჩ-ხანს, ნება დაერთო ხორცის გაძვირებისა და, სამაგიეროდ, ხაზინაში ათასი დინარის შეტანას შეპირდნენ. თამღაჩ-ხანმა მეხორცეებს ფული შეატანინა ხაზინაში და ნება დართო, როგორც სურდათ იმ ფასად გაეყიდათ ხორცი. მაგრამ ამავე დროს მან ბრძანა, რომელი მოქალაქეც ყასბისაგან

---

[1] დირჰემი იმ ხანაში დაახლოებით 25 კაპიკს უდრიდა ოქროთი. იხ. А. Ю. Якубовский. Феодальное общество Средней Азии и его торговля с Восточной Европой, გვ. 7.

[2] ნერშახი. თარიხე ბუხარა. ციტ. გამოც., გვ. 11—12.

[3] სულთან იბრაჰიმი (1069—1099) მაჰმუდ ღაზნელის ძის, მას'უდის შვილი იყო.

[4] Низам ал-мульк. Сиасет-нама, გვ. 48.

ხორცს იყიდის, სიკვდილით დაისჯებაო. მართლაც, ყასბების ხორცს აღარავინ იღებდა, ხუთი-ექვსი კაცი ერთად ყიდულობდა ცხვარს, კლავდნენ და ხორცს ინაწილებდნენ. ქალაქის ყასბებმა მოგების ნაცვლად ზარალი ნახეს და იძულებული შეიქნენ ისევ ძველ ფასში გაეყიდათ ხორცი[1].

ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ხელოსანთა ორგანიზებულ გამოსვლებთან, როდესაც ისინი თავიანთი ამქრის მონოპოლიური მდგომარეობის გამოყენებით ცდილობენ მიაღწიონ ამა თუ იმ უფლებას. თუმცა კი, როგორც უკვე ითქვა, ფეოდალთა ბატონობა ყოველთვის არ აძლევს მათ ამის საშუალებას.

* * *

დიდი სელჩუკების დინასტიის გადაშენების შემდეგ (1157 წ.) შუა აზიაში გაძლიერდა ხორეზმის ფეოდალური სამეფო, რომელიც XI საუკუნეში და XII საუკუნის პირველ ნახევარში სელჩუკიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. ხორეზმის დაწინაურებას ხელი შეუწყო აგრეთვე ყარახანიანთა სახელმწიფოს დაქვეითებამ მავერანნაჰრში[2]. მაგრამ მარტო ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარებით არ აიხსნება ხორეზმის გაძლიერება. ამ შემთხვევაში არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო შუა აზიის ბუნებრივი სიმდიდრე და მრავალსაუკუნოვანი კულტურა, რაც მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა სახელმწიფოს ეკონომიური დაწინაურებისათვის. XI—XII საუკუნეებში, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარება აპირობებდა სახელმწიფოს პოლიტიკურ ძლიერებას[3].

ხორეზმის ვრცელი და ძლიერი სახელმწიფოს შექმნა დაკავშირებულია ხორეზმშაჰ თექეშის სახელთან (1172—1200). მას ბევრი ბრძოლის გადატანა მოუხდა როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. ამ ბრძოლების შედეგად ხორეზმშაჰმა ირანის დიდი ნაწილი დაიპყრო და უშუალოდ დაუმეზობლდა აბასელთა სახალიფოს.

სახელმწიფოს ტერიტორია კიდევ უფრო გაფართოვდა მოჰამედ ხორეზმშაჰის მეფობაში (1200—1220). ამიერიდან ხორეზმის სახელმწიფოში შევიდა შუა აზია მდ. სირ-დარიამდე, თითქმის მთელი ირანი და ავღანეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი.

---

[1] جامع الحكايات و لامع الروايات تاليف محمد عوفى —ნაწყვეტი მოტანილი აქვს ვ. ბარტოლდს. В. Бартольд. Туркестан в эпоху монгольского нашествия, ნაწ. I, тексты, გვ. 84—86.

[2] ყარახანიანთა სახელმწიფო, რომელსაც თურქული წარმოშობის დინასტია ედგა სათავეში, წარმოიქმნა დაახლოებით X საუკ. მეორე ნახევარში და მოიცავდა დიდ ტერიტორიას ქაშღარიდან ესფეჯაბამდე. X საუკ. დასასრულს ყარახანიანებმა დაიპყრეს მავერანნაჰრი და დაჩქარეს სამანიანთა სახელმწიფოს გადაშენება. ყარახანიანების ძლიერებას ბოლო მოუღო ყარახითაების შემოსევებმა შუა აზიაში XII საუკუნეში. დაწვრ. იხ. А. Ю. Якубовский—Мавераннахр при караханидах в XI — XII вв., წიგნში —История Узбекской ССР, ტ. I, წ. 1, გვ. 238 და შემდ.

[3] შდრ. С. П. Толстов. По следам древнехорезмийской цивилизации, М.—Л., 1948, გვ. 317—322.

XII საუკუნეში და XIII საუკუნის დასაწყისში ხორეზმში, ისევე როგორც შუა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიც, ადგილი ჰქონდა ეკონომიურ და კულტურულ აღმავლობას. ვითარდებოდა სახელოსნო წარმოება და ვაჭრობა, იზრდებოდა ქალაქები.

ხორეზმშაჰს მთელს მუსლიმანურ აღმოსავლეთში უძლიერესი ჯარი ჰყავდა, მაგრამ მისი სამხედრო ძალის ბირთვს შეადგენდა დაქირავებული ლაშქარი, რომელიც ყივჩაღებისა და, ნაწილობრივ, თურქმანებისაგან შედგებოდა. მოჰამედი არ ენდობოდა და მტრულად ეკიდებოდა ყივჩაღებს. სხვა დასაყრდენი კი მას სახელმწიფოში არ გააჩნდა. სასახლის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა ხორეზმშაჰ მოჰამედის დედა თურქანხათუნი, ყივჩაღი ქალი, რომელიც სამხედრო-არისტოკრატიულ პარტიას მეთაურობდა და ხშირად უშუალოდ მონაწილეობდა ხორეზმშაჰის წინააღმდეგ გამართულ ინტრიგებში. ამას გარდა, საკმაოდ ძლიერი იყო წინააღმდეგობა ცენტრალურ ხელისუფლებასა და აღზევებულ ფეოდალებს შორის. ეს უკანასკნელნი ვერ ურიგდებოდნენ ხორეზმშაჰის პოლიტიკას, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციისა და ფეოდალთა თვითნებობის ალაგმვისაკენ იყო მიმართული.

ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ თუ საკუთრივ ხორეზმში ქვეყნის ეკონომიური აღმავლობისა და დაპყრობითი ომების შედეგად მიღებული დავლის წყალობით მოსახლეობა შედარებით კარგ პირობებში იმყოფებოდა, სახელმწიფოს განაპირა ოლქებში ხალხთა მასების მდგომარეობა აუტანელი იყო. ამ ოლქების გლეხებისა და ხელოსანთა უწყალო ფეოდალურ ექსპლოატაციას ზედ ერთვოდა მოსახლეობის ძარცვა და რბევა სამხედრო ლაშქრობების დროს. ეს კი იწვევდა კლასობრივი ბრძოლის კიდევ უფრო მეტად გამწვავებას. ამის აშკარა მოწმობას წარმოადგენს ხელოსანთა აჯანყება ბუხარაში 1207 წელს ფარების მკეთებლის[1] ვაჟის სანჯარის მეთაურობით[2] და სამარყანდის მოსახლეობის აჯანყება 1212 წელს, რაც ყივჩაღთა დაქირავებული ლაშქრის თვითნებობით იყო გამოწვეული[3]. ორივე აჯანყება ცეცხლითა და მახვილით ჩააქრო ხორეზმშაჰმა. ისტორიკოს ჯუვეინის სიტყვით, „ფარების მკეთებლის შვილმა თავისი ნამოქმედარის საზღაური მიიღო“[4].

სოციალური ბრძოლის გამწვავებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე ისფაჰანსა და რეიშიც. ამ ქალაქებში სოციალურმა მოძრაობამ ისლამის სხვადასხვა მიმდინარეობათა შორის რელიგიური ბრძოლის გამოხატულება მიიღო. ეს

---

[1] ტექსტშია — پسر مجان فروشی — „ფარების გამყიდველის ვაჟი“, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ შუა საუკუნეებში „ხელოსნები იმავე დროს ვაჭრებიც იყვნენ“. (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. „გერმანული იდეოლოგიიდან“, გვ. 61).

[2] کتاب تاریخ جهانگشای تالیف علا الدین عطا ملك الجوینی — بسعی سید جلال الدین طهرانی جلد اول طهران. — გვ. 48 (ქვემოთ, ჯუვეინი, ტ. I).

[3] ჯუვეინი, წიგნში—В. В. Бартольд. Туркестан в эпоху монгольского нашествия, ნაწ. I. ტექსტები, გვ. 114 — 115.

[4] ჯუვეინი, ტ. I, გვ. 48.

რელიგიური მიმდინარეობანი სინამდვილეში სავსებით გარკვეული სოციალური ფენების ინტერესთა გამომხატველად გვევლინებიან. შაფიიტები ფეოდალებსა და ქალაქის მოსახლეობის ზედა ფენებს აერთიანებდნენ, ჰანიფიტები ხელოსნებს, შიიტები კი—გლეხობას[1].

ხორეზმის სახელმწიფოს არსებობის პერიოდში აღმოსავლეთის ქვეყნებში განსაკუთრებით გაფართოვდა საქარავნო ვაჭრობა. ამ ხანაში ვაჭრობა წარმოებს არა მარტო შორეულ ქვეყნებთან — აღმოსავლეთ ევროპასთან, მონღოლეთსა და ჩინეთთან, არამედ უფრო ნოკლე მანძილზეც. საქონელ-ბრუნვაში კი გვხვდება ისეთი საგნები, როგორიცაა ხორბალი, ბრინჯი, ბამბა, ყაჩი, ტყავეული, ბამბის ქსოვილები, მატყლი, სპილენძისა და რკინის მადანი[2]. მნიშვნელოვნად გაიზარდა სავაჭრო ქარავნების რაოდენობა და მათი შემადგენლობაც. ხშირი იყო ისეთი ქარავნები, რომლებიც რამდენიმე ასეული ერთეულისგან შედგებოდა.

აღმოსავლეთის ქვეყნებში საქარავნო-სატრანზიტო ვაჭრობა მთლიანად მსხვილი სავაჭრო კომპანიების ხელში იყო. კ. მარქსმა „ქრონოლოგიურ ამონაწერებში“ აღნიშნა „ძალზე გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ხორეზმის მცხოვრებთა და აღმოსავლეთს შორის“[3]. კერძოდ, XI — XII საუკუნეებში ხორეზმელები, ისევე როგორც სხვა მუსლიმანი ვაჭრები, გაცხოველებულ აღებ-მიცემობას აწარმოებდნენ ჩინეთთან და მონღოლეთთან. მუსლიმანი ვაჭრები მრავლად ჩადიოდნენ ჩინეთში და მათი ნაწილი სამუდამოდ რჩებოდა იქ. ასევე ხშირად დაიარებოდნენ მუსლიმან ვაჭართა ქარავნები მონღოლეთშიც. ამას გარდა, მთლიანად მათ ხელში იყო ვაჭრობა ჩინეთსა და მონღოლეთს შორის[4].

ასეთი გაცხოველებული შინაური და, განსაკუთრებით, საგარეო სატრანზიტო ვაჭრობის წარმოების შედეგად მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, აგრეთვე, მავერანნაჰრსა და ამიერკავკასიაში დიდად გაიზარდა ვაჭრული კაპიტალი[5]. ცალკეული მსხვილი ვაჭრების ხელში უზარმაზარმა თანხებმა მოიყარა თავი. მაგრამ ყველაფერი ეს, მიუხედავად სოფლის მეურნეობის, ხელოსნობისა და საქალაქო ცხოვრების აღმავლობისა, ცხადია, ჯერ კიდევ ვერ ქმნიდა საჭირო პირობებს წარმოების წესის შესაცვლელად. დაგროვილი კაპიტალი არ გამოიყენებოდა წარმოების გასაფართოებლად და მხოლოდ და მხოლოდ ვაჭრობაში იყო დაბანდებული, რამდენადაც „ვაჭ-

---

[1] А. Ю. Якубовский. Феодальное общество Средней Азии и его торговля с Восточной Европой, გვ. 84.

[2] იქვე, გვ. 9.

[3] Архив Маркса и Энгельса, ტ. V, გვ. 220.

[4] В. В. Бартольд. История изучения Востока в Европе и России, Л., 1925, გვ. 60.

[5] „...რაც უფრო განუვითარებელია წარმოება, მით უფრო თავს იყრის ფულადი ქონება ვაჭრების ხელში...“ კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 1, გვ. 284.

რული კაპიტალი სხვა არა არის რა თუ არ მიმოქცევის სფეროში მომქმედი კაპიტალი“ [1].

კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ ვაჭრული კაპიტალის „განვითარება თავისთავად აღებული, საკმარისი არაა იმისათვის, რომ ერთი წარმოების წესის მეორეში გადასვლა გამოიწვიოს და აგვიხსნას“ [2].

ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ „თავისთავად არც სავაჭრო კაპიტალი და არც სავახშო კაპიტალი ჯერ კიდევ არ წარმოადგენენ საკმარის პირობას სამრეწველო კაპიტალის (ე. ი. კაპიტალისტური წარმოების) გასაჩენად“ [3].

შუა საუკუნეთა აღმოსავლეთში არ არსებობდა ე. წ. თავისუფალი ქალაქები. აღმოსავლური ქალაქი ფეოდალური არისტოკრატიის ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა და ამ არისტოკრატიის წარმომადგენელთა ნებასურვილსა და თვითნებობაზე იყო მთლიანად დამოკიდებული. ეს დიდად აფერხებდა ქალაქების განვითარებას. ქალაქებში მცხოვრებ ხელოსანთა დიდი ნაწილი ფეოდალთა კლასის ცალკეულ წარმომადგენლებზე იყო დამოკიდებული და მათი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამზადებდა თავის ნაკეთობას. ფეოდალური არისტოკრატიის ბატონობა ხელს უშლიდა საწარმოო ძალთა ზრდას აღმოსავლურ ქალაქში, რის გამოც აქ არ წარმოიშობოდა ისეთი ახალი საზოგადოებრივი ძალა, რომელიც შესძლებდა ფეოდალთა ბატონობას დაპირისპირებოდა. ამიტომ აღმოსავლურ ქალაქში ვერ განვითარდა საერთო საქალაქო თვითმმართველობა, ვერ წარმოიშვა ე. წ. ქალაქი-რესპუბლიკა. აღმოსავლურ ქალაქში როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად გაბატონებული იყო ფეოდალთა კლასის ზედაფენა—ფეოდალური არისტოკრატია.

მაგრამ ამ ქვეყნების საერთო ეკონომიური აღმავლობა აღებულ ხანაში საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მონღოლთა შემოსევები რომ არა, მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია სხვაგვარად წარიმართებოდა და მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში ეს ქვეყნები მომავალში უთუოდ დაადგებოდნენ განვითარების ახალ გზას.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 1, გვ. 240.

[2] ი ბ ი ვ ე, გვ. 284.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი, ტ. 3, გვ. 199 — 200.

## IV. მონღოლთა ბატონობის ხანა

### 1. მახლობელი აღმოსავლეთი მონღოლთა შემოსევების პერიოდში

მონღოლთა ბატონობის ხანამ სულ ერთიანად შეცვალა ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება მახლობელ აღმოსავლეთში.

მონღოლებმა დაიპყრეს შუა აზია, ირანი, ამიერკავკასიის ქვეყნები, მცირე აზიის აღმოსავლეთი ნაწილი და მიადგნენ სირია-ეგვიპტის საზღვრებს. მათ გაანადგურეს ხორეზმის სახელმწიფო შუა აზიაში, დაამბეს აბასელთა სახალიფო ერაყში, ბოლო მოუღეს რუმის სასულთნოს მცირე აზიაში. მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა არსებითად შეიცვალა.

მონღოლთა ბატონობის ხანა წარმოადგენს წყალგამყოფ საუკუნეს მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაში. მონღოლთა ბატონობის ხანაში მნიშვნელოვნად შესუსტდა წინარე ხანის მუსლიმანურ-არაბული და მუსლიმანურ-ირანული კულტურული ტრადიციების გავლენა.

ბაღდადის დამხობამ შეარყია რწმენა ისლამის სარწმუნოებისადმი და ამ სარწმუნოების ენის—არაბულის მიმართ. განმტკიცდა მონღოლური ტრადიციები, წეს-ჩვეულებები და წარმოდგენები.

ცნობილია, რომ მონღოლთა ლაშქრის უმეტესობას თურქები შეადგენდნენ. ამიტომ მონღოლთა შემოსევების ერთი მნიშვნელოვანი შედეგთაგანი იყო თურქული ელემენტის გაზრდა-გაძლიერება მახლობელ აღმოსავლეთში. ამიერიდან ფართოდ ვრცელდება მონღოლურ-თურქული წარმოშობის სამოხელეო და საგადასახადო ტერმინები, რაც თანაბრად დამახასიათებელი ხდება როგორც მახლობელი აღმოსავლეთის, ისე ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის.

უდიდესი ზიანი მიაყენეს მონღოლებმა ამიერკავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ფეოდალურ მეურნეობას და ეკონომიურ ცხოვრებას. მონღოლთა ბატონობის უშუალო შედეგი იყო ფეოდალურად განვითარებული ქვეყნების ეკონომიური დაქვეითება. ეს აიხსნება იმითაც, რომ XIII—XVI საუკუნეებში ადგილი ჰქონდა მომთაბარე ტომებისა და ხალხების განუწყვეტელ მოძრაობას მახლობელი აღმოსავლეთის ვრცელს ტერიტორიაზე.

წინარე ხანისაგან განსხვავებით, აღმოსავლეთის კულტურულ ხალხებს სულ უფრო და უფრო უმცირდებოდათ დროის ის შუალედი, რაც აუცილებელი იყო განვითარების კვლავ თავიდან დასაწყებად.

XIII საუკუნიდან მოყოლებული ერთმანეთს თითქმის ზედიზედ სცვლიდნენ მონღოლები, ჩობანიდები, ჯალაირები, თემურიანები, თურქმანები, ყიზილბაშები, ოსმალები.

ხანმოკლე შესვენების პერიოდებში ფეოდალური მეურნეობის განვითარებაში მიღწეულ წარმატებას აქარწყლებდა ნომადთა შემოსევების ახალი ტალღა.

მონღოლების და სხვა მომთაბარე ხალხების შემოსევებმა და ბატონობამ გააპირობა განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდის ხელოვნური გახანგრძლივება მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში, ამდენადვე მონღოლთა ბატონობის ხანის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

## § 1. მონღოლები

მონღოლთა ბატონობის შედეგები სხვადასხვა დროს სხვადასხვა თვალსაზრისით იყო შეფასებულ-დახასიათებული.

თუ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის აღმავლობის პერიოდში მონღოლთა შემოსევებს პროგრესულად განწყობილი ისტორიკოსები უარყოფითად უყურებდნენ (დეგინი, დ'ოსონი, კატრმერი), იმპერიალიზმის ეპოქაში (XIX—XX სს. მიჯნაზე) მონღოლების დადებითად შეფასება საკმაოდ ბურჟუაზიის რეაქციულ თვალსაზრისს (ჰოვორსი, კაენი, პანთურქისტები). იმპერიალისტურმა ზრახვებმა შესაფერისი გამოხატულება ჰპოვეს ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში [1].

მეცნიერების მიუხედავად აკად. ვ. ბარტოლდმა ერთგვარი ხარკი გადაუხადა თავისი დროის ისტორიოგრაფიის მოთხოვნილებებს იმით, რომ დადებითად შეაფასა მონღოლთა შემოსევები და ბატონობა [2]. ამ მცდარ შეხედულებას იზიარებდა ქართული ისტორიოგრაფიის ზოგიერთი წარმომადგენელიც.

საბჭოთა ორიენტალისტების ერთი ნაწილი კარგა ხანს აკად. ვ. ბარტოლდის მიხედვით ახასიათებდა მონღოლებს და მონღოლთა სახელმწიფოს (ა. იაკუბოვსკი, აკად. ვლ. გორდლევსკი). ზოგმაც უარყო მხოლოდ აკად. ვ. ბარტოლდის ფაქტიურად სწორი შეხედულება ჩინგიზ ყაენის სახელმწიფოს არისტოკრატიული წარმოშობის შესახებ და ამ სახელმწიფოს „ხალხური" ფესვები მოუძებნა, მონღოლთა დაპყრობითი ომები კი ხალხის ინტერესებს დაუკავშირა (გ. გრუმ-გრეიმაილო, აკად. ს. კოზინი [3]). ამრიგად, ზოგიერთმა მკვლევარმა ხალხი დაინახა იქ, სადაც ფაქტიურად ნომადი ნოინები მოქმედებდნენ.

---

[1] А. Ю. Якубовский. Из истории изучения монголов периода XI—XIII вв., Очерки по истории русского востоковедения, М., 1953, გვ. 64.

[2] იქვე, გვ. 72 და შემდეგ.

[3] იქვე, გვ. 78 და შემდეგ.

1934 წელს საბჭოთა მონღოლისტმა აკად. ბ. ვლადიმირცოვმა წამოაყენა ე. წ. „ველის ფეოდალიზმის“ თეორია[1].

აკად. ბ. ვლადიმირცოვის აზრით ჩინგიზ ყაენი, ისტორიულ ასპარეზზე გამოსვლისას, უკვე ფეოდალურ საზოგადოებაში მოქმედებდა[2]. თითქმის ყოველმხრივ ზრდადასრულებული ფეოდალური საზოგადოების ერთ ერთ ყველაზე მკაფიო გამოხატულებად მას მიაჩნდა ვასალურ-სენიორული ურთიერთობანი[3]. ფეოდალურ ურთიერთობათა სრულს გამარჯვებას იგი აღნიშნავდა XII ს-ის დამლევით[4]. „ველის ფეოდალიზმის“ ამ მთავარი დებულებების გამო, ა. იაკუბოვსკი, რომელიც წინათ მთლიანად იზიარებდა მათ, გამოთქვამს შემდეგ კრიტიკულ შენიშვნებს: ნამდვილად XII ს-ში მთავრდება პირველყოფილი-თემური წყობილების რღვევა, ხოლო ექსპლოატაციის პირველ ფორმად გვევლინება მონობა, მაგრამ მონობა არ წარმოადგენდა წარმოების გაბატონებულ წესს; მომთაბარე მეჯოგეთა ძირითადი მასა ამ დროს ჯერ ისევ თავისუფალი იყო; საზოგადოებრივ ურთიერთობათა შემდგომი განვითარება წარიმართა არა მონათმფლობელობის გაძლიერების ხაზით, არამედ ფეოდალური ურთიერთობის ჩამოყალიბების გზით; აკად. ბ. ვლადიმირცოვი განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობას ნახულობდა იქ, სადაც მისი მხოლოდ პირველი ნიშნები არსებობდა[5].

მონღოლთა სოციალურ-ეკონომიური წყობის შესწავლა დღეს სწორ ნიადაგზეა დაყენებული, მაგრამ ველის ფეოდალიზმის „თეორიის“ რეციდივებს მაინც ვხვდებით. ეს კი უნებლიეთ სცვლის მონღოლთა საზოგადოების ნამდვილ სურათს.

ა. იაკუბოვსკი აღნიშნავდა, რომ მომთაბარისათვის დამახასიათებელია საკუთრება არა მიწაზე, არამედ ჯოგზე[6]. მიწის მესაკუთრედ, განაგრძობს ა. იაკუბოვსკი, გვევლინება კოლექტივი ე. ი. ტომი. ჯოგის კერძო საკუთრების ნიადაგზე კი აღმოცენდება კლასობრივი განშრეება, წარმოიშობა ნოინთა კლასი და ამ კლასზე დამოკიდებული საზოგადოებრივი ფენი (მონები).[7] თუმცა ამის შემდეგ განვითარება ტენდენციას ამჟღავნებს არა მონობის, არამედ ფეოდალური ურთიერთობის გაძლიერებისაკენ.

ამრიგად, ხელუხლებლადაა დატოვებული „ველის ფეოდალიზმის“ მთავარი დებულება — ჯოგის ფეოდალური საკუთრება, როგორც მომთაბარული ფეოდალური წყობილების საფუძველი.

მაგრამ ყველგან მიწის ფეოდალური საკუთრება წარმოადგენდა ფეოდალიზმის საფუძველს. ამ მხრივ არ შეიძლება განმასხვავებელი ნიშანი დავს-

---

[1] Б. Я. Владимирцов. Общественный строй монголов. Монгольский кочевой феодализм, М., 1934.

[2] А. Ю. Якубовский. დასახ. ნაშრ., გვ. 85.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 85, 86.

[5] იქვე, გვ. 86.

[6] იქვე.

[7] იქვე, გვ. 85, 86.

ვათ მომთაბარულ და მკვიდრბინადრულ მოსახლეობათა შორის. და ეს არა მარტო მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, არამედ იმის გამოც, რომ საკითხის ამგვარად დასმა ადვილად შეიძლება იქცეს ყოველგვარი „უნივერსალური“ და „მარადიული ფეოდალიზმის“ წყაროდ.

ის გარემოება, რომ მომთაბარეები „მ ი ი თ ვ ი ს ებ ენ და კ ვ ლ ავ- ა წ ა რ მ ო ე ბ ენ ჯოგსა და არა მიწას“ [1], სრულიადაც არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ფეოდალური საკუთრების მთავარ ფორმად მომთაბარე ხალხებში ჯოგი ვალიაროთ. მარქსი პირდაპირ მიუთითებს: „მწყემს ხალხებში საკუთრება მიწის ბუნებრივი პროდუქტებისა — მაგალითად ცხვრებისა, წარმოადგენს იმავე დროს საკუთრებას იმ საძოვრების მიმართაც, სადაც ცხვრები გაივლიან“ [2]. ფაქტიურად ამ დებულების განმარტებაა იქვე ნათქვამი: „საერთოდ მიწის საკუთრება შეიცავს აგრეთვე მისი ორგანული პროდუქტების საკუთრებასაც“ [3]. მხოლოდ მიწის მითვისება აქვს მარქსს მხედველობაში თვით ყველაზე მარტივ სამეურნეო მდგომარეობათა დახასიათების დროსაც: „ნადირობა, ბეთევზეობა, მწყემსობა, ხეხილის ნაყოფით არსებობა და ა. შ.— ყოველთვის გულისხმობს მიწის მითვისებას ან მუდმივი ადგილსაცხოვრებელისათვის, ან ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასასახლებლად, ანდა ცხოველთა საძოვრებისათვის და ა. შ.“ [4] მიწების მითვისება-გასაკუთრებას აწარმოებენ მომთაბარეები დაპყრობილ ქვეყნებშიც, სადაც ისინი ქმნიან საძოვრებს თავიანთი ჯოგების გამოსაკვებად. ბინადარი მოსახლეობის მიწებისათვის ბრძოლის პერიოდში ჩვეულებრივ მათ უკვე განვლილი აქვთ გვაროვნული წყობილების საფეხური.

მეჯოგური მეურნეობის არსებობის პირობა ყველა დროს და ყველგან მიწის საკუთრებაა (კოლექტიური ან ინდივიდუალური), ოღონდ, რა თქმა უნდა, მიწის ექსტენსიური ექსპლოატაციის ფორმაში გამოხატული. უფრო მკაფიოდ, რომ ვთქვათ, ესაა საკუთრება საძოვრების მიმართ. მართალია, მომთაბარეები განვითარებულ ფეოდალურ მეურნეობას აცლიან მის საფუძველს—მიწას, მაგრამ შემდეგ ეს მიწა გამოიყენება ექსტენსიური მეურნეობისათვის.

საკითხის ამგვარად დასმა არ გულისხმობს მომთაბარეების გამოთიშვას საზოგადოებრივი განვითარებისაგან. პირიქით, მიწისმფლობელობის ნიადაგზე წარმოშობილი ნომადთა საზოგადოებრივი ურთიერთობა სწორედ ამით უკავშირდება ფეოდალიზმის პირველ ნიშნებს, რომელთა განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ბინადარ მოსახლეობასთან ურთიერთობის ფორმებზე.

ჯოგის ფეოდალური საკუთრების „თეორია“ კი ნამდვილად გამორიცხავს ყოველგვარ განვითარებას. ფაქტიურად ეს იმის უარყოფაა, რასაც მარქსი ამტკიცებს, სახელდობრ: „თუ მიწასთან ერთად დაიპყრობენ თვით

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, გვ. 34.
[2] ი ქ ვ ე.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 35.
[4] ი ქ ვ ე, გვ. 34.

ადამიანსაც როგორც მიწის ორგანულ კუთვნილებას, მაშინ მასაც დაიპყრობენ როგორც წარმოების ერთ-ერთ პირობას, და ამრიგად, წარმოიშობა მონობა და ყმური დამოკიდებულება, რაც მალე გააყალბებს და სახეს შეუცვლის რა ყველა კოლექტივის თავდაპირველ ფორმებს, თვითონ ამ უკანასკნელთა ბაზისი ხდება"[1]. მონობა და ყმური (ფეოდალური) დამოკიდებულება, ამრიგად, მიწის საკუთრების ნიადაგზე ვითარდება, როცა დაიპყრობენ თვით ადამიანსაც, როგორც მიწის ორგანულ კუთვნილებას და, ამდენადვე, წარმოების ერთ-ერთ პირობას.

მხოლოდ მიწის კერძო საკუთრების ნიადაგზე ხდება ტომის წიაღში კლასობრივი დიფერენციაცია, საკუთრების განვითარების მოცემული საფეხურის შესაბამისი დამოკიდებულების ფორმების წარმოშობა.

ჯოგის საკუთრება ვერ აღმოაცენებდა მონურ და ყმურ დამოკიდებულებას, რომელიც სახეს შეუცვლიდა ყველა კოლექტივის თავდაპირველ ფორმებს და თვითონ ამ უკანასკნელთა ბაზისი გახდებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ავხსნიდით მომთაბარეთა კონფლიქტის და კლასობრივი ბრძოლის ხასიათს ველებში, მათს მოძრაობას და ლტოლვას სამიწათმოქმედო კულტურის ხალხთა ქვეყნებისაკენ, სადაც ისინი თავიანთი „ხვასტაგითა და დედაწულით" იპრებიან. ბრძოლა ყველა შემთხვევაში საძოვრებისათვის ე. ი. მეჯოგური მეურნეობისათვის საჭირო პირობებისათვის წარმოებს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ყველაფერი ეს გათვალისწინებული და ნათქვამი აქვს ა. იაკუბოვსკის, როცა ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისაგან განსხვავებით მომთაბარეთა მოძრაობის ნამდვილ მიზეზებს ასახელებს[2].

ნომადთა გადმოსახლება ბურჟუაზიულ ორიენტალისტიკურ ისტორიოგრაფიაში ახსნილია ე. წ. „ბიძგების თეორიის" (ვ. გრიგორიევი) და „მიგრაციის თეორიის" (კაეტანი) მიხედვით. მომთაბარეები იძულებული არიან გადასახლდნენ ან მეზობელი ტომების მოძალების შედეგად („ბიძგების თეორია") ანდა კლიმატური პირობებისა და გეოგრაფიული ფაქტორების გამო („მიგრაციის თეორია"). ა. იაკუბოვსკი აკრიტიკებს ამ „თეორიებს" და მთელი ყურადღება გადააქვს მომთაბარეთა საზოგადოებრივ ურთიერთობათა კლასობრივ ანალიზზე[3]. მომთაბარეთა მასიური შემოსევები, აღნიშნავდა იგი, ხდება მხოლოდ იმ დროს, როცა ყალიბდებიან ტომთა გაერთიანებები და პირველი პრიმიტიული სახელმწიფოები ე. ი. იმ დროს, როცა ტომის შიგნით უკვე მომხდარია კლასობრივი განშრეება და მას ჯოგისა და მონების კერძო საკუთრების ბაზაზე გამოეყოფა მომთაბარული არისტოკრატია[4]. თავისთავად სწორი ეს შეხედულება საჭიროებს მხოლოდ იმის ახსნას, თუ რატომ წარმოებს ბრძოლა საძოვრებისათვის ანდა რატომაა შემოღებული საძოვრებზე დაწესებული გადასახადი „ყაფჩერი".

---

[1] კ. მარქსი. დასახ. ნაშრ., გვ. 34.
[2] А. Ю. Якубовский. დასახ. ნაშრ., გვ. 50—52, 90—92.
[3] იქვე, გვ. 92.
[4] იქვე, გვ. 52, 86.

„ყაფჩერის“ არსებობა, ცხადია, იმის აშკარა მოწმობაა, რომ მონღოლეთის ველებში საძოვრებით სარგებლობა აღარ წარმოებს პირვანდელ შეუზღუდავ ფორმაში და მიწის საკუთრების ფიქსაცია უკვე მომხდარი ფაქტია. ცხადია, ასეთ ვითარებაში თანდათან უნდა შექმნილიყო პირობები გარეეკონომიური იძულებისათვის ე. ი. ფეოდალური ექსპლოატაციისათვის.

მონღოლური იასა, როგორც მარქსი აღნიშნავს, მხოლოდ ფეოდალიზმის უმდაბლეს, ბარბაროსულ საფეხურზე მდგარი ხალხისათვის იყო შესაფერისი. აღსანიშნავია, რომ მონღოლური სამართალი მონღოლთა დაპყრობითი ომების მსვლელობაში თანდათან ვითარდება, უეცველია დაპყრობილი ხალხების გავლენის შედეგად. მონღოლი ნოინების ფეოდალურ კლასად ჩამოყალიბების პროცესიც დაპყრობილ ქვეყნებში გაგრძელდა და თავისებურ ფორმაში დასრულდა.

საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების უმდაბლეს საფეხურზე მდგარმა მონღოლებმა უდიდესი საფრთხე შეუქმნეს აღმოსავლეთის და დასავლეთის კულტურულ ხალხებს, შეაჩერეს მათი წინსვლა და განვითარება.

მონღოლ მომთაბარეთა მეურნეობისათვის (მეჯოგეობისათვის) გაუკაცრიელდა სამიწათმოქმედო რაიონები, დაინგრა ქალაქები, გადაიწვა სოფლები, გაიელიტა მოსახლეობა.

ამას ერთხმად აღნიშნავენ მონღოლთა ბატონობის პერიოდის ისტორიკოსები.

მონღოლთა დაპყრობითი ომების წარმატებებს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დაპყრობილი ქვეყნების შინაგანმა ვითარებამ, ფეოდალურმა ომებმა, გამწვავებულმა კლასობრივმა ბრძოლამ.

გარკვეული როლი შეასრულა ამ მხრივ მონღოლთა სამხედრო ორგანიზაციამაც, მონღოლი მეომრების რკინისებურმა დისციპლინამ. მონღოლთა გამაერთიანებელი ჩინგიზ ყაენი ადვილად ამარცხებდა ფეოდალურ ლაშქარს. დაპყრობილი ქვეყნების ფეოდალური დაქსაქსულობა მონღოლთა წარმატების ერთი მთავარი პირობათაგანი იყო.

ჩინგიზ ყაენის სამხედრო ორგანიზაცია (ათასეულებად დაყოფილი ლაშქარი) მონღოლთათვის ადრევე იყო ცნობილი. მაგრამ ჩინგიზ ყაენმა გააძლიერა ქეშიკი (მცველი ჯარი), ოომელიც იცავდა არა მარტო ყაენს, არამედ ამავე დროს უზრუნველყოფდა ნოინების ძალაუფლებას რიგით მონღოლებზე. ჩინგიზ ყაენმა მდიდრული საჩუქრებით გაიერთგულა ნოინები და ნოქრები, შექმნა მათგან თარხანთა პრივილეგირებული წოდება, რომელიც ყოველგვარი გადასახადებისაგან იყო განთავისუფლებული.

მონღოლთა სახელმწიფოს წარმოქმნამ ხელი შეუწყო მონღოლი ხალხის ჩამოყალიბების პროცესს. ტომობრივი დაქსაქსულობის ლიკვიდაცია, მონღოლთა გაერთიანება, შინაომების შეწყვეტა და ერთიანი სახელმწიფოს წარმოქმნა პროგრესული მოვლენა იყო [1]. მაგრამ ამგვარადვე არ შეიძლება შევაფასოთ მონღოლთა დაპყრობითი და გამანადგურებელი ომები [2].

---

[1] История Монгольской Народной Республики, М., 1954, გვ. 90.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 91—92.

მონღოლთა შემოსევებმა უდიდესი ზიანი მიაყენეს აზიისა და ევროპის ხალხებს, რომლებიც დამპყრობელთა სამხედრო-ადმინისტრაციული მმართველობის მძიმე უღელქვეშ აღმოჩნდნენ [1].

XIII ს-ის 20-იან წლებში მონღოლები მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ ქვეყნებში შემოიჭრნენ და ყველგან ცეცხლი და მახვილი დაატრიალეს.

## § 2. მონღოლთა შემოსევები

XIII საუკუნის დასაწყისში მონღოლეთში მცხოვრებ ტომთა შიგნით წარმოებული მძაფრი სოციალური ბრძოლის შედეგად წარმოიქმნა მონღოლთა სახელმწიფო, რომელსაც თემუჩინი — ჩინგიზ ყაენი ჩაუდგა სათავეში. ახლადწარმოქმნილ სახელმწიფოს იმთავითვე კლასობრივი, არისტოკრატიული ხასიათი ჰქონდა. იგი შექმნილი იყო ნოინების — მონღოლთა სამხედრო-ფეოდალური არისტოკრატიის მიზნების შესაბამისად და მის ინტერესთა დასაცავად. „ჩინგიზ ყაენი არ ყოფილა „სახალხო გმირი“ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით და მის მიერ შექმნილი სახელმწიფო წყობილება არისტოკრატიული ხასიათის მატარებელი იყო“ [2].

თემუჩინს ახალგაზრდობაში ბევრი გაჭირვების გადატანა მოუხდა, მაგრამ ბოლოს, თავისი პირადი თვისებების წყალობით შეძლო შეექმნა ისეთი რაზმი, რომელმაც მთელ მონღოლეთში გაუთქვა მას სახელი. მალე თემუჩინმა დაამარცხა თავისი მოწინააღმდეგენი — მეტოქე ტომთა ბელადები და 1206 წელს მდ. ონონის ნაპირზე, მონღოლთა სამხედრო-მომთაბარული არისტოკრატიის წარმომადგენელთა ყურულთაიმ იგი მონღოლთა სახელმწიფოს უზენაეს ხელმწიფედ გამოაცხადა ჩინგიზ ყაენის სახელით. „დაჯდა ტახტსა ონ-ხანისა და უწოდეს სახელად ჩინგიზ ყაენ“, — მოგვითხრობს ჟამთააღმწერელი [3].

ჩინგიზ ყაენს ჰყავდა მტკიცე, დისციპლინიანი ლაშქარი, რომელიც ათეულებად, ასეულებად, ათასეულებად და დუმანებად (ათიათასეულებად) იყოფოდა [4]. ამ განაყოფთა სათავეში მონღოლთა სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენლები იდგნენ, ხოლო დუმანის ამირებად ხშირად უფლისწულები და ყაენის ოჯახის სხვა წარმომადგენლები ინიშნებოდნენ. ყოველ მეომარს თვითონ უნდა ეზრუნა ლაშქრობისათვის საჭირო საჭურველსა და სურსათსანოვაგეზე. ეს კი ხელს უწყობდა ლაშქრის სწრაფ მოძრაობას. ამასთან ერთად, მონღოლთა ლაშქარი აღჭურვილი იყო იმ დროისათვის მოწინავე

---

[1] იქვე, გვ. 93.

[2] В. В. Бартольд. Образование империи Чингиз-хана, ЗВО. X, გვ. 114.

[3] ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1906, გვ. 554.

[4] ჯუვეინი, ტ. I, გვ. 22; აგრეთვე, პლანო კარპინი. ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, ნაკ. II, გვ. 31.

ჩინური სამხედრო ტექნიკითა და ტაქტიკით[1]. ყველაფერმა ამან მნიშვნელოვანწილად განაპირობა მონღოლთა წარმატება დასავლეთის ლაშქრობაში.

ჩინეთის წინააღმდეგ ლაშქრობის შემდეგ მონღოლებმა ჯერ ხორეზმსა და მათ სახელმწიფოს შორის მდებარე, ნაიმანების ტომის მეთაურის — ქუჩლუქის საკმაოდ ვრცელ, მაგრამ სუსტ სახელმწიფოს შეუტიეს და გაანადგურეს იგი[2]. ამის შემდეგ ჩინგიზ ყაენის ურდოებს გზა ხსნილი ჰქონდათ დასავლეთისაკენ. იმ დროს წარმოდგენაც კი არავის შეეძლო, თუ რაოდენ ნგრევას, ხოცვა-ჟლეტასა და უბედურებას მოუტანდა წინა აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის კულტურულ ხალხებს მონღოლთა შემოსევები.

მონღოლთა შემოსევებმა იმდენად შემზარავი შთაბეჭდილება მოახდინეს თანამედროვეებზე, რომ უკვე მათი ბატონობის პირველსავე წლებში აზიასა და ევროპაში სხვადასხვა ენებზე იქმნება საისტორიო ნაწარმოებები, რომლებშიც დაწვრილებით არის აღწერილი მონღოლთა ჯარის ორგანიზაცია, ომის წარმოების წესები, კეთილმოწყობილი ქალაქებისა და სოფლების ნგრევა, ნათესებისა და ბაღების განადგურება, მოსახლეობის გაჟლეტა-დატყვევება და სხვა საშინელებანი.

დამახასიათებელია, რომ ყველა მაშინდელი ავტორი, მათ შორის, ხშირად, ილხანთა ოფიციალური ისტორიოგრაფიის ისეთი წარმომადგენლებიც, როგორიც იყვნენ ალა ედ-დინ ათა მალექ ჯუვეინი და რაშიდ ედ-დინი, სწორად აფასებდა მონღოლთა შემოსევებს და უდიდეს უბედურებად მიაჩნდა ის.

„მატიანეები — მოგვითხრობს XIII საუკუნის პირველი მესამედის არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი,—არაფერს შეიცავენ რამდენადმე მსგავსსა და შესაფერისს. იმ ამბებიდან, რასაც ისინი აგვიწერენ, ყველაზე საშინელია ის, რაც გააკეთა ნაფუქოდონოსორმა ისრაელთა გაჟლეტით და იერუსალიმის დანგრევით. მაგრამ რაა იერუსალიმი იმ ქვეყნებთან შედარებით, რომლებიც ამ წყეულებმა დაარბიეს, სადაც ყოველი ქალაქი ორჯერ მეტია იერუსალიმზე! და რანი არიან ისრაელები იმათთან შედარებით, რომლებიც მათ (მონღოლებმა) გაჟლიტეს. ყოველ ცალკე აღებულ ქალაქში მოსახლეობა, რომელიც მათ გაჟლიტეს, მეტი იყო, ვიდრე მთლად ისრაელები არიან“[3].

მონღოლთა შემოსევების შედეგად განსაკუთრებით აღმოსავლეთის ქვეყნების მჭიდროდ დასახლებული ქალაქები დაზარალდა. ეს გასაგებიც არის, რადგან, როგორც ფ. ენგელსი შენიშნავდა დასავლეთ ევროპის ქალაქების მიმართ, „ყველა ისინი დასაცავად გარშემორტყმული იყვნენ კედლებითა და თხრილებით, მათი სიმაგრეები გაცილებით უფრო მიუდგომელი იყო, ვიდრე

---

[1] მონღოლთა სამხედრო ხელოვნების შესახებ იხ. М. Н. Иванин. О военном искусстве и завоеваниях монголо-татар и среднеазиатских народов при Чингис-хане и Тамерлане, СПб. 1875.

[2] ქუჩლუქმა ყარახითაების სახელმწიფოს ნანგრევებზე დიდი სახელმწიფო შექმნა, მაგრამ რელიგიური დევნის პოლიტიკას აწარმოებდა და გადაიმტერა მუსლიმანები, რომლებიც მონღოლებთან ბრძოლის დროს ამ უკანასკნელთ მიეხმრნენ (ჯ. უ ვ ე ი ნ ი, ტ. I, გვ. 40).

[3] В. Тизенгаузен. Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды, т. I, стр. 2.

აზნაურთა კოშკები, რადგან მათი აღება მხოლოდ მნიშვნელოვანი ჯარის დახმარებით იყო შესაძლებელი“ [1]. ამიტომ, ბუნებრივია, რომ სწორედ ქალაქები გადაიქცნენ მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრებად. ქალაქებში უფრო ორგანიზებული მოსახლეობა იყო თავმოყრილი ხელოსანთა სახით, რომელიც მედგარ წინააღმდეგობას უწევდა დამპყრობელთ. ქალაქის არისტოკრატიის წარმომადგენლები კი — მსხვილი ვაჭრები, მოხელეები, საასულიერო პირები — მონღოლებთან შეთანხმებას ჩქარობდნენ საკუთარი სიცოცხლისა და ქონების გადარჩენის მიზნით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სორეზმშაჰის დაქირავებული ლაშქარიც ხშირად უარს ამბობდა მონღოლებთან შებრძოლებაზე, მოწინააღმდეგის მხარეზე გადადიოდა და მხოლოდ ხალხთა მასებს უხდებოდათ მტერთან ბრძოლის მთავარი სიმძიმის გადატანა.

ქალაქების განადგურების მეორე, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი იყო ის, რომ საზოგადოებრივი განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომი მონღოლებისათვის უცხო იყო ქალაქები და საქალაქო ცხოვრება. „მონღოლები, როცა რუსეთს (და სხვა კულტურულ ქვეყნებს — რ. კ.) ანადგურებდნენ, თავიანთი წარმოების წესის შესაბამისად მოქმედებდნენ; მესაქონლეობისათვის მთავარი პირობაა ფართო დაუსახლებელი ადგილები“ [2].

მეტიც შეიძლება ითქვას. იმ დროს მონღოლების დიდი ნაწილი მტრულად იყო განწყობილი ქალაქების მიმართ. ჩინგიზ ყაენის იასაში [3] შეტანილი იყო სპეციალური მოთხოვნა ქალაქების კედლების დანგრევის შესახებ. მართლაც, დამახასიათებელია, რომ, როგორც წყაროები მოგვითხრობენ, მონღოლები ანგრევდნენ და მიწასთან ასწორებდნენ აღებული ქალაქების გალავნებსა და ციხე-კოშკებს. XIV საუკუნის ისტორიკოსი და გეოგრაფი ჰამდალაჰ ყაზვინი გადმოგვცემს, რომ ჩინგიზ ყაენის იასა უკრძალავდა მონღოლებს ქალაქებში დასახლებას [4]. უგედეი ყაენის დროს, რაკი ჩინეთი მონღოლთა მიერ დაპყრობის შედეგად ისე იყო მოოხრებული, რომ არავითარ შემოსავალს არ იძლეოდა, მომთაბარე არისტოკრატიის წარმომადგენლებმა მოახსენეს ყაენს, უმჯობესია მცხოვრებნი მთლიანად გავეყლიტოთ, მიწები კი, რომლებიც ტყითა და ბალახით დაიფარება, საძოვრებად ვაქციოთო. უგედეი არ დათანხმდა ასეთ ღონისძიებაზე და ამის შემდეგ დაიწყო ჩინეთში სამეურნეო ცხოვრების აღდგენა [5].

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., ტ. XVI, ნაწ. I, გვ. 440.

[2] კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 277.

[3] იასა ანუ იასაკი (ياسا-ياساق)—მონღოლთა საადათო სამართალი, რომელიც ჩინგიზ ყაენის დროს იქნა ჩაწერილი (ჯ უვეინი, ტ. I, გვ. 15). მთლიანი ტექსტი არ არის ჩვენამდე მოღწეული. ცალკე ადგილები დაცულია სხვადასხვა საისტორიო თხზულებებში.

[4] مغولرا در شهر نشستن قاعده نیست و خلاف یاساق چنگز خانست („თარიხე გოზიდე“. ციტირებულია ვ. ბარტოლდის მიხედვით, В. В. Бартольд. Туркестан в эпоху монгольского нашествия, ნაწ. II, გვ. 499).

[5] История первых четырех ханов из дома Чингисова, Перевод с китайского Н. Бичурина, СПб, 1829, გვ. 153.

ქალაქებისადმი მტრული დამოკიდებულება საკმაოდ ძლიერი იყო მონღოლ არისტოკრატთა ერთ ნაწილში XIII საუკუნის მეორე ნახევარშიც. ცნობილია 1269 წლის ყურულთაის დადგენილება, რომლის მიხედვით მონღოლებს მთებსა და ველებში უნდა ეცხოვრათ, ქალაქების ირგვლივ არ დასახლებულიყვნენ, საქონელი არ შეეშვათ ნათესებში და ქვეშევრდომთათვის უსაფუძვლო მოთხოვნილებები არ წაეყენებინათ[1].

მონღოლთა ლაშქარს თან მოჰყვებოდნენ მათი ოჯახები, ნსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ჯოგები და მთელი მათი ქონება. ისინი არა მარტო ანადგურებდნენ ქალაქებსა და სოფლებს, ბაღებსა და ნათესებს, არამედ საერთოდ აფერხებდნენ მიწათმოქმედებისა და საქალაქო მეურნეობის წარმოებას[2]. ის ადგილები, სადაც მონღოლებს მოუხდებოდათ გავლა და დაბანაკება, დიდი ხნით უდაბურდებოდა. მიწათმოქმედებისათვის გამოსადეგი ნაყოფიერი მიწები საძოვრებად და სანადირო ადგილებად იქცეოდა. სარწყავი სისტემა იშლებოდა, ყველაფერს ამას კი თან სდევდა სოფლის მეურნეობისა და საქალაქო ცხოვრების საერთო დაცემა.

განსაკუთრებით სასტიკად უსწორდებოდნენ მონღოლები იმ ქალაქებს, რომელთა მოსახლეობა და გარნიზონი მედგარ წინააღმდეგობას გაუწევდა მათ (თუმცა, ხშირად ვერც მორჩილება იხსნიდა ამა თუ იმ ქალაქს დანგრევისაგან. ამ მხრივ დამახასიათებელია ქალაქ ბალხის მაგალითი), ან რომელ ქალაქსაც რაიმე „დანაშაული" მიუძღოდა მტრის წინაშე (მაგ., ოთრარი, ბამიანი, ნიშაბური). მათთვის ერთი იყო ქალი და კაცი, დიდი და მცირე. წყაროებში არა ერთი ცნობაა დაცული, რომლებშიც მჭიდროდ დასახლებული ქალაქების მოსახლეობის შეუბრალებელი გაჟლეტაა აღწერილი. ქალაქს რომ აიღებდნენ, მონღოლები წინადადებას აძლევდნენ მცხოვრებთ, დაეტოვებინათ ქალაქი და ველად გასულიყვნენ, ვითომც აღწერის ჩასატარებლად. შემდეგ, ჯერ ქალაქში დარჩენილთ დაერეოდნენ და მათ დახოცავდნენ, ქალაქს გაძარცვავდნენ, დაანგრევდნენ და ცეცხლს მისცემდნენ. ამის მერე ქალაქგარეთ გარეკილ მცხოვრებთ ურთიერთშორის გაინაწილებდნენ და ნაწილს ხოცავდ-

---

[1] بهار گاه سنه سبع و ستین و تسعمایه تمامت آن شهزادگان بمرغزار تلاس و کنجک جمع شدند و بعد از یك هفتهٔ طوی هشتم روز بکنگاج و قوریلتای مشغول شدند... و برسم و آیین خویش زر خوردند و شرط کردند که من بعد مقام در کوه و صحرا سازند و پرامون شهرها نگردند و چارپایانرا در کشت نکنند و از رعایا مطالبات نا موجه ننمایند — Rashid-al-din Fadl Allah... Geschichte der Khane Abaga bis Gaihatu; Kritische Ausgabe... von Karl Jahn, Prag, 1941, გვ. 13. (ქვემოთ, რაშიდ ედდინი, კ. იანის გამოც.); იხ. აგრეთვე, История Узбекской ССР, ტ. I, გვ. 307 (უნდა აღინიშნოს, რომ ყურულთაის დადგენილებაში ყველაფერი ნათელი არ არის და საწინააღმდეგო ინტერპრეტაციის შესაძლებლობასაც იძლევა. იხ. მაგ., В. В. Бартольд. История культурной жизни Туркестана, გვ. 89).

[2] А. А. Алиев. Монгольские завоеватели в Азербайджане и сопредельных странах в XIII—XIV веках, Вопросы истории, 1952, № 8. გვ. 62.

ნენ, ნაწილი კი, განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალ-ვაჟები, ტყვედ მიჰყავდათ[1].

დამპყრობელთა ხელით სიკვდილზე არა ნაკლებ საშინელი იყო მ'ძვიდობიანი მოსახლეობისათვის „ჰაშარის" სისტემა.

მონღოლებს წესად ჰქონდათ შემოღებული, ქალაქების ალყის დროს ყველაზე სახიფათო ადგილებში უკვე დაპყრობილი ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობა გამოეყენებინათ. საინტერესო ცნობებს იძლევა ამის შესახებ ჩინგიზ ყაენის თანამედროვე ჩინელი მენ-ხუნი[2]: „ყოველთვის, როცა მათ (მონღოლებს—რ. კ.) სურთ აიღონ რომელიმე დიდი ქალაქი, ჯერ პატარა ადგილებს ესხმიან თავს, ატყვევებენ იქაურ მცხოვრებთ და ალყაზე ერეკებიან. ამისათვის ისინი ბრძანებას გასცემენ, რომ ყოველმა ცხენოსანმა მეომარმა ათი კაცი დაატყვევოს. როცა ეს რიცხვი სავსებით შეიკრიბება, ყოველი [დატყვევებული] ადამიანი იღებს ბალახის, შეშის, მიწის და ქვების გარკვეულ რაოდენობას; მათ დღე და ღამ მიერეკებიან და ჩამორჩენილთ ხოცავენ. მიიყვანენ თუ არა, მაშინვე ავსებენ [ქალაქის გალავნის გარშემო მდებარე] არხებსა და თხრილებს [თან მიტანილი მასალით]-[3]. იბნ ალ-ასირიც მოგვითხრობს, რომ „მათ [ასეთი] ჩვეულება ჰქონდათ: როცა ქალაქს ებრძოდნენ, წინ აყენებდნენ იმ ტყვე მუსლიმანებს, რომელნიც თან ჰყავდათ, [აიძულებდნენ] შეეტიათ და ებრძოლათ, ხოლო თუ ისინი (ტყვეები—რ. კ.) უკან ბრუნდებოდნენ, მათ ხოცავდნენ... თვითონ ისინი (მონღოლები) მუსლიმანთა ზურგს უკნიდან იბრძოდნენ, ამიტომაც ტყვე მუსლიმანები იხოცებოდნენ, თვითონ კი უვნებელი რჩებოდნენ"[4]. იგივე ისტორიკოსი გვაცნობებს, რომ ტყვე მუსლიმანები ქვეითად მიჰყვებოდნენ ცხენოსან მონღოლებს და ყველას, ვინც დაიღლებოდა სიარულით, შეუბრალებლად ხოცავდნენო[5].

მონღოლებს ათეული ათასობით მიჰყავდათ ჰაშარში დაპყრობილი ადგილების მოსახლეობა. ცხადია, რომ იმათი უმრავლესობა, ვინც ხოცვა-ჟლეტას გადაურჩებოდა და ჰაშარში მოხვდებოდა, საკუთარი მოძმეების ხელით იღუპებოდა შუა აზიისა და ირანის ქალაქებისა და ციხეების აღების დროს.

უკეთეს მდგომარეობაში არ იმყოფებოდნენ ხელოსნებიც, რომელთაც მონღოლები მეტწილად სიცოცხლეს უნარჩუნებდნენ.

---

[1] პლანო კარპინი აღნიშნავს, რომ მონღოლები „ტყვე ქალიშვილებს და გაუთხოვარ ქალებს მხარეულებად იმსახურებენ, მაგრამ არც ტანისამოსს აძლევენ და თითქმის არც აჭმევენ" (პ ლ ა ნ ო კ ა რ პ ი ნ ი. ისტორია მონღოლებისა, გვ. 39).

[2] სინოლოგმა პ. პელიომ დაამტკიცა, რომ ამ თხზულების ავტორია არა მენ-ხენი, არამედ ჯაო-ხუნი. იხ. А. Ю. Я к у б о в с к и й. Из истории изучения монголов периода XI—XIII вв., გვ. 54.

[3] М э н-Х у н. Записка о монголо-татарах. Перевод с китайского В. П. В а с и л ь е в а, ТВО, IV, გვ. 224.

[4] В. Т и з е н г а у з е н. Сборник материалов, ტ. I, გვ. 18.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 10.

ჯერ კიდევ მონღოლთა სახელმწიფოს წარმოქმნამდე, მონღოლეთში ხშირად ჩადიოდნენ ჩინეთიდან, შუა აზიიდან და ირანიდან სავაჭრო ქარავნები, რომელთაც ხელოსნებიც მიჰყვებოდნენ თან. ასე, რომ მონღოლები ადრევე იყვნენ გაცნობილი აღნიშნული ქვეყნების ხელოსნობის კულტურას და ხელოსანთა დაფასებაც იცოდნენ. ბუნებრივია, რომ განსაკუთრებით ფასობდა მათში იარაღისა და სხვა სამხედრო საჭურვლის დამამზადებელ ოსტატთა ხელობა. „დაპყრობილი ქვეყნებიდან [მონღოლებს] გამოჰყავთ ხელოსნები, რომელთაც თავიანთ თავისთვის სასარგებლოდ სთვლიან და მათ შუამავ მონობაში ამყოფებენ". — წერს პლანო კარპინი[1].

ჩინეთში ლაშქრობის დროს ჩინგიზ ყაენმა ბევრი ხელოსანი წამოიყვანა ამ უძველესი კულტურის მქონე ქვეყნიდან. ასევე იქცეოდნენ მონღოლები შუა აზიასა, ირანსა და ამიერკავკასიაშიც. ქალაქის აღების შემდეგ ისინი ცალკე გამოჰყოფდნენ ხელოსნებს, სიცოცხლეს უნარჩუნებდნენ მათ და ყაენის უახლოეს ნათესავთა და ნოინებს შორის ანაწილებდნენ. პირველ ხანებში, ტყვედ წაყვანილ ხელოსნებს, რომელნიც მონღოლ დიდებულთა პირად საკუთრებას შეადგენდნენ, საკუთრივ მონღოლეთში აგზავნიდნენ.

საყურადღებო ცნობებს გვაწვდის მონღოლეთში გადასახლებულ ხელოსანთა შესახებ პლანო კარპინი. „სარკინოზების მიწა-წყლიდან და სხვა ადგილებიდან,—წერს იგი,—სადაც თათრები თავიანთ თავს ბატონებად გრძნობენ, მათ საუკეთესო ხელოსნები მიჰყავთ და აიძულებენ მათთვის იმუშაონ, ხოლო სხვები გადასახადს იხდიან თავიანთი შრომიდან... თვითეულს მსახურს წონით დღეში პურის ზომიერი რაოდენობა ეძლევა, ამას გარდა სამჯერ კვირაში ცოტაოდენი ხორცი; მაგრამ ამას მხოლოდ ქალაქებში მცხოვრებნი ღებულობენ. გარდა ამისა, როცა ბატონებს მოეპრიანებათ, ისინი ყველა ხელოსანს აიძულებენ მათ მისდიონ უკან მსახურებთან ერთად... მათ ეპყრობიან... როგორც მონებს და სხვა ტყვეების მსგავსად ყოველგვარ საბიფათო საქმეზე გზავნიან, მაგალითად, ბრძოლის დროს პირველ რიგებში აყენებენ, ჭაობსა ან მდინარეში გადასვლის დროს პირველად უნდა შეეიდნენ ფონში, ერთი სიტყვით, ყოველნაირად იყენებენ. თუ რაიმე დააშავეს ან პირველი ხელის დაქნევას არ დამორჩილდნენ, მათ ისე ურტყამენ, როგორც ვირებს. ისინი ცოტას ჭამენ, ცოტას სვამენ და მეტისმეტად ცუდად არიან ჩაცმული, თუ რაიმე თვით არ გამოიძუშავეს, როგორც ოქრომჭედლებმა და სხვა დარგის კარგმა ხელოსნებმა. მაგრამ ზოგიერთებს ისეთი ბოროტი პატრონები ჰყავთ, რომ მათ მოსვენებას არ აძლევენ და საბატონო სამუშაო იმდენად დიდია, რომ დრო არ რჩებათ თავისთვის რაიმე გააკეთონ, თუ დასვენებასა და ძილზე უარი არ თქვეს; თავისთვის რანის გაკეთებაც მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ცოლი ჰყავს და საკუთარი სადგომი აქვს"[2].

ამ ვრცელი ამონაწერიდან კარგად ჩანს, თუ როგორი იყო მონღოლეთში გადასახლებულ ხელოსანთა მუშაობისა და ცხოვრების პირობები. ‘ათ შეუბრალებელ ექსპლოატაციას უწევდნენ მონღოლთა არისტოკრატიის

---

[1] პ ლ ა ნ ო კ ა რ პ ი ნ ი. ისტორია მონღოლებისა, გვ. 39.

[2] ი ქ ვ ე. გვ. 38—39.

წარმომადგენლები, ნახევრად მშივრებს ამყოფებდნენ და საკუთარი სადგომებიც კი არ გააჩნდათ. კიდევ მეტიც, მონღოლებს შეეძლოთ ტყვე ხელოსნები თავისი სურვილისდა მიხედვით ყველაზე მძიმე და სახიფათო სამუშაოებზეც გამოეყენებინათ.

წყაროების ცნობით, შუა აზიიდან და ირანიდან გაყვანილი ხელოსნები მონღოლეთში ხშირად ერთად სახლდებოდნენ და საკმაოდ მრავალრიცხოვან კოლონიებს ქმნიდნენ[1]. მაგრამ, როგორც ჩანს, ხელოსანთა ასეთი გადასახლება არ გამოდგა ხელსაყრელი, რადგან მონღოლეთში არ მოიპოვებოდა აუცილებელი ნედლეული და მომთაბარე მეჯოგეთა მეურნეობაც ვერ ქმნიდა საჭირო პირობებს კულტურული ქვეყნების ხელოსანთა რაციონალური ექსპლოატაციისათვის. ამის გამო, ბუნებრივია, რომ ხელოსნები ვეღარ ამზადებდნენ სრულფასოვან ნაწარმს, რასაც თვითონ მონღოლებიც ამჩნევდნენ[2]. ამიტომაც, მონღოლთა პირველი ლაშქრობების შემდეგ ხელოსანთა მონღოლეთში მასიურ გადასახლებას თითქოს აღარ უნდა ჰქონოდა ადგილი, ხოლო უგედეი ყაენის დროს (1229 — 1242) გადასახლებული ხელოსნების ნაწილი უკანაც დაუბრუნებიათ[3].

ამგვარად, მონღოლთა შემოსევების შედეგად აღმოსავლეთის მთელი რიგი ქვეყნების ქალაქების მოსახლეობის ნაწილი ბრძოლაში დაიხოცა, დანარჩენები მონღოლებმა ჰაშარში წაიყვანეს, მონღოლეთში გადაასახლეს (ხელოსნები და ახალგაზრდა ქალ-ვაჟები) ანდა ურთიერთშორის გაინაწილეს და შეუბრალებლად გაჟლიტეს.

შუა აზიის, ირანისა და ამიერკავკასიის ქვეყნების ქალაქებსა და სოფლებში დატრიალებული ამბები, რასაც კ. მარქსი „სისტემატური ტერორის რეჟიმს“ უწოდებდა, საყოველთაო ნგრევა-განადგურებისა და ხოცვა-ჟლეტის სურათს წარმოადგენდა.

1219 წლის შემოდგომაზე მონღოლებმა ალყა შემოარტყეს ოთრარს. აქვე ჩინგიზ ყაენმა თავისი ლაშქარი რამდენიმე ნაწილად გაჰყო და სხვადასხვა მიმართულებით გაუსია, თვითონ კი ბუხარას მიაშურა[4].

ხანგრძლივი ალყის შემდეგ ოთრარი აღებულ იქნა. მონღოლებმა ქალაქის მოსახლეობა ველად გარეკეს, ქალაქი გაძარცვეს, ციხე და გალავანი მიწასთან გაასწორეს. გადარჩენილი მოსახლეობის ნაწილი ჰაშარში წაიყვანეს, ხელოსნები კი დაატყვევეს, რათა დანიშნულებისამებრ გამოეყენებინათ[5].

---

[1] ჯუვეინი, ტ. I, გვ. 82, 112; ჰაფეზ აბრუ, ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკის ხელნაწერი, დორნის კატ. № 290, ფ. 226 ბ.

[2] იხ. მაგ., ისტორიკოს ესფეზარის მოთხრობა მონღოლეთში გადასახლებულ ჰერათელ ხელოსანთა შესახებ. В. В. Бартольд. Туркестан в эпоху монгольского нашествия, ნაწ. I, ტექსტები, გვ. 165.

[3] Хондемир. История монголов, Перевод В. В. Григорьева, СПб, 1834, გვ. 84; А. М. Беленицкий. К вопросу о социальных отношениях в Иране в хулагуидскую эпоху, СВ, V, გვ. 122.

[4] ჯუვეინი, ტ. I, გვ 51—52.

[5] იქვე, გვ. 53.

ბუხარა ცუდად იყო მომზადებული თავის დასაცავად; მისი გარნიზონი სულ 12 — 20 ათასი კაცისაგან შედგებოდა. მონღოლებმა ორ კვირაში აიღეს ქალაქი და ციხე, მოსახლეობა ქალაქგარეთ გარეკეს, ხოლო, ვინც არ დაემორჩილა, დახოცეს. შემდეგ მათ ქალაქი გაძარცვეს და გადაწვეს, გალავანი და ციხე-სიმაგრე მოთხარეს; ახალგაზრდა და შუახნის მამაკაცები ჰაშარში წაიყვანეს. დამახასიათებელია ჯუვეინის ერთი ცნობა ბუხარის აღების შესახებ, რომელიც მეტნაკლები სისრულით თითქმის ყველა სხვა ქალაქის მიმართაც გამოდგება. ბუხარის ერთი მცხოვრები მტრისაგან ქალაქის აღების შემდეგ გაიქცა და ხორასანს მივიდა. ბუხარის ამბავი რომ ჰკითხეს, უპასუხა: „მოვიდნენ, მოთხარეს, გადაწვეს, დახოცეს, წაიღეს (წაიყვანეს) და წავიდნენ“ [1].

სამარყანდი კარგად იყო გამაგრებული და მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მომხდურთ. ისევე, როგორც სხვა ქალაქებში, აქაც განსაკუთრებით თავგამოდებით იბრძოდნენ მოსახლეობის დაბალი ფენები. მაგრამ ხორეზმშაჰის დაქირავებული ლაშქრის ღალატისა და ქალაქის არისტოკრატიის ორპოფული მოქმედების წყალობით, მტერმა შეძლო სამარყანდის აღება. მოსახლეობა ჩვეულებისამებრ ველად გარეკეს და „აღწერეს“. მერე ოცდაათი ათასი ხელოსანი გამოარჩიეს და ჩინგიზ ყაენმა ისინი თავის ვაეებსა და მახლობლებს გაუნაწილა [2]. ადდენიე მამაკაცი ჰაშარში წაიყვანეს. მონღოლებს ამის შემდეგაც არაერთხელ წაუყვანიათ სამარყანდიდან ჰაშარი, რის გამოც, ჯუვეინის სიტყვით, ქალაქი თითქმის დაიცალა მოსახლეობისაგან [3].

სამარყანდიდან ჩინგიზ ყაენმა თავისი ორი საუკეთესო სარდალი — ჯებე და სუბუდაი გაგზავნა 30 ათასი რჩეული მეომრით მოჰამედ ხორეზმშაჰის შესაპყრობად. მიღებული ინსტრუქციის თანახმად, ისინი არსად არ უნდა შეჩერებულიყვნენ ქალაქების ასაღებად, მათ მიზანს მხოლოდ მოჰამედის ხელში ჩაგდება შეადგენდა. მიშით შეპყრობილი ხორეზმშაჰი, რომელსაც საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქრის შეგროვება შეეძლო წინააღმდეგობის გასაწევად, სამარცხვინოდ გარბოდა, მონღოლები კი ფეხდაფეხ მისდევდნენ და მის დატყვევებას ცდილობდნენ.

იბნ ალ-ასირი, ჯუზჯანი და რაშიდ ედ-დინი [4] მოგვითხრობენ, რომ ჯებესა და სუბუდაის მეთაურობით გაგზავნილი ლაშქარი არსად შეჩერებულა ხანგრძლივად ქალაქების ასაღებად და დასანგრევად. მაგრამ, ამავე წყაროების ცნობით, მონღოლთა ამ მეწინავე რაზმმა ბევრი საშინელება დაატრიალა ირანსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ხორეზმშაჰ მოჰამედის სიკვდილი ცნობილი შეიქნა მათთვის.

---

[1] آمدند و کندند و سوختند و کشتند و بردند و رفتند — ჯუვეინი, ტ. I, გვ. 67.

[2] იქვე, გვ. 77.

[3] იქვე, გვ. 77—78.

[4] В. Тизенгаузен. Сборник материалов, ტ. I, გვ. 12; The Tabaqat-i—Nasiri of Aboo Omar Minhaj al-din al Gawjani. Ed. By W. Nassau Lees, Calcutta, 1864—1866, გვ. 341 (ქვემოთ,—ჯუზჯანი); Рашид-ад-дин. История Чингис-хана, Персидский текст, русский перевод и примечания И. П. Березина, ТВО, XV, СПб, 1888, სპარსტექსტი, გვ. 98 (ქვემოთ, რაშიდ ედ-დინი, ТВО,XV).

ჯებე და სუბუდაი ჯერ ბალხს მიადგნენ. ქალაქი უბრძოლველად დანებდა და მისთვის ვნება არ მიუყენებიათ. აქედან ზავესთან მივიდნენ და ალაფი მოითხოვეს, მაგრამ მცხოვრებლებმა უარი განაცხადეს დამორჩილებაზე. მონღოლებმა სამი დღის ბრძოლის შემდეგ აიღეს ქალაქი, მოსახლეობა გაწყვიტეს, რისი წაღებაც ვერ შესძლეს, დაწვეს და გაანადგურეს[1]. შეადეგ ნიშაბურს მიადგნენ, მაგრამ ქალაქს ამჯერად არ გაუწევია წინააღმდეგობა. აქედან ჯებე ჯუვეინისკენ გაემართა, სუბუდაი კი ტუსისაკენ. გზად, ვინც დამორჩილდებოდა, ხელს არ ახლებდნენ, ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა, გაჟლეტდნენ. ასე მოიქცა სუბუდაი ტუსში, ხაბუშანში, ესფერაინში, დამღანში, სემნანში და რეის მიადგა[2].

ამასობაში ჯებეს რაზმმა მაზანდარანი დაიპყრო და მრავალი მცხოვრები გამოასალმა სიცოცხლეს. განსაკუთრებით ბევრი დახოცეს მთავარ ქალაქ ამოლსა და ასთარაბადში. შემდეგ ისინიც რეისკენ წავიდნენ. ქალაქის მცხოვრებნი იმ დროს ურთიერთშორის რელიგიური ბრძოლით ყოფილან გართულნი და გვიან გაიგეს მტრის მოახლოვება. მონღოლებმა ქალაქი აიღეს, ქალები და ბავშვები დაატყვევეს[3]. აქ მათ გაიგეს, რომ მოჰამედ ხორეზმშაჰი ჰამადანისკენ წასულიყო. ჯებე ჰამადანისკენ დაიძრა. სუბუდაი კი ყაზვინს მიაშურა. ისინი ბარცავდნენ ყოველ ქალაქს და სოფელს, წვავდნენ და ანგრევდნენ შენობებს, ხოცავდნენ და ატყვევებდნენ ქალებს, კაცებს და ბავშვებს[4]. ჰამადანის მმართველმა დიდძალი ფულით, ტანსაცმლით, საქონელგითა და პირუტყვით გამოიხსნა ქალაქი[5]. ზენჯანის აღებისა და გაძარცვის შემდეგ მონღოლებმა ყაზვინი აიღეს დიდი ბრძოლით. იბნ ალ-ასირის ცნობით, ქალაქის მცხოვრებთაგან ამ ბრძოლაში 40 ათასი კაცი დაღუპულა.

იმავე (1220) წლის ზამთარში მონღოლები აზერბაიჯანში მივიდნენ. გზად ისინი იპყრობდნენ და აოხრებდნენ პატარა ქალაქებსა და სოფლებს, ძარცვავდნენ და ხოცავდნენ მოსახლეობას. ქალაქი თავრიზი დიდძალი გამოსასყიდლის გადახდით იხსნა ათაბეგმა უზბეგმა[6]. მერე მონღოლებმა საქართველოში შეჭრა სცადეს, დაამარცხეს კიდეც ქართველთა ლაშქარი, მაგრამ იძულებული შეიქნენ უკან გამობრუნებულიყვნენ. სამხრეთ აზერბაიჯანსა და ამიერკავკასიაში მონღოლებმა მრავალი ქალაქი აიღეს, გაძარცვეს და დაანგრიეს. მათ შორის იყო მარაღა, სარავი, არდებილი, ბელაქანი, განჯა, შემახა[7]. შემდეგ კი „განვლეს კარი დარუბანდისა და შევიდეს ყივჩაღეთსა“[8].

---

[1] ჯ უ ვ ე ი ნ ი, ტ. I, გვ. 91.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 92.

[3] В. Т и з е н г а у з е н. Сборник материалов, ტ. I, გვ. 14.

[4] ჯ უ ვ ე ი ნ ი, ტ. I, გვ. 93.

[5] ი ქ ვ ე (მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მონღოლები უკან მიუბრუნდნენ ჰამადანს და ბიჭასთან გაასწორეს ქალაქი).

[6] ი ბ ნ ალ-ა ს ი რ ი. В. Т и з е н г а у з е н. Сборник материалов. ტ. I, გვ. 15.

[7] ი ქ ვ ე, გვ. 15, 17—18, 22—24.

[8] ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 561.

1223 წელს ჯებესა და სუბუდაის რაზმებმა მდ. კალკასთან დაამარცხეს რუსებისა და ყივჩაღთა გაერთიანებული ლაშქარი, მერე ჩრდილოეთით მოუარეს კასპიის ზღვას და ძირითად ლაშქარს შეუერთდნენ.

ჯებესა და სუბუდაის ლაშქრობის შედეგები მეტად სავალალო აღმოჩნდა კავკასიისათვის. ქვეყნები განადგურებული იყო; ქალაქების მოსახლეობის დიდი ნაწილი გაიყლიტა; ქალაქებში თითქმის აღარ დარჩნენ ხელოსნები.

ამით არ დამთავრებულა მონღოლთა მიერ შუა აზიის, ირანისა და ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობა-აოხრება. 1221 წლის დასაწყისში[1] ჩინგიზ ყაენმა „წარმოავლინა შვილი თვისი უმრწამესი თული ხვარასნისა მოთვალვად“[2].

თვითონ ჩინგიზ ყაენი, თერმეზის აღებისა და დანგრევის შემდეგ, ბალხს მიადგა. ქალაქის წარჩინებულნი საჩუქრებითა და მორჩილების გამოცხადებით ეახლნენ მონღოლთა მბრძანებელს. მან ჯერ შეიწყალა მოქალაქენი, შემდეგ ბრძანა, მთელი მოსახლეობა ქალაქიდან გარეთ გამოერეკათ „აღსაწერად“, მებრძოლებს გაუნაწილა ჩვეულებისამებრ და დაახოცინა. ქალაქის გალავანი და სიმაგრეები მოთხარეს, სახლები დაწვეს და დაანგრიეს[3]. ამრიგად, მორჩილების გამოცხადებამ ბალხი ვერ იხსნა აოხრებისაგან და მანაც სხვა ქალაქების ბედი გაიზიარა.

1221 წლის ზამთარში ჯუჩისა და ჩაღათაის რაზმებმა ალყა შემოარტყეს ხორეზმშაჰის სახელმწიფოს დედაქალაქს—გურგანჯს. ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად მათ აიღეს და სრულიად დაანგრიეს ქალაქი. ცოცხლად დარჩენილი მოსახლეობა ქალაქგარეთ გარეკეს. ასი ათასი ხელოსანი გამოარჩიეს, გაიანაწილეს და აღმოსავლეთის ქვეყნებში გაგზავნეს[4]. ჯუვეინი მოგვითხრობს, რომ გურგანჯიდან გადასახლებული ხელოსნები მის დროსაც საკმაოდ დიდი რაოდენობით სახლობდნენ თურქესტანში ბევრ ადგილას[5].

გურგანჯის მცხოვრებთაგან დამპყრობლებმა ახალგაზრდა ქალებსა და ბავშვებს სიცოცხლე შეუნარჩუნეს და ტყვედ წაიყვანეს, დანარჩენები კი მეომრებს გაუნაწილეს და ერთიანად გაიყლიტეს. ჯუვეინის ცნობით, თვითეულ მათგანს 24 კაცი რგებია[6]. მონღოლთა რიცხვი კი 50 ათასს აღემატებოდა[7]. იბნ ალ-ასირი მოგვითხრობს, რომ გურგანჯის აღებისა და გაძარცვის შემდეგ, მონღოლებმა გახსნეს მდ. ჯეიჰუნის ჯებირი, რის შედეგად წყალმა დაფარა მთელი ქალაქი და ყველა, ვინც კი იმ დროს იქ იმყოფებოდა, დაიღუპა[8].

---

[1] ამ დროს ხორეზმშაჰი მოჰამედი უკვე გარდაცვლილი იყო და მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლას მისი ვაჟი ჯელალ ედ-დინი ხელმძღვანელობდა (1220—1231).

[2] ყამთააღმწერელი, გვ. 585.

[3] ჯუვეინი, ტ. I, გვ. 84; რაშიდ ედ-დინი. ТВО, XV, გვ. 114—115.

[4] იქვე. გვ. 81—82.

[5] იქვე, გვ. 82.

[6] ჯუვეინი, ტ. I, გვ. 81.

[7] რაშიდ ედ-დინი. ТВО, XV, გვ. 110; ხონდემირის ცნობით, მონღოლთა ლაშქარში 100 ათასი კაცი ყოფილა (Хондемир. История монголов, გვ. 25).

[8] В. Тизенгаузен. Сборник материалов, ტ. I, გვ. 32.

ამავე დროს თული, რომელსაც ხორასნის ქალაქების აღება ევალებოდა, მერვს მიადგა. ძლიერი ბრძოლის შემდეგ მონღოლებმა ქალაქი აიღეს, ციხე და გალავანი მოთხარეს და მოსახლეობა, გარდა ტყვედ წაყვანილი 400 ხელოსნისა და ახალგაზრდა ქალ-ვაჟებისა, მთლიანად გაწყვიტეს.[1] XV საუკუნის ისტორიკოსისა და გეოგრაფის—ჰაფეზე აბრუს ცნობით, მონღოლებს მერვიდან სულ ორმოცი ხელოსანი წაუყვანიათ — მახვილების, მშვილდების და ისრების მკეთებელი ოსტატები და მჭედლები[2]. მერვმა ამის შემდეგაც რამდენიმეჯერ განიცადა მონღოლთა ბრბოების თარეში, რის გამოც ცხოვრება ქალაქში დიდი ხნით სრულიად ჩაკვდა.

მერვის აღების შემდეგ თულიმ ხორასნის მთავარ ქალაქს — ნიშაბურს შემოარტყა ალყა. მან არ მიიღო მცხოვრებთა წინადადება დამორჩილების შესახებ და ბრძოლით აიღო ქალაქი. საყურადღებო ცნობებს იძლევა ნიშაბურის აღების შესახებ ქართველი ყამთააღმწერელი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ასეთი ცნობები არ გვხვდება არც ერთ სხვა წყაროში ან გამოკვლევაში. ყამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ თული „მივიდა ნიშაბურს, სადა ნიშაბურელთა სამგზის წყობა ყვეს და ბრძოლასა თვის პირველსა ჴელთ იგდო ქალაქი, სადა იგი სამასი ათასი კაცი თავდაკუეთით მოკლა, ხოლო მეორესა ჯერსა ასი ათასი და მესამესა ომსა ოცდათორმეტი ათასი“[3].

ნიშაბურის კედლებთან 1220 წ. შემოდგომაზე მოკლული ჩინგიზ ყაენის სიძის—თოღაჩარის სისხლის სამაგიეროდ[4] განრისხებულმა ყაენმა ბრძანა გაეყლიტათ მოსახლეობა და მიწასთან გაესწორებინათ ქალაქი ისე, რომ მის ადგილზე ხვნა-თესვაც კი ყოფილიყო შესაძლებელი[5]. ისტორიკოსი ჯუზჯანი მოგვითხრობს, რომ ქალაქის დანგრევის შემდეგ გალავანი მოთხარეს და ნაქალაქარი გადახნეს, ასე რომ, ნაგებობათა კვალიც კი აღარ დარჩაო[6]. საყოველთაო ხოცვა-ყლეტას გადაურჩა მხოლოდ 400 ხელოსანი, რომელნიც თურქესტანში გადაასახლეს.

ისტორიკოს ნესავის სიტყვით, „ეს მაგალითი გამოდგება ხორასნის, ხორეზმის, ერაყის, მაზანდარანის, აზერბაიჯანის, ღურის, ღაზნის, ბამიანის და სეჯესტანის ქალაქების მიმართაც, ვიდრე ინდოეთის საზღვრებამდე“[7],

---

[1] ჯ უ ვ ე ი ნ ი, ტ. I, გვ. 102.

[2] چهل تن را از صناع چون سیاف و قوّاس و سهام و حدادرا بجان دادند امان— ჰ ა ფ ე ზ ე ა ბ რ უ. ციტ. ხელნაწერი, ფ. 225 ბ.

[3] ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 586.

[4] თულიმ რომ ხორასნის ქალაქების დაპყრობის ბრძანება მიიღო, თოღაჩარი ავანგაოდში გაგზავნა 10 ათასი მეომრით. მან ნიშაბურს შემოარტყა ალყა, მაგრამ ბრძოლაში მოიკლა აქ მისი ლაშქარი ორად გაიყო: ერთმა სებზევარი აიღო და 70 ათასამდე კაცი გაჟლიტა, მეორემ კი ტუსს მიაშურა, სადაც უკვე ბრძოლა წარმოებდა სიმაგრეების ასაღებად. მონღოლებმა ეს ქალაქიც აიღეს, მოსახლეობა დახოცეს, სიმაგრეები კი დაანგრიეს (ჯ უ ვ ე ი ნ ი. ტ. I. გვ. 110—111).

[5] ი ქ ვ ე, გვ. 112.

[6] ჯ უ ზ ჯ ა ნ ი, გვ. 351.

[7] МИТТ, ტ. I, გვ. 475.

რადგან „მომხდარი ამბები ერთი მეორეს წააგავს და არაფერი ყოფილა გარდა საყოველთაო ხოცვა-ყლეტისა და ნგრევისა“ [1].

ჰერათი თავდაპირველად გადაურჩა გაძარცვასა და დანგრევას. ქალაქი ნებაყოფლობით დანებდა მტერს და ამიტომ მონღოლებს მისთვის ზიანი არ მიუყენებიათ. მათ მხოლოდ ხორეზმშაჰის თორმეტი ათასი მეომარი დახოცეს აქ და ათასი ხელოსანი ოჯახებითურთ, მათ შორის ასი ფეიქარი და დანარჩენები სხვა ხელობისა, თურქესტანში გადაასახლეს [2]. შემდეგ მათ თავისი გაბგებელი („შეჰნე“) დააყენეს ქალაქში და გაეცალნენ. მას შემდეგ, რაც ჯელალ ედ-დინის მიერ ბამიანსა და ღაზნასთან მონღოლთა ლაშქრის დაბარცხების ამბავი ცნობილი შეიქნა, ხორასნის ყველა ქალაქი, სადაც მონღოლებს თავისი შეჰნეები ჰყავდათ დანიშნული, აჯანყდა (მათ შორის ჰერათიც) და მონღოლი მოხელეები დახოცეს. ამის გამო, მონღოლები მიუბრუნდნენ ჰერათს, ბრძოლით აიღეს იგი, გაძარცვეს და დაანგრიეს, მოსახლეობა კი ძთლიანად გაყლიტეს [3].

მალე ჩინგიზ ყაენი თავისი ლაშქრით უკან გაბრუნდა და 1225 წელს მონღოლეთში მივიდა, სადაც მალე გარდაიცვალა (1227 წ.).

ჩინგიზ ყაენს საბოლოოდ არ დაუმორჩილებია შუა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნები. მართალია, მაველანნაჰრსა და ხორეზმში მონღოლებს 1223 წლის შემდეგ სერიოზული მოწინააღმდეგეები აღარ ჰყოლიათ, მაგრამ ირანი და ამიერკავკასია ჯერ კიდევ არ იყო დაპყრობილი და შემომტკიცებული.

ბალე ინდოეთიდან ირანს დაბრუნდა ხორეზმშაჰი ჯელალ ედ-დინი, რომელიც მონღოლებზე ნაკლები ზიანი როდი მიაყენა ირანსა და ამიერკავკასიას. ეამთააღმწერლის სიტყვით, ხორეზმშაჰი „იყო კაცი მჭნე, ქველი, შემმართებელი, უშიში, ვითარ უკორცო, ძალითა საჩინო, წყობათა შინა უცბო“ [4]. ბაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავს აკად. ივ. ჯავახიშვილი, „სპარსეთისა, ადარბაგანისა და საქართველოსათვის ჯალალედინის მოღვაწეობას ზიანის მეტი არა მიუყენებია რა [5]“. ჯელალ ედ-დინი, რომელიც ქრისტიანთა მიმართ შეუწყნარებელ რელიგიურ პოლიტიკას ატარებდა და ხშირად მონღოლებზე ძეტ საშინელებას სჩადიოდა, ამავე დროს, დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის შეუბრალებელ ექსპლოატაციასაც ეწეოდა. ამის გამო ძან ვერ შეძლო შუა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ძალთა დარაზმვა მომხდური მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, ლაშქარი თანდათან შემოეფანტა და მარტოდ დარჩენილი მოიკლა 1231 წელს.

მონღოლთა სახელმწიფოს ახალმა უზენაესმა მბრძანებელმა უგედეი ყაენმა ტახტზე ასვლისთანავე დიდი ყურადღება მიაქცია ირანისა და ამიერკავკასიის დაპყრობას და რაზმები გამოჰყო დასავლეთში სალაშქროდ. ლაშქარს, რომე-

---

[1] МНТТ, ტ. I, გვ. 473.

[2] ჯ უ ზ ჯ ა ნ ი, გვ. 355. ჰ ა ფ ე ზ ე ა ბ რ უ. ციტ. ხელნაწ., ფ. 228 a.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 351; ჰ ა ფ ე ზ ე ა ბ რ უ. ფ. 228 б.

[4] მარიამისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 558.

[5] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, 1949, გვ. 73.

ლიც 30 ათასი კაცისაგან შედგებოდა, ჩორმაღუნ ნოინი სარდლობდა[1]. მონღოლები ირანში შეიჭრნენ, აიღეს და დაანგრიეს ერაყის, აზერბაიჯანის, გილანის, ტაბარისტანის ქალაქები[2]. ისტორიკოს ჯუზჯანის ცნობით, ერთადერთი ქალაქი, ირანის ერაყში, რომელიც დანგრევას გადაურჩა, ისფაჰანი იყო. იგი მხოლოდ ამ ქვეყანაში მონღოლთა გამოჩენის 15 წლის შემდეგ იქნა აღებული[3].

ჩორმაღუნ ნოინმა ყუმისა და ქაშანის მახლობლად დაიბანაკა და აქედან დაგზავნა რაზმები სხვადასხვა მიმართულებით[4]. ფარსის ათაბეგმა და ქერმანის გამგებელმა ყოველწლიურად გარკვეული ხარკის ძლევა აღუთქვეს მონღოლებს და ამით იხსნეს ირანის ეს ოლქები აოხრებისაგან[5].

მონღოლები ამიერკავკასიასაც შეესივნენ და აქაც ისეთივე ამბები დაატრიალეს, რაც სხვაგან. აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში მათ მრავალი დიდი თუ მცირე ქალაქი აიღეს და გაძარცვეს. „ამ ლაშქრის რაზმები — მოგვითხრობს სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ორბელიანი, — ქარიშხალივით შემოიჭრნენ ჩვენს ქვეყანაში, მოკლე ხანში დაიპყრეს მთელი სამყარო, ფეხქვეშ გათელეს და ააოხრეს მთელი სამეფო: აიღეს ხორასანი და დაანგრიეს ხალხმრავალი ქალაქები: ბალხი, ჰერათი, მერვი, ნიშაბური, ტუსი და დამღანი; დაიპყრეს სუზუსტანი, ლურესტანი, სპარსეთი, კოჰესტანი, არაბისტანი...დაიპყრეს აზერბაიჯანი, არანი, სომხეთი და საქართველო.“[6] მონღოლური ხანის სომეხ ისტორიკოსებს და ქართველ ქამთაალმწერელს საკმაოდ ვრცლად აქვთ აღწერილი ის ნგრევა-განადგურება, რაც მონღოლებმა მოუტანეს ამიერკავკასიის ქვეყნებს[7].

შედარებით მოკლე ხანში მონღოლებმა აიღეს, გაძარცვეს და ააოხრეს განჯა, შამქორი, ლორე, ანისი, დმანისი, თბილისი და სხვა ქალაქები. კირაკოს განძაკელი მოგვითხრობს, მონღოლებმა თანდათანობით ისე მოასუფ-

---

[1] Djami et-tevarikh... Tarikh-i Moubarek-i Ghazani, éditeé par E. Blochet. t. II, contènant l'histoire des l'èmpereurs Mongols successeurs de Tchinkiz-Khagan, London, 1911, GMS, vol. XVIII/2, გვ. 18. ჯუზჯანის ცნობით, მონღოლთა ლაშქარი 50 ათასი კაცისაგან შედგებოდა (გვ. 387); ქამთაალმწერელი მოგვითხრობს, რომ ყაენმა გამოგზავნა ოთხი ნოინი—ჩორმაღუნი, ჩაღათაი, იასაური და ბაიჩუ, რომელთა შორის „უპირველესი“ ჩორმაღუნი იყო. თვითეულ მათგანს 10 ათასი მეომარი ჰყოლია (გვ. 589—590); შდრ. კირაკოს განძაკელი. История монголов по армянским источникам, вып. II, Перевод К. П. Патканова, СПб. 1874, გვ. 13—14.

[2] ჯუზჯანი, გვ. 387; შდრ. ქამთაალმწერელი, გვ. 590.

[3] ჯუზჯანი, გვ. 387; კირაკოს განძაკელის ცნობით, მონღოლებს ამჯერად ისფაჰანიც აუღიათ (История монголов по армянским источникам, вып. II, გვ. 11—15).

[4] ჯუზჯანი, გვ. 388.

[5] იქვე.

[6] История монголов по армянским источникам, вып. I, გვ. 32.

[7] История монголов инока Магакии XIII века, Перевод К. П. Патканова, СПб, 1871, გვ. 8—9; История монголов по армянским источникам, вып. I, გვ. 32—33; История монголов по армянским источникам, вып. II, გვ. 13—18, 21, 22, 30—32, 35—36; მარიამისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 589—592.

თავეს აქაურობა, რომ ბოლოს და ბოლოს აღარაფერი იზიდავდა მათ ამ მხარეშიო [1].

ამის შემდეგ მონღოლებმა მცირე აზიაც ააოხრეს რამდენიმე თვეში; ქალაქები გაძარცვეს და დაანგრიეს, მოსახლეობა დახოცეს, ხელოსნები კი დაატყვევეს და უკან გამობრუნდნენ.[2]

ამგვარად, XIII საუკუნის 40-იანი წლებისთვის თითქმის მთელი ირანი უკვე მონღოლთა ხელში იყო, თუმცა კი მათი ბატონობა ჯერ კიდევ არ იყო აქ მტკიცე.

მონღოლთა ურდოების შემოსევებმა უდიდესი უბედურება მოუტანა წინა აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს და დიდი ხნით შეაფერხა მათი განვითარება. განსაკუთრებით დაზარალდა შემოსევების დროს შუა აზიის, ირანისა და ამიერკავკასიის ქალაქები.

მონღოლები, რა თქმა უნდა, არც სოფლებს ინდობდნენ. სოფლების გადაწვა და მოსპობა, ნათესების განადგურება და ბაღების გაჩეხვა, მიზნად ისახავდა გაშლილი ველების—საძოვრებისა და სანადირო ადგილების შექმნას. თავისთავად ცხადია, რომ ყველაფერს ამას თან სდევდა სოფლის მეურნეობის დაცემა, რაც ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო ქალაქების და საქალაქო ცხოვრების დაცემა-დაქვეითებისა მომავალში. ფეოდალურ ხანაში, როცა სოფელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როცა სოფლის მეურნეობაა გადამწყვეტი ქვეყნის ცხოვრებაში და არა ვაჭრობა და ხელოსნობა, სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მთელს მაშინდელ მახლობელ აღმოსავლეთში არ აღმოჩნდა ისეთი ძალა, რომელიც შეძლებდა წინ აღდგომოდა მონღოლებს. ხორეზმშაჰი მოჰამედი, რომელსაც საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავდა, მაგრამ რომელიც ბრ ენდობოდა ამ ჯარს, შიშით შეპყრობილი გარბოდა. დამახასიათებელია, რომ გენერალური ბრძოლა ჩინგიზ ყაენისა და ხორეზმშაჰის ჯარებს შორის არ მომხდარა. მონღოლებმა ნაწილ-ნაწილ გაანადგურეს მოჰამედის ლაშქარი. მეტად საინტერესოა მონღოლური ხანის ისტორიკოსთა თვალსაზრისი ამ საკითხში. „მე გამაოცა იმ შიშმა, რომელმაც მოიცვა საბელმწიფოს ბურჯები და დიდებულნი. ამასთან, მათ არ სჯეროდათ, რომ რომელიმე სიმაგრეს შეეძლო მათი დაცვა ან, რომ რაიმე ძალა შეძლებდა მოეგერიებინა და განედევნა მტერი“.—წერს მოჰამედ ნესავი.[3]

ფეოდალური არისტოკრატია უძლური აღმოჩნდა. მან ვერ შეძლო, განსაცდელის ჟამს სათავეში ჩადგომოდა ხალხთა მასების ბრძოლას და სათანადო წინააღმდეგობა გაეწია მტრისათვის.

ყველგან, როგორც შუა აზიაში, ასევე ირანში, ამიერკავკასიასა და სხვა ქვეყნებშიც, მონღოლთა წინააღმდეგ ყველაზე აქტიურად იბრძოდნენ

---

[1] История монголов по армянским источникам, вып. II, გვ. 15.

[2] В. А. Гордлевский. Государство Сельджукидов Малой Азии, გვ. 35—37; ჟამთააღმწერელი, გვ. 600—604.

[3] МИТТ, ტ. I, გვ. 475.

ხალხთა მასები, განსაკუთრებით, ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენები—ხელოსნები და ქალაქის ღატაკები. ისინი მედგრად იცავდნენ ქალაქებს და მას შემდეგაც კი არ ნებდებოდნენ მტერს, როცა ქალაქის მმართველი თუ მფლობელი ფეოდალები მორჩილებას განუცხადებდნენ ხოლმე მონღოლებს.

XIII საუკუნის შუა წლებისათვის მონღოლთა მფლობელობაში იმყოფებოდა ხორასანი, ირანის ერაყი, ჩრდილოეთ ირანის ნაწილი, ამიერკავკასია (სომხეთი და აზერბაიჯანი მონღოლებს დაპყრობილი ჰქონდათ, აღმოსაელეთ საქართველო კი მათ ვასალად აღიარებდა თავს) და მცირე აზიის აღმოსავლეთი ნაწილი. მაგრამ, როგორც რაშიდ ედ-დინი შენიშნავს, მონღოლთა ბატონობა აქ არ იყო მტკიცე[1].

გილანის, მაზანდარანისა და კოჰესტანის მთებში ბატონობდნენ ისმაილიტები, რომელნიც მტრულად იყვნენ განწყობილნი მონღოლთა მიმართ და დიდ ზიანსაც აყენებდნენ მათ თავიანთი ფედაების საშუალებით[2]. ისმაილიტთა ორდენს აქ მრავალი ციხე ჰქონდა, რომელთა შორის მთავარი იყო ორდენის მეთაურის რეზიდენცია ალამუთი. მათვე ეკუთვნოდათ ციხეების ახლომახლო მდებარე მიწებიც.

ფარსში, ქერმანსა და ლურესტანში ბატონობდნენ ადგილობრივი დინასტიები, რომლებიც მონღოლთა ვასალებად ცნობდნენ თავს[3].

არაბეთის ერაყი ბაღდადითურთ და ხუზისტანის ნაწილი ხალიფას სამფლობელოს შეადგენდა; მცირე აზიაში სამი ვასალური სახელმწიფო არსებობდა—რუმის სასულთნო, ტრაპიზონის საკეისრო და კილიკიის სომხური სამეფო. სირიას არ შეხებია მონღოლთა პირველი შემოსევები.

## 2. ილხანთა სახელმწიფო

### § 1. ილხანთა ირანი XIII საუკუნის მეორე ნახევარში

როცა ჩინგიზ ყაენის შვილიშვილი მანგუ (1251—1259) ყაენის ტახტზე დაჯდა, მან მოინდომა საბოლოოდ შემოემტკიცებინა ირანი და მიმდგომი ქვეყნები, რადგან, შენიშნავს რაშიდ ედ-დინი, ჩინგიზ ყაენისა და უგედეი ყაენის მეფობაში ეს ქვეყნები არ ყოფილა საბოლოოდ დაპყრობილი, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმეჯერ გაგზავნეს ამირები და ბოლოს კი ჩორმაღუნი გაიგზავნა სრული ლაშქრითო[4].

1252 წელს მოწვეულ ყურულთაიზე გადაწყდა ლაშქრობის მოწყობა, როგორც აღმოსავლეთში—ჩინეთის დასაპყრობად, ასევე დასავლეთში—ირანისა და მიმდგომი ქვეყნების დასამორჩილებლად. აღმოსავლეთში გაგზავნილ

---

[1] რაშიდ ედ-დინი. ТВО, XV, გვ. 228.

[2] იხ. მაგ., ჟამთააღმწერლის მოთხრობა ერთი ისმაილიტის მიერ ჩაღათაი ნოიონის მოკვლის შესახებ (მარიამისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 624—625).

[3] Лэн-Пуль. Мусульманская династия. Перевод с примечаниями и дополнениями В. В. Бартольда, СПб, 1899, გვ. 145, 147, 152.

[4] რაშიდ ედ-დინი. ТВО, XV, გვ. 228.

ლაშქარს სათავეში ჩაუდგა მანგუ ყაენის ძმა ყუბილაი, ხოლო დასავლეთში — მისივე მეორე ძმა ჰულაგუ[1].

საინტერესო ცნობა მოეპოვება ამ ლაშქრობათა შესახებ ჟამთააღმწერელს. ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, მანგუ ყაენმა ყუბილაის „უბრძანა ლაშქრობა დასავლეთით კერძო, ბაბილოვანსა, რომელ არს ბაღდადი და ეგვიპტისა და ყოვლისა დასავლეთისა კერძთა [დაპყრობა]", ჰულაგუს კი „უბრძანა წასვლა დიდ[ი]თა [ლაშქრითა] ინდოეთად". მაგრამ ყუბილაის „ძნელად აღუჩნდა... წარმოსვლა დასავლეთით"[2], რის გამოც ძმებნა მანგუ ყაენთან შეთანხმებით „განცვალეს ლაშქრობა"[3].

დაიწყო მზადება ჰულაგუს ლაშქრობისათვის. ყაენმა ბრძანა, ჩინგიზ ყაენის კუთვნილი მთელი ლაშქრიდან ათ კაცზე ორი გამოეყოთ ჰულაგუს ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად. აშგვარად, დასავლეთისკენ გამოგზავნილ ლაშქარში ყველა ულუსების წარმომადგენლები იყვნენ. მანგუ ყაენის ბრძანებით, მთელი ეს ლაშქარი ჰულაგუს ინჯუს შეადგენდა[4]. ამას გარდა, ჩინეთიდან ჩამოიყვანეს საალყო მანქანებისა და ცეცხლმტყორცნელი იარაღის მკეთებელი ათასი ხელოსანი[5]. მიღებულ იქნა ზომები ხიდების აღსადგენად; საძოვრები ჰულაგუს ჯარის მიერ გასაველელ გზაზე ნაკრძალად გამოაცხადეს. ბაიჩუსა და ჩორმაღუნის რაზმებს, რომლებიც ადრე იყვნენ ირანში მისული, დაევალათ რუმს წასვლა და საპირო სურსათის დამზადება[6].

1253 წლის შემოდგომაზე ჰულაგუ დიდი ლაშქრით დასავლეთისკენ დაიძრა. ჟამთააღმწერლის ცნობით, მისთვის მანგუ ყაენს 60 ათასი („ექვსი ბევრი") მხედარი მიუცია. მეტად საყურადღებოა ქართველი ისტორიკოსის ცნობა იმის შესახებ, რომ მონღოლთა ლაშქარი წამოსულა „დედაწულითა მათითა და ხვასტაგითა"[7]. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჰულაგუსთან ერთად ირანში დაახლოებით 250—300 ათასი მონღოლი უნდა მოსულიყო. მას შემდეგ, რაც ჰულაგუ დაიპყრობდა ირანს, ეს ქვეყანაც და იქ მყოფი ლაშქარიც მისი და მისი შვილების კუთვნილება უნდა გამხდარიყო[8].

რაშიდ ედ-დინი მოგვითხრობს, რომ როცა ჰულაგუ-ხანის ლაშქრის მოახლოვების ამბავი ცნობილი შეიქნა, მის შესახვედრად გაემართნენ მონღოლთა მიერ დაყენებული მმართველები, ადგილობრივი სულთნები და მე-

---

[1] ჟამთააღმწერელს ჰულაგუ და ყუბილაი მანგუს შვილებად მიაჩნია (დასახ. გამოც., გვ. 643, 644).

[2] იქვე, გვ. 643.

[3] იქვე, გვ. 644.

[4] ჯუვეინი, ტ. III, გვ. 57; რაშიდ ედ-დინი. TBO, XV, გვ. 229; Histoire des Mongols de la Perse, écrite en persan par Rashid-Eldin, publiée, traduite en français, accompagnée par de notes et d'un mémoire sur la vie et les ouvrages des l'auteur par M. Quatrmère, t. I, Paris, 1836, გვ. 130 (კვემოთ, რაშიდ ედ-დინი. კატრმერის გამოც.).

[5] ჯუვეინი, ტ. III, გვ. 57; რაშიდ ედ-დინი. ციტ. გამოც., გვ. 132, 134.

[6] ჯუვეინი, ტ. III, გვ. 57, 58; რაშიდ ედ-დინი. ციტ. გამოც., გვ. 134, 136.

[7] მარიამისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 644.

[8] რაშიდ ედ-დინი. TBO, XV, გვ. 229.

ლიქები. მათ შორის იყვნენ რუმის, ფარსის, ირანის ერაყის, ხორასნის, აზერბაიჯანის, არანის, შირვანის და საქართველოს გამგებელნი და დიდებულნი[1]. ამან, თავისთავად ცხადია, მნიშვნელოვნად გაუადვილა ჰულაგუს დასახული მიზნის განხორციელება.

1256 წელს ჰულაგუმ აიღო და მოსთხარა ისმაილიტთა ორდენის მთავარი ციხე სიმაგრეები—ალამუთი, მეიმუნდიზი, ლომბესერი და სხვები. მან ფიზიკურად გაჟლიტა ისმაილიტები, ხოლო ორდენის შეიხი როქნ ედ-დინ ხორშაჰი ყაენის ურდოში გაგზავნა დატყვევებული[2].

იმავე 1256 წელს ჰულაგუ-ხანმა საფუძველი ჩაუყარა მონღოლთა სახელმწიფოს, რომელსაც მისი დამაარსებლის სახელის მიხედვით ჰულაგუიდთა ან ილხანთა[3] სახელმწიფო ეწოდება.

1258 წელს მონღოლთა ლაშქარმა აიღო, გაძარცვა და დაანგრია ქალაქი ბაღდადი და ბოლო მოუღო აბასელთა სახალიფოს არსებობას[4].

ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა ირანი, თანამედროვე თურქმენეთი, ავღანეთის ნაწილი, მცირე აზიის ნაწილი, არაბეთის ერაყი და ამიერკავკასია.

მონღოლთა სამხედრო-მომთაბარული არისტოკრატიის დიდი ნაწილი, რომელშიც ძლიერი იყო ძველი მონღოლური ტრადიციები, მტრულად იყო განწყობილი ბინადარი ცხოვრების, ქალაქებისა და მიწათმოქმედების მიმართ. იგი მტკიცედ იცავდა ძველ მონღოლურ ადათებს, ჩინგიზ ყაენის იასას და წინააღმდეგი იყო დანგრეული ქალაქების აღდგენისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებისა. ამასთან ერთად, მონღოლთა არისტოკრატიის ეს ნაწილი ისლამისა და დაპყრობილი მუსლიმანური ქვეყნების მოსახლეობის მიმართაც მტრულად იყო განწყობილი.

ამ მიმართულების წარმომადგენელნი[5] სრულიად არ ზრუნავდნენ შემოსევების შედეგად აოხრებული ქვეყნების აღდგენაზე; უფრო მეტიც, მათ საერთოდ არ სურდათ ქალაქებში ცხოვრება და დაპყრობილი ქვეყნების მართვაშიც ნაკლებად ერეოდნენ პირველ ხანებში; მათ მხოლოდ ნადავლი და ხარკი აინტერესებდათ და ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შეუბრა-

---

[1] რაშიდ ედ-დინი. კატრმერის გამოც., გვ. 152.

[2] ჰულაგუს ლაშქრის მიერ ისმაილიტთა ციხეების აღება დაწვრილებით აქვთ აღწერილი ჯუვეინის (ტ. III. გვ. 63—80) და რაშიდ ედ-დინს (კატრმერის გამოც., გვ. 166—220).

[3] ილხანი ნიშნავს ელის, ხალხის ხანს.

[4] დაწვრილებით იხ. ჯ უ ვ ე ი ნ ი, ტ. III, გვ. 152—156. (მოთხრობა ბაღდადის აღების შესახებ, რომელიც ნასირ ედ-დინ ტუსის მიეწერება); რ ა შ ი დ ე დ-დ ი ნ ი. კატრმერის გამოც., გვ. 224—312; ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, მარიამისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 659—663.

[5] მომთაბარული არისტოკრატიის წიაღში არსებულ ორ მიმართულებას არა ერთი საბჭოთა ისტორიკოსი შეხებია გაკვრით. უკანასკნელად ეს საკითხი საფუძვლიანად დაამუშავა პროფ. ი. პ. პეტრუშევსკიმ, რომელმაც ორივე მიმართულების წარმომადგენელთა დახასიათება მოგვცა. იხ. И. П. П е т р у ш е в с к и й. Городская знать в государстве Хулагуидов, გვ. 109; Из истории Бухары в XIII в., Ученые записки ЛГУ, Серия востоковедческих наук, вып. I, 1949, გვ. 111—113; Р а ш и д-а д-д и н и его исторический труд, გვ. 12—15.

ლებელი ექსპლოატაციის გზით ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი სიმდიდრე ამოექაჩათ ქვეშევრდომთაგან.

პირველ მიმართულებას ეკუთვნოდნენ ჩინგიზ ყაენი, მისი ვაჟი ჩაღათაი, გუიუქ ყაენი (1246—1248) და სხვები. ამავე მიმართულებისკენ იხრებოდნენ პირველი ილხანებიც.

დაპყრობილი ქვეყნებისადმი ჰულაგუ-ხანის დამოკიდებულების დასახასიათებლად მეტად საყურადღებოა სიტყვები, რომელთაც რაშიდ ედ-დინი ამ მბრძანებელს მიაწერს. ისტორიკოსის სიტყვით, ნასირ ედ-დინ ტუსიმ უამბო ილხანს: როცა მონღოლთაგან დევნილი ხორეზმშაჰი ჯელალ ედ-დინი თავრიზს მივიდა, მისი მეომრები დიდად ავიწროებდნენ მოსახლეობას. ამის შესახებ ხორეზმშაჰს მოახსენეს. მან თქვა: „ჩვენ ახლა ქვეყნის დამპყრობი ვართ და არა მფლობელი. ქვეყნის დაპყრობის დროს კი ქვეშევრდომთა დაცვა წესი არ არის. ხოლო, როცა ჩვენ მფლობელი შევიქნებით ქვეყნისა, სამართალსაც მაშინ მივუზღავთ მომჩივრებსო“. ამაზე ჰულაგუ-ხანმა წარმოთქვა: „ჩვენ, მადლობა მაღალ ღმერთს, კიდეც ვიპყრობთ ქვეყანას და კიდეც ვფლობთ მას. ურჩებისთვის მე დამპყრობელი ვარ, მორჩილთათვის კი გამგებელიო“ [1]. მოტანილი ტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ ილხანები უკვე თავის სამკვიდროდ თვლიდნენ დაპყრობილ ქვეყნებს.

საზოგადოდ, მონღოლურ ულუსებში (ჩინგიზ ყაენის ვაჟებს შორის განაწილებულ სახელმწიფოებში) ალაფისა და ნადავლის მაგიერ მთავარი ყურადღება მოსახლეობის გადასახადების გზით ექსპლოატაციას მიექცა.

მეორე, შედარებით პროგრესულ, მიმართულებას შეადგენდა მონღოლთა არისტოკრატიის მცირერიცხოვანი ნაწილი, რომელსაც შეგნებული ჰქონდა, რომ დაპყრობილ ქვეყნებში ფეხის მტკიცედ მოსაკიდებლად და შემოსავლის მუდმივი წყაროს გასაჩენად აუცილებელი იყო შექმნილიყო საჭირო პირობები ამ ქვეყნებში მიწათმოქმედების, ვაჭრობის და ხელოსნობის საწარმოებლად. ამავე მიმართულებას ემხრობოდნენ დაპყრობილი ქვეყნების სამოხელეო არისტოკრატიის წარმომადგენლები, რომლებიც მონღოლთა სახელმწიფო სამსახურში იმყოფებოდნენ, და, აგრეთვე, მუსლიმანური სასულიერო პირები, რომელნიც დამპყრობელთ მიემხრნენ.

აღნიშნული მიმართულება მიზნად ისახავდა მტკიცე, ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნას; ამისათვის კი საჭირო იყო მონღოლთა სამხედრო-მომთაბარული არისტოკრატიის თვითნებობის და განკერძოებისაკენ მისწრაფების აღკვეთა. ამიტომ, მეორე მიმართულების წარმომადგენელთ საჭიროდ მიაჩნდათ დაპყრობილი ქვეყნების ფეოდალურ წრეებთან დაახლოება, საქალაქო ცხოვრებისა და ვაჭრობისათვის ხელის შეწყობა და დანგრეულ საწარმოო ძალთა აღდგენა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში. ამ მიმდინარეობის მომხრეთა შორის იყვნენ ჩინგიზ ყაენის უფროსი ვაჟი ჯუჩი, დიდი ყაენები უგედეი და მანგუ და სხვები. მეორე მიმართულებამ ჰულაგუიდთა სახელმწიფოში გაიმარჯვა ილხან ყაზანის დროს (1296—1304), ხოლო ჩაღა-

---

[1] რ ა შ ი დ ე დ-დ ი ნ ი. კატრმერის გამოც., გვ. 322, 324.

თაის ულუსში ქებექ-ხანის დროს (1318—1326). მაგრამ ბრძოლა აღნიშნულ ორ მიმართულებას შორის ამით არ დამთავრებულა და მომდევნო საუკუნეებშიც წარმოებდა, როგორც ირანში, ასევე სხვა ქვეყნებშიც.

ადგილობრივი ფეოდალური ძალების გავლენამ მონღოლურ-თურქულ მომთაბარულ არისტოკრატიაში გზა გაიკაფა ილხანთა ირანის სამეურნეო დაქვეითების პირობებში.

მონღოლთა შემოსევების დროს დანგრეული ქალაქებისა და სოფლების უმეტესობა კვლავ ნანგრევებად რჩებოდა, სახნავ-სათესი მიწების დიდი ნაწილი საძოვრებად იყო ქცეული, ხოლო შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, რასაც ბუნებრივად თან მოჰყვა გადასახადთა შემცირებაც. ამას თან ერთოდა მონღოლთა მიერ შემოღებული მძიმე საგადასახადო სისტემა და ის თვითნებობა, რასაც ადგილი ჰქონდა გადასახადების გაწერისა და აკრეფის დროს, რაც საბოლოოდ აჩანაგებდა ისედაც წელში გაწყვეტილ მოსახლეობას.

ამას გარდა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საგარეო ომებში წარუმატებლობამ (სირიაში მამელუკებთან ბრძოლაში და კავკასიაში ოქროს ურდოს მბრძანებლებთან) გამოიწვია სახელმწიფო შემოსავლის შემცირება[1].

ტახტის მაძიებელთა შორის მუდმივი ბრძოლა და გაუთავებელი ფეოდალური შინაომები კიდევ უფრო მეტად ამწვავებდა კრიზისს[2].

ასეთ ვითარებაში მონღოლები შემოსავლის გაზრდის ერთადერთ გზას გადასახადების მომატებაში ხედავდნენ. მწარმოებელი მოსახლეობის ისედაც აუტანელი მდგომარეობა XIII საუკუნის 90-ან წლებში კიდევ უფრო მეტად გაუარესდა.

მოსახლეობა გამოსავალს ძველი ადგილებიდან აყრასა და ახალ ადგილებზე გადასახლებაში ეძებდა, რის გამოც ქალაქები და სოფლები თითქმის მთლიანად დაიცალა[3].

გაძლიერდა მღელვარება გლეხებსა და ქალაქის ღარიბებს შორის. მოსახლეობის ერთი ნაწილი იარაღს ჰკიდებდა ხელს და ტყეებსა და მთებში გადიოდა. რაშიდ ედ-დინის ცნობით, ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობა მფარველობდა ამ რაზმებს და ყოველნაირად ეხმარებოდა მათ. ეს რაზმები გამვლელებს ხვდებოდნენ გზებზე და ძარცვავდნენ, მაგრამ ართმევდნენ

---

[1] И. П. Петрушевский. Рашид-ад-дин и его исторический труд, გვ. 16.

[2] ჰულაგუიდთა სახელმწიფოს კრიზისის შესახებ იხ. Geschichte des Gazan-Han's aus dem Tarih-i-Mubarak-i Gazani des Rašid al-din Fadlallah... Herausgegeben... von Karl Jahn, London, 1940, (GMS, New series, XIV), გვ. 277—280 (ქვემოთ: რაშიდ ედ-დინი. კ. იანის გამოც., ლონდონი); აგრეთვე, А. А. Алиев. К истории феодальных отношений в Азербайджане в XIII—XIV вв., СССА, вып. I; И. П. Петрушевский. დასახ. ნაშრ., გვ. 15—16.

[3] بواسطه سؤ التدبيرات و اتلافات اكثر رعايای ولايت جلای وطن كردند و در ولايتهای غريب خان و مان ساختند و شهرها و ديهها خالی ماند
რაშიდ ედ-დინი. კ. იანის გამოც., ლონდონი, გვ. 248.

მხოლოდ მდიდრებს; ღარიბებსა და არამქონეთ ხელს არ ახლებდნენ და, პირიქით, ნადავლსაც კი უნაწილებდნენ ხოლმე[1].

ამრიგად, ყაზან-ყაენს სათანადო ღონისძიებების განხორციელებას უკარნახებდა, ერთი მხრივ, ადგილობრივი ფეოდალური ორგანიზაციის უპირატესობის შეგნება, ხოლო, მეორე მხრივ, გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა. ეს უკანასკნელი მისი რეფორმების უმთავრესი მიზეზი იყო.

ყაზან-ყაენმა თავისი ვეზირის რაშიდ ედ-დინის დახმარებით სცადა გაეტარებინა მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც ძირითად მიზნად ისახავდნენ, ერთი მხრით, მოსახლეობის ცხოვრების პირობების ერთგვარ გაუმჯობესებას ან, უფრო ზუსტად, მისი გადახდისუნარიანობის გაზრდას, მეორე მხრით კი, მონღოლთა ბატონობისათვის რეალური ეკონომიური საფუძვლის შექმნას მონღოლი მეომრებისათვის მიწების დარიგების გზით.

როგორც რაშიდ ედ-დინს, ისევე ყაზან-ყაენსაც კარგად ესმოდათ შექმნილი ვითარება და ისიც, თუ სად უნდა ეძებნათ კრიზისიდან გამოსავალი. ამასთან ერთად, უნდა შევნიშნოთ, რომ ყაზან-ყაენის რეფორმების საერთო გეგმა და მისი ცხოვრებაში გატარება რაშიდ ედ-დინის საქმე იყო და რეფორმებსაც თვითონ რაშიდ ედ-დინის პოლიტიკური იდეები ედო საფუძვლად[2].

რაშიდ ედ-დინს აუცილებლად მიაჩნდა გადასახადის გადამხდელი მოსახლეობის, პირველ რიგში გლეხობის, მდგომარეობის ერთგვარი შემსუბუქება, რასაც ბუნებრივად უნდა გამოეწვია სახელმწიფო შემოსავლის გაზრდა. რაშიდ ედ-დინის მიერ მისი ვაჟის შეჰაბ ედ-დინისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ: „საჭიროა, რომ მბრძანებელთ სამი ხაზინა ჰქონდეთ: პირველი, ფულის ხაზინა, მეორე—იარაღისა და მესამე—სურსათ-სანოვაგისა და ტანსაცმლის საწყობი. ყველა აღნიშნულ ხაზინებს გასავლის ხაზინებს უწოდებენ, ხოლო საშემოსავლო ხაზინა ქვეშევრდომებია, რომელთა კეთილსინდისიერი შრომითა და უნარით ივსება აღნიშნული ხაზინები. თუ ისინი (ქვეშევრდომები) გაღატაკდებიან, მეფეები ვერც ერთ თავის სურვილს ვეღარ შეისრულებენ"[3].

ასეთივე აზრია გატარებული ყაზან-ყაენის სიტყვაში, რომლითაც მან მონღოლ დიდებულებს მიმართა და ქვეშევრდომთა ზომიერი ექსპლოატაციისაკენ მოუწოდა. რაშიდ ედ-დინი შემდეგნაირად გადმოგვცემს ამ სიტყვის

---

[1] იქვე, გვ. 277—278.

[2] И. П. Петрушевский. Рашид-ад-дин и его исторический труд, გვ.17—18.

[3] باید که حکمرا سه خزینه باشد اول خزینهٔ مال , دوم خزینهٔ سلاح سیوم خزینهٔ ماکولات و ملبوسات و این خزاین‌را خزاین خرج گویند و خزینهٔ دخل رعیت است که این خزاین مذکور از حسن سعی و کفایت ایشان پر شود و چون احوال ایشان خراب باشد ملوک را هیچ کامی محصول نه پیوندد Letters of Rashid-ad-din Fadl Allah. Persian text, ed. by Kahan Bahadur Mohammad Shafi'. Lahore, გვ. 119; სსრკ მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი, რუსოს კოლექცია, B—938, ფ. 50 ბ.

შინაარსს: ყაზან-ყაენმა „ბრძანა, მე თაზიქ[1] რაიათებს არ ვემხრობი; თუ სასარგებლოა, რომ ყველა გავძარცვოთ, ამ საქმეში ჩემზე ძლიერი არავინ არის,—ერთად ვძარცვოთ. მაგრამ თუ მომავალში თაღარისა და საკვების მიღების იმედი გექნებათ და თხოვნით მომმართავთ, სასტიკად მოგეპყრობით. საჭიროა დაფიქრდეთ, რომ თუ ქვეშევრდომთ სასტიკად მოექცევით, ხარებსა და თესლს [წაართმევთ] და პურეულს [პირუტყეს] შეაჭმევინებთ, შემდეგ რაღა უნდა ჰქნათ?“[2].

ყაზან-ყაენის აგრარული პოლიტიკა ნიშნავდა გარკვეულ დათმობას ადგილობრივი ფეოდალური ძალების სასარგებლოდ. ისლამის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება აშკარად მონღოლური ტრადიციების წინააღმდეგ იყო მიმართული, გარდა იმისა, რომ ამ ღონისძიებით ყაზანი მონღოლთა მთავარ ყაენთან ფორმალურ დამოკიდებულებას სწყვეტდა.

## § 2. ქალაქები ილხანთა ირანში

ილხანთა სახელმწიფოს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შესწავლა გვეხმარება მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში მონღოლთა შემოსევებისა და ბატონობის შედეგების გათვალისწინებაში.

აკად. ვ. ვ. ბარტოლდს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ თითქოს მონღოლთა მიერ დანგრეული ყველა ქალაქი აღდგენილ იქნა, ხოლო ბევრი მათგანი მნიშვნელოვნადაც გაიზარდა და ახალი ქალაქებიც დაარსდა[3]. „ნაგებობანი და ეკონომიური ვითარება მოწმობენ უდიდეს განვითარებას წინარე დროსთან შედარებით და ეს პერიოდი წარმოადგენს საუკეთესო ხანას სპარსული არქიტექტურის ისტორიაში[4].—აღნიშნავდა იგი.

აღმოსავლური წყაროების საუკეთესო მცოდნე და შემფასებელი ვ. ვ. ბარტოლდი უნდობლობასაც კი იჩენდა ამ წყაროების მიმართ, როცა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის მონღოლთა შემოსევების შედეგად მიყენებულ ზარალზე მიდგებოდა საქმე. „ფაქტები გვიჩვენებენ, — წერდა ის, რომ ამ ხანის სპარსეთს (ჰულაგუიდთა ხანისა—რ. კ.), მიუხედავად თანამედროვეთა ჩივილისა ქვეყნის სრულ აოხრებაზე და განათლების დაცემაზე, კულტურულად და, ალბათ, ეკონომიურადაც (ხაზგასმა ჩვენია—რ. კ.)

---

[1] თაზიქი—ტაჯიკი, ამ შემთხვევაში ადგილობრივი ბინადარი, მიწისმოქმედი ქვეშევრდომის მნიშვნელობით არის ნახმარი.

[2] روزی [غازان خان] فرمود که من جانب رعیت تازیك نمی دارم اگر مصلحت است تا همرا غارت کنیم برین کار از من قادرتر کسی نیست باتفاق بغارتیم لیکن اگر من بعد تغار و آش توقع دارید و التماس نمایید با شما خطاب عنیف وکنم و باید که شما اندیشه کنید کچون بر رعایا زیادتی کنید و تخم ایشان و غلّها بخورانید من بعد چه خواهید کرد (რაშიდ ედ-დინი. კ. იანის გამოც., ლონდონი, გვ. 269).

[3] В. В. Бартольд. Место Прикаспийских областей в истории мусульманского мира, Баку, 1925, გვ. 69—70.

[4] იქვე, გვ. 71; შდრ. მისივე, Улуг-бек и его время, Петроград, 1916, გვ. 6.

პირველი ადგილი ეჭირა მაშინდელ მსოფლიოში. საქალაქო ცხოვრება განაგრძობდა განვითარებას; იქმნებოდა ახალი სავაჭრო ქალაქები, რომელნიც მონღოლთა შემდეგაც ინარჩუნებდნენ მნიშვნელობას“ [1].

მაგრამ ერთი თუ ორი ახლადაგებული ქალაქის გვერდით ათეულობით ქალაქი დანგრეული რჩებოდა. ვ. ვ. ბარტოლდი კი ძირითადად კულტურული რიგის მოვლენათა და საქარავნო ვაჭრობის განვითარების მიხედვით მსჯელობდა ქვეყნის საერთო ეკონომიურ აღმავლობაზე [2].

ძნელია მონღოლებს მივაწეროთ ის შედარებითი აღმავლობა ქვეყნის ეკონომიური ცხოვრებისა, რასაც ადგილი ჰქონდა ჰულაგუიდთა სახელმწიფოში, მაგალითად, ილხან ყაზანის დროს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ აქაც მოხდა ის, რაც სხვა დროსაც არა ერთხელ მომხდარა ირანშიც და სხვა ქვეყნებშიც: კულტურულად ჩამორჩენილი დამპყრობელნი ადგილობრივი კულტურული მოსახლეობის გავლენის ქვეშ მოექცნენ.

„თავისთავად ცხადია, რომ ყოველთვის, როცა დამპყრობელად ნაკლებ კულტურული ხალხი გამოდის, ეკონომიური განვითარება ფერხდება, ხოლო საწარმოო ძალები ნადგურდება. მაგრამ ხანგრძლივ დაპყრობათა უმრავლეს შემთხვევაში ნაკლებ კულტურული დამპყრობელი იძულებულია შეეგუოს უმაღლეს „სამეურნეო მდგომარეობას“, რომელსაც იგი დაპყრობის შემდეგ ნახულობს; ხდება მისი ასიმილაცია დაპყრობილი ხალხის მიერ და იგი ხშირად იძულებულია მისი ენაც კი შეითვისოს“ [3].

ფ. ენგელსის ეს სიტყვები გვაძლევს გასაღებს იმ შედარებითი სამეურნეო თუ კულტურული აღმავლობის ასახსნელად, რასაც ადგილი ჰქონდა ილხანთა ირანში.

საქალაქო ცხოვრების ერთგვარი გამოცოცხლება ილხანთა ირანში დაპყრობილი ხალხების საქმე იყო და არა მონღოლებისა.

საქალაქო მშენებლობა აქ მეტად თავისებური იყო. მონღოლი ილხანები დიდ ყურადღებას აქცევდნენ თავის სატახტო ქალაქებს, აგებდნენ სასახლეებს, ტაძრებს და სხვა შენობებს, მაგრამ მოსახლეობას ამით არაფერი ემატებოდა. რაშიდ ედ-დინის სიტყვით, მონღოლთა შემოსევების დროს აოხრებული ადგილები კარგა ხანს რჩებოდა აღუდგენელი. საბფლობელოთა მბოლოდ ერთი მეათედი იყო კეთილმოწყობილი, დანარჩენი კი დანგრეული. ისტორიკოსის სიტყვებიდან ირკვევა, რომ პირველი ილხანები საერთოდ ნაკლებად ზრუნავდნენ დანგრეულის აღდგენაზე, ხოლო თუ ზოგჯერ იწყებდნენ ამა თუ იმ ადგილზე შენობის აგებას (ჰულაგუს, აბაღას, არღუნის და ქეიღათუს დროს ალათაღში, ურმიაში, სოღურლუუში, სეჯასში, ხაბუშანში, ზენჯანსა და სხვა ქალაქებში), ამის გამო სხვა ოლქები კიდევ უფრო მეტად ოხრდებოდა. მშენებლობაზე აუარებელი თანხები იხარჯებოდა,

---

[1] В. В. Бартольд. Улуг-бек и его время, გვ. 5; შდრ. Место Прикаспийских областей, გვ. 69.

[2] А. М. Беленицкий. К вопросу о социальных отношениях в Иране в хулагуидскую эпоху, გვ. 111.

[3] ფ. ენგელსი. ანტი-დიურინგი, გვ. 216—217.

გლეხები ძალით გამოჰყავდათ ბეგარაზე, მაგრამ თითქმის არც ერთი მშენებლობა არ მიუყვანიათ ბოლომდე[1].

ქალაქებში ყოველი ათი სახლიდან ხუთი მიტოვებული ყოფილა და, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი საცხოვრებლად, მათ ანგრევდნენ, რადგან პატრონი არსად ჩანდა[2].

მხოლოდ ყაზან-ყაენის დროს მიექცა ერთგვარი ყურადღება საქალაქო მშენებლობას. რაშიდ ედ-დინის სიტყვით, ყაზანს განსაკუთრებული ზომები მიუღია დანგრეული ქალაქებისა და აოხრებული ადგილების აღსადგენად. მან სანდო მოხელეებს დაავალა მშენებლობის საქმეები და ფულიც მათ ჩააბარა; შედგენილ იქნა ზუსტი ხარჯთაღრიცხვები და სხვ.[3].

ილხანმა ყაზანმა ყურადღება მიაქცია სარწყავი სისტემის აღდგენასაც, რომელიც მონღოლთა პირველი შემოსევების დროიდან მოშლილი და მიტოვებული იყო. მისი ბრძანებით სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხეებში დაიწყეს სარწყავი არხებისა და ქარიზების გაყვანა[4].

ყაზანმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქალაქ თავრიზის კეთილმოწყობას, რომელიც მის დროს სახელმწიფოს დედაქალაქი გახდა. ქალაქის ძველი გალავანი, რომლის სიგრძე 6 ათას ნაბიჯს უდრიდა და ათი კარი ჰქონდა[5], ნახევრად დანგრეული იყო[6].

ამას გარდა, მას შეძდეგ, რაც თავრიზი სატახტო ქალაქი გახდა, მას დიდძალი მოსახლეობა მოაწყდა; ქალაქში რომ აღარ იყო ადგილი, ხალხი გალავანს გარეთ სახლდებოდა[7]. ჰამდალაჰ ყაზვინის სიტყვით, თვითეულ კართან თვითონ ქალაქზე უფრო დიდი დასახლებული ადგილები გაჩნდა[8].

ყაზან-ყაენმა გადაწყვიტა ახალი გალავანი შემოეკლო თავრიზისთვის, იმ ანგარიშით, რომ ქალაქის გარშემო აშენებული სახლები, ბაღები და სოფლებიც გალავანს შიგნით მოხვედრილიყო[9]. ახალი გალავნის სიგრძე 25 ათას ნაბიჯამდე გაიზარდა და 6 კარი ჰქონდა დატანებული (მათი სახელწოდებები, ისევე, როგორც ძველი გალავნის ათი კარისაც, ჩამოთვლილი აქვს ჰამდალაჰ ყაზვინის თავის გეოგრაფიულ თხზულებაში)[10].

გალავანს შიგნით ყოველ კართან აგებულ იქნა თითო დიდი ქარვასლა,

---

[1] რაშიდ ედ-დინი. კ. იანის გამოც., ლონდონი, გვ. 350—351; შდრ. იქვე, გვ. 201—202.

[2] იქვე, გვ. 351.

[3] იქვე, გვ. 202.

[4] იქვე. გვ. 202—204.

[5] The Geographical part of the Nuzhat-al-Qulub, composed by Hamd-Allah Mustawfi of Qazwin. Ed. by G. Le Strange. GMS, XXIII, 1, Leyden—London, 1915, გვ. 76 (ქვემოთ: ჰამდალაჰ ყაზვინი. ნოზჰათ ალ-ყოლუბ), გვ. 76.

[6] რაშიდ ედ-დინი. კ. იანის გამოც., ლონდონი, გვ. 204—205.

[7] ესეც მოწმობს, რომ სხვა ადგილების კეთილმოწყობაზე არავინ ზრუნავდა და მოსახლეობაც იმ ქალაქისკენ მიისწრაფოდა, სადაც შედარებით მეტი წესრიგი და ცხოვრების შედარებით უკეთესი პირობები იყო.

[8] ჰამდალაჰ ყაზვინი. ნოზჰათ ალ-ყოლუბ, გვ. 76.

[9] იქვე; რაშიდ ედ-დინი. ციტ. გამოც., გვ. 205.

[10] ჰამდალაჰ ყაზვინი. ნოზჰათ ალ-ყოლუბ, გვ. 76.

ოთხი ბაზარი და აბანოები, აგრეთვე, შენობები „ქარხნებისათვის“ [1] და პირუტყვის სადგომები [2].

სხვა მონღოლ მბრძანებელთაგან განსხვავებით, რომელთა საფლავების ადგილი ცნობილი არ იყო მონღოლური ადათის გამო, ყაზანმა გადაწყვიტა მუსლიმანური წესით აეშენებინა თავისთვის აკლდამა. ამ მიზნით მან თაბრიზის დასავლეთით, იმ ადგილზე, რომელსაც შამი ან შამბი ეწოდებოდა, ააგო მთელი სისტემა საქველმოქმედო დაწესებულებებისა (ابواب البر) [3], რომლის შუაში ილხანის მომავალი საძვალე (گنبد عالی) იყო აღმართული, ხოლო მის გარშემო თორმეტი ჩხრით—საკრებულო მეჩეთი (مسجد جامع), შაფიიტებისა და ჰანიფიტების მედრესეები (مدارس شافعیه و حنفیه), დერვიშთა სავანე (خانقاه), სეიდების თავშესაფარი (دار السیاده), ობსერვატორია (رصد), საავადმყოფო (دار الشفا), წიგნსაცავი (بیت الکتب), ბეით ალ-კანუნი [4] (بیت القنون), დახურული წყალსაცავი (حوضخانه) და უფასო აბანო (گرمابه سبیل). აქვე იყო მოთავსებული აღნიშნულ საქველმოქმედო დაწესებულებათა გამგებლის—მოთავალის სამმართველო (بیت المتولی) [5].

სპეციალური წყალობის სიგელით ყაზანმა დიდძალი ქონება, თანხა და მიწები შესწირა ამ დაწესებულებებს [6].

თავისთავად ცხადია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი „საქველმოქმედო“ დაწესებულებები ლარიბებისა და უქონელთათვის არ ყოფილა აგებული. რაშიდ ედ-დინი შენიშნავს: ყაზანმა ბრძანა, რომ ზემოხსენებულ აბვაბ ალ-ბირრში თავისი დროის ყველაზე სრულყოფილი ხალხი დასახლდეს და მუდმივად იქ იმყოფებოდნენო [7].

---

[1] ქარხანა (کارخانه) მონღოლური პერიოდის დამახასიათებელი დიდი სახელოსნო იყო, რომელიც მეტწილად ხანს ან მისი ოჯახის წევრებს ეკუთვნოდა და, სადაც მონღოლთა მიერ დატყვევებული და მონად ქცეული ხელოსნების შრომა იყო გამოყენებული.

[2] რაშიდ ედ-დინი. ციტ. გამოც., გვ. 206.

[3] ამ ტერმინის მნიშვნელობა არ არის მთლად ნათელი. ინგლისელი ორიენტალისტი გ. ლე-სტრენჯი თარგმნის „საქველმოქმედო დაწესებულებად“ („Charitable foundation“.—The Geographical part of the Nuzhat-al-Qulub... Translated by G. Le Strange. GMS, XXIII, 2, გვ. 83). ასევე თარგმნის ა. კ. არენდსიც („Благотворительные учреждения.“—Рашид-ад-дин. Сборник летописей, т. III, Перевод А. К. Арендса. გვ. 226), თუმცა უფრო ხშირად უთარგმნელად ტოვებს („абваб-ал-бирр“—იქვე, გვ. 228—229, 231—232 და სხვ.); პროფ. ი. პ. პეტრუშევსკის აზრით, „აბვაბ ალ-ბირრი“ ერთ-ერთი სახე იყო ვაკფისა, რომელიც შაჰების, სეიდების, სუფიური შეიხებისა და სხვა „წმინდანთა“ აკლდამებს ეძლეოდა. (И. П. Петрушевский. Хамдаллах Казвини как источник по социально-экономической истории Восточного Закавказья. Известия АН СССР, Отд. общественных наук, 1937, № 4, გვ. 890).

[4] რაშიდ ედ-დინის სიტყვით, ამ დაწესებულებაში ინახებოდა ჰულაგუიდთა სახელმწიფოს ყველა დასახლებული ადგილის აღწერის დავთრები და საგადასახადო ნუსხები. აქვე ხდებოდა ამ ნუსხების განახლება, გადათვთრება და სხვ. (რაშიდ ედ-დინი. ციტ. გამოც., გვ. 211).

[5] იქვე, გვ. 209—211.

[6] იქვე, გვ. 204, 209—212; ჰამდალაჰ ყაზვინი. ნოზჰათ ალ-ყულუბ, გვ. 80.

[7] რაშიდ ედ-დინი. ციტ. გამოც., გვ. 215.

ცოტა ხნის შემდეგ იმ ადგილზე, სადაც აბვაბ ალ-ბირრი იყო აგებული, ილხანმა საფუძველი ჩაუყარა ახალ ქალაქს — ღაზანიეს, რომელიც რაშიდ ედ-დინის სიტყვით, ძველ თავრიზზე მეტი იყო ფართობით[1].

უფრო ადრე ყაზანმა აღადგინა ქალაქი უჯანი და სახელმწიფოს სატახტო ქალაქად აქცია იგი (თავრიზამდე). უჯანს ახალი გალავანი შემოავლეს, რომლის სიგრძე 3 ათას ნაბიჯს უდრიდა. ყაზანსვე აუგია კასპიის ზღვის პირას ქალაქი მაჰმუდაბადი[2] (ყაზანის მუსლიმანური სახელი მაჰმუდი იყო).

ყაზანის უმცროსმა ძმამ და მემკვიდრემ სულთანმა ოლჯეითუმ თავისი ვაჟის აბუ-საიდის დაბადების აღსანიშნავად განაგრძო იმ ქალაქის მშენებლობა, რომელიც ჯერ კიდევ მამამისმა ილხანმა არღუნმა დაიწყო. ოლჯეითუმ ქალაქს სულთანიე უწოდა და სახელმწიფოს სატახტო ქალაქად აქცია იგი. ქალაქის მშენებლობა 1313 წელს დამთავრდა. ჰამდალაჰ ყაზვინი მოგვითხრობს, რომ თავრიზს გარდა არსად არის იმდენი დიდი შენობა, რამდენიც ამ ქალაქშია. ოლჯეითუს ქალაქისთვის ახალი გალავნის შემოვლება დაუწყია, რომლის სიგრძე 30 ათას ნაბიჯს უდრიდა, მაგრამ გალავნის მშენებლობა დაუმთავრებელი დარჩა ილხანის სიკვდილის გამო. აქვე ოლჯეითუმ თლილი ქვისაგან ააგო ციხე, რომლის სიგრძე წრეხაზში ორი ათას ნაბიჯს უდრიდა[3].

ოლჯეითუს სახელთანვეა დაკავშირებული ქალაქ სულთანაბადის დაარსება ბისუთუნის მთის ძირას და აგრეთვე სულთანაბადისა მულანში, კასპიის ზღვის სანაპიროზე[4].

ფართო სააღმშენებლო მოღვაწეობას ეწეოდა ყაზანისა და ოლჯეითუს პირველი ვეზირი, ისტორიკოსი რაშიდ ედ-დინი. მან თავრიზის ახალი გალავნის შიგნით, ვალიან ქუჩაში ააგო ქალაქი, რომელსაც რაშიდის უბანი უწოდა (ربع رشيدى). ამ უბნის ვრცელი აღწერილობა დაგვიტოვა თვითონ რაშიდ ედ-დინმა თავისი ვაჟის სა'ად ედ-დინისადმი მიწერილ წერილში[5].

რაშიდის უბანში, მისი დამაარსებლის სიტყვით, 30 ათასი სახლი ყოფილა (ამგვარად, თუ ربع-ს ქალაქის მეოთხედ ნაწილად მივიჩნევთ, მთლიანად თავრიზში დაახლოებით 120 ათასი სახლი უნდა ყოფილიყო). ამას გარდა, იქვე აგებული იყო 24 დიდი ქარვასლა, ათას ხუთასი დუქანი, აბანოები, წისქვილები, საფეიქრო და ქაღალდის მკეთებელი სახელოსნო—„ქარხნები“ (کارخانهای شغر بافی و کاغذ سازی), სამღებრო (رنگ رزخانه), ზარაფხანა (دار الضرب) და სხვ. ბევრი იყვნენ რაშიდის უბანში ხელოსნები, რომლებიც სხვადასხვა ოლქებიდან და ქვეყნებიდან ჰყავდათ აქ მოყვანილი.

---

[1] რაშიდ ედ-დინი. ციტ. გამოც., გვ. 206.

[2] ჰამდალაჰ ყაზვინი. ნოზჰათ ალ-ყოლუბ, გვ. 80, 91.

[3] იქვე, გვ. 55.

[4] The Tarikh-i-Guzida of Hamdu'llah Mustawfi-i-Qazwini. Part 1, containing the Reproduction in facsimile of an old MS, with introduction by Ed. G. Browne GMS, vol. XIV, London—Leyden, 1910, გვ. 596.

[5] რაშიდ ედ-დინის წერილები. ციტ. გამოც., წერილი № 51, გვ. 317—321.

რაშიდი ედ-დინი დიდ ყურადღებას აქცევდა მეცნიერების განვითარებასაც. მის მიერ დაარსებულ უბანში მთელი ქუჩა იყო, რომელსაც „მეცნიეოთა ქუჩა“ ეწოდებოდა და, რომელზეც ღვთისმეტყველები, მუეძინები და ყურანის მკითხველები ცხოვრობდნენ. რაშიდის უბნის მედრესეებში ათასობით ახალგაზრდა სწავლობდა. ორმოცდაათი ცნობილი ექიმი, რომლებიც ინდოეთიდან, ჩინეთიდან, ეგვიპტიდან, სირიიდან და სხვა ქვეყნებიდან იყვნენ ჩამოსული, ათ-ათ მოწაფეს ასწავლიდა თავის სპეციალობას. ამას გარდა, უბანში გახსნილ საავადმყოფოში მუშაობდნენ გამოცდილი თვალის ექიმები და ქირურგები, რომელთაც ხუთ-ხუთი მოწაფე ჰყავდათ მიჩენილი.

რაშიდის უბნის გარდა, რაშიდ ედ-დინს ქალაქ სულთანიეშიც აუგია ერთი უბანი — რაშიდიე. ამ უბანში აშენებული იყო საკრებულო მეჩეთი, მედრესე, საავადმყოფო და 1500 საცხოვრებელი სახლი[1].

ამას გარდა, რაშიდ ედ-დინს ეკუთვნოდა დიდძალი სახნავ-სათესი მიწები სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხეში, რომელთა დიდი ნაწილი ფულით ჰქონია შეძენილი და მის სრულ საკუთრებაში იმყოფებოდა[2].

თავის სამფლობელოებში რაშიდ ედ-დინს გაჰყავდა სარწყავი არხები, ქარიზები. აგებდა ახალ სოფლებს, აშენებდა ბაღებს, აარსებდა სხვადასხვა საქველმოქმედო დაწესებულებებს.

ჰულაგუიდთა სახელმწიფოში გაჩაღებულ საალმშენებლო მოღვაწეობაში ილხანთა სამსახურში მყოფი სხვა დიდი მოხელეებიც მონაწილეობდნენ. ისინი აგებდნენ სასახლეებს, მეჩეთებს, გაჰყავდათ არხები და სხვ. ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობით, ქალაქ თავრიზში ადგილობრივ მდიდრებს 900-ზე მეტი ქარიზი გაუყვანიათ ქალაქის ბაღების მოსარწყავად[3].

ოლჯეითუ-ხანისა და მისი მომდევნო ილხანის აბუ-საიდის (1316—1335) ვეზირმა თაჯ ედ-დინ ალი-შაჰმა თავრიზში ააგო საკრებულო მეჩეთი, რომლის მშენებლობაზეც აუარებელი მარმარილო დახარჯულა[4]. ბევრი შენობა ეკუთვნოდა თაჯ ედ-დინს ქალაქ სულთანიეშიც[5]. მასვე ახალი გალავანი შემოუვლია სალმასისა და არჭეშისათვის. ამას გარდა, როგორც თაჯ ედ-დინს, ასევე სხვა ვეზირებსაც რაბათები აუგიათ დიდ სავაჭრო გზებზე[6].

ამგვარად, როგორც ვნახეთ, ილხანთა თითქმის მთელი საალმშენებლო-აღდგენითი მოღვაწეობა ძირითადად მაინც დედაქალაქების, ცალკეული სასახლეების თუ აკლდამების მშენებლობით ამოიწურებოდა. სახელმწიფოს ოლქების დიდი ნაწილი კი ისევ დანგრეულ-აოხრებული იყო.

---

[1] Н. П. Петрушевский. Городская знать в государстве Хулагуидов, გვ. 99, შდრ. V. Minorsky. Sultaniya. EI, ტ. III, გვ. 548.

[2] املاك ما كه بمال خاص خود خريده ايم — რაშიდ ედ-დინის წერილები. ციტ. გამოც., გვ. 14; ციტ. ხელნაწერი, ფ. 8 a; დაწვრ. იხ. Н. П. Петрушевский. Феодальное хозяйство Рашид-ад-дина.

[3] ჰამდალაჰ ყაზვინი. ნოხჰათ ალ-ყოლუბ, გვ. 77.

[4] იქვე, გვ. 77—78.

[5] В. В. Бартольд. Историко-географический обзор Ирана, გვ. 142.

[6] ჰამდალაჰ ყაზვინი. გვ. 85, 101, 182.

საინტერესოა ჰამდალაჰ ყაზვინის შემდეგი ცნობა: „ეჟვი არ არის,— აღნიშნავს იგი,—რომ ის ნგრევა, რაც მონღოლთა სახელმწიფოს გაჩენის შედეგად მოხდა და ის საყოველთაო ეღლეტა, რასაც იმ დროს ადგილი ჰქონდა, მაინც ვერ გამოსწორდება, თუნდაც შემდგომი ათასი წლის განმაელობაში არავითარი უბედურება არ მოხდეს, და ქვეყნიერება ვეღარ მიაღწევს ისეთ მდგომარეობას, როგორშიც ამ ამბებამდე იმყოფებოდა“ [1].

ჰამდალაჰ ყაზვინი ხშირად გვაცნობებს, რომ ესა და ეს ქალაქი ამჟამად დანგრეულიაო, წინათ დიდი ქალაქი იყო, ახლა სოფელია, ანდა ვილაიეთის სახელიაო და სხვ. მაგალითად:

„რეის თუმანში რეის გარდა სხვა ქალაქი არ ყოფილა და რაკი რეი ამჟამად დანგრეულია, ვერამინია იქაური ქალაქი“.

„სეჯასი და სოჰრავერდი პირველად ორი დიდი ქალაქი იყო, მონღოლთა დროს დაინგრა და ახლა თვითეული მათგანი სოფლის ოდენაა“.

„ქალაზ-ქონანი საშუალო ქალაქი იყო... ახლა დანგრეულია და საშუალო სოფლის ოდენაა.

„ყუში... ამ ქალაქის დიდი ნაწილი ამჟამად დანგრეულია“.

„დელიჯანი თავდაპირველად საშუალო ქალაქი იყო, ახლა კი დანგრეულია“.

„ხორემაბადი მშვენიერი ქალაქი იყო, ახლა კი დანგრეულია“.

„ქურეშთი დიდი ქალაქი იყო, ახლა კი დანგრეულია“.

„ხალხალი საშუალო ქალაქი იყო, ახლა კი სოფელია“.

„დერავერდი წინათ ყასაბა იყო, ახლა კი ვილაიეთია და მონღოლთა ერთი ჯგუფის ყიშლაღია“.

„მარანდი... დიდი ქალაქი იყო, მისი გალავნის სიგრძე რვა ათას ნაბიჯს უდრიდა, ახლა კი მხოლოდ ნახევარიღა დგას ადგილზე“.

„ბაჯერავანი... წინათ მუღანის მთავარი ქალაქი იყო, ახლა დანგრეულია და მჭიდროდ დასახლებული სოფლის ოდენაა“.

„ქერმანშაჰი... საშუალო ქალაქი იყო, ახლა კი სოფელია“ [2] და სხვ.

XIII—XIV საუკუნეთა უცხოელი მოგზაურებიც ამოწმებენ, რომ შემოსევების შედეგად დანგრეული ბევრი ადგილი დიდხანს არ ყოფილა აღდგენილი [3].

XIV საუკუნის მეორე მეოთხედის არაბი მოგზაური იბნ ბატუტა მოგვითხრობს, რომ ხორასანის ოთხი დიდი ქალაქიდან (ნიშაბური, ჰერათი, ბალხი და მერვი) ორი დანგრეული და დაუსახლებელიაო (ბალხი და მერვი) [4].

აღმოსავლური ფეოდალური ქალაქები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან როგორც თავისი წარმოშობით, ასევე სამეურნეო თუ სხვა სახის საქმია-

---

[1] ჰ ა მ დ ა ლ ა ჰ ყ ა ზ ვ ი ნ ი. ნოზჰათ ალ-ყოლუბ, გვ. 27.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 52, 64, 66, 67, 68, 70, 71, 81, 83, 88, 90, 108.

[3] პ ლ ა ნ ო კ ა რ პ ი ნ ი. ისტორია მონღოლებისა, გვ. 53; გ უ ი ლ ი ო მ რ უ ბ რ უ კ ვ ი ს ი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, ნაკვ. V, გვ. 169; М а р к о П о л о. Путешествие, გვ. 27, 33, 41.

[4] I b n B a t t u t a. Travels in Asia and Africa, 1325—1354. Translated and selected by H. A. R. Gibb, London, გვ. 175.

ნობითაც. ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი და დამუშავებული[1], მაგრამ ზოგიერთი ტიპი აღმოსავლური ფეოდალური ქალაქისა მაინც შეიძლება გამოიყოს.

კ. მარქსის მიერ აღნიშნული ქალაქების მთავარი ტიპები საუცხოოდ დასტურდება აღმოსავლურ წყაროებში დამოწმებული ცნობებით. სახელდობრ:

ა. ქალაქი პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრი. ასეთი ქალაქის შესახებ კ. მარქსი წერდა: „დიდი ქალაქები აქ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მთავართა ბანაკები"[2]. და შემდეგ,—„ეს ქალაქები (იგულისხმება დიდ მოღოლთა სახელმწიფოს ქალაქები—დელი და აგრა—რ. კ.) სრულიად არ ჰგვანან პარიზს, არსებითად ისინი სამხედრო ბანაკებს წარმოადგენენ"[3]. ასეთი ქალაქი—რეზიდენციები იყო ჰულაგუიდთა სახელმწიფოში მარაღა, უჯანი, თავრიზი, სულთანიე. ამ ქალაქების კეთილმოწყობა და ზრდა დიდად იყო დამოკიდებული იმაზე, რომ ისინი სხვადასხვა დროს ამა თუ იმ მბრძანებლის სატახტო ქალაქს წარმოადგენდნენ. მაგ., ქალაქ სულთანიეს შემოსავალი ხელოსნობასა და ვაჭრობაზე დაწესებული სახელმწიფო გადასახადიდან (თამღიდან) ჩვეულებრივ დროს 20 თუმანს უდრიდა, ხოლო იმ წლებში, როცა იქ ხანის ურდო იმყოფებოდა 30 თუმნამდე იზრდებოდა[4]. როგორც ჩანს, ქალაქში ხანის კარისა და დიდებულთა ყოფნა ვაჭრობისა და ხელოსნობის გაცხოველებას იწვევდა.

ბ. ქალაქები, რომლებიც დიდ სავაჭრო-საქარავნო გზებზე მდებარეობდნენ და შუამავლის როლს ასრულებდნენ სატრანზიტო ვაჭრობაში. კ. მარქსის განმარტებით, „ქალაქები ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით აქ იქმნება ამ სოფლების გვერდით მხოლოდ იქ, სადაც განსაკუთრებით ხელსაყრელი ადგილია საგარეო ვაჭრობისათვის"[5].

ასეთი ქალაქები ილხანთა ირანში იყო თავრიზი, ისფაჰანი, შირაზი, ნიშაბური, ჰამადანი, ტუსი, ჰერათი და სხვები. ამ ქალაქების მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ვაჭრები შეადგენდნენ. ქალაქებში ბევრი იყო საწყობები საქონლის შესანახად, ქარვასლები, დახურული ბაზრები, საბაჟოები და სხვ. ჰულაგუიდთა სახელმწიფოს ქალაქები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ იმდროინდელ მსოფლიო ვაჭრობაში. მარკო პოლო მოგვითხრობს: თავრიზი კარგ ადგილზე მდებარეობს; აქ ჩამოაქვთ საქონელი ინდოეთიდან, ბაღ-

---

[1] ამ საკითხს უკანასკნელ ხანებში ორი საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსი შეეხო. იხ. И. П. Петрушевский. Городская знать в государстве Хулагуидов, გვ. 87; К. А. Антонова. Очерки общественных отношений и политического строя Могольской Индии времени Акбара, М., 1952, გვ. 128—131.

[2] კ. მარქსი. კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, გვ. 20.

[3] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, გვ. 74.

[4] ჰამდალაჰ ყაზვინი. ნოზჰათ ალ-ყოლუბ, გვ. 56.

[5] კ. მარქსი. კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, გვ. 12.

დადიდან, მოსულიდან, გარპსირიდან და ბევრი სხვა ადგილებიდან; აქვე ჩამოდიან უცხოური საქონლისათვის ლათინელი ვაჭრებიო (განსაკუთრებით, გენუელები)[1].

გ. ქალაქები, რომლებიც საშინაო ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრებს წარმოადგენდნენ. ასეთი საშუალო და მცირე ქალაქი ბევრი იყო როგორც ირანში, ასევე აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიც. ისინი თავიანთი ნაწარმით სავსებით აკმაყოფილებდნენ საკუთარ და ახლომახლო მდებარე სოფლის მოთხოვნილებას.

დ. იყო ისეთი ქალაქებიც, რომელთაც საგარეო ბაზარზე გაჰქონდათ სახელოსნო ნაწარმი, განსაკუთრებით, ძვირფასი ქსოვილები, ხალიჩები, ჭურჭლეული, იარაღი და სხვა საქონელი.

ე. ზოგჯერ ქალაქი წარმოიშობოდა რომელიმე წმინდა ადგილის გარშემო, რომელიც ბევრ მლოცველს იზიდავდა. ასეთ ქალაქში ვითარდებოდა ვაჭრობა და ხელოსნობა, რომელიც ძირითადად მლოცველთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იყო გამიზნული.

ძალიან ხშირად ერთი ქალაქი ორი ან რამდენიმე ტიპის ნიშნებს აერთიანებდა (თავრიზი, ისფაჰანი, ნიშაბური, ჰამადანი და სხვ.).

ჰამდალაჰ ყაზვინი ჰულაგუიდთა სახელმწიფოს ქალაქებს 4 კატეგორიად ჰყოფს: დიდი ქალაქი (شهر بزرگ ან شهر عظیم), საშუალო ქალაქი (شهر وسط), მცირე ქალაქი (شهر کوچك ან شهرك) და ყასაბა (قصبه).

დიდი ქალაქები ჰულაგუიდთა სახელმწიფოში იყო თავრიზი, სულთანიე, ისფაჰანი, შირაზი, ნიშაბური, არდებილი, ყაზვინი, ჰანადანი, ქაშანი, იეზდი, სალმასი, ურმია, მარაღა, ამოლი და სხვები.

ჩვენთვის ცნობილი არ არის, თუ რის მიხედვით ახარისხებს ჰამდალაჰ ყაზვინი ქალაქებს, მაგრამ მაინც თამამად შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ დიდი ქალაქების ასეთი რაოდენობა არ შეეფერება ქვეყნის საერთო ეკონომიურ დაქვეითებას და უფრო მეტად მონღოლთა შემოსევების წინარე ხანის მდგომარეობას უნდა ასახავდეს.

საშუალო ქალაქების რიცხვი შედარებით მეტი იყო. ასეთები იყო, ჰამდალაჰ ყაზვინის სიტყვით: ნეჰავენდი, ხოი, სარავი, თუნი, ესფერაინი, სებზევარი, ხაბუშანი, ესფეზარი, ჯამი, ასთარაბადი და სხვ.

მცირე ქალაქების რიცხვი კიდევ უფრო მეტი ყოფილა. შეუძლებელია დადგენა, თუ რა განსხვავებას ხედავს ჰამდალაჰ ყაზვინი شهر کوچك-სა და شهرك-ს შორის, მაგრამ, ფაქტიურად მათ შორის არავითარი განსხვავება არ უნდა ყოფილიყო. ასეთი მცირე ქალაქები და შაჰრაქებია: იდაჯი, ასადაბადი, აჰარი, სემენჯანი, თალეყანი, ფარიაბი, შაბურღანი, ბისთამი, ნეირიზი, საეე და სხვ.

ქალაქებს ილხანთა სახელმწიფოში არავითარი ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდიათ, რაც მაჩვენებელი იქნებოდა რაიმე მკვეთრი შემობრუნებისა მათ განვითარებაში.

---

[1] Марко Поло. Путешествие. Перевод И. П. Минаева, Л., 1940, გვ. 23.

ჰულაგუიდთა სახელმწიფოს ქალაქებისთვის, ისევე, როგორც წინარე ხანის ქალაქებისთვისაც, დამახასიათებელი იყო მჭიდრო კავშირი სოფელთან. უამისოდ არც შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი უზარმაზარი ქალაქების არსებობა, რომელთა მოსახლეობის რაოდენობა ხშირად ასეული ათასობით განიზომებოდა. კ. მარქსის ცნობილი დებულება იმის შესახებ, რომ „აზიის ისტორია ქალაქისა და სოფლის დაუნაწევრებელი ერთიანობის ერთგვარი სახეა“ [1], გვაძლევს გასაღებს ამ ნოვლენის ასახსნელად. ეს „გიგანტი ქალაქები“ შეიძლება განვიხილოთ „როგორც ხორცმეტი ნამდვილ ეკონომიურ წყობაზე“ [2]. ყოველ ქალაქს, როგორც დიდს ისე მცირეს, გარს ერტყა სოფლების გარკვეული რაოდენობა—„რუსთაკი“. რუსთაკი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქალაქთან და მის ორგანულ ნაწილს შეადგენდა.

მაგალითად, ისფაჰანის ირგვლივ 400 სოფელი იყო, რომლებიც 8 ნაჰიად იყოფოდნენ და კულტურულ ზოლს ქმნიდნენ ქალაქის გარშემო. ყაზვინის ვილაიეთში 300 სოფელი იყო, ზენჯანს 100 სოფელი ჰქონდა, სავეს—125, ჰამადანს—218 და ა. შ. [3].

ამას გარდა, მოქალაქეებსაც ჰქონდათ ბაღები და ვენახები, როგორც ქალაქის გალავანს გარეთ, ასევე, თვით ქალაქშიც. ჰამდალაჰ ყაზვინი ხშირად გვატყობინებს ამა თუ იმ ქალაქის შესახებ, კარგი ბაღები აქვს, კარგი და ბევრი ხილი იცისო და სხვ. მაგალითად:

„ყაზვინი... ქალაქში ბევრი ბაღია და წელიწადში ერთხელ, წყალდიდობის დროს, რწყავენ. ყურძენი, ნუში და ფსტა ბევრი მოდის. მორწყვის შემდეგ ნესვს და საზამთროს თესავენ და მეტი მორწყვა აღარც ჭირდება, ჩინებულ ნაყოფს იძლევა. უმეტეს დროს აქ ხილი და მარცვლეული იაფია“.

„ჰამადანს... ბევრი ბაღი აქვს და ხილი ძალიან იაფია“.

„ქალაქ თავრიზს ბევრი ბაღი აქვს და საჰანდის მთიდან გამომდინარე მეჰრან-რუდის წყალი და ცხრაასზე მეტი ქარიზი, რომლებიც მდიდარმა ხალხმა გათხარა და ამ ბაღების მოსარწყავად იხარჯება, მაინც საკმარისი არ არის... ხილი ძალიან კარგი, ბევრი და იაფია“.

„სალმასს... ბევრი ბაღი აქვს, ხილი და ყურძენი კარგი მოდის“.

„ურმიას... მრავალი ბაღი აქვს და ხილიდან ყურძენი, მსხალი და გარგარი განსაკუთრებით კარგია“.

„ნეილანი პატარა ქალაქია და ბევრი ბაღი აქვს. მარცვლეული, ბამბა, ყურძენი და ხილი ბევრი მოდის“, [4] და სხვ.

ამასვე აღნიშნავენ უცხოელი მოგზაურებიც. მარკო პოლო მოგვითხრობს, თავრიზის გარშემო მშვენიერი ბაღებია და ბევრია სხვადასხვა გემრიელი ხილიო [5].

---

[1] კ. მარქსი. კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, გვ. 20.
[2] იქვე.
[3] ჰამდალაჰ ყაზვინი. ნოზჰათ ალ-ყოლუბ, გვ. 50, 59, 62, 65, 71, 72 და სხვ.
[4] იქვე, გვ. 58, 71, 77, 85, 87.
[5] Марко Поло. Путешествие, გვ. 23.

აღსანიშნავია, რომ ასეთი ნახევრადაგრარული ხასიათი აღმოსავლეთის, კერძოდ, ირანის, ქალაქებისათვის დამახასიათებელი იყო მოშდევნო საუკუნეებშიც[1].

მონღოლთა ბატონობის ხანაში ირანის ქალაქების მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში არ მომხდარა რამდენადმე მნიშვნელოვანი ცვლილებები.

ცნობილია, რომ მონღოლთა არისტოკრატიის დიდი ნაწილი თავიდანვე მტრულად იყო განწყობილი ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების მიმართ და ერიდებოდა ქალაქებში დასახლებას. ამის გამო ჰულაგუიდთა სახელმწიფოს საქალაქო არისტოკრატიის ეთნიკურ შემადგენლობაში წინარე ხანასთან შედარებით მცირე ცვლილებები მოხდა. პროფ. ი. პ. პეტრუშევსკის გამოკვლევით, ქალაქ ყაზვინის 28 წარჩინებული გვარიდან 25 მონღოლთა შენოსევებამდე დიდი ხნით ადრე დასახლდა ამ ქალაქში[2]. ამ გვართა წარმომადგენლები ისევე, როგორც სხვა ქალაქების არისტოკრატიაც, შედარებით ნაკლებად დაზარალდნენ მონღოლთა შემოსევების შედეგად. მაღალი წრეების წარმომადგენლები ქონებისა და სხვადასხვა პრივილეგიების შენარჩუნების მიზნით საერთოდ ადვილად გადადიოდნენ დამპყრობთა მხარეზე. აღნიშნული 25 გვარიდან, ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობით, 19-ს მონღოლთა ბატონობის ხანაშიც შეუნარჩუნებია ყაზვინში სიმდიდრე და გავლენა, ერთი თავრიზში გადასახლებულა, ოთხი ამოწყდა და მხოლოდ ერთი გაღარიბდა. ამასთან ერთად, ქალაქის არისტოკრატიას მონღოლურ ხანაში შეემატა სულ სამი ახალი გვარი, რომელთაგან მხოლოდ ერთი ყოფილა მონღოლური წარმოშობისა[3]. ასეთივე მდგომარეობა უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს სხვა ქალაქებშიც.

პროფ. ი. პ. პეტრუშევსკი აღნიშნავს საქალაქო არისტოკრატიის ეთნიკური შემადგენლობის დიდ მდგრადობას, როგორც მონღოლთა შემოსევების წინარე ხანაში, ასევე მის შემდეგაც. ეს არისტოკრატია ძირითადად ირანელებისა და გაირანელებული არაბებისაგან შედგებოდა[4].

ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენები, როგორც უკვე ნაჩვენები იყო, გაცილებით უფრო მეტად დაზარალდნენ მონღოლთა შემოსევების დროს. მაგრამ ამას არ უნდა გამოეწვია მოსახლეობის ამ ნაწილის ეთნიკური შემადგენლობის რამდენადმე საგრძნობი ცვლილება. ცნობილია, რომ ირანში მოსული რიგითი მონღოლების დიდ ნაწილს მეურნეობის იმ დარგის სპეციფიკური ხასიათის გამო, რომელსაც ის მისდევდა (მომთაბარე მეჯოგეობა), არ

---

[1] Клавихо. Жизнь и деяния великого Тамерлана. Дневник путешествия ко двору Тимура в Самарканде. Перевод и примечания И. И. Срезневского. Сборник Отд. русского языка и словесности АН, т. 28, № 1, СПб, 1881, გვ. 87, 163, 165—166, 205; Адам Олеарий. Подробное описание путешествия голштинского посольства в Москву и Персию. М., 1870, გვ. 718; Я. Я. Стрейс. Три путешествия, М., 1935, გვ. 317.

[2] И. П. Петрушевский. Городская знать в государстве Хулагуидов, გვ. 92.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 95—96, 108.

შეეძლო ქალაქებში დასახლება, რადგან დიდი ჯოგების მოვლა-პატრონობა საძოვართა ხშირ გამოცვლას საჭიროებდა. მართალია, ცნობილია მონღოლთა ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის რამდენიმე ფაქტი[1], მაგრამ ეს ერთეული შემთხვევები ვერ შეცვლიდა ქალაქის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას (მით უმეტეს, რომ წყაროებში მეტწილად მონღოლთა სოფელ ადგილებში დასახლებაზეა საუბარი). ილხანთა სახელმწიფოს ქალაქების მოსახლეობის დაბალი ფენების შევსება ხდებოდა არა მომთაბარე მონღოლების ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლისა და ქალაქებში დასახლების ხარჯზე, არამედ სოფლის მოსახლეობის ხარჯზე. ამდენად, ჰულაგუიდთა სახელმწიფოს ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენების ეთნიკური შემადგენლობაც ძირითადად უცვლელი უნდა დარჩენილიყო.

ქალაქის არისტოკრატია მონღოლთა ბატონობის ხანაში შედგებოდა სამოქალაქო მოხელეების, ულემების, სეიდების, დერვიშთა შეიხებისა და მათ შთამომავალთაგან. ყველა ისინი იმავე დროს მსხვილი მიწათმფლობელებიც იყვნენ და ბევრი მათგანი ვაჭრობასთანაც იყო დაკავშირებული. მონღოლი ილხანები წყალობის თვალით უცქეროდნენ ქალაქის არისტოკრატიას, რადგან მისი სახით ხედავდნენ საიმედო თანაშემწეს ქვეშევრდომთა ექსპლოატაციის საქმეში.

ქალაქის მოსახლეობის .პრივილეგირებულ ფენას შეადგენდნენ აგრეთვე მსხვილი ვაჭრები, რომელთაც ხანის ოჯახის წევრებსა და სხვა გავლენიან ფეოდალებთან ჰქონდათ კავშირი და დიდი შეღავათებითაც სარგებლობდნენ.

ქალაქის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეადგენდნენ ჩაგრული ფენები— ხელოსნები, წვრილი ვაჭრები, ქალაქის ღატაკები, მონები.

ხელოსანთა რიცხვი ქალაქში საგრძნობლად შემცირდა მონღოლთა შემოსევების შედეგად. გადარჩენილი ხელოსნების დიდი ნაწილი ხანების, უფლისწულთა და სხვა ფეოდალების საკუთრებას შეადგენდა და მოკლებული იყო პირად თავისუფლებას. მაგალითად, მარტო ვერამინში ხელოსანთა სამასი ოჯახი ყოფილა, რომლებიც ილხან არღუნის პირად საკუთრებას შეადგენდნენ. არღუნ ხანი მათ „თავის ხელოსნებს“ უწოდებდა[2].

თავისუფალმა ხელოსნებმა ირანში შეინარჩუნეს თავიანთი ხელოსნური გაერთიანებები (უპირატესად სამხრეთ ირანის ქალაქებში). მაგრამ აღებულ ხანაში ამქრებში გაერთიანებული თავისუფალი ხელოსნები ვერ თამაშობდნენ ირანის ქალაქებში რამდენადმე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ და პოლიტიკურ როლს[3].

---

[1] ჰამდალაჰ ყაზვინი მოგვითხრობს, სეჯასისა და სოჰრავერდის ვილაიეთში ასზე მეტი სოფელია, რომელთა უმეტესობა მონღოლებით არის დასახლებულიო (ნოზჰათ ალ-ყოლუბ, გვ. 64): იმავე ავტორის ცნობით, ქაღაზ-ქონანის მიდამოებში 35 სოფელი იყო. მონღოლთა შემოსევების დროს ეს სოფლები დაინგრა, ახლა კი, რაკი მონღოლებითაა დასახლებული და ისინი მიწათმოქმედებას მისდევენ, ამ ადგილს მოღულიე ეწოდებაო (იქვე, გვ. 68).

[2] რაშიდ ედ-დინი. კ. იანის გამოც., გვ. 51, 53.

[3] И. П. Петрушевский. Городская знать в государстве Хулагуидов, გვ. 107.

წვრილი ვაჭრები უფლებრივად ბევრად არ განსხვავდებოდნენ ხელოსნებისაგან. ისინი ადგილობრივ ბაზარს უწევდნენ მომსახურებას და მათი კლიენტებიც ძხოლოდ ხელოსნები და ქალაქის ღარიბები იყვნენ. თავისთავად ცხადია, რომ ამ ვაჭრებს არც დიდი ქონება გააჩნდათ და არც გავლენა. ხელოსანთა მსგავსად, მათაც ჰქონდათ თავიანთი პროფესიული გაერთიანებები.

ქალაქის მდაბიოებს შუა საუკუნეთა ოფიციალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები, ჩვეულებრივ, ნაძირალებს (رنود و اوباش) უწოდებენ. ქალაქის ღატაკები ადგილობრივ და მონღოლ ფეოდალთა მხრით სასტიკ ექსპლოატაციას განიცდიდნენ. ამიტომაც, წყაროებში ყველაზე ხშირად მათს მღელვარებასა და აჯანყებებზეა ცნობები დაცული (სწორედ მათი ასეთი „მოუსვენრობით“ უნდა აიხსნას ის შეურაცხმყოფელი სახელი, რასაც ისტორიკოსები მოსახლეობის ამ ფენის აღსანიშნავად ხმარობდნენ). ქალაქის ღატაკების ანტიმონღოლურ და ანტიფეოდალურ გამოსვლებში ძალიან ხშირად ხელოსნებიც მონაწილეობდნენ, რადგან ისინიც მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მონღოლთა მიერ შემოღებული აღვირახსნილი ექსპლოატაციის პირობებში.

ქალაქის მოსახლეობის ყველაზე დაბალ ფენას ილხანთა ირანში შეადგენდნენ მონები. საკმაოდ გავრცელებული იყო მონებით ვაჭრობაც[1]. მონღოლთა შემოსევებისა და ბატონობის ხანაში მონობა მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა. მონობის მთავარ წყაროს სამხედრო ტყვე (اسیر) წარმოადგენდა. „ომის დროს [მონღოლები] ყველა ტყვეს ხოცავენ, თუ ზოგიერთი მათგანის მონად დატოვება არ მოისურვეს“. —მოგვითხრობს პლანო კარპინი[2].

მონის სყიდვა მონღოლურ ხანაში საყოველთაოდ ყოფილა გავრცელებული და, როგორც ჩანს, სრულიადაც არ წარმოადგენდა უჩვეულო მოვლენას ევროპელი მოგზაურებისთვისაც კი. გუილიომ რუბრუკვისის ცნობით, აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობისას მას თან ახლდა ერთი ახალგაზრდა მონა, რომელიც შეგროვილი მოწყალებით ჰყოლია ნაყიდი[3]. არაბ მოგზაურ იბნ ბატუტას ნიშაბურში უყიდია მონა, მაგრამ მალე ისევ გაუყიდია[4]. საყურადღებო ცნობა მოეპოვება მონებით ვაჭრობის შესახებ ჰამდალაჰ ყაზვინისაც. იგი წერს: „დღე არ გავა, რომ რუმიდან სხვა ვილაიეთებში მონები არ გაიყვანონ. ხოლო [ამ] წიგნის ავტორი ამბობს, ჩვენი ცუდი ცხოვრებისგანაა, რომ მონები ახლა ირანიდანაც მიჰყავთ რუმსო“[5].

---

[1] XI საუკუნის ძეგლში—„ყაბუს-ნამეში“ სპეციალური თავია მიძღვნილი მონის სყიდვისადმი, მაგრამ, დამახასიათებელია, რომ ამ თავში სრულებით არაფერია თქმული მონის შრომის წარმოებაში გამოყენების შესახებ და მხოლოდ საოჯახო მონობაზეა საუბარი (Кабус-намэ. Перевод, статья и примечания Е. Э. Бертельса, გვ. 92—97).

[2] პლანო კარპინი. ისტორია მონღოლებისა, გვ. 34.

[3] გუილიომ რუბრუკვისი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გვ. 16.

[4] იბნ ბატუტა. მოგზაურობა, ციტ. გამოც., გვ. 177.

[5] ჰამდალაჰ ყაზვინი. ნუზჰათ ალ-ყოლუბ, გვ. 94.

არც თუ იშვიათად, თვითონ მონღოლებიც ხვდებოდნენ მონათა ბაზარზე. რაშიდ ედ-დინი მოგვითხრობს, რომ ჯუჩის, ჩაღათაის და უგედეის შთამომავალთა შორის წარმოებული ბრძოლებისა და შეტაკებების დროს ტყვედ ჩავარდნილი მონღოლები მონებად იყიდებოდნენო. ილხანმა ყაზანმა ბრძანა შეესყიდათ ყველა მონა მონღოლი, ვისაც კი მოიყვანდნენ გასასყიდად, და სპეციალური ლაშქარი შეადგინა მათგან. მონღოლი მონებით ვაჭრობა იმდენად გავრცელებული ყოფილა, რომ მოკლე ხანში ყაზანის რაზმში ათი ათასამდე მეომარი შეგროვდა, რომლებიც ილხანის ინჯუს შეადგენდნენ[1].

მონღოლთა მონობაში ჩავარდნილი მუსლიმანების მდგომარეობის შესახებ საინტერესო ცნობები მოეპოვებათ პლანო კარპინისა და რუბრუკვისს. ეს უკანასკნელი მოგვითხრობს, რომ „მონები მუცელს ივსებენ ბუტყიანი წყლით და ამით კმაყოფილდებიან. აგრეთვე ისინი იქერენ თაგვებს“[2].

ილხანთა ირანის ქალაქებში მონა ხელოსნები დიდ სახელოსნო „ქარხნებში“ მუშაობდნენ, მაგრამ XIV საუკ. დასაწყისისათვის მონობის როლი აქ მნიშვნელოვნად დაეცა[3]. მონღოლებმა ნახეს, რომ მონის შრომა არ იყო სასარგებლო თავისუფალი ადამიანის შრომასთან შედარებით. ამიტომ ყაზანყაენმა „ქარხნებში“ მომუშავე მონა ხელოსნები სპეციალური იარლიყით თავისუფალ ხელოსნებს გაუთანასწორა და ნაკეთობის გარკვეული რაოდენობა შეაწერა[4]. რაშიდ ედ-დინმა კი თავისი მონები მიწაზე დასვა, საწარმოო იარაღები მისცა და ბაღების მოვლა დააავალა[5]. თავისთავად ცხადია, რომ ასეთ „მონებს“ აღარაფერი ჰქონდათ საერთო, ვთქვათ, სახალიფოს დროინდელ მონებთან.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მონღოლთა ბატონობის ხანაში ირანის ქალაქების მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობაში არ მომხდარა ისეთი რიგის ცვლილებები, რაც მაჩვენებელი იქნებოდა რაიმე გარდატეხისა სოციალურ ურთიერთობათა განვითარებაში.

მონღოლთა შემოსევების ხანაში ქალაქის მმართველობის ორგანიზაციაზე არავინ ზრუნავდა. აღებულ ქალაქებში ჩვეულებრივ ინიშნებოდა სამხედრო გამგებელი — შ ე ჰ ნ ე, რომელსაც მცირერიცხოვანი გარნიზონი ემორჩილებოდა.

ჰულაგუიდთა სახელმწიფოში უფრო მოწესრიგებული ჩანს საქალაქო მმართველობა, რაც ძირითადად წინამონღოლური ხანის მმართველობის განმეორებას წარმოადგენს.

სახელმწიფოს სამოქალაქო ადმინისტრაციის სათავეში იდგა პირველი ვეზირი, რომელსაც ემორჩილებოდა ყველა დანარჩენი სამოქალაქო მოხელე.

---

[1] რ ა შ ი დ ე დ - დ ი ნ ი. ჯ. იანის გამოც., ლონდონი, გვ. 311—312.

[2] გ უ ი ლ ი ო მ რ უ ბ რ უ კ ვ ი ს ი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გვ. 24.

[3] И. П. П е т р у ш е в с к и й. Хамдаллах Казвини как источник по социально-экономической истории, გვ. 916; Феодальное хозяйство Рашид-ад-дина, გვ. 101.

[4] რ ა შ ი დ ე დ - დ ი ნ ი. ციტ. გამოც., გვ. 338.

[5] რ ა შ ი დ ე დ - დ ი ნ ის წ ე რ ი ლ ე ბ ი. ციტ. გამოც., გვ. 53; ციტ. ხელნაწერი, ფ. 26 ბ—27 ა.

ვეზირებად მეტწილად ინიშნებოდნენ ადგილობრივი სამოხელეო არისტოკრატიის წარმომადგენლები, რომლებიც მონღოლთა სახელმწიფო სამსახურში წინაურდებოდნენ და ფაქტიურად განაგებდნენ სახელმწიფოს მთელ სამეურნეო ცხოვრებას.

პირველ ილხანთა დროს ოლქების მმართველებად ინიშნებოდნენ როგორც მონღოლთა სამხედრო-მომთაბარული არისტოკრატიის წარმომადგენლები, ასევე ადგილობრივი ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებიც. შემდეგში ოლქებისა თუ ქალაქების გამგებლებად — ჰ ა ქ ი მ ე ბ ა დ — უპირატესად ადგილობრივი ფეოდალები იყვნენ. თუ ჰაქიმი ძველ დიდგვარიანთა არისტოკრატიის წარმომადგენელი იყო, მას მ ა ლ ი ქ ი ს წოდებულება ეძლეოდა. ჰაქიმი ხელმძღვანელობდა საგამგებლო ოლქის მთელ სამეურნეო ცხოვრებას. კერძოდ, მის ხელთ იყო მოსახლეობაზე გადასახადთა გაწერა-აკრეფის საქმე. ზოგჯერ ჰაქიმები თვითონვე გვევლინებოდნენ თავიანთი საგამგებლო ოლქების გადასახადთა შემსყიდველებად.

არსებობდა ჰულაგუიდთა სახელმწიფოში მ უ შ რ ი ფ ი ს ინსტიტუტიც. ამ მოხელის უფლება-მოვალეობებში უმნიშვნელო ცვლილება იქნა შეტანილი წინარე ხანასთან შედარებით. სახელმწიფოს მუშრიფს ევალებოდა ფხიზლად ყოფილიყო ხაზინისა და საგანძურთა საქმეებში და ყველაფერი სცოდნოდა, ყველგან ჰყოლოდა მიჩენილი თავისი ნაიბები[1]. მუშრიფები ინიშნებოდნენ ცალკე ქალაქებსა და ოლქებშიც და სხვა მოხელეთა საქმიანობაზე თვალყურის დევნება და აკრეფილ გადასახადებზე კონტროლის გაწევა ევალებოდათ.

ამას გარდა, ქალაქებში იყვნენ საფინანსო უწყების მოხელეები—მუსტოუფი, გადასახადთა ამკრეფნი, მუთასარიფი და სხვ. მ უ თ ა ს ა რ ი ფ ი ხელმძღვანელობდა ოლქსა თუ ქალაქში გადასახადთა აკრეფის საქმეს და ჰაქიმთან ერთად პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო ხაზინის წინაშე.

გარდა ჩამოთვლილი მოხელეებისა, ილხანთა სახელმწიფოს ქალაქებში არსებობდა შეჰნეს ინსტიტუტიც. ამ მოხელეს ქალაქის სამეურნეო ცხოვრების მნიშვნელოვან მხარეებზე ხელი არ მიუწვდებოდა. მას ქალაქსა და მის ოლქში წესრიგის დაცვა და გარნიზონის უფროსობა ჰქონდა დავალებული. შეჰნეს მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა გააჩნდა და ქალაქის ერთ-ერთ უმაღლეს მოხელედ ითვლებოდა.

შეჰნეს გარდა მონღოლებს ბ ა ს კ ა კ ი ს თანამდებობაც შემოუღიათ ირანში. ბასკაკი ის მოხელე იყო, რომელსაც მონღოლები ცალკე ოლქსა თუ ქალაქში დანიშნულ გამგებელს მიუჩენდნენ ხოლმე. ბასკაკი თვალყურს ადევნებდა ადგილობრივ ფეოდალთაგან დანიშნულ ჰაქიმს, რომ მას ზუსტად შეესრულებინა თავისი მოვალეობა და სრულად შეეტანა ხაზინაში აკრეფილი ხარკი და გადასახადი. ჰულაგუიდთა სახელმწიფოში ბასკაკს საკუთარი სამოხელეო ფუნქციები არ გააჩნდა. ის მხოლოდ მიყენებული მოხელე იყო.

ამას გარდა, ყაზან-ყაენის მიერ მუსლიმანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან დაკავშირებით გაიზარდა ზოგიერთი თანამდებობის მნიშვნელობა. პირველ რიგში ეს ეხება მ უ ჰ თ ა ს ი ბ ს ა დ ა ყ ა დ ი ს.

---

[1] რ ა შ ი დ ე დ - დ ი ნ ი. კ. იანის გამოც., გვ. 39.

ყადის თანამდებობა მანამდეც არსებობდა, მაგრამ არავითარი წონა არა ჰქონდა მონღოლთა თვალში. ილხან ეეიღათუს დროს იქამდე მივიდა საქმე, რომ ყადის თანამდებობას იჯარითაც კი იძლეოდნენ. ყაზან-ყაენმა მთელი რიგი პრივილეგიები მიანიჭა ყადის და მისი უფლებებიც გაზარდა, რითაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამიერიდან სახელმწიფოში გადამწყვეტ ძალას და ილხანის დასაყრდენს მუსლიმანი მოსახლეობა შეადგენდა.

ამგვარად, საქალაქო მმართველობას ჰულაგუიდთა სახელმწიფოში არ განუცდია რაიმე არსებითი ცვლილებები. მონღოლებს არც შეეძლოთ ახლებურად მოეწყოთ საქალაქო მმართველობის სისტემა, რადგან არა ჰქონდათ ქალაქების მართვის არავითარი გამოცდილება.

მონღოლ ილხანებს დიდი რაოდენობით სჭირდებოდათ სახელოსნო ნაწარმი, ამიტომ ისინი ზრუნავდნენ ხელოსნობის აღდგენაზე. მაგრამ მონღოლებს არ მოუტანიათ არავითარი საკუთარი ტრადიციები მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების სახელოსნო წარმოებაში[1]. ყველაფერი, რაც აქ იწარმოებოდა, დაპყრობილი ხალხების, მათი ხელოსნების ხელით კეთდებოდა.

მონღოლთა ბატონობის ხანაში ირანში გაჩნდა დიდი სახელოსნოები— „ქარხნები", რომლებიც სახელმწიფოს ან ხანების საკუთრებას შეადგენდა. მსგავსი სახელმწიფო სახელოსნოები—თირაზები—ჯერ კიდევ აბასელთა სახალიფოში არსებობდნენ და უპირატესად ძვირფას ქსოვილებს ამზადებდნენ[2]. ასეთივე სახელოსნოები არსებობდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში უშუალოდ მონღოლთა შემოსევების წინარე ხანაშიც. მაგრამ მაშინ სახელმწიფო სახელოსნოებში ფეოდალურად დამოკიდებული ხელოსნები მუშაობდნენ. მონღოლებმა, რომელთაც აუარებელი მუქთა მუშახელი ჰყავდათ ტყვე ხელოსნების სახით, დიდი სახელოსნო-ქარხნები მიიჩნიეს მათი ექსპლოატაციის საუკეთესო საშუალებად. ამით აიხსნება ქარხნების დიდი გავრცელება მონღოლთა ბატონობის ხანაში. უფრო ხშირი იყო ისეთი დარგის ქარხნები, რომელთა ნაწარმზე მონღოლებს დიდი მოთხოვნილება ჰქონდათ. განსაკუთრებით ბევრი იყო იარაღისა და სამხედრო საქურველის დამამზადებელი სახელოსნოები, აგრეთვე ტანსაცმლის, ქსოვილებისა და სხვ. ყოფილა ისეთი ქარხნებიც, სადაც მინები ან სარკეები მზადდებოდა[3].

გარდა ქარხნებში მომუშავე მონა ხელოსნებისა, მონღოლებს სხვა ხელოსნებიც ჰყავდათ, რომლებიც მათ ინჯუს შეადგენდნენ. ისინი თავიანთი პატრონებისთვის ამზადებდნენ ნაწარმს. ყოველ მათგანს წელიწადში ნაკეთობის გარკვეული რაოდენობა უნდა დაემზადებინა, რაშიც განსაზღვრულ ჯამაგირსა და ულუფას ღებულობდა. მაგრამ ეს ხელოსნები, ისევე როგორც ქარხნებში მომუშავენი, დაინტერესებული არ იყვნენ შრომის ნაყოფიერებით, რადგან ასე თუ ისე მაინც ღებულობდნენ გასამრჯელოსა და სარჩოს.

---

[1] Б. Д. Греков, А. Ю. Якубовский. Золотая Орда и её падение, გვ. 148.
[2] A. Grohman. Tiraz EI, ტ. IV, გვ. 785—793.
[3] А. М. Беленицкий. К вопросу о социальных отношениях в Иране, გვ. 123.

ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ყაზან-ყაენმა ბრძანა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჩემი ხელოსნები და მონები არიან, დივანის მიერ გაცემული თანხით დაამზადონ ნაკეთობა და ისევე გაასწორონ ანგარიში, როგორც სხვები ვაჭრობენ ბაზარზე თავისი ხარჯით დამზადებული ნაკეთობითო[1]. ილხანის ბრძანებით ყოველ ქალაქში ერთი დარგის ხელოსნები ერთად შეკრიბეს, საიმედო ზედამხედველი მიუჩინეს და ამა თუ იმ იარაღის გარკვეული რაოდენობა შეაწერეს ყოველწლიურად. დამზადებული ნაკეთობის გასამრჯელოდ ზედამხედველი ნაღდ ფულს იღებდა ხაზინაში და ხელოსნებს ურიგებდა[2]. ამ ღონისძიებებმა სათანადო შედეგი გამოიღო და სახელმწიფოსთვის ჩაბარებული იარაღის რაოდენობა ერთიხუთად გაიზარდა. რამდენიმე წლის შემდეგ მეიარაღე ამირებმა მოახსენეს ილხანს, იმ იარაღის დიდი ნაწილი, რასაც ჩვენი ხელოსნები ამზადებენ, ბაზარზეც იშოვება და უფრო ხელსაყრელადაც შეიძლება შოვნაო. თანაც დაატანეს, ბაზარზე ბევრია სხვადასხვანაირი იარაღი, რომელიც იმაზე უკეთესია, ვიდრე ამჟამად ჩვენ ვამზადებთო[3]. მეიარაღე ამირების წინადადებით ყაზანმა ბრძანა, ამიერიდან სახელმწიფო სახელოსნოებში იარაღი აღარ დაემზადებინათ ლაშქრისთვის, გარდა ზოგიერთი განსაკუთრებული იარაღისა, რომელიც ბაზარზე იშვიათად გამოჰქონდათ.

ამგვარად, XIII საუკუნის დასასრულსა და XIV საუკ. დასაწყისში მონური შრომის როლი ჰულაგუიდთა სახელმწიფოში მნიშვნელოვნად დაეცა. ყაზან-ყაენის იარლიყის თანახმად იარაღისა და სამხედრო საჭურველის დამამზადებელი მონა ხელოსნები, რომელთა შრომა შედარებით ნაკლებად ნაყოფიერი იყო, თავისუფალ ხელოსნებს გაუთანასწორეს და დამზადებული ნაკეთობის რაოდენობის მიხედვით დაუნიშნეს გასამრჯელო. მალე კი უფრო სასარგებლოდ იქნა ცნობილი, რომ ხელოსნებს ბაზარზე გაეტანათ თავიანთი ნაკეთობა და ყოველ მოლაშქრეს თვითონ შეეძინა იარაღი.

ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ მონღოლთა შემოსევების წინარე ხანაში ხელოსნებს ყველგან ჰქონდათ თავიანთი ამქრული ორგანიზაციები. მონღოლების შემოსევებმა, რასაც თან სდევდა ხელოსანთა მასიური გაჟლეტა და დატყვევება, სერიოზული ზიანი მიაყენა აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოსანთა გაერთიანებებს. ამას გარდა, მონღოლთა ბატონობის ხანაში შემოღებული სისტემა ხელოსანთა ექსპლოატაციისა აგრეთვე დიდად აბრკოლებდა ხელოსნობისა და ხელოსანთა ამქრული ორგანიზაციების განვითარებას. ხელოსანთა ამქრები შედარებით ძლიერი იყო სამხრეთ ირანის ქალაქებში, რომელთაც ნაკლებად განიცადეს მონღოლთა შემოსევების საშინელებანი.

არაბი მოგზაური იბნ ბატუტა მოგვითხრობს, რომ ქალაქ ისფაჰანში ყოველი დარგის ხელოსნებს თავისი ცალკე კორპორაციები ჰქონდათ. ისინი ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ სტუმართმოყვარეობაში და ეს შეჯიბრი იქამდე მიდიოდა, რომ ზოგჯერ ხელოსანთა მთელი შემოსავალი სტუმრების გამას-

---

[1] რაშიდ ედ-დინი. კ. იანის გამოც., ლონდონი, გვ. 337.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 338.

პინძლებაზე იხარჯებოდა[1]. ასეთივე ორგანიზაციები ჰქონდათ ხელოსნებს შირაზში და მცირე აზიის ქალაქებშიც[2].

მონღოლთა ბატონობის ხანაში გაძლიერდა ხელოსანთა კავშირი დერვიშულ-სუფიურ ორდენებთან. განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდა სუფიური ორდენი სეფევიე. ილხანთა ირანის ქალაქების მთელი რიგი ცნობილი ხელოსნები ამ ორდენის მურიდებად ითვლებოდნენ. ამ ორდენის დამაარსებლისა და შეიხის სეფი ედ-დინ არდებილელის ცხოვრების აღწერილობაში, რომელიც XIV საუკ. მეორე ნახევარშია შედგენილი, შემდეგი სპეციალობის ხელოსნები—ორდენის მურიდები—არიან მოხსენიებული: ბაყალი (بقال)[3], ხაბაზი (خباز)[4], ბაზაზი (بزاز)[5], ისრების მკეთებელი (تیر تراش)[6], ქარიზების მთხრელი (کریز کن)[7], ოქრომჭედელი (زرگر)[8], ფეხსაცმლის მკერავი (موزه دوز)[9], დურგალი (نجار)[10], ნავთის გამყიდველთა ამქრის მეთაურის ვაჟიშვილი (پسر کلوی نفط فروش)[11], საპნის გამყიდველი (صابون فروش)[12], მზარეული (طباخ)[13], დაბაღი (دباغ)[14], პალანების მკერავი (پالان دوز)[15], ზარაფი (صراف)[16], ქისების მკერავი (کیسه دوز)[17], მჭედელი (حداد)[18], სარაჯი (سراج)[19], წყლის მზიდავი (سقا)[20], მექუდე (کلاه دوز)[21] და სხვ.

შეიხის მურიდებს შორის ბევრი მდიდარი და ცნობილი ხელოსანი და ვაჭარი იყო. ასე მაგალითად, სეფი ედ-დინის ცხოვრების აღწერილობაში დასახელებული არიან ჰაჯი აჰმედ ზარაფი, რომელიც არდებილის ერთ-ერთი

---

[1] იბნ ბატუტა. მოგზაურობა. ციტ. გამოც., გვ. 91.

[2] იქვე, გვ. 93, 125—127, 131—132.

[3] صفوة الصفى — ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი. დორნის კატალოგი, № 300, ფ. 26 ი (ფურცლები ნაჩვენებია ზემო პაგინაციით).

[4] იქვე, ფ. 26 ბ, 151 ბ, 350 ბ, 379 ბ.

[5] იქვე, ფ. 124 ბ, 331 ბ, 368 ბ, 392 ბ, 426 ბ.

[6] იქვე, ფ. 138 ბ.

[7] იქვე, ფ. 140 ბ.

[8] იქვე, ფ. 147 ბ, 331 ბ, 346 ბ, 371 ბ და სხვ.

[9] იქვე, ფ. 160 ბ

[10] იქვე, ფ. 173 ბ, 301 ბ.

[11] იქვე, ფ. 301 ბ.

[12] იქვე, ფ. 339 ბ, 340 ბ, 341 ბ.

[13] იქვე, ფ. 361 ბ.

[14] იქვე, ფ. 361 ბ.

[15] იქვე, ფ. 363 ბ.

[16] იქვე, ფ. 406 ბ.

[17] იქვე, ფ. 410 ბ.

[18] იქვე, ფ. 117 ბ.

[19] იქვე, ფ. 476 ბ, 476 ბ, 483 ბ.

[20] იქვე, ფ. 479 ბ.

[21] იქვე, ფ. 486 ბ, 514 ბ.

ცნობილი პიროვნებათაგანი ყოფილა, ახი ჰაჯი ბაზაზი—არდებილის ცნობილი ბაზაზი[1] და სხვ.

ძირითად ფიგურას ირანის სახელოსნო წარმოებაში წარმოადგენდა ოსტატი-ხელოსანი, რომელსაც ჰქონდა საკუთარი სახელოსნო-დუქანი და ჰყავდა ერთი ან რამდენიმე შეგირდი. ხელოსანთა თითქმის ყველა რესალეში—ე. წ. „წესდებებში"—ოსტატის ერთ-ერთ მოვალეობად შეგირდების სწავლებაა ჩაწერილი[2]. შეგირდი რომ სწავლას დაამთავრებდა, ხდებოდა მისი ოსტატად კურთხევა. ამის შემდეგ ის ამქრის წევრი ხდებოდა, შეეძლო გაეხსნა საკუთარი სახელოსნო და შეგირდებიც აეყვანა. თუ ახალგაზრდა ხელოსანს არ შეეძლო საკუთარი სახელოსნოს გახსნა, ის განაგრძობდა მუშაობას თავის მასწავლებელთან, მაგრამ არა როგორც ქარგალი, არამედ როგორც დაქირავებული ოსტატი.

მონღოლთა შემოსევებმა და მათმა ბატონობამ დიდი ზიანი მიაყენა ირანის სახელოსნო წარმოებას, მაგრამ ზოგიერთი ქალაქი მაინც განთქმული იყო თავისი ნაწარმით. ცნობილია, მაგალითად, რომ თავრიზში იქსოვებოდა აბრეშუმის და ოქროქედით ნაკერი ქსოვილები, იეზდშიც მზადდებოდა ძვირფასი ქსოვილი, რომელიც „იეზდის" სახელით იყო ცნობილი. ეს საქონელი დიდი რაოდენობით გადიოდა სხვა ქალაქებში გასასყიდად[3]. ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობით, ფარსის ქალაქ ქაზერუნში დიდი რაოდენობით ამზადებდნენ ბამბის ქსოვილს, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში გაჰქონდათ[4]. განთქმული იყო აგრეთვე ქაზერუნის სელის ნაწარმიც[5]. არაბი მოგზაური იბნ ბატუტა მოგვითხრობს, რომ ნიშაბურში დამზადებული აბრეშუმისა და ხავერდის ტანსაცმელი ინდოეთშიც კი გაჰქონდათ გასასყიდად[6].

მონღოლთა უზარმაზარი სახელმწიფოს შექმნამ გამოიწვია საქარავანო ვაჭრობის გაცხოველება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. მონღოლი ხანები დაინტერესებული იყვნენ უცხოური ძვირფასი საქონლის მიღებით, ამიტომ ხელს უწყობდნენ საქარავნო ვაჭრობის განვითარებას. მონღოლთა ბატონობის ხანაში საერთაშორისო ვაჭრობა ფართოვდებოდა და სულ ახალსა და ახალ ოლქებს მოიცავდა. ამ ვაჭრობაში მონაწილეობდნენ ერთი მხრით ირანი, ამიერკავკასია, სამხრეთ რუსეთი, შუა აზია, მონღოლეთი და ჩინეთი, ხოლო მეორე მხრით, იტალიის ქალაქების შუამავლობით, ხმელთაშუა ზღვის და შავი ზღვის ქვეყნები, იტალია და დასავლეთი ევროპა[7].

მონღოლებმა ვერ შესძლეს სირიის დაპყრობა, ამიტომ მათი ბატონობის ხანაში უპირატესობა ჰქონდა ჩრდილოეთის სავაჭრო გზებს. ამ დროს კვლავ ადგილი აქვს შავი ზღვის ვაჭრობის გაცხოველებას, რომელშიც განსაკუთრე-

---

[1] صفوة الصفى — ციტ. ხელნაწერი, ფ. 406 ა, 124 ბ.

[2] М. Гаврилов. Рисоля сартовских ремесленников, Ташкент, 1912, გვ. 21, 29. 42. 47.

[3] Марко Поло. Путешествие, გვ. 23. 31.

[4] ჰამდალაჰ ყაზვინი. ნოზჰათ ალ-ყოლუბ, გვ. 126.

[5] В. В. Петрушевский. Городская знать в государстве Хулагундов, გვ. 87.

[6] იბნ ბატუტა. მოგზაურობა, ციტ. გამოც., გვ. 177.

[7] Я. А. Манандян. О торговле и городах Армении, გვ. 285.

ბით აქტიურობენ იტალიის ქალაქები—ვენეცია და გენუა. ირანისა და სამხრეთ-აზერბაიჯანის ქალაქები აწარმოებდნენ გაცხოველებულ საქარავნო ვაჭრობას როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებთან და ოქროს ურდოსთან, ასევე დასავლეთ ევროპასთან. განსაკუთრებით დიდი იყო საქარავნო ვაჭრობაში თავრიზისა და სულთანიეს მნიშვნელობა. თავრიზიდან დასავლეთ ევროპაში გაჰქონდათ სხვადასხვა სახის სანელებლები, ძვირფასი ქვები, აბრეშუმი და მაღალხარისხოვანი ქსოვილები[1]. დასავლეთიდან თავრიზში შემოდიოდა ვენეციის, ლომბარდიის, გერმანიისა და ფლანდრიის მაუდი, აგრეთვე, ტილო, ბეწვეული, კალა და სხვ.[2].

მონღოლთა სახელმწიფოებში როგორც საგარეო, ასევე საშინაო ვაჭრობაც ღიდად იყო დამოკიდებული მონღოლ მბრძანებლებსა და ფეოდალურ არისტოკრატიაზე. დიდი გავლენით სარგებლობდნენ ვაჭართა წრეში დერვიშულ-სუფიური ორდენების შეიხები. საერო და სასულიერო არისტოკრატია მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქარავნო-სატრანზიტო ვაჭრობასთან. მსხვილი სავაჭრო კომპანიების წევრი ვაჭრები—ორტაღები ხშირად ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელთა კაპიტალით აწარმოებდნენ ვაჭრობას და გარკვეულ წილს უდებდნენ მათ მოგებაში. ცნობილია აგრეთვე, რომ თვითონ მონღოლი ყაენებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული მთელ რიგ მუსლიმანურ სავაჭრო კომპანიებთან[3]. ჯუვეინის თხზულებაში მოთხრობილია არა ერთი შემთხვევა იმისა, რომ დიდი ყაენი უგედეი ასობით ოქროს ბალიშებს აძლევდა ორტაღებს ვაჭრობის საწარმოებლად[4]. ორტაღები ფულს იღებდნენ აგრეთვე ფეოდალური არისტოკრატიის სხვა წარმომადგენელთაგანაც, სამაგიეროდ კი ძვირფასი საქონელი ჩამოჰქონდათ ინდოეთიდან, ჩინეთიდან და ევროპის ქვეყნებიდან. მაგრამ ზოგჯერ ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები მარტო უცხოური საქონლით არ კმაყოფილდებიან და ფულადი მოგებიდანაც გარკვეულ წილს ღებულობენ. მაგალითად, რაშიდ ედ-დინი მოგვითხრობს, ყოველ ხათუნს რამდენიმე ორტაღი ჰყავდა. რომელთაც მოგების სახით ფული მოჰქონდათ მათთვისო[5].

ზოგიერთი ორტაღი ვაჭარი, რომელიც საქარავნო ვაჭრობაში ფართო მონაწილეობით იყო გამდიდრებული, თანდათან იძენდა ფეოდალური არისტოკრატიისათვის საჭირო თვისებებს, ამ არისტოკრატიის რიგებში შესვლას ახერხებდა და ზოგჯერ პოლიტიკურ ბატონობასაც კი აღწევდა ქალაქში. საყოველთაოდ ცნობილია ვაჭრობით გამდიდრებული და ფეოდალად ქცეული პირების სახელები, როგორიც არიან მაჰმუდ იალავაჩი მავერანნაჰრში, თაჯ ედ-დინ ალი-შაჰი ირანში, სომეხი ვაჭარი უმეკი და სხვები.

მსხვილი სავაჭრო კომპანიები ან მათი ცალკეული წევრები ხშირად სახელმწიფოსაგან იჯარით იღებდნენ მთელი მხარეების, ოლქების ან ქალაქთა

---

[1] Марко Поло. Путешествие, გვ. 23.

[2] Л. А. Манандян. დასახ. ნაშრ., გვ. 300.

[3] А. Ю. Якубовский. Восстание Тараби в 1238 г., გვ. 112.

[4] ჯუვეინი, ტ. I, გვ. 132, 133—134, 138, 144—145; აგრეთვე, რაშიდ ედ-დინი. ე. ბლოშეს გამოც., გვ. 65.

[5] რაშიდ ედ-დინი. კ. იანის გამოც., ლონდონი, გვ. 329.

გადასახადების აკრეფას. გადასახადთა ყოველი შემსყიდველი ცდილობდა ერთი-ორად აენაზღაურებინა ხაზინაში შეტანილი თანხა და რამდენიმეჯერ აგროვებდა ერთსა და იმავე გადასახადს, რითაც დიდად ავიწროებდა მოსახლეობას.

განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ილხანთა სახელმწიფოში მევახშეობამ, რომელშიც ხშირად ორტაღებიც ღებულობდნენ მონაწილეობას. მევახშეობასთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული მონღოლი დიდებულები, რომელნიც თვითონაც სარგებლობას ნახულობდნენ ამაში. ფულის სესხად აღება და უზომო სარგებლის გადახდა საბოლოოდ წელში წყვეტდა მოსახლეობას. ის სესხის ამღები, რომელსაც არ შეეძლო ვალის გადახდა, ცოლშვილიანად მევახშის მონა ხდებოდა[1]. ეს კი ხელს უწყობდა ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების კიდევ უფრო დაცემას.

მონღოლთა ბატონობის ხანაში ადგილი ჰქონდა ვაჭრობის გაცხოველებას, მაგრამ ეს ვაჭრობა ძირითადად საქარავნო-სატრანზიტო ხასიათისა იყო. ამ ვაჭრობის შედეგად იზრდებოდა მხოლოდ ის ქალაქები, რომლებიც დიდ სავაჭრო მაგისტრალებზე მდებარეობდნენ. სხვა ქალაქებზე კი საქარავნო ვაჭრობის განვითარება არავითარ გავლენას არ ახდენდა. საქარავნო-სატრანზიტო ვაჭრობა, რომელსაც კავშირი არ ჰქონდა სახელმწიფოს სოფლის მეურნეობასა და საქალაქო ცხოვრებასთან, ვერ აპირობებდა ქვეყნის ეკონომიურ აღმაღლობას. ხოლო მონღოლთა მიერ შემოღებული წესი მშრომელი მოსახლეობის ექსპლოატაციისა—მძიმე გადასახადები, ხანებისა და მათ ნათესავთა კუთვნილი დიდი სახელოსნო-ქარხნები და სხვ., ვერ ქმნიდა საჭირო პირობებს საშინაო ვაჭრობის გასავითარებლად.

ირანში ბევრი იყო ისეთი საშუალო და მცირე ქალაქი, რომლებიც საშინაო ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრებს წარმოადგენდნენ და მომსახურებას უწევდნენ ახლომახლო ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობას. მაგრამ მონღოლები მხოლოდ საქარავნო ვაჭრობაში მონაწილე მდიდარ ვაჭრებს მფარველობდნენ და სხვადასხვა პრივილეგიებსაც ანიჭებდნენ, წვრილი ვაჭრები კი არავითარი შეღავათებით არ სარგებლობდნენ. სოფლის მეურნეობა დაქვეითებული იყო, სახელოსნო წარმოება დაკნინებული, მოსახლეობა გალატაკებული. ყველაფერი ეს აპირობებდა საქალაქო ცხოვრების დაცემას.

## § 3. ილხანთა ირანი XIV ს-ის პირველ ნახევარში

ილხანთა ირანის ისტორია ორ მთავარ პერიოდად იყოფა. პირველი პერიოდი ქრონოლოგიურად თავსდება 1256—1295 წლებში, მეორე 1295—1335 წლებში.

პირველ პერიოდში ილხანთა ირანისათვის დამახასიათებელი იყო ძლიერი მონღოლური ტრადიციები.

ამ დროს მოხდა მიწების ახალი გადანაწილება-გადაჯგუფება ახლა უკვე მონღოლი ნოინების სასარგებლოდ.

---

[1] რაშიდ ედ-დინი. კ. იანის გამოც., ლონდონი, გვ. 318.

მონღოლმა ნოინებმა ხელთ იგდეს თურქ-სელჩუკების დროს გადარჩენილი ირანელი ფეოდალების მიწები. 1256 წელს ჰულაგუ-ყაენმა გაანადგურა ისმაილიტთა რეზიდენცია ალამუთი, ხოლო ისმაილიტები ფიზიკურად გაჟლიტა. ამას მოჰყვა მიწისმფლობელობის უფლებების ახალი გადაჯგუფება. მონღოლთა ამგვარ ღონისძიებათა შედეგი იყო ირანელი ფეოდალების რიცხობრივად კიდევ უფრო შემცირება. ირანელ მიწისმფლობელთა კლასი შეშორჩენილ-შემონახული აღმოჩნდა უპირატესად ცენტრალურსა და სამხრეთ ირანში, რომელიც მონღოლთა ტყვევნა-ოხრებას ფარსის ათაბეგების მარჯვე პოლიტიკის წყალობით გადაურჩა.

1231—1256 წლებში ირანის მოსახლეობას მონღოლთა მთავარი ყაენის მოადგილე მმართველები ძარცვავდნენ, 1256—1295 წლებში ილხანები.

„დივანის“ (სახელმწიფოს) და „ინჯუს“ (ხანის და მისი სახლის წევრების) მიწების ფონდი ძირითადად კერძო მიწისმფლობელობის ხარჯზე შეიქმნა[1].

XIV ს-ის დამდეგის ისტორიკოსის ვასაფის ცნობების მიხედვით ინჯუს მიწების ზრდა, განსაკუთრებით არღუნ-ხანის დროს, ადგილობრივი ფეოდალების ხარჯზე წარმოებდა[2].

ჩამორთმეული მიწების ერთი ნაწილი, აღნიშნავს ვასაფი, გადაეცა დივანს, ერთი ნაწილიც დაიტაცეს და დაისაკუთრეს მონღოლმა ნოინებმა და სარდლებმა. მაგრამ ძველ მიწისმფლობელთა მიწების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ილხანისა და მისი სახლის წევრების საერთო საკუთრებად („ინჯუდ“) გადაიქცა. ამ საერთო საკუთრების გარდა ილხანის პირად განკარგულებაში იმყოფებოდა აუარებელი მიწები („ინჯუ-ი ხასს“). ინჯუს მიწების ფონდი იზრდებოდა სავაკუფო და საეკლესიო მიწების ხარჯზეც.

ადგილობრივი ფეოდალების ფიზიკურ გაჟლეტასთან ერთად მონღოლები საამისოდ ყველა საშუალებას და ღონისძიებას იყენებდნენ (მფლობელობის საბუთთა საეჭვოდ გამოცხადება, ყალბი საბუთების შედგენა, უზომო გადასახადები. აშკარა ძალადობა...)[3]. ამავე საშუალებებს მიმართავდნენ მონღოლთა კარზე აღზევებული ნოხელეებიც.

ყველაზე აუტანელ მდგომარეობაში ამ დროს მაინც მძიმედ დახარკული მწარმოებელი კლასი იყო. მონღოლურმა ხარკმა გლეხს მეურნეობის წარმოების სტიმული დაუკარგა.

მალი (ხარაჯას ახლანდელი შესატყვისი), ყაფჩერი (საბალახე გამოსაღები), სარშომარე (სულადი გადასახადი), ხანეშომარე (საკომლო), ულუფა, სხვადასხვა სამოხელეო გადასახადი (სატარუღო, საელჩო...), ყალანი (სალაშქრო გადასახდელი) და საიამე მოვალეობა წელში ზნექდა გლეხობას,

---

[1] А. М. Беленицкий. К вопросу о социальных отношениях в Иране в хулагундскую эпоху, გვ. 112.

[2] თარიხი ვასაფ. ბომბეის ლითოგრაფიული გამოცემა. გვ. 230.

[3] А. М. Беленицкий. დასახ. ნაშრ., გვ. 112—113.

ყველა ამას ზედ ერთოდა გადასახადების მთელი სერია („იხრიჯათის"—განსხვავების სახელწოდებით)[1], რომელიც უკანასკნელ ლუკმას სტაცებდა პირიდან გლეხს და მის ოჯახს.

ვაჭრობასა და ხელოსნობაზე დაწესებული იყო „თამღა", მაგრამ ყველაზე მძიმე მაინც „თარჰი" იყო. თარჰი გულისხმობდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების და ხელოსნური ნაწარმის ფასების ნებისმიერ შემცირებას და შესყიდვას[2]. თარჰი აჩანაგებდა გლეხს, ვაჭარს, ხელოსანს.

მოხელეთა ბოროტმოქმედებანი ხალხის აღწერის დავთრების შედგენის დროს, გადასახადების გამოსყიდვის გზით გადასახდელის ერთი-ორად აკრეფა, ერთსა და იმავე სოფელზე რამდენიმე ბარათის უკანონოდ გაცემა, ბარათების განაღდების უსამართლო წესები უკიდურესად აუარესებდა გაჭირვებული და გაღატაკებული გლეხობის მდგომარეობას.

გლეხების ცემა, მათი ხის ტოტებზე თავდაყირა დაკიდვა, გამოძალვა გადასახადების აკრეფის ჩვეულებრივი საშუალებები იყო.

მომთაბარეების მეზობლობაც და მოძრაობაც გლეხკაცობას ატყდებოდა თავზე. სახნავ-სათეს მიწებზე და ყანებზე ჯოგების გადაყვანის დროს ფუჭდებოდა და ნადგურდებოდა მოსავალი. ხანის მრავალრიცხოვან ჯოგს (ყაანჩი) თუ ამირა-მოხელეების ჯოგებს გზას ვერავინ დაუჭერდა. დაღუპული ქირნახული გადასახადის ოდენობაზე გავლენას არ ახდენდა. გლეხს წელზე ფეხი უნდა დაედგა და გადასახადი მაინც გადაეხადა.

მიწისმოქმედებას და, კერძოდ, გლეხის მეურნეობას ანადგურებდა ნადირობაც (ჯერგა), რომელიც მონღოლების საყვარელი გასართობი იყო. ჯერგაში (ნიშნავს შემოხაზულ წრეში ნადირის შერეკვას) მოქცეული იყო დამუშავებული მიწებიც. ამას გარდა, ჯერგაში იძულებით გამოჰყავდათ გლეხები ტყიდან ნადირის გამოსადევნად და გზების შესაკრავად. ეს იწვევდა გლეხების სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებიდან მოცდენას, რაც, ცხადია, გავლენას ახდენდა მოსავალზე.

საიამე მოვალეობა, ელჩების ხშირი მისვლა-მოსვლა, მათი გამასპინძლება, საიამე სადგურებზე ცხენების გამოყვანის ვალდებულება მეურნეობის წარმოებას ათასნაირ დაბრკოლებას უქმნიდა. ამან დააცარიელა გზების გასწვრივ მდებარე სოფლები, დააღარიბა ქალაქები.

ყველა ამის შედეგი იყო აუწერელი გაჭირვება, შიმშილი, ეპიდემიები.

აუტანელ მდგომარეობაში ჩაყენებული გლეხი ბობოქრობდა, გარბოდა, ჯანყდებოდა.

თანამედროვე წყაროები (სპარსული, სომხური, ქართული) ერთხმად აღნიშნავენ გლეხთა მასიური აყრა-გაქცევის ფაქტებს. მძარცველურმა საგადასახადო სისტემამ დასცა სოფლის მეურნეობა. ჯუვეინის სიტყვით, დასახლე-

---

[1] მონღოლური გადასახადების შესახებ იხ. В. В. Бартольд. Персидская надпись на стене анийской мечети Мануче; А. М. Беленицкий. К вопросу о социальных отношениях в Иране в хулагуидскую эпоху.

[2] А. А. Али-заде. К истории феодальных отношений в Азербайджане в XIII—XIV вв. (термин „тарх"), ССИА, I, გვ. 112.

ბული და დამუშავებული ნიწების დიდი უმეტესობა მკვდარ (მავათ) და დაუმუშავებელ (ხარაბ) მიწებად იქცა[1].

დაცარიელებული მიწები მძიმე ტვირთად დააწვათ ფეოდალებს. დაუმუშავებელ მიწაზე დაწესებული ხარკის ძლევის შეწყვეტას ფეოდალი (უპირატესად საშუალო მიწისმფლობელების წრიდან) მხოლოდ მიწის მიტოვებით ახერხებდა. წყაროები აღნიშნავენ მიწების არაჩვეულებრივ გაიაფებას ილხანთა მთელს სახელმწიფოში. შემოსავალი შეამცირა აგრეთვე წარუმატებელმა ომებმა ოქროს ულუსთან კავკასიაში და ეგვიპტის მამელუკებთან სირიაში. XIII ს-ის 80-ან წლებში დაიწყო მრავალწლოვანი სამეურნეო კრიზისი.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ილხანები ამაოდ ეძებდნენ, რადგან მონღოლი ნოინების უმრავლესობა დაჟინებით იცავდა ბომთაბარულ ტრადიციებს, მეურნეობას, დაუშვებლად თვლიდა ქალაქებში ცხოვრებას (1269 წლის ყურულთაის დადგენილებით), მკვიდრბინადრულ მიწისმოქმედებაზე გადასვლას. გლეხთა ექსპლოატაცია ფეოდალურ ფორმაში მონღოლი ნოინების (უმრავლესობის) წინაშე არც იდგა, ვინაიდან მეჯოგური მეურნეობისთვის გლეხი საერთოდ საჭირო არ იყო.

მონღოლები მფარველობდნენ მხოლოდ საქარავნო ვაჭრობას. ამიტომ მონღოლთა ზედაფენის ყველაზე კონსერვატულ მიმართულებას მხარს უჭერდნენ ორტაღები (მსოფლიო საქარავნო ვაჭრობის აქტიური მონაწილენი), გადასახადების შემსყიდველები, „სიმდიდრით აღზევებული“ ფეოდალები, სამოქალაქო ბიუროკრატიის ზოგიერთი წარმომადგენელი—„სიმდიდრის ბომხვეჭელი“ უპრინციპო მოხელის კარგად ცნობილი ფიგურა მონღოლთა ხანის მედროვეთა წრიდან.

ბასკაკობის პირდაპირი შედეგი იყო სახელმწიფო შემოსავლის მკვეთრი შემცირება.

ილხანმა ქეიღათუმ (1291—1295) სამეურნეო კრიზისიდან თავის დაღწევის ღონისძიებად ქაღალდის ფულის („ჩაოს“) შემოღება ჩასთვალა.

ქაღალდის ფული ხმარებაში იყო ჩინეთში. ქეიღათუმ ჩინელების მიბაძვით შემოიღო „ჩაო“ ილხანთა ირანის სახელმწიფოში.

ქაღალდის ფულზე, შუა წრეში, აღნიშნული იყო დინარების რაოდენობა. ილხანთა ირანში მანამდე მხოლოდ ვერცხლის დინარები იჭრებოდა. მეტად იშვიათი ოქროს მონეტების („ბალიშების“) მოჭრა განსაკუთრებულ შემთხვევებთან იყო დაკავშირებული (ილხანის ხელდასხმა, დიდმოხელეების დაჯილდოვება და სხვ.). ამიერიდან ქაღალდის ფული ღირებულებით ვერცხლის მონეტებს უტოლდებოდა. ქეიღათუს ბრძანებით „ჩაო“ ყველას უნდა აეღო, ვინც უარს იტყოდა სიკვდილით დაისჯებოდა. მაგრამ იძულებამ სრულიად საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო.

წკრიალა მონეტიდან ქაღალდის ფულზე გადასვლამ ყველაფერი აურდაურია. დაიკეტა ბაზრები, დუქნები. მხოლოდ ზარაფების ამინდი იდგა. ვაჭრები უარს ამბობდნენ მიეღოთ „ჩაო“, სოფლებიდან არავის მოჰქონდა სურსათ-სანოვაგე ქალაქის ბაზრებზე გასასყიდლად. ქალაქებში შიმშილობა დაი-

---

[1] ჯუვეინი, ტ. I, გვ. 118.

წყო. სპეკულაცია, ქურდობა, ძარცვა, მკვლელობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო იმდროინდელი თავრიზის ქუჩებში.

„ჩაოს“ შემოღება ილხანთა ირანში მარცხით დამთავრდა. გაძლიერდა საფინანსო ქაოსი. ოქრო მეტისმეტად გაძვირდა, სამაგიეროდ გაიაფებული პიწა ჩალის ფასად იყიდებოდა.

ილხანთა ირანის ეკონომიური კრიზისის პირობებში მონღოლთა ზედა ფენაში თანდათან შეიუშავდა მიმართულება, რომელიც მოითხოვდა გადასახადების მოწესრიგებას, დაცემული სოფლის მეურნეობის აღდგენას და გლეხთა რაციონალურ ექსპლოატაციას. ამ მიმართულებას მხარს უჭერდა მუსლიმანური ეკლესია. ძველი ფეოდალური სახლები, საქოქალაქო ბიუროკრატიის ნაწილი და ვაჭრების უმრავლესობა.

მეორე მიმართულების მისწრაფებათა რეალიზაციისათვის იყო მოწოდებული ყაზან-ყაენის რეფორმები.

ყაზან-ყაენის (1295—1304) ილხნობის დროიდან იწყება ილხანთა ირანის ისტორიის მეორე პერიოდი. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო მონღოლური ტრადიციების შესუსტება, მონღოლთა შემოსევების წინარე ხანის ეკონომიური და სახელმწიფოებრივი ტრადიციების აღდგენის ცდანი.

1295 წლიდან ილხანი სულთნის წოდებულების მატარებელიცაა. ილხანებმა ხელი აიღეს თვით იმ ფორმალურ დამოკიდებულებაზე, რომლითაც ისინი მხოლოდ გარეგნულად სცნობდნენ მონღოლთა მთავარი ყაენის უზენაესობას.

ისლამის სახელმწიფო რელიგიის უფლებებში აღდგენა ნიშნავდა იმას, რომ ამიერიდან ილხანთა ირანი ყოველგვარ კავშირს წყვეტდა მონღოლთა მთავარ ულუსთან (სახელმწიფოსთან). ისლამის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა. ისლამის კვლავ გაბატონება გზას უხსნიდა ირანის იმ ფეოდალურ ძალებს, რომელნიც ირანულ-მუსლიმანური კულტურის განვითარებისათვის იღვწოდნენ. გასაგებია, რომ ყაზან-ყაენის დროს ნაწილობრივ სცნეს ძველი მიწისმფლობელების უფლებები. დამახასიათებელია ისიც, რომ რაშიდ ედ დინი, სახელმწიფოს უპირველესი მოხელე და რეფორმების აქტიური მონაწილე, ყაზან-ყაენს ხოსროს (მეფეს) უწოდებს, ხოლო მის ქვეყანას „ირანის სახელმწიფოს“ („მამალიქ ი ირან“).

ყაზან-ყაენი აშკარად დაკავშირებული ჩანს ირანელი ფეოდალების ზედა ფენასთან. იგი სასტიკად უსწორდება იმათ, ვინც მონღოლური ორგანიზაციის შენარჩუნებას ცდილობს. მისი რეფორმების მთავარი მიზანი იყო განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნა, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება-გაძლიერება, სამხედრო-ლენური სისტემის განვითარებით მტკიცე მატერიალური ბაზის შექმნა ილხანთა ირანის სამხედრო ორგანიზაციისათვის.

ყაზან-ყაენის დროს მოწესრიგდა გადასახადები და საგადასახადო სისტემა. დაწინაურდა სოფლის მეურნეობა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქალაქებს, ვაჭრობას, ხელოსნობას.

ოქროს ულუსის მხრით ამიერკავკასიის საავაჭრო გზების (ბარდავი—განჯა—თბილისი—ანისი) დაპყრობის განზრახვამ აიძულა ილხანთა ირანი შორს სამხრე-

თით გადაეტანა დას. ევროპასთან დაკავშირებული სავაჭრო გზები. ამან წამოსწია ქალაქი თავრიზი (ილხანთა ირანის პოლიტიკური ცენტრი) და სამხრეთ აზერბაიჯანის სხვა ქალაქები, სამაგიეროდ დასცა და დააღარიბა ამიერკავკასიის ქალაქები[1].

ქალაქების მშენებლობა (ახალი ქალაქები—სულთანიე, ღაზანიე...), დანგრეული ქალაქების აღდგენა (ნაწილობრივ), ახალი და კეთილმოწყობილი უბნები მსხვილ ქალაქებში, ინტენსიური ვაჭრობა და ხელოსნობა, სოფლის მეურნეობის თვალსაჩინო დაწინაურება, როგორც ვხედავთ, იყო არა მონღოლთა პოლიტიკის, არამედ მეორე (პროგრესული) მიმართულების დროებითი გამარჯვების შედეგი.

ილხანთა ირანის ისტორიის მეორე პერიოდზე მოდის აგრეთვე ისეთი უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა ფეოდალიზმის განვითარებაში, როგორიცაა გლეხთა მიწაზე მიმაგრების ფიქსირება ყაზან-ყაენის 1303 წლის იარლიყით[2].

რა თქმა უნდა, ყაზან-ყაენი ამით ცხოვრებაში მომხდარ ფაქტს ადასტურებდა, მაგრამ ამ აქტით იგი იმას ავითარებდა, რაც არა მონღოლთა ბატონობის, არამედ ამის წინარე ხანის განვითარების ნაყოფი იყო.

გაქცეული გლეხის ძებნის ხანდაზმულობის ვადად 30 წელი დაწესდა.

გლეხი, ამრიგად, მიწაზე იქნა მიმაგრებული. მაგრამ ამ მიმაგრების მთელი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ ილხანთა ირანში და, საზოგადოდ, აღმოსავლეთის ქვეყნებში გლეხი მიმაგრებული იყო არა უშუალოდ მიწაზე, არამედ გადასახადზე. „აღმოსავლური ექსპლოატაციის“ წესის თავისებურებაც სწორედ აქედან გამომდინარეობს.

გლეხებთან დამოკიდებულების საკითხი ყაზან-ყაენის წინაშე აქტუალურად იდგა. საჭირო იყო ისეთი ღონისძიებების გატარება, რაც გლეხს სოფლის მეურნეობით დააინტერესებდა. გადასახადების მოწესრიგებას უკავშირებდა ყაზან-ყაენი გლეხთა მასიური აყრა-გაქცევის აღკვეთას, გაქცეული გლეხების სოფლებში უკან დაბრუნებას, სოფლის მეურნეობის აღდგენას.

გაქცეულ გლეხთა ერთი ნაწილი ქმნიდა რაზმებს, რომელთაც ხელოსნებიც უერთდებოდნენ, ბევრი გლეხი იყო შარა-გზებზე მოთარეშე ყაჩაღების ბრბოებში. სოციალურ ნიადაგზე განვითარებული მეკობრეობა თავზარს სცემდა ფეოდალებს. გლეხთა მოძრაობათა ზრდა, მათი აჯანყებებში გადაზრდის შიში იყო ყაზან-ყაენის საგადასახადო რეფორმის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი.

ყაზან-ყაენის 1303 წლის იარლიყში აღბეჭდილია არა მარტო გლეხთა მიწაზე მიმაგრების წესები, არამედ მონღოლური იკტას თავისებურებანიც.

იკტას ევოლუცია აღებულ ხანაში ადგილობრივი ფეოდალური ძალების გავლენის შედეგი იყო.

---

[1] И. П. Петрушевский. Хамдаллах Казвини как источник по социально-экономической истории Восточного Закавказья, გვ. 912.

[2] И. П. Петрушевский. К вопросу о прикреплении крестьян к земле в Иране в эпоху монгольского владычества, Вопросы истории, 1947, № 4, გვ. 62.

აღსანიშნავია, რომ გლეხები გარბოდნენ უმთავრესად სახელმწიფო ნიწებიდან, სადაც მიწის მფლობელები და გადასახადთა შემსყიდველები ხაზინიდან მიღებული „ბარათებით“ მოქმედებდნენ. იშვიათი არ იყო ისეთი შემთხვევა, როცა ბარათის მფლობელს მთლად დაცარიელებული სოფელი ხვდებოდა და მალის წილი აუკრეფავი რჩებოდა. როგორც აღვნიშნეთ, თითქმის მთლად ცარიელი იყო გზების გასწვრივ მდებარე სოფლები.

XIII ს-ის უკანასკნელი მეოთხედისათვის სოფლის მეურნეობაში შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ დაუმუშავებელი მიწები („ხარაბ“) მეტი იყო, ვიდრე დამუშავებული მიწები. დაუმუშავებელი მიწების ყველაზე დიდი რაოდენობა სახელმწიფო მიწებზე მოდიოდა. სამაგიეროდ, (წყაროების მიხედვით) შედარებით კეთილნაშენი ჩანს კერძო მიწისმფლობელთა მიწები („ნულქი“). აყრილ-გაქცეული გლეხები სწორედ ასეთ მიწებზე სხდებიან.

XIII—XIV სს. წყაროები ერთხმად აღნიშნავენ შემოსავლის შემცირებას დივანის მიწებიდან, სამაგიეროდ მიუთითებენ „ხასინჯუს“ და კერძო მფლობელთა მიწების ნაშენობას („აბადან“). ამის გამო ბევრგან დაიწყო დივანის „მამულების“ („ანლაქ-ი დივან“) გაყიდვა. მიწების ყიდვა-გაყიდვა გახდა მსხვილი მიწისმფლობელობის ერთ-ერთი წყარო.

კონტრასტი სახელმწიფო და კერძო მიწების მდგომარეობას შორის იმდენად დიდი და თვალსაჩინო იყო, რომ ამას აუცილებლივ უნდა გამოეწვია „სამამულო სისტემის“ უპირატესობის შეგნება მონღოლებს შორის.

ყაზან-ყაენამდე ლაშქრის მეომრები (მარდომი ჩერიქ) ხაზინიდან იღებდნენ ბარათებს, რომლითაც მათ გადაკვეთილი ჰქონდათ გარკვეული წილი მიწის შემოსავლიდან. გლეხთა მასიური აყრა-გაქცევის პირობებში ბარათების განაღდება მეომრებისათვის ხშირად ძალიან ძნელი საქმე იყო. ამიტომ ისინი უმჯობესად სთვლიდნენ ნახევარ ფასად გაეყიდათ ბარათები[1]. გადასახადების შემსყიდველნი (ბარათებით მოვაჭრენი) კალიებივით იყვნენ მოდებული სოფლებში. ყაზან-ყაენმა მეომრებისათვის მიცემული ბარათების განაღდება სახელმწიფო ბეღლების საშუალებით მოინდომა, მაგრამ ეს ღონისძიება ეფექტური არ აღმოჩნდა. ამის შემდეგ ყაზან-ყაენმა ლაშქრის ხალხისათვის იკტას პირად მფლობელობაში გადაცემა გადასწყვიტა. ამ ღონისძიების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ გამოშვებული ბარათების 20% გაუნაღდებელი რჩებოდა[2]. ამავე დროს, თვითონ მეომრებსაც სურდათ მიწის დასაკუთრება, მიწისმოქმედების უშუალოდ წარმოება[3].

იკტა მეომრებს მიწის დამუშავების პირობით ეძლეოდათ. ვინც მიწას არ დაამუშავებდა, მისთვის დაუყონებლივ უნდა ჩამოერთმიათ იკტა და სხვისთვის გადაეცათ.

იკტად მეომრებს ეძლეოდათ სოფლები ამ სოფლებში მცხოვრები გლეხებითურთ. თუ სოფლიდან გლეხი გაიქცეოდა, მისი ძებნა იკტადარს 30 წლის ვანმავლობაში შეეძლო. აკრძალული იყო ერთი სოფლის გლეხების სხვა სოფლებში გადაყვანა. ყაზან-ყაენი მიწისმფლობელებისაგან მოითხოვდა, რომ მათ

---

[1] A. Lambton. დასახ. ნაშრ., გვ. 89.

[2] იქვე.

[3] იქვე.

არ მიეღოთ აყრილ-გაქცეული გლეხი და უკან დაებრუნებინათ იქ, საიდანაც გლეხი იყო გამოქცეული.

სწორედ აღნიშნული გარემოებანია გათვალისწინებული ყაზან-ყაენის 1303 წლის იარლიყში (მოთავსებულია რაშიდ ედ-დინის „ღაზანის ისტორიაში“).

1303 წლის იარლიყის მიხედვით გარკვეული ოლქი იკტად ეძლეოდა „ათასს“ („ჰაზარე“) მხედარს ე. ი. მომთაბარეთა იმ ტომობრივ ჯგუფს, რომელსაც უნდა გამოეყვანა 1000 მეომარი ფეოდალურ ლაშქარში („ჩერიქ“). წყალობის იარლიყი გამოწერილი იყო ათასისთავის ანუ ამირას სახელზე. ეს ამირა ერთდროულად ტომის მეთაურიც იყო და სარდალიც. ამირა ასისთავების საშუალებით იკტას ტერიტორიას ანაწილებდა თანამეტომე მეომრებს შორის. ეს უკანასკნელნი კი უკვე დამოუკიდებლად ფლობდნენ იკტას. ამირას უფლება არ ვრცელდებოდა კერძომფლობელთა და საეკაფო მიწებზე (ე. ი. არ ქმნიდა ფეოდალურ სამფლობელოს). იმ შემთხვევაში, თუ მხედარი წესიერად არ ასრულებდა სამსახურს ანდა არ დაამუშავებდა თავის მიწას ნასზე მიმაგრებული გლეხებით, მაშინ მას ერთმეოდა იკტას წილი.

გლეხთა მიწაზე მიმაგრების თავისებურება ორგანულ კავშირშია სამხედრო-ლენურ სისტემასთან. ამიტომაა რომ 1303 წლის იარლიყში ერთდროულადაა საუბარი სამხედრო ლენებზე და გლეხთა მიწისმფლობელის პიროვნებაზე მიმაგრების თაობაზე.

მონღოლური იკტას ერთი მთავარი თავისებურებათაგანი იყო საგადასახადო იმუნიტეტი. ახლა იკტას ტერიტორიის შემოსავალზე არავითარი ბარათის გამოწერა არ შეიძლებოდა[1]. იკტას მფლობელი მეომრების ერთადერთი მოვალეობა იყო 50 თავრიზული მანის (ალბათ ხორბლის) გადაცემა სახელმწიფო ბეღელში[2].

მიუხედავად ამისა მათი მიწები არ იყო გამოთიშული სახელმწიფო მოხელეების ზედამხედველობისაგან. ამ უკანასკნელთ (ბითიქჩიებს) ჰქონდათ არა მარტო იკტას ტერიტორიაზე შესვლის უფლება, არამედ მოვალენიც იყვნენ ყოველწლიურად მისულიყვნენ იქ და მოეხდინათ რევიზია[3]. იკტას მფლობელობის წესის დარღვევად ითვლებოდა მიწის დაუმუშავებლობა. მიწაც და გლეხებიც იკტადარებს, როგორც აღვნიშნეთ, მიწის დამუშავების პირობით ეძლეოდათ.

მიწის ფეოდალური დასაკუთრების საერთო ტენდენციის განვითარების შედეგი XIV—XV საუკუნეებში ადმინისტრაციული და სასამართლო იმუნიტეტი იყო. სოიურღალისათვის დამახასიათებელი საგადასახადო, ადმინისტრაციული და სასამართლო იმუნიტეტი . მსხვილი მიწისმფლობელობის ნიადაგზე განვითარდა. მაგრამ სოიურღალი იკტას შემდგომი განვითარებაა.

მსხვილი მიწისმფლობელობის წყაროებად ჩანს სახელმწიფო და სათემო მიწები. სახელმწიფო მიწებს ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობის მიხედვით (XIV ს-ის 30-ანი წლები) დიდმოხელეები ყიდულობენ და ნასყიდს მულქად ხდიან. მო-

---

[1] A. Lambton. დასახ. ნაშრ., გვ. 90.

[2] იქვე.

[3] И. П. Петрушевский. Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI — начале XIX вв., გვ. 157.

ხელე-მევახშეებს უვარდებათ ხელთ მძიმედ დახარჯული სათემო მიწებიც. მსხვილი მიწისმფლობელია აგრეთვე მუსლიმანური ეკლესია („ვაკფი"). ყაზან-ყაენმა ინჯუს მიწების ერთი ნაწილი ვაკფებად აქცია. ისლამის სახელმწიფო რელიგიის უფლებაში აღდგენის შემდეგ შეწირულებანი მუსლიმანური ეკლესიის სასარგებლოდ განუხრელად იზრდება.

მიწის ფეოდალური საკუთრების პროგრესული ფორმებისათვის ბრძოლის წამომწყები ირანული ელემენტია, მაგრამ ახლა იგი მისაღებია მომთაბარული წარმოშობის მსხვილი მიწისმფლობელებისათვისაც.

ყაზან-ყაენის „რეფორმები" საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების თითქმის ყველა მხარეს მოიცავდა. ირანული ტრადიციების აღდგენა, რა თქმა უნდა, თავისთავად ითვალისწინებდა დათმობას ირანული ფეოდალური არისტოკრატიის მიმართ. „რეფორმები" მონღოლური ორგანიზაციის გადალახვის საჭირო პირობების შექმნას გულისხმობდა. საამისოდ იყო მოწოდებული მიწათმფლობელობის და ნიწათსარგებლობის განვითარებული წესები, გლეხებთან ფეოდალური დამოკიდებულების ფორმები, საგადასახადო სისტემის რეორგანიზაცია, ბასკაკების და ბითიქჩიების უფლებების შეზღუდვა, სამხედრო-ლენურ სისტემაზე დაფუძნებული სამხედრო ორგანიზაცია, საქალაქო წყობილების მოწესრიგება, ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარება, სამონეტო სისტემის (ყაზანური თეთრი) და საზომ-საწყაოების უნიფიკაცია, გზების უშიშროების უზრუნველყოფა საგანგებო მოხელეების (რაჰდარების) საშუალებით. სრულიად გარკვეული მიზნით წარმოებდა დანგრეული ქალაქების აღდგენა და ახალი ქალაქების დაარსება.

ყაზან-ყაენის „რეფორმების" გატარების აქტიური მონაწილე იყო რაშიდ ედ-დინი. მონღოლი ილხანების კარზე იგი დაახლოებით ისეთსავე როლს ასრულებდა, როგორსაც ბარმაქელი ვეზირები აბასელთა სახალიფოში და ნიზამ ულ-მულქი თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში.

რაშიდ ედ-დინის კერძო წერილებიდან მკაფიოდ გამოსჭვივის ტრადიციული ირანული შეხედულებები, ირანის სახელმწიფოს აღდგენის განზრახვები. სამაგიეროდ ყველაფერი ეს მაოჯვედაა შენიღბული მის ოფიციალურ საისტორიო ნაწარმოებში. აღნიშნული გარემოება კარგად მოწმობს თუ რამდენად ძლიერი იყო მონღოლურ-თურქული არისტოკრატია. თვით ყაზან-ყაენის მომხრე მონღოლ-თურქებს აინტერესებდათ არა ირანი, არამედ მუდმივი და მყარი შემოსავალი გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაციის გზით.

ირანელებმა შეძლეს არაბების გაირანელება ირანის ქალაქებში, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს მონღოლ-თურქებს. აღსანიშნავია, რომ XIV ს-ში ადგილი აქვს მონღოლების თურქებში ასიმილირებას და არა ირანელობაში.

რაშიდ ედ-დინის კერძო წერილებში მსხვილი ფეოდალის აზროვნება დაკავშირებულია ინტენსიური მეურნეობის აღდგენის ინტერესებთან.

რაშიდ ედ-დინს საქმე ჰქონდა საკმაოდ განათლებულ ილხანთან ყაზან-ყაენის სახით.

წყაროების ცნობებით ყაზან-ყაენმა იცოდა არა მარტო აღმოსავლური ენები (მონღოლური, უიღურული, სპარსული, თურქული), არამედ თვით ლათინური ენაც კი (ეს უკანასკნელი საეჭვოა, მაგრამ თავრიზში მის დროს

აუარებელი ევროპელი იყო და კათოლიკეთა საეპისკოპოსოც კი არსებობდა). იგი დადებითად განსხვავდებოდა წინამორბედ ილხანთაგან, რომლებიც საშინელი ლოთები და გარყვნილი ადამიანები იყვნენ.

ყაზან ყაენი ეკუთვნოდა იმ მონღოლებს, რომელთაც შეგნებული ჰქონდათ, რომ მონღოლთა სახელის წარხოცვა დაპყრობილ ქვეყნებში გარდაუვალი იყო. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ისტორიოგრაფიას. საისტორიო ნაწარმოებებში უნდა აღბეჭდილიყო მონღოლთა თავგადასავალი და დაპყრობითი ომების ისტორია. ამით აიხსნება საისტორიო მწერლობის განვითარება ილხანთა ირანში. ჯუვეინი, რაშიდ ედ დინ ფაზლალაჰი, ვასაფი, ჰამდალაჰ ყაზვინი ე. წ. მონღოლური პერიოდის სპარსული ისტორიოგრაფიის ბრწყინვალე წარმომადგენლები არიან. ამ ისტორიოგრაფიის გვირგვინი იყო რაშიდ ედ-დინის „ჯამი' ათ-თავარიხ" („ისტორიათა კომპენდიუმი"), რომელშიაც მონღოლების გარდა მსოფლიოს ყველა ცნობილი ხალხის ისტორიაა გადმოცემული.

საგარეო პოლიტიკაში ყაზან-ყაენი თავისი წინამორბედი ილხანების პირდაპირი გამგრძელებელი იყო. XIV ს-ის დამდეგს მან რამდენჯერმე გაილაშქრა ეგვიპტის მამელუკთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, შეიჭრა სირიაში, დაიპყრო ქალაქი ალეპო, მაგრამ მისმა ლაშქრობამაც მარცხი განიცადა. მოუგვარებელი დარჩა ოქროს ულუსთან მეტოქეობისა და მტრობის საკითხებიც. უშედეგო აღმოჩნდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან სამხედრო კავშირის შეკვრის ცდა ეგვიპტის წინააღმდეგ.

ყაზან-ყაენის წარუმატებლობა საგარეო ურთიერთობათა ასპარეზზე მნიშვნელოვანწილად შინაგანი ხასიათის წინააღმდეგობებითაც იყო გაპირობებული. მაგალითად, იგი იძულებული იყო სირიიდან სასწრაფოდ უკან გამობრუნებულიყო, რათა მეტად სერიოზული აჯანყება ჩაეკრო. მომთაბარული არისტოკრატიის რეაქციული ნაწილი ფარხმალს არ ყრიდა და გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდა. ასეთ ვითარებაში ყაზან-ყაენის ღონისძიებათა რეალიზაცია მრავალ დაბრკოლებას აწყდებოდა.

საბოლოო ანგარიშში ყაზან-ყაენის „რეფორმებმა" მარცხი განიცადა.

ყაზან-ყაენის „რეფორმების" მარცხი აიხსნება უმთავრესად იმით, რომ მონღოლური ორგანიზაციის მთლიანად გადალახვა შეუძლებელი აღმოჩნდა.

ოლჯეითუს (1304—1317) ილხანობაში ყაზან-ყაენის პოლიტიკის გაგრძელება მედგარ წინააღმდეგობას ხვდებოდა სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის პირველი მიმართულების წარმომადგენელთა მხრივ.

გაძლიერდა ბრძოლა მომთაბარულ არისტოკრატიასა და ადგილობრივ ფეოდალებს შორის. ამ ბრძოლას თან გადაჰყვა რაშიდ ედ-დინი. ილხანთა სახელმწიფოს უპირველესი მოხელე (ყაზან-ყაენის და ოლჯეითუს დროს) ამირ-ჩობანმა დაატუსაღა. 1318 წელს იგი ხმლით შუაზე გაჭკვეთეს. მისი ქონება გამარჯვებული ჩობანის მომხრეებმა დაიტაცეს. მონღოლურ-თურქული არისტოკრატიის პირველმა მიმართულებამ კვლავ გადასწონა მეორე მიმართულებას. სახელმწიფოს ილხან აბუ საიდის (1317—1335) მაგიერ ფაქტიურად აღზევებული ამირ-ჩობანი განაგებდა.

თანასწორის აღზევება-განდიდებას ფეოდალები მტრულად შეხვდნენ. ილხანთა ირანში დაიწყო მრავალწლოვანი შინაფეოდალური ომი.

1328 წელს ჩობანიდები დამარცხდნენ. ამ წელს ვეზირად გახდა რაშიდ ედ-დინის ვაჟი ღიას ედ-დინი და მამის ქონების დაბრუნებას შეუდგა. მაგრამ ნას ახლა ჯალაირები დაუპირისპირდნენ. ბრძოლა მონღოლურ-თურქულ არისტოკრატიასა და ირანელ ფეოდალებს შორის ახალი ძალით განახლდა.

მონღოლთა სახელმწიფო თავის დასასრულს უახლოვდებოდა. მისი დაშლა გარდაუვალი იყო. მსხვილი მიწისმფლობელობა მხოლოდ დამოუკიდებელი ფეოდალური სამთავროების არსებობას უქმნიდა ნიადაგს.

აღსანიშნავია, რომ ილხანთა ირანის დაშლის პერიოდში ქვეყნის გამგებლები იტაცებენ დივანის და ინჯუს მიწებს და მათს საფუძველზე დამოუკიდებელ ფეოდალურ სამფლობელოებს ქმნიან.

ილხანთა ირანის სახელმწიფოს დაშლა მიმდინარეობს გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში. სულ უფრო და უფრო მასიური ხდება გლეხთა აჯანყებები. აღსანიშნავია, რომ გლეხთა აჯანყებებში ხელოსნებთან ერთად მონაწილეობენ წვრილი მიწისმფლობელებიც. წვრილი მიწისმფლობელების გლეხთა აჯანყებებში მონაწილეობა უეჭველია აიხსნება იმით, რომ მსხვილი მიწისმფლობელები ხელს სდებენ მათ მიწებს. ამასთან, მართალია, გლეხთა აჯანყებები ძირითადად ანტიფეოდალური ხასიათისა იყო, მაგრამ ერთდროულად ისინი მონღოლთა ბატონობის და მონღოლური წესების წინააღმდეგაც იყო მიმართული.

XIV ს-ის 30-ანი წლებიდან მოკიდებული საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი (80-ან წლებამდე) ხასიათდება ფეოდალური დაშლილობის შემდგომი ზრდით, ფეოდალური ომებით და გლეხთა და ხელოსანთა მასიური აჯანყებებით (ხორასანში, მაზანდარანში და სხვ.). როგორც აღვნიშნეთ, ხშირად წვრილ მიწისმფლობელებთან კავშირში.

1335 წელს ილხანთა სახელმწიფო დაიშალა. მის ნანგრევებზე წარმოიქმნა ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები: ჯალაირების, მუზაფერიდების, ქურთების, სარბადარების.

ჯალაირების სახელმწიფო სამხრეთ აზერბაიჯანში არსებობდა, მუზაფერიდების სამხრეთ-დასავლეთ ირანში, ქურთების სამხრეთ-აღმოსავლეთ ირანში. ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში ძლიერი იყო სარბადარების გავლენა.

სარბადარების ხელთ იყო ხორასნის და მავერანნაჰრის მთელი რიგი ქალაქები (მერვი, სებზავერი, ნიშაბური, სამარყანდი...).

სოციალურ ნიადაგზე განვითარებული სარბადარების მოძრაობა უაღრესად საინტერესოა. სარბადარი სიტყვასიტყვით ნიშნავს „სახრჩობელის ღირსს“, „კარზე ჩამოსაკიდს“ (ჩამოსახრჩობ ადამიანს დასაშინებლად აღმოსავლეთში კარზე ჰკიდებდნენ). ასე უწოდეს თავზარდაცემულმა ფეოდალებმა იმათ, ვინც პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე გლეხთა აჯანყებათა ტალღამ წამოსწია.

სარბადართა მოძრაობა უეჭველად პროგრესული იყო[1]. მის ერთ-ერთ ამოცანას ქვეყნის მონღოლთა ბატონობის უღლისაგან გათავისუფლება შეადგენდა. მაგრამ ყველაზე მკაფიოდ ამ მოძრაობისათვის მაინც სოციალური მოტივები და მიზნები იყო დამახასიათებელი. იგი უშუალოდაა დაკავშირებული კლასობრივ ბრძოლასთან, რომელიც ზემოთ აღწერილი მოვლენების პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა. მისი გავლენის გამოძახილი ჩანს ჯალაირების თავრიზშიც და მუზაფერიდების შირაზშიც.

სარბადარობას ფართოდ უჭერდნენ მხარს ქალაქების დემოკრატიული ფენები, უპირველეს ყოვლისა ხელოსნები და მოსწავლე ახალგაზრდობა, ქალაქების გარეთ—გლეხობა და საშუალო მიწისმფლობელები[2].

სარბადარების წინააღმდეგ ბრძოლამ შუააზიელი ფეოდალები თემურ-ლენგის გარშემო დარაზმა. ამ სოციალური მოძრაობის ირანის დასავლეთ რაიონებიდან სამხრეთ რაიონებში გავრცელების შიშმა ირანელი ფეოდალებიც თემურ-ლენგს ამოუყენა გვერდში. მასში მათ თავდაპირველად მტერი კი არ დაინახეს, არამედ მშველელი ძალა. ამან თემურ-ლენგს მნიშვნელოვნად გაუადვილა ირანის დაპყრობა.

სარბადარების მოძრაობა მაზანდარანში (1350 წ.), გილანში (1370 წ.), ქერმანში (1373 წ.), სამარყანდში და მდ. ზერაფშანის აუზში მასიური ხასიათის მატარებელი იყო[3]. ეს მოძრაობა გარეგნულად შიიტურ-სუფიურ სამოსელში იყო გამოხვეული. შეიხების ხალიფეს და ჰასან ჯურის ქადაგებანი მოუწოდებდა მსმენელებს მონღოლთა ბატონობისა და ადგილობრივი მსხვილი ფეოდალების წინააღმდეგ. ასე წარმოიქმნა დერვიშული ორდენი, რომელიც შეიხების ხალიფეს და ჰასან ჯურის თარიკატის სახელითაა ცნობილი. ეს თარიკატი სწრაფად გავრცელდა ვრცელს ტერიტორიაზე და მოიცვა ხელოსნების, ქალაქის ღარიბების და გლეხების ფართო მასები[4].

ხორასანში, მაზანდარანში, გილანში წარმოიქმნა სარბადარული სახელმწიფოები. მაგრამ ისინი არ წარმოადგენდნენ გლეხთა სახელმწიფოებს. შეტაკებანი სარბადარ მეომრებსა და შეიხ ჯურის დერვიშებს შორის აშკარად მიუთითებს იმ წინააღმდეგობაზე, რომელიც არსებობდა სარბადარულ ზომიერ მიმართულებასა და რიგით მეომრებს შორის. აშკარაა აგრეთვე სარბადარების ზედაფენის კავშირი ადგილობრივ წვრილ მიწისმფლობელებთან. მაგრამ სარბადარული სახელმწიფოები არსებობდნენ იმის გამო, რომ გლეხებს მიენიჭათ მნიშვნელოვანი შეღავათები[5].

სარბადართა მოძრაობა XIV ს-ის მეორე ნახევრის ირანსა და შუა აზიაში, მჭიდროდ დაკავშირებული გლეხთა აჯანყებებთან, აღმოსავლეთში მიმდინარე სოციალური მოძრაობების ერთი შესანიშნავი ფურცელთაგანია.

---

[1] Л. Строева. Сарбадары Самарканда, Ученые записки ЛГУ, Серия востоковедческих наук, вып. 3, 1949; И. П. Петрушевский. Движение Сечбедаров в Хорасане, Ученые записки ИВ АН СССР, XIV.

[2] А. Ю. Якубовский. Тимур (опыт характеристики), Вопросы истории, № 8—9, 1946.

[3] И. П. Петрушевский. დასახ. ნაშრ., გვ. 93.

[4] იქვე, გვ. 115.

[5] იქვე, გვ. 159.

## V. მახლობელი აღმოსავლეთი XIV—XVI საუკუნეებში

### 1. ი რ ა ნ ი

XIV ს-ის მეორე ნახევარში ირანი პოლიტიკურად იყო დაშლილი. ყველაზე მსხვილ პოლიტიკურ ორგანიზმებს, როგორც აღვნიშნეთ, მუზაფერიდების, ჯალაირების, ქურთების და სარბადარების სახელმწიფოები წარმოადგენდნენ. ამას გარდა, ქვეყანა მოფენილი იყო წვრილი ფეოდალური სამფლობელოებით. ამ ფეოდალურ წარმონაქმნებს შორის დაუსრულებელი ქიშპი და შუღლი არსებობდა. განსაკუთრებით ძლიერი იყო მეტოქეობა მუზაფერიდებსა და ჯალაირებს შორის.

ჯალაირთა სახელმწიფოს მთავარი ქალაქები თავრიზი და ბაღდადი იყო, მუზაფერიდების შირაზი და ისფაჰანი. ქურთების სახელმწიფო ავღანეთის ტერიტორიის ნაწილსაც მოიცავდა. მათი პოლიტიკური ცენტრი ქალაქი ჰერათი იყო.

მუზაფერიდების დინასტია არაბული წარმოშობისა იყო, მაგრამ უკვე კარგა ხნის წინათ გაირანებული. სამხრეთ ირანში ყველაზე ძლიერი იყო ირანული ტრადიციები, რადგან ძირითადად სამხრეთ ირანში აღმოჩნდა შემონახული ირანული არისტოკრატია. მუზაფერიდების კარზე შირაზში მოღვაწეობდა გამოჩენილი ირანელი პოეტი ჰაფეზი. ჯალაირების სახელმწიფოშიც, მომთაბარული წესებისა და ტრადიციების მიუხედავად, ყურადღება ექცეოდა ირანულ პოეზიას და მწერლობას. პოეტებს, მწერლებსა და მეცნიერებს მფარველობდნენ ქურთების სახელმწიფოს მბრძანებლებიც.

ანტიფეოდალური ბრძოლის გაძლიერების მიზეზი XIV ს-ის მეორე ნახევრის ირანში იყო არა მარტო ფეოდალური ექსპლოატაციის გაძლიერება, არამედ ხშირი ფეოდალური შინაომებიც. ეს დაუსრულებელი ომები უპირველეს ყოვლისა მწარმოებელ საზოგადოებას ანადგურებდა და აჩანაგებდა გლეხის მეურნეობას. პოლიტიკური დაშლილობა ფართო გასაქანს აძლევდა ფეოდალების თვითნებობას, ირანის პოლიტიკური დაშლილობა და მწვავე კლასობრივი ბრძოლა მარჯვედ გამოიყენა თემურ-ლენგმა და 1380 წელს ირანის დაპყრობას შეუდგა.

#### § 1. თემურ-ლენგი

XIV ს-ის უკანასკნელი მეოთხედი და XV ს-ის დამდეგი მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაში აღინიშნა თემურ-ლენგის გამანადგურებელი ომებით.

გრიგალივით გადაუარა აზიის დიდმა დამპყრობელმა ირანს, ინდოეთს, ამიერკავკასიას, სამხრეთ რუსეთის ველებს, მცირე აზიას, სირიას. მომთაბარეთა ბატონობას ახლაც მხოლოდ ეგვიპტე გადაურჩა, ხოლო ჩინეთის განზრახული დაპყრობა თემურ-ლენგს განუხორციელებელი დარჩა...

თემურ-ლენგის მთავარი პოლიტიკური ამოცანა მონღოლთა იმპერიის აღდგენა იყო. ამდენადვე მის ნათესაურ ურთიერთობას ჩინგიზიდებთან გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა. მისი ჩინგიზიდებთან ამ ურთიერთობის აღმნიშვნელი იყო გურგანის (სიძის) წოდებულება, რომელიც მან ჩინგიზიდი უფლისწული ქალის ცოლად შერთვის შემდეგ მიიღო.

თვითონ იგი ბარლასთა მონღოლურ, მაგრამ უკვე გათურქებულ ტომს ეკუთვნოდა. რა თქმა უნდა, მარიონეტად დასმული ჩინგიზიდი ხანის გაძლიერება „სიძის“ ანგარიშებში სრულიადაც არ შედიოდა.

თემური თავდაპირველად ყაჩაღების ბრბოს მეთაურობდა. ყაჩაღთა ასეთი ბრბოები ძარცვავდნენ სავაჭრო ქარავნებს, თავს ესხმოდნენ ქალაქებს, სოფლებს. მათ იყენებდნენ შუა აზიის ამირებიც დაუსრულებელ შინაფეოდალურ ომებში. სწორედ ამ საშუალებით დაწინაურდა თემური პოლიტიკურ ასპარეზზე.

ერთ-ერთი თარეშის დროს თემური ქუსლში დასჭრეს და სამუდამოდ დაკოჭლდა. ამიერიდან იგი თემურ-ლენგის სახელით იყო ცნობილი.

მარბიელი ლაშქრის ეს მეთაური დაწინაურება-გაძლიერებისათვის ყველა საშუალებას იყენებდა: აღთქმული ფიცის გატეხვას, ღალატს, ვერაგობას, ცბიერებას, მკვლელობას. დროც ამ საშუალებების შესაფერისი იყო.

თემურის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის პერიოდში მთელს შუა აზიაში ფეოდალური ანარქია სუფევდა. ამირებს შორის მტრობა და შუღლი არ ცხრებოდა. უკიდურეს წერტილს მიაღწია ორ მიმართულებას შორის წარმოებულმა ბრძოლამ მომთაბარული არისტოკრატიის წიაღში. გათურქებული ბარლასები, ჯალაირები, სულდუზები და სხვა მონღოლური წარმოშობის ტომები დაჟინებით იცავდნენ მომთაბარული ცხოვრების წესებს, მეჯოგურ მეურნეობას, მოითხოვდნენ გლეხთა ველური ექსპლოატაციის შენარჩუნებას.

მეორე მიმართულების მონღოლები პირველი მიმართულების მონღოლებს „ჯეთეს“ („ყაჩაღებს“) უწოდებდნენ. მაგრამ არც უკანასკნელნი რჩებოდნენ ვალში პირველებს და გადაგვარებულებად ნათლავდნენ იმათ, ვინც ბინადარ მოსახლეობაში აღრევას არ ერიდებოდა.

XIII ს-ის მეორე ნახევრიდან ადგილობრივმა ფეოდალურმა სინამდვილემ თანდათან გზა გაიკაფა ჯაღატაის ულუსის მონღოლთა შორისაც. აქაც თანდათან იმარჯვებს „სამამულო სისტემის“ უპირატესობის შეგნება. ყალიბდება და ვითარდება „სოიურღალის“ ფეოდალური ინსტიტუტი. გლეხებთან დამოკიდებულების ახალი ფორმა მომთაბარეებისაგან მოითხოვდა ახლოს თუ არა. შორს მაინც არ ყოფილიყვნენ სოფლის მეურნეობის რაიონებიდან. გლეხთა ექსპლოატაცია გადასახადთა ამკრეფ მოხელეთა ჩაურევლად საფრთხეს უქმნიდა მომთაბარული ცხოვრების წესებს. ყველა ამას ბრძოლით შეხვდნენ

პირველი მიმართულების მონღოლები. ამ ბრძოლამ ჯაღატაის ულუსი ორად გაჰყო: მ ა ვ ე რ ა ნ ნ ა ჰ რ ა დ და მ ო ღ ო ლ ი ს ტ ა ნ ა დ.

მავერანნაჰრში ქებექ-ხანი (1318—1326) „რეფორმების“ გატარებას შეუდგა.

ქებექ-ხანის დროს შეიცვალა გადასახადების გამოსყიდვის წესი. მის დროსვე გატარდა სამონეტო და ადმინისტრაციული რეფორმა. სამონეტო სისტემის და ზომა-წონის უნიფიკაციის ნიმუშად ყაზან-ყაენის საამისო ღონისძიებები იყო მიღებული. ქებექ-ხანს მხარს უჭერდნენ ქალაქებში გადარჩენილი ფეოდალები (ბეღიქები) და სასულიერო ფეოდალები [1].

ქებექ-ხანის პოლიტიკის გამგრძელებელი იყო უკანასკნელი ჩინგიზიდი ხანი მავერანნაჰრში ყაზანი. მან კვლავ მავერანნაჰრში გადმოიტანა ქებექ-ხანის ძმის თარმარშირინის (1326—1334) მკვლელობის შემდეგ მოღოლისტანში გადატანილი ხანის ურდო.

ყაზან-ხანის (1334—1346) პოლიტიკით უკმაყოფილო მონღოლ-თურქი ამირები ყაზაგანის გარშემო დაირაზმნენ. ისინი მოითხოვდნენ მომთაბარული ცხოვრების წესების დაცვას, 1269 წლის ყურულთაის დადგენილების აღდგენას. ამირ ყაზაგანმა დაამარცხა ყაზან-ხანი და თვითონ იგდო ხელთ ძალაუფლება შუა აზიაში (1346—1358). მან პირველმა შემოიღო მარიონეტად ჩინგიზიდი ხანის დასმის წესი. მანვე გზა გაუხსნა მონღოლურ-თურქული არისტოკრატიის იმ ძალებს, რომელთაც მავერანნაჰრის ოაზისები მარბიელი ფეოდალური რაზმების სათარეშოდ აქციეს. ამირ ყაზაგანი თავს ესხმოდა აღმოსავლეთ ირანის ქალაქებს, ძარცვავდა მათ და მდიდარ ნადავლს ტომთა ამირებს უნაწილებდა.

1370 წელს, აღნიშნავს ა. იაკუბოვსკი, თემურის წინაშე დადგა საკითხი, თუ ვისი ტრადიციები გაეგრძელებინა—ქებექ-ხანის თუ ამირ ყაზაგანისა [2].

„თემურმა იცოდა,—განაგრძობს ა. იაკუბოვსკი,—რომ საჭირო იყო ნტკიცე ხელისუფლების შექმნა, რომელიც შეძლებდა დაუმორჩილებელი და მოუსვენარი მფლობელების ალაგმვას მონღოლ-თურქი ამირების წრიდან. სწორედ ამ მიმართულებით უჭერდნენ მას მხარს ასე ენერგიულად ქალაქების მცხოვრებნი და გლეხობა, აგრეთვე გავლენიანი მუსლიმანური სამღვდელოების წარმომადგენლები“ [3]. ამავე დროს, დაასკვნის ა. იაკუბოვსკი, თემური კარგად ერკვეოდა მავერანნაჰრის მფლობელთა უმრავლესობის განწყობილებაში. ის არა ნარტო მშვენივრად ითვალისწინებდა, რამდენად ჰქონდათ გამჯდარი ძვალსა და რბილში მავერანნაჰრელ მფლობელებს ნადავლის მიზნით ლაშქრობის წარმატებით განხორციელების სურვილი, არამედ თვითონ მასაც ჰქონდა ამისკენ მიდრეკილება [4].

ა. იაკუბოვსკი გაზვიადებულად ახასიათებდა როგორც თემურ-ლენგის

---

[1] А. Ю. Якубовский. Тимур (опыт краткой характеристики), Вопросы истории, № 8—9, 1946, გვ 49—52.

[2] იქვე. გვ. 60.

[3] იქვე.

[4] იქვე.

პიროვნებას („რთული ფეოდალური სამყაროს მართვის საქმეში“)[1]. ისე მისი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიურ სტრუქტურას.

ა. იაკუბოვსკის აზრით, თემურ-ლენგის პიროვნებისათვის დამახასიათებელი იყო ღრმა წინააღმდეგობები („Тимур—фигура глубоко противоречивая“)[2]. ამ შეხედულების შესამაგრებლად აღნიშნულია შემდეგი გარემოებანი: დაპყრობილ ქვეყნებს თემურ-ლენგმა მხოლოდ უბედურება და განადგურება მოუტანა; მაგრამ მის მოღვაწეობას შუა აზიაში ახლავს არცთუ მცირე დადებითი ნიშნები ერთის მხრივ ფეოდალურ არეულობათა და ფეოდალური დაშლილობის ლიკვიდაციის საქმეში, ხოლო მეორეს მხრივ გიგანტური საალმშენებლო სამუშაოების სფეროში[3]; ქვეყნის ფეოდალური გაერთიანებით და მტკიცე სახელმწიფოებრიობის შექმნით დაინტერესებული იყვნენ თვითონ საზოგადოებაში მომწიფებული ძალები; გაერთიანება სურდათ ვაჭრებს, ხელოსნებს, მუსლიმანურ სამღვდელოებას, აგრეთვე მიწისმოქმედი მოსახლეობის მასებს[4]. თუმცა ა. იაკუბოვსკის ისიც აქვს აღნიშნული, რომ გაბატონებული კლასის ფეოდალურ ჯგუფებს თემურ-ლენგი სჭირდებოდათ სოციალური მოძრაობების (სარბადარები) და გლეხთა აჯანყებების ჩასაქრობად[5].

ა. იაკუბოვსკი შეცდომას უშვებდა, როცა აზვიადებდა ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების დონეს თემურ-ლენგის მოღვაწეობის მეორე პერიოდში (1370—1405). მისი აზრით, თემურ-ლენგი მოქმედებდა ფეოდალურ ურთიერთობათა კლასიკური ფორმების პირობებში და ამ ფორმების აქტიური გამტარებელი იყო[6]. უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა იგი ამ მხრივ ისეთი ფეოდალური ინსტიტუტების როლს, როგორიც იყო სოიურღალი და თარხანი[7]. ყველა ამის გამო, მისი აზრით, ფეოდალური ურთიერთობანი XV ს-ის შუა აზიასა და ირანში აღწევენ თავიანთი განვითარების უმაღლეს წერტილს. ამას დაუყონებლივ მოსდევს დასკვნა: „Это—расцвет феодального способа производства“[8].

ამრიგად, გამოდის, რომ თემურ-ლენგის დაპყრობითი ომების ერთი უმთავრესი შედეგთაგანი იყო ახალი, უმაღლესი საფეხურის შექმნა ფეოდალიზმის განვითარებაში. ამიტომ სავსებით ბუნებრივად გამოიყურება ამ დებულების ავტორის დასკვნა: „В тимуридское время феодализм в Иране и Средней Азии достигает своего высшего расцвета; во всех проявлениях своей общественной, политической и культурной жизни он ближе всего подходит к тем видам феодализма, которые дала история России и Запада“[9].

---

[1] А. Ю. Якубовский. დასახ. ნაშრ., გვ. 67.

[2] იქვე, გვ. 58.

[3] იქვე, გვ. 73.

[4] იქვე.

[5] იქვე.

[6] იქვე, გვ. 58.

[7] А. Ю. Якубовский. Вопросы периодизации истории Средней Азии в средние века (XI—XV вв.), გვ. 43.

[8] იქვე.

[9] იქვე.

მაგრამ სოიურღალის და თარხანის ფეოდალური ინსტიტუტები XV ს-ში დამახასიათებელი იყო აგრეთვე შავბატკნიან და თეთრბატკნიან თურქმანთათვის, რომელთა სოციალურ-ეკონომიურ წყობას (მომთაბარულ-ტომობრივ ორგანიზაციას) შორეული მსგავსებაც არ ჰქონია არც რუსულ და არც ევროპულ ფეოდალიზმთან.

თემურ-ლენგის გამანადგურებელი ომების მძიმე შედეგებმა ფაქტიურად შებოჭეს (ზოგან თითქმის მთლიანად მოსპეს) ის ფეოდალური ძალები, რომელნიც იმთავითვე სწორედ ასეთი განვითარებისათვის იბრძოდნენ. მაგრამ სანამ რჩებოდა ფეოდალური მეურნეობა, ეს ძალებიც ცოცხლობდნენ და „განვითარების ისევ თავიდან დასაწყებად“ ღონეს იკრებდნენ.

თვით ბურჟუაზიული ისტორიკოსები გაოცებული არიან იმით, რომ თემურ-ლენგის ჩამომავლების (თემურიანების) თაოსნობით გამშვენიერდა ქალაქები, შეიქმნა განვითარებული მწერლობა (ჯამი, ალიშერ ნავოი...), მეცნიერება (ულუღ-ბეგი) და შესანიშნავი ხელოვნება, ხუროთმოძღვრება („თემურიანთა სტილით“ ცნობილი). მაგრამ რა აქვთ საერთო თემურიანთა სამფლობელოებს (შუა აზიაში, ირანში, გვიან ინდოეთის „დიდ მოღოლთა“ სახელმწიფოში) თემურ-ლენგის სახელმწიფოსთან, რომლის დაშლამ ხელახლად მისცა გასაქანი ადგილობრივ ფეოდალურ ძალებს?

თემურ-ლენგი ბევრი რამით მოხღოლების მემკვიდრე იყო. ხოლო თემურ-ლენგის მემკვიდრეებად XV ს-ში თურქმანები იყვნენ.

შავბატკნიან თურქმანთა წინააღმდეგ გაერთიანებული ამიერკავკასიის ხალხები შაჰრუხის (1405—1447) მისამართით აღნიშნავდნენ, რომ თუ არ განადგურდნენ თურქმანები, მაშინ არც ვაჭრობა იქნება, არც მიწათმოქმედება და არც გლეხის საქმე მოწესრიგდება. ეტყობა ისინი, გარკვეული თვალსაზრისით, თემურ-ლენგის მემკვიდრედ სთვლიდნენ არა მის შვილს შაჰრუხს, არამედ მომთაბარე ყარა-იუსუფს. საკუთრივ ირანის ფეოდალური საზოგადოების გარკვეული ჯგუფების ყურადღება შაჰრუხს (ჰერათის ლიტერატურული სკოლის განათლებულ მეცენატს) იმითაც უნდა მიეპყრო, რომ მან აღადგინა ყაზან-ყაენის აგრარული პოლიტიკა.

შემთხვევით არ აიხსნება არც ის, რომ შუა აზიის და ამიერკავკასიის ხალხები იმავე XV ს-ში რუსეთთან ურთიერთობის გაძლიერებას უკავშირებენ ძველი ეკონომიური და კულტურული კავშირების აღდგენას, ნომადური ბარიერების ლიკვიდაციის ამოცანას.

თემურ-ლენგს ბევრი რამით ამსგავსებენ მაჰმუდ ღაზნევის, მაგრამ ასხვავებენ იმით, რომ პირველი დაპყრობილ ქვეყნებში მოტაცებულ სიმდიდრეს იყენებდა შუა აზიის ქალაქების კეთილმოწყობისათვის[1]. იმოწმებენ იმას, რომ სამარყანდს მიჰყავდა მას აუარებული ტყვე ხელოსნები, მხატვრები, პოეტები, მეცნიერები. აგებდა სასახლეებს, მეჩეთებს, მედრესეებს, მავზოლეუმებს, ქარვასლებს, ბაზრებს, მდიდრული სახლებით შემკულ ბაღებს. შედარება მთლად მარჯვე არ უნდა იყოს, რადგან მაჰმუდ ღაზნევიმ თავის დროზე ისევე დაამშვენა ქალაქი ღაზნა, როგორც თემურ-ლენგმა სამარყანდი.

[1] Л. Ю. Якубовский. Тимур (опыт краткой характеристики), 33-72.

ანას გარდა, საწარმოო ძალების უდიდეს ნგრევას დაპყრობილ მეზობელ ქვეყნებში არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა თვითონ შუა აზიის ეკონომიურ მდგომარეობაზე.

თუ გამოვიცხავთ თემურ-ლენგის „მოღვაწეობის“ ორბუნება ხასიათს, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ იგი მონღოლურ-თურქული არისტოკრატიის სურვილების შესაბამისად მოქმედებდა და სრულიად თანამიმდევრულ პოლიტიკას ახორციელებდა.

XIV ს-ის შუა აზიაშიც, ისევე როგორც ილხანთა ირანში, ბრძოლა ფაქტიურად მიწისმფლობელობისათვის წარმოებდა. მომთაბარულ საზოგადოებას არ შეიძლებოდა დაეშვა მიწათმოქმედების განვითარება, რადგან ეს შეზღუდავდა მეჯოგურ მეურნეობას, რომელსაც მიწის დიდი ფართობები სჭირდებოდა. ამიტომ ჩვენ საქმე გვაქვს არა ერთიმეორის გამომრიცხველი ორი მეურნეობის „კონფლიქტთან“, არამედ მომთაბარე და ბინადარი მოსახლეობის ბრძოლასთან.

თემურ-ლენგი შუა-აზიის „ფეოდალურ გაერთიანებას“ შესძლებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლის ახალ წყაროებს შეუქმნიდა მომთაბარე ფეოდალებს და, ამასთან ერთად, შეასუსტებდა უკიდურესად გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლას. და აზიის დიდი დამპყრობელიც ნომადური საზოგადოების ნაცად გზას შეუდგა: გაუთავებელ ომებს და დაპყრობილი ხალხების განუკითხავ ძარცვას.

არ შეიძლება ითქვას, რომ ეს უკანასკნელი გარემოება აღნიშნული არ ჰქონდეთ მკვლევრებს. ა. იაკუბოვსკი მიუთითებდა, რომ თემურმა ყველა ფეოდალიზებული ძალები მტკიცე ხელით შებოჭა და თავისი ვასალები წარმართა დაუსრულებელ, მეტწილად მძარცველურ ლაშქრობათაკენ[1]. სხვაგან და სხვა დროს მას აღნიშნული აქვს: თუ თემურ-ლენგის ბრიოლა ოქროს ულუსთან და ხორეზმთან გამოწვეული იყო შუა აზიის ძლიერ სახელმწიფოდ გაერთიანების ინტერესებით, მისი ომები ირანში, ამიერკავკასიაში და უფრო შორეულ ქვეყნებში მძარცველური ხასიათის მატარებელი იყო[2].

1381 წლიდან მოყოლებული თემურ-ლენგი თითქმის ყოველწლიურად ლაშქრავდა ირანს. იგი აქ აწარმოებდა ხანგრძლივ ომებს: „სამწლიანს“ (1386 წლიდან), „ხუთწლიანს“ (1389 წლიდან), „შვიდწლიანს“ (1398 წლიდან)[3]. რვაგზის შემოიჭრა იგი ამიერკავკასიის ქვეყნებში, მიწასთან გაასწორა აქაური ქალაქები, სოფლები, სამეურნეო ნაგებობები, მატერიალური კულტურის ძეგლები.

ისმის კითხვა: ვინ და რატომ უწევდა წინააღმდეგობას თემურ-ლენგს? რას იცავდნენ ხალხები იმ ქვეყნებში, სადაც თემურ-ლენგი თავისი ლაშქრით მოქმედებდა? რატომ ვერ შესძლო მან დაპყრობილ ქვეყნების ხალხთა საბოლოო დამორჩილება მიუხედავად იმისა, რომ მის განკარგულებაში იყო კარგად გაწვრთნილი ლაშქარი, რომელმაც ამასთან აღმოსავლეთში პირველად

---

[1] А. Ю. Якубовский. Тимур (опыт краткой характеристики), გვ. 67.

[2] История Узбекской ССР, ტ. I, წ. 1, გვ. 323.

[3] იქვე, გვ. 324.

გამოიყენა ცეცხლის იარაღი (რადანდაზ)? რატომ სჭირდებოდა თემურ-ლენგს ერთსა და იმავე ქვეყანაში ლაშქრობის რამდენჯერმე გამეორება, როცა ეს ქვეყანა უკვე ცხრაჯერ იყო მის მიერ გაძარცული?

რა თქმა უნდა, დაპყრობილი ხალხები დამპყრობელთა უღლში ძალადობისა და ყაჩაღური ძარცვის გამო ჯანყდებოდნენ. სხვადასხვა ქვეყნებსა და ქალაქებში თემურ-ლენგის ლაშქრის თვითეული ამირა თავისი ნოქრების საშუალებით კრეფდა მოსახლეობაში სიცოცხლისა და ქონების (გაძარცულის ნარჩენის) გამოსასყიდს, ხარკს და გადასახადს[1]. მაგრამ თემურ-ლენგს მხოლოდ ნადავლი არ აინტერესებდა. მას დაპყრობილ ქვეყნებში სხვა მიზანიც ჰქონდა: ა ქ ა უ რ ი მ ი წ ე ბ ი ს მ ო მ თ ა ბ ა რ უ ლ ტ ო მ ე ბ ი ს ა მ ი რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა. ამდენადვე დაპყრობილი ხალხები იცავდნენ იმას (ფეოდალურ მეურნეობას), რასაც თემურ-ლენგი გადაგვარება-მოსპობით ემუქრებოდა.

არ გვგონია, რომ თემურ-ლენგის ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში, ლაშქრობათა მთავარი მიზეზი ქართველების თოხთამიშთთან ურთიერთობა[2] ანდა მხოლოდ ნადავლის მოპოვების სურვილი ყოფილიყო. მის დაპყრობით ომებს არც ა. იაკუბოვსკი უკავშირებს მარტო მდიდრულ ნადავლს. ამ უმთავრესი მიზნის გარდა მას დასახელებული აქვს სავაჭრო ინტერესებიც.

ა. იაკუბოვსკის შეხედულებით: თემურ-ლენგი, რომელსაც კარგად ესმოდა ვაჭრობით სარგებლობის მნიშვნელობა ქალაქების განვითარებისათვის, მიზნად ისახავდა იმ მსოფლიო-სავაჭრო გზებზე გაბატონებას, რომელნიც ოქროს ულუსის ტერიტორიაზე გადიოდნენ და რომლითაც ევროპისა და წინა აზიის ქვეყნები შორეულ აღმოსავლეთს უკავშირდებოდნენ. თემური მიისწრაფოდა დაერღვია ჩრდილოეთის სავაჭრო მაგისტრალი და კვლავ გადაეტანა იგი, შუა აზიის მეშვეობით, ძველ გზაზე, რომელიც აგრე დიდის წარმატებით მოქმედებდა მონღოლთა წინარე ხანაში. ამ მიზნით 1395 წ. მან დაამთავრა ოქროს ულუსის სამხედრო განადგურება და თითქმის სრულიად დაანგრია ოქროს ულუსის ის ქალაქები, რომლებიც დიდ როლს თამაშობდნენ საქარავნო ვაჭრობაში (აზოვი, ასტრახანი და სხვ.)[3].

დამოწმებული შეხედულება უპირველეს ყოვლისა იმ შესწორებას საჭიროებს, რომ ამ ძველ გზასთან უშუალოდ იყვნენ დაკავშირებული ამიერკავკასიის სავაჭრო გზები და ქალაქები, სანამ ილხანები სავაჭრო-საქარავნო გზას ამიერკავკასიიდან შორს სამხრეთში გადაიტანდნენ. ძველი დროიდანვე ამიერკავკასიის გზები წარმოადგენდნენ შუა აზიის ბუნებრივ გაგრძელებას დასავლეთთან დასაკავშირებლად. ამიტომ მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო არა ამიერკავკასიის ქვეყნების განადგურება თემურ-ლენგის მიერ, არამედ აქ ძველი სავაჭრო გზების აღდგენა.

---

[1] История Узбекской ССР, ტ. I, წ. I, გვ. 323.

[2] თემურ-ლენგი საქართველოში ლაშქრობდა ოქროს ულუსის განადგურების ე. ი. 1395 წლის შემდეგაც.

[3] История Узбекской ССР, ტ. I, წ. I, გვ. 325.

ამის მიუხედავად ა. იაკუბოვსკის მსჯელობის ზოგიერთი მომენტი უეჭველად გასათვალისწინებელია. მოძთაბარეები იმთავითვე დაკავშირებული იყვნენ საქარავნო ვაჭრობასთან და დიდ სარგებლობასაც ნახულობდნენ მასში, როგორც ქარავნების მცველები და გამყოლები. თავიანთი განვითარების უფრო ნაგვიანევ საფეხურზე ისინი, როგორც წესი, საქარავნო ვაჭრობას და სატრანზიტო ქალაქებს მფარველობდნენ. ამიტომ შეუთავსდა ასე ადვილად ვაჭარ-ურტაღების ინტერესები მონღოლურ ორგანიზაციას. სავაჭრო ინტერესები არ შეიძლება გამოვრიცხოთ თემურ-ლენგის პოლიტიკიდან. მაგრამ მისი მთავარი მიზანი დაპყრობილ ქვეყნებში სულ სხვა იყო.

ა. იაკუბოვსკის ყურადღება არ მიუქცევია იმ მნიშვნელოვანი გარემოებისათვის, რომ თემურ-ლენგის მოქმედებანი დაპყრობილ ქვეყნებში შუა აზიაში დაწყებული ბრძოლის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენდა. თუმც იგი აღნიშნავდა მეტად საყურადღებო ფაქტებს. სახელდობრ იმას, რომ დაპყრობილ ტერიტორიებზე თემურ-ლენგი თავის ვასალებს სოიურღალად ურიგებდა რაიონებს, ოლქებს. თვით მთელ ქვეყნებსაც კი[1]. ამით თემურ-ლენგი ფაქტიურად ახალ სამფლობელოებს ქმნიდა, მაგრამ ფეოდალურად მას არასოდეს არ დაუნაწევრებია საკუთრივ შუა აზია[2]. თემურ-ლენგის მიზანი სავსებით ცხადია: შუა აზიის განტვირთვა ცენტრმსრბოლი ეალებისაგან და მათი მოქმედების გადატანა მეზობელ ქვეყნებში.

თემურ-ლენგი სოიურღალებს ურიგებდა თავის მეომრებს, სარდლებს ე. ი. მომთაბარულ ტომებს და ამ ტომთა ბელადებს. ასე რომ სოიურღალიც ორგანულად უკავშირდება მიწისმფლობელობის უფლებების ახალ გადანაწილება-გადაჯგუფებას მახლობელ აღმოსავლეთში.

წინათ სოიურღალით აღინიშნებოდა არა მხოლოდ მიწით, არამედ საერთოდ ყოველგვარი შეწყალება. თემურ-ლენგის დროს კი სოიურღალი სარდლებისათვის ნაწყალობევი მიწების აღმნიშვნელად იქცა[3]. ამდროინდელი სოიურღალი გულისხმობდა მიწის მემკვიდრეობით მფლობელობასთან ერთად სახელმწიფო გადასახადების (ნაწყალობევი ტერიტორიის სოფლებსა და ქალაქებში) მთლიანად ან ნაწილობრივ აკრეფის უფლებასაც.

ამ შინაარსით სოიურღალი ფართოდ ვრცელდება თემურ-ლენგის დროს. მაგრამ მას არ შეეძლო ფეოდალურ ურთიერთობათა ხასიათის შეცვლა, ტომობრივი ორგანიზაციის დარღვევა. საკმარისია აღინიშნოს, რომ სოიურღალი ვრცელდება საწარმოო ძალების უდიდესი ნგრევის პირობებში.

სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის წარმომადგენლები ღებულობდნენ მხოლოდ მიწისმფლობელობის მზამზარეულ ფორმას, რომელიც აღმოსავლური ფეოდალური საზოგადოების განვითარების მოცემულ საფეხურს შეესაბამებოდა.

---

[1] А. Ю. Якубовский. Тимур (опыт краткой характеристики), გვ. 66—67.

[2] იქვე, გვ. 67.

[3] А. М. Беленицкий. К истории феодального землевладения в Средней Азии (институт союргал), Историк-марксист, № 4, 1941, გვ. 46.

ამრიგად, თემურ-ლენგს დასაპყრობ ქვეყნებში მხოლოდ ალაფისა და ნადავლისათვის არ შეჰყავდა მომთაბარული ტომები. იგი მათ აქ მიწებს ურიგებდა, მიწისმფლობელებად ხდიდა. ამავე დროს მომთაბარეთა ოჯახებისა და ჯოგებისათვის იალაღები და ყიშლაღები იყო საჭირო. მეჯოგურ მეურნეობას კი არ შეიძლებოდა თავის გვერდით მოეთმინა განვითარებული ფეოდალური მეურნეობა. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, სწორედ იალაღებისათვის და ყიშლაღებისათვის ასწორებდა მიწასთან თემურ-ლენგი ხშირ შემთხვევაში სოფლებს, ანგრევდა ქალაქებს, ელეტდა მოსახლეობას, აუკაცრიელებდა მთელ რაიონებს, ოლქებს. თათართა ურდოები მისი ბრძანებით მხეცურ და ველურ ნგრევას ახორციელებდნენ [1]. ეს მონღოლური საშუალებები („მკვლელობის ინსტიტუტი") ჩვეულებრივ მომთაბარეთა დიდი მასების მოძრაობებთან (ომით გადმოსახლებასთან) იყო დაკავშირებული.

ტრადიციული ცნობა თემურ-ლენგს მიაწერს ყიზილბაშური ტომების ერთი ნაწილის მცირე აზიიდან სამხრეთ აზერბაიჯანში (არდებილის სანახებში) გადმოყვანას ანკარას ბრძოლის (1402 წ.) შემდეგ. მომთაბარული ტომები მას საკუთრივ შუა აზიიდანაც უნდა გადმოეყვანა „ახალ საძოვრებზე". შუაზიელ ჯალაირებს, ბარლასებს, ორლათებს და სხვ. ირანის ჩრდილოეთ რაიონებსა და აღმ. ამიერკავკასიაშიაც ხვდებოდათ თანამეტომეები. თემურლენგის წინაშე აქტიურად უნდა დასმულიყო მიწისმფლობელობის საკითხი მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში.

თემურ-ლენგის ოფიციალურ ისტორიკოსებს (ნიზამ ედ-დინ შამის, შერეფ ედ-დინ იეზდის...) აღწერილი აქვთ თუ როგორ სჩეხდნენ მისი მეომრები საქართველოში თუთის ხეებს, ვაზს, კაკალს. მის ურდოებს არ სჭირდებოდათ ფეოდალური მეურნეობა და ამიტომ არც მისი დაცვა-შენარჩუნებით იყვნენ დაინტერესებული. ისინიც, ისევე როგორც ყველა მომთაბარეები, „ადგილობრივ მ ა ღ ა ლ ფ ე ო დ ა ლ უ რ ი კულტურის მოშლისათვის და მის ადგილზე აღმოსავლურ-ბარბაროსულ-ფეოდალური ურთიერთობის დამყარებისათვის იბრძოდნენ" [2].

თემურ-ლენგის რვაგზისი შემოსევა ამიერკავკასიაში (1386 — 1403 წწ.) აქაური მიწების მიტაცება-დასაკუთრებას ისახავდა უმთავრეს მიზნად. ამიერკავკასიის ქვეყნებში უპირატესად ქრისტიანი მიწისმფლობელები იყვნენ. ამიტომ ადგილობრივი მიწისმფლობელობის გაუქმების საკითხი მჭიდროდ უკავშირდებოდა მაჰმადიანობის გავრცელებას. „მიწისმფლობელობისათვის მებრძოლ „ველურ"-მომთაბარეებმა მაჰმადიანობა თავის ალმად აღიარეს და „გიაურთა" (ქრისტიან მიწისმფლობელთა) წინააღმდეგ ბრძოლა „საღმრთო საქმედ" გამოაცხადეს. თემურლენგი ამ „მაჰმადიანური" პოლიტიკის თანმიმდევრული გამტარებელი იყო" [3]. საინტერესოა, რომ სწორედ ამ დროს მაჰმადიანდებიან აზერბაიჯანის უკანასკნელი ქრისტიანი ფეოდალები [4].

---

[1] К. М а р к с. Хронологические выписки, Архив Маркса и Энгельса, ტ. IV, გვ. 184.

[2] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, მნათობი, № 6, 1954, გვ. 127.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 126—127.

[4] И. П. П е т р у ш е в с к и й. Азербайджан в XV веке, ССНА, გვ. 186—187.

ნაჰმადიანობა თემურ-ლენგს ხელს არ უშლიდა მიწა გამოეცალა ირანელ მიწისმფლობელებისათვის. გარკვეული პოლიტიკური მიზნებისათვის იგი საზოგადოდ მარჯვედ იყენებდა სარწმუნოებრივ მოტივებს. ცნობილია, რომ სირიაში, სადაც შიიტების გავლენა მეტისმეტად სუსტი იყო, თემურ-ლენგი შიიტებს მფარველობდა, ხოლო ხორასანში, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა შიას სარწმუნოებას მისდევდა, სუნიტებს.

თემურ-ლენგის მიერ ქალაქ თბილისში მოწვეულ მუსლიმან სწავლულთა პაექრობას თავმჯდომარეობდა ბედრ ედ-დინ სიმავნა ოღლუ. შემდეგ ბედრ ედ-დინი ოსმალეთში ხელმძღვანელობდა სოციალურ მოძრაობას, რომელიც გლეხთა მრისხანე აჯანყებაში გადაიზარდა (1514—1516 წწ.). ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ხორასნის სარბადარებთან მეგობრული ურთიერთობა აქვს[1] იმას, ვინც საკუთრივ სამარყანდის სარბადარებს სასტიკად გაუსწორდა. ხორასნის სარბადართა სახელმწიფოს უკანასკნელმა მეთაურმა ალი მუაიადმა თავის ნებით და ინიციატივით გადასცა თემურ-ლენგს მიწები და ხელისუფლება[2]. ეტყობა ცბიერი თემურ-ლენგი ირანის ფეოდალური მფლობელების წინააღმდეგ ხორასნის სარბადარების გამოყენებას აპირებდა. ირანელ ფეოდალებს კი, პირიქით, დასაწყისში იგი სწორედ სარბადარების წინააღმდეგ სჭირდებოდათ.

თემურ-ლენგი მფარველობდა აგრეთვე არდებილის შეიხებს (ფეოდალურ მთავრებს), რომელთა შიიტური მიდრეკილებები მისთვის კარგად იყო ცნობილი. მისთვის უცნობი არ უნდა ყოფილიყო არც არდებილის შეიხების გარშემო გაერთიანებულ ძალთა ბრძოლის სოციალური მოტივები.

თემურ-ლენგი, ჩანს, თანაბრად იყენებდა კლასობრივი და პოლიტიკური ხასიათის წინააღმდეგობებს. უნდა ვიფიქროთ, რომ დასაწყისში მის შემოსევებს კლასობრივი თვალსაზრისით უყურებდნენ როგორც ირანის საზოგადოების ექსპლოატირებული ფენები (გლეხები, ხელოსნები, ქალაქის ღარიბები), ისე ფეოდალები. შემდეგ ვითარება მკვეთრად შეიცვალა. თემურ-ლენგის წინააღმდეგ აჯანყებული არიან ხელოსნები, მოქალაქეები (ჰერათში, ისფაჰანში...). ბობოქრობენ გლეხებიც. მაგრამ მათი მოძრაობანი ახალი მიწისმფლობელების წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს კი სრულიადაც არ ეხებოდა ირანელი ფეოდალების კლასობრივ ინტერესებს. პირიქით, მათ თვითონ გააძლიერეს ბრძოლა მიწისმფლობელობისათვის. ყველა ამით აიხსნება, რომ თემურ-ლენგის ლაშქრობანი ირანში გახანგრძლივდა.

მიწისმფლობელობისათვის ბრძოლა წარმოებდა ამიერკავკასიაშიც. დამპყრობელი აქაც მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა. ომი აქაც გახანგრძლივდა. ამიერკავკასიის ხალხთა ბრძოლა ბუნებრივად ეხმაურებოდა მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე ბრძოლას, რომელიც თავისი ხასიათით უეჭველად პროგრესული იყო.

ამიერკავკასიის ხალხების წინააღმდეგ ბრძოლაში თემურ-ლენგი ეყრდნობოდა წინათ აქ ჩამოსახლებულ მომთაბარულ ტომებს. ამავე დროს, მის

---

[1] История Узбекской ССР, ტ. I, წ. 1, გვ. 324.

[2] იქვე.

ხელთ მაჰმადიანობა ამიერკავკასიის მიწისმფლობელთა წინააღმდეგ ბრძოლის იდეოლოგიად იქცა.

სოიურღალის მფლობელებად თემურ-ლენგის დროს მხედრები იყვნენ. ლაშქარი კი მომთაბარული ტომებისაგან შედგებოდა. ამდენადვე ამ ტოშების შემოსვლა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ახალ ნიადაგს უქმნიდა ისლამის გავრცელებას.

XIV—XV საუკუნეთა მიჯნაზე ამიერკავკასიის პოლიტიკური ვითარება შეიცვალა. მომთაბარეთა წინააღმდეგ სამასწლოვანი ბრძოლა საქართველოს (კავკასიის) დამარცხებით დამთავრდა: „17 წლის მანძილზე (1386—1403 წწ.) თემურ-ლენგის რვაგზისმა შემოსევამ ამიერკავკასია მძიმედ დააზიანა. თემურთან ომის შედეგად საქართველოს საბოლოოდ ჩამოსცილდა მისი სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილები (მოძმე სომხეთი), სადაც ადგილობრივ მიწისმფლობელთა კლასი უმთავრესად მონღოლ-თათარ-თურქმან მომთაბარეთა არისტოკრატიამ შეცვალა“ [1].

თემურ-ლენგის დროიდან ნოყოლებული მაჰმადიანობა ამიერკავკასიის ხალხთა გათიშვის საშუალებად ხდება. თუმცა ამ მხრივ სასურველ შედეგს დამპყრობლებმა მომდევნო საუკუნეებშიაც ვერ მიაღწიეს. უფრო ძლიერი აღმოჩნდა საერთო ეკონომიური და კულტურული ტრადიციები, რომელთაც ამიერკავკასიის მოძმე ხალხების წინაშე (XVI—XVIII სს.) თანაბრად დააყენეს რუსეთთან ურთიერთობის საკითხი.

თემურ-ლენგის „მაჰმადიანური“ პოლიტიკის (მიწისმფლობელობისათვის ბრძოლის) გამგრძელებლები XV ს-ში თურქმანები იყვნენ, რომელთაც ვანის ტბის მიდამოებიდან და დიარბეკრის სანახებიდან ჩრდილოეთით წამოიწიეს და აღმ. ამიერკავკასიის ქვეყნების ‘თელი რიგი რაიონები თავიანთ იალაღებად და ყიშლაღებად გადააქციეს.

თემურ-ლენგის გაუთავებელი ომების შედეგებმა მძიმე ზიანი მიაყენეს ირანს, ამიერკავკასიას. ამ ომების მთავარი პოლიტიკური შედეგი ის იყო, რომ მათ დასახელებულ ქვეყნებში ნიადაგი მოუმზადეს მომთაბარე თურქმანების ბატონობას.

## § 2. თურქმანები

თემურ-ლენგის სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ხელახლად აღდგა ჯალაირთა სახელმწიფო.

ეგვიპტიდან დაბრუნებულმა სულთან აჰმედ ჯალაირმა (1382—1410) კვლავ დაისაკუთრა თავრიზი. ერთხანს მას მხარს უჭერდა ყარა-ყოინლუს (შავბატკნიანების) გაერთიანებული ტომების ამირა ყარა-იუსუფი (ბაჰარლუს ტომიდან). სულთანიც და ამირაც ერთად იმყოფებოდნენ ეგვიპტის სულთნის ტყვეობაში.

სულთან აჰმედ ჯალაირის სამხედრო ძალა შავბატკნიანი თურქმანებისაგან შედგებოდა. ამიტომ მისი ხელისუფლება სახელმწიფოში მეტად მერყეი

[1] ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 126.

იყო. ხოლო ყარა-იუსუფის თავიდან ჩამოშორების ცდა მისთვის მარცხით დამთავრდა.

1410 წელს ყარა-იუსუფმა დაამარცხა სულთან აჰმედ ჯალაირი. ამ წელს მოისპო ჯალაირების სახელმწიფო. ჯალაირების დინასტია სამხრეთ აზერბაიჯანში ბარანის დინასტიამ შეცვალა.

იმავე 1410 წელს ყარა-იუსუფის მეთაურობით წარმოიქმნა ყარა-ყოინლუს ანუ შავბატკნიან თურქმანთა სახელმწიფო, რომელმაც 1467 წლამდე იარსება.

შავბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოში შედიოდა: აზერბაიჯანის დიდი ნაწილი, სომხეთი, ქურთისტანი და არაბეთის ერაყი. ამ სახელმწიფოს სატახტო ქალაქიც თავრიზი იყო.

სამხრეთ აზერბაიჯანში, ყარაბაღში და სომხეთში ყარა-იუსუფი დიდი რაოდენობით ურიგებდა სოიურღალებს მომთაბარულ არისტოკრატიას[1]. სომხეთში ადგილობრივი მიწისმფლობელები მომთაბარულმა არისტოკრატიამ შეცვალა. თურქმანებმა საქართველოშიც შემოაღწიეს. სწორედ ამ დროს „ჩამოსცილდა საქართველოს შაქის ქვეყანა და უშინაგარესი ტაშირიც კი (ლორე), სადაც ქართველი აზნაურობა იძულებული გახდა მიწისმფლობელობა დაეთმო და მამაპაპეულს გასცლოდა“[2].

ყარა იუსუფი პირწავარდნილი მომთაბარე იყო. ასეთივე იყო მისი ვაჟი ისკანდერი (1422—1429 და 1431—1435). მამისა და ძმისაგან ამ მხრივ განსხვავდებოდა ჯაჰანშაჰი (1435—1467), რომელიც ადრევე დაუკავშირდა შაჰრუხს და ბინადარ მოსახლეობასთან ურთიერთობაშიც სულ სხვა თვალსაზრისს ადგა. ვიდრე შავბატკნიან თურქმანთა ამირები ადგნენ. მაგრამ ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ ისიც მომთაბარული პოლიტიკის გამტარებელი იყო.

ამიერკავკასიის გაერთიანებული ძალების დამარცხების შემდეგ ყარა-იუსუფმა ყურადღება თემურიანთა ირანის სამფლობელოებზე გადაიტანა. მისი ომი შაჰრუხთან გარდაუვალი იყო. საამისოდ იგი საგანგებოდ მოემზადა.

შაჰრუხს მხარს უჭერდნენ: შირვანშაჰი ხალილულაჰ I, შაქის მფლობელი სიდი აჰმედ ორლათი, საქართველოს მეფე ალექსანდრე[3]. ესენი შავბატკნიანი თურქმანების განადგურებას უკავშირებდნენ თავიანთი ქვეყნების განვითარებას, დოვლათსა და ვაჭრობას, მიწათმოქმედებას და გლეხთა რაციონალურ ექსპლოატაციას.

ყარა-იუსუფი შაჰრუხთან ომის დროს მოკვდა 1420 წელს. მისი სიკვდილის შემდეგ შავბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოში მრავალწლოვანი შინაფეოდალური ომი დაიწყო. ამ ომიდან გამარჯვებული ჯაჰანშაჰი გამოვიდა. მან შაჰრუხს მორჩილება გამოუცხადა და საურის გადახდა იკისრა (ბონდენირი). შაჰრუხის სიკვდილამდე (1447 წ.) ჯაჰანშაჰი ვასალური მორჩილების გზას არ უხვევდა. ამიტომ ირანის წინააღმდეგ მტრული მოქმედება მას არ შეეძლო.

---

[1] Шереф-намэ, изд. перс. текста В. Вельяминова-Зернова, т. 1, СПб, 1860, გვ. 376—378.

[2] ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 126.

[3] И. П. Петрушевский. Государства Азербайджана в XV веке, გვ. 163.

სამაგიეროდ ჯაჰანშაჰი რამდენჯერმე შეჭოიჭრა საქართველოში. 1440 წელს მან აიღო სამშვილდე, თბილისი, ხოლო მოსახლეობას ხარაჯას გადახდა დააკისრა (თომა მეწოფელი). ჯაჰანშაჰის ამ ლაშქრობაში მონაწილეობდა არდებილის შეიხიც.

ირანის დაპყრობას ჯაჰანშაჰი შეუდგა მხოლოდ შაჰრუხის სიკვდილის შემდეგ. მან დაიპყრო სპარსეთის ერაყი, ფარსი, ხორასანი, თვით თემურიანთა სატახტო ქალაქი ჰერათი (1458 წ.). მაგრამ წარმატებით დაწყებული ომები მას არ შეეძლო ბოლომდე მიეყვანა. აზერბაიჯანში მის წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა მისივე შვილის ჰასან ალის მეთაურობით. იგი იძულებული იყო თემურიან აბუ-საიდისათვის დაებრუნებინა მთელი აღმოსავლეთ ირანი. მან შეინარჩუნა მხოლოდ სპარსეთის ერაყი და ფარსი. თუმც ესეც იმას მოწმობდა, რომ თემურიანებს დღე ელეოდათ ირანში, ხოლო შავბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოს ტერიტორია დიდად იყო გაფართოებული.

1459 წელს ჯაჰანშაჰმა ჩააქრო აჯანყება აზერბაიჯანში. ამის მიუხედავად მას მაინც არ დაურღვევია აბუ-საიდთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება. მთავარი ყურადღება მან თავის საშიშარ მეტოქეს მიაპყრო. მისი სამფლობელოს დასავლეთ საზღვრებზე კიდევ უფრო გაძლიერდნენ თეთრბატკნიანი თურქმანები.

აყ-ყოინლუს ანუ თეთრბატკნიან თურქმანთა გაერთიანებული ტომების სათავეში ბაიანდურის ტომი იდგა. ამ ტომს ეკუთვნოდნენ აყ-ყოინლუს დინასტიის წარმომადგენლები: ყარა-იულუკი, ალი-ბეგი, ჰასან-ბეგი (უზუნ ჰასანი).

შავბატკნიან და თეთრბატკნიან თურქმანებს შორის იმთავითვე მტრული ურთიერთობა არსებობდა. თეთრბატკნიანი თურქმანები თემურ-ლენგს უჭერდნენ მხარს, შავბატკნიანები კი, პირიქით, მის წინააღმდეგ იბრძოდნენ. თემურ-ლენგის მიერ დამარცხებული ყარა-იუსუფი ეგვიპტეში გაიქცა, სადაც ეგვიპტის სულთანმა თემურ-ლენგის შიშით იგი სულთან აჰმედ ჯალაირთან ერთად საპყრობილეში გამოჰკეტა.

სანამ ყარა-იუსუფი შორს იყო, თეთრბატკნიანი თურქმანები თავიანთი სამფლობელოს გაფართოებას ცდილობდნენ. მდგომარეობა შეიცვალა მხოლოდ ყარა-იუსუფის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ. თეთრბატკნიანი თურქმანების წინააღმდეგ იბრძოდნენ ყარა-იუსუფი, ისკანდერი, ჯაჰანშაჰი.

შავბატკნიან და თეთრბატკნიან თურქმანებს შორის მტრობასა და შუღლს კიდევ უფრო მეტად ამძაფრებდა სარწმუნოებრივი განსხვავება. შავბატკნიანი თურქმანები შიიტები იყვნენ, თეთრბატკნიანი თურქმანები კი სუნიტები.

შავბატკნიანი თურქმანების ყველაზე ძლიერი და საშიშარი მეტოქე უზუნ-ჰასანი (1453—1478) აღმოჩნდა. ანტიოსმალური კოალიციის ჩაშლისა და ტრაპიზონის საკეისროს ოსმალთა მიერ მოსპობის შემდეგ (თეთრბატკნიანი ფადიშაჰები ტრაპიზონის კეისრებთან ნათესაური ურთიერთობით იყვნენ დაკავშირებული) უზუნ-ჰასანმა უმთავრესი ყურადღება შავბატკნიან თურქმანებთან ომს მიაქცია. მან უკვე XV ს-ის 50-ანი წლების განმავლობაში დაიპყრო სომხეთი და ქურთისტანის დიდი ნაწილი. სივასისა და ერზინჯანის დაპყრობის შემდეგ ეს თეთრბატკნიანი თურქმანების ყველაზე დიდი გამარჯვება იყო.

გადამწყვეტი ბრძოლა შავ და თეთრბატკნიან თურქმანებს შორის მოხდა 1467 წლის მაისში. ჯაჰანშაჰი სასტიკად დამარცხდა. თვითონ იგი მოკლულ იქნა. მისი მოკვეთილი თავი უზუნ-ჰასანმა აბუ-საიდს გაუგზავნა, ხოლო ჯაჰან-შაჰის ვაჟის მოჰამედის თავი ოსმალო სულთან მეჰმედ II-ს. ამით იგი გამარ-ჯვებას აცნობებდა თავის მტრებს, რომლებთანაც ომი აუცილებელი იყო.

თემურიანთათვის იმთავითვე მიუღებელი იყო ძლიერი სახელმწიფო თავიანთი სამფლობელოების მეზობლად, ხოლო ოსმალები ასეთის წარმოქმნას დაუშვებლად თვლიდნენ. ერთიანი სახელმწიფოს არსებობა აღმოსავლეთში ხელს შეუშლიდა მათი შეტევის განვითარებას ევროპის კონტინენტზე. ოსმალ-თათვის უცნობი არ იყო არც უზუნ-ჰასანის მონაწილეობა განზრახულ ანტი-ოსმალურ კოალიციაში და მისი ურთიერთობა ვენეციის რესპუბლიკასთან.

აბუ-საიდმა ომი დაიწყო თეთრბატკნიან თურქმანებთან. მაგრამ შირ-ვანშაჰმა ფარუხ-იასარმა (1462—1500) მას მოსალოდნელი დახმარება არ აღმოუჩინა. უზუნ-ჰასანმა აბუ-საიდი ადვილად დაამარცხა (1469 წ.).

აბუ-საიდის დამარცხებამ ოსმალები კიდევ უფრო გააქტიურა. ისინი შურისგების საბაბით, ჯაჰანშაჰის და აბუ-საიდის მოკვლის გამო, შეუდგნენ უზუნ-ჰასანის წინააღმდეგ მოქმედებას. ნამდვილად ოსმალები შეშფოთებული იყვნენ იმით, რომ უზუნ-ჰასანმა შეიერთა შავბატკნიან თურქმანთა ტომები, მათი ქვეყნები და მთლიანად თუ არა ძირითადად მაინც ირანი გააერთიანა.

უზუნ-ჰასანმა დიარბეკრიდან თავრიზში გადაიტანა თავისი სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრი.

თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოში შედიოდა: სამხრეთ აზერ-ბაიჯანი (არდებილის ფეოდალური სამთავროს გამოკლებით), ყარაბაღი, სომხეთი, ლურისტანი, ფარსი და ქერმანი. უზუნ-ჰასანმა ვერ წაართვა ხო-რასანი თემურიანებს. გილანი და მაზანდარანი კი შესაერთებელი დარჩა.

უზუნ-ჰასანს ახლო ურთიერთობა (პოლიტიკური, ნათესაური) ჰქონდა შირვანთან და არდებილის ფეოდალურ სამთავროსთან. მეგობრობდა ყარამა-ნის საამიროს (მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში) და კვიპროსის ქრისტიანულ სამეფოს, რომელთაც ოსმალეთი მოსპობით ემუქრებოდა. სამა-გიეროდ ძარცვისა და ალაფ-ნადავლის მთავარ ობიექტად საქართველო მიაჩნდა. მას ესმოდა, რომ უამისოდ შეუძლებელი იყო მომთაბარე ამირების მორჩილება. და უზუნ-ჰასანმაც რამდენჯერმე დალაშქრა ჩვენი ქვეყანა.

1473 წლის აგვისტოში თერჯანასთან (მდ. ევფრატის ერთ-ერთი განტო-ტების შენაკადზე) ოსმალებმა სასტიკად დაამარცხეს უზუნ-ჰასანის ლაშქარი. ოსმალეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს, მისი სამხედრო ორგანიზაციის (იანიჩართა კორპუსის) და ცეცხლის იარაღის უპირატესობა სავსებით აშკარა გახდა თეთრბატკნიან თურქმანთა ფეოდალურ ლაშქართან გადამწყვეტ ბრძო-ლაში.

ამის შემდეგ უზუნ-ჰასანს ოსმალეთთან ომი აღარ განუახლებია. სამა-გიეროდ გაძარცვის მიზნით მან რამდენჯერმე დალაშქრა საქართველო. საქარ-თველოს წინააღმდეგ უკანასკნელი ლაშქრობის დროს (1478 წელს) უზუნ-ჰასანი გარდაიცვალა. მარბიელი ლაშქარი საქართველოში შემოჰყავდა მის

ნეშკვიდრე იაკუბსაც (1478—1490), რომლის დროსაც თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფო განუხრელი დაქვეითების გზას დაადგა.

შავბატკნიან და თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიური წყობა, ფეოდალური და პოლიტიკური ინსტიტუტები ძირითადად ერთნაირი იყო. ორსავე სახელმწიფოში გაბატონებული ფეოდალური კლასის მთავარსა და წამყვან ჯგუფს წარმოადგენდა სამხედრო-ნომადური არისტოკრატია. დაქვემდებარებულ როლს ასრულებდნენ სამოქალაქო ბიუროკრატიის წარმომადგენლები, მელიქები და სასულიერო ფეოდალები.

XV ს-ში სოიურღალი იქცა მიწის ფეოდალური საკუთრების გაბატონებულ ფორმად.

XV ს-ის დამდეგს იკტა ჯერ კიდევ იხსენიება როგორც სამხედრო საკარგავის განსაკუთრებული სახეობის აღმნიშვნელი სახელი, შემდეგ კი თანდათან ჰქრება მისი ხსენება ოფიციალურ დოკუმენტებში.

იკტას ინსტიტუტი XV ს-ში ადგილს უთმობს სოიურღალს. მაგრამ ეს უკანასკნელი წარმოადგენს მონღოლური იკტას შემდგომ განვითარებას.

ი. პეტრუშევსკის XV ს-ის სოიურღალი შედარებული აქვს მონღოლების დროინდელ იკტასთან. ყარა-იუსუფის წყალობის სიგელის (820/1417 წ.) შინაარსის ანალიზის საფუძველზე მას ნაჩვენები აქვს, თუ რა ნიშნებით ემთხვეოდა სოიურღალი მონღოლურ იკტას და რა ნიშნებით განსხვავდებოდა მისგან.

ყარა-იუსუფის საბუთში დახასიათებულ სოიურღალსა და მონღოლურ იკტას შორის, აღნიშნავს ი. პეტრუშევსკი, საერთო ნიშნებია: საგადასახადო იმუნიტეტი და მემკვიდრეობითი მფლობელობის პრინციპი[1]. მაგრამ, ამავე დროს, სოიურღალის მფლობელი უფრო მეტი უფლებებით სარგებლობდა, ვიდრე იკტას მფლობელი. ამასთან სოიურღალის ტერიტორია შედარებით უფრო ვრცელი იყო (ეს საერთოდ დამახასიათებელი იყო მსხვილი სოიურღალებისათვის). მაგრამ მთავარი განმასხვავებელი ნიშანი მაინც ის იყო, რომ სოიურღალის მფლობელის უფლება ვრცელდებოდა მეზობელი მფლობელების მიწებზეც[2].

მაგ., ყარა-იუსუფის საბუთში მოხსენებულ ამირა შამს ედ-დინს მეტად ვრცელ ტერიტორიაზე ემორჩილებოდნენ უკლებლივ ყველა ამირა, ფეოდალური მფლობელები, წარჩინებული ადამიანები და სასულიერო პირები[3].

ამას გარდა, ამირა შამს ედ-დინი სარგებლობდა არა მარტო საგადასახადო, არამედ ადმინისტრაციული და სასამართლო იმუნიტეტითაც. ცენტრალური ხელისუფლების მოხელეებს უფლება არ ჰქონდათ გარეულიყვნენ სოიურღალის ტერიტორიის მმართველობის საქმეში. სოიურღალის ტერიტორიის რაიათების (გლეხების) და მოსახლეობის სასამართლო საქმეები მხოლოდ ამირა შამს ედ-დინს და მის მოხელეებს უნდა გაერჩიათ[4].

---

[1] И. П. Петрушевский. Очерки, გვ. 156.
[2] იქვე, გვ. 157—158.
[3] იქვე.
[4] იქვე.

ამრიგად, XV ს-ის სოიურღალი მონღოლური იკტასაგან განსხვავდებოდა ტერიტორიული სიდიდით (თუმც ეს, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, მხოლოდ მსხვილი სოიურღალებისათვის იყო დამახასიათებელი), ადმინისტრაციული და სასამართლო იმუნიტეტით. ამ ნიშნებით სოიურღალის ფეოდალური ინსტიტუტი იქცა მიწისმფლობელობის მთავარ ფორმად.

XV ს-ში სოიურღალი გავრცელებული იყო აზერბაიჯანში, სომხეთში, ერაყში, ირანში, შუა აზიაში.

სოიურღალის მფლობელი მხოლოდ სალაშქრო მოვალეობით ან გარკვეული სამსახურით იყო დაკავშირებული ცენტრალურ ხელისუფლებასთან. ასე რომ სოიურღალი მაინც მიწის პირობით მფლობელობას ნიშნავდა (ამით იგი განსხვავდებოდა „მულქისაგან"—მიწის უპირობო მფლობელობისაგან). მაგრამ ის გარემოება, რომ სოიურღალის განახლება ახალი მბრძანებლის მიერ ფორმალური იყო, მოწმობს, თუ რამდენად განამტკიცეს სოიურღალის მფლობელებმა თავიანთი უფლებები. ამით აიხსნება, რომ შუა აღმოსავლეთის ვრცელი ტერიტორია მოფენილი იყო ნახევრად დამოუკიდებელი ფეოდალური სამთავროებით და ფეოდალური დაშლილობა დამახასიათებელი იყო როგორც შავბატკნიანი, ისე თეთრბატკნიანი თურქმანების სახელმწიფოებისათვის.

XV ს-ის ისტორიკოსი, ნიზამ ედ-დინ შამი, აღნიშნავდა: ვისაც ციხე აქვს და ნოქარი ჰყავს თავი სრულიად დამოუკიდებლად უჭირავს და არავის ხელისუფლებას არ სცნობსო. ეს სიტყვები ისტორიკოსს უკიდურესი ფეოდალური დაშლილობის საილუსტრაციოდ სჭირდებოდა.

სოიურღალით გათვალისწინებული საგადასახადო, ადმინისტრაციული და სასამართლო იმუნიტეტი აპირობებდა ფეოდალურ დინასტიურ მფლობელობას. ამ დინასტიების უმეტესობას მომთაბარული ტომების ამირები შეადგენდნენ.

ასე მაგ., XIV ს-ის დამლევს და XV ს-ის პირველ მეოთხედში ბარდავის და განჯის სანახები ეკუთვნოდა ყარამანლუს ტომის ამირას იარაჰმედ ყარამანლუს, შემდეგ კი მის შვილებს; არდებილის მიმდგომი ქვეყნების მფლობელი იყო ჯაგირლუს ტომის ამირა ბისთამ ჯაგირლუ, ბოლოს კი არდებილს ფლობდა მისი ძმისწული მოჰამედი. თემურ-ლენგის ლაშქრობათა დროს და, განსაკუთრებით, ყარა-იუსუფის ბატონობის პერიოდში არარატის რაიონი შემოიმტკიცა ამირ-საადმა. შემდეგაც ჩუხურ-საადი (საადის ველი — შემდეგ-დროინდელი ერევნის სახანო) საადლუს ამირების ხელთ იყო. სუქმანბადი (სამხრეთ აზერბაიჯანში) ყარა-იუსუფმა უწყალობა თურქულ ტომს დუმბულის, ადილჯევაზი და ალაშკერტი ქურთული ფოზუკის ტომის ამირას.

ფეოდალური მომთაბარე მფლობელები ისხდნენ აგრეთვე მუღანში, თალიშში, ყარადაღში, ნახჭავანში, ურმიასა და სხვა რაიონებში.

სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის წარმომადგენლები განაგრძობდნენ მომთაბარულ ცხოვრებას. ისინი, როგორც წესი, არ ცხოვრობდნენ ნაწყალობევ მიწებზე და არ მისდევდნენ იქ მეურნეობას. ახლაც მიწების დასამუშავებლად გაცემა წარმოებდა იჯარის წესით. მეიჯარე გლეხი ვალდებული იყო მიწისმფლობელისათვის გადაეხადა მოსავლის $^1/_2$-დან დაწყებული $^3/_5$-მდე.

გლეხი დამძიმებული იყო 30-მდე გადასახადით. მრავალნაირი იყო გლეხთა ფეოდალური მოვალეობანი და ვალდებულებანი. ამასთან გლეხებს ახდევინებდნენ როგორც „კანონიერ“ („ჰუქმი“), ისე „უკანონო“ („ღეირ-ი ჰუქმ“) გადასახადებს. ბაგ., მიწაზე დაწესებულ გადასახად „მალუჯათს“, ჩვეულებრივ, ემატებოდა „ხარაჯ-ი სალიანა“. ამგვარივე განსხვავება, სხვა გადასახადებთან დაკავშირებით, აღინიშნებოდა არაბ. ტერმინ „თაფავეუთ“-ით (სიტყვასიტყვით ნიშნავს „განსხვავებას“). გლეხი იხდიდა საშხედრო, სამოქალაქო და სასულიერო მოხელეების სასარგებლოდ დაწესებულ გადასახადებსაც. ყველაფერი ეს „იხრაჯათის“ (არაბ. ნიშნავს „მრავალს“, „ხარკს“) სახელწოდებით, ზუსტად იყო ფიქსირებული საგადასახადო დავთრებში[1].

გლეხის ფეოდალურ ვალდებულებებში ნაგულისხმევი იყო აგრეთვე „ულუფა“, „ულაღი“ (ტვირთის ზიდვა), „ყუნალღა“ (სამასპინძლო). ამას გარდა, გლეხს ფეოდალისათვის უნდა გაეზადებინა საჩუქარი და მისართმეველი: „ნოვრუზი“, „ფეშქაში“, „საველი“. შემკრებელობითი ცნების გამომხატველი არაბული „ავარიზათ“ ნიშნავდა სხვადასხვა შემთხვევასთან დაკავშირებულ ასაღებს.

გლეხი ფეოდალს უნდა შებვედროდა საგანგებო საჩუქრით, რომელსაც „სალამათ“ ერქვა, ხოლო მისი წასვლა აღენიშნა „ბაზდიდ“-ად (ნიშნავს „უკან დაბრუნებას“) წოდებული ძღვენით.

„ბეგარა“ ახლაც ძირითადად ინარჩუნებდა თავის ოდინდელ შინაარსს, რადგან თურქმან ამირებს არ ჰქონდათ სასაკუთრო მეურნეობანი. ხოლო ადგილობრივი ფეოდალები იშვიათად მისდევდნენ მეურნეობას თავიანთ მიწებზე. ბეგარით გათვალისწინებულ გლეხის იძულებით შრომას იყენებდა სახელმწიფოც და მსხვილი მიწისმფლობელი ფეოდალიც. ბეგარაში არ შედიოდა მხოლოდ ციხისა და სასახლის მუშაობა, სარწყავი არხების შეკეთება, გზების გაყვანა და სხვ. გლეხებს უნდა გამოეყვანათ ურმები („არაბაჯილიქ“), დაეცვათ გზები და ალაყაფები („ყაფუჯულუქ“), მოეხადათ სააღმშენებლო ვალდებულება („იაფიჯილიქ“), ყულუხრების და ქვეითების სახით მონაწილეობა მიეღოთ ფეოდალურ ლაშქარში („ჩერიქ“).

ბეგარას სრულ გაღატაკებამდე მიჰყავდა გლეხი და ანადგურებდა მის მეურნეობას.

მძიმე იყო ვაჭრების და, განსაკუთრებით, ხელოსნების მდგომარეობაც. ვაჭრობა-ხელოსნობაზე დაწესებული იყო გადასახადი „ტამღა“, ვაჭრის საქონელზე — „ბაჟი“.

ვაჭარ-ხელოსანთათვის აუტანელი და გამაჩანაგებელი იყო „თარჰ“-ი[2]. თარჰი აღნიშნავდა ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლების მიერ ხაზინაში სხვადასხვა საქონლის სავალდებულო ჩაბარებას ხაზინის მიერ დაწესებულ ფასებში. ამავე ტერმინით ნაგულისხმევი იყო ის იძულებითი ვალდებულება,

---

[1] ამდროინდელი გადასახადების შესახებ იხ. A Soyurghal of Qasim b. Jahaugir Aq-Qoyunlu, BSOS, IX, 4, გვ. 943—960; A. Lambton. დასახ. ნაშრ., გვ. 102—103; И. П. Петрушевский. Государства Азербайджана в XV в., გვ. 190—192.

[2] А. А. Али-заде. К истории феодальных отношений в Азербайджане в XIII—XIV вв. (термин „тарх“), გვ. 109—113.

როცა ვაჭრები და ხელოსნები მოვალენი იყვნენ აუცილებლად ეყიდნათ გლეხებში გადასახადების სახით შეკრებილი სურსათი სახაზინო ფასებში, რაც 4—5-ჯერ აღემატებოდა საბაზრო ფასებს[1].

გლეხებთან და ხელოსნებთან ერთად ექსპლოატირებული იყვნენ აგრეთვე მომთაბარეთა დაბალი მასები. მართალია, რაიათებთან შედარებით მათი მდგომარეობა მსუბუქი იყო, მაგრამ ისინიც იხდიდნენ სხვადასხვა გადასახადს და თანდათან ექცეოდნენ ფეოდალურ დამოკიდებულებაში ტომთა ამირების მიმართ. გადასახადისაგან თავისუფალი იყვნენ მხოლოდ პრივილეგირებული თურქმანული ტომები.

სამხედრო-ნომადური არისტოკრატია მტკიცედ იცავდა ტომობრივ ორგანიზაციას, რადგან ერთის მხრივ ეს მას, პატრიარქალურ ურთიერთობათა საფარველს ქვეშ, ღარიბი თანამეტომეების ექსპლოატაციის საშუალებას აძლევდა, მეორე მხრივ კი თვითეული ტომი წარმოადგენდა სამხედრო ორგანიზაციის ბირთვს. ამირებს ტომის მეომრები (ნოქრები) მარბიელ რაზმებში და ჩერიკში (ფეოდალურ ლაშქარში) გამოჰყავდათ, ხოლო სახელმწიფო მათ ყაჩაღური დაპყრობითი ომებისათვის იყენებდა.

ღარიბი და ექსპლოატირებული მომთაბარეები გლეხებთან, წვრილ ვაჭრებთან და ხელოსნებთან ერთად მონაწილეობდნენ სოციალურ მოძრაობებში. ამირა-აღალარებისაგან განსხვავებით ისინი შიიტობისადმი ამჟღავნებდნენ ბიდრეკილებას.

შიიტობის უკიდურესი მიმართულებანი ამ დროს ფართო გასაქანს პოულობდა მცირე აზიაში, ირანში (ყიზილბაშები) და აზერბაიჯანში (ხურუფიტები). აღსანიშნავია, რომ თუ სოფლის მოსახლეობის დიდს უმეტესობას შიიტები შეადგენდნენ, ქალაქებში უპირატესად სუნიტები იყვნენ წარმოდგენილი.

გლეხთა აღვირახსნილი ექსპლოატაცია აღვივებდა და აღრმავებდა ანტიფეოდალურ ბრძოლას. XIV ს-ში დაწყებული გლეხთა მოძრაობათა ტალღა XV საუკუნეშიც არ იყო დამცხრალი, ზოგან კი ამ მოძრაობებს გარკვეული წარმატებანი ჰქონდა მოპოვებული (გილან-მაზანდარანში, სადაც სარბადარული პოლიტიკური ორგანიზაციის სათავეში სეიდები იდგნენ).

სოფლის მეურნეობის დაცემა XV ს-ის მეორე ნახევარში გლეხთა მდგომარეობის გაუარესების პირდაპირი შედეგი იყო. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით უზუნ-ჰასანმა ყაზან-ყაენის აგრარული პოლიტიკის აღდგენა სცადა. მისი „კანონ-ნამე“ გადასახადების მოწესრიგებას ისახავდა მიზნად. მაგრამ ეს მიზანი, სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის წინააღმდეგობის წყალობით, მიუღწეველი აღმოჩნდა.

„კანონ-ნამეს“ გამოცემის შემდეგ გლეხთა მდგომარეობა სრულიადაც არ ჩანს შემსუბუქებული. ამას მოწმობენ XV ს-ის დამლევის დოკუმენტური წყაროები. იაკუბის 1488 წლის წყალობის წიგნში 27 სახელწოდების გადასახადი და ვალდებულებაა ჩამოთვლილი, ხოლო ყასიმ აყ-ყოინლუს 1498 წლით დათარიღებულ სიგელში — 31 გადასახადი[2].

---

[1] И. П. Петрушевский. დასახ. ნაშრ., გვ. 192.

[2] იქვე, გვ. 190—191.

მარცხით დამთავრდა სახელმწიფოს ცენტრალიზაციის პოლიტიკაც.

ფეოდალური მფლობელების გავლენის შესუსტების მიზნით უზუნ-ჰასანი, ჯაჰანშაჰის მსგავსად, ადგილობრივ ფეოდალურ ელემენტს და მუსლიმანურ ეკლესიას ეყრდნობოდა. ბით უმეტეს, რომ ყველა ესენი ირანული ტრადიციების მატარებელი იყვნენ და მომთაბარული ტენდენციების გავრცელების წინააღმდეგ მოქმედებდნენ.

მუსლიმანური ეკლესიის, მსხვილი ფეოდალური ორგანიზაციის, განკარგულებაში იყო სავაკუფო მიწები, სარწყავი არხები, აბანოები, ქარვასლები, დუქნები და ბაზრები ქალაქებში. შეწირულებანი, მიწისმოქმედება, ვაჭრობა და მევახშეობა მისი შემოსავლის მთავარი წყაროები იყო. მუსლიმანური ეკლესია, მელიქების და სამოქალაქო ბიუროკრატიის მსგავსად, დაინტერესებული იყო ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებით. ამიტომ უზუნ-ჰასანი ხელს უწყობდა სასულიერო ფეოდალების გაძლიერებას. მაგრამ უფრო ძლიერი იყვნენ ამირები, რომელთა წონას სახელმწიფოში მტკიცე საფუძველს უქმნიდა სოიურღალით გათვალისწინებული მფლობელობა. უზუნ-ჰასანის დროს სოიურღალების გაცემა არამცთუ შემცირდა, არამედ კიდევ უფრო გახშირდა. სოიურღალის წყაროდ კი დივანის (სახელმწიფოს) და ფადიშაჰის (ხასე) მიწები იყო.

სახელმწიფოს ცენტრალიზებას, ოსმალური წესების მიხედვით, ცდილობდა აგრეთვე აჰმედ აყ-ყოინლუ (1497 წ.). იგი ეყრდნობოდა მელიქებს. სამოქალაქო ბიუროკრატიას და სასულიერო ფეოდალებს. საინტერესოა, რომ აჰმედი ამირების ალაგმვაში ცდილობდა აზერბაიჯანელი და ირანელი გლეხების გამოყენებასაც [1].

აჰმედ აყ-ყოინლუმ სცადა გადასახადების მოწესრიგება „რეფორმების" გზით, შეამცირა გადასახადების რაოდენობა და დატოვა მხოლოდ ის გადასახადები, რომელთაც ითვალისწინებდა მუსლიმანური სამართალი (შარიათი), ე. ი. „ხარაჯა" (ახლანდელი „მალუჯათი"), „უშრი" (ხარაჯას შემცვლელი გადასახადი ზოგიერთი კატეგორიის მიწებზე), ზაქათი (გადასახადი მესაქონლეობაზე. უძრავ ქონებაზე და ვაჭრობაზე) და ჯიზია (ქრისტიანებზე და ებრაელებზე დაწესებული სულადი გადასახადი) [2]. ამით აჰმედი აუქცებდა მონღოლების წინაპე ხანაში არსებულ და საკუთრივ მონღოლების დროს შემოღებულ გადასახადებს [3]. აღნიშნული ღონისძიება ეხმაურებოდა სოციალურ მოძრაობათა იმ იდეას, რომელიც გულისხმობდა მონღოლურ-ბომთაბარული სამართლის („იასას") უარყოფას და ადრინდელი ისლამის ვითომცდა პატრიარქალური წესრიგის აღდგენას [4].

მაგრამ აჰმედ აყ-ყოინლუ სრულიადაც არ აპირებდა გლეხთა ინტერესების დაცვას. მისი „რეფორმები" მიმართული იყო გაძლიერებულ-აღზევებული ამირების და არა მთლიანად გაბატონებული ფეოდალური კლასის

---

[1] И. П. Петрушевский. Внутренняя политика Ахмеда Ак-Койунлу, ССИА, I. გვ. 151.

[2] И. П. Петрушевский. დასახ. ნაშრ., გვ. 150.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 150—151.

წინააღმდეგ[1]. როგორც ჩანს, აჰმედ აუ-ყოინლუ დაბალი საზოგადოებრივი ფენების დასაინტერესებლად მიმართავდა ისეთსავე სოციალურ დემაგოგიას, რაც შემდეგ ასე წარმატებით გამოიყენეს სეფიანებმა ყიზილბაშური მოძრაობის გაძლიერების პერიოდში.

ნამდვილად აჰმედი ყაზან-ყაენის აგრარულ პოლიტიკას უჭერდა მსარს. ეტყობა ამან მისცა საბაბი XVI ს-ის ისტორიკოსს ჰასან რუმლუს აღენიშნა, რომ აჰმედი „მზრუნველობით ეპყრობოდა რაიათებს და მის დროს გადასახადთა აღების კარებები დაიხშო“[2]. მანვე, ისტორიკოსის სიტყვით, „შეუმოკლახელები“ ამირებს და მოაშორა რაიათებს.

აჰმედი მკაცრად ეკიდებოდა და სასტიკად უსწორდებოდა სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის წარმომადგენლებს. მის დროს ბევრი ამირა სიკვდილით იქნა დასჯილი, თუმცა იგი სულ ექვს თვეს იყო ფადიშაჰად.

აჰმედ აუ-ყოინლუს მზოლოდ გადასახადების მოწესრიგების საქმისათვის არ მიუქცევია ყურადღება. ამირების დათრგუნვის მიზნით მან გააუქმა სოიურღალების მემკვიდრეობითი მფლობელობის უფლება და უარი თქვა წინანდელი ფადიშაჰების მიერ გაცემული სასოიურღალო ფირმანების განახლებაზე. ამით იგი აპირებდა გადამწყვეტი დარტყმა ეგემებინა სამხედრო-ნომადური არისტოკრატიისათვის[3]. სამხრეთ აზერბაიჯანში მან შეძლო ამირების ალაგმვა; ამ ამოცანის განხორციელება ძნელი აღმოჩნდა ცენტრიდან დაშორებულ ოლქებში—სპარსეთის ერაყში და ფარსში. აქაური ამირები აუჯანყდნენ აჰმედს და ფადიშაჰად მურად იაკუბის ძე გამოაცხადეს. ისფაჰანის მახლობლად აჰმედი დამარცხდა, და დაიღუპა, როგორც ჩანს, საკუთარი ლაშქრის ამირების ღალატის წყალობით.

XV ს-ის დამლევისათვის თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფო ფაქტიურად დაშლილი იყო. უფლისწულთა შორის გამართულ ბრძოლას მარჯვედ იყენებდა ოსმალეთი, რომელიც ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა არ დაეშვა აღმოსავლეთში გაერთიანებული სახელმწიფოს არსებობა.

თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოს დასუსტებას, ხოლო შემდეგ მოსპობა-გადაშენებას, ხელი შეუწყო ამირებს შორის გამუდმებით წარმოებულმა შინაფეოდალურმა ომებმა, სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის დაპირისპირებამ სხვა ფეოდალური ჯგუფების წინააღმდეგ და დაპყრობილ ხალხთა განმათავისუფლებელმა ბრძოლამ.

თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოს დაშლა-გადაშენების უმთავრესი მიზეზი იყო გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა, რაც მარჯვედ გამოიყენეს არდებილის ფეოდალურმა შეიხებმა და XVI ს-ის დამდეგს წარმოქმნეს სეფიანთა ანუ ყიზილბაშთა სახელმწიფო.

## § 3. სეფიანთა სახელმწიფო

XVI ს-ის დამდეგს წარმოქმნილი სეფიანთა სახელმწიფოს არსებობა 1722 წლამდე გაგრძელდა.

---

[1] Н. П. Петрушевский. დასახ. ნაშრ., გვ. 151.

[2] იქვე.

[3] იქვე.

სეფიანთა სახელმწიფოს ისტორია ორ მთავარ პერიოდად იყოფა. პირველი პერიოდი ქრონოლოგიურად 1502—1590 წლებში თავსდება, მეორე კი—1590—1722 წლებში. პირველ პერიოდში ძლიერი იყო ყიზილბაშთა მოძთაბარული ტრადიციები, მეორე პერიოდში ერთგვარი გასაქანი მიეცა ირანულ ელემენტს, რომლის დაწინაურება პოლიტიკურ და სამხედრო ასპარეზზე შაჰ-აბასის მოღვაწეობის ხანას განეკუთვნება.

სეფიანთა სახელმწიფოს შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა შვიდი ყიზილბაშური ტომი: უსთაჯლუ, რუმლუ, თექელუ, ზულკადარი, შამლუ, აფშარი, ყაჯარი. სხვადასხვა დროს მცირე აზიიდან და შუა აზიიდან გამოსული ეს ტომები გაერთიანებული იყვნენ არდებილის შეიხების (სეფიანების) გარშემო. სეფიანებმა ყიზილბაშებზე დაყრდნობით მიაღწიეს გამარჯვებას თეთრბატკნიანი თურქმანების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ყიზილბაშები შიიტები იყვნენ. მათი წითელი თავსაბურავი (ყიზილბაში თურქულად წითელთავიანს ნიშნავს) შედგებოდა თორმეტი ნაკეცისაგან, რაც სიმბოლურად თორმეტ იმამს აღნიშნავდა. არდებილის შეიხების ეს მიურიდები მონაწილეობდნენ არსებული წყობილების და მისი იდეოლოგიური დასაყრდენის—ორთოდოქსალური ისლამის (სუნიტობის) წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული ოსმალეთის ტერიტორიაზე მცირე აზიაში მოსახლე ყიზილბაშებთან, რომელნიც თავის მხრივ მონაწილეობდნენ ოსმალეთში მიმდინარე გლეხთა აჯანყებებში.

არდებილის შეიხების წინაპარი (XIII—XIV სს. მოღვაწე სეფი ედ-დინი, რომლის სახელიდანაც ნაწარმოებია დინასტიის აღმნიშვნელი სახელი—სეფიანები), სუნიტი იყო, მაგრამ შემდეგ მისმა ჩამომავლებმა შიიტობა სრულიად გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებს დაუკავშირეს.

სეფიანებმა წარმოქმნეს მცირე ფეოდალური სამთავრო (თეოკრატიული-პოლიტიკური ორგანიზაცია), რომელსაც შეიხი (სასულიერო პირი) მეთაურობდა და რომელიც თავდაპირველად არდებილის სანახებს მოიცავდა. XV ს-ის მანძილზე ისინი თანდათან აფართოებენ არდებილის ფეოდალურ სამთავროს მეზობელი ამირების ხარჯზე.

ყიზილბაშები ჯერ კიდევ სეფიანთა სახელმწიფოს წარმოქმნამდე შეუდგნენ აგრესიული პოლიტიკის განხორციელებას შირვანის და საქართველოს მიმართ. XV ს-ის 90-წლებისათვის არდებილის ფეოდალური სამთავრო უკვე იმდენად ანგარიშგასაწევი ძალაა, რომ შირვანშაჰები და აყ-ყოინლუს ფადიშაჰები მტრობას მეთანხმებით სცვლიან, რათა საერთო ღონისძიებით შეაჩერონ სეფიანთა შემდგომი გაძლიერება.

თეთრბატკნიანი თურქმანებისათვის არდებილის შეიხების გაძლიერება მიუღებელი იყო იმ მხრივაც, რომ ისინი თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის იყენებდნენ გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლას და ფართოდ გაშლილ სოციალურ მოძრაობას.

საქმე ისაა, რომ გლეხთა მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება XV ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ხელსაყრელ ნიადაგს უქმნიდა ყიზილბაშური მოძრაობის გავრცელებას. არდებილის შეიხები საზოგადოების დაბალი ფენების მისწრაფებებს მარჯვედ უხამებდნენ სოციალურ დემაგოგიას. ამით აიხსნება, რომ

ყიზილბაშურ მოძრაობაში მომთაბარეებს გარდა ვხედავთ გლეხებს, ვაჭრებს, ხელოსნებს. ამის მიუხედავად, დაუშვებელია ყიზილბაშთა მოძრაობის სახალხო მოძრაობასთან გაიგივება. და ეს იმიტომ, რომ ყიზილბაშთა ზედა ფენისათვის უცხო და მიუღებელი იყო ამ მოძრაობის სოციალური მოტივები. თვითონ არდებილის შეიხები მხოლოდ იმ სოციალური ძალების გამოყენებას ლამობდნენ, რომელთა ბრძოლა ფაქტიურად თეთრბატკნიან თურქმანთა დინასტიის და სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებდა.

ეს სავსებით ცხადყო მოვლენების განვითარებამ XV—XVI საუკუნეთა მიჯნაზე.

ყიზილბაშთა მოძრაობა გამარჯვებით დამთავრდა. ისმაილმა (არდებილის შეიხის ძემ) დაამარცხა თეთრბატკნიანი თურქმანები, აიღო ქალაქი თავრიზი და ირანის გაერთიანებას შეუდგა.

1502 წელს გამარჯვებულმა შაჰ-ისმაილ I-მა (1502—1524) შიიტობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. მაგრამ ის სასტიკად სდევნიდა არა მარტო სუნიტებს, არამედ შიიტობის უკიდურესი მიმართულების მიმდევრებსაც. რომელთა ბრძოლა აშკარად ანტიფეოდალური ხასიათის მატარებელი იყო. ახლად გაბატონებულ ორთოდოქსალურ ანუ ზომიერ შიიტობას ესენი ისევე ებრძოდნენ, როგორც მანამდე ორთოდოქსალურ ისლამს ებრძოდნენ. და ეს იმ გასაგები გარემოების გამო, რომ ზომიერი შიიტობა ფეოდალთა კლასის ბატონობის იდეოლოგიად იქცა.

სეფიანთა ანუ ყიზილბაშთა სახელმწიფო (1502—1722) თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოს ნანგრევებზე აღმოცენდა. და, შეიძლება ითქვას, თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოს პირდაპირ გაგრძელებას წარმოადგენდა. ორსავე სახელმწიფოში ძირითადად ერთნაირი იყო სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობანი, პოლიტიკური ინსტიტუტები, სამხედრო ორგანიზაცია. სეფიანთა სახელმწიფოშიც, XVI საუკუნეში, გაბატონებული იყო სამხედრო-ნომადური არისტოკრატია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ახლა აყ-ყოინლუს თურქმანების მაგიერ ყიზილბაში ამირები პირველობდნენ, საკუთრივ ირანელები კი დაპყრობილთა მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

ამიტომ ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული ბურჟუაზიულ აღმოსავლეთმცოდნეობაში განმტკიცებული შეხედულება, რომლის მიხედვით XVI ს-ის დამდეგს წარმოიქმნება ახალი ირანი. „ახალში“ ნაგულისხმევია არა მარტო სასანური ირანის ტრადიციების აღდგენა-განახლება, არამედ ირანის ისტორიის ახალი პერიოდის დასაწყისიც. მაგრამ ფეოდალური განვითარების იმ საფეხურის გათვალისწინება, რომელზედაც ირანი XVI ს-ის დამდეგისათვის იმყოფებოდა, ნიადაგს აცლის ამ შეხედულებას.

სეფიანთა სახელმწიფო, რა თქმა უნდა, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ არც ირანის ნაციონალურ სახელმწიფოდ, როგორც ამას ბურჟუაზიული ისტორიკოსები ამტკიცებენ (ვალტერ ჰინცი, ლამბტონი). ირანის ნაციონალური სახელმწიფოს არსებობისათვის არამცთუ XVI ს-ში, არამედ თვით XIX საუკუნეში არ არსებობდა საჭირო პირობები.

ის გარემოება, რომ XVI ს-ის დამდეგს სახელმწიფო რელიგიად ცხადდება შიიტობა, რომელიც იმთავითვე ირანელთა განმათავისუფლებელ ბრძო-

ლას დაუკავშირდა, აიხსნება არა „არიული სულის ენერგიის გამოვლინებით“ (ფრანც ბაბინგერი) ან ირანული ელემენტის მონაწილეობით, არამედ უმთავრესად სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის ბიზეზებით.

თუ არდებილის შეიხებმა შიიტობა სოციალური და პოლიტიკური რიგის მოვლენებს დაუკავშირეს, შაჰ-ისმაილმა ის მსხვილი მიწისმფლობელობის გასაუქმებლად და მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობაში დამოუკიდებელი მდგომარეობის მოსაპოვებლად გამოიყენა.

შიიტობა ყიზილბაშებს შესაძლებლობას აძლევდა მოეხდინათ სუნიტ საერო და სასულიერო ფეოდალების მიწების ექსპროპრიაცია. სეფიანებმა მოწინააღმდეგე თურქმან ფეოდალებს მიწები ჩამოართვეს და თიულის საფუძველზე ყიზილბაშ ამირებს გადასცეს. ამავე დროს დამარცხებული აყ-ყოინლუს თურქმანული ტომების ნამსხვრევები ყიზილბაშურ ტომებს შეუერთეს. ამ ღონისძიებებს არ შეიძლებოდა სეფიანი შაჰის გარშემო არ დაერაზმა ყიზილბაში ამირები, რომელთაც აზერბაიჯანსა და ირანში თურქმანი ამირების ადგილი დაიჭირეს.

თიული ყიზილბაში ამირებისათვის მისაღები იყო იმის გამო, რომ მისი საშუალებით წარმოებდა სოიურღალების გაუქმება ყიზილბაშების სასარგებლოდ.

შაჰის ხელისუფლებისათვის კი თიულის ფეოდალური ინსტიტუტი მეტიდროდ იყო დაკავშირებული ცენტრალისტურ პოლიტიკასთან.

თიული პირობით მიწისმფლობელობას გულისხმობდა. თიულდარს (თიულის მფლობელს) მიწა დროებით, გარკვეული სამსახურის სანაცვლოდ ეძლეოდა. ოფიციალური თვალსაზრისით თიულის მემკვიდრეობით გადაცემა დაუშვებელი იყო. თიულდარი მხოლოდ რენტა-ხარკის მთლიანად ან მხოლოდ მისი წილის მითვისების უფლებით სარგებლობდა. უშუალოდ მას ხელი არ მიუწვდებოდა არც ნაწყალობევ მიწაზე და არც მიწაზე მსხდარ გლეხებზე. XVI ს-ის ირანში გლეხთა ექსპლოატაცია ძირითადად სახელმწიფოს მეშვეობით წარმოებდა. ამრიგად, სეფიანებმა აღადგინეს მიწისმფლობელობის ის წესი, რომელიც IX—X სს. მახლობელ აღმოსავლეთში ერთხელ უკვე იყო გაბატონებული.

სეფიანთა სახელმწიფოში თიული იქცა მიწისმფლობელობის მთავარ და წამყვან ფორმად.

ყიზილბაშთა გამარჯვებას, როგორც ვნახეთ, თან მოჰყვა მიწების ახალი გადანაწილება, ფეოდალური უფლებების გადაჯგუფება. ყიზილბაშებმა საამისოდ მარჯვედ გამოიყენეს შიიტობა, რადგან სხვანაირად შეუძლებელი იყო სუნიტ მიწისმფლობელთა მიწების ექსპროპრიაცია.

შიიტობას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა შაჰ-ისმაილის საშინაო და საგარეო პოლიტიკაშიც. შიიტური იდეოლოგიით შესაძლებელი იყო ირანის გაერთიანება, ასევე შაჰინშაჰის წოდებულების აღდგენით სეფიანთა დინასტიის ირანში ბატონობის პრეტენზიის „დასაბუთება“.

ამავე დროს სეფიანთა სახელმწიფო ერთადერთ შიიტურ სახელმწიფოდ ხდებოდა მთელს მახლობელ და შუა აღმოსავლეთში. ამით იგი დასავლეთში ოსმალეთს უპირისპირდებოდა, ხოლო აღმოსავლეთში ოზბეგებს.

აღნიშნული, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ სეფიანები მხოლოდ რელიგიურ ფაქტორს ანიჭებდნენ გადამწყვეტ მნიშვნელობას მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობაში. ისინი მზად იყვნენ სამხედრო კავშირი შეეკრათ ეგვიპტის მამელუკთა სახელმწიფოსთან, უფრო გვიან (1526 წლიდან) დიდ მოღოლებთან ინდოეთში. და ეს იმის გამო, რომ სუნიტურ ეგვიპტის სახელმწიფოს ოსმალეთი დაპყრობით ემუქრებოდა და ამდენადვე, სეფიანთა სახელმწიფოს ბუნებრივ მოკავშირედ ჩანდა, სუნიტი მოღოლები კი სუნიტ ოზბეგებს ებრძოდნენ.

შაჰ-ისმაილი ცდილობდა კავშირი გაება თვით დას. ევროპასთან, რათა იქაური ქრისტიანი ხელმწიფეები ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მოკავშირედ გაეხადა.

ასევე, ოსმალეთი პირველ ხანებში მხარს უჭერდა შიიტ ყიზილბაშებს ეხოლოდ იმის გამო, რომ ისინი თეთრბატკნიან თურქმანთა დამასუსტებელ ძალად მიაჩნდა. სწორედ ეს გახდა სულთან ბაიაზეთ II-ის ტახტიდან გადაყენების მიზეზი (1512 წ.). რადგან 1512 წლისათვის შაჰ-ისმაილმა ირანი ძირითადად გააერთიანა. ოსმალო ფეოდალები ხონთქარს ბრალს სდებდნენ იმაში, რომ მან ყიზილბაშები წააქეზა და გაათამამა, აყ-ყოინლუს ფადიშაჰებს კი დახმარება არ აღმოუჩინა. ხონთქრის ვარაუდი, რომ ყიზილბაშები და აყ-ყოინლუს თურქმანები ერთმანეთს დაასუსტებდნენ და ამით მხოლოდ ოსმალები ისარგებლებდნენ, არ გამართლდა. აღმოსავლეთში ერთიანი და თანაც თურქმანებზე უფრო ძლიერი სახელმწიფო შეიქმნა. ამიტომ ირან-ოსმალეთის ომი გარდუვალი იყო.

XVI ს-ის თითქმის მთელ მანძილზე გამუდმებით წარმოებდა ირან-ოსმალეთის ომები, რომელთა ერთ-ერთი მთავარი ასპარეზი ამიერკავკასია იყო.

1555 წელს ქალაქ ამასიაში დაიდო ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულება. ამასიას ზავმა შესწყვიტა ირან-ოსმალეთის ორმოცდაათწლოვანი ომი (1514—1555 წწ.) ამ ზავის ძალით დამპყრობლებმა შუაზე გაიყვეს ამიერკავკასიის ქვეყნები, აგრეთვე ერაყი და ქურთისტანი.

სეფიანთა სახელმწიფოში, როგორც შევნიშნეთ, უცვლელი დარჩა წინარე ხანის სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობანი. სოციალური და ეკონომიური განვითარების პირობები ირანში შეზღუდული იყო.

ვაჭრობის გაცხოველება, ქალაქების განვითარება (უპირატესად აღმ. ამიერკავკასიაში), თავრიზის (სეფიანთა სახელმწიფოს ცენტრის ყაზვინში გადატანამდე) დაწინაურება (თავრიზში XVI ს-ში 300.000 მცხოვრები იყო) შეპირობებული იყო უპირატესად ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო მაგისტრალის გახსნით, რუსეთის სავაჭრო ინტერესებით აღმოსავლეთში.

XVI ს-ის შუა ხანამდე რუსეთის ვაჭრობა ირანთან ეპიზოდური იყო. ყაზანისა და ასტრახანის თათრული სახანოების გაუქმების შემდეგ რუსეთმა გააცხოველა სავაჭრო ურთიერთობა ირანთან, შუა აზიასთან. აშკარა იყო ამ ურთიერთობის პოლიტიკური მხარეც — ირანი ცდილობდა მოკავშირედ გაეხადა რუსეთი ოსმალეთის წინააღმდეგ.

ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო მაგისტრალთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული აზერბაიჯანის და ჩრდილოეთ ირანის ქალაქები: შემახა, არდებილი,

თავრიზი, ყაზვინი, ქაშანი. აქ მოჰქონდათ რუს ვაჭრებს თავიანთი საქონელი. ისინი მიდიოდნენ ცენტრალური და სამხრეთ ირანის ქალაქებშიც. წყაროები აღნიშნავენ რუსი ვაჭრების ყოფნას თვით შორეულ ჰორმუზში, რომელიც განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ინდოეთის ევროპასთან და მახლობელ აღმოსავლეთთან ვაჭრობაში. 1567 წელს მოსკოველი ვაჭრები დიმიტრი ივაშევი და თედორე პეროშინი ხელმწიფის დავალებით იმყოფებოდნენ ჰორმუზში[1]. ირანის ყურის ეს მდიდარი ქალაქი იმ დროს პორტუგალელების ხელთ იყო. აქ ზღვაში იჭერდნენ ყველაზე მსხვილ მარგალიტს, რომელზედაც ყველგან დიდი მოთხოვნილება იყო.

XVI ს-ის მეორე ნახევარში რუსეთის ვაჭრობა ირანთან და, საზოგადოდ, აღმოსავლეთის ქვეყნებთან უფრო აქტიური და ფართო ხასიათის მატარებელი იყო, ვიდრე დას. ევროპასთან[2].

რუს ვაჭრებს ირანიდან გამოჰქონდათ: აბრეშუმი, აბრეშუმის ქსოვილები, ხალიჩები, ნობები, ფარდაგები, თვალ-მარგალიტი (იაგუნდი, ლალი. ფირუზი), ვერცხლის და სპილენძის ჭურჭლეული, სანელებლები. სამაგიეროდ ირანის ქალაქებში შეჰქონდათ: ტყავეული, ბეწვეული, ხის ჭურჭლეული, ცვილი, ქონი, თაფლი (უპირატესად ნოღაის ურდომი და შუა აზიის სახანოებში), ლითონის იარაღი (ნაჯახები, დანები, ლურსმნები და სხვ.). ცხენის აკაზმულობა (ღვედები), სამხედრო საჭურველის ზოგიერთი სახეობა, იშვიათად, აგრეთვე, ცეცხლის იარაღი. ამას გარდა, რუსეთს ირანში შეჰქონდა დას. ევროპიდან მიღებული საქონელი: მაუდი, საწერი ქაღალდი, შუშა, ვერცხლისწყალი, რკინა, კალა, სპილენძი, ტყვია[3].

ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო გზის გამოყენებას აღმოსავლეთთან დასაკავშირებლად ცდილობდნენ დას. ევროპის სახელმწიფოებიც. ამ მხრივ რუსეთი ასრულებდა შუამავლის როლს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. XVI ს-ის დამლევამდე ამ გზაზე ტრანზიტის უფლებით და გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ ინგლისელი ვაჭრები. ინგლისურმა „მოსკოვის კომპანიამ" უკვე XVI ს-ის 60-ან წლებში დაამყარა კავშირი აღმ. ამიერკავკასიის და ირანის ქალაქებთან. ვოლგა-ასტრახანის გზის გამოყენებას უფრო გვიან ცდილობდნენ, აგრეთვე. ჰოლანდიელები, ფრანგები, პოლონელები, გერმანული სამთავროები[4]. ამ გზას მტრულად უყურებდა ოსმალეთი, რომელიც დაჟინებით ცდილობდა მონოპოლიის შენარჩუნებას აღმოსავლეთის დასავლეთთან ვაჭრობაში.

აღმ. ამიერკავკასიის და ირანის ქალაქები დას. ევროპასთან დაკავშირებული იყვნენ ალეპოს საშუალებითაც. ეს ოსმალეთის სახელმწიფოს დიდ შემოსავალს აძლევდა. ამიტომ ირანის მთავრობა სულ იმას ცდილობდა, რათა

---

[1] М. В. Фехнер. Торговля русского государства со странами Востока в XVI веке, М., 1956, გვ. 28.

[2] იქვე, გვ. 51—97.

[3] იქვე.

[4] Е. С. Зевакин. Персидский вопрос в русско-европейских отношениях XVII в., Исторические записки, № 8, 1940, გვ. 132—162.

ახალი სახმელეთო გზებით დაკავშირებოდა დას. ევროპას და ამით შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო დაეწყვიტა ოსმალეთისათვის.

ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო მაგისტრალის საშუალებით გაცხოველებულმა ვაჭრობამ წამოსწია აღმ. ამიერკავკასიის და ირანის ქალაქები. აღმ. ამიერკავკასიის ქალაქებთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული აგრეთვე კახეთის ქალაქები (გრემი, ზაგემი, თელავი), რომელნიც XVI ს-ში განუხრელად ვითარდებოდნენ.

მოუწყობელი გზების და სახიფათო მოგზაურობის მიუხედავად (ყაჩაღთა ბრბოების თავდასხმები და ფეოდალების თვითნებობა) ირანის ვაჭრობა აღმავლობას განიცდიდა. მართალია, ირან-ოსმალეთის ომმა დიდად დააზარალა თავრიზი, მაგრამ სამაგიეროდ წამოიწია ყაზვინმა. XVI ს-ის მეორე ნახევარში სეფიანებმა სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრი ჩრდილოეთიდან ამ ქალაქში გადმოიტანეს.

ირანის საგარეო ვაჭრობის მთავარი საგანი აბრეშუმი იყო. ირანული აბრეშუმის 50% გილანში მზადდებოდა. აბრეშუმით ვაჭრობის მონოპოლია ირანის შაჰების ხელთ იყო. ევროპული წყაროები მათ ხშირად „მეფე-ვაჭრებს" უწოდებდნენ. ირანის შაჰები ცდილობდნენ ხელი დაედოთ აბრეშუმით მდიდარ ქვეყნებზე. ამიტომ სურდათ მათ გილანის ნახევრად დამოუკიდებელი სამთავროს შემომტკიცება. ამავე მიზნით ცდილობდნენ ისინი შირვანის მტკიცედ დაპყრობას და კახეთის დამორჩილებას. კახური აბრეშუმი დიდი რაოდენობით გაჰქონდათ უცხო ქვეყნებში. აბრეშუმით ვაჭრობის ბირჟა აღმ. ამიერკავკასიაში იყო ქალაქი ჯულფა, ხოლო მთავარი ცენტრები არეში, შემახა, შაბერანი.

ირანში ვითარდებოდნენ ის ქალაქები, რომლებიც საქარავნო გზების გასწვრივ მდებარეობდნენ. მთავარ სავაჭრო-სატრანზიტო მარშრუტთან (არდებილი — თავრიზი — ყაზვინი — ქაშანი — ისფაჰანი — შირაზი) დაკავშირებული იყვნენ ხელოსნობით და ხელოსნური ნაწარმით განთქმული ქალაქებიც, რადგან ირანის ექსპორტი უმთავრესად ხელოსნური ნაწარმისაგან შედგებოდა.

თავრიზში, ყაზვინში და ქაშანში გაცხოველებული ვაჭრობა წარმოებდა. აქ მრავლად იყვნენ ინდოელი, ბუხარელი, ქართველი, თურქი, რუსი და დას. ევროპელი ვაჭრები[1].

ირანის ვაჭრობა სომეხი ვაჭრების ხელთ იყო. მათი დიდი უმეტესობა ამიერკავკასიის ქალაქებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ ამიერკავკასიელი ვაჭრები ირანული ორიენტაციისანი იყვნენ და ოსმალეთის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

ირანში არსებობდა „წმინდა" ქალაქებიც (არდებილი, მეშჰედი, ყუმი), რომლებიც მრავლად იზიდავდნენ შიიტ მლოცველებს. მლოცველთა ქარავნები ერთდროულად ვაჭართა ქარავნებსაც წარმოადგენდნენ და ვაჭრობასაც აწარმოებდნენ.

არსებობდა სახელოსნო ქალაქებიც. ზოგიერთი ქალაქი კერამიკული და

---

[1] М. В. Фехнер. დასახ. ნაშრ., გვ. 27.

ლითონის ჭურჭლის დამზადებით იყო განთქმული (ქაშანი), ზოგი საფეიქრო ნაწარმის დამზადებით (ქერმანი, ისფაჰანი), იეზდი კი საუკეთესო ბავერდით.

მთავარ ქალაქებში არსებობდა შაჰის სახელოსნოები. შაჰის „ქარხნებში" შაჰზე დამოკიდებული ხელოსნები მუშაობდნენ. ეს ხელოსნები აკმაყოფილებდნენ არა მარტო შაჰის სასახლის და კარის მოთხოვნილებებს, არამედ ექსპორტზედაც მუშაობდნენ. ამას მოწმობენ აბრეშუმის ოქროქსოვილებზე რთული ორნამენტული ნაქარგით შესრულებული სურათები ქრისტიანულ სიუჟეტებზე. 1593 წელს შაჰ-აბასმა რუსეთის ხელმწიფეს გაუგზავნა ისფაჰანის ქარხნებში დამზადებული ოქროქსოვილი, რომელზედაც გამოხატული იყო ღვთისმშობელი ყრმა იესოთი, ხოლო მათს თავზე ანგელოსები ვარსკვლავითურთ [1].

ირანის ქალაქებში მრავლად საქმობდნენ თავისუფალი ხელოსნებიც. ისინი ამქარში ანუ ასნაფში იყვნენ გაერთიანებული. ამქრის სათავეში იდგა უსტაბაში. ქარგლის ინსტიტუტი ირანში არ არსებობდა. ოსტატ ხელოსნებს ჰყავდათ შეგირდები. ეოთი ხელობის ხელოსნებს ირანის ქალაქებში ქუჩის გარკვეული რიგი ეჭირათ და ცალკე უბნებად იყვნენ დასახლებული.

ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარება ხელს უწყობდა ირანის ეკონომიურ აღმავლობას. მაგრამ ვაჭრობა და ხელოსნობა უპირატესად სატრანზიტო ვაჭრობასთან იყო დაკავშირებული.

განვითარების ერთგვარ შესაძლებლობას იძლეოდა, აგრეთვე, ირან-ოსმალეთის ომის შეწყვეტა, დროებითი შესვენება; შინაფეოდალური და განახლებული ომები (XVI ს-ის თითქმის მუდმივი მოვლენა) კი ქვეყანას ისევ ძველ მდგომარეობაში აბრუნებდა, გაპარტახებამდე მიჰყავდა სოფლის მეურნეობა, აქვეითებდა ქალაქებს, სცემდა ვაჭრობას და ხელოსნობას.

XVI ს-ში სეფიანთა სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი იყო ყიზილბაშური ელემენტის განუყოფელი ბატონობა (პოლიტიკურ და სამხედრო ასპარეზზე, მიწისმფლობელობასა და ნადავლის განაწილებაში), მონღოლთა დროიდან დამკვიდრებული გლეხთა და ხელოსანთა ექსპლოატაციის ფორმები.

ახლაც გადასახადები იმავე რაოდენობით და იმავე სახელწოდებებით არსებობდა, როგორც შავბატკნიან და თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოებში. მაგრამ გადასახადების ოდენობა XVI ს-ის მთელ მანძილზე განუხრელად იზრდებოდა. მაგ., მიწაზე დაწესებული გადასახადი მალუჯათი XVI ს-ის 80-ანი წლებისათვის 5-ჯერ იყო გაზრდილი თავდაპირველ თანხასთან შედარებით [2]. ასევე სხვა გადასახადების „ასლი" (თავდაპირველი თანხა) განუწყვეტლივ მატულობდა. იხრიჯათი (დამატება), თავაფუთი (განსხვავება) არაკანონიერი გადასახადების შემოღება-გაზრდის მარჯვე შესაძლებლობას იძლეოდა.

ამას გარდა, ირან-ოსმალეთის დაუსრულებელი ომები უწინარეს ყოვლისა მწარმოებელ საზოგადოებას ანადგურებდა. საომარ მოქმედებასთან

---

[1] Н. И. Веселовский. Памятники дипломатических и торговых отношений Московской Руси с Персией, ტ. I, გვ. 195. შდრ. М. В. Фехнер. დასახ. ნაშრ., გვ. 73.

[2] თარიხ-ი ალემ არა-ი აბასი, თეირანის ლითოგრაფიული გამოც., გვ. 485.

ერთად გლეხის მეურნეობას აჩანაგებდა ბეგარა (გლეხების ურმებით გამოყვანა სურსათის და საჭურველის გადასაზიდად, სიბის აგებაში მონაწილეობა, გზებისა და ხიდების შეკეთება და სხვ.). გლეხები თვეობით და ზოგჯერ წლობით იყენენ მოწყვეტილი თავიანთ ოჯახებსა და მეურნეობას. ამირები, ბეგლარბეგები, ხანები, აღალარები, მელიქები (ადგილობრივი ფეოდალები), სასულიერონი (სადრები, ულემები, დერვიშები, შეიხები, სეიდები და სხვ.) და სახელმწიფო მოხელეები გლეხთა ექსპლოატაციის ყველაზე ველურ ფორმებს იყენებდნენ. მმართველ მოხელეს სეფიანთა სახელმწიფოშიც ხალხი „ოლქის მჭამელს" უწოდებდა.

ფეოდალური ექსპლოატაციის ზრდას გლეხები აჯანყებით პასუხობდნენ. XVI ს-ის 70-ან წლებში გლეხთა აჯანყებები მძვინვარებდა შირვანში, თალიშში, გილანში, ფარსში, ლურისტანში[1]. გადასახდელებზე უარის თქმა, გლეხთა აყრა-გაქცევა ახლაც ჩვეულებრივი მოვლენები იყო. მაგრამ გლეხთა აჯანყებები სტიქიური და ლოკალური ხასიათის მატარებელი იყო, თუმცა გლეხთა ერთფეროვნება (რაიათობა) ამ აჯანყებებს მასიურ ხასიათს ანიჭებდა. ამავე დროს, ცხადი იყო აჯანყებულთა ცარისტული ტენდენციებიც[2]. ენგელსი მიუთითებდა გლეხთა აჯანყებებზე სპარსეთში და, საზოგადოდ, მუსლიმანურ ქვეყნებში იმის აღსანიშნავად, რომ ეს აჯანყებები თვით გამარჯვების შემთხვევაშიც უცვლელად ტოვებდნენ ძველ ეკონომიურ პირობებს.

მძიმე იყო სეფიანთა სახელმწიფოში წვრილი ვაჭრების და ხელოსნების მდგომარეობაც. XVI ს-ში კვლავ არსებობდა „ქარხნები", სადაც შაჰზე და ფეოდალებზე დამოკიდებული ხელოსნები მუშაობდნენ. თავისუფალ ხელოსანთა ასნაფები მრავალ შევიწროებას და ძალადობას განიცდიდნენ ყიზილბაშური მომთაბარული არისტოკრატიის, სახელმწიფო მოხელეების და სასულიერო ფეოდალების მხრივ.

ვაჭრობასა და ხელოსნობაზე ახლაც ტამღა იყო დაწესებული. ვისაც ქალაქში დუქანი ჰქონდა, ყოველდღიურად იხდიდა ვაჭრობის უფლების გადასახდელს[3]. სახელოსნოების მფლობელებიც ასევე ყოველდღიურ გამოსაღებს იხდიდნენ[4]. ქალაქში შეტანილი საქონლის თვითეულ საპალნეზე 5%-ს იხდიდნენ, როგორი საქონელიც (ძვირფასი თუ მდარე) არ უნდა ყოფილიყო შიგ ეოთავსებული.[5]

ქალაქებში ბევრი დუქანი და სახელოსნო ეკუთვნოდა ვაკფს—მუსლიმანურ რელიგიურ დაწესებულებას და სასულიერო ფეოდალებს. ვაკფის საქონებელი (ბაღები, ვენახები, აბანოები, დუქნები, სახელოსნოები, ბაზრები) განსაკუთ-

---

[1] И. П. Петрушевский. Восстание ремесленников и городской бедноты в Тебризе в 1571—1573 гг., ССИА, 1, გვ. 220.

[2] И. П. Петрушевский. Народное восстание в Гиляне в 1629 году, Ученые записки ИВ, ტ. 3, გვ. 230.

[3] И. П. Петрушевский. Восстание ремесленников и городской бедноты в Тебризе, გვ. 218.

[4] იქვე.

[5] იქვე.

რებით დიდი რაოდენობით იყო ქალაქ თავრიზში[1]. დუქნების და სახელოსნოების მფლობელები გადასახადს უხდიდნენ არა მარტო სახელმწიფო ხაზინას, არამედ სასულიერო ფეოდალებსაც[2]. ესენი ქალაქის წარჩინებულებთან ერთად (ქალანთრები, დიდი მოხელეები, დიდვაჭრები) მონაწილეობდნენ მედუქნეების, მეწვრილმანეების ექსპლოატაციაში.

ქალაქის ღარიბები და ხელოსნები, ისევე, როგორც წინარე ხანაში, აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალურ მოძრაობაში. ამათ ოფიციალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები ახლაც „ნაძირალებს" („ოვბაშ") უწოდებდნენ.

1572—1573 წლებში თავრიზში იფეთქა ხელოსნების აჯანყებამ, რომელშიაც ქალაქის ღარიბებიც მონაწილეობდნენ. აჯანყებას მეთაურობდნენ მემაუდე, მეწაღე, შარვლების მკერვალის შვილი, მეაქლემე (შოთორ ბან), მემწვანილე (სბბზე ფორუშ)[3]. აჯანყებამ ისეთი სერიოზული ხასიათი მიიღო და ისე სწრაფად გავრცელდა მთელ ქალაქში, რომ მთელი ძალაუფლება აჯანყებულთა ხელში გადაეიდა. შაჰმა დიდი გაჭირვებით ჩააქრო აჯანყება და გამარჯვების შემდეგ სასტიკად გაუსწორდა აჯანყების მონაწილეებს.

უზომო გადასახადები, გლეხთა ექსპლოატაციის „ბარბაროსული" ფორმები იყო სოფლის მეურნეობის დაქვეითების უმთავრესი მიზეზი სეფიანთა სახელმწიფოში.

დაქვეითების საწინდარს ქმნიდა არა მარტო ყიზილბაშთა უშუალო ბატონობა, არამედ მათი მეზობლობაც. ყიზილბაშთა „ოჯახებმა" საკმელად დაიპირეს ვრცელი ტერიტორიები, ქვეყანა მათი „ყიშლაღებით" და „იალაღებით" მოიფინა. ამიერკავკასიის ქვეყნებისაკენ ყიზილბაშები მიისწრაფოდნენ აქაური მიწების დატაცებისა და მოსახლეობის ექსპლოატაციისათვის.

ყიზილბაში ამირების შინაფეოდალური ომების ასპარეზად იქცა არა მარტო ირანი, არამედ ამიერკავკასიის დაპყრობილი ნაწილებიც (აზერბაიჯანი, სომხეთი). აღზევებულ-გაძლიერებული ყიზილბაში ამირები ისევე მძლავრობდნენ, როგორც თავის დროზე აყ-ყოინლუს ამირები.

XVI ს-ის ირანის ერთადერთი სამხედრო ძალა (ყორჩის ჯარი) მხოლოდ ყიზილბაშებისაგან შედგებოდა. ეს ჯარი ტომობრივ პრინციპზე იყო შედგენილი. ტომის ამირა-სარდლები თანამეტომე მეომრებს მარჯვედ იყენებდნენ ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ.

XVI ს-ში ხშირად იქმნებოდა ისეთი მომენტები, როდესაც სპარსელი ისტორიკოსების მოწმობით, სეფიანთა მბრძანებელი მხოლოდ სახელითღა იყო შაჰი. განსაკუთრებით საშიშარი იყო შაჰის ხელისუფლებისათვის ყიზილბაშთა თვითნებობა ირან-ოსმალეთის ომის პერიოდებში.

1578 წელს ოსმალეთმა დაარღვია ირან-ოსმალეთის 1555 წლის ზავი. ოსმალებმა ისარგებლეს ირანში დაწყებული ფეოდალური შინაომით, რაც

---

[1] И. П. Петрушевский. Восстание ремесленников и городской бедноты в Тебризе, გვ. 219.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 21.

ჩვეულებრივ თან სდევდა ხოლმე შაჰის გარდაცვალებას, და ენერგიულად განავითარეს შეტევა ირანის წინააღმდეგ. ირან-ოსმალეთის მეორე ომში (1578—1590 წწ.) ყიზილბაში ამირები ისევ თვითნებობდნენ და „შაჰს თავს არ უდებ̣დნენ“, რაც მტერს წარმატების პირობას უქმნიდა. 1583 წელს ყიზილ-ბაშურმა ტომებმა ურთიერთ'მორის გაინაწილეს სამფლობელოები სახელმწი-ფოში. უკიდურესად დასუსტებულ ცენტრალურ ხელისუფლებას ღონე არ შეს-წევდა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში. 1590 წელს ირანი იძულებული იყო ზავი დაედო ოსმალეთთან. ამ ზავის ძალით ირანმა სცნო ოსმალეთის უფლება ამიერკავკასიის ქვეყნებზე.

ყიზილბაში ამირების უფლებებისა და გავლენის შეზღუდვა სცადა შაჰ-აბასმა (1587—1629). მან ირანის პოლიტიკურ და სამხედრო ასპარეზზე წამოსწია ირანული ელემენტი. მის დროს იწყება ირანელობის კონსოლიდა-ციის, ყიზილბაშთა სახელმწიფოს ირანის სახელმწიფოში თანდათანი გადა-ზრდის პროცესი. XVI—XVII სს. მიჯნაზე პოლიტიკურ და სამხედრო სარ-ბიელზე დაწინაურდნენ ირანელები.

მაგრამ XVII—XVIII საუკუნეებშიც სეფიანთა სახელმწიფო წარმოად-გენდა კონგლომერატს, დროებით სამხედრო-ადმინისტრაციულ გაერთიანა-ნებას, სადაც წარმოდგენილი იყვნენ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგარი დაპყრობილი ხალხები.

შაჰ-აბასმა სახელმწიფოს ცენტრი ჩრდილოეთიდან (ყაზვინიდან) სამხ-რეთში (ისფაჰანში) გადაიტანა. ცენტრალურსა და სამხრეთ ირანში უპირა-ტესად ირანული ელემენტი (ფეოდალები, მიწისმოქმედნი, ვაჭრები, ხელოს-ნები) იყო წარმოდგენილი. შაჰი მათზე დაყრდნობით აპირებდა ყიზილბაშთა გავლენის შესუსტებას. მანვე საკუთრივ ირანში ყიზილბაშებს დაუპირისპირა კავკასიური ელემენტი (ქართველები, სომხები, ჩერქეზები). მომთაბარული ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლას უკავ'შირებდა იგი ყაზან-ყაენის აგრა-რული პოლიტიკის აღდგენას, სოფლის მეურნეობის დაწინაურებას, ქალაქე-ბის, ვაჭრობის და ხელოსნობის განვითარებას. მისი ყურადღების ცენტრში იყო კეთილმოწყობილი გზების, ხიდების, ქარვასლების და სარწყავი არხების მშენებლობა. სამხედრო რეორგანიზაციამ ოდინდელი მნიშვნელობა დაუკარგა ყორჩის ჯარს. ყორჩის ჯარის გვერდით შეიქმნა ყულის ჯარი. ყულარაღასი დაუპირისპირდა ყორჩიბაშს (ყიზილბაშ სარდალს). შეიქმნა აგრეთვე თოფან-გჩიების (მეთოფეების) და თოფჩიების (მეზარბაზნეების) ჯარები. ყველა ამან ირანი მნიშვნელოვნად გააძლიერა და შესაფერისი შედეგიც გამოიღო ირან-ოსმალეთის განახლებულ ომში.

მეტად საინტერესოა შაჰ-აბასის ის პოლიტიკა, რომელიც აღზევებული ფეოდალების დამცრობას და ახალი ელემენტის („ახალი არისტოკრატიის“) დაწინაურებას გულისხმობდა. მანვე დიდად გაზარდა ქალაქების გამგებლების (ტარუღების) როლი და შემოიღო ქალაქების მმართველობის ახალი გარიგება. ამავე დროს ხელოსანთა ქარხნული ორგანიზაციის მაგიერ ფართო გასაქანი მიეცა ხელოსანთა ამქრებს, მასვე განზრახული ჰქონდა ბეგლარბეგ-ხანების (პროვინციების გამგებლების) ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებული ვეზირებით შეცვლა. ამ განზრახვის განხორციელებას ცდილობდენ მომდევნო

შაჰები (შაჰ-სეფი, აბას II) ირანის შიდა რაიონებში, სადაც ომი და გარეშე მტრის შემოვრა მოსალოდნელი არ იყო.

მაგრამ შაჰ-აბასის „რეფორმები“ ხორციელდებოდა მოცემულ სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათა პირობებში. ამდენადვე ამ „რეფორმების“ მარცხი გარდაუვალი იყო. ეს ასეც მოხდა.

სეფიანთა ირანიც ისევე იდგა ფეოდალიზმის უმდაბლეს, ბარბაროსულ საფეხურზე, როგორც ოსმალეთი.

## 2. ოსმალეთი

ოსმალები ისტორიის სარბიელზე XIII ს-ის მეორე ნახევარში გამოჩნდნენ. ისინი შუა აზიიდან იყვნენ გამოსული და ეკუთვნოდნენ თურქული მოდგმის ერთ-ერთ ტომს. მცირე აზიაში ოსმალები მონღოლთა ტალღების მოძალებამ გადმოისროლა. XIII ს-ის მეორე ნახევარში ისინი დამკვიდრდნენ ცირე აზიაში და წარმოქმნეს სახელმწიფო, რომელიც თავდაპირველად მცირე მფეოდალურ სამთავროს წარმოადგენდა.

ოსმალები საზოგადოებრივი და ეკონომიური განვითარების კიდევ უფრო დაბალ საფეხურზე იმყოფებოდნენ, ვიდრე მათი უშუალო წინამორბედები მცირე აზიაში—თურქ-სელჩუკები.

სელჩუკური პერიოდი (XI ს-ის დამლევიდან XIV ს-ის შუა ხანამდე) წარმოადგენს ადრინდელ სტადიას ოსმალეთის ფეოდალური საზოგადოების განვითარებაში. ამ დროს ჯერ ისევ ძლიერი იყო წინარე ფორმაციების გადანაშთები. ფეოდალური ურთიერთობის სწრაფი განვითარება იწყება XIV ს-ის მეორე ნახევარში. ოსმალური ფეოდალიზმის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ფეოდალურად განვითარებულმა ხალხებმა, რომლებიც დაპყრობითი ომების გზით ოსმალეთის სახელმწიფოს ფარგლებში მოექცნენ.

ფეოდალიზაციის შემდგომი პროცესი ოსმალეთში აღინიშნა გლეხთა ომებით (XVI ს-ის პირველი მეოთხედი). გლეხთა აჯანყებები მზარდი ფეოდალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ იყო მიმართული. XIV—XVI საუკუნეებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ოსმალეთის ძლიერი სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო. ამ სახელმწიფოს არსებობამ მუქარის ქვეშ დააყენა აზიის, აფრიკის და ევროპის მრავალი ქვეყნის დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

### § 1. ოსმალთა სახელმწიფოს წარმოშობა

XIII საუკუნეში, მონღოლთა შემოსევებისა და თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს დამხობის ხანაში, მცირე აზია მოფენილი იყო ბეილიქებით (ფეოდალური სამთავროებით). მათ შორის ყველაზე სუსტი „ოსმან-ოღლუს“ (ოსმანის შვილები)[1] ბეილიქი იყო. მისი ფუძემდებელი ოსმანი და შემდეგ კი ორხანი ბეგის ტიტულს ატარებდნენ. ეს ბეილიქი თავიდანვე წარმოად-

[1] სამთავროების სახელწოდებად პარალელურად ასეთი ფორმაც იხმარებოდა—Osmanoğulları Beyliği, ან—Karamanoğulları Beyliği.

გენდა ისეთ ორგანიზაციას, რომელიც მხოლოდ დაპყრობით, ყაჩაღურ ომებს აწარმოებდა. კ. მარქსი წერდა, რომ ოსმალთა ურდოები შეესიენ მცირე აზიას და იქ დააარსეს „ყარაჰისარის ყაჩაღური სახელმწიფო“ [1].

XIV საუკუნის განმავლობაში ოსმალეთმა სხვადასხვა საშუალებით (ომი, დაპყრობა-მიტაცება, მოტყუება, მზითვი და სხვ.) შეიერთა ყველა ბეილიქი („ყარამან-ოღლუს“ ბეილიქის გამოკლებით) და სულთან მურად I-ის დროს სამხედრო-ფეოდალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. მურად I პირველმა მიიღო სულთნის წოდებულება. მის დროს მკაფიოდ გამოკვეთილი სახე მიიღო ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალურმა სახელმწიფომ. თავისი ძლიერების ზენიტს ოსმალეთმა XVI ს-ში მიაღწია, როცა მისი ტერიტორია სამ მატერიკზე (ევროპის, აზიის, აფრიკის) გადაიჭიმა. ოსმალეთის ვრცელი სახელმწიფო დაპყრობითი ომების გზით შეიქმნა.

## § 2. ოსმალთა დაპყრობითი ომები XIV—XVI საუკუნეებში

1352 წელს ოსმალები ევროპაში გადავიდნენ. 1365 წელს მათ სახელმწიფოს სატახტო ქალაქად აქციეს ადრიანოპოლი. XIV ს-ის მეორე ნახევარში დაიპყრეს სერბიისა და ბულგარეთის მრავალი ქალაქი.

ამის შემდეგაც საუკუნეების მანძილზე ოსმალები დამპყრობლურ, მძარცველურ ომებს აწარმოებდნენ ბიზანტიის, ბალკანეთის ნახევარკუნძულის, აღმოსავლეთ ევროპის, არაბეთის ქვეყნებისა და ამიერკავკასიის ხალხების წინააღმდეგ. ამ ომების შედეგად ოსმალთა სახელმწიფო უზარმაზარ იმპერიად იქცა.

უკვე სულთან ბაიაზეთ I-ის დროს (1389—1402) ოსმალების მიერ დაპყრობილი ტერიტორია ევროპაში გადაჭიმული იყო ეგეოსის ზღვიდან დუნაიმდე. კონსტანტინოპოლის დაპყრობა და ბიზანტიის საბოლოო მოსპობა დროებით გადასდო თემურ-ლენგის შემოსევამ, რომელმაც გაანადგურა ოსმალთა სახელმწიფო, მაგრამ ოსმალებმა დაკარგული პოზიციები უკვე 1422 წელს აღადგინეს. 1453 წლის 29 მაისს ოსმალებმა კონსტანტინოპოლი დაიპყრეს და ბოლო მოუღეს ბიზანტიის იმპერიას.

1461 წელს ოსმალებმა დაიპყრეს ტრაპიზონის იმპერია. 1475 წელს ყირიმის სახანო ვასალად გაიხადეს. 1514—17 წლებში ოსმალებმა დაიპყრეს ქურთისტანი, სირია, პალესტინა და ეგვიპტე.

ამის შემდეგ ოსმალებმა დაპყრობითი ომები ძირითადად დასავლეთისაკენ მიმართეს. დაიპყრეს ბელგრადი (1521), კუნძული როდოსი და დოდეკანესის კუნძულები (1522). 1526 წელს ოსმალებმა მოჰაჩთან დაამარცხეს უნგრელები; უნგრეთი ვასალურ დამოკიდებულებაში აღმოჩნდა. 1529 წელს ოსმალებმა პირველად შემოარტყეს ალყა ვენას.

1534 წელს ოსმალებმა დაიპყრეს მესოპოტამია; 1546 წელს—იემენი, შემდეგ—ტრიპოლი (1551). 1555 წელს ოსმალებმა დროებით შეწყვიტეს ირანთან მრავალწლიანი ომი და ყიზილბაშებთან ერთად ამიერკავკასია გაინაწილეს.

დაუსრულებელი მტაცებლური ომებით ოსმალებმა საშინლად გააჩანაგეს

---

[1] Архив К. Маркса и Ф. Энгельса, т. V, зг. 273.

დაპყრობილი ქვეყნები; კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ მოჰაჩთან ბრძოლაში ოსმალები კაციჭამიებივით მძვინვარებდნენ და დახოცეს ან მონებად წაიყვანეს 200.000-მდე უნგრელი, დასწვეს ქალაქები და სოფლები[1]. ოსმალო სულთნები დაპყრობილ ქვეყნებში ქალაქებიდან ერეკებოდნენ მოსახლეობას და ძალ მაგიერ თურქულ ტომებს ასახლებდნენ.

ოსმალთა მიერ წარმოებული დაპყრობითი ომების წარმატებებს ხელი შეუწყო, უპირველესად ყოვლისა, იმ ხანებში შექმნილმა ოსმალთათვის ხელსაყრელმა ვითარებამ: ბიზანტია დასუსტებული და დაშლილი იყო; არც ბალკანეთში და აღმოსავლეთ ევროპაში, არც მცირე აზიასა და აღმოსავლეთში არ იყო დიდი, პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომელიც ოსმალთა ჯარების მოგერიებას შეძლებდა. ამას ზედ ერთვოდა ევროპის სახელმწიფოთა შორის არსებული წინააღმდეგობანი, რაც საშუალებას არ იძლეოდა ოსმალეთის წინააღმდეგ მოწყობილი სამხედრო კოალიციების წარმატებისათვის.

ასეთ პირობებში ოსმალთა სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციისათვის ძნელი არ იყო ცალ-ცალკე დაემარცხებინა აზიისა და ევროპის სუსტი სახელმწიფოები, რომლებიც ფეოდალური შინაომებით იყვნენ ქანცგაწყვეტილნი და არ შეეძლოთ საკმარისი რაოდენობის, კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული ჯარი გამოეყვანათ მაშინ, როდესაც ოსმალებს ომისათვის ჰქონდათ „მთელი ხალხის შეიარაღება, ყველასათვის სავალდებულო სამხედრო სამსახური“[2].

პირველ ხანებში დაპყრობითი ომების საწარმოებლად ოსმალეთის ძირითადი სამხედრო ძალა იყო ნომადური მასა—აკინჯიები (მოთარეშე რაზმები), რომლებიც „ნიაღვარივით მოედვნენ აზიას“[3]... და მომთაბარე ტომების—იურუქების ცხენოსანი რაზმები. ამათ გარდა მნიშვნელოვან სამხედრო ძალას წარმოადგენდა ანატოლიის ქვეითი ჯარი—yaya და ცხენოსანი ჯარი—müsellem. ამ ორი სახეობის ჯარი დაქირავებული თურქი ახალგაზრდებისაგან შედგებოდა. ომიანობის დროს ისინი ჯამაგირად დღეში ორ ახჩას იღებდნენ. როდესაც ბრძოლები არ იყო, მათთვის მიჩენილ ჩიფთლიქებს (მიწის ნაკვეთებს) გლეხები ამუშავებდნენ. მიწის შემოსავალი მათ რჩებოდათ, რადგან ხაზინისათვის გათვალისწინებულ გადასახადებისაგან ისინი გათავისუფლებული იყვნენ[4].

ოსმალთა სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს დაპყრობითი ომების წარმატების საწინდარი იყო მრავალრიცხოვანი ფეოდალური ლაშქარი—სიფაჰიები (მხედრები), რომლებიც სამხედრო სამსახურის გასამრჯელოდ სამხედრო საკარგავებს ფლობდნენ, და აგრეთვე, რეგულარული, დაქირავებული ჯარი—kapıkulu ocakları.

დაქირავებული ჯარი შემდეგ სახეობებად იყოფოდა: ქვეითი ჯარი—yeniçeri (იანიჩარები:—yeni—ახალი, çeri—ჯარი); ცხენოსანი ჯარი—ე. წ.

---

[1] Архив К. Маркса и Ф. Энгельса, ტ. VII, გვ. 215.
[2] იქვე, ტ. VI, გვ. 177.
[3] იქვე, ტ. VII, გვ. 178.
[4] İ. H. Uzunçarşılı. Osmanlı Tarihi, Ankara, 1947, ტ. I, გვ. 252.

ექვსი პოლკი — სიფაჰი; არტილერია—თოფჩუ (მეზარბაზნეები); ჯებეჯი—საომარი საჭურველის, საომარი მასალის მცველები და მომვლელები (ესენი ამარაგებდნენ მთელ დაქირავებულ ჯარს ხმლებით, შუბებით, მშვილდ-ისრით, აბჯრით, ტყვია-წამლით და სხვა საჭურვლით); თოფ-არაბაჯი—ჯარის ამ სახეობის მოვალეობა იყო დიდი ყალიბის ზარბაზნების გადატან-გადმოტანა, მათი დადგმა პოზიციებზე.

განსაკუთრებით „მრისხანე ძალას“ [1] წარმოადგენდა იანიჩართა კორპუსი, რომელიც XIV საუკუნის შუა წლებში ჩამოყალიბდა. ეს იყო რეგულარული, დიდი ჯამაგირით უზრუნველყოფილი, კარგად გაწვრთნილი და „მუსლიმანური ფანატიზმის სულისკვეთებით აღზრდილი“ [2] ქვეითი ჯარი, რომელიც ბევრად უფრო ბრძოლისუნარიანი იყო, ვიდრე ევროპის სახელმწიფოებში არსებული დაქირავებულ უცხოელთაგან შემდგარი ჯარები.

ოსმალთა არტილერია მეზობელი ქვეყნების არტილერიაზე ბევრად უფრო ძლიერი იყო თავისი სიმრავლითა და მობილურობით. ოსმალთა არტილერიის სიძლიერე განსაკუთრებით გამოჩნდა კონსტანტინოპოლის უკანასკნელი ალყისა და საბოლოოდ დაპყრობის დროს (1453 წ.).

დაქირავებული ჯარის ყველა სახეობის დასაკომპლექტებლად არსებობდა სპეციალური დაწესებულება—აჯემი ოღლანი („უცხოელი ბიჭები“) [3]. აქ ქრისტიანებისაგან მოტაცებული ბავშვები მოყავდათ, სამხედრო საქმეს ასწავლიდნენ, დაპყრობითი ომებისათვის წვრთნიდნენ და დავალაკაცებულთ დაქირავებული ჯარის სხვადასხვა სახეობებში ანაწილებდნენ.

იანიჩართა კორპუსის შევსება ხდებოდა „დევშირმეს“ საშუალებით. დევშირმე ითვალისწინებდა ქრისტიანი მოსახლეობიდან ბავშვების სავალდებულო გამოყვანის წესს იანიჩართა ყაზარმებში აღსაზრდელად. საგანგებოდ გაწვრთნილ-დაგეშილი იანიჩარების მეოხებით ოსმალებმა მრავალი ქვეყანა დაიპყრეს.

მძარცველურ ომებში თავისი წვლილი შეიტანა ოსმალთა ძლიერმა სამხედრო-საზღვაო ფლოტმაც.

ოსმალეთმა თავისი ძლიერების ზენიტს სულთან სულეიმან I კანუნის (1520—1566) დროს მიაღწია. ამ სახელმწიფოს ტერიტორია ევროპის, აზიისა და აფრიკის მატერიკებზე იყო გადაჭიმული. მაგრამ სულთან სულეიმან კანუნის გარეგნულად ბრწყინვალე ხანა ფაქტიურად ოსმალეთის ძლიერების დასასრულის დასაწყისს წარმოადგენდა. „XVI საუკუნე იყო გარდატეხის ეპოქა, რომელმაც მოამზადა ოსმალთა იმპერიის დაცემა XVII საუკუნეში“ [4].

სულთან სულეიმან კანუნის დროს ჩაისახა ის მიზეზები, რომლებმაც შემდეგ ოსმალთა სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს ძლიერების დაცემა გამოიწვიეს. საინტერესოა და საყურადღებო, რომ ეს შენიშნული აქვს ჯერ კიდევ XVII საუკუნის პირველი ნახევრის მწერალს და სახელმწიფო მოღვაწეს

---

[1] Архив К. Маркса и Ф. Энгельса, т. VI, 177.

[2] იქვე.

[3] პარალელურად იხმარებოდა ტერმინი—აჯემი ოჯახი (უცხოელთა ოჯახი, გაერთიანება, კორპორაცია).

[4] В. А. Гордлевский. Внутреннее состояние Турции во второй половине XVI века, Труды МИВ, сб. 2, М., 1940, зз. 87.

კოჩი ბეი გრრიჯელის, რომელიც თავის „რისალე“-ში (ტრაქტატში) სულეიმან კანუნის სახელმწიფოს ძლიერების აღწერისას წერს: „მაგრამ სახელმწიფოს მოშლის გამომწვევი გარემოებანიც მის (სულთან სულეიმან კანუნის— გ. ფ.) დროს წარმოიშვა და, რადგანაც სახელმწიფო სავსებით ძლიერი იყო, ამის ნიშნებს იმ დროს ვერ ამჩნევდნენ; მიოლოდ რამდენიმე წელია, რაც ეს გამოჩნდა“ [1].

ოსმალეთის ძლიერების დაცემის პირველი გარეგანი გამოხატულება იყო ესპანელთა და ვენეციელთა მიერ ლეპანტოსთან გამართულ საზღვაო ბრძოლაში (1571) ოსმალთა მრავალრიცხოვანი ფლოტის განადგურება. ოსმალთა ფლოტის ამ კატასტროფამ, რომელიც ევროპელთა თვალწინ მოხდა, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ევროპის ქვეყნებზე; ამან გაფანტა მითი ზღვაზე ოსმალთა უძლეველობის შესახებ. ოსმალეთმა არანაკლებ მძიმე დამარცხება განიცადა ხმელეთზეც, უფრო ადრე—1569 წელს, როდესაც ოსმალთა აგრესიას წინააღუდგა რუსეთი და ასტრახანის ლაშქრობა ოსმალთა სასტიკი მარცხით დამთავრდა [2].

კიდევ უფრო ცხადი გახდა ოსმალთა სახელმწიფოს შინაგანი კრიზისი და სამეედრო შესაძლებლობათა შესუსტება ირან-ოსმალეთის მეორე ომის (1578—1590) მსვლელობაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ომი ოსმალთა უპირატესობით მიმდინარეობდა და 1590 წელს ირანთან სამშვიდობო ხელშეკრულება ოსმალეთისათვის ხელსაყრელ პირობებში დაიდო, მისი მსვლელობა და საბოლოო შედეგები სრულიადაც არ მოწმობდა სულთნის ოსმალეთის ოდინდელ ძლიერებას.

ოსმალთა სამხედრო ძლიერება უცბად არ დაცემულა. ეს აგრესიული და ყოველმარივ ჩამორჩენილი სახელმწიფო კიდევ დიდხანს უქმნიდა საფრთხეს აღმოსავლეთის თუ დასავლეთის ქვეყნებს. ოსმალთა საუკუნეებრივ ბატონობას არ შეიძლებოდა არ გაეპირობებინა სამეწარმოქმედო ხალხთა ეკონომიური დაქვეითება, მეურნეობის დაცემა და პოლიტიკური ცხოვრების დაკნინება.

ოსმალებს დაპყრობილ ქვეყნებში არ მოუტანიათ არც მოწინავე საწარმოო ურთიერთობანი, არც მოწინავე ტექნიკა და კულტურა. ოსმალთა სახელმწიფო თავიდანვე ჩამოყალიბდა, როგორც ნამდვილად სამხედრო სახელმწიფო[3]. რადგანაც სახელმწიფო დაპყრობითი ომებით ცხოვრობდა, ოსმალები მთელ თავის ყურადღებას ძლიერი არმიის შექმნას აქცევდნენ. მათ სასტიკი სამხედრო დისციპლინა დაამყარეს მთელ სახელმწიფოში [4], დაპყრობითი ომებისათვის იყო ორგანიზებული მთელი სახელმწიფო აპარატი.

ოსმალთა ფეოდალურმა სახელმწიფომ მრავალი რამ ისესხა დაპყრობილი ხალხებისაგან, მაგრამ ამასთანავე მათ თავს მოახვია თავისი სპეციფიკური

---

[1] „...yine ihlâli âleme bais olan ahval dahi anların zamanında zuhur edüp, Devlet kemali kuvette olmağla eseri ol zamanda duyulamayup, bir kaç senedir ki zahir oldu“, (Koçi Bey Risalesi, İstanbul, 1939, გვ. 61).

[2] ასტრახანის ლაშქრობის შესახებ იხ. П. А. Садиков. Поход татар и турок на Астрахань в 1569 г., Исторические записки, т. 22, АН СССР, М., 1947; აგრეთვე, Н. А. Смирнов. Россия и Турция в XVI—XVII вв., М., 1946, ტ. I, თავი IV.

[3] Архив К. Маркса и Ф. Энгельса, ტ. VII, გვ. 189.

[4] იქვე, გვ. 170.

თვისებები, რის შედეგადაც დაპყრობილი ხალხები ისეთ პირობებში მოექცნენ, რომ დიდად შეიზღუდა განვითარებისათვის საჭირო პირობები[1].

მთელი ამ ხნის განმავლობაში დაპყრობილი ხალხები განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებდნენ ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ თავისი ეროვნული თავისუფლების, მშობლიური ენისა და კულტურის შენარჩუნებისათვის.

დაპყრობილი ხალხები დაუცხრომლად იბრძოდნენ ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ. ალბანელი ხალხის გმირი სკანდერბეგი, უნგრელი იანოშ ჰუნიადი და რუმინელი გლეხი დიერდ კარაჩონი თავზარს სცემდნენ ოსმალებს. ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლით დაიმკვიდრეს ვაჟკაცობის სახელი ქართველ ხალხში სამცხის ათაბაგმა მანუჩარმა, სიმონ პირველმა და ქართველმა გლეხმა თევდორემ.

ოსმალთა სახელმწიფოს ბუნების დამახასიათებელი იყო ის, რომ მასუომრად არსებობა არ შეეძლო. ომი და ომთან დაკავშირებული ძარცვა-გლეჯა გაბატონებული ფეოდალური კლასის „მეურნეობის“ ერთგვარ დარგს და მისი შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენდა. ოსმალეთს არაფრის შექმნა არ შეეძლო. ეს ყაჩაღური სახელმწიფო მხოლოდ დაპყრობილი ქვეყნების გამოფიტვით, განადგურებით და დახარკულ ხალხებში აკრეფილი გადასახადებით ცხოვრობდა. შუა საუკუნეების ძირითადი მწარმოებელი კლასის—გლეხობის ყველაზე ველურ ექსპლოატაციას სწორედ ოსმალეთში ვხედავთ.

ყაჩაღური დაპყრობითი ომების წარმოების და მოსახლეობის ძარცვა-გლეჯის შესაბამისად იყო მოწყობილი ოსმალთა პოლიტიკური და სამხედრო ინსტიტუტები, მათი სახელმწიფო წყობილება და სამხედრო ორგანიზაცია. ოსმალეთისათვის დამახასიათებელი სამხედრო ორგანიზაცია საუკუნეთა მანძილზე ემსახურებოდა განუწყვეტელი დაპყრობითი ომების წარმოებას.

## § 3. ოსმალური ფეოდალური მიწისმფლობელობა

ოსმალეთის სოციალურ-ეკონომიური წყობის, მისი ფეოდალური წყობილების თავისებურებებს ოსმალური მიწისმფლობელობა აპირობებდა.

ოსმალეთში 4 ძირითადი კატეგორიის მიწები იყო:

1) სახელმწიფო მიწები—არზი მემლექეთ (arzı memleket); 2) სასულთნო მიწები ანუ სულთნის ხასი (havassı Hümayun); 3) საეკლესიო მიწები ანუ ვაკფი (vakf); 4) კერძო მიწები—მულქი (mülk). ამათ გარდა არსებობდა სათემო მფლობელობის მიწები და ე. წ. მკვდარი მიწები (arzı mevat), მაგრამ მათი მოხვედრა მიწისმფლობელობის დასახელებულ კატეგორიებში გარკვეულ პირობებზე იყო დამოკიდებული (ფეოდალების მიერ სათემო მიწების დატაცება ან ყამირის გატეხვის და გამოუყენებელი მიწის დამუშავების საშუალებით მიწის „მულქად“ გადაქცევა და სხვ.).

სახელმწიფო მიწები—arzı memleket. ოსმალური მიწისმფლობელობის სისტემაში ეს იყო მთავარი და წამყვანი კატეგორია, რომელიც სამ-

---

[1] М. В. Левченко. Завоевание турками Константинополя в 1453 г. и исторические последствия этого события, Византийский временник, VII, 1953, зз. 7.

ხედრო-ფეოდალური სისტემის არსს განსაზღვრავდა და „ძირითად მატერიალურ ბაზას წარმოადგენდა სამხედრო-ფეოდალური იერარქიის შესანახად“ [1].

ამ მიწების ნაწილი სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში იყო და მათ არზი მირი (arzı mîri) ეწოდებოდა. ამ მიწებზე მსხდომი გლეხები ხაზინას უხდიდნენ გადასახადებს. გლეხების მიერ დამუშავებული მიწები მეოკვიდრეობით გადადიოდა ვაჟიშვილებზე და თუ ასეთები არ იყვნენ,—ქალიშვილებზე ან გარდაცვლილის ძმებზე. ასევე კანონით იყო დადგენილი, რომ თუ გლეხი სამი წლის განმავლობაში დაუმუშავებლად დატოვებდა მიწას, მას მიწა ჩამოერთმეოდა და სხვას გადაეცემოდა, რადგანაც ეს მიწები „რაიას საკუთრება არ არის“-ო წერს ავნი ომერ ეფენდი თავის „კანუნ-ნამე“-ში [2].

სახელმწიფო მიწების ყველაზე დიდი ნაწილი სამხედრო საკარგავების ფონდს წარმოადგენდა. მიწების ერთი ნაწილი, ე. წ. ხასები სამხედრო-ადმინისტრაციული სამსახურის სამაგიეროდ სახელმწიფო მოხელეებს ეძლეოდათ. ვეზირებს ეძლეოდათ havassı vezir || hassı vüzera; დიდვეზირებს — havassı vüzerâî izam; ბეგლარბეგებს—havassı mîri mîrân; სანჯაყების ბეგებს—havassı umera [3].

ხასების გარდა სახელმწიფო მიწებიდან სამსახურის სანაზღაუროდ აძლევდნენ ე. წ. არფალიკებს (arpalık). არფალიკი ჯამაგირად ეძლეოდათ დეფთერდარებს, დივანის სხვადასხვა მოხელეებს, საზღვრისპირა რაიონების ბეგებს [4], კაფუჯი ბაშიებს [5]. არფალიკის წლიური შემოსავალი 19999 ახჩას არ უნდა გადაცილებოდა [6], ე. ი. თიმარის შემოსავლის ტოლი უნდა ყოფილიყო.

სახელმწიფო მიწებში შედიოდა სამხედრო საკარგავები—ე. წ. თიმარები და ზეამეთები, რომლებიც ფეოდალებს სამხედრო სამსახურისათვის ეძლეოდათ.

თიმარი იყო ისეთი სამხედრო ლენი, რომლის წლიური შემოსავალი 20. ათას ახჩას [7] არ აღემატებოდა. მას კილიჩ [8] თიმარისაც უწოდებდნენ. „კილიჩ თიმარი ეწოდება სამი ათას ახჩიანს [მიწის შემოსავალს] და აგრეთვე კილიჩ თიმარი ეწოდება იმას, რომელიც 19999 ახჩას აღწევს. შემოსავალი ერთი ახჩათი მეტი თუ არის და ოცი ათასია, ზეამეთი ეწოდება“ [9]. თიმარის მფლო-

---

[1] А. С. Тверитинова. Восстание Кара Языджи — Дели Хасана в Турции М.—Л., 1946, გვ. 27.

[2] „Belleten“, c. XV, s. 59, Ankara, 1951, გვ. 385.

[3] კოჩი ბეი გრრიჯელი თითო ხასის წლიური შემოსავლის ოდენობას ასე განსაზღვრავს: „ასი ათას (ახჩას) თუ აღწევს, მას ხასი ეწოდება“ (Koçi Bey Risalesi, İstanbul, 1939, გვ. 112).

[4] ავნი ომერ ეფენდის „კანუნ-ნამე“, „Belleten“, c. XV, s. 59, Ankara, 1951, გვ. 388.

[5] Koçi Bey Risalesi, İstanbul, 1939, გვ. 23, 59.

[6] იქვე, გვ. 23.

[7] ახჩა—ვერცხლის წვრილი ფული.

[8] kılıç—ხმალი, ე. ი. თიმარი, რომლიდანაც ერთი მხედარი ფეოდალი გამოდის.

[9] „Ve „kılıç timarı“ üç bin akça onala (sic) derler. Ta on dokuz bin dokuz yüz doksan dokuza varınca „kılıç timarı“ denür. Bir akça ziyade olup yirmi bin olsa „zeamet“ olur“. (Koçi Bey Risalesi, გვ. 112).

ბელ ფეოდალებს ეწოდებოდათ „თიმარლი სიფაჰილერ“—timarlı sipahiler—, ზოგჯერ—„ერბაბი თიმარ“—erbâbı timar.

ზეამეთი ეწოდებოდა ისეთ სამხედრო ლენს, რომლის წლიური შემოსავალი 20 ათასიდან 100 ათას ახჩამდე აღწევდა; მათ კილიჩ ზეამეთსაც უწოდებდნენ[1]. ზეამეთის მფლობელ ფეოდალებს ზაიმ (zaim) ეწოდებოდათ. ხშირად თიმარებისა და ზეამეთების მფლობელების საერთო სახელად „სიფაჰიები“[2] იყო გამოყენებული.

კოჩი ბეი გრრიჯელის ცნობით 1596 წლამდე თიმარები და ზეამეთები მხოლოდ იმათ ეძლეოდათ, ვინც სალაშქროდ გამოდიოდა. შემდეგ კი თიმარებსა და ზეამეთებს სასახლის მოხელეებს—მუთეფერრიკაებსა და ჩაუშებსაც აძლევდნენ. ამათ „გედიქლი“ (gedikli—მუდმივი) ეწოდებოდათ[3]. თიმარებსა და ზეამეთებს საერთო სახელად დირლიქ-საც (dirlik) უწოდებდნენ, რაც საერთოდ ყოველგვარ ჯამაგირსაც ეწოდებოდა. კოჩი ბეი გრრიჯელი ასე განმარტავს ამ ტერმინს: „ვინმეს იანიჩარობას რომ აძლევ, სამი ახჩა ჯამაგირი დაუნიშნე (დღიურად). ხალხი იმ კაცზე ანბობს—„ხონთქრის ჯარისკაცი გახდა, დირლიქის მფლობელი გახდაო“—სიფაჰის, მუთეფერრიკას, ჩაუშის თანამდებობაზე, ზეამეთსა და თიმარზე—ყველაზე დირლიქს იტყვიან. ერთი ახჩა თუ ათასი ახჩა ჯამაგირის მქონეთ დირლიქის მფლობელებს უწოდებენ“[4].

თიმარებისა და ზეამეთების მფლობელები შეადგენდნენ ოსმალთა სახელმწიფოს ფეოდალურ ლაშქარს—სიფაჰიებს. ამ ფეოდალებს თიმარები და ზეამეთები იმ პირობით ეძლეოდათ, რომ მათი შემოსავლის ხარჯზე განსაზღვრული რაოდენობის მხედრები—ჯებელიები (cebeli[5]) გამოეყვანათ სალაშქროდ. თიმარის მფლობელს შემოსავლის ყოველ 3 ათას ახჩაზე ერთი შეიარაღებული მხედარი გამოყავდა და ზეამეთის მფლობელს ყოველ 5 ათას ახჩაზე—ერთი მხედარი[6]. თიმარებისა და ზეამეთების მფლობელი სიფაჰიები ვალდებული იყვნენ იქვე ეცხოვრათ, სადაც მათი თიმარები და ზეამეთები იყო; სხვაგან ცხოვრება მათ აკრძალული ჰქონდათ. ამ წესს კოჩი ბეი გრრიჯელი იმით ხსნის, რომ თუ ოსმალეთის ტერიტორიაზე სადმე მტერი გამოჩნდებოდა, ან ფეოდალურ ლაშქარს მეზობელ ქვეყანაზე თავდასასხმელად გაიწვევდნენ, ფეოდალურ ლაშქარს სამ დღეში მოესწრო მომზადება[7]. როდესაც ფეოდალური ლაშქარი ომში იყო წასული, ყოველ ათ სიფაჰიდან ერთი თავისი რაზმით ადგილზე რჩებოდა ომში წასულთა მიწებზე წესრიგის დასაცავად და მათი საქმეების მოსავლელად[8].

---

[1] Koçi Bey Risalesi, გვ. 112.

[2] სიფაჰი—მხედარი.

[3] იქვე, გვ 90.

[4] „... bir âdeme yeniçerilik verirsen üç akça ulûfe edersün. Halk ol âdemo „Hünkâr kulu oldu, dirlik sahibi oldu“ derler. Eğer sepahilik ve eğer müteferrikalık ve eğer çavuşluk ve eğer zeamet ve timar cümlesine „Dirlik“ derler. Bir akça ulûfesi ve bin akçası olana „dirlik sahibi“ derler“. (იქვე, გვ. 84 ).

[5] ჯავშნიანი.

[6] Koçi Bey Risalesi, გვ. 99.

[7] იქვე, გვ. 25.

[8] İ. H. Uzunçarşılı. დასახ. ნაშრ., გვ. 261.

თიმარებისა და ზეამეთების გაცემა სულთან სულეიმან კანუნიმდე შემდეგი წესით ხდებოდა: თიმარის პრეტენდენტს ორი ზაიმი და ათი თიმარიოტი დაუმოწმებდა, რომ იგი შთამომავლობით სიფაჰია და ღირსია ფეოდალურ ლაშქარში ინსახურის. ამის საფუძველზე ვილაიეთის ბეგლარბეგი სიფაჰის სპეციალურ დავთარში შეიტანდა. ამის შემდეგ კი სულთნის მთავრობა წყალობის სიგელს—თეზქერეს გასცემდა[1].

თიმარებზე და ზეამეთებზე მიწერილ გლეხებს სიფაჰიები „თაფუს" (tapu)[2] უფლებით აძლევდნენ მიწებს. „თაფუ" წარმოადგენდა სიფაჰიზე გლეხის ფეოდალური დამოკიდებულების ფორმას[3]. თაფუს მიხედვით გლეხი ვალდებული იყო მისი მიწის ნაკვეთი დაემუშავებინა და თავისი ფეოდალისათვის განსაზღვრული რაოდენობის გადასახადები მიეცა. თავის მარივ ფეოდალი, როდესაც „თაფუს" გასცემდა (ასევე ეწოდებოდა მოწმობას, რომლის ძალითაც გლეხი მიწის ნაკვეთს ფლობდა), მოვალე იყო თვალყური სჭეროდა, რათა გლეხს არ მიეტოვებინა მიწის ნაკვეთი, არ გაქცეულიყო, დაუმუშავებელი არ დაეტოვებინა მიწა და გადასახადებიც დროულად გადაეხადა. „თაფუს" უფლებით გლეხები მემკვიდრეობით ფლობდნენ მიწის ნაკვეთებს, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც გლეხს მემკვიდრე არ რჩებოდა, ფეოდალი მიწის ნაკვეთს სხვას გადასცემდა.

საჭირო შემთხვევაში (ომიანობასა თუ აჯანყების ჩაქრობასთან დაკავშირებით) სანჯაყის ბეგს თავისი სანჯაყის თიმარებისა და ზეამეთების მფლობელი ფეოდალები უნდა შეეკრიბა და ამგვარად შემდგარ ფეოდალურ ლაშქარს სათავეში ჩასდგომოდა. სანჯაყში შეგროვილი ლაშქარი ბოლუქებად (ასეულებად) იყოფოდა. ბოლუქს მეთაურობდა ე. წ. სუბაში; ყოველი ათი ბოლუქის მეთაური იყო ალაი-ბეგი[4]. სანჯაყების ლაშქარი თავს იყრიდა ვილაიეთის ბეგლარბეგის სარდლობის ქვეშ. იმ შემთხვევაში, თუ სიფაჰი ლაშქრობაში მონაწილეობას არ მიიღებდა, მას თიმარი ჩამოერთმეოდა. როდესაც ლაშქრობაში გამოუცხადებლობამ ფართო ხასიათი მიიღო, სიფაჰიებს სიკვდილითაც კი სჯიდნენ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ავსტრიასთან ომში 1596 წელს. საშაგიეროდ, ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის სიფაჰიებს კარგად ასაჩუქრებდნენ; მტრის ერთი მოჭრილი თავისა და ერთი ტყვის[5] (dil) მოყვანისათვის სიფაჰის თიმარის შემოსავლის ყოველ ათ ახჩაზე ერთი ახჩა ემატებოდა. 10—15 მოჭრილი თავისა და ტყვის მოყვანისათვის თიმარის მფლობელს ზეამეთს აძლევდნენ[6].

ომის დროს სიფაჰიები მხოლოდ ბრძოლებში იღებდნენ მონაწილეობას. ომთან დაკავშირებული სხვა სამუშაოების შესრულება, როგორიცაარის: სანგრების თხრა, ზარბაზნების მოვლა და სხვა, მათ ვალდებულებად არ ითვლებოდა[7].

---

[1] Koçi Bey Risalesi, გვ. 25.

[2] tapu—მორჩილება, დაქვემდებარება.

[3] А. С. Тверитинова. დასახ. ნაშრ., გვ. 31.

[4] İ. H. Uzunçarşılı, დასახ. ნაშრ., გვ. 261.

[5] dil—ენა; სამხედრო ტერმინოლოგიით ნიშნავდა ტყვეს, რომლის დაკითხვაც შეიძლებოდა და ხუსტად შეესაბამება რუსული „язык"-ის ამავე მნიშვნელობას.

[6] Koçi Bey Risalesi, გვ. 25.

[7] იქვე, გვ. 26.

თიმარები და ზეამეთები მეჯოგე ტომების—იურუკებისა და აკინჯიების ბელადებსაც ეძლეოდათ[1]. ომის დროს ამათგან 5—6 ათასი მეომარი მორიგეობით გამოდიოდა სალაშქროდ. დანარჩენები ამ მორიგე ლაშქარს ამარაგებდნენ საომარი საჭურველითა და სურსათით[2].

სამხედრო საკარგავების ხარჯზე შენდებოდა ოსმალეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დიდი ნაწილიც. კ ა ფ უ დ ა ნ-ფ ა შ ა ს (ოსმალეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეთაური) ემორჩილებოდა 40—50 ბეგი, რომელთა სამფლობელოებში 3000 თიმარი და ზეამეთი იყო. ბეგებს თავიანთი შემოსავლის ხარჯზე ხომალდები უნდა აეშენებინათ და საზღვაო ბრძოლებში გამოეყვანათ კაფუდან-ფაშას საერთო სარდლობით. თიმარების მფლობელები თავისი ჯარისკაცებიანად ამ ხომალდების ეკიპაჟებში მსახურობდნენ. თუ თიმარიოტი, ან ზაიმი საზღვაო ბრძოლაში არ გამოვიდოდა, მას თავისი თიმარის (ან ზეამეთის) წლიური შემოსავლის ტოლი ფული უნდა გადაეხადა[3].

სახელმწიფო მიწების გაყიდვა, გაბოძება, ვაკუფად შეწირვა აკრძალული იყო.

ს ა ს უ ლ თ ნ ო მ ი წ ე ბ ი—havassı Hümayun—სულთნის ხასი ოსმალთა სულთნის პირად განკარგულებაში იყო. ამ მიწების მფლობელი სულთანი სახელმწიფოში უდიდესი ფეოდალი იყო. სულთანს შეეძლო თავისი ხასის გაბოძება, მუსლიმანური ეკლესიისათვის შეწირვა, მზითვად გაცემა. ამით განსხვავდებოდა სულთნის ხასი სახელმწიფო მიწებისაგან და ამიტომ არაა გამართლებული ზოგიერთი ავტორის მიერ სულთნის ხასის სახელმწიფო მიწების კატეგორიაში შეტანა.

ს ა ე კ ლ ე ს ი ო მ ი წ ე ბ ი — ვ ა კ ფ ი. ვაკფი წარმოადგენდა მუსლიმანური ეკლესიის და სასულიერო ფეოდალების შემოსავლის წყაროს. მუსლიმანური ეკლესიის მიწების ფონდი ძირითადად შედგებოდა სულთნების და ფეოდალების მიერ შეწირული მიწებიდან; მეჩეთის აშენება, სასულიერო სკოლის გახსნა ვაკუფის შეწირვასთან იყო დაკავშირებული.

სახელმწიფო ვაკფისაგან გადასახადს არ იღებდა[4]. ფორმალურად ვაკფის მთელი შემოსავალი მუსლიმანური ეკლესიის სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციებსა და საქველმოქმედო დაწესებულებებს ხმარდებოდა. სინამდვილეში ვაკუფი სასულიერო ფეოდალის გამდიდრების საშუალება იყო.

რადგანაც ვაკფზე არც გადასახადები იყო შეწერილი და არც მათი კონფისკაცია შეიძლებოდა, ხშირი იყო მიწების ფიქტიურად შეწირვა ვაკუფად. ასეთ შემთხვევაში მუსლიმანური ეკლესიაც სარგებლობდა და ვაკუფის შემწირველიც. სულთნის დაახლოებული პირები ახერხებდნენ სახელმწიფო მიწების ხელში ჩაგდებას, სწირავდნენ ვაკუფებად და ამის შემდეგაც განაგრძობდნენ შეწირული მიწებით სარგებლობას[5]. ასეთი მიწები რელიგიური

---

[1] ავნი ომერ ეფენდის „კანუნ-ნამე", „Belleten", c. XV, s. 59, Ankara, 1951, გვ. 391.
[2] K o ç i B e y R i s a l e s i, გვ. 26.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 110.
[4] ი ქ ვ ე, გვ. 122.
[5] ი ქ ვ ე, გვ. 55.

დაწესებულებების სრულ მფლობელობაში გადადიოდა იმ შემთხვევაში, თუ ვაკუფის შემწირველს სიკვდილის შემდეგ მემკვიდრე არ რჩებოდა. „რამდენი მაჰლულიც[1] იქნება, ყველაფერს ვაკუფად იღებენ“[2].

მუსლიმანური ეკლესიის ხელში თავს იყრიდა აუარებელი მიწები. სახელმწიფო მიწების ხარჯზე მუსლიმანური ეკლესია თანდათან ქვეყნის უდიდეს ფეოდალურ ორგანიზაციად იქცა. სასულიერო ფეოდალები არანაკლებ სიძნელეებს უქმნიდნენ სულთნის ხელისუფლებას, ვიდრე საერო ფეოდალები. ისინი ერთნაირად იყვნენ დაინტერესებული არა მარტო გლეხების და ხელოსნების ექსპლოატაციით, არამედ ხშირად გაერთიანებული ძალით გამოდიოდნენ ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ.

კერძო მიწები—მულქი (milk). ამ კატეგორიაში შედიოდა ის მიწები, რომლებსაც უბოძებდა ხოლმე სულთანი ცალკეულ პირებს და, აგრეთვე, ისეთი უპატრონო და გამოუყენებელ-დაუმუშავებელი მიწები, რომელთაც დაამუშავებდა და სახნავ-სათესად ვარგისად გახდიდა ვინმე. კოჩი ბეი გრრიჯელი წერს, რომ დაპყრობითი ომების დროს ბეგები და ბეგლარბეგები სახელმწიფოს ახალ-ახალ ტერიტორიებს მატებდნენ და თავდადებული სამსახურისათვის სულთნები დაპყრობილი ქვეყნებიდან სოფლებსა და სახნავ-სათეს მიწებს მათ სრულ საკუთრებად უბოძებდნენ ხოლმე[3]. ასევე ავნი ომერ ეფენდის „კანუნ-ნამე“-ში აღნიშნულია, რომ მულქები ეძლეოდათ ბეგებს, ხელისუფალ-მოხელეებს სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის. რაც შესაფერი მოწმობებით—მულქნამეებით ფორმდებოდა[4]. მულქი მემკვიდრეობით გადადიოდა; შეიძლებოდა მისი ყიდვა-გაყიდვა, გასხვისება და ვაკუფად შეწირვა. კანონის მიხედვით არ შეიძლებოდა მულქის ჩამორთმევა, ან მემკვიდრეობის უფლებაზე ხელის აღებინება[5].

მიწისმფლობელობის წესებთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ოსმალური გადასახადები და საგადასახადო სისტემა.

## § 4. გადასახადები და საგადასახადო სისტემა

ოსმალეთში ოთხი ძირითადი გადასახადი არსებობდა; ამ გადასახადებს ეწოდებოდა „კანონიერი გადასახადები“ (rusum şeriye).

1. უშრი (öşr)—მუსლიმანური მოსახლეობის გადასახადი, რომელიც მოსავლის მეათედს ითვალისწინებდა, მაგრამ ხშირად მის ნახევარს შეადგენდა ხოლმე. უშრი სხვადასხვა სახეობისა იყო, მაგ., მოსავლის მეათედ ნაწილს, რომელსაც თიმარის ან ზეამეთის მფლობელი იღებდა—öşri dîvânî ეწოდებოდა და კერძო მიწებზე აღებულ უშრს კი—öşri mâlikâne[6].

---

[1] მაჰლული—ვინმეს სიკვდილის შემდეგ დარჩენილი ქონება, ბეითალმანი.

[2] „Nekadar mahlul olursa cümlesin vakfa alırlar“. (Koçi Bey Risalesi, გვ. 123).

[3] იქვე, გვ. 55.

[4] ავნი ომერ ეფენდის „კანუნ-ნამე“, „Bulleten“, c. XV, s. 59, Ankara, 1951, გვ. 385.

[5] იქვე.

[6] იქვე, გვ. 387.

2. ხ ა რ ა ჯ ა (haraç)—გადასახადი არამუსლიმან მოსახლეობაზე. ხარაჯა ორი სახისა იყო: ხარაჯი მუვაზზაფ (haracı muvazzaf)—მიწის ნაკვეთზე აღებული გადასახადი და ხარაჯი მუკასემე (haracı mukaseme)—გადასახადი ამ მიწის ნაკვეთის მოსავალზე. ხარაჯი მუვაზზაფს ჩ ი ფ თ ა ქ ჩ ე ს ი (çift akçesi) ან რ ე ს მ ი ჩ ი ფ თ (resmi çift) ეწოდებოდა. გლეხის მიერ დამუშავებულ ნაკვეთს ჩიფთლიქი (çiftlik) ეწოდებოდა. მიწის მოსავლიანობის მიხედვით ჩიფთლიქი სხვადასხვა ფერთობისა იყო: საუკეთესო მიწა 70—80 დონუმისაგან[1] შედგებოდა, საშუალო მოსავლიანობის მიწა—100 დონუმისაგან და დაბალმოსავლიანი მიწა 130—150 დონუმისაგან[2]. ამიტომ რესმი დონუმ (resmi dönüm), ე. ი. გადასახადი მიწის ნაკვეთზე, რომელიც ხარაჯი მუვაზზაფს გამოხატავდა, მიწის ხარისხის მისედვით ეხდევინებოდა გლეხს: საუკეთესო ხარისხის მიწიდან ორ დონუმზე 1 ახჩა, საშუალო ხარისხის მიწაზე სამ დონუმზე 1 ახჩა და დაბალი ხარისხის მიწაზე ხუთ დონუმზე 1 ახჩა[3].

ხ ა რ ა ჯ ი მ უ კ ა ს ე მ ე, ისევე, როგორც უ შ რ ი მუსლიმანთათვის, მიწის ნაკვეთზე მიღებული მოსავლის „მეათედის" გადასახადი იყო და გლეხები იხდიდნენ მარცვლეულის, ბამბის, ვენახების, ბაღების, ბოსტნებისა და სხვა მოსავალზე.

3. ჯ ი ზ ი ა (cizye) არამუსლიმან მოსახლეობაზე დაწესებული სულადი გადასახადი. კოჩი ბეი გრრიჯელი თავის პირველ „რისალეში" წერს, რომ 1582 წლამდე გლეხები სულზე 40—50 ახჩას იხდიდნენ და ახლა (ე. ი. 1630 წ.) 240 ახჩას ახდევინებენო[4]. როგორც ვხედავთ, ნახევარ საუკუნეში 6-ჯერ გაიზარდა გადასახადი. მეორე „რისალეში" იგი ტერმინს ჯ ი ზ ი ა—აღარ ხმარობს და მის მაგივრად ხ ა რ ა ჯ ა აქვს მოხსენებული სულზე გადასახადად: „ურწმუნოთაგან თითო სულზე 285 ახჩა აიღება და ამას ხ ა რ ა ჯ ა (ხაზი ჩვენია—გ. ფ.) ეწოდება. როგორც ხარაჯას ამკრეფი ხარაჯჯიები, ისე ავარიზის ამკრეფი ავარიზჯიები გააფრთხილე, რომ დავთრებში დაკანონებულზე მეტი არ აიღონ"[5].

5. ზ ე ქ ა თ ი (zekât) — გადასახადი მუსლიმან მოსახლეობაზე. ზექათს იხდიდნენ ქონების წლიური შემოსავლიდან 1/40 ნაწილის ანგარიშით. ზექათში შემავალი გადასახადებიდან კოჩი ბეი გრრიჯელის აღნიშნული აქვს ცხვარზე გადასახადი „რესმი განემ" (resmi ganem). იგი წერს: „990 (1582) წლამდე ღარიბი რაიასაგან... ორ ცხვარზე ერთი ახჩა რესმი განემი აიღებოდა"[6].

---

[1] „დონუში სიგრძითა და სიგანით 40 ნაბიჯი მიწაა" („გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", II, თბილისი, 1941, გვ. 2).

[2] Кануп-наме-и Али Осман (А. М. В а л у й с к и й. Феодальный строй Турции в XV—XVI вв., М., 1939; შრომას დართული აქვს „კანუნ-ნამეს" რუსული თარგმანი. გვ. 99)

[3] ი ქ ვ ე, გვ. 99. ასევეა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში" (გვ. 2), მხოლოდ იქ არ არის მოხსენებული გადასახადი დაბალი ხარისხის მიწაზე.

[4] K o ç i B e y R i s a l e s i, İstanbul, 1939, გვ. 47.

[5] „Ve Haraç deyü kâfirden bir âdem başına iki yüz seksen beş akça alınur, ana derler. Gerek haraç alan haraççılara, gerek avarız alan avarızcılara kanun defterinden ziyade almasunlar deyü tenbih ola". (ი ქ ვ ე, გვ. 112).

[6] „990 tarihine gelince reaya fikarasından... iki koyundan bir akça resmi ganem alınıp"... (ი ქ ვ ე, გვ. 47).

ასევეა განსაზღვრული ეს გადასახადი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ [1]. 1630 წლისათვის ცხვარზე გადასახადი გაიზარდა და უკვე თითო ცხვარზე 1 ახჩა იყო წლიურად გადასახადი [2].

ამ გადასახადების გარდა შემუშავდა გადასახადების მთელი სერია, რომელიც დამყარებული იყო ჩვეულებებზე, ტრადიციებზე და სახელად თ ე ქ ა ლ ი ფ ი ურ ფ ი ე მიიღო. მეტწილად ეს იყო ნატურალური გადასახადები, რომელთაც გლეხები ფეოდალს უხდიდნენ, ომების დროს ჯარს ამარაგებდნენ სურსათითა და ფურაჟით; „მთელი მათი თავისებურება იმაში მდგომარეობდა. რომ ზოგჯერ მათ დამოუკიდებლად და უკონტროლოდ შემოიღებდნენ ხოლმე პროვინციების განმგებლები და სხვა სახელმწიფო მოხელეები ადგილობრივი საჭიროებისათვის“ [3]. ასეთ გადასახადთა რიცხვს ეკუთვნოდა ა ვ ა რ ი ზ ი (avarız). თუმცა ავარიზი განსაკუთრებულ გადასახადად ითვლებოდა, რომელიც 4—5 წელიწადში ერთხელ უნდა გადაეხადათ გლეხებს, მაგრამ დაპყრობითი ომების წარმოებით და დაქირავებული ჯარის ზრდით გამოწვეულმა ხარჯებმა ავარიზი ყოველწლიურ გადასახადად აქციეს [4].

კოჩი ბეი გრრიჯელის მეორე „რისალე“-დანაც ჩანს, რომ ავარიზს კოჩი ბეი ყოველწლიურ გადასახადად თვლის. ერთ ადგილას იგი ამბობს, რომ ავარიზის შემოსავალი სახელმწიფოს წელიწადში 300 იუქ [5] ახჩას აძლევდაო. ავარიზს კოჩი ბეი ასე განმარტავს: „მუსლიმანები რომ თითო სახლზე სამას ახჩას იხდიან, ამას ავარიზი ეწოდება“ [6]. გ ა რ დ ა ი მ ი ს ა, რ ო მ ა ვ ა რ ი ზ ი ყ ო ვ ე ლ წ ლ ი ურ გ ა დ ა ს ა ხ ა დ ა დ ი ქ ც ა, მ ი ს ი ო დ ე ნ ო ბ ა ც გ ა ი ზ ა რ დ ა. სულეიმან კანუნიმ ერთი ლაშქრობისას სულზე 15 ახჩა გადაახდევინა გლეხებს. კოჩი ბეის ცნობით ავარიზი 1582 წელს უკვე 40 ახჩას შეადგენდა [7] და XVII ს. 30-ან წლებში კი 300 ახჩას [8]. კოჩი ბეის „რისალეებიდან“ ნათლად ჩანს, რომ ავარიზი თანდათანობით ერთ-ერთ მთავარ გადასახადად იქცა. სახელმწიფოში 120 ათასი სახლი (კომლი) იყო, რომელთაც ავარიზი უნდა გადაეხადათ. რადგანაც ამ რიცხვში იყო 20 ათასი გაპარტახებული სახლი, ავარიზი 100 ათასი სახლიდან შემოდიოდა და ყოველწლიურად სამას იუქ ახჩას შეადგენდა [9]. მხოლოდ ეს ცნობაც კი, საიდანაც ჩანს, რომ დავთრებში ჩაწერილი კომლების ერთი მეექვსედი გაპარტახებული იყო, კარგად ახასიათებს ოსმალეთის გლეხობის საშინლად მძიმე მდგომარეობას.

ომიანობის დროს გლეხებს არმია უნდა მოემარაგებინათ საჭირო სურსათითა და ალაფით. ამ ვალდებულებას ს უ რ ს ა თ ი (sürsat) ეწოდებოდა.

---

[1] „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, II, თბილისი, 1941, გვ. 2—3.

[2] K o ç i B e y R i s a l e s i, İstanbul, 1939, გვ. 47.

[3] А. С. Тверитинова. დასახ. ნაშრ., გვ. 32—33.

[4] იქვე, გვ. 33.

[5] yük—„ტვირთი, საპალნე“, შეიცავდა 100.000 ახჩას.

[6] „Avarız deyü, müslümanlar hane başına üçer yüz akça verürler, ana derler“ (იქვე, გვ. 112).

[7] იქვე, გვ. 47.

[8] იქვე, გვ. 112.

[9] იქვე, გვ. 104.

კოჩი ბეი პირდაპირ ამბობს, რომ „სურსათი“ ლაშქრობის დროს რაიაზეა დაკისრებულია. გლეხებს ჯარისათვის უნდა ჩაებარებინათ ხორბალი, ქერი, ფქვილი, შეშა.

ოფიციალურად ისედაც გაზრდილ გადასახადებს კიდევ უფრო ზრდიდნენ გადასახადის ამკრეფნი. ოსმალეთში XVII საუკუნის ნახევარში ჯიზიასა და ავარიზს გლეხები უკვე 700—800 ახჩას რაოდენობით იხდიდნენ. ცხვარზე ერთი ახჩას მაგივრად 7—8 ახჩას ახდევინებდნენ. ანატოლიაში ცხვარზე გადასახადმა 20—30 ახჩასაც კი მიაღწია[1]. ყველაფერი ეს გადასახადების ამკრეფთა თვითნებობით ხდებოდა.

კოჩი ბეი გრრიჯელის სიტყვით არასოდეს, არც ერთ სახელმწიფოში არ განიცდიდა გლეხობა ისეთ ჩაგვრას, როგორც ოსმალეთის გლეხობა[2] და ეს მართლაც ასე იყო. განსაკუთრებით სასტიკ ჩაგვრას განიცდიდა დაპყრობილი ქვეყნების გლეხობა ბალკანეთში, საქართველოსა და სომხეთში. ამ ქვეყნებში გლეხთა ექსპლოატაციას სარწმუნოებრივი დევნილობა, ეროვნული ჩაგვრაც თან ერთვოდა, რადგან მათ გაოსმალებას სულთნის მთავრობა დაჟინებით ცდილობდა.

კოჩი ბეი გრრიჯელის მხედველობიდან არ გამორჩენია არც ის გარემოება. რომ ფულის ხარისხის გაფუჭებაც გლეხებს მძიმე ტვირთად აწვებოდა: „ფულის გაფუჭების დაწყების შემდეგ თქვენი მონა-მორჩილი რაია გაღატაკდა“[3], წერს ავტორი მეორე „რისალეში“.

ანგვარად, საერო თუ სასულიერო ფეოდალები, სახელმწიფო მოხელეები, დაქირავებული ჯარი, გადასახადის ამკრეფნი, მოხელე-ფეოდალების მრავალრიცხოვანი ამალა და ყველა მყვლეფელ-ექსპლოატატორი (მათ შორის სოფლებში კალიასავით მოდებული დერვიშები და სოფტები) გლეხობის შესანახი იყვნენ.

ფეოდალების მადა განუსაზღვრელი იყო. ისინი ათასნაირ და ხშირად უცნაურ გადასახადებს ახდევინებდნენ გლეხებს. თუ გლეხი მარტოხელა იყო, მაგრამ კერა ჰქონდა, მას საკვამლე გამოსაღები უნდა გადაეხადა 3 ახჩა[4]. გლეხს არ შეეძლო თავისუფლად მოეწყო თავისი ოჯახური ცხოვრება[5]. საქორწინო გამოსაღები უნდა გადაეხადა გასათხოვარი ქალის მამას. თუ ქალი ქვრივი იყო და გათხოვებას აპირებდა, მას თვითონ უნდა გადაეხადა საქორწინო გადასახადი ფეოდალისათვის[6]. გლეხებს მრავალნაირი გადასახადი უნდა გადაეხადათ ბაზარზე ნაყიდი თუ გასაყიდი საქონლისათვის[7], გავრცელებული იყო გადასახადი საძოვრებზე, გადასახადი ცხენებზე.

---

[1] Koçi Bey Risalesi, İstanbul, 1939, გვ. 47.

[2] „Velhasıl şimdiki halde reaya fıkarasına olan zülmü teaddi bir tarihde ve bir iklimde ve bir padişah memleketinde olmamıştır“ (იქვე, გვ. 48).

[3] „...Sikke bozulalıdanberu reaya kullarınız fakır olmuştur“ (იქვე, გვ. 119).

[4] „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, წიგნი II, თბილისი, 1941, გვ. 2.

[5] Г. И. Ибрагимов. Крестьянские восстания в Турции в XV—XVI вв., Византийский временник, VII, 1953, გვ. 129.

[6] „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, წიგნი II, თბილისი, 1941, გვ. 3.

[7] იქვე, გვ. 4.

მოხელე-ფეოდალების სამასპინძლოს ხალხმა დიშ ქირასი (კბილზე დაწესებული გადასახადი) უწოდა, რადგან გლეხი ვალდებული იყო გამასპინძლებოდა სოფელში ჩამოსულ ოსმალო მოხელეს და ამას გარდა, გადაეხადა მოხელის კბილის ქირაც, რადგანაც მას გლეხის პურ-მარილის ჭამაში „კბილი უცვდებოდა“.

მრავალი გადასახადი იყო ისეთი, რაც გათვალისწინებული არ იყო ოსმალურ „კანუნ-ნამეებში“, მაგ., გადასახადი მარცვლეულის შენახვისათვის, გადასახადი მოწმობის გაცემაზე, ბეჭდის დასმისათვის, ხლვისპირა ქალაქში ჩასვლისათვის, ფულის დახურდავებისათვის, საბაჟოზე გავლისათვის, დღესასწაულისათვის და სხვა მრავალი გადასახადი, რაც შეიძლებოდა ფეოდალს მოეგონა და მოესურვა [1].

ყოველივე ამას ერთვოდა ქრისტიანი გლეხობისათვის დამამცირებელი და შემაძრწუნებელი წესი იანიჩართა კორპუსის შევსებისა, რაც ერთგვარ გადასახადს წარმოადგენდა, რომელსაც სულთანს ბავშვებით უხდიდნენ გლეხები. იანიჩართა ჯარი, როგორც ვნახეთ, შევსებას იღებდა ქრისტიანთა ბავშვებისაგან, რომელთაც ძალით სტაცებდნენ მშობლებს. ამ წესის აღმნიშვნელი ტერმინი იყო „დევშირმე“. კოჩი ბეის სიტყვით „დევშირმე ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ალბანელთა, ბოსნიელთა, ბერძენთა, ბულგართა და სომეხთა შორის. სხვა ხალხისაგან (დევშირმეს წესით წამოყვანა) აკრძალული იყო“ [2].

ბავშვებს აგროვებდნენ სპეციალური აგენტები—ჩორბაჯიები (çorbacı), რომლებიც იანიჩართა ჯარში უმცროსი რანგის მეთაურები იყვნენ. სულთნის ფირმანით ხელში ისინი იანიჩართა რაზმების თანხლებით დადიოდნენ რუმელიისა და ანატოლიის სოფლებში და ქრისტიანთა ბავშვები სტამბოლში მიჰყავდათ.

ბავშვებს სტამბოლში სპეციალურად აგებულ შენობებში ათავსებდნენ [3]. აქ მათ სპეციალურად ზრდიდნენ მუსლიმანური ფანატიზმის სულისკვეთებით [4], მუსლიმანურ კანონებსა და თურქულ ენას ასწავლიდნენ [5]. რამდენიმე წლის შემდეგ მათ იანიჩართა კორპუსში, აგრეთვე, დაქირავებული ჯარის სხვა ნაწილებში აგზავნიდნენ მათი „სურვილისა და მიდრეკილების მიხედვით“ [6].

როდესაც ოსმალეთის გლეხობის მდგომარეობაზეა საუბარი, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მიწების მორწყვის საკითხს. რადგანაც მიწის მორწყვას ოსმალეთში გლეხისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ფეოდალები არა მარტო საუკეთესო მიწებს იტაცებდნენ, არამედ ხელში იგდებდნენ წყალსაც. სარწყავი არხები მათ შემოსავლის დამატებით წყაროდ გაიხადეს [7]. ფეოდა-

---

[1] Г. И. Ибрагимов. დასახ. ნაშრ., გვ. 130.

[2] „Devşirme dahi Arnavud ve Bosna ve Rum ve Bulgar ve Ermen taifesinden mahsus olup, gayri taifeden olmak memnu idi“ (Koçi Bey Risalesi, İstanbul, 1939, გვ. 28).

[3] Koçi Bey Risalesi, İstanbul, 1939, გვ. 28.

[4] Архив К. Маркса и Ф. Энгельса, ტ. VI, გვ. 177.

[5] Koçi Bey Risalesi, İstanbul, 1939, გვ. 28.

[6] იქვე.

[7] Г. И. Ибрагимов. დასახ. ნაშრ., გვ. 131.

ლები მორწყვის უფლებას იჯარით აძლევდნენ მირაბებს (სარწყავი არხების ზედამხედველები). მირაბები კი შემდეგ ფულს ახდევინებდნენ გლეხებს წყლით სარგებლობისათვის. მაგალითად, კონიაში ორი დონუმი მიწის მორწყვისათვის გლეხებს 4 ახჩას ახდევინებდნენ. თუ ვინმე მეტს გადაიხდიდა, მას ურიგოდ მისცემდნენ წყალს. ამას გარდა, მირაბი ბოსტნის პატრონს აიძულებდა 1/3 მოსავლისა მისთვის დაეთმო.

გარეეკონომიური იძულების ის ფორმები, რომელსაც ოსმალო ფეოდალები იყენებდნენ, მწარმოებელი საზოგადოების მდგომარეობას ყველგან უკიდურესად აუარესებდა. გლეხის მეურნეობის გაჩანაგება ოსმალეთის სახელმწიფოს დაცემის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი იყო. ოსმალური აგრარული სისტემა, ფეოდალური ექსპლოატაციის ფორმები და გადასახადები გამორიცხავდნენ ეკონომიური განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნას.

მართალია, ოსმალური აგრარული სისტემა და გადასახადთა სახეობანი ცალკეულ დეტალებში გარკვეულ ნაირსახეობას აძლევნებდა სხვადასხვა ოლქში (ბალკანეთი, ანატოლია, არაბული ქვეყნები), თავს იჩენდა ის თავისებურებაც, რომ ოსმალეთის სახელმწიფოში წარმოდგენილი ხალხები საზოგადოებრივი და ეკონომიური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებოდნენ, მაგრამ ამის მიუხედავად ყველგან საერთო იყო ოსმალური ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი ექსპლოატაციის წესები.

ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც ოსმალეთის ქალაქებში იყო.

## § 5. ქალაქები, ხელოსნობა, ვაჭრობა

ოსმალეთის ქალაქები ბევრი რამით ჰგავდა აღმოსავლეთის ფეოდალურ ქალაქებს, მაგრამ ზოგი ნიშნით განსხვავდებოდა კიდეევაც.

ოსმალეთის ორი ძირითადი პროვინციის: ანატოლიის (აზიური ნაწილის) და რუმელიის (ევროპული ნაწილის) ქალაქების გარეგანი სახე ერთნაირი არ იყო. ანატოლიის ქალაქებს ბევრი საერთო ჰქონდა აღმოსავლურ ქალაქებთან, რუმელიის ქალაქებს კი ბიზანტიურ-ევროპულ ქალაქებთან.

ბიზანტიის ფეოდალურმა და პოლიტიკურმა ინსტიტუტებმა საერთოდ გავლენა მოახდინეს ოსმალური ინსტიტუტების ჩამოყალიბებაზე. მაგრამ აზრთა დიდი სხვადასხვაობა არსებობს იმის თაობაზე, თუ რომელი ნაკადის გავლენა იყო უფრო ძლიერი: აღმოსავლური თუ ბიზანტიური. მართებული არაა შეხედულება, რომლის მიხედვით ოსმალურ აგრარულ სისტემასა და საქალაქო წყობილებაში ბიზანტიურის ძლიერი გამოვლინება უნდა დავინახოთ.

აღმოსავლური ინსტიტუტების გავლენა ოსმალო-თურქებს მცირე აზიის თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოდან მოჰყვებოდათ. თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში კი უფრო მეტად ირანული ტრადიციების გავლენა იყო ძლიერი. ამასთან მუსლიმანურ სარწმუნოებას და მუსლიმანურ სამართალს, რა თქმა უნდა, საქალაქო ცხოვრების თავისებურებებშიც უნდა ეპოვნა თავისი გამოხატულება.

საქალაქო ორგანიზაცია—მისი მმართველობა — თურქ-სელჩუკებს აბასელთა სახელმწიფოდან ჰქონდათ გადმოღებული[1]. თურქ-სელჩუკების დროიდან მცირე აზიის ქალაქებისათვის დამახასიათებელი ხდება კათედრალური მეჩეთი, აბანოები, ბაზრები ქალაქის ცენტრში—აღმოსავლური ქალაქებისათვის ჩვეულებრივი ანსამბლი.

ქალაქის ირგვლივ შემოვლებულ კედელს რამდენინე კარი ჰქონდა. თურქ-სელჩუკების მუდმივი თარეშის პირობებში ყველა კარი ღამ-ღამობით იკეტებოდა. კედელი შემოვლებული ჰქონდა აგრეთვე თვითეულ უბანს, ხოლო არამუსლიმანები ცალკე ცხოვრობდნენ[2].

მცირე აზიის ქალაქებში მოსახლეობის უმეტესობას ქრისტიანები (ბერძნები, სომხები, ლაზები) შეადგენდნენ. ვაჭრებიც და ხელოსნებიც უპირატესად ესენი იყვნენ. ხელოსნის აღსანიშნავად თურქების მიერ გამოყენებული არაბულ-სპარსული ტერმინები (არბაბ, ჰონარმანდ) იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ხელოსნობის განვითარება ნაგვიანევი მოვლენა იყო მცირე აზიის თურქებში[3]. თურქი ხელოსანი ოსტატობით დიდად ჩამოუვარდებოდა მკვიდრ ხელოსანს. ჯელალ ედ-დინ რუმი (XIII საუკუნე) აღნიშნავდა, რომ ბაღის კედლების ასაგებად სჯობს ბერძენი ოსტატების დაქირავება, რადგან თურქები საზოგადოდ მხოლოდ იქ ვარგანან, სადაც დანგრევაა საჭიროო[4].

მცირე აზიის ქალაქებში თურქები ბერძნების, სომხების და ლაზების გავლენაში იმყოფებოდნენ. მაგრამ ამ უკანასკნელთა მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. მცირე აზია თურქ-სელჩუკებისათვის მთავარი დარ ულ-ჰარბი (ომის ქვეყანა) იყო. ამიტომ აქაურ მკვიდრ-ბინადარ მოსახლეობას ისინი ისე უყურებდნენ, როგორც მახვილით დაპყრობილ ხალხს. დაპყრობილთა ექსპლოატაცია, რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისის შესაბამისად წარმოებდა.

თურქ-სელჩუკთა ძირითადმა მასამ მომთაბარული ცხოვრების წესები შეინარჩუნა. დამახასიათებელია, რომ XII ს-ის კონიაში თურქები ჯერ ისევ კარვებში ცხოვრობდნენ[5]. მცირე აზიის თურქობაში თანდათან გაიკაფა გზა ირანული წარმოშობის ცივილიზაციამ.

ყველა ამის მიუხედავად როგორც თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს ქალაქებში (კონია, სივასი, კაისერი და სხვ.), ისე ოსმალეთის სახელმწიფოს ქალაქებში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ძირითადად უცვლელი დარჩა. ნაგვიანევ ხანაშიც ქალაქების მოსახლეობის უმეტესობას ქრისტიანი ვაჭარ-ხელოსნები შეადგენდნენ.

თურქ-სელჩუკთა ბატონობის ხანაში აღმოსავლეთის ქალაქებისათვის დამახასიათებელი სოციალური სტრუქტურა მკაფიო გამოხატულებას პოულობს ქალაქების გარეგან სახეში. ვაჭრების და წარჩინებული მოქალაქეების სახლები ხელოსნების სახლებზე უფრო მაღალი იყო, ამირების სახლები

---

[1] В. А. Гордлевский. Государство Сельджукидов Малой Азии, М. — Л., 1941, გვ. 124.

[2] В. А. Гордлевский. დასახ. ნაშრ., გვ. 125.

[3] იქვე, გვ. 102.

[4] იქვე, გვ. 103.

[5] იქვე, გვ. 121.

ვაჭრების სახლებს დაჰყურებდნენ, ხოლო სულთნისა და მთავრების (ბეგების) სასახლეების გუმბათები ყველა სხვაზე ასჯერ მაღალი და მდიდარი იყო[1]. ასეთივე იყო ქალაქის სოციალური სტრუქტურა და გარეგანი სახე ოსმან-ოღლუს ბეილიქში.

ოსმან-ოღლუს ბეილიქის პოლიტიკური ცენტრი ქალაქი ესქი-შეჰირი იყო. მეტოქე ბეილიქების მოსპობა-გაუქმების შედეგად ოსმალებმა ხელთ იგდეს მცირე აზიის სხვა ქალაქები. მაგრამ მათი მთავარი დარ ულ-ჰარბი ბალკანეთის ნახევარკუნძული და აღმოსავლეთ ევროპა იყო. ოსმალების დასავლეთის მიმართულებით შეტევის განვითარების შესაბამისად ოსმალეთის სახელმწიფოს ფარგლებში შემოვიდა რუმელიის (ევროპული ნაწილის) ქალაქები, რომელნიც როგორც წარმოშობით, ისე განვითარებით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ აღმოსავლური ქალაქებისაგან.

ორხან-ბეის დროს ოსმალებმა სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრი ესქი-შეჰირიდან ბურსაში გადაიტანეს (1326 წ.). სულთან მურად I-ის დროს პოლიტიკურმა ცენტრმა ედირნეში (ადრიანოპოლში) გადაინაცვლა (1365 წ.). 1453 წელს სახელმწიფოს სატახტო ქალაქად სტამბოლი (კონსტანტინოპოლი) გახდა.

რუმელიის ქალაქებში გავრცელდა ოსმალური ხელოსნური და ვაჭრული ორგანიზაციები („ასნაფები"), რელიგიური და პოლიტიკური დაწესებულებები, შეიქმნა იანიჩართა „ოჯახების" ყაზარმები, აშენდა მეჩეთები, ანდა ეკლესიები მეჩეთებად გადაკეთდა, მოეწყო ქარვასლები, ბაზრები, მაგრამ ბიზანტიური ქალაქების და ხელოსნობის დამახასიათებელი ნიშნები თავისებურად შეერწყო აღმოსავლეთიდან მომდინარე საქალაქო ცხოვრების გავლენას.

XVI ს-ის პირველ მეოთხედში ოსმალეთის სახელმწიფოში აღმოჩნდა არაბული ქალაქები: ალეპო, დამასკო, კაირო, რომელთაც დამახასიათებელი თავისებურებანი არც ოსმალთა ბატონობის ხანაში დაუკარგავთ. იგივე უნდა ვთქვათ ოსმალეთის ვასალური ქვეყნების (ყირიმის სახანოს და დუნაის სამთავროების) ქალაქებზე, აგრეთვე სამხრეთ საქართველოს ქალაქებზე, რომელთა ვაჭრობა და ხელოსნობა თანდათან ოსმალურ ყაიდაზე მოეწყო.

ასევე ერაყის, სეფიანთა ირანის და ოსმალეთის საცილობელი ქვეყნის, ქალაქებმა და, უწინარეს ყოვლისა, ბაღდადმა არაბულ-ირანულ ტრადიციებთან დაკავშირებული თავისებურებანი შეინარჩუნეს; ნეჯაფი და ქერბალა კი ახლაც შიიტური სამყაროს წმინდა ქალაქებს წარმოადგენდნენ.

აღნიშნული გარემოებანი აუცილებლივ გასათვალისწინებელია ოსმალეთის ქალაქების და საქალაქო ცხოვრების დასახასიათებლად.

ქალაქების და საქალაქო ცხოვრების განვითარებით ოსმალები დაინტერესებული არ იყვნენ. ამიტომ XIV—XVI საუკუნეებში ქალაქების სოციალური სტრუქტურა და გარეგანი სახე ხელუხლებელი დარჩა. ოსმალების თვალში ქალაქების მცხოვრებლები ისეთივე რაიები იყვნენ, როგორც სოფლის

---

[1] В. А. Гордлевский. დასახ. ნაშრ., გვ. 127.

მცხოვრებლები. ქალაქის და სოფლის მოსახლეობის ექსპლოატაცია გადასახადების საშუალებით წარმოებდა.

ოსმალეთშიც, წინარე ხანის მსგავსად, ქალაქი დაყოფილი იყო ცალკე უბნებად. ერთი უბანი მეორე უბნისაგან კედლით იყო გამოყოფილი. ყველა უბანს ჰქონდა საკუთარი მეჩეთი, აბანო, ბაზარი და კარი[1]. ქალაქის ცენტრს წარმოადგენდა მოედანი, სადაც აღმართული იყო მმართველის და დიდკაცების სასახლეები, კათედრალური მეჩეთი, ქარვასლები, არსებობდა საერთო აბანოები და მთავარი ბაზარი. ისევე როგორც თურქ-სელჩუკების დროს, მონეტები სხვადასხვა ქალაქებში იჭრებოდა. ყველა მსხვილ ქალაქს საკუთარი ზარაფხანა ჰქონდა.

ქალაქებს გარს ერტყა ბოსტნები, ბაღები, ველები, საძოვრები, სახნავ-სათესი მიწები. ხელოსნები ხშირად მიწისმოქმედებასაც მისდევდნენ. მაგრამ მათთვის ძირა წარმოების მთავარი საშუალება არ იყო. ასევე სოფლად მიწისმოქმედება ხშირად შერწყმული იყო შინამრეწველობასთან[2]. ამასთან ქალაქების ირგვლივ მდებარე სოფლების გლეხები სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობდნენ ქალაქის ბაზრებში.

აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების მსგავსად ოსმალეთშიც არსებობდა ე. წ. გიგანტი ქალაქები, რომელთა მოსახლეობის რაოდენობა ხშირად 100.000 აღემატებოდა. მაგ., სტამბოლში 700.000 მცხოვრები იყო, ალეპოში 150.000, ბაღდადში და დამასკოში 100.000[3].

ნატურალური მეურნეობის ბატონობის პირობებში დიდი ქალაქების არსებობა შეპირობებული იყო იმით, რომ ქალაქი მკაფიოდ არ იყო გაძიჯნული სოფლისაგან. ამ მხრივ თითქმის ერთადერთი გამონაკლისი სტამბოლი იყო. თუმცა მისი მრავალრიცხოვანი მცხოვრებლებიც ირგვლივ მდებარე სოფლებზე იყვნენ დამოკიდებული[4]. ამას გარდა, მოსახლეობა ჩვეულებრივ იზრდებოდა იმ ქალაქებში, რომელნიც სავაჭრო-სატრანზიტო გზების გასწვრივ მდებარეობდნენ.

შინაგანი ვაჭრობის განუვითარებლობის პირობებში მხოლოდ საგარეო ვაჭრობასთან უშუალოდ დაკავშირებული ქალაქები იზრდებოდნენ და ვითარდებოდნენ.

1453 წლის შემდეგ სტამბოლმა დაკარგა თავისი ოდინდელი სავაჭრო მნიშვნელობა, როგორც დასავლეთის აღმოსავლეთთან დამაკავშირებელმა „ოქროს ხიდმა". შავი ზღვის „თურქეთის ტბად" გადაქცევამ დააყრუა მისი

---

[1] H. A. R. Gibb and Harold Bowen, Islamic Society and the West, ტ. I, 1951, გვ. 279.

[2] В. С. Гарбузова. Евлия Челеби о стамбульских ювелирах XVII в., Труды отдела истории и искусства Эрмитажа, III, გვ. 317.

[3] აღრიცხული არ იყვნენ ქალები და ბავშვები. ასე რომ ქალაქების მოსახლეობის ფაქტიური რაოდენობა გაცილებით დიდი იყო. სტამბოლის 700.000 მცხოვრებიდან XVII ს-ის კირველ ნახევარში ხელოსნობას ქალაქში და სოფლის მეურნეობას გარშემო მდებარე სოფლებში მისდევდა 460.000 კაცი. დანარჩენს შეადგენდნენ ვაჭრები, სასულიერონი, მოხელეები, მდივან-მწერლები, ექიმები, მასწავლებლები, დიდკაცების ამალა, ჯარი, ქალაქის დეკლასირებული ელემენტები და სხვ.

[4] В. С. Гарбузова. დასახ. ნაშრ., გვ. 317.

სანაპიროების ქალაქები. სამაგიეროდ ხმელთაშუა ზღვის აუზის გამოთიშვამ შავი ზღვის ქვეყნებიდან განაპირობა არაბული ქალაქების დაწინაურება. საზოგადოდ კი კონსტანტინოპოლის დაცემის პირდაპირი შედეგი იყო ვაჭრობის ცენტრების გადანაცვლება ჩრდილოეთის ქვეყნებში.

XVI—XVII სს. დამასკოს და კაიროს საშუალებით წარმოებდა ვაჭრობა ევროპასა, აზიასა და აფრიკას შორის. მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მაინც ალეპოს მიენიჭა.

აღმ. ამიერკავკასიის ქალაქები, თავრიზი და ირანის ყურის ნავსადგურები ალეპოს საშუალებით ვაჭრობდნენ დას. ევროპასთან. ბაღდადის სავაჭრო გზის კარიბჭე ალეპო იყო. ეს გზა წარმოადგენდა მთავარ არხს სპარსეთთან და სპარსეთის ყურესთან სავაჭრო ურთიერთობისათვის[1]. ალეპოთი იყო ამ დროს ერთმანეთთან დაკავშირებული ევროპა, სპარსეთი და ინდოეთი.

ოსმალეთი დაკინებით ცდილობდა სავაჭრო-სატრანზიტო გზის მარშრუტების (თავრიზი—ალეპო და ირანის ყურე—ალეპო) თავისი კონტროლისათვის დაქვემდებარებას. სწორედ ამიტომ ირან-ოსმალეთის დაუსრულებელი ომების ასპარეზი სამხრეთში ერაყ-ლურისტანი იყო, ხოლო ჩრდილოეთში ამიერკავკასიის ქვეყნები. ოსმალეთი მტრულად შეხვდა ყაზანისა და ასტრახანის თათრული სახანოების გაუქმებას, რადგან რუსეთის გაბატონებამ ვოლგის აუზში დას. ევროპას ახალი სავაჭრო მარშრუტის გამოყენების შესაძლებლობა მისცა.

ოსმალეთის საბაჟოები დიდს შემოსავალს ღებულობდნენ ირანული ნედლი აბრეშუმიდან, რომელიც ალეპოს საშუალებით დიდი რაოდენობით გაჰქონდათ დას. ევროპაში. ოსმალეთი ეჭვის თვალით უყურებდა და წინააღმდეგობასაც უწევდა ირანის მხრივ ახალი გზების ძიებას, აგრეთვე ირანის შესაძლებელ გაბატონებას ბაღდადის გზაზე. ამიტომ ირან-ოსმალეთის ასწლოვან ომში (XVI—XVII სს.) ბაღდადის დაპყრობა-შემომტკიცებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალეთისათვის აბრეშუმით მდიდარი შირვანის დაპყრობას, რის საწინდარს იგი ამიერკავკასიაში განუყოფელ ბატონობაში ხედავდა. ამ საკითხის ოსმალეთის სასარგებლოდ გადაჭრასთან იყო დაკავშირებული აგრეთვე ვოლგა-ასტრახანის გზის გადაკეტვა. თუ ეს ასე მოხდებოდა, მაშინ აღმოსავლური და ევროპული საქონელი მთლიანად ბაღდად-ალეპოს გზაზე იქნებოდა გადატანილი.

ოსმალეთში ვაჭრობა დაკავშირებული არ იყო წარმოებასთან. საგარეო ვაჭრობა ემსახურებოდა მხოლოდ ფეოდალების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. XVIII ს-ის ერთი ევროპელი დამკვირვებლის მოსწრებული შენიშვნით „მდიდარი და ძლიერი ოჯახების ბრწყინვალე ფუფუნება უზრუნველყოფილი იყო საგარეო ვაჭრობის საშუალებით“ („Le luxe des familles riches et puissantes est entretenu par le commerce étranger“)[2]. საგარეო ვაჭრობის მთავარი საგანი იყო: ძვირფასი ქსოვილები, ხალიჩები, აბრეშუმი, ოქროს და ვერცხლის ნივთები, მარგალიტი, შაქარი, ზაფრანა, თამბაქო, ხმელი ხილი.

---

[1] Gibb and Bowen, დასახ. ნაშრ., გვ. 305.

[2] იქვე.

ღვინოები, ყავა, ტყვეები (ალეპოში იყო კავკასიელი ტყვეების მთავარი ბაზარი)[1]. ევროპიდან აღმოსავლეთში შემოჰქონდათ: ვენეციური შუშა, სარკეები. სამართებლები, მძივები, ხავერდი, ლითონის ნივთები, ოქრონაკერი ტანსაცმელი, თოფები და თოფის წამალი, ნელსაცხებლები.

საგარეო ვაჭრობისათვის იყო განკუთვნილი უპირატესად ხელოსნური ნაწარმი. ზოგიერთი ქალაქის ხელოსნები მხოლოდ საგარეო ექსპორტისათვის მუშაობდნენ.

სამაგიეროდ მეტისმეტად შეზღუდული იყო შინაგანი ვაჭრობა. თვითეული რაიონის საშინაო ვაჭრობა წარმოებდა უმთავრესად ყოველკვირეული ბაზრობის საშუალებით ყოველ ქალაქსა და აგროკულტურის ცენტრში[2]. ბაზრობაზე ვაჭრობას მარტივი გაცვლის ხასიათი ჰქონდა. ამა თუ იმ რაიონის ნაჭარბი პროდუქტი იცვლებოდა ქალაქის ნაწარმზე[3]. ქალაქების მცხოვრებლები ხელოსნური ნაწარმის მხოლოდ მომხმარებლები იყვნენ. მოსახლეობის საერთო სიღატაკე და ცხოვრების საარსებო პირობების მეტად დაბალი დონე არ იძლეოდა ვაჭრობისა და ხელოსნური პროდუქციის გაფართოების შესაძლებლობას[4].

შინაგანი ბაზრის წარმოქმნა-განვითარებას გამორიცხავდა სუსტი ეკონომიური კავშირები ცალკეულ რაიონებსა და ქალაქებს შორის. საშინაო ვაჭრობის განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორები იყო აგრეთვე განუვითარებელი კომუნიკაციები და ტრანსპორტი[5] (არც ირანში და არც ოსმალეთში არ არსებობდა ბორბლიანი ტრანსპორტი). გზაზე ვაჭრებს და მგზავრებს სისტემატურად ესხმოდნენ თავს ყაჩაღების ბრბოები. ვაჭრები ერთ ადგილზე დიდხანს იყვნენ გაჩერებული იმის მოლოდინში, რომ შემდგარიყო რაც შეიძლება მრავალრიცხოვანი ქარავანი. შედარებით მოვლილი და დაცული იყო მთავარი სავაჭრო-სატრანზიტო გზა. მასზე მოწყობილი იყო გზის მცველთა სადგურები. მაგრამ გზის მცველები ხშირად მგზავრებისათვის ფულის გამორთმევის მეტს სხვას არაფერს აკეთებდნენ[6]. საშინაო ვაჭრობის განვითარებას აბრკოლებდა აგრეთვე ხშირი ფეოდალური შინაომები, ბეგლარბეგების და ფაშების ძალადობა.

ოსმალეთში დაცული არ იყო ვაჭრის პიროვნება და მისი საკუთრება— ძირითადი პირობა ბურჟუაზიული შეძენისა[7].

გამდიდრებული ვაჭრის ქონებას ხარბი თვალით უყურებდნენ სულთანი და ფაშები. ოსმალეთის რომელიმე ქალაქში გარდაცვლილი უცხოელი ვაჭრის ქონებას სულთნის მოხელეები ითვისებდნენ (ბეითალმანი). მაგრამ ყველაზე მძიმე მაინც წვრილი ვაჭრების და ხელოსნების მდგომარეობა იყო.

გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ მხოლოდ დიდვაჭრები,

---

[1] Gibb and Bowen, დასახ. ნაშრ., გვ. 304.
[2] იქვე, გვ. 299—300.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 300.
[5] იქვე.
[6] იქვე.
[7] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. XVI, ნაწ. 2, გვ. 22.

აგრეთვე ევროპელი ნეგოციანტები, რომელთა სიცოცხლისა და ქონების უშიშროება კაპიტულაციებით (სულთნის ფირმანებით) იყო დაცული.

დიდვაჭრები საგარეო ვაჭრობის სარბიელზე მოღვაწეობდნენ. ბაღდადის გზა სომეხი ვაჭრების ხელთ იყო, სირია-ეგვიპტის გზა—არაბი ვაჭრების ხელთ. უცხო ეროვნების ვაჭრები (სომხები, ბერძნები, სირიელები) დაინტერესებული არ იყვნენ შინაგანი ბაზრის განვითარებით, საპიროდ არ სთვლიდნენ ვაჭრობაში მოგებული ფულის წარმოებაში გაშვებას.

ყველა ამის გამო ქალაქებს ოსმალეთში არ შეიძლებოდა შეესრულებინათ ის როლი, რაც მათ შეასრულეს დას. ევროპასა და რუსეთში. ოსმალეთისათვის, ისევე როგორც აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებისათვის, დამახასიათებელი იყო ქალაქების სრულიად გარკვეული ტიპები: ქალაქი—სამხედრო ბანაკები, ფაშების და სანჯაყბეგების რეზიდენციები, ციხე-ქალაქები (დიზდარ-ციხისთავებით სათავეში), სავაჭრო ტრანზიტთან დაკავშირებული ქალაქები და საგარეო ვაჭრობის ნიადაგზე განვითარებული სახელოსნო ცენტრები, რომლებიც ცნობილი იყვნენ როგორც გარკვეული ხელოსნური ნაწარმის დამამზადებელი ქალაქები (ანკარა, ედირნე, ბურსა, სმირნა, კუთაჰია). არსებობდა აგრეთვე განსაკუთრებული მნიშვნელობის „წმინდა“ ქალაქები (მეკა, ნეჯეფი, ქერბალა, კაზიმეინი). ამ ქალაქების, აგრეთვე, დიდრონ და მცირე ქალაქებში მუსლიმან მქადაგებელთა საფლავების სავალდებულო მოლოცვის წესი ვაჭრობასთანაც იყო დაკავშირებული. მლოცველთა ქარავნები სავაჭრო მიზნითაც მიემართებოდნენ რელიგიური ცენტრებისაკენ და იქიდან ნავაჭრი საქონლით დატვირთულნი უკანვე ბრუნდებოდნენ.

XIX საუკუნემდე ოსმალეთში საქალაქო ადმინისტრაცია არ არსებობდა. ქალაქებს განაგებდნენ სულთნის კარისა და სასახლის მოხელეები, აგრეთვე ბეგლარბეგ-ფაშები და სანჯაყბეგები, კადიები და იანიჩარ-აღასები (სუბაშები). სამართალი და სამართლის წარმოება კადიების ხელთ იყო. სხვა მოხელეთა საქმიანობა კი ქალაქებში უმთავრესად მეთვალყურეობას ითვალისწინებდა.

დიდვეზირს (ვეზირი აზამს, ულუ ვეზირს), რომელსაც სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე მიუწვდებოდა ხელი, იანიჩარ-აღასთან ერთად უნდა შემოევლო ბაზრები, რათა სავაჭროებსა და დუქნებში შეემოწმებინა საწონები, საზომები, საწყაოები[1].

დიდვეზირის დასახედავი იყო აგრეთვე სახელმწიფო ქარხნები, რომლის ხელოსნები სულთნის სასახლეს ემსახურებოდნენ.

სტამბოლში მოქმედებდნენ სასახლის გარეთული მოხელეები (ემინები), რომელთა შორის მთავარი იყო ქალაქის ემინი („შეჰირ ემინი“[2]). მისი საკითხავი იყო სასახლის ხარჯების რეგისტრაცია, სახლების ზედამხედველობა და წყლით მომარაგების საქმე. მის ხელქვეით მოხელეებს შორის აღსანიშნავია მთავარი ხუროთმოძღვარი („მიმარბაში“) და წყლის ზედამხედველი („სუ ნაზირი“)[3]. ზარაფხანას განაგებდა ზარაფხანის ემინი („ზარბხანე ემინი“)[4].

---

[1] Gibb and Bowen, გვ. 287.

[2] იქვე, გვ. 84.

[3] იქვე, გვ. 85.

[4] იქვე.

ვაჭრობისა და ხელოსნობის მეთვალყურეობა მუჰთესიბის (არაბ. მუჰთასიბ) ხელთ იყო. მუჰთესიბი საპოლიციო სამსახურს ასრულებდა. მას ექვემდებარებოდა ქოლ ოღლანებისაგან შემდგარი რაზმი, რომელშიაც 30 მცველი შედიოდა[1].

მუჰთესიბი (მის აღსანიშნავად ხშირად იჰთასიბ აღასი იხმარებოდა) მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ადრინდელი მუჰთასიბისაგან, რომელსაც სახალიფოს ქალაქებში უმთავრესად მუსლიმანთა მორალის დაცვა ევალებოდა. მუჰთესიბის უფლება-მოვალეობა და მოღვაწეობის სარბიელი ოსმალეთის ქალაქებში შედარებით ვრცელი იყო. საზომ-საწონების კონტროლთან ერთად მას უნდა აეკრძალა გადასახადები ვაჭართა და ხელოსანთა ასნაფებში, თვალყური ედევნებინა მათი საქმიანობისათვის. მუჰთესიბს და ქოლ ოღლანებს ჯამაგირით გათვალისწინებულ თანხას უხდიდნენ სახელოსნოების და დუქნების პატრონები[2].

ქალაქებში ერთგვარ ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდნენ სხვადასხვა საქმიანობის და ხელობის ადამიანთა გაერთიანებები, რომლებსაც ცალკე უბნები ჰქონდათ დაკავებული. ასეთ გაერთიანებას ასნაფი (თურქ. „ესნაფ") ერქვა[3].

თვითეული ასნაფის სათავეში იდგა შეიხი ანუ კაჰია (ქეთხუდა). აღსანიშნავია, რომ XVII ს-ის მეორე ნახევრამდე ერთსა და იმავე ასნაფში გაერთიანებული იყვნენ როგორც მუსლიმანები, ისე არამუსლიმანები.

ასნაფებში გაერთიანებული იყვნენ: ვაჭრები, მდივან-მწერლები, ექიმები, მასწავლებლები, მოსწავლეები, მუსიკოსები, მხატვრები, ხელზე მოსამსახურეები, წყლის მზიდავები, ჯამბაზები და სხვა[4]. ასნაფებში გაერთიანებული იყვნენ ის გლეხებიც, რომლებიც ქალაქების გარშემო ცხოვრობდნენ და ხორბლით, ქერით, ფეტვით ვაჭრობდნენ[5]. არსებობდა აგრეთვე მათხოვრების, მეძავი ქალების, ჯიბგირების, ქურდების და სხვა მისთანების ასნაფები[6], რომელთა კაჰიას, რა თქმა უნდა სახელმწიფო არ სცნობდა. მაგრამ ასეთი ასნაფები სახელმწიფო მოხელეებს უხდიდნენ გადასახადებს, ზოგიერთ მათგანს კი საკუთარი „წმინდანი" (ფირი) ჰყავდა. ამათგან მოხელეებს დიდი შემოსავალი ჰქონდათ. ამიტომ ისინი მფარველობდნენ კიდევაც მათ, გადასახადების გაუქმების შემთხვევაში კი „ზარალის" ანაზღაურებას მოითხოვდნენ[7].

---

[1] იქვე, გვ. 288.

[2] იქვე, გვ 292.

[3] ლიტერატურა ოსმალური ასნაფების შესახებ იხ. F. Babinger. Der Islam, ZDMG ტ. 76, გვ. 135.

[4] Gibb and Bowen, დასახ. ნაშრ., გვ. 277; В. С. Гаврюшова. დასახ. ნაშრ., გვ. 318.

[5] იქვე.

[6] ბოროტმოქმედთა ასნაფები სახალიფოს დროიდან არსებობდა აღმოსავლეთში. იხ. H. Throning. Beiträge zur kenntnis des islamischen Vereinvesens auf Grunnd von Bast Madad et-Taufiq. Turkische Bibliothek, Bd. XVI, Berlin, 1913, გვ. 211 და Kremer. Kulturgeschichte, II, გვ. 187.

[7] Gibb and Bowen, დასახ. ნაშრ., გვ. 290, შენ. 3.

ყველა ასნაფის საქმიანობა სახელმწიფო რეგლამენტაციით იყო მოწესრიგებული.

ასნაფების საქმიანობას სახელმწიფო კადიების საშუალებით აწესრიგებდა. კადის წარმომადგენლებს ქალაქის სხვადასხვა უბანში მეთვალყურეობა უნდა გაეწიათ ფასებისა და ზომა-წონისათვის. ამის პასუხისმგებელი კადი იყო[1]. მაგრამ მეთვალყურეობა, როგორც აღვნიშნეთ, ევალებოდათ აგრეთვე დიდ-ვეზირს, იანიჩარების აღას, მუჰთესიბს[2].

მთავრობასთან ურთიერთობას შეიხი ანუ კაჰია ახორციელებდა. კაჰია იყო გადასახადების აკრეფის პასუხისმგებელი[3]. თუ ასნაფში არამუსლიმანებიც იყვნენ. მაშინ კაჰია აგროვებდა ჯიზიასაც (სულად გადასახადს)[4].

თვითეული ასნაფის შეიხი იყო ადმინისტრატორიც და მსაჯულიც. მისი საკითხავი იყო ასნაფის შინაგანი საქმეების მოწესრიგება, ასნაფის წევრთა შორის დავის მოგვარება, წესრიგის დაცვა, დამნაშავეთა დასჯა[5], ხელოსნურ წარმოებასთან ერთად ზნეობისა და რელიგიური წესების ასრულებისათვის თვალყურის დევნება[6].

ასნაფის წესი და რიგი, მის წევრთა უფლება-მოვალეობანი, ინვენსტიტუტა და სხვ. აღბეჭდილი იყო „ფუთვეთ-ნამეში“ (საწესდებო სიგელში), რომელიც ოსმალეთში თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოდან მომდინარეობდა[7].

ოსმალური ასნაფების ორგანიზაციულ აღნაგობას ბევრი მსგავსება აქვს აღმოსავლეთის ვაჭართა და ხელოსანთა გაერთიანებებთან (არაბ. „სინფ“), მაგრამ საკუთრივ ხელოსნური ასნაფი ოსმალეთში რაინდულ-დერვიშული ორგანიზაციის „ახის“ საფუძველზე განვითარდა.

მონღოლთა ბატონობის ხანაში, როცა „ახის“ გავლენა განსაკუთრებით გაძლიერდა და მან ბრძოლა გამოუცხადა მიწისმფლობელ არისტოკრატიას, (სასულიერო და საერო ფეოდალებს), მას მხარი დაუჭირეს ხელოსნებმა[8]. ახის და ფეოდალებს შორის XIV ს-ში წარმოებული ბრძოლა ოსმალო სულთნებმა შეაჩერეს. „ახი“ გაანადგურა ოსმალეთში გაბატონებულმა ფეოდალურმა კლასმა, თუმც ნაწილობრივ იგი სახელმწიფო აპარატში გაითქვიფა[9]. ამავე დროს, „ახი“ ხელოსნურ გაერთიანებაში (ასნაფში) გადაიზარდა.

ხელოსნური ასნაფის დაარსება მიეწერება ახი ევრანს, რომელიც XIII ს-ში მოღვაწეობდა[10].

---

[1] Gibb and Bowen, დასახ. ნაშრ., გვ. 287.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 278.
[4] იქვე, გვ. 278, შენ. 2.
[5] იქვე.
[6] В. С. Гарбузова. დასახ. ნაშრ., გვ. 318.
[7] H. Throning. დასახ. ნაშრ., გვ. 217.
[8] В. А. Гордлевский: Государство Сельджукидов Малой Азии, გვ. 110.
[9] იქვე.
[10] В. А. Гордлевский. Дервиши Ахи Эвраіа и дехи Турции, Известия АН СССР, 1928.

ოსმალეთიდან ასნაფი გავრცელდა ყირიმში[1], ბალკანეთის ნაეევარკუნძულზე[2], არაბულ ქვეყნებში[3].

ოსმალური ასნაფები (სტამბოლის მაგალითზე) აღწერილი აქვს XVII ს-ის ოსმალო ისტორიკოსს ევლია ჩელების. მისი „სეაჰათ ნაბესი“ („მოგზაურობათა წიგნი“) შეიცავს სტამბოლის ასნაფების, მათი ფირების, წევრთა რაოდენობის, წეს-ჩვეულებების, შეგირდ-ქარგლების ოსტატად ხელდასხმის—ლოცვისა და სარტყლის შემორტყმის („დესტურდუასი“, „ფეშთემალ კუშათმა“)—ცერემონიალის აღწერას[4]. აღწერა მას სულთან მურად IV-ის დავალებით შეუსრულებია. მას, სხვათა შორის, აღწერილი აქვს სტამბოლის 600 ასნაფის საზეიმო მსვლელობა, რომელიც სამ დღე-ღამეს გაგრძელდა სულთნის სასახლის წინ[5].

ევლია ჩელები, როგორც ჩანს, წარმოშობით ასნაფთა წრეს ეკუთვნოდა და, რამდენადმე მაინც, მისი იდეოლოგიის მატარებელი იყო[6]. ყოველ შემთხვევაში, არც ერთი სხვა ოსმალო ისტორიკოსი, გარდა ევლია ჩელებისა, არ დაინტერესებულა ხელოსნური ასნაფების დაწვრილებითი აღწერით.

ევლია ჩელების სიტყვით, სტამბოლში, ისევე, როგორც საზოგადოდ ოსმალეთში, ხელოსნებად უპირატესად არათურქები იყვნენ: სომხები, ბერძნები, ქართველები, ებრაელები, ალბანელები, საარსელები[7]. თურქი ოსტატები ევლია ჩელების აღწერილობაში მეტად იშვიათად არიან მოხსენებული[8]. ყველაზე დახელოვნებული ოსტატები, როგორც წესი, არათურქები იყვნენ. ევლია ჩელები არა ერთგან ამბობს, რომ თურქები ხელოსნობას სწავლობდნენ სხვადასხვა ოსტატებთან, რომელთაც თავიანთი ხელოვნება თურქ შეგირდებს გადასცეს[9].

ოსმალეთის ასნაფებისათვის, ისევე, როგორც საზოგადოდ ხელოსანთა ამქრებისათვის აღმოსავლეთში, დამახასიათებელი იყო მკაფიოდ გამოხატული რელიგიური მხარე მის ორგანიზაციულ აღნაგობაში.

თვითეულ ასნაფს ჰყავდა საკუთარი მფარველი წმინდანი (ფირი), რომელიც ხშირად ამა თუ იმ ხელობის ასნაფის დამაარსებლად ითვლებოდა. ზოგიერთ ასნაფს რამდენიმე ფირი ჰყავდა. ფირებად იყვნენ როგორც ბიბლიის პერსონაჟები, ისე მოჰამედის პირველი მიმდევრები, მუსლიმანთა წმინდანები, დერვიშები. ასნაფებს ჰქონდათ საკუთარი დროშები, რომლებიც

---

[1] В. А. Гордлевский. Организация цехов в Крыму, Труды Этнографо-археологического музея МГУ, IV, М., 1928.

[2] Н. Державин. Следы древнегрузинских цеховых организаций по данным современной этнографии, Язык и литература, ტ. I, 1926, გვ. 283.

[3] Gibb and Bowen, გვ. 276—278.

[4] В. А. Гордлевский. Из жизни цехов в Турции, Записки коллегии востоковедов, ტ. II, გვ. 235, 239.

[5] В. С. Гарбузова. დასახ. ნაშრ., გვ. 314.

[6] იქვე.

[7] იქვე, გვ. 316.

[8] იქვე.

[9] იქვე.

რელიგიური დღესასწაულების, საზეიმო მსვლელობების ან საერთო სუფრაზე შეხვედრის დროს გამოჰქონდათ ხოლმე.

თვითეული ხელობის ასნაფს გარკვეული ქუჩის რიგი ან ქალაქის უბანი ჰქონდა დაკავებული.

ერთნაირი ან მახლობელი ხელობის ასნაფები ერთიანდებოდნენ ბოლუქებში („ბოლუქ"). ევლია ჩელების დროს სტამბოლში იყო 48 ასეთი ბოლუქი, რომელიც ათასზე მეტს ასნაფს აერთიანებდა[1].

ასნაფის შემადგენლობაში იყო: ოსტატი (უსტა), ქარგალი (კალფა). შეგირდი (ჩირაკ).

ასნაფი თავის წრიდან ირჩევდა შეიხს. რომელიც ნაყიბის და ჩაუშის საშუალებით განაგებდა ასნაფის საქმეებს[2]. ასნაფის უხუცესთა საბჭო („იხთიარი") რაოდენიმე ან ყველა ოსტატისაგან შედგებოდა[3]. ოსტატები მარჯვედ იყენებდნენ ასნაფის რთულ იერარქიას იმისათვის, რომ გასაქანი მხოლოდ საკუთარი შვილებისა და ნათესავებისათვის მიეცათ. სავალდებულო გამასპინძლება და ძღვენი აძნელებდა შეგირდის ქარგლობაში გადასვლას, ქარგლის ოსტატად გახდომას.

შეგირდს უნდა შეესწავლა არა მარტო ხელობა, არამედ აგრეთვე „ფუთვეთ-ნამეთი" გათვალისწინებული ყველა წესი. ისე ოსტატად ვერავინ გახდებოდა.

ქარგლის ოსტატად ხელდასხმას და ახალი ოსტატისათვის სარტყლის (ფეშთემალ) შემორტყმის ცერემონიალი („შედ ბაღლამიკ") გარკვეულ სასყიდელთან იყო დაკავშირებული. მას თურქულად „ფეშთემალიქ" ერქვა.

სახელოსნოს („ქარხანე") ან სავაჭროს („დიუქან") გახსნის უფლებას ეწოდებოდა „უსტალიქ" (XVIII ს-ის დამდეგიდან—„გედიქ"). ეს უფლება მემკვიდრეობით გადადიოდა ან იყიდებოდა. მაგრამ „უსტალიქი" ვაჭარს თუ ხელოსანს ხდიდა არა სახელოსნოს ან დუქნის მესაკუთრედ, არამედ მფლობელად. სახელოსნოები და დუქნები გარკვეული პირის მფლობელობაში იყო ყოველწლიური გადასახდელის პირობით[4].

ახალი უსტალიქი ხელოსანს შეეძლო მიეღო მხოლოდ ხაზინაში გარკვეული თანხის შეტანის შემდეგ, იმის დადასტურებით რომ მას ჰქონდა საჭირო იარაღები არჩეული ხელობისათვის[5].

უსტალიქი ანუ გედიქი ორნაირი იყო: 1. როცა ხელოსანს ნებას რთავდნენ სადაც სურდა იქ შესდგომოდა ხელოსნობას („ჰავაი გედიქ") და 2. როდესაც მისთვის მტკიცედ იყო განსაზღვრული ხელოსნობის ადგილი („მუსტაქარ"). პირველი ნეტად იშვიათი იყო და, თანაც, რაც დრო გადიოდა მით

---

[1] В. С. Гарбузова. დასახ. ნაშრ., გვ. 318.

[2] XVIII ს-ში შეიხის ფუნქციები კაჰიას (ქეთხუდას) ხელთ იყო, ხოლო ჩაუში იგითბაშმა შესცვალა. Gibb and Bowen, დასახ. ნაშრ., გვ. 284, შენ. 7.

[3] იქვე, გვ. 284.

[4] Gibb and Bowen, დასახ. ნაშრ., გვ. 282.

[5] იქვე.

უფრო მცირდებოდა, რადგან სახელმწიფო იმით იყო დაინტერესებული, რომ კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა ერთ უბანში თავმოყრილი ხელოსნები[1].

ასნაფის ხელოსნების ინიციატივა მეტისმეტად იყო შეზღუდული. არავის არ შეეძლო გაეყიდა რამე სახელმწიფოს მიერ დაწესებული ნიხრის („ნერჰ") ზევით. შეუზღუდველი იყო მხოლოდ ნიხრის ქვევით გაყიდვის უფლება. ამას გარდა, არც ხელოსანს და არც ვაჭარს არაფრის გაყიდვა არ შეეძლო ასნაფის გარეშე[2].

ასნაფის გარეშე არავის არ შეეძლო ევაჭრა ან ხელოსნობით ეცხოვრა. ასნაფიდან განდევნილს ეწოდებოდა იოლსუზი (უგზოუკვლო)[3]. ასნაფიდან მოკვეთილი ადამიანის ეს სახელი კარგად მიუთითებს თუ როგორ ზღუდავდა ვაჭრისა და ხელოსნის ინიციატივას ამქრული ორგანიზაცია ოსმალეთში.

ოსმალური ფეოდალური წყობილება სოფლად და ხელოსნური ორგანიზაციები ქალაქებში გამორიცხავდა განვითარებისათვის საჭირო პირობებს. განვითარებულ საგარეო ვაჭრობას არ შეიძლებოდა წარმოექმნა ერთიანი შინაგანი ბაზარი, ხოლო ვაჭრობა-მევახშეობის გზით მიღებული ფულადი კაპიტალი გადაზრდილიყო სამრეწველო კაპიტალში. კ. მარქსი შენიშნავდა: „აზიური ფორმების არსებობისას მევახშეობას შეიძლება ადგილი ქონდეს ძალიან დიდხანს ისე, რომ მან სხვა არა გამოიწვიოს რა, გარდა ეკონომიური დაცემის და პოლიტიკური გათახსირებისა"[4].

საგარეო ვაჭრობამ იმთავითვე კოლონიური ხასიათი მიიღო. საამისო პირობებს ქმნიდა უმთავრესად ძვირფასეულით ვაჭრობა, აღმოსავლური საქონლის დაბალ ფასებში შესყიდვა, გზებზე ვაჭრობა-მოგზაურობის საშიშროება, უცხო ეროვნების ვაჭართა ფენის არსებობა, კაპიტულაციები, რომელთაც მნიშვნელოვანწილად მოუმზადეს ნიადაგი ოსმალეთის კოლონიურ დაკაბალებას.

ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას უდიდეს დაბრკოლებას უქმნიდა „ბარბაროსული ფეოდალიზმი", ექსპლოატაციის ბასკაკური წესის ბატონობა, ფეოდალთა ძალადობა და თვითნებობა.

ხელოსნები აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალურ მოძრაობებში, რომელნიც აშკარად ანტიფეოდალური ხასიათის მატარებელი იყვნენ. დამახასიათებელია, რომ ხელოსანთა რელიგიური წარმოდგენები აშკარად შიიტობისადმი ამჟღავნებდნენ მიდრეკილებას. ამით ისინი, ისევე როგორც გლეხთა მოძრაობების მონაწილენი, უპირისპირდებოდნენ არსებული წყობილების იდეოლოგიურ დასაყრდენ სუნას სარწმუნოებას, გაბატონებული კლასის გაბატონებულ რელიგიას.

სოციალური მოძრაობანი ოსმალეთში განუხრელად ვითარდება XV—XVI საუკუნეებში. ნასში აქტიურად მონაწილეობენ ქალაქებიც. მაგრამ ქალაქებში არ არსებობდა ის საზოგადოებრივი ფენი, რომელიც დაინტერესებული

---

[1] Gibb and Bowen, დასახ. ნაშრ., გვ. 282.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 288, შენ. 6.
[4] კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 128.

იქნებოდა ძველი ეკონომიური პირობების შეცვლით და ახალ (ბურჟუაზიულ) საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებით.

სოციალურ მოძრაობებზე გარკვეულ გავლენას ახდენდნენ დერვიშული ორდენები, რომელნიც თანდათან სულთნის ხელისუფლებას დაუკავშირდნენ და თავიანთ გავლენას იყენებდნენ იმისათვის, რომ არ დაეშვათ სოციალური მოძრაობების ანტიფეოდალური ხასიათის გაძლიერება.

## § 6. სოციალური მოძრაობები ოსმალეთში

ოსმალთა სახელმწიფოს არსებობის თითქმის მთელ მანძილზე განუწყვეტელი აჯანყებები იყო ქვეყნის ხან ერთ, ხან მეორე კუთხეში. ძალიან ხშირად ეს აჯანყებები ერთ ძლიერ აჯანყებად მოედებოდა ხოლმე მთელ სახელმწიფოს. კლასობრივი ბრძოლის ეს აქტიური ფორმა—აჯანყებები მიმართული იყო სასტიკი ფეოდალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ და მკაფიოდ გამოხატულ ანტიფეოდალურ ხასიათს იღებდა, თუმცა თითქმის ყოველთვის რელიგიურ სამოსელში იყო გახვეული[1].

გლეხთა აჯანყებების პირველი დიდი ციკლი 1415—1420 წლებზე მოდის. ეს აჯანყებები შეიხ ბედრ-ედ-დინ სიმავის სახელთანაა დაკავშირებული, რადგანაც იგი ამ აჯანყებათა იდეური ხელმძღვანელი იყო და ერთ მათგანს უშუალოდაც მეთაურობდა.

ამ აჯანყებათაგან ყველაზე ძლიერი იყო ბედრ-ედ-დინ სიმავის მოწაფის ბურქლუჯე მუსტაფას (დედე-სულთანი) აჯანყება, რომელმაც მთელი სამხრეთ-დასავლეთი ანატოლია მოიცვა. აჯანყებაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც თურქები, ასევე ბერძნები და ებრაელები. მხოლოდ ძალების დიდი დაძაბვით მოახერხა სულთნის მთავრობამ 1416 წელს ამ აჯანყების სისხლში ჩახშობა.

მეორე აჯანყება მოხდა იმავე ბედრ-ედ-დინ სიმავის მოწაფის თორლაქ-ქემალის მეთაურობით. ეს აჯანყებაც დიდი სისასტიკით ჩააქრეს სულთნის ჯარებმა.

მესამე აჯანყებას, რომელიც ვლაჰეთში მოეწყო, თვით ბედრ-ედ-დინ სიმავი ხელმძღვანელობდა. ეს აჯანყება 1420 წელს ჩააქრეს და ბედრ-ედ-დინი სიკვდილით დასაჯეს. მიუხედავად იმისა, რომ გლეხთა აჯანყებები თითქმის ერთსა და იმავე დროს მოხდა, ისინი მაინც იზოლირებული იყვნენ ერთმანეთისაგან. მათ თავის დროზე არ დაუჭირეს მხარი მეზობელი ვილაიეთების გლეხებმა.

ეს აჯანყებები გამოწვეული იყო გლეხთა სასტიკი ფეოდალური ექსპლოატაციით, და თუმცა ისინი რელიგიურ საბურველში იყვნენ გამოხვეულნი, აშკარად ანტიფეოდალური ხასიათისანი იყვნენ. ისინი მიმართული იყვნენ ქვეყნის ფეოდალიზაციის წინააღმდეგ. აჯანყებული გლეხები მოითხოვდნენ თემური მიწისმფლობელობის აღდგენას, ფეოდალების მიწებისა და ქონების გლეხებს შორის გაყოფას.

---

[1] В. А. Гордлевский. Внутреннее состояние Турции во второй половине XVI века, Труды ИВ, сб. 2, 1940, зз. 90.

გლეხთა ძლიერი აჯანყებები დაიწყო XVI საუკუნეში. ამათგან აღსანიშნავია 1511—1512 წლებში აჯანყება შაჰ-ყულისა. აჯანყების მეთაურს ოსმალებმა მეტსახელად შაითან-ყული უწოდეს.

გლეხთა ძლიერი აჯანყება მოხდა სელიმ I-ის დროს (1512—1520). ეს აჯანყება იმითაა აღსანიშნავი, რომ მას ხელმძღვანელობდა გლეხი სახელად ნურ-ალი. აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ლაზმა გლეხებმაც. ხშირად ანტიფეოდალური აჯანყება ანტიოსმალურ ელფერს იღებდა, ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათსაც ატარებდა; და ეს იმის გამო, რომ მწარმოებელი საზოგადოების დიდს უმეტესობას ოსმალეთში დაპყრობილი მოსახლეობა შეადგენდა.

ნურ-ალის აჯანყებას უშუალოდ მოჰყვა 1519 წელს გლეხთა აჯანყება შეიხ ჯელალის მეთაურობით. აჯანყებამ მოიცვა თოქათისა და ყარაჰისარის რაიონები. აღსანიშნავია, რომ აჯანყების მონაწილეებს ჯელალიებს უწოდებდნენ. ჯელალიები შემდეგ აჯანყებულთა საერთო სახელად იქცა.

სულთან სულეიმან კანუნის დროს გლეხთა აჯანყებები განუხრელად იზრდება. განუწყვეტელმა ომებმა გლეხის მეურნეობა გააჩანაგა; „გლეხობაში მთავრობა ხედავს მხოლოდ გადასახადების გადამხდელს; მან გლეხი ფეოდალს მიანდო და ჰგონია, რომ სუნიტობის მაღიარებელ მოსახლეობას ყველაფერი რიგზე აქვს“ [1]. სინამდვილეში კი, ფეოდალები განუკითხავად პარპაშობდნენ და გლეხობას აიძულებდნენ მორჩილად ეზიდათ გადასახადების მძიმე ტვირთი. მოთმინების ფიალა ივსებოდა და გლეხობაც ხმას იმაღლებდა. ამ შემთხვევაშიც გლეხობას სათავეში უდგებოდნენ დერვიშთა შეიხები. მათ იცოდნენ, როგორ უნდა მიემხროთ გლეხობა. ისინი თავს აცხადებდნენ მოციქულად, რომელსაც ქვეყნად სამართლიანობის დამყარება სურდა. გლეხობაც მათ მიჰყვებოდა, აჯანყებას იწყებდა, რადგანაც „მოციქული“ მათ მიწის მიცემას პირდებოდა; ამგვარად, შეიხები კარგად სარგებლობდნენ გლეხობის განწყობილებით [2].

1526 წელს მალათიას რაიონში დაიწყო გლეხთა აჯანყება, რომელსაც ხელმძღვანელობდა კალენდერ-შაჰი, ბექთაშიების შიიტური სექტის დამაარსებელი ჰაჯი-ბექთაშის საგვარეულოს წევრი. ისიც ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ გამოდიოდა სექტანტური მოძღვრების დროშით და თავს მოციქულად აცხადებდა [3].

აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს თურქებმა, აზერბაიჯანელებმა, თურქმანებმა, ქურთებმა. მართალია, კალენდერ-შაჰს პირადი ინტერესები ამოძრავებდა—იგი აღმოსავლეთ ანატოლიაში გაბატონებას აპირებდა, მაგრამ აჯანყების მონაწილეები ფეოდალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ იბრძოდნენ. გლეხობა მიწის დარიგებასა და მძიმე გადასახადების შემცირებას მოითხოვდა; მეჯოგე ქურთები და თურქმანები—იმ საძოვრების დაბრუნებას, რომლებიც

---

[1] В. А. Гордлевский. დასახ. ნაშრ., გვ. 91.

[2] იქვე, გვ. 109.

[3] Г. И. Ибрагимов. Крестьянские восстания в Турции в XV — XVI вв., Византийский временник, VII, 1953, გვ. 143.

სულთანმა თავის მოხელეებს დაურიგა[1]. ეს აჯანყებაც სასტიკად ჩააქრო სულთანმა. მაგრამ გლეხთა აჯანყებები ამით არ შემწყდარა. 1573 წელს მცირე აზიაში დიდმა აჯანყებამ იფეთქა შამს-ედ-დინის მეთაურობით. XVI ს-ის დამლეგს კვლავ გაძლიერდა გლეხთა აჯანყებები, რომელთაც ძლიერად შეარყიეს ოსმალეთის სახელმწიფოს საფუძვლები.

ქვეყნის პოლიტიკური კრიზისის, სოციალური ბრძოლისა და კლასობრივი წინააღმდეგობების მკაფიო გამოხატულება იყო ყარა იაზიჯისა და შემდეგ მისი ძმის, დელი ჰასანის აჯანყება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გლეხებმა, წვრილმა და საშუალო ფეოდალებმა, „ფირარი"-ებმა, მეჯოგე ტომებმა. აჯანყებულთა ძირითადი მასა გლეხობა იყო, რომელიც გაბრდილი გადასახადების, ფეოდალური ექსპლოატაციისა და სულთნის მოხელეთა თვითნებობის წინააღმდეგ იბრძოდა. განუწყვეტელმა ომებმა და მასთან დაკავშირებულმა სახელმწიფო ვალდებულებებმა (გლეხები თავიანთი ურმებით გამოჰყავდათ ლაშქრისათვის სურსათ-სანოვაგის მისაწოდებლად, გზების გასაყვანად, ან შესაკეთებლად, ციხე-სიმაგრეების გამაგრებისათვის საჭირო სამუშაოების შესასრულებლად და სხვ.), მიწისმფლობელთა ძალადობამ, გადასახადებისა და ფეოდალურ ვალდებულებათა ზრდამ, რაც უშუალოდ იყო დაკავშირებული ომებიდან შემოსავლის შემცირებასთან, სრულს გაჩანაგებამდე მიიყვანა გლეხის მეურნეობა. ყველა ამან გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი დარაზმა არსებული წყობილების წინააღმდეგ; გლეხთა აჯანყებამ, განსაკუთრებით მისი მსვლელობის პირველ პერიოდში, ანტიფეოდალური ხასიათი მიიღო.

სიფაჰიებიც გარკვეული მიზეზების გამო მონაწილეობდნენ აჯანყებაში. სიფაჰიები იბრძოდნენ სამხედრო ლენების შენარჩუნებისა და ამასთან დაკავშირებული პრივილეგიებისათვის, სულთნის მთავრობის, სახელმწიფოს დიდმოხელეების და მსხვილი ფეოდალების წინააღმდეგ. „ფირარი"-ებს აჯანყებაში მონაწილეობის გარდა სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ. „1596 წელს გამოქვეყნებულმა ბრძანებამ, რომ ფრონტიდან გაქცეულები ყველანი სიკვდილით უნდა დაესაჯათ შეპყრობის ადგილზე, დეზერტირები ავტომატურად ჩააყენა სულთნის მოწინააღმდეგეთა ბანაკში; ისინი ყარა იაზიჯის აჯანყებას შეუერთდნენ და მის სამხედრო დასაყრდენად იქცნენ"[2].

მეჯოგე ტომები, თავის მხრივ, იბრძოდნენ სულთნის მთავრობის იმ ღონისძიებათა წინააღმდეგ, რომელნიც მიზნად ისახავდნენ მათს დამორჩილებას და ფეოდალური ექსპლოატაციისადმი დაქვემდებარებას. მათზე გადასახადების გაწერა ახლა ჩვეულებრივი ხდება. ამას კი ვერ ურიგდებოდნენ პატრიარქალური წყობის ტრადიციებთან ჯერ კიდევ მჭიდროდ დაკავშირებული ტომები. ტომობრივი ორგანიზაცია მათ ძალას აძლევდა და უპირატესობას ანიჭებდა მიწათმოქმედ გლეხობასთან შედარებით. ისინი სასწრაფოდ

---

[1] Г. И. Ибрагимов. Крестьянские восстания в Турции в XV—XVI вв., Византийский временник, VII, 1953, ეგ. 144.

[2] А. С. Тверитинова. Восстание Кара Языджи—Дели Хасана в Турции М.—Л., 1946, ეგ. 64.

აიყრებოდნენ ხოლმე და სხვა საძოვრებზე მიდიოდნენ. საძოვრების საკითხი მათთვის დიდ როლს თამაშობდა და ამ ნიადაგზე მომთაბარე მეჯოგეებსა და სულთნის მთავრობას შორის ხშირი იყო შეჯახებანი[1].

აჯანყებაში ზოგიერთი მსხვილი ფეოდალის მონაწილეობა, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, აიხსნება ჯერ ერთი აჯანყების ანტიფეოდალური ხასიათის შესუსტების სურვილით, რაც მათ ნაწილობრივ შეძლეს კიდეც, ხოლო მეორე მხრივ აჯანყების თავიანთ სასარგებლოდ გამოყენებას ისინი აპირებდნენ სულთნის ხელისუფლების შესუსტებისათვის და განკერძოებისათვის წარმოებული ბრძოლის წარმატების უზრუნველსაყოფად.

მართალია, ყარა იაზიჯი—დელი ჰასანის აჯანყება გლეხთა აჯანყება იყო, როგორც მონაწილეთა ძირითადი მასის შემადგენლობით, ისე აჯანყების წინაშე მდგარი ამოცანების მიხედვით, მაგრამ იგი ვიწრო კლასობრივი ინტერესებისათვის გამოიყენეს აჯანყების სათავეში მდგარმა წვრილმა ფეოდალებმა და მხედრებმა[2].

გლეხობას ისედაც არ შეეძლო აჯანყების წარმატებით დამთავრება. გლეხთა ეს აჯანყებაც სტიქიური და ლოკალური ხასიათის მატარებელი იყო. ხსენებულ აჯანყებაში გლეხობამ ისიც კი ვერ შეძლო, რომ საკუთარი წიაღიდან გამოეყო ნამდვილი გლეხთა ბელადები, სწორედ მაშინ, როდესაც აჯანყებამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია და ფართოდ გავრცელდა, როდესაც აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა თითქმის მთელი ანატოლია, აჯანყების სათავეში მდგარმა დელი ჰასანმა თავის თანამოაზრეებთან ერთად ხალხის ინტერესები გაყიდა, მთავრობის მხარეზე გადავიდა და აჯანყება უხელმძღვანელოდ დატოვა[3].

გლეხთა ამ გრანდიოზულ აჯანყებას (1599—1603), რომელიც ლოგიკური დასასრული იყო XVI საუკუნეში მთელი ქვეყნის მომცველი მღელვარებებისა[4], უკვალოდ არ ჩაუვლია, მან მნიშვნელოვნად შეარყია სულთნის ხელისუფლება და ოსმალთა სახელმწიფოს საფუძვლები.

ოსმალეთის გლეხთა აჯანყებები მარცხდებოდა, მაგრამ რადგანაც აჯანყებების გამომწვევი მიზეზები ისევ არსებობდა, ამიტომ ამის შემდეგაც არაერთხელ ავარდნილა გლეხთა აჯანყებების ცეცხლი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. ამათგან ყველაზე ძლიერი იყო კალენდერ-ოღლუს (1606) და ჯანფოლად-ოღლუს (1607) აჯანყებები.

გლეხები იყენებდნენ კლასობრივი ბრძოლის პასიურ ფორმასაც—აყრა-გაქცევას. საამისო ცნობები კოჩი ბეის ორსავე „რისალე"-შიც მოიპოვება.

გლეხთა ძასიური აყრა-გაქცევა განსაკუთრებით გახშირდა იმ დროს, როდესაც ოსმალთა სახელმწიფო დაცემის გზას დაადგა. გლეხები აიყრებოდნენ ხოლმე თავის მიწებიდან და გარბოდნენ, თუმცა ეს მძიმე ტვირთად

---

[1] В. А. Гордлевский. დასახ. ნაშრ., გვ. 93.

[2] А. С. Тверитинова. Восстание Кара Языджи—Дели Хасана в Турции, გვ. 78.

[3] იქვე.

[4] В. А. Гордлевский. Внутреннее состояние Турции во второй половине XVI века, Труды МИВ, 1940, сб. 2, გვ. 89.

აწვებოდა დარჩენილებს, რადგანაც გაქცეულთა გადასახადები მათ უნდა გადაეხადათ. ამის შესახებ კოჩი ბეი წერს: „გლეხებმა თავისი სოფლები დატოვეს და გაიქცნენ. მაგალითად, ერთ სოფელში ათი სახლი იწერებოდა შემდეგ გლეხები გაიქცნენ და ერთი სახლი დარჩა. ავარიზის ამკრეფი რომ მოდის, ამ სოფელში ათი სახლი არის ჩაწერილიო (აბობს) და ათი სახლის ავარიზს იღებს“ [1].

აუტანელი ფეოდალური ექსპლოატაცია გლეხების აყრა-გაქცევას ახშირებდა. გლეხები გარბოდნენ უკეთესი ცხოვრების საძებნელად, მაგრამ ყველგან სასტიკი ჩაგვრა ხვდებოდათ. იშვიათი შემთხვევა არ იყო გაპარტახებული და გაუკაცრიელებული სოფლები: „მრავალი სოფელი ჩაგვრელთა შეეიწროებისაგან გაპარტახდა და გაუკაცურდა, მათი მოსახლეობა გაიფანტა, გაიქცა და მათი არც სახელი დარჩა და არც ნიშანი“ [2], წერს ოსმალეთის ძლიერების დაცემით შეშფოთებული კოჩი ბეი გრრიჯელი.

გლეხთა აყრა-გაქცევა რომ ფეოდალური ექსპლოატაციით იყო გამოწვეული ამას თვით იმდროინდელი პოლიტიკური მოღვაწეებიც ამჩნევდნენ და ეს ამბავი უფრო დამაჯერებლად ასაბუთებს გლეხების მძიმე მდგომარეობის არსებობას. კოჩი ბეი გრრიჯელი გამოთქვამს შეხედულებას (ისე, რომ არსად არ სცილდება და არ ღალატობს ფეოდალურ თვალსაზრისს), რომ გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგად უზრუნველყოფილი იქნეს სახელმწიფო შემოსავლის ძველ დონეზე შენარჩუნება. ერთი სიტყვით, გლეხი უნდა დაუბრუნდეს დაცარიელებულ სოფელს და გადასახადების ნორმალური აკრეფის პირობებში, გაიზარდოს სახელმწიფოს შემოსავალი. ეს, მისი აზრით, აღკვეთს გლეხთა აყრა-გაქცევას.

ოსმალური სამართალი გაქცეული გლეხის ძებნას დიდ ვადას უდებდა. გაქცეული გლეხი, სადაც კი იპოვნიდნენ, მოხელე-ფეოდალისათვის „საკმელად“ მიცემულ სოფელში უნდა დაებრუნებინათ. გლეხი მტკიცედ იყო მიჯაჭვული მიწაზე. გადასახადის გადამხდელ გლეხს გადასახადის გადახდამდე და, ფაქტიურად, შემდეგაც ადგილის გამოცვლის უფლება არ ჰქონდა. მაგრამ მძიმე ფეოდალურ ექსპლოატაციას უკიდურესობამდე მიყვანილი გლეხი აჯანყებით ან აყრა-გაქცევით პასუხობდა. აჯანყებები და გლეხის მიწიდან გაქცევა გახშირდა სწორედ XVII საუკუნეში, როდესაც ფეოდალური ექსპლოატაცია უზომოდ გაიზარდა.

## § 7. ოსმალეთი XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე

XVI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო დაქვეითების გზას დაადგა. ოსმალეთის სამხედრო ძლიერების დასუსტება გაპირობებული იყო სამხედრო-ლენური სისტემის კრიზისით.

---

[1] „...reaya köylerin birakup kaçmiŞlardır. Meselâ bir köy on hane tahrir olmuŞtur, sonra reaya kaçup bir hane kalmıŞtır. Avarızcı vardıkda bu köyden on hane yazılmıŞtır deyü on hanenin avarızın alur“ (Koçi Bey Risalesi, İstanbul, 1939, გვ. 96).

[2] „...nice karye teaddü zalemeden harab ve yebab ve ahalisi periŞan ve girizan olup, namü niŞanları kalmamıŞtır“ (ი ქ ვ, გვ. 54).

ოსმალეთის სამხედრო ძლიერების შესუსტება, რაც გამოიცხადა ახალი ქვეყნების დაპყრობას და, ამასთან, გაპირობებული იყო შინაგანი და საგარეო ფაქტორებით, არ შეიძლებოდა უშუალოდ არ შეხებოდა სამხედრო-ლენურ სისტემას და თავის მხრივ არ გაეძლიერებინა მისი კრიზისი. სამხედრო-ლენური სისტემის კრიზისი წარმოადგენს გასაღებს ოსმალეთის დაცემა-დაქვეითების მიზეზების გასაგებად. თავისთავად ცხადია, რომ დამლისა და რღვევის პროცესი ოსმალთა სახელმწიფოში იმ მომენტში უნდა დაწყებულიყო, როდესაც სულთანსა და მის ფეოდალებს დაპყრობა-მიტაცება აგრე ადვილად აღარ შეეძლოთ, ხოლო როდესაც დასაპყრობი აღარაფერია, მაშინ საჭიროა წარმოების დაწყება [1]. ოსმალეთში კი წარმოებისათვის საჭირო პირობა არ არსებობდა [2].

სამხედრო-ლენური სისტემა, რომელიც ოსმალეთის სამხედრო ძლიერების საფუძველი იყო, თანდათან კარგავდა თავის მნიშვნელობას. წინათ მკაცრად იცავდნენ სამხედრო საკარგავების ფლობის მემკვიდრეობით უფლებას. სამხედრო საკარგავები—თიმარები და ზეამეთები მამიდან შვილზე გადადიოდა და ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც შვილი სამხედრო სამსახურისათვის გამოსადეგი იყო. თიმარებსა და ზეამეთებს ფლობდნენ მხოლოდ სამხედრო ფეოდალები. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან კი თიმარები და ზეამეთები ქრთამების, ნაცნობობისა და ინტრიგების საშუალებით ხელში უვარდებოდათ ახლად დაწინაურებულ და გაფეოდალებულ პირებს. სხვადასხვა საშუალებით სულთნის კარზე ახლად აღზევებული პირები მიწის ფლობასთან დაკავშირებულ სამხედრო ვალდებულებას აღარ ასრულებდნენ, სამაგიეროდ ამ მიწების შემოსავალს პირადი მოთხოვნილებებისათვის იყენებდნენ. მიწების დატაცებაში მათ არც პროვინციის გაძლიერებული ფეოდალები—ბეგლარბეგები და სანჯაყბეგები ჩამოუვარდებოდნენ. „ზეამეთები და თიმარები დიდმოხელეებმა შთანთქეს“ [3]—წერს წვრილ და საშუალო ფეოდალთა იდეოლოგი კოჩი ბეი გრრიჯელი თავის ტრაქტატში. დიდმოხელეები თავისი მსახურებისა და ხშირად მონების სახელზეც კი აფორმებდნენ სამხედრო საკარგავებს, შემოსავალს კი თვითონ ითვისებდნენ. კოჩი ბეი გრრიჯელის ცნობით ბევრ დიდმოხელეს 30—50 თიმარი ჰქონდა მიტაცებული [4]. ასეთი თიმარებიდან კი, ბუნებრივია, ფეოდალური ლაშქრის გამომყვანი არავინ იყო. ამას გარდა, სახელმწიფო მიწების ფონდიდან ბევრი მიწა სავაჭრო-საავაზო კაპიტალის ხელში გადადიოდა [5].

სამხედრო საკარგავების დატაცებას ხელს უწყობდა სულთან სულეიმან I კანონის 1530 წლის ბრძანებით შემოღებული ახალი წესი. თუ წინათ სამხედრო ლენებს ვილაიეთების განმგებლები ურიგებდნენ მათი საგამგეოების და ამდენად, მათთვის კარგად ცნობილ ფეოდალებს, რომელთაც სამხედრო სამსახური

---

[1] Архив К. Маркса и Ф. Энгельса, кн. I, 1930, გვ. 248.

[2] კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, 1934, გვ. 128.

[3] Koçi Bey Risalesi. İstanbul, 1939, გვ. 38.

[4] იქვე, გვ. 39.

[5] А. С. Тверитинова. დასახ. ნაშრ., გვ. 27.

შეეძლოთ, ახალი წესის მიხედვით სამხედრო ლენებს მხოლოდ სულთნის მთავრობა არიგებდა. სახელმწიფოს ცენტრალიზაციისათვის გამიზნულმა ახალმა კანონმა შემდეგში უარყოფითი შედეგი გამოიღო. სასახლესთან დაკავშირებულ პირებს გაუადვილდათ სამხედრო ლენების ხელში ჩაგდება. სულთნის მთავრობის ასეთმა პოლიტიკამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია პროვინციის ფეოდალებს შორის. განსაკუთრებით უკმაყოფილონი იყვნენ საშუალო და წვრილი ფეოდალები, რომლებიც კარგავდნენ სამხედრო ლენებს და მსხვილი ფეოდალების ხელყოფისაგან შევიწროებული იყვნენ. სიფაჰიები თავს ვალდებულად აღარ თვლიდნენ სალაშქროდ წასასვლელად; ომში მონაწილეობის მისაღებად ხშირად არც ისინი გამოდიოდნენ. ამიტომ ძალზე შემცირდა ფეოდალური ლაშქრის რიცხვი. 1630 წლისათვის მთელ სახელმწიფოში მხოლოდ შვიდი-რვა ათასი სიფაჰი თუ გამოდიოდა ომში მონაწილეობის მისაღებად [1].

ამგვარად, უკვე სულთან სულეიმან I-ის დროს ხდება მიწების ერთგვარი გადანაწილება, რაც განსაკუთრებით გაძლიერდა XVI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში და რამაც თავისი პირდაპირი გამოვლინება ჰპოვა XVI—XVII სს. მიჯნაზე მომხდარ მოვლენებში.

მსხვილი ფეოდალები დაუსჯელად იტაცებდნენ საშუალო და წვრილი ფეოდალების მიწებს. ოსმალეთის ფეოდალური კლასის ყველაზე მრავალრიცხოვან ფენას კი სწორედ სიფაჰიები—საშუალო და წვრილი ფეოდალები წარმოადგენდნენ. სიფაჰი, რომელიც თავის დროზე ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენი იყო, ახლა ოპოზიციაში უდგება სულთნის ხელისუფლებას.

სიფაჰიები დაინტერესებული აღარ იყვნენ სამხედრო სამსახურით. ისინი უხალისოდ იღებდნენ ომში მონაწილეობას. მათ მასიურად იწყეს სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება, რადგანაც ომში მონაწილეობა ძველებურად სასარგებლო აღარ იყო. ფეოდალური ლაშქრის შემცირების გამო სულთნის მთავრობა იძულებულია გაზარდოს დაქირავებული ჯარის რიცხვი. დაქირავებული ჯარის შენახვა კი მთლიანად სახელმწიფო ხაზინას დაეკისრა. მაგრამ სულთნის ხაზინა ცარიელი იყო. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ჯარისათვის ჯამაგირის დაგვიანება. სულთნის მთავრობა ამაოდ ცდილობდა ფინანსური კრიზისიდან თავის დაღწევას; უზომოდ ზრდიდა გადასახადებს, სისტემატურად მიმართავდა გადასახადების აკრეფის იჯარით გაცემას, მაგრამ სახელმწიფოს შემოსავალი სასახლისა და დაქირავებული ჯარის შენახვასაც ვერ ასდიოდა. სულთანი მიმართავდა უხარისხო ფულის მოჭრის ხერხსაც, მაგრამ ეს დროებითი საშუალება კიდევ უფრო აძლიერებდა ფინანსურ ქაოსს. სულთანი ხსნასა და გამოსავალს ისევ დაპყრობითი ომების განგრძობაში ეძებდა, მაგრამ უმნიშვნელო წარმატებებით და ფაქტიურად უშედეგოდ წარმოებული ომები კიდევ უფრო ართულებდა და დაძაბულს ხდიდა ოსმალეთის ისედაც გართულებულ საშინაო და საგარეო პირობებს. გაჭიანურებული

---

[1] Koçi Bey Risalesi, İstanbul, 1939, გვ. 39.

ომებით, ცუდი კვებითა და ჯამაგირის დაგვიანებით უკმაყოფილო ჯარ.ის-კაცები მასიურად გარბოდნენ ბრძოლის ველიდან.

ყოველივე ამან ძალიან გაზარდა ე. წ. „ფირარი"-ების (firari — გაქცეული[1]) რიცხვი. „ფირარი"-ები ეწოდებოდათ იმ მეომრებს, რომლებიც ბრძოლის ველიდან გარბოდნენ, ან საერთოდ არ ცხადდებოდნენ სალაშქროდ. მათს ერთ ნაწილს ის ყოფილი სიფაჰიები შეადგენდნენ, რომლებსაც სამხედრო საკარგავები ჩამოერთვათ ომში მონაწილეობაზე უარისათვის; მეორე ნაწილი კი რეგულარული ჯარის დეზერტირებისაგან შედგებოდა. „ფირარი"-ების მოქმედება ერთგვარ პროტესტს წარმოადგენდა სულთნის მთავრობის წინააღმდეგ და მნიშვნელოვან სიძნელეებს უქმნიდა სახელმწიფოს.

დეზერტირობამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ავსტრიასთან ომის დროს 1593—1606 წლებში. 1596 წელს კერეზტეშთან სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ შემოწმებამ გამოარკვია, რომ თიმარებისა და ზეამეთების 30 ათასმა მფლობელმა აარიდა თავი ბრძოლას. გამოიცა სულთნის ბრძანება, რომლის მიხედვითაც ყველას უნდა ჩამორთმეოდა სამხედრო საკარგავები და სიკვდილით დასჯილიყვნენ. „ფირარი"-ებს აღარ გააჩნდათ მიწები, საარსებო საშუალება, მათ სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა და ამიტომ სულთნის მთავრობის მოწინააღმდეგეთა შორის ისინი ყველაზე ძლიერ ძალად იქცნენ. ანატოლიაში მათ გარშემო იკრიბებოდნენ სულთნის მთავრობით უკმაყოფილო ელემენტები[2].

XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისი ოსმალეთში კიდევ უფრო მწვავდება. ამ დროს მეტისმეტად რთულდება ოსმალეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობაც; გამწვავდა სოციალური წინააღმდეგობანი, კიდევ უფრო დაძაბული გახდა შინაკლასობრივი და კლასობრივი ბრძოლა.

ოსმალთა სახელმწიფოს დაცემის პროცესს კიდევ უფრო აძლიერებდა აღზევებული ფეოდალების დამოკიდებულება ცენტრალური ხელისუფლებისადმი. სწორედ ამ ხანებში განსაკუთრებით გაძლიერდა მსხვილი ფეოდალების მიდრეკილება განკერძოებისადმი. ფეოდალთა სეპარატიზმის გაძლიერებას ხელს უწყობდა სულთნის ხელისუფლების შესუსტება, სახელმწიფოში შემავალი ქვეყნების სოციალური, ეკონომიური და კულტურული სხვადასხვაობა. XVII საუკუნის დასაწყისისათვის ისე შესუსტდა სულთნის ხელისუფლება, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია იმდროინდელმა მოღვაწემ ქოჩი ბეი გრრიჯელმა: ჯარი „სალაშქროდ მიდის, როცა მოესურვება, მორჩილება არ აქვთ, ხელისუფლების შიში და რიდი არ აქვთ"[3]. ცენტრალურ ხელისუფლებას ძველებურად აღარ მიუწვდებოდა ხელი პროვინციებზე. მთავრობა კარგად ვერ ერკვეოდა სახელმწიფოს სხვადასხვა მხარეში არსებული საქმეების ვითარებაში და ერთიმეორის საწინააღმდეგო ბრძანებებს აგზავ-

---

[1] შდრ. გურული—ფირალი.

[2] А. С. Тверитинова. დასახ. ნაშრ., გვ. 53.

[3] „...istedikleri zaman tefere giderler, itaat yok, tarafı saltanattan havfü haşyet yok" (დასახ. ნაშრ., გვ. 46).

ნიდა. ამიტომაც სულთნის ბრძანებებს არაფრად აგდებდნენ. „წინათ, რომელიმე მხარეში მაღალი მთავრობის ბრწყინვალე ბრძანება რომ მოვიდოდა, იმ მხარის სოფლებში და ქალაქებში აურზაური ატყდებოდა და დიდსა თუ პატარას შიში და მოკრძალება მოიცავდა; ფადიშაჰის ფირმანი მოსულაო, ამბობდნენ და ყურს მიუშვერდნენ. ეხლა კი ბრძანებები და ბერათები რა საქმესაც არ უნდა ეხებოდეს—უქმია. ერთიმეორეს საწინააღმდეგო მისი უდიდებულესობის ბერათები და დადგენილებანი წელიწადში ათასი იწერება“ [1]. ამიტომ სულთნის ბრძანებებს, აღნიშნავს კოჩი ბეი, აღარავინ ენდობოდა და არც ასრულებდა.

სულთანი და დიდვეზირი სათამაშოდ იქცნენ კარის დიდმოხელეთა და სასახლის კარისკაცთა ხელში, რომლებიც ოსმალთა სახელმწიფოს ფაქტიური განმგებლები იყვნენ. სასახლეში არსებული მსხვილი ფეოდალების დაჯგუფებანი საკუთარი ინტერესებისათვის იყენებდნენ იანიჩარებისა და სიფაჰიების მღელვარებებს. რეგულარული ჯარისა და განსაკუთრებით იანიჩარების დამორჩილება სულ უფრო უჭირდა სულთანს. ყოველი სულთნის ტახტზე ასვლისას იანიჩარები სულ უფრო მეტ საჩუქარს მოითხოვდნენ. მათ ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული ჯარის მეთაურების, სახელმწიფო მოხელეების დანიშვნა და თვით სულთნის ტახტზე ასვლაც კი. მსხვილ ფეოდალებსა და მეამბოხე იანიჩარებს თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით აჰყავდათ ხოლმე ტახტზე მათთვის სასურველი სულთნები და ასევე ადვილად აგდებდნენ ტახტიდან არასასურველ სულთნებს. მთელი რიგი საბეგლარბეგოები ფაქტიურად სულთანს აღარ ემორჩილებოდნენ; ყოველ შემთხვევაში მხოლოდ ფორმალურად სცნობდნენ განკერძოებული ბეგლარბეგები სულთნის უზენაესობას. აღზევებული ფეოდალები დაინტერესებული აღარ იყვნენ სულთნის ხელისუფლების გაძლიერებით და მათი სეპარატიზმი კიდევ უფრო ასუსტებდა სახელმწიფოს.

საამისო კარგი მაგალითია ყარა იაზიჯი—დელი ჰასანის აჯანყება (1599—1603). ყარა იაზიჯი—დელი ჰასანის აჯანყებაში უშუალო მონაწილეობას იღებდა აბისინიის ყოფილი ბეგლარბეგი ჰუსეინ ფაშა. აჯანყებულებს ეხმარებოდნენ ამასიის ბეგი იბრაჰიმი, სივასის ბეგლარბეგი ჩერქეს მაჰმუდ ფაშა და სხვები. სახელმწიფოს განაპირა რაიონებში და თვით მცირე აზიაშიც მორჩილებიდან გამოდიოდნენ ვილაიეთების ბეგლარბეგები, სანჯაყბეგები, სარდლები. მათი სეპარატიზმი პირველ ყოვლისა იმაში გამოიხატებოდა, რომ ზოგი სხვადასხვა გარემოებათა მომიზეზებით დედაქალაქში არ გზავნიდა აკრეფილ გადასახადებს, ზოგიც საერთოდ არ ცნობდა ცენტრალურ ხელისუფლებას; ასე იქცეოდნენ ერზერუმის და ყარამანიის ფაშები.

პროფ. ნ. ა. სმირნოვს მოყავს რუსეთის ელჩების ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ XVI საუკუნის დამლევს ყარამანიაში იჯდა სკრივან-ფაშა, რომელსაც ემორჩილებოდნენ და გადასახადებს უგზავნიდნენ თითქმის მთელი ანატო-

---

[1] „Mukaddema bir diyara tarafı saltanatı Aliyyeden bir emri Şerif varıd olsa ol diyarın kura ve kasabatına velvele ve sağırü kebirine havfü heybet düşüp fermanı padişahi varıd olmuş deyü herkes kulak tutardı. Şimdi her hususa müteaddid evamir ve berevat rayegân olup, birbirine muhalif yılda bin beratı Hümayun ve mukarrername yazılıp...“ (Koçi Bey Risalesi, გვ. 39).

ლიის ბეგლარბეგები[1]. დიდი ფეოდალები სასახლის კარზეც თვითნებობდნენ; გაიხრწნა სახელმწიფო აპარატი, სულთნის მოხელეთა მექრთამეობამ, თვითნებობამ და სასახლის კარის ინტრიგებმა უკიდურეს წერტილს მიაღწია.

იანიჩართა თვითნებობას საზღვარი არ ჰქონდა. მათ შორის დისციპლინა ისე დაეცა, რომ ხშირად ომში წასვლის პირობად ისინი ჯამაგირის მომატებას ითხოვდნენ ხოლმე. მრავალი წარჩინებული იანიჩარი დიდ სახელმწიფო მოხელეებს ემსახურებოდა და ჯამაგირს კი ხაზინიდან იღებდა. კოჩი ბეი გრრიჯელის სიტყვით სწორედ ესენი იყვნენ არეულობათა და აჯანყებების მომწყობნი[2]. აღარ იყო დაცული ძველი წესი, რომლის მიხედვითაც იანიჩარებს სტამბოლში, ედირნესა და ბურსაში, ან ამ ქალაქების სანახებში უნდა ეცხოვრათ. ისინი მთელ ქვეყანას მოედვნენ და დაიწყეს სიფაჰიების მიწების დატაცება[3]. ამით ისინი ფეოდალურ ლაშქარსაც ასუსტებდნენ და თვითონაც გაფეოდალებულ მასად იქცეოდნენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სალაშქროდ გამოსვლას თავის მოვალეობად არ სთვლიდნენ. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო და XVII საუკუნეში ფართოდ გავრცელდა იანიჩართა მიერ გადასახადების ამკრეფთა მოვალეობის შესრულება[4], რადგან გადასახადების აკრეფა ომში მონაწილეობასთან შედარებით ხელსაყრელი იყო. ისინი განუკითხავად პარპაშობდნენ სოფლებში და ძარცვავდნენ გლეხებს. მრავალი ჯანლონით სავსე იანიჩარი ქრთამების საშუალებით აბერხებდა ინვალიდთა კატეგორიაში მოხვედრას და გადიდებულ ჯამაგირს იღებდა ხოლმე.

ასეთი იანიჩარები, რომლებიც „ინვალიდობისათვის" ომში მონაწილეობას არ იღებდნენ, 10.000 კაცი იყო[5] XVII საუკუნის 30-ან წლებში. იანიჩართა მეთაურები დისციპლინას აღარ იცავდნენ. ისინი გარდაცვლილი იანიჩარების ჯამაგირს თვითონ იღებდნენ, ან სხვადასხვა პირებზე ჰყიდდნენ ჯამაგირის მიღების უფლებას. „ხუთი-ექვსი ათასი კაცია, რომლებიც მათი ხელქვეითების სახელით ჯამაგირს იღებენ. არავინ კითხულობს და იძიებს ვინ ხარ, საიდან მოსულხარ?"[6] წერს კოჩი ბეი. იანიჩართა მეთაურების ადგილების დასაკავებლად ქრთამების მიცემა გახშირდა და ამან მეთაურების გაუთაეებელი გადაადგილება გამოიწვია[7].

ასეთი ჯარი, რა თქმა უნდა, სულთნისათვის საიმედო დასაყრდენი ვერ იქნებოდა, ვერც საკუთარ ქვეყანაში „წესრიგის აღსადგენად" და ვერც მეზობელ ქვეყნებთან ომებში, რადგანაც იანიჩარები თვითონ იყვნენ ასალაგმავი. სულთანი უძლური იყო იანიჩარების წინაშე; მას აღარ შეეძლო ძველებურად დაეპირისპირებინა მათთვის სიფაჰიები, რადგანაც აღარც სიფაჰიები იყვნენ სულთნის

---

[1] П. А. Смирнов. Россия и Турция в XVI—XVII вв., ტ. I, 1946, გვ. 156.

[2] Koçi Bey Risalesi, İstanbul, 1939, გვ. 31.

[3] იქვე, გვ. 42.

[4] იქვე, გვ. 43.

[5] იქვე, გვ. 45.

[6] „Beş altı bin âdem vardır ki, il esamisi ile ulûfe alırlar. Sorar, izler yok. Sen mesin, nereden geldin? dur yok" (იქვე, გვ. 42).

[7] იქვე, გვ. 45.

ერთგულები. შეუძლებელი იყო იანიჩართა კორპუსის რეორგანიზაციაც; იანიჩარები არ თმობდნენ ტრადიციულ სამხედრო ორგანიზაციას. მაგალითად, როგორც კი დააპირა ოსმან II-მ (1618—1622) იანიჩართა კორპუსის რეორგანიზაცია, რათა იგი უფრო ბრძოლისუნარიანი გაეხადა, იანიჩარები დაუყონებლივ აჯანყდნენ; მათ მხარი დაუჭირა ფეოდალურმა რეაქციამ და დიდვეზირი და სულთანი დახოცეს.

ოსმალეთის საშინაო მდგომარეობის გართულებას აღებულ ხანაში თან სდევს საგარეო მდგომარეობის გართულებაც. ოსმალეთის მთავარი მეტოქე ქვეყნები ძლიერდებოდნენ და ბურჟუაზიული განვითარების გზაზე იდგნენ. ევროპაში წარმოიქმნა ნაციონალური და ცენტრალიზებული სახელმწიფოები. ევროპის დაწინაურებული ხალხები ერებად ყალიბდებოდნენ. წინ მიდიოდა ევროპის სამხედრო ტექნიკაც. ოსმალეთი კი წარმოადგენდა კონგლომერატს, ქვეყანას, სადაც თურქები მხოლოდ ოკუპანტები იყვნენ. დაპყრობილი ხალხები ბრძოლას განაგრძობდნენ დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად და ოსმალთა ბატონობის მძიმე უღლის გადასაგდებად. მარცხით დამთავრდა აგრეთვე ოსმალო ასიმილატორების ცდა—დაპყრობილი ხალხების გათურქება-გაოსმალება.

ოსმალეთი იძულებული იყო სათანადო ანგარიში გაეწია, აგრეთვე, ახალი ფაქტორისათვის, რომელმაც XVI—XVII სს. მიჯნაზე არსებითად შეცვალა ძალთა თანაფარდობა მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობაში. ეს ფაქტორი იყო რუსეთის აქტიური გამოსვლა კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკის ასპარეზზე.

XVI ს-ის 80-ან წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში აქტიურ მოქმედებას იწყებს რუსეთი, რომელიც XVI—XVII საუკუნეების განმავლობაში ოსმალეთის შემოსევების წინააღმდეგ იბრძოდა. ეს ბრძოლა „რუსეთის ხალხისათვის მონღოლთა შემოსევის წინააღმდეგ ტრადიციული ბრძოლის გაგრძელებას წარმოადგენდა“ [1]. ირან-ოსმალეთის ომმა (1578—1590) რუსეთს ბიძგი მისცა აქტიურად ჩარეულიყო მთელი კავკასიის საქმეებში. თუმცა ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის მოქმედება მიმართული იყო როგორც ოსმალეთის, ისე ირანის წინააღმდეგ, მაინც ოსმალეთის პოზიციები უფრო მეტად სუსტდებოდა. 1604 წელს რუსეთის დიდი ჯარი საშამხლოს შეესია, აიღო ტარკი და დაამარცხა ყუმუხები. „ერან-ოსმალეთის ომისას რუსეთის ეს აქტიური გამოსვლა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო. ამიერიდან ამიერკავკასიის ასპარეზზე ორი კი არა, სამი დიდი ძალა ექიშპება ერთიმეორეს. ამიერკავკასიის ქრისტიან ხალხთათვის რუსეთი ამიერიდან მართლაც „უფრო ახლოს იყო“, ვიდრე სტამბოლი ან ყაზვინი“...[2]

---

[1] Н. А. Смирнов. დასახ. ნაშრ., გვ. 15.

[2] ნ. ბერძენიშვილი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე, „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვეთი I, 1944, გვ. 125.

ამიერიდან ამიერკავკასიის ხალხები რუსეთის დახმარებით კიდევ უფრო აძლიერებენ ბრძოლას ოსმალეთის და „ოსმალობის“ წინააღმდეგ. რუსეთმა უკვე იმ დროს მწარე დამარცხებანი აგემა აგრესიულ ოსმალეთს. თუმცა დიდი მასშტაბის ომებში რუსეთ-ოსმალეთის წინააღმდეგობანი ძსოლოდ XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის დამდეგისათვის გადაიზარდა, მახლობელ აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობის ასპარეზზე რუსეთის გამოსვლამ დიდად გაუადვილა ბალკანეთისა და ამიერკავკასიის ქვეყნებს ოსმალეთის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმოება.

---

## VI. ამიერკავკასიის ქვეყნები და მახლობელი აღმოსავლეთი

### 1. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთი XIII—XVI საუკუნეებში

XIII საუკუნე წარმოადგენს მნიშვნელოვან ტეხილს კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიაში.

მონღოლებმა შეწყვიტეს აღმოსავლეთის სამიწათმოქმედო კულტურის ხალხთა ფეოდალიზმის ნორმალური განვითარება. მონღოლთა ბატონობის შედეგად განმტკიცდა ნახევრადპატრიარქალური-ნახევრადფეოდალური წყობა აღმოსავლეთის კულტურულ ქვეყნებში.

მონღოლები ამ მხრივ თურქ-სელჩუკების მიერ დაწყებული საქმის გამგრძელებლები იყვნენ, ხოლო მონღოლების პოლიტიკის გამგრძელებლები— თურქმანები, ყიზილბაშები, ოსმალები...

ნომადური გადმოსახლების პირობებში სულ ერთიანად იცვლებოდა კულტურული ქვეყნების პოლიტიკური რუკა, ხოლო მეურნეობაში აგრიკულტურის ადგილს პირველყოფილი საძოვრები იპერდა.

ამიერკავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის მიწებისათვის თურქ-სელჩუკების დროს (XI—XII სს.) დაწყებული ბრძოლის პროცესი ძლიერდება XIII—XIV საუკუნეებში (მონღოლ-თათართა ბატონობის ხანა), გადამწყვეტ წარმატებას აღწევს XV საუკუნეში (შავბატკნიან და თეთრბატკნიან თუთქმანთა დროს), საბოლოოდ კი მთავრდება XVI საუკუნეში—ყიზილბაშ-ოსმალების აგრესიული ომების ხანაში.

XVI—XVIII სს. საქართველო გარემოცული იყო ისეთი სახელმწიფოებით, რომელნიც „ფეოდალური განვითარების უმდაბლეს, ბარბაროსულ საფეხურზე იმყოფებოდნენ".

მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს უხსოვარ დროიდან ჰქონდა ურთიერთობა. ამასთან აღმოსავლურ სახელმწიფოთა მფლობელობა იშვიათი მოვლენა არ იყო ქართველი ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში. მაგრამ ისეთ არახელსაყრელ გარემოცვაში, როგორშიაც ჩვენი ქვეყანა XVI ს-ში აღმოჩნდა, მანამდე არასოდეს ყოფილა.

აღრეფეოდალურ ხანაში საქართველოს მეზობლები, თითქმის უკლებლივ, სამიწათმოქმედო კულტურის ხალხები იყვნენ. XVI—XVIII საუკუნეებში კი აღმოსავლეთის ქვეყნების დიდი უმეტესობისათვის დამახასიათებელი იყო ექსტენსიური მეჯოგეური მეურნეობა, რომელიც საუკუნეთა სიგრძეზე ყოველგვარი არსებითი ხასიათის ცვლილების გარეშე, ხელუხლებლად ტო-

ვებდა ნახევრადპატრიარქალურ-ნახევრადფეოდალურ წყობას, ზოგან კი საგვარეულო ყოფაცხოვრებას[1].

განსხვავება, საგარეო პირობების თვალსაზრისით, ადრეფეოდალურ და გვიანფეოდალურ ხანას შორის სავსებით აშკარაა.

ფეოდალიზმის გარიჟრაჟზე საქართველოს საქმე აქვს სასანურ ირანთან და ბიზანტიასთან. ორთავე სახელმწიფო აგრესიულად იყო განწყობილი საქართველოს მიმართ. მძიმე იყო მათი ხარკიც (თვითონ სიტყვა „ხარკი“ (საშ. სპ. „ხარაგ“) სასანური ირანის ბატონობის დროიდან მკვიდრდება ქართულში). მაგრამ ამ კულტურულად და ეკონომიურად დაწინაურებულ სახელმწიფოებთან შორეული მსგავსებაც არა აქვთ ყიზილბაშთა ირანის და ოსმალო-თურქების სახელმწიფოებს.

ენგელსი სასანური ირანის პოლიტიკურ ორგანიზაციას „სპარსეთის მონარქიის მოწესრიგებულ სახელმწიფოს“ უწოდებდა[2]. მარქსი ირონიულად „ბატკნების“ სახელით იხსენიებს XV ს-ის თურქულ-თურქმანულ პოლიტიკურ წარმონაქმებს მახლობელ აღმოსავლეთში.

სასანური ირანისათვის, სადაც ფეოდალური ურთიერთობა IV საუკუნეში ისახება და გამოკვეთილ სახეს VI საუკუნისათვის იღებს, ძირითადად სამიწათმოქმედო კულტურა იყო დამახასიათებელი. განვითარებული იყო ვაჭრობა-ხელოსნობაც. თანდათან ყალიბდება მიწის ფეოდალური საკუთრება. საწარმოო ძალების განვითარება ვეღარ უთავსდება ძველს წარმოებითს ურთიერთობას და ქვეყანა ფეოდალიზაციის გზას ადგება.

დიდად იყო განვითარებული კულტურისა და მეურნეობის მხრიე საქართველოს მეორე მეზობელიც — ბიზანტია.

აკად. ნ. ბერძენიშვილი სავსებით მართებულად შენიშნავს, რომ ამგვარ კულტურულ ხალხთა მოსახლეობის გავრცელების „ტენდენცია ხორციელდება კულტურული საზოგადოებისათვის ასატან ფორმებში. ურთიერთის მეზობელ ხალხებს შორის ამ ნიადაგზე მეტოქეობა, რაც ხშირად ომსაც-კი იწვევს, რომელსაც, შესაძლებელია, მოსაზღვრე ტერიტორიის დაპყრობა-წაგლეჯაც კი მოჰყვეს ხოლმე, სრულიად ნორმალურია: ის კატასტროფას არ მოასწავებს... მაინც და მაინც მეზობლობის ეს ფორმებიც ასე თუ ისე შეხამებულია იმ კულტურულ მეურნეობასთან, ამ მეზობლებს რომ გააჩნიათ“[3].

---

[1] აღსანიშნავია, რომ თუ ადრეფეოდალურ ხანაში აღმოსავლური ენებიდან ქართულში შემოდის და მკვიდრდება უპირატესად საადგილმამულო ურთიერთობასთან დაკავშირებული ტერმინები (მაგ., საშუალო სპარსულიდან: ხ ო დ ა ბ უ ნ ი, პ ა რ ტ ა ხ ტ ი, ქ ა რ დ ა გ ი, ბ ე გ ა რ ა, მ უ ჯ ი რ ი და სხვ., რომელთა ტერმინოლოგიური მნიშვნელობა თანდათან ქართული ფეოდალური ურთიერთობით გაპირობებული შინაარსით შეივსო), სამაგიეროდ გვიანფეოდალურ ხანაში ქართულ ენაში შემოიხიზნა უპირატესად მეჯოგურ მეურნეობასთან დაკავშირებული მონღოლურ-თურქული ტერმინები (მაგ., ყ ა ფ ჩ ე რ ი, ი ა თ ა ღ ი, შ ი შ ლ ი გ ი, ჩ ო ბ ა ნ ბ ე გ ი და სხვ.). დამახასიათებელია, რომ ეს ტერმინები დამოწმებულია კახურ და ქვემო ქართლის საბუთებში. მათ გავრცელება პოულს საქართველოს სწორედ იმ კუთხეებში, სადაც ინტენსიურად წარმოებდა თურქულ-თურქმანული ტომების ჩამოსხდომა-ჩამოსახლება.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. XXI, გვ. 494.

[3] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი), გვ. 40.

კულტურით და მეურნეობით დაწინაურებული იყვნენ საქართველოს უშუალო მეზობლებიც: სომხეთი და ალბანეთი. ამიერკავკასიის ეს კულტურული ქვეყნებიც ფეოდალიზაციის გზაზე იდგნენ. მათი განვითარება ვერ შეაჩერეს ირან-ბიზანტიის გამანადგურებელმა ომებმა. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საერთო ბრძოლაში გამოიკვეთა განვითარებისათვის საჭირო პირობები. ამიერკავკასიის ქვეყნებში ვითარდება მიწისმოქმედება, ქალაქები (ფეოდალური), ვაჭრობა, ხელოსნობა.

არაბთა ბატონობამ უდიდესი დაბრკოლებები შეუქმნა მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა შემდგომ განვითარებას, მაგრამ იმ დროს განვითარებულმა ნაკლებ განვითარებულს მაინც სძლია. დამპყრობელთა ერთი ნაწილი უფრო მაღალ და განვითარებულ სამეურნეო და სოციალურ ურთიერთობათა გავლენაში მოექცა. უმეტესობა (უპირატესად ჩრდილოეთის არაბები, ბედუინები) დიდხანს შერჩა მომთაბარულ ცხოვრებას და მეჯოგურ მეურნეობას ოოგორც დაპყრობილ, ისე განსაკუთრებით საკუთრივ არაბულ ქვეყნებში.

აღმოსავლეთის ისტორიული განვითარების თავისებურებათა შესწავლისას კ. მარქსი მიუთითებდა აღმოსავლეთის ყველა ხალხისათვის დამახასიათებელი მკვიდრბინადრული და მომთაბარული ცხოვრების თანაფარდობის ფაქტზე. კ. მარქსი აღნიშნავს: „ყველა აღმოსავლურ ტომში ისტორიის დასაწყისიდანვე ვამჩნევთ საერთო თანაფარდობას ამ ტომების ერთი ნაწილის მკვიდრბინადრობასა და მეორე ნაწილის მიერ განგრძობილ მომთაბარეობას შორის“ [1].

აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით დამახასიათებელი ხდება აღმოსავლეთისათვის უფრო გვიან, როცა XI საუკუნიდან მოყოლებული მომთაბარეთა ტალღა ტალღას მოსდევს და ცენტრალური აზიიდან დაწყებული თანდათან ვრცელდება დასავლეთის მიმართულებით (შუა აზია, ირანი, კავკასია, მცირე აზია...).

ადრეფეოდალურ ხანაში კულტურული ხალხების ენერგია ჯერ კიდევ არ იყო იმდენად შესუსტებული, რომ ვერ დაემსხვრიათ მათთვის შეუფერებელი და ქვეყნის წინსვლის შემაფერხებელი ორგანიზაცია.

ცნობილია, სასანურ ირანში დაწყებული ფეოდალიზაციის პროცესი გაგრძელდა არაბთა სახალიფოში. აბასელთა სახალიფოს სახელმწიფო წყობილება, რომელიც IX — X საუკუნეებში დამოუკიდებელი ფეოდალური წარმონაქმნების ნიმუშად იქცა, ფაქტიურად წარმოადგენდა სასანური ირანის სახელმწიფოებრიობის ერთგვარ გაგრძელებას, ოღონდ, რა თქმა უნდა, უფრო ვრცელს ტერიტორიაზე და უფრო რთულს სოციალურ-ეკონომიურ პირობებში.

დაპყრობილმა კულტურულმა ხალხებმა სულ სხვა მიმართულება მისცეს სახალიფოს სამეურნეო და კულტურულ განვითარებას. მათ გავლენა მოახდინეს თვით ისლამზე. VIII ს-ის შუა ხანაში არაბთა სარწმუნოება მსოფლიო

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. წერილები „კაპიტალის“ შესახებ, გვ. 47.

რელიგიად იქცა, ხოლო სპარსელებმა ისლამი გაასპარსულეს (შიას სარწმუნოება). „არაბული კულტურა“ დაპყრობილ ხალხთა კულტურული ძალების აქტიური მონაწილეობით ვითარდებოდა. პოლიტიკურ ასპარეზზე პირველობდნენ უპირატესად შუაზიელი და ირანელი ფეოდალები, რომელთაც აბასელთა დინასტიას გამარჯვება და ბატონობა მოუპოვეს.

აბასელთა ბატონობის ხანა ესაა შემდგომი ფეოდალიზაციის ხანა; ფეოდალური ურთიერთობის, მიწის ფეოდალური საკუთრების ახალი ფორმის („იკტა“) და ფეოდალური ინსტიტუტების ჩამოყალიბება-განმტკიცების ხანა. ყველაფერი ეს მიმდინარეობდა მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში (აბასელთა დროს განსაკუთრებით ხშირდება გლეხთა აჯანყებანი, რაც ფეოდალური ექსპლოატაციის გაძლიერების პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა). ამას ზედ ერთოდა არაბთა ბატონობის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერება. არაბთა წინააღმდეგ ბრძოლა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფორმით და იდეოლოგიით წარმოებდა.

არაბთა ერთიანი სახელმწიფოს ფეოდალური დაშლა მიმდინარეობდა სახალიფოს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნაწილებში. განსაკუთრებით ძლიერი იყო ეს პროცესი იქ, სადაც ეკონომიური აღმავლობა-დაწინაურება არაბთა ადმინისტრაციულ ერთეულებში წარმოდგენილ ხალხებს შეკავშირება-გაერთიანების პირობას უქმნიდა. ეკონომიური აუცილებლობით გამოწვეულ გაერთიანებას არ შეიძლებოდა არ შეექმნა ქვეყნის წინსვლის საწინდარი, საწარმოო ძალების სწრაფი განვითარება.

ამრიგად, სახალიფოს ფეოდალური დაშლა წარმოადგენდა პროგრესულ მოვლენას. და ეს არა მარტო პოლიტიკური თვალსაზრისით, რამდენადაც ეს დაშლა არაბთა ბატონობის აღსასრულს მოასწავებდა, არამედ ეკონომიური თვალსაზრისითაც.

საერთო ეკონომიური და კულტურული აღმავლობა დამახასიათებელი იყო შუა აზიისათვის (მავერანნაჰრი), ირანისათვის, სომხეთისათვის, აზერბაიჯანისათვის, საქართველოსათვის, წინა აზიის კულტურული ქვეყნებისათვის. სამართლიანად შენიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი „მაინც, რა ძლიერი აღმავლობის ეპოქა იყო არაბთა ერთიანი სახელმწიფოს ფეოდალური დაშლისა და საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ხანა! არაბთა ერთიანი სახელმწიფოს ფეოდალური დაშლა ეს იყო დაპყრობილ კულტურულ ხალხთა გამარჯვება, იმდროინდელი საზოგადოებრივი ვითარებისათვის შეუფერებელს და ამდენადვე ქვეყნის წინსვლის შემაფერხებელ ორგანიზაციის დამსხვრევა და კულტურულ ხალხთა შემოქმედებითი ძალების განთავისუფლება. ამავე დროს ეს იყო ხანა ნორმალური საერთაშორისო ურთიერთობისა ახლოაღმოსავლეთში. „ნორმალურში“ აქ იგულისხმება მეტ-ნაკლებად თანაბარი სიმაღლის კულტურათა მქონე ხალხთა ურთიერთობა“ [1].

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 40.

ნორმალური საერთაშორისო ურთიერთობა კელავ დაირღვა XI საუკუნეში, როცა მახლობელი აღმოსავლეთის და ამიერკავკასიის კულტურულ ქვეყნებში თურქ-სელჩუკები შემოიჭრნენ.

მაგრამ XI საუკუნე დაუსრულებელი ძნელბედობის მხოლოდ დასაწყისია მახლობელი აღმოსავლეთის და კავკასიის ხალხთა ისტორიაში.

ამიერიდან ნომადების მეზობლობა გაჭრობით ემუქრება მიწისმოქმედ ხალხებს: „სამიწათმოქმედო კულტურის ხალხთა ისტორიაში განსაკუთრებით მძიმეა ე. წ. „გადმოსახლების ხანა“, უკეთ, გადმოსახლების ნომადური სახეობა... სულ სხვა მნიშვნელობისაა ნომადთა მეზობლობა მიწისმოქმედ საზოგადოებასთან. აქ მუდმივი ომია და კატასტროფის საფრთხე. modus vivendi აქ არ ხერხდება. ან ერთი უნდა გაქრეს, ან მეორე...“[1] მიწისმოქმედ ხალხთა ბრძოლა ნომადებთან განვითარებისათვის ბრძოლაა. ნომადების ბრძოლა კულტურულ ხალხთა მიწებისათვის, წარმატების შემთხვევაში, რეგრესს და საზოგადოებრივი განვითარების შეფერხება-შეჩერებას ნიშნავს.

ამ დაძაბულსა და შეურიგებელს ბრძოლაში დროებით წარმატებას აღწევს მხოლოდ საქართველო, რომლის პოლიტიკური მოღვაწეები ცდილობენ კავკასიის გაერთიანებას „თურქთა საფრთხის“ წინააღმდეგ. მაგრამ საამისოდ წარმოებული ბრძოლა განსაკუთრებით რთულდება XV — XVI საუკუნეებში, როცა საბოლოოდ შეიკრა საქართველოს გარემოცვის რკალი და, ამდენადვე, მარცხით დამთავრდა კავკასიის გაერთიანების დიდი პოლიტიკური ამოცანა.

XI საუკუნიდან მოყოლებული ცენტრალური აზიიდან განუწყვეტლივ, მრავალი საუკუნის სიგრძეზე, მოედინებიან ნომადების სულ ახალი და ახალი ტალღები. თურქ-სელჩუკები, მონღოლები, თემურ-ლენგის ურდოები, თურქმანები, ოსმალები, ყიზილბაშები... გადაგვარება-მოსპობით ემუქრებიან ბინადარ მოსახლეობას, რომლის შემცირება (უპირატესად ფიზიკური საშუალებებით და აყრა-გადასახლებით) ნომადური ელემენტის გაზრდის მიზნით ხდება; ინტენსიურ მეურნეობას სცვლის ექსტენსიური მეურნეობა, ეცემა მიწისმოქმედება, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება.

მონღოლთა ბატონობის ეკონომიური შედეგი იყო სოფლის მეურნეობის არაჩვეულებრივი დაქვეითება. XIII—XIV საუკუნეებში მკვეთრად შემცირდა აგრიკულტურის ფართობი, მოიშალა სარწყავი არხები, ერთ წერტილზე გაიყინა სოფლის მეურნეობა, გლეხმა მეურნეობის განვითარების სტიმული დაკარგა.

ასეთ ვითარებაში ფართო გასაქანი მიეცა გლეხთა ველურ ექსპლოატაციას. ნაგვიანევი შუა საუკუნეების აღმოსავლეთში გლეხის გაჩანაგება-გალატაკება და მისი მეურნეობის განადგურება იყო მუსლიმანური სახელმწიფოების (ყიზილბაშთა ირანის, ოსმალეთის) დაქვეითება-ჩამორჩენილობის უმთავრესი მიზეზი.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 40.

XIII საუკუნიდან დაწყებული საქართველოშიც ჩვეულებრივი მოვლენები იყო მომთაბარული ტომების ჩამოსხდომა (მდ. მტკვრის, იორის, ხრამის და დებედას ხეობებში), აგრიკულტურის რაიონების, განვითარებული მელიორაციით, პირველყოფილ საძოვრებად გადაქცევა, მიწისმოქმედი მოსახლეობის მწირ და მიუვალ მთებში შეხიზვნა, ქალაქების დაღარიბება, ვაჭრობისა და ხელოსნობის დაცემა[1].

ეკონომიური ომი (თემურ-ლენგის და შაჰ-აბასის ღონისძიებები საქართველოში) გამოუსწორებლად ანადგურებდა ინტენსიური მეურნეობის დარგებს (იჩეხებოდა კაკლის ხეები, ვაზი, თუთის ხეები (მეაბრეშუმეობის საფუძველი), ინგრეოდა სამეურნეო ნაგებობები, არხები...). ამავე მიმართულებით მოქმედებდა მოსახლეობის დატყვევება, ათასობით ტყვის გაყვანა ირანსა და ოსმალეთში.

ყიზილბაშობისა და ოსმალობის გამოვლინება იყო ტყვის-სყიდვა და „ლეკიანობა", რომელთაც გამანადგურებელ ომებზე უფრო მძიმედ დააზარალეს საქართველოს მოსახლეობა. ტყვის-სყიდვაც და „ლეკიანობაც" ორგანულად დაუკავშირდა შინაკლასობრივი ბრძოლის ყველაზე მახინჯ ფორმებს ფეოდალურ საქართველოში.

ყველა ამასთან ერთად ქართველი გლეხკაცობის ისედაც აუტანელ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა სათათრო ხარკი (თითქმის მუდმივი მოვლენა შუა საუკუნეების საქართველოში). სახელმწიფო, სამოხელეო, საბატონო, საეკლესიო გადასახადები და სათათრო ხარკი, ყველა ერთად აღებული, აჩანაგებდა ქართველ გლეხს, მის თვალში მეურნეობის წარმოება აზრს ჰკარგავდა, გლეხი ხიზნობა-ბოგანობის გზას დაადგა.

ასეთ ვითარებაში ბატონყმობას, ფეოდალური ეკონომიკის განვითარების ნაყოფს, არ შეიძლებოდა არ მიეღო მახინჯი ფორმა, არ შეიძლებოდა შეექმნა პირობები განვითარების გვიანფეოდალურ ხანაში გადასასვლელად. და თუ აღმოსავლეთ ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში მიეიღეთ ნახევრადპატრიარქალური-ნახევრადფეოდალური წყობის ბატონობა, საქართველოში ბატონყმობის ეკონომიური ფუნქციები ისეთნაირად გადაგვარდა, რომ სამეურნეო განვითარების შეფერხების პირობად იქცა. საქართველო პოლიტიკურად სწორედ ასეთმა ბატონყმობამ დაშალა (XV საუკუნეში) და არა იმ ბატონყმობამ, რომელიც საქართველოს ეკონომიური აღმავლობის შესაბამისი იყო XII — XIII საუკუნეებში.

ერთსა და იმავე ფორმებში განვითარებული ისტორიული მოვლენები (ომები და შემოსევები, მომთაბარეთა გაუთავებელი რბევა-თარეში, მოსახლეობის გაწყვეტა, მშვიდობიანი ცხოვრებისა და შრომის პირობების მოშლა, სოფლის მეურნეობის გაპარტახება, ვაჭრობა-ხელოსნობის შემცირება, ქალაქების დაცემა, ფეოდალური ექსპლოატაციის გაძლიერება) ერთნაირ მდგომარეობას ქმნიან საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში.

---

[1] Н. Бердзенишвили. Очерк из истории феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.), Тбилиси, 1938, გვ. 10—11.

ამ თვალსაზრისით „გვიანფეოდალური ხანა“ როგორც ფეოდალური საქართველოს, ისე ფეოდალური მახლობელი აღმოსავლეთის მიმართ მხოლოდ პირობითი მნიშვნელობით შეიძლება გამოვიყენოთ, და ეს მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალიზაციის პროცესი დასახელებულ ქვეყნებში დამთავრებულია. ამის შემდეგ ცხადია, საქმე უნდა გვქონდეს ძველ ურთიერთობათა დაშლასთან და ახალის განვითარებასთან, მაგრამ ფაქტიურად ვიღებთ (საუკუნეთა სიგრძეზე) ფეოდალურ ურთიერთობათა კონსერვაციას, უკიდურესად ჩამორჩენილ ფეოდალურ ეკონომიკას, რომლის საფუძველზეც წარმოიშვება კიდევ უფრო ჩამორჩენილი პოლიტიკური წყობილება (სახანოები ირანში, სანჯაყები ოსმალეთში, სათავადოები საქართველოში).

ცნობილია: სოციალური განვითარების თვალსაზრისით XIII საუკუნეში საქართველო აღწევს ფეოდალურ ურთიერთობათა ისეთ საფეხურს, როცა „ამის შემდგომი განვითარება ამ ურთიერთობის დაშლის ტენდენციების ზრდის ნიშნის ქვეშ, ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვის ნიშნის ქვეშ შეიძლებოდა მხოლოდ“[1]. გვიანფეოდალური ხანა ამ მომენტიდან უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და ის, რასაც გვიანფეოდალური ხანა გულისხმობს, სოციალური და ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით, არც ჩანს გვიანდელი შუა საუკუნეების საქართველოში.

საქართველო მტრული ბარბაროსული ქვეყნებით გარემოცული აღმოჩნდა. „მართალია, საქართველო გადაურჩა მტერთა მიერ უშუალო დაპყრობას, მან შეინარჩუნა თავისი სოციალ-ეკონომიური (პროგრესული) წყობა, სამაგიეროდ, ქვეყნის შიგნით თავი იჩინა სოციალ-ეკონომიური განვითარების შეფერხების მძიმე შედეგებმა. სოციალურად ზრდა-დასრულებული ქართული ფეოდალური საზოგადოება დაიჩიხა. მას განვითარებისათვის საჭირო პირობები მეტისმეტად შეეზღუდა“[2]. ამის შედეგია განვითარების შეფერხება, შედგომა, ხოლო შემდეგ ეკონომიური რეგრესი.

ქართული წარმოება-მეურნეობა, მართალია ახლაც განსხვავდება აღმოსავლური წარმოება-მეურნეობისაგან, ქართული საგადასახადო სისტემაც აღმოსავლურთან შედარებით პროგრესულია, მაგრამ ქართული ფეოდალური საზოგადოების მდგომარეობა აღმოსავლურს იმით უახლოვდება, რომ სერიოზულად შეფერხებულია შრომის პირობების, თვით საწარმოო საშუალებების რეპროდუქცია და, მეტნაკლებად, წარმოების გაფართოების შესაძლებლობა.

მაგრამ ნაგვიანევ შუა საუკუნეებში საქართველოს ჩამორჩენილობის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი იყო მომთაბარეების მეზობლობა, მათი განუწყვეტელი რბევა-თარეში (ამის თანმხლები მოვლენებით: ტყვევნა, ტყვის-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, გვ. 125. ხაზი ავტორისაა.

[2] ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 127.

სყიდვა, „ლეკიანობა“), საქართველოს ისეთი სახელმწიფოებით გარემოცვა, სადაც საწარმოო ძალების განვითარება მეტისმეტად იყო შეზღუდული.

ყიზილბაშთა ირანის და ოსმალეთის ბატონობამ ხელოვნურად გაახანგრძლივა განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდი მახლობელ და შუა აღმოსავლეთში.

ყიზილბაშთა ირანში თუ ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალურ სახელმწიფოში ჩამორჩენილ ეკონომიურ ურთიერთობათა ბაზისს არ შეიძლებოდა წარმოეშვა ახალი, პროგრესული კლასი, რომელიც ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის და ფეოდალური ეკონომიკის რღვევის საფუძველზე ქვეყანას განვითარების ახალ გზაზე გამოიყვანდა.

ახალი და მოწინავე ელემენტი (ქალაქებში), თუკი იგი წარმოიშობოდა ეკონომიური აღმავლობის პერიოდში, ჩანასახის ფორმას ვერ ცილდებოდა, რადგან მისი განვითარებისათვის საჭირო პირობა არ არსებობდა. სასაქონლო წარმოებას, რომელიც მომსახურებას უწევდა აღმოსავლურ ფეოდალიზმს, არ წარმოუშვია კაპიტალისტური წარმოებისათვის საჭირო ზოგიერთი პირობაც კი.

სასაქონლო წარმოების ეკონომიური ფუნქცია შეზღუდული იყო მეურნეობის არქაული ფორმებით. მარქსი მიუთითებდა, რომ ოსმალეთი შეუთავსებელი იყო კაპიტალისტურ წყობასთან XIX საუკუნეშიც კი.

ოსმალეთში, აღნიშნავდა ენგელსი, შეძენილი ზედმეტი ღირებულება დაცული არ იყო სატრაპებისა და ფაშების ხელისაგან[1]. მოხელეს (ფაშას) ენგელსი თვლიდა ექსპლოატაციის მთავარი აღმოსავლური ფორმის განმხორციელებლად: „Сатрап — иначе паша — олицетворяет собой главную восточную форму эксплоатации“[2]. ასევე იქცეოდნენ აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების მოხელე-ფეოდალები.

მოხელე აღმოსავლეთში მწარმოებელი საზოგადოების ნამდვილი „მჭამელი“ იყო. დაცული არ იყო არც ვაჭრის პიროვნება და მისი საკუთრება — ძირითადი პირობა ბურჟუაზიული შეძენისა[3]. ძალადობა ხელოსნების მიმართ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ხელოსნები ყიზილბაშთა სახელმწიფოში, ისევე როგორც ადრე ილხანთა ირანში, XVII საუკუნემდე მიმაგრებული იყვნენ დაზგებზე („შაჰის ქარხნები“).

ქალაქების ზრდა და ფართოდ გაჩაღებული ვაჭრობა-ხელოსნობა XIV ს-ის მახლობელ აღმოსავლეთში ანდა XVI ს-ის დამლევის და XVII ს-ის პირველი მეოთხედის ირანში შეპირობებული იყო დროებით მოქმედი ფაქტორებით (სავაჭრო-სატრანზიტო გზების გადანაცვლებით) და არა შესაფერისი ეკონომიური პირობებით. აღმოსავლური ქალაქი ინარჩუნებდა ფეოდალურ ხასიათს და გასაქანს არ აძლევდა ახალ სოციალურ ძალებს. აქაური ქალაქების ვაჭრული კაპიტალის დასახასიათებლად ზედგამოჭრილია მარქსის სიტყვები, რომ „ვაჭრული კაპიტალის დამოუკიდებელი განვითარება შებრუნებულ შეფარდებაშია საზოგადოების საერთო ეკონომიურ განვითარებასთან“[4].

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., ტ. XVI, ნაწ. 2, გვ. 22.
[2] იქვე, ტ. XXVII, გვ. 234.
[3] იქვე, ტ. XVI, ნაწ. 2, გვ. 22.
[4] კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 1, გვ. 285.

ექსტენსიური ხასიათის მატარებელი იყო მიწის ექსპლოატაციაც. განსაკუთრებით ითქმის ეს ყიზილბაშთა სახელმწიფოზე, სადაც მეცხვარეობა და, საზოგადოდ, მეჯოგეობა, წარმოადგენდა წარმოების დამოუკიდებელ დარგს და, ამდენადვე, მიწის მეტნაკლებად საერთო ექსპლოატაციის პირობებში, ექსპლოატაცია თავიდანვე ექსტენსიურ ხასიათს ატარებდა.

ფეოდალური ექსპლოატაცია აღმოსავლეთში ბასკაკური, მძარცველური ხასიათის მატარებელი იყო. ყოველივე და ყველაფერი „ბარბაროსული ფეოდალიზმის" საგადასახადო სისტემას ექვემდებარებოდა. და როცა, მაგალითად, სტამბოლის მეჩეთებში იანიჩრები საგადასახადო დავთრებით ვაჭრობდნენ[1], ადვილი წარმოსადგენია მწარმოებელი საზოგადოების მდგომარეობა იქ, სადაც ეს დავთრები გადასახადების ასაკრეფად მიჰქონდათ.

მარქსი ოსმალეთის იმპერიის გამძლეობის საიდუმლოებას ნახულობდა იმაში, რომ აქ დაუსრულებლივ, ბუნების მოვლენების მსგავსად, ერთსა და იმავე ფორმებში ვლინდებოდა და მეორდებოდა აღწარმოება და ხელუხლებლად ტოვებდა ძველ წარმოებით ურთიერთობას[2]. მარქსის ეს დებულება შეიძლება თამამად მივუყენოთ ფეოდალური აღმოსავლეთის უკლებლივ ყველა ქვეყანას.

მარევოლუციონერებელი როლი არ შეიძლებოდა შეესრულებინა არც აღმოსავლეთში განვითარებულ მევახშეობას. მევახშეობის აზიურ ფორმებთან დაკავშირებით მარქსი წერს: „ყოველი წინაკაპიტალისტური წარმოების არსებობის დროს მევახშე რევოლუციურ როლს ასრულებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი არღვევს და სპობს საკუთრების ფორმებს, რომელთა მტკიცე საფუძველზე და ერთსა და იმავე ფორმაში დამყარებულია ქვეყნის პოლიტიკური წყობილება. აზიური ფორმების არსებობისას მევახშეობას შეიძლება ადგილი ქონდეს ძალიან დიდხანს ისე, რომ მან სხვა არა გამოიწვიოს რა გარდა ეკონომიური დაცემის და პოლიტიკური გათახსირებისა. მხოლოდ იქ და მაშინ, სადაც და როდესაც კაპიტალისტური წარმოების წესის დანარჩენი პირობები მოიპოვება, მევახშე წარმოადგენს ახალი წარმოების წესის ერთ-ერთ საშუალებას მით, რომ იგი ერთი მხრივ ანადგურებს ფეოდალებს და წვრილ მწარმოებლებს და მეორეს მხრივ, ცენტრალიზაციას აძლევს შრომის პირობებს და აქცევს მას კაპიტალად"[3].

აღმოსავლეთში მიმდინარე დიდი სოციალური მოძრაობანი და გლეხთა აჯანყებები ხელს უწყობდნენ მეურნეობის პროგრესული ფორმებისათვის ბრძოლას, მაგრამ ხელუხლებლად ტოვებდნენ წინანდელ ეკონომიურ პირობებს. ენგელსი საგანგებოდ აღნიშნავდა, თუ როგორ და რითი მთავრდებოდა

---

[1] Смирнов. Кучибей Гомурджинский и другие османские писатели о причинах упадка Турции, СПб. 1873, გვ. 141; ნაიმას ისტორიაშიც აღნიშნულია: „სიფაჰთა ნაწილებს ჯიზიას დავთრები გადასცეს, [რომლებიც] მათ გაჰყიდეს სულთან მეჰმედის [მეჩეთში]".

[2] კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 311.

[3] იქვე, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 128.

აჯანყებები სპარსეთსა და სხვა მაჰმადიანურ ქვეყნებში[1]. მისი სიტყვით, რელიგიურ სამოსელში გამოხვეული ეს მოძრაობანი გამომდინარეობდნენ ეკონომიური მიზეზებიდან, მაგრამ თვით გამარჯვების შემთხვევაში ხელუხლებლად ტოვებდნენ ძველს ეკონომიურ პირობებს. ამგვარად, ყველაფერი ძველებურად რჩებოდა და შეტაკებანი პერიოდულ ხასიათს იღებდნენ[2]. ენგელსი მუსლიმანური აღმოსავლეთის მოძრაობებს უპირისპირებდა „ქრისტიანული დასავლეთის სახალხო აჯანყებებს“ რეფორმაციის პერიოდში და მიუთითებდა, რომ დასავლეთში „პირიქით, რელიგიური სამოსელი მხოლოდ დროშას წარმოადგენს და ჰფარავს თავდასხმას მოძველებულ ეკონომიურ წყობილებაზე: ეს უკანასკნელი, ბოლოს და ბოლოს, ინგრევა, მას სცვლის ახალი წყობილება, ქვეყანა წინ მიდის“[3].

საწარმოო ძალთა სუსტი განვითარება იწვევდა ეკონომიურ ურთიერთობათა უცვლელობას აღმოსავლეთში, აბრკოლებდა საზოგადოებრივ განვითარებას, ბეურნეობის უფრო მაღალ სტადიაზე და პოლიტიკური წყობილების განვითარებულ ფორმებზე გადასვლას. ამიტომ არ შეიძლება აბსოლუტიზმი დავინახოთ, მაგალითად, შაჰ-აბასის ირანში. აქ უნდა გავიხსენოთ მარქსის ნათქვამი, რომ ესპანეთის აბსოლუტიზმი გადაგვარდა ოსმალეთის ტიპის დესპოტიაში[4]. მარქსს ამით ცხადია იმის თქმა სურდა, რომ ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო შეუთავსებელი იყო აბსოლუტიზმთან.

ოსმალეთი კი შედარებით უფრო ცენტრალიზებული იყო ვიდრე ყიზილბაშური ირანის სახელმწიფო.

ამასთან ოსმალთა ბატონობის ხანაში თავისებურად იყო შერწყმული აღმოსავლური ბარბაროსობა დასავლურ ცივილიზაციასთან. მარქსი აღნიშნავს: „...восточное варварство и западная цивилизация при господстве турок так тесно переплелись между собою, что этот центр теократической империи стал настоящей преградой для распространения европейского прогресса“[5]. ოსმალეთი, მარქსის განსაზღვრით, იდგა ფეოდალიზმის უმდაბლეს, ბარბაროსულ საფეხურზე[6].

საქართველოს ისეთი სახელმწიფოებით გარემოცვას, როგორსაც ყიზილბაშური ირანი და სულთნის ოსმალეთი წარმოადგენდნენ, არ შეიძლებოდა უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობაზე. ეს თავისთავად გამომდინარეობდა აღმოსავლეთის ჩამორჩენილი სახელმწიფოების ეკონომიური ცხოვრების თავისებურებიდან. და ქართველი ხალხის

---

[1] ფ. ენგელსი. ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის, თბილისი, 1955, გვ. 19, შენ. 1.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. X, გვ. 722.

[5] იქვე, გვ. 222.

[6] იქვე, ტ. IX, გვ. 374.

ბრძოლის წარმატებაც და ქვეყნის განვითარებაც ამ გარემოცვის გარღვევაზე იყო დამოკიდებული.

მეორე მხრივ ყიზილბაშების და ოსმალების აგრესიული პოლიტიკის რეაქციული როლი საქართველოს მიმართ იმაში მდგომარეობდა, რომ აგრესორები დაეინებით ცდილობდნენ აქ მათთვის დამახასიათებელი სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შენოღებას და საქართველოს გურჯისტანის ვილაეთად გადაქცევას. საამისოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის გაუქმებას და მომთაბარეების ჩამოსახლებას.

მჭიდრო კავშირი ამ ორ ისტორიულ მოვლენას შორის უდიდეს დაბრკოლებებს უქმნიდა ქართული ფეოდალური საზოგადოების წინსვლას, მის განვითარებას.

აგრესორები შეგნებულად ზრდიდნენ მომთაბარულ ელემენტს სამიწათმოქმედო ქვეყანაში, რადგან ეს მათი პოლიტიკური წარმატების საწინდარი იყო. „მომთაბარული გადმოსახლება“ საქართველოში სრულიად გარკვეული მიზნით წარმოებდა. მომთაბარეების ჩამოსხდომა აგრიკულტურის რაიონებში ანადგურებდა განვითარებულ ფეოდალურ მეურნეობას და გადაჰყავდა იგი ექსტენსიური მეურნეობის ჩამორჩენილ და მარტივ ფორმებზე. საქართველო ისეთივე საფრთხის წინაშე იდგა, როგორშიაც აღმოჩნდა აღმ. ამიერკავკასია (აზერბაიჯანი, სომხეთი) და შუა აზია, სადაც მომთაბარეები თანდათან გავრცელდნენ და მკვეთრად დაუპირისპირდნენ მიწისმოქმედ მოსახლეობას.

აზერბაიჯანის და შუა აზიის ხალხები იმთავითვე დაკავშირებული იყვნენ სამიწათმოქმედო მეურნეობასთან, მაგრამ ისტორიული განვითარების სრულიად გარკვეულ პერიოდში, მომთაბარეთა ბატონობამ და მეჯოგური მეურნეობის განმტკიცებამ გააპირობა მათი საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა. მნიშვნელოვნად შეკვეცილი მიწათმოქმედების გვერდით ექსტენსიური მესაქონლეობის, როგორც წარმოების დამოუკიდებელი დარგის, გაბატონებამ გამოიწვია ის, რომ ამ ქვეყნების საკმაოდ განვითარებული ფეოდალური ურთიერთობა ასცდა ნორმალური განვითარების გზას და მან ნახევრადპატრიარქალური-ნახევრადფეოდალური ყოფაცხოვრების პირველყოფილი ფორმების გამოხატულება მიიღო.

მართალია, საქართველოში ელის (თურქულ-თურქმანული მომთაბარული ტომების) დასახლება ისეთი მასშტაბებით არ მომხდარა (ამას თავისი ახსნა მოეპოვება), როგორც აღმ. ამიერკავკასიასა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, მაგრამ მომთაბარეთა გადმოსახლების მუდმივი საფრთხე XIX საუკუნემდე არსებობდა.

XI საუკუნიდან მოკიდებული ქართველი ხალხი მომთაბარეების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა. ასევე დაუცხრომლად იბრძოდნენ ამიერკავკასიის მოძმე ხალხები (სომხები, აზერბაიჯანელები). ამ ბრძოლას ბუნებრივად ეხმაურებოდა და მხარს უჭერდა აღმოსავლეთის კულტურული (მიწისმოქმედი) ხალხების მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა იმავე

მომთაბარეების წინააღმდეგ, რის გაჩოც მომთაბარე ხალხებს ყველგან ერთდროულად და სწრაფად გავრცელების შესაძლებლობა არ ჰქონდათ.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნები მუდამ პირველნი ხვდებოდნენ ხოლმე მოზღვავებულ მომთაბარულ ტომებს და ხალხებს. სწორედ ამიტომ საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის გაერთიანებას, საქართველოს შორეული მისასვლელების გადაკეტვას სამხრეთ-აღმოსავლეთში. ეს დიდი პოლიტიკური წამოწყება დღის წესრიგიდან არ მოხსნილა XII — XV საუკუნეების მანძილზე. მხოლოდ XVI ს-ში განიცადა მარცხი ამიერკავკასიის პოლიტიკური გაერთიანების ამოცანამ.

სანამ აღმ. ამიერკავკასიის დაპყრობა-დამორჩილების გახანგრძლივებული პროცესი გრძელდებოდა, დამპყრობლებს საქართველოში წარმატება არ შეეძლოთ. განვითარებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფისათვის ს ა ე რ თ ო ბრძოლამ დიდი ხნით დააყოვნა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მომთაბარეების განმტკიცება, მიწისმფლობელობის ახალი წესების შესაბამისად მაჰმადიანობის გავრცელება.

სომხეთსა და აზერბაიჯანში XIII—XV სს. მიმდინარე პროცესი, აღმოსავლური მიწისმფლობელობის შემოღება-განმტკიცების ხაზით, მხოლოდ XVI საუკუნისათვის მთავრდება აღმოსავლურ მიწისმფლობელობასთან სრული დამსგავსებით. ამ დროისათვის უკვე ყველა საჭირო პირობა არსებობდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ორგანიზაციისათვის ყიზილბაშურ საფუძველზე.

დამახასიათებელია, რომ იქ, სადაც ქართველები პირველად შეხვდნენ მოზღვავებული მტრის ძალებს (ოსმალებს), აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ანალოგიური მდგომარეობა მივიღეთ: ცელილებები საადგილმამულო ურთიერთობაში და გამაჰმადიანება, რასაც თან გადაჰყვა ადგილობრივ ნიადაგზე განვითარებული პოლიტიკური ორგანიზაცია—ათაბაგის სამთავრო. მაგრამ სამაგიეროდ ქართველი ხალხის ბრძოლა ამ მიმართულებით ოსმალებს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაბატონების შესაძლებლობას არ აძლევდა.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია XVI ს-ის 40-ან წლებში ყიზილბაშებს საშუალებას აძლევდა დაეწყოთ თანამიმდევრული ბრძოლა ქართული მიწების მიტაცებისათვის.

XVI ს-ში ამიერკავკასიის მნიშვნელოვან ნაწილში ყიზილბაშები და ოსმალები ამთავრებენ თურქ-სელჩუკების, მონღოლების და თურქმანების მიერ დაწყებულ საქმეს — აღმოსავლური მიწისმფლობელობის საფუძველზე ამიერკავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ ორგანიზაციას.

ამრიგად, საქართველოს მახლობლად, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით, შუა და მახლობელი აღმოსავლეთის ვრცელ ტერიტორიაზე, საბოლოოდ გაბატონდა ნომადური ელემენტი მისთვის დამახასიათებელი ექსტენსიური მეურნეობით.

ყიზილბაშთა მიერ აღმ. ამიერკავკასიის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ორგანიზაცია XVI ს-ის 40-ან წლებში[1] ფეოდალურ საქართველოს ისეთივე

[1] Н. Бердзенишвили. Очерк..., გვ. 40.

მარცხი იყო, როგორიც იყო საქართველოს სამხრეთ ნაწილში (არტანუჯ-შავშეთში) ოსმალების მიერ სანჯაყების შემოღება იმავე საუკუნის 50-ან წლებში.

ამიერიდან მთელს ამიერკავკასიაში საქართველო ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც არც „ყიზილბაშობა“ იყო, არც „ოსმალობა“.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ყველაფერი ყიზილბაშურ ყაიდაზე მოეწყო. აქ საბოლოოდ გაბატონდა აღმოსავლური მიწისმფლობელობა, აღმოსავლური ფეოდალური ინსტიტუტები, აღმოსავლური პოლიტიკური ორგანიზაცია. დამოუკიდებელი ან ნახევრად დამოუკიდებელი მმართველები (ადგილობრივი დინასტიები) ირანის შაჰის მოხელეებმა (ბეგლარბეგებმა, ხანებმა) შეცვალეს, ხოლო წამყვანი ადგილი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ყიზილბაშურმა სამხედრო-ნომადურმა არისტოკრატიამ დაიჭირა.

ადგილობრივი ფეოდალების დიდი ნაწილი დამპყრობლებთან ომში გაწყდა, ზოგი სხვა ქვეყნებში გაიქცა, ზოგიც იძულებული იყო გამუსლიმანების და გაყიზილბაშების პირობით შერიგებოდა დამპყრობლებს. ადგილობრივმა ფეოდალებმა აღმოსავლური მიწისმფლობელობის საფუძველზე შეინარჩუნეს თავიანთი მიწები. ფეოდალი აქაც მიწას გაჰყვა ისევე, როგორც მიწას გაჰყვა ქართველი ფეოდალი გაოსმალებულ სამცხე-საათაბაგოში.

ამრიგად, თუ საქართველოში კლასობრივი ბატონობის პოლიტიკური ორგანიზაციის დაცვით ქართველი ფეოდალები იყვნენ დაინტერესებული, აღმ. ამიერკავკასიის ქვეყნებში მომთაბარული არისტოკრატია იყო დაინტერესებული მისთვის დამახასიათებელი მიწისმფლობელობის, ექსპლოატაციის წესების და კლასობრივი ბატონობის პოლიტიკური ორგანიზაციის (სახანოს) განმტკიცებით.

მაგრამ ჯერი ახლა ქართული მიწების დაპყრობაზე იყო მიმდგარი. საამისო ხელსაყრელ პირობას, დამპყრობლების თვალსაზრისით, აღმ. ამიერკავკასიაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება ქმნიდა. XVI ს-ში ყიზილბაშები და ოსმალები დაჟინებით ცდილობენ ქართული მიწისმფლობელობის გაუქმებას, რადგან ეს იყო საქართველოს ინკორპორაციის მთავარი საწინდარი.

1555 წლის ზავით ირანმა და ოსმალეთმა ამიერკავკასიის ქვეყნები შუა გაიყვეს. შუაზე გაგლეჯილი აღმოჩნდა საქართველოც. ოსმალები დასავლეთ საქართველოს ეპიდებოდნენ, ყიზილბაშები აღმოსავლეთ საქართველოს.

ახლა ქართველ ხალხს შეუდარებლად უფრო მძიმე პირობებში უხდებოდა ბრძოლა, ვიდრე მანამდე. მაგრამ 1555 წლის ირან-ოსმალეთის ზავს დაემთხვა ისეთი განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა, როგორიც იყო ყაზანის და ასტრახანის თათრული სახანოების გაუქმება. ამით ჩრდილო-აღმოსავლეთით მოირღვა ნომადური კედელი[1]. ამიერკავკასიის შეზობელი ხდებოდა ცენტრალიზებული, მრავალეროვანი რუსეთის სახელმწიფო.

---

[1] Н. Бердаеишвили. Очерк..., გვ. 21—22, 30.

რუსეთის გამოსვლამ კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობის ასპარეზზე ამიერკავკასიის ხალხთა ბრძოლას სრულიად ახალი ისტორიული პერსპექტივა დაუსახა.

ქართველი ხალხი ბრძოლას, ახალს ვითარებაშიც, უდიდეს სამსახურს უწევდნენ ამიერკავკასიის მოძმე ხალხები იმით, რომ დაჩაგრობელთა წინააღმდეგ ბრძოლას არასოდეს არ სწყვეტდნენ. ისინი ბრძოლას განაგრძობდნენ XVI — XVIII საუკუნეებშიც[1]. ამასთან ეს ბრძოლა თანდათან ვითარდება და ძლიერდება ისეთ ისტორიულ პირობებში, როცა რუსეთი სულ უფრო და უფრო უახლოვდება ამიერკავკასიას და, რაც დრო გადის, მით უფრო მყარი საფუძველი ექმნება ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლას.

ამიერკავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ ხალხებს მომთაბარეებთან ბრძოლის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება ჰქონდათ. საწარმოო ძალების განვითარების მოთხოვნილებათა მქონე ხალხების გავლენის და მოქმედების შედეგი იყო ფეოდალიზაციის ყოველი ახალი საფეხური მომთაბარეთა ბატონობის პირობებში. ადგილობრივი ფეოდალური ძალების გავლენით იყო გაპირობებული ადრეფეოდალური და განვითარებული ფეოდალიზმის ხანაც. მაგრამ განვითარების გვიანფეოდალური საფეხურის მიღწევა გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა ყიზილბაშთა და ოსმალთა სახელმწიფოებში. ყიზილბაშების და ოსმალების რეაქციული როლი დაპყრობილი კულტურული ხალხების მიმართ სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მათი ბატონობა ჩამორჩენილობის გადალახვის შესაძლებლობას არ იძლეოდა.

მხოლოდ ხანმოკლე შესვენების პერიოდებში (როცა არც ომები იყო და არც ყაჩაღური თავდასხმები) ვხედავთ ეკონომიურ დაწინაურებას და კულტურულ აღორძინებას XVI — XVIII სს. ამიერკავკასიაში და ბალკანეთის ქვეყნებში.

ყველა ამის გამო გასაგებია, თუ რატომ ასრულებდა მუდამ რუსეთი პროგრესულ როლს აღმოსავლეთის მიმართ (ენგელსი).

ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის მონაწილენი XVI საუკუნიდან მოკიდებული რუსეთის აღმოსავლეთში წარმატებას უკავშირებენ განვითარებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფას.

## 2. ამიერკავკასიის ძველნები და ხეფიანთა სახელმწიფო (შაჰ-თამაზ I-ის „თეზქერეს" მიხედვით)

„თეზქერე" ანუ „შაჰ-თამაზის მიერ ოსმალეთის ელჩებთან წარმოებული საუბრის ჩანაწერი" შეიცავს ირან-ოსმალეთის ომების აღწერას XVI ს-ის პირველ ნახევარში.

---

[1] П. Т. Арутюнян. Борьба армянского и азербайджанского народов за присоединение к России в 20-х годах XVIII века. Ученые записки ИВ АН СССР, т. III, 1951; მისივე, Освободительное движение армянского народа в первой четверти XVIII века, М., 1954.

ირან-ოსმალეთის ე. წ. პირველი ომი XVI ს-ის მეორე ათეულში დაიწყო (1514 წ.) და მხოლოდ 1555 წელს დამთავრდა. რადგან ირან-ოსმალეთის ამ ორმოცწლოვანი ომის ასპარეზს ძირითადად ამიერკავკასიის ქვეყნები წარმოადგენდნენ, სავსებით ბუნებრივია, რომ „თეზქერეში" სათანადოდ ასახულიყო ამიერკავკასიის საერთო პოლიტიკური მდგომარეობა აღებულ ხანაში.

ირანიც და ოსმალეთიც დაჟინებით ცდილობდნენ ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობას. დამპყრობლები ომის შედეგებს უკავშირებდნენ ამ მიზნის განხორციელებას. ამდენად, შაჰ-თამაზ I-ის „თეზქერე" წარმოადგენს დოკუმენტურ წყაროს ირან-ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკის საჩვენებლად საზოგადოდ ამიერკავკასიის ქვეყნების და, კერძოდ, საქართველოს მიმართ. ირანის აგრესიული ზრახვები კარგად გამოსჭვივის შაჰ თამაზ I-ის გარეგნულად დინჯი, აუჩქარებელი და, ამავე დროს, მარჯვედ შენიღბული თხრობიდან.

ოსმალო ელჩებს შაჰ-თამაზი შეხვდა 1562 წელს ირან-ოსმალეთის ურთიერთობის მეტად კრიტიკულ მომენტში, როცა სულთანი მოითხოვდა ირანში გაქცეული უფლისწული ბაიაზეთის გაცემას. ელჩებთან საუბარში შაჰი გამოთქვამდა ირანულ თვალსაზრისს ირან-ოსმალეთის პირველი ომის მსვლელობასა და შედეგებზე. ამრიგად, „თეზქერე" წარმოადგენს შაჰის სიტყვის ჩანაწერს, ოქმს, რომელიც უაღრესად ფრთხილსა და კრიტიკულ დამოკიდებულებას საჭიროებს. შაჰი ყველანაირად ცდილობს საქმე ისე წარმოადგინოს თითქოს ირან-ოსმალეთის ომები აღმოცენებული იყო არა სერიოზულ წინააღმდეგობებზე, არამედ გამოწვეული იყო სულთნისა და შაჰის მოხელეთა ბოროტგანზრახულობით.

შაჰ-თამაზ I-ის „თეზქერე" ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

„თეზქერეში" თანამიმდევრულადაა აღწერილი ირან-ოსმალეთის პირველი ომის (1514 — 1555 წწ.) მსვლელობასთან დაკავშირებული მოვლენები, რომელთა დიდი უმეტესობა ორგანულად უკავშირდება ამიერკავკასიის ქვეყნებს.

ირან-ოსმალეთის ომების მსვლელობა და შედეგები სცვლიდა ძალთა განწყობილებას მახლობელ აღმოსავლეთში, რომლის გამოვლინება მყისვე თვალსაჩინო ხდებოდა ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში. აგრესიული სახელმწიფოები (ყიზილბაშთა ირანი, ოსმალეთი) მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების მიხედვით „აწესრიგებდნენ" თავიანთ დამოკიდებულებას ამიერკავკასიის ქვეყნებთან. ამას სათანადო ანგარიშს უწევდნენ ამიერკავკასიაშიც, როცა აქაური ქვეყნები, ორ აგრესორს არჩევანს იძულებულნი, „უმცირესი ბოროტების" გათვალისწინების შესაფერისად მოქმედებდნენ. ცხადია, შაჰ-თამაზ I არ შეიძლებოდა არ შეხებოდა მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვითარებას, როცა ხონთქრის ელჩებთან გამართულ საუბარში ირან-ოსმალეთის ორმოცწლოვან ურთიერთობას აჯამებდა. საამისო ცნობები საკმაოდ კარგად არის ასახული „თეზქერეში".

„თეზქერეს“ შინაარსი შესაძლებლობას გვაძლევს გავითვალისწინოთ ყიზილბაშთა ირანის და ხონთქრის ოსმალეთის შინაგანი ვითარება. ყველაზე უხვი ცნობები საგანისად საკუთრივ ირანის შესახებ მოგვეპოვება. და ის გარემოება, რომ ამგვარ ცნობებს თვითონ ირანის შაჰი გვაწვდის, დოკუმენტურად ცხადჰყოფს, თუ რამდენად ჩამორჩენილი იყო ყიზილბაშთა ირანი, რომელიც ოსმალეთის მსგავსად, ფეოდალიზმის უმდაბლეს, ბარბაროსულ საფეხურზე იდგა.

შაჰ-თამაზ I საკმაოდ ვრცელ ადგილს უთმობს თავის „თეზქერეში“ ყიზილბაშური ტომების ურთიერთდამოკიდებულებას, მათ მტრობასა და შუღლს. ყველაფრიდან ჩანს, რომ მის დროსაც, ისევე როგორც მისი წინამორბედის შაჰ-ისმაილ I-ის დროს, ირანში გაბატონებული იყო ყიზილბაშური სამხედრო-ნომადური არისტოკრატია. „თეზქერეში“ დამოწმებული ცნობები, ისევე როგორც სხვა სპარსული წყაროებიდან ცნობილი ფაქტები, ერთხელ კიდევ აბათილებენ ბურჟუაზიული ორიენტალისტების იმ მტკიცებას, რომლის მიხედვით თითქოს სეფიანთა სახელმწიფოს წარმოქმნა „არიული სულის ენერგიის გამოვლინებას წარმოადგენდა“ [1]. XVI ს. დამდეგს არ წარმოქმნილა არც „ირანის ნაციონალური სახელმწიფო“, როგორც ეს არა ერთხელ აღუნიშნავს გერმანელ ირანისტს ვალტერ ჰინცს [2], რადგან საამისო პირობები არც იმ დროს და არც მომდევნო საუკუნეების ირანში არ არსებობდა. წინაალმდეგ ბურჟუაზიული ორიენტალისტების მტკიცებისა, სეფიანთა სახელმწიფოს წარმოქმნაში მონაწილეობა მიიღო არა ირანულმა ელემენტმა (ფრანც ბაბინგერის „არიელებმა“), არამედ თურქულ-თურქმანული წარმოშობის ყიზილბაშურმა ელემენტმა, რომლის გავლენა სახელმწიფოში მკვეთრად არის ხაზგასმული შაჰ-თამაზ I-ის „თეზქერეში“.

ჩვენთვის ახლა კარგადაა ცნობილი, რომ სეფიანთა სახელმწიფო XVI ს-ის დამდეგს წარმოიქმნა ყიზილბაშური მოძრაობის შედეგად.

ყიზილბაშური მოძრაობა, მისი განვითარების ადრინდელ საფეხურზე, მასიური სოციალური მოძრაობა იყო. ამ მოძრაობაში ყიზილბაშ ტომთა სამხედრო-არისტოკრატიასა და რიგით ნომადებთან ერთად, „მონაწილეობდნენ ვაჭრები, ხელოსნები, გლეხები, დერვიშები და სხვები“ [3]. ყიზილბაშური მოძრაობის იდეოლოგიურ გარსს ისლამის შიიტური მიმართულება წარმოადგენდა. შიიტობა არსებული წყობილებისადმი ოპოზიციურად განწყობილი

---

[1] F. Babinger. Marino Sanuto's Tagebücher als Quellen zur Geschichte der Safawyja. A Volume of oriental studies presented to Edward G. Brown. Cambridge, 1922.

[2] W. Hinz. Irans Aufstieg zum National Staat in XVI Jahrhundert, Leipzig, 1936. ამ თეორიების კრიტიკა იხ. პროფესორ ი. პ. პეტრუშევსკის შრომებში: Азербайджан в XVI—XVII веках, იხ. ССНА, I, Баку, 1949, და — Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX вв.

[3] И. П. Петрушевский. Азербайджан в XVI—XVII веках, გვ. 228.

და ფეოდალური ექსპლოატაციით უკმაყოფილო ნასების იდეოლოგიური დასაყრდენი იყო. ისლამის შიიტური მიმართულების დროშის ქვეშ გაერთიანებული რიგითი ნომადები, ვაჭრები, ხელოსნები და გლეხები გამარჯვების შემდეგ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებას ვარაუდობდნენ.

ამრიგად, ყიზილბაშური მოძრაობაც თავისი ფორმით და შინაარსით არაფრით არ განსხვავდებოდა შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან ცნობილი სოციალური მოძრაობებიდან, რომლებიც, თავის მხრივ, გარეგნულად რელიგიურ სამოსელში იყვნენ გამოხვეული. შიიტობა (განსაკუთრებით მისი უკიდურესი მიმართულებანი) მუდამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოციალურ მოძრაობებთან, რადგან იგი მკვეთრად უპირისპირდებოდა ორთოდოქსალურ ისლამს — სუნიტობას, რომელიც გაბატონებული ფეოდალური კლასის იდეოლოგიურ დასაყრდენს წარმოადგენდა. სახელმწიფოსა და გაბატონებული რელიგიის წარმომადგენლების მიერ დევნილი შიიტებისადმი სიმპათია მუდამ ძლიერი იყო ექსპლოატირებულ, შეიწროებულ და ათასგვარი გადასახადებით დახარკულ საზოგადოებრივ ფენებში. მაგრამ რელიგიურ გამოხატულებას არ შეიძლებოდა მიეჩქმალა სოციალური მოძრაობის გამომწვევი პოლიტიკური და ეკონომიური მიზეზები. ფრ. ენგელსი აღნიშნავდა: „ეს აჯანყებები, ისე როგორც ყველა მასობრივი მოძრაობა შუა საუკუნეებში, მუდამ რელიგიურ ნიღაბს ატარებდა... მაგრამ რელიგიური ეგზალტაციის საფარქვეშ ყოველთვის მეტად ხელშესახები ამქვეყნიური ინტერესები იმალებოდა“ [1].

გარეგნულად რელიგიურ სამოსელში გამოხვეულ ყიზილბაშურ მოძრაობასაც ჰკვებავდა და აღრმავებდა XV ს-ის დამლევისათვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიური პირობები. XV — XVI საუკუნეთა მიჯნაზე თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოში სოციალურმა წინააღმდეგობებმა უკიდურეს წერტილს მიაღწია, გაძლიერდა შინაკლასობრივი ბრძოლა თურქმან ფეოდალებს შორის, გაძლიერდა გლეხთა ექსპლოატაცია, გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა. ყველა ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა ყიზილბაშურ მოძრაობაში. არდებილის შეიხებმა სეფიანთა საგვარეულოდან და მათთან დაკავშირებულმა ყიზილბაშურმა სამხედრო-ნომადურმა არისტოკრატიამ სცადეს და შესძლეს კიდეც ამ მოძრაობის თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების საჯარგებლოდ გამოყენება. ისინი საამისოდ მიმართავდნენ სოციალურ დემაგოგიას და საზოგადოების დაბალ სოციალურ ფენებს მოუწოდებდნენ მჩაგვრელი თეთრბატკნიან თურქმანთა დინასტიის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. მაგრამ გამარჯვების შემდეგ მათ სწრაფად ზურგი უჩვენეს იმათ, ვინც აქტიურად მონაწილეობდა აყ-ყოინლუს დინასტიის დამხობაში იმის იმედით, რომ მათი მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა. ფრ. ენგელსი ირანსაც ასახელებს იმ ქვეყნებს შორის, სადაც სოციალური ბრძოლები ჩვეულებრივ ამგვარად მთავრდებოდა: „ასეთივე ან თითქმის ასევე იყო საქმის ვითარება სპარსეთსა და სხვა მაჰმადიანურ ქვეყნებში მომხდარ აჯანყებათა დროს. ყოველივე ეს

---

[1] ფ. ენგელსი. ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის, გვ. 19—20.

რელიგიურ საბოსელში გამოხვეული, ეკონომიური მიზეზებიდან გამომდინარე მოძრაობა იყო; მაგრამ გამარჯვების შემთხვევაშიც იგი ხელუხლებლად ტოვებს წინანდელ ეკონომიურ პირობებს. ამრიგად ყველაფერი ძველებურად რჩება და შეტაკებანი პერიოდულ ხასიათს იღებენ“ [1].

მართლაც ყიზილბაშთა გამარჯვებით არაფერი შეცვლილა გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს მმართველობა ერთი გაბატონებული ჯგუფის ხელიდან მეორე გაბატონებული ჯგუფის ხელში გადავიდა.

მართალია, მოძრაობაში მონაწილეობას იღებდნენ მოსახლეობის სულ სხვადასხვა ფენები, მაგრამ ხელმძღვანელ როლს ყიზილბაშური სამხედრო არისტოკრატია თამაშობდა. გამარჯვების შემდეგ სამხედრო-ნომადურმა არისტოკრატიამ ამ მოძრაობაში მონაწილე დაბალ სოციალურ ფენებს ზურგი შეაქცია. რიგითი ნომადები, ვაჭრები, ხელოსნები და გლეხები ამ მოძრაობის მხოლოდ დროებითი თანამგზავრნი აღმოჩნდნენ „და მათი იმედები თავიანთი მდგომარეობის სერიოზული გაუმჯობესების შესახებ ყიზილბაშთა გამარჯვების შემდეგ არ გამართლდა“ [2]. ხელმძღვანელი და წამყვანი პოსტი სეფიანთა სახელმწიფოში დაიკავა სამხედრო-ნომადურმა არისტოკრატიამ, რომლის გავლენა XVI ს-ის მთელს სიგრძეზე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, ვიდრე შაჰ-აბას I ყიზილბაში ამირების გავლენის შეზღუდვა-შესუსტებას შეეცდებოდა. XVI ს-ში „მხოლოდ მათი რიგებიდან ინიშნებოდნენ ჯარის სარდლები, ოლქთა გამგებელნი და სამეფო კარის მაღალი თანამდებობის პირნი“ [3].

შაჰ-თამაზ I-ის „თეზქერე“ იმის უტყუარ მოწმობას წარმოადგენს, რომ ყიზილბაშთა სახელმწიფოშიც ძირითადად ხელუხლებელი დარჩა თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიური წყობა, სახელმწიფო წყობილება, ფეოდალური ინსტიტუტები, ექსპლოატაციის ფორმები. გლეხთა მდგომარეობა აქ ოდნავაც არ გაუმჯობესებულა. პირიქით, ირან-ოსმალეთის გაუთავებელი ომების პერიოდში გლეხთა მდგომარეობა უფრო გაუარესდა.

ამრიგად, ყიზილბაშთა სახელმწიფო წარმოადგენდა თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოს პირდაპირ გაგრძელებას. იმ გარემოებას, რომ აქ არ შეცვლილა ეკონომიური პირობები, არ შეიძლებოდა მოესპო სოციალურ მოძრაობათა გამომწვევი მიზეზები. მართლაც, XVI ს-ში ადგილი ჰქონდა გლეხების და ხელოსნების სერიოზულ გამოსვლებს [4].

შაჰ-თამაზ I-ის, „თეზქერეში“ კარგადაა გადმოცემული აღზევებული ყიზილბაში ამირების მოქმედება, მათი მჭიდრო კავშირი საკუთარ ტომებთან, რაც ცხადად მიუთითებს გვაროვნული ყოფაცხოვრების გადმონაშთებზე ყიზილბაშურ ტომებში. ძეგლში დასახელებულია ყველაზე გავლენიანი და ძლი-

---

[1] ფ. ენგელსი. დასახ. ნაშრ., გვ. 19, შენ. 1.

[2] И. П. Петрушевский. Азербайджан в XVI—XVII веках, გვ. 228.

[3] И. П. Петрушевский. Очерки, გვ. 69.

[4] И. П. Петрушевский. Восстание ремесленников и городской бедноты в Тебризе в 1571—1573 гг., გვ. 214—225.

ერი ყიზილბაშური ტომები, რომელნიც ერთმანეთს პირველობასა და უპირატესობას ეცილებოდნენ. საინტერესო ცნობები მოიპოვება აქ „ლალას“ (უფლისწულის გამზრდელის) ინსტიტუტზე, რაც ცალკეულ ყიზილბაშურ ტომებს შესაძლებლობას აძლევდა დარაზმულიყვნენ მის ტომში გაზრდილი უფლისწულის გარშემო. „თეზქერედან“ ვგებულობთ, რომ XVI ს-ის გარკვეულ პერიოდში წამყვანი იყო „ვექილის“ თანამდებობა, რომელიც, როგორც წესი, ამა თუ იმ ყიზილბაშ ამირას ხელთ იყო და არა „ვეზირის“ (სამოქალაქო ბიუროკრატიის წარმომადგენლის), რომელიც მხოლოდ შაჰ-აბასმა დააწინაურა ყიზილბაში ამირების შეზღუდვის მიზნით.

„თეზქერეში“ მკვეთრადაა წარმოჩენილი ყიზილბაშთათვის დამახასიათებელი მეჯოგური მეურნეობის წესები, ყოფაცხოვრება. ხშირად დასახელებული „ყიშლაღი“ და „იალაღი“ მოწმობს, რომ ყიზილბაშური ტომები თავიანთ ჯოგებთან ერთად მოძრაობდნენ ირანის ტერიტორიაზე და აღმ. ამიერკავკასიის იმ ნაწილებში, სადაც მათ თავიანთი მდგომარეობის განმტკიცება შესძლეს.

ყიზილბაშთა სახელმწიფო თავისი ბუნებით და ხასიათით წარმოადგენდა ნომადური ტიპის სახელმწიფოს, რომლის შემოსავლის წყაროებს შეადგენდა ომი და გლეხთა აღვირახსნილი ექსპლოატაცია. მიწისმოქმედი ირანელები (აგრეთვე ირანელი მოქალაქეები, ხელოსნები) ყიზილბაშების მიერ ისევე იყვნენ დაპყრობილი, როგორც მანამდე თეთრბატკნიან თურქმანებს ჰყავდათ დაპყრობილი. გაბატონებული ფეოდალური კლასის მთავარსა და ყველაზე პრივილეგირებულ ჯგუფს წარმოადგენდა ყიზილბაშური სამხედრო-ნომადური არისტოკრატია, რომელსაც მდგომარეობით ვერ გაუტოლდებოდნენ ირანული წარმოშობის ფეოდალური ჯგუფები (ძველი ირანული ფეოდალური სახლების ჩამომავალი მელიქები, სასულიერო ფეოდალები, სამოქალაქო ბიუროკრატიის წარმომადგენლები). ცნობილი ფაქტია, რომ შაჰ-აბასამდე ირანელს ირანში არ შეეძლო მხედარი ყოფილიყო და იარაღი აესხა. დამახასიათებელია, რომ „თეზქერე“ ირანის მოსახლეობას ორ მთავარ ჯგუფად ჰყოფს: „მ ო ლ ა შ ქ რ ე ე ბ ა დ და რ ა ი ა თ ე ბ ა დ“ [1].

ყიზილბაშური სამხედრო-ნომადური არისტოკრატია, რომელიც საჭიროდ არ სთვლიდა მეურნეობის წარმოებას და მხოლოდ ომსა და ძარცვაგლეჯაზე ეჭირა თვალი, ყოველნაირად აბრკოლებდა საწარმოო ძალების განვითარებას. სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის ბატონობა მხოლოდ ქვეყნის ჩამორჩენილობას აპირობებდა.

ყიზილბაშებს არ შეიძლებოდა უარყოფითი გავლენა არ მოეხდინათ იმ ქვეყნების განვითარებაზე, სადაც ისინი გაბატონებას ახერხებდნენ. მომთაბარე-მეჯოგე ყიზილბაშები, ისევე როგორც ოსმალები, თავიანთი ბატონო-

---

[1] „თ ე ზ ქ ე რ ე“. ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი, დორნის კატალოგი № 302. გვ. 108.

ბით ამიერკავკასიის ქვეყნებში მხოლოდ მეურნეობის დაქვეითების პირობებს ქმნიდნენ.

სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის გავლენა განპირობებული იყო იმითაც, რომ შაჰის მთავარ დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა ფეოდალური ლაშქარი, რომლის მოლაშქრეებად მხოლოდ მომთაბარე ტომებიდან გამოსული ყორჩიები იყვნენ. ტომის ბელადები — ამირები — შაჰისათვის გაწეული სამხედრო სამსახურისათვის ცენტრალური ხელისუფლებისაგან იღებდნენ მიწებს მასზე მსხდარი გლეხებითურთ. სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის წარმომადგენლები მსხვილი მიწათმფლობელებიც იყვნენ.

მიწისმფლობელობა მათ შესაძლებლობას აძლევდა ეწარმოებინათ გლეხთა აღვირახსნილი ექსპლოატაცია. მიწის ფეოდალური საკუთრების გაბატონებულ ფორმას ამ დროს წარმოადგენდა „თიული“, რომელიც სამსახურის სანაცვლოდ ეძლეოდათ ყიზილბაშ ამირებს. ყიზილბაშ ფეოდალებს შორის დაუსრულებელი ქიშპი არსებობდა მიწისმფლობელობისათვის, მათი ტერმინოლოგიის მიხედვით „ოჯახისათვის“, რომელიც მთელი ტომის საქმელს წარმოადგენდა და გლეხთა უსაზღვრო ექსპლოატაციით საზრდოობდა. ყიზილბაში ფეოდალები ერთმანეთს ებრძოდნენ თანამდებობებისათვის, რადგან თანამდებობებთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული მიწისმფლობელობა. მიწისმფლობელობა განსაზღვრავდა ყიზილბაში ამირების დამოკიდებულებას ცენტრალურ ხელისუფლებასთან. „ეს ამირები შაჰის ხელისუფლების ერთგული რჩებოდნენ იმდენად, რამდენადაც შაჰისაგან იღებდნენ სახელმწიფო საპატიო და შემოსავლიან თანამდებობებსა და მიწებს“[1]. ყიზილბაშ მომთაბარე ტომთა შორის ყველაზე გავლენიანი ტომები იყო: შამლუ, რუმლუ, თექელუ, უსთაჯლუ, ყაჯარი, ავშარი და ზულყადარი. შაჰ-ისმაილმა სწორედ ამ ტომთა დახმარებით მიაღწია გადამწყვეტ გამარჯვებას თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოზე და საფუძველი ჩაუყარა ყიზილბაშთა ანუ სეფიანთა სახელმწიფოს XVI ს-ის დამდეგს.

აღზევებული ყიზილბაში ამირები სეფიანთა სახელმწიფოს არსებობის პირველი დღეებიდანვე ცდილობდნენ მოეპოვებინათ პირველობა და უპირატესობა შაჰის კარზე. მათმა ასეთმა მისწრაფებამ განსაკუთრებით იჩინა თავი შაჰ-თამაზ I-ის დროს.

„თეზქერეს“ სათანადო ცნობები შესაძლებლობას გვაძლევს გავითვალისწინოთ ყიზილბაშთა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიური სურათი, თვალი გავადევნოთ ყიზილბაში ამირების ურთიერთშორის წარმოებულ ბრძოლას თიულებისა და უპირატესობისათვის სახელმწიფოში.

1534 წელს ოსმალეთმა განაახლა ომი ყიზილბაშთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. განახლებული ომის მომენტებს შაჰ-თამაზი უკავშირებს ულამა-თექელუს, აგრეთვე ალყას-მირზას აჯანყებებს და ოსმალო სარდლის ისკანდერ-ფაშას მტრულ მოქმედებას „გურჯისტანში“.

---

[1] И. П. Петрушевский. Очерки, გვ. 106.

„თეზქერეში“ დაცული ცნობების ისტორიულ-კრიტიკული ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს აღვადგინოთ ამიერკავკასიის ქვეყნების (აზერბაიჯანის (შირვანის, შაქის), სომხეთის, საქართველოს (სამეფო-სამთავროების) არა ერთი საყურადღებო მომენტი, — დაკავშირებული ოსმალო-ყიზილბაშების აგრესიასთან, მათს ბატონობასთან ანდა მათთან ურთიერთობის თავისებურებასთან.

„თეზქერეში“ განსაკუთრებით უხვი და საყურადღებო ცნობები მოგვეპოვება იმ საკითხის შესასწავლად, თუ როდის და როგორ იქმნება პირობები ნახევრადპატრიარქალური-ნახევრადფეოდალური წყობისათვის აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ფეოდალური განვითარების უმდაბლეს საფეხურზე მდგარმა დამპყრობლებმა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შემოიღეს (აქაური მიწების დატაცების ხარჯზე) მათთვის დამახასიათებელი მიწისმფლობელობის წესები, გააბატონეს ფეოდალური ექსპლოატაციის აღმოსავლური ფორმები.

ამიერკავკასიის კულტურული (მიწისმოქმედი) ხალხებისათვის მიუღებელი „ყიზილბაშობა“ (ყიზილბაშური სოციალურ-პოლიტიკური წყობილება) და „ოსმალობა“ (ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური წყობილება) აპირობებდა ამ ხალხთა ეკონომიურ დაქვეითებას და, ამდენადვე, გარდაუვალ დაბრკოლებას უქმნიდა მათ პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას, მათს მომავალს. ამის შეგნება ძლიერი იყო ამიერკავკასიის ხალხთა შორის უკვე XV ს-ში (შავბატკნიან და თეთრბატკნიან თურქმანთა ბატონობის ხანაში). განსაკუთრებით გაძლიერდა ეს შეგნება XVI საუკუნეში — ირან-ოსმალეთის აგრესიის შავბნელ ხანაში. სწორედ ამიტომ ამიერკავკასიის ხალხები თანაბრად იყვნენ დაინტერესებული რუსეთთან ურთიერთობის დამყარებით და ამ ურთიერთობის განვითარებით.

„თეზქერეში“ დაცული სათანადო ცნობების ანალიზი გვაძლევს მასალას ამიერკავკასიის ხალხთა იმ პოლიტიკური განწყობილების გასაგებად, რომელიც უშუალოდ უკავშირდება რუსეთთან ურთიერთობის საკითხს. შემთხვევით არ აიხსნება, რომ ეს საკითხი აქტუალურად დაისვა სწორედ XVI საუკუნეში, როცა „ოსმალობამ“ თუ „ყიზილბაშობამ“ არა ერთი პოლიტიკური ერთეული გააქრო ამიერკავკასიაში. შაჰ-თამაზ I-ის ცნობები, საიდანაც ჩანს თუ როგორ დიდ ზიანს აყენებდა ირან-ოსმალეთის ომები ამიერკავკასიის ქვეყნებს და აქაურ ბინადარ მიწისმოქმედ მოსახლეობას, საუკეთესო მასალაა ზემოაღნიშნული საკითხის შესასწავლად.

ამავე დროს, მუდამ გათვალისწინებული უნდა გვქონდეს, რომ ამ ცნობებს გვაწვდის არა აღწერილი მოვლენების უბრალო თანადამხდური და თვითმხილველი, არამედ თვითონ ყიზილბაშური აგრესიის განმახორციელებელი, ამიერკავკასიის ქვეყნების გამანადგურებელ ღონისძიებათა გამტარებელი ირანის შაჰი. ამ ცნობებს იგი იძლევა ოსმალო ელჩებთან ოფიციალურ საუბარში და სრულიად გარკვეული მიზნით, მაგრამ ისტორიული სურათის აღსადგენად საინტერესოა, როცა შაჰი ასახელებს დანგრეულ ქალაქებს და გადამწვარ სოფლებს, რომელთა დიდი უმეტესობა თითქმის უკლებლივ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მოდის.

ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიაში XVI საუკუნე განსაკუთრებული ძნელბედობის ხანაა. ყიზილბაშები და ოსმალები დაჟინებით ცდილობენ ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობას. ისინი XVI საუკუნის დამდეგიდანვე ახორციელებენ აგრესიულ პოლიტიკას ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ. მათი მიზანია: მოუსპონ ამიერკავკასიის ქვეყნებს და ხალხებს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა, გადააქციონ ამიერკავკასიის ქვეყნები ირანის თუ ოსმალეთის პროვინციებად.

ოსმალები, ისევე როგორც ყიზილბაშები, დაჟინებით ცდილობდნენ ამიერკავკასიის ქვეყნებში გაბატონებას. საქმე ისაა, რომ ამიერკავკასია მეტად ხელსაყრელ პოზიციას წარმოადგენდა „ირანთან ომის დროს, რომელსაც ოსმალეთი ამ მეზობლის დაპყრობის მიზნით აწარმოებდა“ [1]. ამას გარდა, ოსმალეთი დაინტერესებული იყო აღმ. ამიერკავკასიის, განსაკუთრებით აბრეშუმით მდიდარი შირვანის დაპყრობით და. იმ სავაჭრო-სატრანზიტო გზის ხელში ჩაგდებით, რომლითაც დას. ევროპას მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნები უკავშირდებოდა. ოსმალეთის ასეთ ბრძოლებას წინ ეღობებოდა სეფიანთა ირანი, რომელიც თავის მხრივ პრეტენზიას აცხადებდა ამიერკავკასიის ქვეყნებზე. სწორედ ამან მისცა დასაბამი იმ გაუთავებელ ომებს, რომლებიც XVI საუკუნის დასაწყისშიეე გაჩაღდა ირანსა და ოსმალეთს შორის და ამ საუკუნის თითქმის მთელ სიგრძეზე წარმოებდა. ეს აგრესიული ომები გარეგნულად რელიგიურ საბურველში იყო გამოხვეული, მაგრამ რელიგიური მოტივები ამ ომების მხოლოდ იდეოლოგიური დასაყრდენი იყო. სინამდვილეში „ეს ომები წარმოებდა არაბული ერაყის ხელში ჩასაგდებად, ქურთისტანისა და უმთავრესად ამიერკავკასიის ხელში ჩასაგდებად, მდიდარი ნედლეულისა და წიაღისეულის დასაპატრონებლად, აგრეთვე იმ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო გზებზე კონტროლის დასამყარებლად, რომლებიც აზერბაიჯანისა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გადადიოდა და ევროპასა და აზიას აკავშირებდა“ [2].

ირანთან ომის დროს ოსმალეთისათვის ამიერკავკასიის ხელში ჩაგდებას ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ „კასპიის ზღვის სანაპიროების დაუფლების შემთხვევაში, ოსმალეთს შეეძლო მდგომარეობა შეემსუბუქებინა და ურთიერთობა განემტკიცებინა შუა აზიის ოზბეგთა სახანოებთან, რომლებიც XVI ს-ში განუწყვეტლივ ეომებოდნენ ყიზილბაშთა სახელმწიფოს“ [3].

ოზბეგები ოსმალების ბუნებრივ მოკავშირეებს წარმოადგენდნენ ყიზილბაშების წინააღმდეგ ომში. საქმე ისაა, რომ ოზბეგები აღმოსავლეთიდან უტევდნენ ხოლმე ირანს სწორედ იმ დროს, როცა ოსმალები ირანის წინააღმდეგ მოქმედებდნენ. ოზბეგები, რომლებიც ხორასანისათვის იბრძოდნენ, ოსმალებთან მოკავშირეობითაც ცდილობდნენ ყიზილბაშების დასუსტებას

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, გვ. 300.

[2] М. С. Иванов. Очерк истории Ирана, 1952, გვ. 60—61.

[3] И. П. Петрушевский. Азербайджан в XVI—XVII веках, გვ. 262.

ხორასანში. ამ კავშირის განმტკიცებას ოსმალეთი უკავშირებდა რელიგიურ ფაქტორს, ერთმორწმუნეობას (ოზბეგები ოსმალების მსგავსად სუნიტები იყვნენ).

ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობას ოსმალეთი სრულიად გარკვეული მიზნით ცდილობდა. „ამიერკავკასიისა და კასპიისზღვისპირა სანაპიროს ხელში ჩაგდებას ოსმალებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივი სიმდიდრის — ბაქოს ნავთისა და მარილის, შირვანისა და გილანის აბრეშუმის, მატყლის, სპილენძისა და ვერცხლის ხელში ჩაგდების თვალსაზრისითაც"[1]. დამპყრობელი ყიზილბაშების და ოსმალების წინააღმდეგ შეუპოვრად იბრძოდნენ როგორც ამიერკავკასიის ქრისტიანული ქვეყნები (სომხეთი, საქართველო), ისე მუსლიმანური ქვეყნები (შირვანი, შაქი...). ამიერკავკასიაში „ურწმუნოთა" წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგს, რასაც თანაბრად იყენებდნენ ოსმალებიც და ყიზილბაშებიც, არ შეიძლებოდა მიეჩქმალა დამპყრობელთა ნამდვილი განზრახვები ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ.

XVI საუკუნისათვის ამიერკავკასიის ქვეყნები ეკონომიური განვითარებით და პოლიტიკური მდგომარეობით ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ.

ამ დროისათვის აზერბაიჯანი არ წარმოადგენდა ერთ მთლიან სახელმწიფოს. მის სამხრეთ ნაწილში (სამხრეთ აზერბაიჯანი ქ. თავრიზითურთ) გაბატონებული იყვნენ მომთაბარე ყიზილბაში ტომები, ხოლო ჩრდილო აზერბაიჯანში შაქი და შირვანი ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. მათი დამოკიდებულება ყიზილბაშთა სახელმწიფოსთან, XVI ს-ის გარკვეულ პერიოდამდე, ვასალიტეტზე იყო დაფუძნებული. შაქიც და შირვანიც XVI საუკუნის დასაწყისისათვის ეკონომიურად დაწინაურებულ ფეოდალურ ერთეულებს წარმოადგენდნენ. ამ ფეოდალური ქვეყნების ეკონომიური დაწინაურება განპირობებული იყო იმით, რომ იქ ძველთაგანვე მისდევდნენ კულტურულ მეურნეობას და აბრეშუმის დიდი რაოდენობით წარმოებას, რაც უცხოეთთან ვაჭრობის მთავარ საგანს წარმოადგენდა.

1444 წლიდან მოყოლებული, ვიდრე 1551 წლამდე, ე. ი. სანამ შაქი დაკარგავდა დამოუკიდებლობას და მას სეფიანთა სახელმწიფო შეეერთებდა, იქ მმართველობას ახორციელებდა ყარა ქეშიშ-ოღლის დინასტია; შირვანს კი (1538 წლამდე) შირვანშაჰების დერბენდული დინასტია განაგებდა. ეს დინასტია აქ 1382 წლიდან ბატონობდა და ენერგიულად იბრძოდა შირვანის დამოუკიდებლობისათვის.

XVI ს-ის პირველ ნახევარში შირვანი და შაქი არა ერთხელ გაერთიანებულა ყიზილბაშთა აგრესიის წინააღმდეგ. როდესაც ყიზილბაშებმა მოახდინეს შირვანის ინკორპორაცია (1538), შირვანელთა დასახმარებლად დაუყოვნებლივ გამოვიდა შაქის მმართველი დერვიშ მოჰამედხანი. მას კარგად ესმოდა, რომ შირვანის დაპყრობით ყიზილბაშები

---

[1] И. П. Петрушевский. Азербайджан в XVI—XVII веках, გვ. 262.

არ დაკმაყოფილდებოდნენ და დღის წესრიგში ახლა შაქის დაპყრობას დააყენებდნენ. აკად. ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, თუ როგორ გაძნელა ქართველი ხალხის ბრძოლა ყიზილბაში დამპყრობლების წინააღმდეგ შირვანის და შაქის ინკორპორაციამ[1]. ამ მოვლენის შეფასებისას აკად. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, რომ შაჰ-თამაზ I-ს აღმ. ამიერკავკასიის სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია ახალ საფუძველზე საქართველოს წინააღმდეგ აქტიური მოქმედებისათვის სჭირდებოდა[2].

ყიზილბაშთა სახელმწიფო განსაკუთრებით დაინტერესებული იყო აბრეშუმით მდიდარი შირვანის დაპყრობით. შაქიც და შირვანიც ძველთაგანვე განთქმული იყვნენ თავიანთი აბრეშუმით, რომელიც უმთავრესად უცხო სახელმწიფოებში გაჰქონდათ. ცნობილია რომ ევროპის სახელმწიფოები დიდად იყვნენ დაინტერესებული კასპიისზღვისპირა ქვეყნებთან აბრეშუმით ვაჭრობით. გილანის აბრეშუმთან ერთად დიდი მოთხოვნილება იყო შაქისა და შირვანის აბრეშუმზე. ევროპის სახელმწიფოებისათვის ამ ქვეყნებთან აბრეშუმით ვაჭრობის მნიშვნელობის წარმოსადგენად საკმარისია აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ „მე-12 საუკუნეში გენუელებმა გილანის აბრეშუმის გატანის მიზნით გადაიტანეს თავიანთი გემები შავი ზღვიდან კასპიის ზღვაში, რაც ერთადერთი მაგალითია ისტორიაში“[3].

ევროპელებს კასპიისზღვისპირა ქვეყნებში შეჰქონდათ თავიანთი საქონელი, რასაც ადგილობრივ აბრეშუმზე ცვლიდნენ.

შემახა, ბაქო, განჯა და დარუბანდი აბრეშუმით ვაჭრობის ცენტრებს წარმოადგენდნენ. დასახელებული ქალაქები, ევროპელი მოგზაურების ცნობებით, განვითარებულ და კეთილმოწყობილ ქალაქებს წარმოადგენდნენ. ამას მოწმობენ აქ აშენებული სასახლეები და აზერბაიჯანული ხელოვნების სხვა ნიმუშები. წყაროების მიხედვით, განვითარებული ჩანს ხელოსნობაც. შირვანშაჰთა აღმშენებლობითი საქმიანობის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ თუნდაც ის ციხე-გალავანი, რომელიც ქ. ბაქოს ჰქონდა შემოვლებული ან ქალწულის კოშკი და შირვანშაჰთა სასახლე, რომელიც ჯერ კიდევ XV საუკუნეში იქნა აგებული შირვანშაჰ ხალილულაჰ I-ის (1417 — 1462) ზეობის წლებში.

XV ს-ში შირვანი წარმოადგენდა ეკონომიურად დაწინაურებულ ქვეყანას. ამას აღნიშნავს არა მარტო აზერბაიჯანელი მწერალი აბდურაშიდ ბაქუვი, არამედ ერთხმად აღნიშნავენ თანამედროვე ევროპელი მწერლები, ელჩები და მოგზაურები: შილტბერგერი, ბარბარო, კონტარინი, ანჯოლელო.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეოთხე, თბილისი, 1948.

[2] Н. Бердзенишвили. Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.), გვ. 40.

[3] ვ. ვ. ბარტოლდი. აზერბაიჯანის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, ტფილისი, 1935, გვ. 15.

დასახელებულ მწერალთა ცნობებმა პროფ. ი. პეტრუშევსკის საფუძველი მისცა აღენიშნა, რომ „XV საუკუნე იყო შირვანის ეკონომიური აღმავლობის პერიოდი. სოფლის მეურნეობის ეს აყვავება ევროპელი მოგზაურების ყურადღებას იპყრობდა“ [1]. გლეხთა ექსპლოატაციაც აქ შედარებით მსუბუქი იყო [2]. განვითარებულ შირვანს გადაგვარებით ემუქრებოდნენ ნომადი დამპყრობლები. ამიტომ იყო, რომ უკვე 1566 წელს შირვანი, კავშირს ამყარებს რუსეთთან. ამ კავშირს XVI—XVIII სს. ავითარებენ აზერბაიჯანელი მოღვაწეები.

შაქისა და შირვანის პოლიტიკური მდგომარეობა განსაკუთრებით გაუარესდა XV—XVI სს. მიჯნაზე, როდესაც ყიზილბაშური მოძრაობის გამარჯვების შედეგად საფუძველი ჩაეყარა სეფიანთა სახელმწიფოს. თუ შირვანშაჰ ხალილულაჰს (1417 — 1462) ურთიერთობა ჰქონდა თემურიანთა სუსტ სახელმწიფოსთან, სამაგიეროდ შირვანშაჰ ფაროხ იასარს (1462 — 1500) რამდენჯერმე მოუხდა შეტაკება არდებილის შეიხთა ფეოდალურ სამთავროსთან, რომლის სათავეში სეფიანთა საგვარეულო იდგა. არდებილელი შეიხები—ჯუნეიდი და ჰაიდარი შირვანშაჰებთან ომში დაიღუპნენ, მაგრამ შეიხ-ისმაილმა შეძლო შირვანშაჰის დამარცხება და შირვანის ტერიტორიის დროებით დაკავება. ისმაილმა, მართალია, დაიპყრო შირვანის მთავარი ციხე-ქალაქები (ბაქო, გულისტანი, შემახა და სხვ.), მაგრამ შირვანს ამით პოლიტიკური დამოუკიდებლობა მაინც არ დაუკარგავს. 1502 წ. შირვანში განმტკიცდა შეიხ-შაჰი ანუ შეიხ-იბრაჰიმი (1502—1524). ეს შირვანშაჰი ყიზილბაში შაჰის ვასალად ითვლებოდა და მარჯვედ იყენებდა ყიზილბაშთა შორის არსებულ წინააღმდეგობებს შირვანის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. მისი სიკვდილის შემდეგ შირვანში დაიწყო ბრძოლა ტახტის მაძიებელთა შორის. ამ ბრძოლამ და შინაურმა აშლილობამ შირვანი დიდად დაასუსტა, რამაც შესაძლებლობა მისცა შაჰ-თამაზ I-ს მოეხდინა ამ ქვეყნის ინკორპორაცია 1538 წელს, რასაც 1551 წელს შაქის დაპყრობაც მოჰყვა.

XVI საუკუნისათვის ყველაზე მძიმე სომხეთის მდგომარეობა იყო.

XVI ს-ში სომხეთი გადაიქცა სხვადასხვა მომთაბარე ტომების ბრძოლის ასპარეზად. შავბატკნიანი და თეთრბატკნიანი თურქმანების ბატონობის ხანაში სომხეთს სტოვებენ მიწისმოქმედნი, ვაჭრები, ხელოსნები. მათმა ერთმა ნაწილმა თავშესაფარი საქართველოში ჰპოვა. XV — XVI სს. მიჯნაზე თურქმანები ყიზილბაშებმა შესცვალეს. ყიზილბაშთა დროს უკიდურესად გაღატაკდა სომხეთის ძირითადი მწარმოებელი კლასი — გლეხობა. „სომეხ გლეხთა მდგომარეობა არსებითად არაფრით არ განსხვავდებოდა უუფლებო მონისაგან, მას თითქმის ყოველ წლიურად გამოუჩნდებოდა ხოლმე ახალი ბატონი, რომელიც ართმევდა უკანასკნელ ლუკმას და აიძულებდა შეესრულებინა უმძიმესი სამუშაოები“ [3].

---

[1] И. П. Петрушевский. Государства Азербайджана в XVI в., გვ. 182.

[2] იქვე.

[3] История армянского народа, часть I, Ереван, 1951, გვ. 203.

XVI ს-ის დასაწყისისათვის არც საქართველო წარმოადგენდა ერთ ჰთლიან სახელმწიფოს. იგი დაყოფილი იყო ცალკე სამეფო-სამთავროებად (ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამცხე-საათაბაგო და გურიისა და ოდიშის სამთავროები). ეკონომიური განვითარების მხრივ საქართველოს სხვადასხვა ნაწილებიც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. „საქართველოს ყველა ნაწილებთან შედარებით XVI საუკუნეში ყველაზე უკეთეს პირობებში კახეთი იმყოფებოდა. შუასაუკუნეობრივი მეურნეობის განვითარებისათვის კახეთის ბუნებრივი პირობები საუკეთესო იყო. აღმ. ამიერკავკასიაზე გამავალ საქარავნო-სავაჭრო გზებზე სიახლოვითაც XVI ს-ის კახეთი ხელსაყრელად გამოირჩეოდა საქართველოს სხვა ნაწილებისაგან“ [1].

სამაგიეროდ აღებულ ხანაში ქართლის მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. „კახეთისაგან განსხვავებით XVI ს-ის ქართლი განიცდის შემდგომ დაქვეითებას“ [2]. თუ კახეთი თავისი მოქნილი დიპლომატიის წყალობით ირან-ოსმალეთის ომების მსველელობაში მშვიდობიანი ცხოვრების შესაძლებლობას ინარჩუნებს, ქართლში სრულიად საწინააღმდეგო ვითარებას ვხედავთ.

XVI საუკუნის დასაწყისიდანვე ირან-ოსმალეთის ომების ერთ-ერთი ასპარეზი იყო ქართლი, რომელიც დამპყრობლების წინააღმდეგ თავისი დაუცხრომელი ბრძოლით საქართველოს სხვა ნაწილებს მდგომარეობას უმსუბუქებდა. „XVI ს-ში ქართლის ისტორია — ესაა ორმოცდაათამდე ომი, რის შედეგადაც ამ ქვეყნის მოსახლეობის მწარმოებელი კლასი ერთიორად შემცირდა“ [3].

ქართლის დაპყრობას ყიზილბაშები დაჟინებით ცდილობდნენ, რადგან მისი დაპყრობა მათ გზას გაუხსნიდა სამცხე-საათაბაგოსაკენ და, ამავე დროს, ქართლის დაპყრობის შემთხვევაში, კახეთის წინააღმდეგ აქტიური შეტევითი პოლიტიკის შესაძლებლობა მიეცემოდათ. მაგრამ ქართლი შეუპოვრად იბრძოდა აგრესორთა წინააღმდეგ.

კიდევ უფრო მძიმე იყო სამხრეთ საქართველოს მდგომარეობა. მისი მდგომარეობა ძალზე გაუარესდა მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიაში პირველობისათვის ერთმანეთს შეეჯახა ირანი და ოსმალეთი. სამხრეთ საქართველო განუწყვეტელი ომის ასპარეზს წარმოადგენდა. მოზღვავებული მტრის წინააღმდეგ ქართველ მეფე-მთავრებთან გაერთიანებას ათაბაგები შეგნებულად ერიდებოდნენ, რადგან ქართლის და იმერეთის მეფეები არ სცნობდნენ ათაბაგის დამოუკიდებელ არსებობას და ცდილობდნენ თავიანთი ძალა-უფლებისათვის დაემორჩილებინათ იგი. სამცხე-საათაბაგოს გარეშე მტერთან ბრძოლაში არც გეოგრაფიული მდგომარეობა უწყობდა ხელს, რადგან „დასავლეთიდან მას ოსმალეთი მოსდგომოდა, ხოლო სამხრეთიდან და სამხრეთ-

---

[1] Н. Бердзенишвили. Очерк, გვ. 27.

[2] იქვე, გვ. 39.

[3] იქვე.

აღმოსავლეთიდან ირანის ყაენის სამფლობელო ეკრა. სუსტ მეზობელს ორივე მტერი ჩასანთქავად უყურებდა“ [1].

სამცხე-საათაბაგო თავისი სტრატეგიული მდებარეობის წყალობით ოსმალებისათვის ირანში შესაპრელად და, პირუკუ, ირანისათვის ოსმალეთში შესაპრელად მარჯვე პლაცდარმს წარმოადგენდა. ირანიც და ოსმალეთიც, სწორედ ამიტომ, ცდილობდნენ მის ხელში ჩაგდებას, რათა ხელსაყრელი პლაცდარმი მოწინააღმდეგე მხარის წინააღმდეგ ომში მარჯვედ გამოეყენებინათ.

ათაბაგებს კარგად ესმოდათ ოსმალეთისა და სეფიანების განზრახვების აზრი სამცხის მიმართ. მათთვის ცხადი იყო ამ მეტოქე სახელმწიფოთა წინააღმდეგობების მიზეზებიც. ამიტომ ისინი ცდილობდნენ რიგ-რიგობით, ხან ერთისა და ხან მეორისადმი მიმხრობით, შეენარჩუნებინათ დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობა, გამოეყენებინათ თავიანთ სასარგებლოდ მათი შეურიგებელი წინააღმდეგობანი. ორ მოქიშპე მტერს შორის მერყეობისა და ქანაობის პოლიტიკა დიდად ვნებდა სამცხე-საათაბაგოს, რადგან „ხან ირანი სწამებდა ათაბაგს ორგულობას, ხან — ოსმალეთი და რიგრიგობით არბევდნენ გზადაბნეული ფეოდალის ქვეყანას“ [2].

არა ნაკლებ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა დასავლეთ საქართველო, მაგრამ შაჰ-თამაზ I-ის „თეზქერე“ თითქმის არავითარ ცნობებს არ გვაწვდის დასავლეთ საქართველოს შესახებ.

ბრძოლა ოსმალეთსა და ირანს შორის ამიერკავკასიის ქვეყნებში გაბატონებისათვის XVI საუკუნის მეორე ათეულში დაიწყო. 1514 წელს ჩალდირანთან ყიზილბაშებმა მძიმე მარცხი განიცადეს. 1515 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ამ ზავის პირობების თანახმად ოსმალეთმა მიიღო სომხეთის დასავლეთი ნაწილი და მესოპოტამიის ჩრდ. ნაწილი ქ. მოსულამდე. სომხეთის დანარჩენი ნაწილი, აზერბაიჯანი, ქურთისტანი და არაბული ერაყი ქ. ბაღდადითურთ ყიზილბაშებს დარჩათ [3]. 1515 წლის ზავმა, რა თქმა უნდა, საბოლოოდ ვერ ბადასპრა ირან-ოსმალეთის წინააღმდეგობანი და ომი ამ ორ მტაცებელს შორის კვლავ განახლდა XVI საუკუნის 30-ან წლებში.

„თეზქერეში“, როგორც ირან-ოსმალეთის პირველი ომის ამსახველ დოკუმენტურ წყაროში მეტნაკლებად არის ასახული ამიერკავკასიის ქვეყნების მდგომარეობა, როგორც ირან-ოსმალეთის ომების ერთ-ერთი მთავარი ასპარეზისა.

### ა. „თეზქერეს“ ცნობები აზერბაიჯანის შესახებ

შაჰ-თამაზ I-ის „თეზქერე“ ყველაზე უხვ ცნობებს, ამიერკავკასიის ქვეყნებიდან, აზერბაიჯანის შესახებ გვაწვდის. ეს გასაგებიცაა, რადგან ყიზილბაშური ტომების მოძრაობა ძირითადად აზერბაიჯანის ტერიტორიაზე

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, გვ. 318—319.

[2] იქვე.

[3] И. П. Петрушевский. Азербайджан в XVI—XVII веках, გვ. 241.

წარმოებდა, ხოლო ამ მოძრაობის გამარჯვების შედეგად წარმოქმნილი სეფიანთა სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრი კარგა ხანს ქალაქ თავრიზში იყო.

ამას გარდა, ის ფეოდალური შფოთი, რომელსაც ადგილი ჰქონდა შაჰ-თამაზ I-ის ტახტზე ასვლის დროს ყიზილბაშ ამირებს შორის, აზერბაიჯანსაც შეეხო. ამავე დროს ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებთან ერთად, აზერბაიჯანიც ირან-ოსმალეთის გაუთავებელი ომების ასპარეზს წარმოადგენდა.

ძეგლის მიხედვით აშკარად ჩანს, რომ XVI ს-ის 30-ანი წლისათვის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე (შაქისა და შირვანის გამოკლებით) მტკიცედ აქვთ მოკიდებული ფეხი მომთაბარე ყიზილბაშ ტომებს და დაჟინებით ცდილობენ, რათა თავიანთი ბატონობა არა მარტო აზერბაიჯანზე, არამედ აღმ. ამიერკავკასიის მთელს ტერიტორიაზეც გაავრცელონ. შირვანის მტკიცე დაპყრობა-შემომტკიცების საწინდრად ყიზილბაშებს საქართველოს (ოსმალეთის მოსაზღვრის და „სანაპირო ქვეყნის") დაპყრობა მიაჩნდათ. ამ პოლიტიკას ისინი თანამიმდევრულად ახორციელებდნენ, ეიდრე ქართლის მეფგარ წინააღმდეგობას წააწყდებოდნენ (ასე რომ ქართლის ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამიერკავკასიის მასშტაბით და დაპყრობილი შირვანელების არა ერთ აჯანყებას ხელს დიდად უწყობდა). ერთი სიტყვით, ყიზილბაშთა ნომადური ტალღა თანდათან ჩოიწევდა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ვრცელდებოდა.

XVI ს-ის 30-ანი წლებისათვის აზერბაიჯანს განაგებს თექელუს ყიზილბაშური ტომის წარმომადგენელი ულამა-ბეგი, რომელიც შაჰ-ისმაილის დროს, იასაული ყოფილა, შემდეგ ეშიკაღასი გამხდარა, ხოლო შაჰ-თამაზს მისთვის ამირას წოდებულება მიუნიჭებია და აზერბაიჯანის ამირთა-ამირად დაუნიშნავს. აზერბაიჯანის გამგებელ მოხელეს ნიშნავს ცენტრალური ხელისუფლება, რომელსაც იგი ემორჩილება და ასრულებს მის განკარგულებას[1]. აზერბაიჯანში თექელუს ტომი დიდი გავლენით სარგებლობდა. „თეზქერეში" ყველაზე უხვი ცნობები სწორედ თექელუს ყიზილბაშური ტომის შესახებ მოიპოვება.

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გაბატონებული არიან სხვა ყიზილბაშური ტომებიც. თუ აზერბაიჯანის ამირთა-ამირა ულამა-ბეგი თექელუ იყო, არდებილის გამგებელი (ჰაქიმი) არის ვინმე ბადანჯან-სულთან რუმლუ, რომელსაც შაჰი „თეზქერეში" იხსენიებს ყიზილბაშ ამირებს შორის ამტყდარ შინაფეოდალურ ომთან დაკავშირებით. ჰერათში მყოფ შაჰს მოახსენებენ: „აზერბაიჯანიდან ამბავი მოვიდა, რომ უსთაჯლუს ამირები რეშთიდან არდებილს ჩავიდნენ, სადაც ბადანჯან-სულთან რუმლუ იყო ჰაქიმადო"[2].

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე XVI საუკუნეში ყიზილბაში ტომების გაბატონების ფაქტები აღნიშნულია სხვა წყაროებშიც[3].

---

[1] Die Denkwürdigkeiten des Schah Tahmasp I, ZDMG, Bd, 44, 1890, გვ. 587.
[2] იქვე, გვ. 581.
[3] ჰასან-რუმლუს, ზერეფ-ხან ბითლისელის, ისკანდერ-მუნშის და სხვათა თხზულებანი.

აზერბაიჯანს დიდ ზიანს აყენებდა ყიზილბაშ ამირათა შორის ამტყდარი ჭიშპი და ბრძოლა. შინაფეოდალური ომი საერთოდ არა ნაკლებ ზიანს აყენებს ქვეყანას, ვიდრე ირან-ოსმალეთის ომი. მოსახლეობის (ვაჭრების, ხელოსნების, გლეხების) განუკითხავი ძარცვა-გლეჯა ორივე შემთხვევაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ულამა თექელუს გამოსვლა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ იმ შინაფეოდალური ომის ერთი ნაწილი იყო, რომელსაც ერთ დროს ადგილი ჰქონდა სეფიანთა სახელმწიფოში. ყიზილბაშ ამირათა შინაფეოდალური ომი გავლენას ახდენდა იმ ქვეყნების ნორმალურ ცხოვრებაზე, რომლის ტერიტორიაზეც ეს ბრძოლა ხდებოდა. აჯანყებული ფეოდალები ძარცვავდნენ არა მარტო შაჰის და მისი „ურდოს ხალხის“ ქონებას, არამედ უფრო მეტად ადგილობრივ მოსახლეობას, მოქალაქეებს, ხელოსნებს. ასე, მაგალითად, პირველი გამოსვლის დროს ულამა თექელუმ თავრიზი გაძარცვა. ამის გამო „თეზქერეში“ ნათქვამია: „ულამა თავრიზს მივიდა, ტარუღას შეპყრობა განიზრახა, თავრიზში დატოვებული შაჰის პირად ბედაურებს დაეპატრონა და შაჰის პირადი მონა ქალები, ოქრომკედით მქარგველებს ხელობის სასწავლად რომ ჰყავდათ მიბარებული, წაართვა და თავის მოლაზეებს დაურიგა. შაჰის პირადი კაზმული კარავი თავისთვის დაიდგა, თავრიზში დატოვებული ურდოს ხალხის ქონება გაძარცვა“ [1]. ასევე მომდევნო წელს შაჰს, ჰერათში, მოახსენებენ, რომ: „ულამა თავრიზს მოვიდა და ყიზილბაშთა მთელი ოჯახ-ხიზნები დაატყვევეო“ [2].

ულამა თექელუს შემდეგი თავდასხმა თავრიზზე, რაც ძეგლის მიხედვით „მუსლიმანთა ქონებისა და პატივის, ესოდენ უსამართლო სისხლის ღვრისა, ძარცვისა და რბევის მიზეზი გახდა“ [3], აშკარად მოწმობს ყიზილბაში ამირას მძაოცველურ თარეშს მდიდარი და მუდმივად დასახლებული ქალაქის — თავრიზის —წინააღმდეგ, სადაც ულამამ „ტყვევნა, გარყვნილება და მსგავსი თავაშვებულება და უზნეობა ჩაიდინა“ [4]. დამოწმებული ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ რბევა-ძარცვის ობიექტი უპირატესად თავრიზის მოსახლეობაა.

ზემოთ მოტანილი ცნობებიდან ისიც ირკვევა, რომ ქ. თავრიზის სახელოსნოებში გამოყენებულია ხელოსანი მონის შრომა. დამოწმებულ ცნობაში ნაგულისხმევია შაჰის „ქარხნები“ (სამეურნეო-სახელოსნო დაწესებულებები), რომელთა სათავეს თათართა ბატონობის ხანაში ვხედავთ (XIII ს-ის 40-ანი წლები). ულამა-ბეგი „ქარხნებს“ ძარცვავს. მაგრამ უკეთესი დღე არც ვაჭრებს უნდა დასდგომოდათ. ყიზილბაშთა სახელმწიფოში, ისევე როგორც ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალურ სახელმწიფოში, ვაჭრის პიროვ-

---

[1] „თეზქერე“. ციტ. ხელნაწერი, გვ. 6. აქ ლაპარაკია „ქარხნის“ გაძარცვაზე, სადაც ჩვეულებრივ შაჰზე დამოკიდებული ხელოსნები მუშაობდნენ.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 21.

[4] იქვე.

ნება დაცული არ იყო სატრაპების და ხანების (ოსმალეთში ფაშების) ხელ-ყოფისაგან[1].

მაგრამ მარტო თავრიზი როდი ზარალდებოდა ყიზილბაშთა შინაფეოდალური ბრძოლისა და ირან-ოსმალეთის ომების შედეგად. ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა ყველა ის ქალაქი და დასახლებული პუნქტი, რომელიც ფეოდალური ურთიერთთავდასხმებისა და ირან-ოსმალეთის ომების ასპარეზს წარმოადგენდა.

„თეზქერეს" მიხედვით ირან-ოსმალეთის ომების ასპარეზია ბაიბურთი, არზრუმი, ბასიანი, ოლთისი, არტანუჯი, არქეში, ხნუსი, ადილჯუვაზი, ვანი, ხოი, სოუჯბულაღი, მარაღა, ვოსტანი, ზენჯანი, აბჰარი, ხლათი, მუში, ნახჭევანი და სხვა ქალაქები. დასახელებული ქალაქები კარგად მიუთითებენ, თუ როგორ ვრცელს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ირან-ოსმალეთის ომები. ამ ტერიტორიაზე ყიზილბაშები ოსმალთა ჯარების შესაჩერებლად სპობდნენ ნათესებს, ანადგურებდნენ სურსათს; ყველგან მოთხრილი იყო ციხეები. სოფლები დაცარიელებულ-გადამწვარი, ხოლო ქალაქები დანგრეული.

ყიზილბაშთა მიერ გადაბუგვა-გაუკაცრიელების პოლიტიკა ხორციელდებოდა აზერბაიჯანის და სომხეთის ტერიტორიაზეც. ყიზილბაშები ხონთქრის თითქმის ყოველი შემოსევის დროს აპარტახებდნენ ყველა იმ ქვეყანას, რომელიც ომის უშუალო ან შესაძლო ასპარეზს წარმოადგენდა. ოსმალთა სამხედრო უპირატესობა (ცეცხლის იარაღი, იანიჩართა რეგულარული ჯარი) ყიზილბაშებს აიძულებდა ყველაფერი მოესპოთ იმ გზებზე, სადაც ოსმალთა ჯარებს უნდა გაევლოთ. პირადად შაჰს, გარდა გაუდაბურებული ზოლის შექმნისა, ყველა სხვა საშუალება არაეფექტურად და, კიდევ მეტი, „სისულელედ და უსარგებლოდ" მიაჩნდა, რადგან მისი თქმით, „ომი თამაშია" და „კაცმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ მოწინააღმდეგესა სძლიოსო"[2].

აი შაჰის ტიპიური მსჯელობა გაუდაბურების პოლიტიკასთან დაკავშირებით: „მეტი საშუალება არ არსებობს გარდა იმისა, რომ სადაც კი ხონთქრის ოლქას ხელში მოვიგდებთ, გავაპარტახოთ, მათი მოსავალი გადავწვათ, ვითარეშოთ და ვარბიოთ; ერთ დღეს ერთ ადგილზე არ გავჩერდეთ და ის ქვეყნები ისე გავაუდაბუროთ და გავავერანოთ, რომ ათი დღის სავალზე სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდეს, რათა მათი [ოსმალების] მიმოსვლა აღიკვეთოს[3]."

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., ტ. XVI. ნაწ. II, გვ. 22.

[2] Sani-ul-Daulah, Matla'ul—Shams, Tehran, 1885, ტ. II, გვ. 196.

[3] علاج سوای این ندارم که تا هر کجا که از الکای خواندکار است که دست رس ماباشد خراب کرده و محصولات ایشان راسوزانیده‌تاخت و غارت کنیم و یکروز دریکجا توقف ننمائیم و آن‌سرحد راتمام چول و ویران کنیم که مطلق آبادانی ده‌روزه راه نباشد تا آمد و شد ایشان بر طرف‌شود. იქვე.

შაჰ-სავსებით უპერდნენ მხარს ამგვარი ღონისძიებების გატარებაში ყიზილბაშთა სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის წარმომადგენლები: „ეს რჩევა ყველამ მართებულად მიიჩნია და მოიწონესო“ [1], — შენიშნავს იქვე შაჰ-თამაზი. მაგრამ მარტო ხონთქრის უშუალო სამფლობელოებში როდი იქმნებოდა გაუდაბურებული ზოლი. უფრო მეტად ამ მხრივ ირბეოდა და ნადგურდებოდა ირან-ოსმალეთის საცილობელი ქვეყნები. გაუდაბურებული ზოლი, ძეგლის მიხედვით, უპირატესად ვრცელდებოდა სომხეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, რადგან ეს ქვეყნები წარმოადგენდნენ ირან-ოსმალეთის ომების უმთავრეს ასპარეზს.

თუ რა სდევდა გაუდაბურებული ზოლის შექმნას, ეს არა ერთგან არის აღნიშნული „თეზქერეში“: „ამირები და ლაშქარი, — აუღელვებლად მოგვითხრობს შაჰი, — მოსდგნენ და ხონთქრის ლაშქრის წინ ყოველი მხარიდან ხალხის აყრითა და სახლების ნგრევით ზენჯანამდე მივიდნენ“ [2]. თუ გავითვალისწინებთ ზენჯანის გეოგრაფიულ მდებარეობას, კერძოდ იმას, რომ იგი აზერბაიჯანის თითქმის უკიდურეს სამხრეთში მდებარეობს, მაშინ საესებით ნათელი იქნება, რომ ასეთი ნგრევა-გაპარტახება და მოსახლეობის აყრა-გადასახლება თითქმის მთელს აზერბაიჯანს განუცდია.

ანალოგიურ ცნობებს გვაწვდიან სპარსულენოვანი ისტორიკოსები: ჰასან რუმლუ, შერეფ-ხან ბითლისელი და ისკანდერ მუნში.

ისკანდერ მუნშის მოთხრობილი აქვს, რომ ოსმალთა ერთ-ერთი შემოსევის დროს: „მაღალადგილოვანმა შაჰმა გამოცდილი ხალხი გაგზავნა, რომლებმაც მოწინააღმდეგეთა გზა თავრიზიდან მოკიდებული რუმის საზღვრამდე ცეცხლს მისცეს და ხორბლისა და ბალახის ნატამალი არ დასტოვეს. თავრიზში ჭები და წყაროები ისე ამოავსეს, რომ დასალევი წყალიც კი აღარ იშოვებოდა“ [3].

ყველა ზემოთ აღნიშნულთან ერთად გასათვალისწინებელია ის ზიანიც, რაც გამოწვეული იყო ამიერკავკასიის ქვეყნების ტერიტორიაზე ოსმალთა ჯარის მოძრაობისა და ლაშქრობის შედეგად.

საქმე ისაა, რომ ოსმალთა ჯარის მოძრაობა ამიერკავკასიის ქვეყნების ტერიტორიაზე არანაკლებ ნგრევა-გაპარტახებას იწვევდა, ვიდრე ყიზილბაშთა გაუდაბურების პოლიტიკასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება. „თეზქერეში“ არაერთი ცნობა გვხვდება იმის შესახებ, თუ როგორ ანადგურებდა ხონთქრის ლაშქარი ოსმალთა მიერ დაკავებულ ოლქებსა და ქვეყნებს. მაგრამ ამიერკავკასიის ქვეყნებისადმი და, კერძოდ, აზერბაიჯანისადმი ოსმალთა მიერ მიყენებული მატერიალური ზარალი შეიძლება თვით შაჰის სიტყვებით გამოვხატოთ. შაჰი ამბობს: „როცა კი ისინი

---

[1] همگی برین تدبیر صلاح دیدند و پسندیدند Sani-ul-Daulah, Matla'ul—Shams, ტ. II, გვ. 196.

[2] امرا و لشکری پیش لشکر خواندکار را گرفته مردم رابهر جانب کوچا نیده و منازل را خراب نموده تا زنجان آمدند. „თეზქერე“. ციტ. გამოც., გვ. 597.

[3] ისკანდერ მუნში. თარიხ-ი ალემ არაი აბასი, გვ. 92.

(ურუმები) თავს დაგვესხმოდნენ, მათ ჩვენი ქონება ყოველთვის, ჰალალად მიაჩნდათ ხოლმეო"[1]. შაჰი, რა თქმა უნდა, აქ იმ ქონებაზე ლაპარაკობს, რომელსაც ნადავლისა და ალაფის სახით ოსმალები იტაცებდნენ ამიერკავკასიის ქვეყნებში. მაგრამ აქ საშოერისათვის და ნადავლ-ალაფისათვის მოდიოდნენ როგორც ოსმალები, ისე ყიზილბაშები.

შაჰ-თამაზ I-ის „თეზქერე" ცნობებს იძლევა არა მარტო სამხრეთ აზერბაიჯანის, არამედ ჩრდილო აზერბაიჯანის შესახებაც.

როგორც ცნობილია ყიზილბაშებმა აზერბაიჯანის იმ ნაწილის ინკორპორაციაც მოახდინეს, რომელიც ჯერ კიდევ XVI ს-ის 40-ან წლებისათვის დამოუკიდებელი პოლიტიკური მდგომარეობით სარგებლობდა შირვანისა და შაქის სახით, მაგრამ ძეგლში საგანგებოდ არ არის აღნიშნული ამ ფეოდალური სამთავროების დაპყრობა-დამორჩილების ფაქტი.

ის გარემოება, რომ შაჰ-თამაზი დუმილით უვლის გვერდს შირვანის დაპყრობას, შემთხვევით არ აიხსნება. საამისო ფაქტების, და საერთოდ შირვანის ინკორპორაციის, აღნიშვნა სასურველი არ იყო ოსმალო ელჩებთან საუბარში, რადგან შირვანის ოსმალეთისაგან დაცვა აქტუალურად იდგა XVI ს-ის 60-ან წლებშიც (ოსმალეთმა, როგორც ცნობილია, XVI ს-ის 80-ან წლებში ერთხელ კიდევ სცადა შირვანის დაპყრობა და ამ მხრივ ღროებით წარმატებას მიაღწია კიდევაც). აბრეშუმით მდიდარი შირვანი იძთავითვე საცილობელი საგანი იყო ირან-ოსმალეთის ურთიერთობაში.

ამას გარდა, ყიზილბაშთა სახელმწიფო არ სცნობდა შირვანის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და მასთან ურთიერთობას (1502—1538 წწ.) ვასალიტეტისა და მეხარკეობის საფუძველზე ითმენდა მანამ, სანამ მისი ინკორპორაციისათვის მარჯვე დრო დაუდგებოდა. შაჰ-თამაზი შეგნებულად სდუმს 1538 წელს მომხდარი აქტის გამო. მაგრამ ამ დუმილში, ცხადია, მხოლოდ ის იგულისხმება, რომ შირვანი ყიზილბაშთა უბრალო პროვინციაა და ყიზილბაშთა სახელმწიფოს შემადგენელი, მისი განუყოფელი ნაწილი. ამდენადვე, რაც ყიზილბაშებისა იყო, იმაზე საუბარი საჭირო არც იყო ოსმალებთან. გასაგებია, შირვანის დაპყრობას ოსმალებიც ცდილობდნენ და ამით, ასე გამოჰყავთ შაჰის კარზე, შაჰის სამფლობელოს ეკიდებოდნენ. შაჰი არ აღნიშნავს შირვანის დაპყრობის ფაქტს სრულიად გარკვეული მიზნით. მას არ სურს ყიზილბაშები დამპყრობლებად გამოიყვანოს და ამით ოსმალეთთან ურთიერთობაში თავისი „უფლება" შირვანზე ეჭვს ქვეშ დააყენოს.

მაგრამ „თეზქერედან" მაინც გამოსჩვივის როგორც ყიზილბაშების შირვანის წინააღმდეგ აგრესიული პოლიტიკის, ისე შირვანის დაპყრობის ფაქტები. ამ მხრივ არაპირდაპირ ჩვენებას წარმოადგენს შაჰის მიერ შირვანის ბეგლარბეგის დასახელება. ერთის შეხედვით და თავისთავად ეს შაჰის შეხედულებას, მის თვალსაზრისს უპერს ბხარს, რადგან ბეგლარბეგი პროვინციის გამგებელია. მაგრამ ბეგლარბეგი (შაჰის მოხელე) სრულიად

---

[1] „თ ე ზ ქ ე რ ე". ციტ. ხელნაწერი, გვ. 89.

გარკვეულ დროს ჩნდება შირვანში. და უნდა თუ არ უნდა სწორედ ამას აღნიშნავს შაჰ-თამაზი თავის „თეზქერეში“.

საქმე ისაა, რომ 1538 წელს შირვანშაჰს (დინასტიურ მმართველს) ბეგლარბეგი (შაჰის მოხელე) სცვლის და სწორედ ამ დროს ხდება შირვანი ყიზილბაშთა პროვინციად, რასაც შირვანელებმა მალე აჯანყებით უპასუხეს. საინტერესოა და საყურადღებო, რომ ეს აჯანყება აღწერილია კიდეც შაჰ-თამაზ I-ის „თეზქერეში“, ოღონდ ალყას-მირზას აჯანყებასთან დაკავშირებით.

ბეგლარბეგი ხანთახანს ეწოდებოდა სეფიანთა ირანში. ამრიგად შირვანშაჰის ქვეყანა სახანოდ არის ქცეული, სადაც ბეგლარბეგს ემორჩილებიან ხანები, სულთნები, ბეგები. შირვანის ადმინისტრაციული დანაწევრება ამიერიდან ყიზილბაშურ ყაიდაზეა მოწყობილი. მაგრამ ამ პოლიტიკური ორგანიზაციის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ ყიზილბაშები ინაწილებენ დერბენდული დინასტიის სახლის, აგრეთვე ბევრი ადგილობრივი ფეოდალის მიწებს, დიდი რაოდენობით ასახლებენ ყიზილბაშურ ტომებს და აზერბაიჯანის მიწებისათვის ბრძოლის წინარე საუკუნეებში დაწყებულ პროცესს მომთაბარეების სასარგებლოდ ამთავრებენ.

შირვანისა და შაქის დაპყრობა ყიზილბაშთა სახელმწიფოს აგრესიული პოლიტიკის მკაფიო გამოვლინებას წარმოადგენს.

ცნობები შირვანის შესახებ ძეგლში გვხვდება შაჰის ძმის ალყას-მირზასთან დაკავშირებით, რომელიც „თეზქერეს“ მიხედვით შირვანის ბეგლარბეგია.

„თეზქერედან“ არ ჩანს თუ როდის ან როგორ გახდა ალყასი შირვანის ნმართველად, მაგრამ იმის საჩვენებლად, რომ შირვანი XVI ს-ის 40-ანი წლებისათვის ცალკე დამოუკიდებელ სამთავროს აღარ წარმოადგენს და რომ იგი ყიზილბაშთა სახელმწიფოს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, საკმარისია თუნდაც ის ფაქტი, რომ მას, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ყიზილბაში მოხელე (ბეგლარბეგი) განაგებს.

ძეგლის მიხედვით შირვანის ბეგლარბეგი ალყას-მირზა ამყარებს სეფიანთა სახელმწიფოსაგან შირვანის ცალკე გამოყოფისა და დამოუკიდებლობის მოპოვების ტენდენციებს, მიუხედავად იმისა, რომ როგორც შაჰი აცხადებს: „იცოდა, რომ ჩემი ჯარი და შეძლება მისას ოცჯერ აღემატებოდა“ [1]. როგორც ჩანს, შაჰმა ადრევე შეიტყო ალყასის ასეთი მიდრეკილება და, ამიტომ, საგანგებოდ აფრთხილებდა მას, რომ ხელი აეღო ასეთ გადაწყვეტილებაზე. ალყასი მაინც არ შეუშინდა შაჰის მუქარას და „ხოტბაში თავისი თავი მოახსენებინა და ფულიც თავისი სახელით მოჭრა“ [2], რაც იმას ნიშნავდა, რომ მან შირვანი დამოუკიდებლად გამოაცხადა, ხოლო თავისი თავი კი შირვანის მბრძანებლად.

---

[1] „თეზქერეს“ ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი, დორნის კატალოგი № 302, გვ. 60.

[2] იქვე, გვ. 61.

ისმის კითხვა: ვისი და რისი იმედი ჰქონდა ალყასს, რომელმაც მართლაც კარგად იცოდა, რომ შაჰ-თამაზი მასზე გაცილებით ძლიერი იყო? ალყას-მირზას განკერძოებითი ტენდენცია, უნდა ვიფიქროთ, გაპირობებული იყო შირვანელების პოლიტიკური განწყობილებით, რომელნიც, მიუხედავად მათი ქვეყნის ყიზილბაშთა მიერ ინკორპორაციისა, თავისუფლებისათვის ბრძოლაზე ხელის აღებას არ აპირებდნენ. ალყას-მირზას მოქმედება აიხსნება არა მარტო უფლისწულისათვის ჩვეულებრივი ტახტისათვის ბრძოლის მოტივებით, არამედ შირვანში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობითაც. შირვანელები XVI საუკუნეში არა ერთხელ აჯანყებულან მოძალადე ყიზილბაშების წინააღმდეგ (1547, 1549, 1554). ალყას-მირზა, ეტყობა, ეყრდნობოდა შირვანელ ფეოდალებს, რომელნიც მიწებს ჰკარგავდნენ ყიზილბაშური ტომების ჩამოსახლებასთან დაკავშირებით და სწორედ ამიტომ ცდილობდნენ ოსმალების დახმარებით შირვანიდან ყიზილბაშების გაძევებას, აქ 1538 წლამდელი პოლიტიკური მდგომარეობის აღდგენას.

დამახასიათებელია, რომ ალყას-მირზა შეუთანხმდა ოსმალეთს შაჰ-თამაზის წინააღმდეგ და ენერგიული მოქმედება გააჩაღა თავისი ბატონობის უზრუნველყოფის მიზნით. ალყას-მირზას ვარაუდით შირვანში განმტკიცება-გაძლიერება და მისი მონაწილეობით ოსმალთა ჯარის წარმატებამას შესაძლებლობას მისცემდა ბოლოს ირანის ტახტსაც დასჭიდებოდა.

ალყას-მირზას აჯანყება ყიზილბაშთა წინააღმდეგ, შაჰის მიხედვით, გახდა საბაბი ოსმალთა მესამე ლაშქრობისა ირანის წინააღმდეგ. ამ ლაშქრობაში პირადად ალყას-მირზაც მონაწილეობდა, რადგან ოსმალეთის ხონთქარი ლაშქრობის წარმატებით დაგვირგვინების შემთხვევაში მას ირანის ტახტს ჰპირდებოდა. ოსმალთა ეს ლაშქრობა ძალიან გაჭიანურდა. ყიზილბაში ამირები ამ დროს, როგორც ჩანს, უკვე უკმაყოფილებას გამოსთქვამენ გაუთავებელი ომების გამო და, როგორც ეს „თეზქერედან" ირკვევა, შაჰ-თამაზს იმასაც კი ურჩევდნენ, რომ აჯობებდა: „ალყასისათვის შირვანი მიგვეცა, რომ იგი შირვანს გაემართოს და ეს შფოთიც მოიშალოსო" [1].

ოსმალთა მესამე ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ კვლავ უშედეგოდ დასრულდა, ხოლო ალყას-მირზა იმედგაცრუებული დარჩა. ბოლოს შაჰმა იგი შეიპყრო, ალამუთის ციხეში გამოჰკეტა და რამდენიმე ხნის შემდეგ მოაკვლევინა კიდეც.

„თეზქერეს" ცნობები შირვანის შესახებ საერთოდ მეტად ძუნწია. ერთი რამ კი ცხადად ირკვევა: ალყასის აჯანყების შემდეგ შირვანში მღელვარება დიდხანს უნდა გაგრძელებულიყო, რადგან ძეგლის მიხედვით ყიზილბაშებს ხელახლად უხდებათ მისი დაპყრობა. „თეზქერეში" შაჰი ამბობს: „ისმაილ-მირზა შირვანს გავგზავნე რომ იქაურობა დაეპყრო, ხოლო ყორჩი-

---

[1] شیروان را بالقاس میباید داد تا او متوجه شیروان شده این نزاع برطرف شود. „თეზქერეს" აკად. ს. ნ. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი № 12/146, I, გვ. 9.

ბაში ორიათას ხუთასი ყორჩით შაქის დასაჭერად გავაგზავნეო“ [1]. ამ ცნობას ძეგლში თარიღი არ ახლავს, მაგრამ ჩვენთვის ცნობილია, რომ ყიზილბაშებმა შაქი 1551 წელს დაიპყრეს. ისე რომ 1551 წლისათვის შირვანში კვლავ არეულობა ყოფილა და შირვანი ისევე დასაპყრობი ყოფილა, როგორც მისი მეზობელი შაქი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შაქის შესახებ „თეზქერეში“ სხვა ცნობები აღარ გვხვდება, მაგრამ მის წინააღმდეგ ყიზილბაშთა აგრესიის ფაქტი ჩვენს მიერ მოტანილ ცნობიდანაც სავსებით ნათლად გამოსჩენილა.

შირვანი „თეზქერეში“ საქართველოსთან დაკავშირებითაც არის მოხსენებული. შაჰი შენიშნავს, რომ „გადავწყვიტეთ საქართველოსაკენ გაგველაშქრა და შირვანშაჰის ქვეყანა დაგვერბია, რადგან ურჯულო გიაურები არიანო“ [2]. ამ ცნობასაც არ ახლავს თარიღი, მაგრამ ძეგლის მიხედვით ეს ხდება ოსმალთა მე-3 და მე-4 ლაშქრობებს შორის. ე. ი. დაახლოებით 1553 წლის ახლო ხანში [3]. ეს ცნობა საყურადღებოა ორის მხრით. ჯერ ერთი, ცნობის მიხედვით, ყიზილბაშთა ლაშქრობას შირვანის წინააღმდეგ მძარცველური ხასიათი აქვს, რადგან ყიზილბაშები შირვანში რბევა-თარეშისათვის მიემართებიან. მეორეს მხრივ, რა შუაშია შირვანის მიმართ სიტყვების „ურჯულო გიაურების“ ხმარება? შირვანელები ხომ ქრისტიანები არა ყოფილან, რომლებსაც მუსლიმანები ჩვეულებრივ გიაურებს უწოდებდნენ ხოლმე? რა თქმა უნდა არა. მაგრამ საქმე ისაა, რომ შირვანში ძლიერი იყო ისლამის რელიგიის იმ მიმდინარეობის გავლენა, რომელიც სუნიტობის სახელითაა ცნობილი, ხოლო სუნიტობა შიიტი ყიზილბაშებისათვის ისევე მიუღებელი იყო, როგორც ქრისტიანობა.

ოსმალეთის ორიენტაციას ადგნენ უპირატესად შირვანელი ფეოდალები, რომლებიც შირვანშაჰების დერბენდული დინასტიის აღდგენას უჭერდნენ მხარს. მაგრამ დამოუკიდებელი შირვანი ოსმალეთისთვისაც მიუღებელი იყო. ოსმალეთმა არ შეუსრულა დაპირება შირვანშაჰის ნაშიერებს, როცა XVI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ამიერკავკასიაში გაბატონდა.

### ბ. „თეზქერეს“ ცნობები სომხეთის შესახებ

შაჰ-თამაზ I-ის „თეზქერე“ უხვ ცნობებს გვაწვდის XVI ს-ის სომხეთის შესახებ.

ძეგლის მიხედვით სომხეთის ტერიტორია წარმოადგენს ჯერ ყიზილბაშ ამირთა შინაფეოდალური ომის, ხოლო შემდეგ ირან-ოსმალეთის გაუთავე-

---

[1] اسمعیل میرزا را بشیروان فرستادم که آنجا متصرف شود و قورچی باشی را با هزار و پانصد نفر قورچی فرستادم که شکی را بگیرد. „თეზქერეს“ ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი..., გვ. 94.

[2] قراردادم که بجانب گرجستان رویم و الکای شیروان شاه که کافر حربی اند غارت کنیم. Die Denkwürdigkeiten des Shah Tahmasp I, გვ. 640.

[3] წყაროში ნათქვამი „შირვანშაჰის ქვეყანა“ თარიღის გადაწევის შესაძლებლობას იმ მხრივ იძლევა, რომ შირვანი 1538 წლამდე ითვლებოდა და იწოდებოდა „შირვანშაჰის ქვეყნად“.

ბელი ომების ასპარეზს, რის შედეგადაც სომხეთმა, ამიერკავკასიის ქვეყნებიდან, ყველაზე მეტი ვნება და ზიანი განიცადა.

„თეზქერეს“ მიხედვით სომხეთის ერთი ნაწილი მიტაცებული აქვთ ოსმალებს (ე. წ. დასავლეთი სომხეთი), ხოლო სომხეთის მეორე ნაწილში— აღმოსავლეთ სომხეთში, რომელიც სპარსულ საისტორიო თხზულებებში. ისევე როგორც „თეზქერეში“, იხსენიება ჩუხურ-საადის (چخور سعد) სახელით, ფეხმოდგმული და გაბატონებული არიან მომთაბარე ყიზილბაში ტომები.

XVI ს.ის 30-ანი წლებისათვის ჩუხურ-საადის ოლქს ყიზილბაში მოხელე განაგებს. ასეთად XVI საუკუნის 30-ანი წლებისათვის ძეგლი ასახელებს დივ-სულთან რუმლუს. „თეზქერეს“ ერთ-ერთ ნუსხაში აღნიშნულია, რომ ჩუხურ-საადს „დივ-სულთან რუმლუს ურდო იდგა და სახლობდაო“ [1]. აქ სიტყვა ურდო შეიძლება გავიგოთ, როგორც კარი, ლაშქარი, ტომი. ასე, მაგალითად, შაჰი თავის კარს და ლაშქარსაც კი ურდოს უწოდებს. ამ შემთხვევაშიაც ურდო ნიშნავს როგორც კარს, ისე ლაშქარს და ტომსაც. საქმე ისაა, რომ დივ-სულთან რუმლუს, როგორც ეექილს, ე. ი. სახელმწიფოს უპირველეს მოხელეს, კარიც უნდა ჰქონოდა და ლაშქარიც უნდა ჰყოლოდა, რადგან საერთოდ, ტომობრივ პრინციპზე შედგენილი ყიზილბაშთა ლაშქარი, სწორედ ცალკეული ტომების წარჩინებულთა განკარგულებაში მყოფი რაზმებისაგან შედგებოდა. რაც შეეხება კარს, საგანგებო ოლქებში დანიშნული მოხელეები ყოველთვის შაჰს ბაძავდნენ და ცდილობდნენ თავიანთი კარი შაჰის კარის მსგავსად მოეწყოთ. მაგრამ ჩუხურ-საადში რუმლუს ყიზილბაშური ტომიც უნდა ყოფილიყო დასახლებული, რაზეც მიუთითებს სიტყვა مسکن — საცხოვრებელი, სადგომი.

ერთი სიტყვით, ჩანს სომხეთში რუმლუს ტომის ყიზილბაშები პირველობენ.

მაგრამ დივ-სულთან რუმლუს გვერდით ძეგლში მოხსენებულია ჯუჰე-სულთან თექელუც, რომელიც პირველ ხანებში მის მოკავშირედ გამოდიოდა ქოფექ-სულთნის წინააღმდეგ ბრძოლაში. დივ-სულთანი და ჯუჰე-სულთანი გაერთიანებული ძალებით შეეპრძოლენ ქოფექ-სულთანს ნახჩევანთან და დაამარცხეს იგი: „დივ-სულთანმა და ჯუჰე-სულთანმა ეს ამბავი (ქოფექ-სულთნის გამოლაშქრება—კ. ტ.) რომ შეიტყვეს, მათ რამაზნის ოცდაცხრას, პარასკევ დღეს, ნახჩევნის არფაჩაისთან დახვდნენ და შეებრძოლენ. უსთაჯლუს (ტომი) დამარცხდა და ქოფექ-სულთანი მოიკლა“ [2]. ეს ცნობა, გარდა იმისა, რომ კარგად ასახავს ყიზილბაში ტომების ურთიერთ ბრძოლას სომხეთის ტერიტორიაზე, იმითაცაა საყურადღებო, რომ დივ-სულთნის გვერდით მოხსენებულია მისი მოკავშირე ჯუჰე-სულთან თექელუ, რომელიც თავისი ტომით იბრძვის უსთაჯლუს ტომის წინააღმდეგ.

---

[1] چخور سعد که اردوی دیو سلطان در آنجا مسکن و مقام داشت. „თეზქერეს“ მითითებული გამოცემა, გვ. 581.

[2] იქვე.

ამრიგად ირკვევა, რომ სომხეთში პირველობა და უპირატესობა (ცხადია, მჭიდროდ დაკავშირებული სომხური მიწების მფლობელობასთან) საცილობელი გამხდარა რუმლუს, თექელუს და უსთაჯლუს ყიზილბაშურ ტომებს შორის. ამათ გარდა, „თეზქერეში" დასახელებულია ყარამანლუს ყიზილბაშური ტომიც. იქ ნათქვამია, რომ: „მოჰამედ-ბეგი ბაჰრამ-ბეგ ყარამანლუს შვილი შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯესო"[1]. ჩუხურ-საადის (ერევნის) ოლქში ყიზილბაშ ამირებს შორის გამართულ ბრძოლებში მონაწილეობას იღებენ რუმლუს, თექელუს, უსთაჯლუს და ყარამანლუს ყიზილბაშური ტომები.

XVI საუკუნეში სომხეთის პოლიტიკური ორგანიზაციაც ყიზილბაშურ ყაიდაზე მოეწყო (თუმცა საამისო ნიადაგი XV ს-ში თურქმანებმა მოამზადეს). ამ პოლიტიკური ორგანიზაციის საფუძველი იყო ყიზილბაშთათვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიური წყობა. სომხეთში, ისევე როგორც აზერბაიჯანში, გაბატონდა ყიზილბაშური ფეოდალური ინსტიტუტები, გლეხთა ექსპლოატაციის აღმოსავლური წესები და საგადასახადო სისტემა, რომლის მიხედვით „რენტა და გადასახადი ერთმანეთს თანაემთხვევა"[2].

„თეზქერეში" სომხეთი იხსენიება როგორც ყიზილბაშთა უბრალო პროვინცია ჩუხურ-საადის სახელწოდებით. მას განაგებს ჰაქიმი. ჰაქიმად „თეზქერე" ასახელებს შაჰ-ყული სულთანს[3].

ირან-ოსმალეთის გაუთავებელი ომების ასპარეზს, ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებთან ერთად, წარმოადგენდა სომხეთის ტერიტორიაც. მაგრამ ამიერკავკასიის არც ერთ ქვეყანას, როგორც ზემოთ მივუთითეთ, არ განუცდია (სომხეთთან შედარებით), ისეთი დიდი ზიანი, როგორიც განიცადა ქვეყანამ, რომელსაც ძველი დროიდან მოყოლებული პირველს სწვდებოდა ხოლმე ნომადების მრისხანე და წამლეკავი ტალღა. ეს უპირველეს ყოვლისა, აიხსნება სომხეთის გეოგრაფიული მდებარეობით. ასე იყო XVI საუკუნეშიც.

„თეზქერედან" ირკვევა, რომ XVI საუკუნის პირველ ნახევარში ოსმალო-თურქების თითქმის ყოველი ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ ეხებოდა სომხეთის ტერიტორიას და, უმეტეს შემთხვევაში, იქვე ხორციელდებოდა გაუდაბურებისა და გაუკაცრიელების ღონისძიებები. ხონთქრის ლაშქარი ყიზილბაშთა სამფლობელოებში თითქმის ყოველთვის არზრუმის მხრიდან შემოდიოდა, ხოლო საომარი ოპერაციებისა და გაუდაბურებული ზოლის განხორციელების ასპარეზი იყო იგივე არზრუმი, ხნუსი, არქეში, ადილჯუვაზი, ხლათი, მუში, ნახჭევანი, ჩუხურ-საადი და სხვა. ასე, მაგალითად, პირველი ლაშქრობის დროს (1532) ხონთქრის ლაშქარმა არზრუმზე გადმოვლით ხლათამდე მიაღწია, ხლათიდან ხონთქარი სასწრაფოდ სტამბოლს გაბრუნდა, ლაშქარი კი იქ დასტოვა. შაჰი ამის გამო ამბობს: „ჩვენი ორი ჯაშუში მოვიდა და ამბავი მოიტანეს:—„დი-

---

[1] „თეზქერეს" მითითებული გამოცემა, გვ. 581.

[2] კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 309—310.

[3] „თეზქერეს" ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი..., გვ. 103.

დებულმა ხონთქარმა არტილერია, აღალი და იარაღი ხლათში დასტოვა და (თვითონ კი) სასწრაფოდ სტამბოლისაკენ გაემართა"[1].

ხონთქარმა ჯარის მეთაურობა იბრაჰიმ-ფაშას მიანდო. როდესაც შაჰი კვლავ იხსენიებს სომხეთის ტერიტორიაზე ოსმალთა ლაშქრის მოძრაობას, აღნიშნავს, რომ „ადელჯუვაზსა და არპეშს შორის (ლაშქრის გავლის შედეგად ამდგარი) მტვერი მოსჩანდაო", ხოლო „ვინც ეს მტვერი დაინახა ვარაუდით თქვა, რომ ოცდაათათასზე ნაკლები (ოდენობის ლაშქარი) არ იქნებაო"[2]. ე. ი. ოსმალთა ლაშქარს ხონთქრის უკან დაბრუნების შემდეგ საბოლოო ოპერაციები არ შეუჩერებია და კვლავ აგრძელებს მას. შაჰიც სწორედ ამას აღნიშნავს. „ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ ხონთქრის ლაშქარია, რომელიც იბრაჰიმ-ფაშასა და ულამას მოუყვანია და ბაჰრამ-მირზაზე თავდასასხმელად მიდიან"[3]. ყიზილბაშთა ლაშქარი, რომელსაც ბაჰრამ-მირზა სარდლობდა სომხეთის ტერიტორიაზე არპეშის მიდამოებში უნდა მდგარიყო, რადგან შაჰი იქვე დასძენს: „კაცი გავგზავნეთ, რომ თურქმანი ყორჩები ვოსტანიდან გამობრუნებულიყვნენ, ლაშქარი შეგვევსო და ბაჰრამ-მირზას მისაშველებლად არპეშისაკენ წავსულიყავით"[4]. შაჰი კვლავ ვოსტანში იმყოფებოდა, როდესაც შეიტყო ბაჰრამ-მირზას ოსმალებთან შებრძოლების ამბავი, მათი დამარცხება და არპეშის ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაკავება. შაჰი სიხარულით შენიშნავს: „არპეში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ჩვენს მფლობელობაში მოექცაო"[5]. ამ ცნობიდან გარკვევით ჩანს, რომ არპეში ხელიდან ხელში გადასულა. იგი ჯერ ყიზილბაშებს სპერიათ, შემდეგ ოსმალებს და მერე კვლავ ყიზილბაშებს.

ირანის წინააღმდეგ მეორე ლაშქრობის დროს (1534 წ.) ოსმალები კვლავ იყენებენ იმ გზას, რომელიც ამიერკავკასიის ქვეყნებზე გადმოდიოდა. ხონთქრის ლაშქრისათვის სივასი, ბაიბურთი და არზრუმი წარმოადგენენ იმ პუნქტებს, სადაც ხდება ოსმალთა ჯარის კონცენტრაცია, წესრიგში მოყვანა და შორეული ლაშქრობისათვის საბოლოო მზადება, საამისო არაერთი ცნობა გვხვდება „თეზქერეში". ხონთქრის მეორე ლაშქრობის შესახებ შაჰი „თეზქერეში" აცხადებს: „ჯაშუშები მოვიდნენ და ამბავი მოიტანეს, რომ დიდებული ხონთქარი სივასს მოვიდა და აქლემების ცხიმით გასაპოხად სამ კვირას იქ დადგებაო"[6]. ეს ცნობა საყურადღებოა ერთი იმით, რომ ხონთქარი მეორე ლაშქრობის დროს კვლავ იყენებს იმ გზას, რომელიც ამიერკავკასიის ქვეყნებზე გადმოდის, ე. ი. მოემართება სივასის მხრიდან და, მეორე მხრივ, იმით, რომ ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ხონთქარი სივასში აპირებს შესვენებას და ჯარის წესრიგში მოყვანას. მართალია აქ უბრალოდაა

---

[1] Die Denkwürdigkeiten des Shah Tahmasp I, 608.
[2] იქვე, 609.
[3] იქვე.
[4] იქვე, 610.
[5] იქვე, 611.
[6] Sani-ul-Daulah, Matla'ul—Shams, გვ. 192.

ნათქვამი, რომ ეს სამი კვირა ოსმალებმა აქლემების ცხიმით გასაპოხავად უნდა გამოიყენონ, მაგრამ აქლემების ცხიმით გაპოხვაში ჩვენ სწორედ შორეული ლაშქრობისა და ხანგრძლივი ომებისათვის სამზადისი უნდა ვიგულისხმოთ.

საინტერესოა სხვა მნიშვნელოვანი გარემოებაც. სახელდობრ, ის, რომ როდესაც ხონთქარი ამიერკავკასიის ქვეყნებზე გამავალი გზით ემზადება ყიზილბაშთა სამფლობელოებში შესაჭრელად, ყიზილბაშები იქვე, ამიერკავკასიის ქვეყნების ტერიტორიაზე ახორციელებენ საწინააღმდეგო ღონისძიებებს, რათა ოსმალთა ეს მორიგი ლაშქრობაც უშედეგოდ დასრულებულიყო. შაჰი შენიშნავს: ხონთქარი სივასს რომ მოვიდა „მე ყველა კუთხის ქედხუდები და რაიები დავიბარე და გამოვუცხადე: თუ თქვენს ხორბალს ჩვენს (ლაშქარს) არ შევაჭმევთ, მაშინ დიდებული ხონთქრის ლაშქარი გადასჭამს. უმჯობესია, ჩვენ მოვიხმაროთ, ხოლო რის შეჭმასაც ვერ შევძლებთ, დავწვათ!“ შაჰი მართლაც ასე მოიქცა. იგი იქვე აცხადებს—„ხორბალი დავწვით და მიწისქვეშა წყლის არხები დავაქციეთო“ ლაპარაკია ყიზილბაშთა მიერ გაუკაცრიელებულ-გაუდაბურებული ზოლის შექმნის შესახებ. ყიზილბაშები ანადგურებენ საირიგაციო ქსელსაც, რომ ოსმალებმა არ აღადგინონ მეურნეობა მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე და მათ აქ რაიათების (გლეხების) გამოყენების შესაძლებლობა მოუსპონ. სარწყავი არხების მოშლა, ცხადია, სწრაფად ვერ აღადგენდა მიწისმოქმედებას და ოსმალებს ახალ მოსავალს ვერ მისცემდა. შაჰი იქვე კმაყოფილებით შენიშნავს, რომ „იმ მიდამოს ხორბალი (ჩვენს ლაშქარს) შევაჭამეთ და დავწვით, ხოლო წყლის არხები კი (მიწით) ამოვავსეთო“ [1].

ყიზილბაშები სომხეთის ტერიტორიაზე მთელის სისასტიკით ახორციელებდნენ გაუდაბურების და გაუკაცრიელების პოლიტიკას ოსმალთა რიგით მესამე (1548) შემოსევის დროსაც, რომელიც კვლავ ამიერკავკასიის ქვეყნების ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. ამჯერად გაუდაბურებული ზოლის შექმნა სამხრეთ საქართველოსაც შეეხო. ოსმალთა მესამე შემოსევასთან დაკავშირებით „თეზქერეში“ ნათქვამია: „ხნუსი და ბასიანი გადავწვით, ოსმალთა ლაშქარში შიმშილობა ჩამოვარდა და ჯკან გაბრუნდნენო“ [2]. სხვათა შორის, ამ ცნობიდან ისიც ჩანს, რომ ოსმალებს საკვები და ფურაჟი ლაშქრობის დროს თან არ მოჰქონდათ და იგი დაპყრობილ ქვეყნებში უნდა ეშოვნათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მსვლელობის შესაჩერებლად გაუდაბურებული ზოლის შექმნა არცთუ ისე ეფექტიური საშუალება იქნებოდა.

ძეგლში მოხსენებული „ხორბალი და მოსავალი“ მიუთითებს იმაზე, რომ სომხეთის ტერიტორიაზე, ნომადური ელემენტის დამკვიდრების მიუხედავად, მეჯოგური მეურნეობის პარალელურად არსებობს კულტურული მეურნეობის მწარმოებელი მოსახლეობაც. ბინადარი მოსახლეობა თავის

---

[1] Die Denkwürdigkeiten des Shah Tahmasp I, გვ. 620.

[2] Sani-ul-Daulah, Matla'ul—Shams, გვ. 196.

მეურნეობაში იყენებს ხელოვნურ მორწყვას, რაზედაც მიუთითებს იქვე მოხსენებული წყლის არხები. ყიზილბაშებს კი, როგორც მომთაბარე-მეჯოგეებს, საძოვრები უფრო აინტერესებდათ, ვიდრე კულტურული მეურნეობის მწარმოებელი მოსახლეობის სახნავ-სათესი მიწები. სწორედ ამიტომ იყო, რომ ისინი გულგრილად და გულდამშვიდებით აძლევდნენ ცეცხლს ყველაფერს, რაც კი ინტენსიურ მეურნეობასთან იყო დაკავშირებული.

ყიზილბაშები წვავდნენ და ანადგურებდნენ ყანებსა და ბაღებს, მიწასთან ასწორებდნენ დასახლებულ ადგილებს, სოფლებში ანგრევდნენ გლეხების სახლ-კარს, მუსრს ავლებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ამასთან მასიურად წარმოებდა სომეხ გლეხთა აყრა-გადასახლება, რადგან ეს ღონისძიება მჭიდროდ იყო დაკავშირებული გაუკაცრიელების პოლიტიკასთან. ყიზილბაშები ასე ექცეოდნენ სომხეთის ქალაქებსა და სოფლებს არა მარტო პირადად ხონთქრის გამოლაშქრების დროს, არამედ ხონთქრის მოხელეთა მძარცველური თარეშის დროსაც. ასე, მაგალითად, როდესაც შაჰმა შეიტყო, რომ ხონთქარმა ულამა-ბეგსა და როსტომ-ფაშას უბრძანა: „ვიდრე თოვლი მოვა ერზინჯანში იდექით, მერე კი აზერბაიჯანში იყილშლაღეთო“ [1], მან მყისვე თავის ჩვეულ ხერხს მიმართა: „ალი სულთან თაღი-ოღლი ორი ათასი კაცით გავგზავნე, რომ ხლათი და მუში გადაეწვათ“ [2] — იქვე შენიშნავს შაჰი. მაგრამ როცა შაჰმა შეიტყო, რომ როსტომ-ფაშა და ულამა-ბეგი თერჯანიდან ბაიბურთს წავიდნენ, მან არც თერჯანი და ბაიბურთი დაინდო; „ებრძანე რომ ბაიბურთისა და თერჯანის მთელი ოლქები გადაეწვათ და გაეპარტახებინათ. დავავალე, რომ სადაც კი მიზგითი შეხვდებოდათ იქ ლაშქრის ერთ-ერთი თავკაცი წასულიყო და დამდგარიყო, რათა მიზგითს არავინ შეხებოდა, ხოლო გარდა მიზგითებისა მთელი შენობები გადაეწვათ“ [3]. გადამწვარ-გადაბუგულ შენობებში, რა თქმა უნდა, იგულისხმება ადგილობრივი მოსახლეობის სახლ-კარი და აივლა-დიდება, ისევე როგორც მოსავლის გადაწვასა და წყალში გადაყრაში ნაგულისხმევია ადგილობრივი მოსახლეობის მეურნეობის განადგურება.

„თეზქერეში“ მოიპოვება საინტერესო ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ სტოვებდა ადგილობრივი მოსახლეობა თავის მიწა-წყალს და გარბოდა უცხო მხარეში. შაჰი მოგვითხრობს: „რამაზნის თვეში, როდესაც მდინარეში თევზს ვიქერდი, დავინახე რომ ოციოდე ქვეითი მოდიოდა. მალმსრბოლი გავაგზავნე, რათა შეეტყო თუ რა ხალხი იყო. თქვეს, რომ ჩვენ ხნუსელები ვართ, ოსმალებმა დაგვარბიეს და იქ რომ დავრჩენილიყავით უთუოდ შიმშილით ამოვწყდებოდით, ავიყარეთ და ახლა დიარბექირს მივდივართო“ [4].

ეს მეტად საყურადღებო ცნობა მიუთითებს იმაზე, რომ ხნუსის მიდამოები გაპარტახებული ყოფილა ირან-ოსმალეთის ომების შედეგად. ამიტომ

---

[1] „თეზქერეს“ მითითებული გამოცემა, გვ. 196.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 197.

კულტურული მეურნეობის წარმოება აღარ შეიძლება. ადგილობრივი მოსახლეობა დამპყრობელთა ძალადობის გამო სტოვებს მამაპაპეულ ადგილებს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მათი განცხადების თანახმად, ისინი ოსმალებმა დაარბიეს, მაინც ოსმალთა სამფლობელოებში მიდიან. ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ მათი დარბევა და აკლება შაჰმა განგებ მიაწერა ოსმალებს. სინამდვილეში კი ისინი ყიზილბაშთა გაუდაბურების პოლიტიკის მსხვერპლნი ხდებიან, სტოვებენ თავიანთ ქვეყანას და მიდიან იქ, სადაც ყიზილბაშთა გაუდაბურების პოლიტიკა არ ხორციელდება.

ნათქვამი, რა თქმა უნდა, იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ თითქოს ოსმალები უფრო ლმობიერად ეპყრობოდნენ მწარმოებელ მოსახლეობას. საქმე ისაა, რომ ოსმალეთის სამხედრო უპირატესობა და შეუდარებლად უკეთესი შეიარაღება (ცეცხლის იარაღი, ზარბაზნები) ეგრე რიგად არ საჭიროებდა გაუდაბურებული ზოლის შექმნას. ირანი თავს სწორედ იმით იცავდა, რომ ოსმალეთის აშკარა სამხედრო უპირატესობას და უკეთეს შეიარაღებას გაუდაბურებულ ზოლს უპირისპირებდა. ამიტომ ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებებში, ირანის მოთხოვნით, გათვალისწინებული იყო ბოლმე სანაპირო ციხე-სიმაგრეების მოთხრა. ირანს ციხეების დაცვა არ შეეძლო, ოსმალეთს კი მათი აღება ადვილად შეეძლო თავისი ზარბაზნებით.

ამიერკავკასიის ქვეყნების ტერიტორიაზე გაუდაბურებული ზოლის შექმნის ყიზილბაშთა გეგმებში არა მარტო ამიერკავკასიის ქვეყნების ის ნაწილები შედიოდა, რომლებსაც ყიზილბაშები თავიანთ სამფლობელოებად სთვლიდნენ, არამედ ის ნაწილებიც, რომლებიც ოსმალთა სამფლობელოებად ითვლებოდა. შაჰი აცხადებს: „ისმაილ-მირზა შვიდი ათასი კაცით ყარსის ციხეზე გავგზავნეთ, რომ წასულიყო და ყარსის მოსახლეობა ამოეწყვიტა, დაერბია და იქიდან (ამავე მიზნით) არზრუმს წასულიყო“ [1]. შაჰი აქვე კმაყოფილებით შენიშნავს: „ამირებმა არზრუმი მოითარეშეს - და ჩემთან მოვიდნენო“ [2].

„თეზქერეში“ მოტანილია ცნობები იმის შესახებაც, თუ როგორ ხასიათს ატარებდა ყიზილბაშთა რბევა-თარეში. ერთ ადგილას შაჰი ამბობს: „ერზინჯანიდან ავიყარეთ და ბაიბურთს მივედით. ბაიბურთში მოლაშქრეებს სომეხ ბავშვთა ერთი წყება დაეტყვეებინათ. ვბრძანე,რომ ყველანი ბამბაში გაეხვიათ და კალათებში ჩაესვათ. [შემდეგ] აბდალაჰ-ხანს მივეცი რომ ციხის ძირას მიეყვანა და [იქ] დაეტოვებია“ [3]. ხსენებული სომეხი ბავშვები ძუძუ-

---

[1] اسمعیل میرزا رابا هفتهزار کس برسر قلعهٔ قارص فرستادیم که برودومردم قارص را بقتل و غارت رسانیده از آنجا متوجه ارضروم شود. Die Denkwürdigkeiten des Shah Tahmasp I, გვ. 624—625.

[2] امرا حوالی ارضروم را تاخت کرده نزد من آمد ند იქვე. გვ. 634.

[3] „თეზქერეს“ ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი, გვ. 92—93.

მწოვარა ბავშვები არიან, რადგან შაჰის თქმით საჭირო გამხდარა მათი ბამბაში შეხვევა და კალათებში ჩასმა. ეჭვს გარეშეა ისიც, რომ ამ ბავშვების მშობლები ცოცხალის. თავით არ დასთმობდნენ თავიანთ ჩვილ შვილებს. უნდა ვიფიქროთ, რომ მათი მშობლები ყიზილბაშებმა დახოცეს. ასეთი ამბები ყიზილბაშებმა არა მარტო ბაიბურთში მოიმოქმედეს, არამედ სხვაგანაც. ბაიბურთის ამბების მოყოლის შემდეგ შაჰი განაგრძობს: „იქიდან ათანგს მივედით. მოლაშქრეებს ბავშვები იქაც დაეტყვევებიათ. როდესაც მე ეს შევიტყვე ისინიც იმგვარადვე ციხის ძირას გავატანე და ჩუხურ-საადისაკენ წავედი“ [1]. „თეზქერეში“ შემდეგ აღარაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა მოჰყვა ყიზილბაშთა მოძრაობას ჩუხურ-საადისაკენ (ერევნისაკენ), მაგრამ უეჭველია, რომ ახლაც ყიზილბაშთა ლაშქარი თავის გზაზე ყველაფერს წვავდა და ანადგურებდა. ეს იყო ჩვეულებრივი ღონისძიება ყიზილბაშთა ჯარის უკან დახევის დროს.

სომხეთის ტერიტორიას, ისევე როგორც ამიერკავკასიის სხვა ქვეყნების ტერიტორიას, ულმობლად ანადგურებდნენ ოსმალებიც. ოსმალთა ლაშქრობის შედეგად სომხეთისათვის მიყენებულ ზიანზე წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, საკმარისია გავიხსენოთ ოსმალთა თუნდაც ერთ-ერთი შემოსევის შედეგები. 1554 წელს ოსმალთა შემოსევის გამო თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი აღნიშნავს, ოსმალთა ლაშქარი შირაქში რომ შევიდა: „ანადგურებდა და სპობდა აყვავებულ სოფლებს. აქედან ლაშქარი დაიძრა ერევნისაკენ; ყველაფერი დასწვეს და ფეხქვეშ გასთელეს. 23-ე დღეს ოსმალებმა გადალახეს ცნობილი მდინარე არპაჩაი და ამ ოლქში ყველაფერი დაიტაცეს და გაანადგურეს... 25-ე დღეს ჯარი შევიდა სპარსთა სახელმწიფოში თავისი მთებითა და მდიდარი ბაღებით განთქმულ ქვეყანაში, რომელსაც ყარაბაღი ეწოდებოდა... ნათელი დღე უკუნ ღამედ იქნა შეცვლილი. 27-ე დღეს მივაღწიეთ ნახჭევანის დაბლობს. ძლევამოსილი ლაშქრისაგან ისე იყვნენ თავზარდაცემულნი, რომ ყველა ქალაქი და სოფელი, სახლები და ქოხები გაუკაცრიელდა, ბუსა და ყორნის სადგომად გადაიქცა, რომელთა ხილვისას კაცს თავზარი დაეცემოდა. ნადავლს მოწყურებულმა მეომრებმა თავიანთ გზაზე ისე გულმოდგინედ გაძარცვეს ყველა სოფელი, დასახლებული ადგილები და სადგომები, რომ მათი კვალიც კი აღარ დარჩა. სულთნის ლაშქარს ამდენი სიმდიდრის გაძარცვა არცერთი ლაშქრობის დროს არ მოსწრებია. თითოეულ თურქულ სამხედრო კარავში ჰყავდათ არა ნაკლები სამი ტყვისა, ბევრ კარავში ხუთი, ათი ტყვე და უფრო მეტიც კი იყო“ [2].

ირან-ოსმალეთის ომების შედეგად ამიერკავკასიის ქვეყნებში მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტამ, რბევა-თარეშმა და აყრა-გადასახლებამ ისეთ მასშტაბს მიაღწია, რომ აღნიშნული გარემოება ამ ორ მეომარ სახელმწიფოს შორის

---

[1] „თეზქერეს“ მითითებული ხელნაწერი, გვ. 93.

[2] იბრაჰიმ ფეჩევის ეს ცნობა მოგვყავს — „История армянского народа“-ს მიხედვით. იხ. გვ. 215.

წარმოებულ საზავო მოლაპარაკების დროს მსჯელობის საგანიც კი გახდა. „თეზქერეს“ მიხედვით, როდესაც ირანსა და ოსმალეთს შორის დაზავების თაობაზე მოლაპარაკება დაიწყო, ოსმალები მოციქულის პირით უთვლიდნენ შაჰ-თამაზ I-ს „ელჩი გამოაგზავნეთ, რომ ჩვენს შორის დაზავება მოხდეს და პირობა დავდოთ, რომ ამიერიდან (ჩვენს სახელმწიფოებს) შორის (მდებარე ქვეყნებში) მოსახლეობა აღარ გაქრესო“ [1].

ირანსა და ოსმალეთს შორის მდებარე ქვეყნები არა მარტო გაუდაბურებულ, არამედ გაუკაცრიელებულ ადგილებად იყო ქცეული, ხოლო მოსახლეობა კატასტროფულად შემცირებული. მოსახლეობის შემცირებით და მისი მთლიანად გაქრობის შიშით შეშფოთებული იყო ოსმალეთის მთავრობა. შეშფოთებული იყო აგრეთვე ირანის მთავრობა. ეს გახდა ირან-ოსმალეთის მრავალწლოვანი ომის შეწყვეტისა და ზავის დადების დაჩქარების ერთ-ერთი მიზეზი. ოსმალო და ყიზილბაში ფეოდალები შიშობდნენ, რომ მოსახლეობის გაქრობით მათ შეუმცირდებოდათ შემოსავალი, რადგან თუ რაიათები (გლეხები) ამოწყდებოდნენ ფეოდალური ექსპლოატაცია გამოუყენებელი დარჩებოდა, დაიშრიტებოდა ალაფისა და ნადავლის წყარო. ამიტომ საჭირო იყო ქვეყნების ხელახლად მოშენება, გლეხთა მშვიდობიან პირობებში ექსპლოატაცია, რათა ხელახლად დატრიალებულიყო დოვლათი და ხელახლად მიეყოთ ხელი ოსმალო და ყიზილბაშ ფეოდალებს რბევა-თარეშისათვის. ეს ასეც მოხდა XVI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში.

ასეთია ის ცნობები, რომლებსაც შაჰ-თამაზ I-ის „თეზქერეში“ ვპოულობთ ყიზილბაშთა ბატონობის ქვეშ მყოფი სომხეთის შესახებ.

### გ. „თეზქერეს“ ცნობები საქართველოს შესახებ

შაჰ-თამაზ I-ის „თეზქერეში“ დაცულია ცნობები საქართველოს (კახეთის, სამცხე-საათაბაგოს, ქართლის) შესახებაც.

„თეზქერეში“ ასახულია არა მარტო ყიზილბაშების, არამედ ოსმალთა პრეტენზიებიც ამიერკავკასიის ქვეყნების და, კერძოდ, საქართველოს მიმართ. ოსმალთა ასეთ პრეტენზიებს კარგად გამოხატავს არზრუმის ფაშის ისკანდერის სიტყვები, რომელიც, როგორც შაჰი აცხადებს „უვიცობისა და უმეცრების გამო სულ იმის თქმაში იყო, რომ შირვანისა და გურჯისტანის ფაშა მე ვარო“ [2]. ეს ცნობა გვიჩვენებს ირანის რეაქციასაც ოსმალთა ასეთი მისწრაფების გამო. საქმე ისაა, რომ შაჰს „უვიცობად და უმეცრებად“ მიაჩნია ისკანდერ-ფაშას სიტყვები. ამით იგი, ცხადია, ოსმალო ელჩების წინაშე ხაზს უსვამს ოსმალების პრეტენზიების უსაფუძვლობას შირვანისა და საქართველოს მიმართ.

---

[1] ایلچی بفرستید که درمیانه صلحی واقع شود و قراری بدهیم که بعدالیوم عجزه و مساکین در میان پایمال نشو ند. „თეზქერეს“ მითითებული ხელნაწერი, გვ. 103.

[2] Leut-Colonel D. C. Phillott, Memoirs of Shah-Tahmasp, Bibliotheca Jndica. A collection of oriental warks publishad by the Asiatic Sosiety of Bengal, New series № 8, 1319, Calcutta, 1912, გვ. 66.

ყიზილბაშები საქართველოს დაპყრობა-დამორჩილებას თავიანთ „უფლებად“ სთვლიდნენ. „გურჯისტანის საკითხი“ განსაკუთრებით მწვავედ იდგა ირან-ოსმალეთის ურთიერთობაში. ამიტომ ირანსა და ოსმალეთს შორის ომის შეწყვეტა იმაზეც იყო დამოკიდებული, თუ როგორ შეთანხმდებოდნენ აგრესორები საქართველოს საკითხში.

1555 წლის ზავით, როგორც ცნობილია, ირანმა და ოსმალეთმა საქართველო ურთიერთშორის გაინაწილეს. მაგრამ განაწილებული ქვეყნის ნაწილი ჯერ ისევ დასაპყრობი იყო. 1555 წლის ზავის რეალიზაციას აბრკოლებდა ქართველი ხალხის შეუდრეკელი ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ. ყიზილბაშები, თავის მხრივ, დაჟინებით ცდილობდნენ აღმ. საქართველოში თავიანთი ბატონობის უზრუნველყოფას და მისი გაყიზილბაშების მიზნით საჭირო ღონისძიებებს სახავდნენ კიდეც.

„თეზქერეში“ ვხვდებით ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობენ ყიზილბაშები ფეხი მოიდგან და გაბატონდნენ აღმ. საქართველოში. ამის მისაღწევად სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად, ერთ-ერთ საშუალებად საქართველოში ყიზილბაში მომთაბარე ტომების ჩამოსახლება იყო მიჩნეული. „თეზქერედან“ ირკვევა, რომ ასეთ ცდას ყიზილბაშების მხრივ უკვე XVI საუკუნეში ჰქონდა ადგილი.

„თეზქერეში“ მოხსენებულია ხურჩინლუს (خورچینلو) ყიზილბაშური ტომი, რომლის ერთი ნაწილი ყარაბაღში, ხოლო მეორე ნაწილი საქართველოში ჩამოუსახლებიათ. არზრუმის ფაშა ისკანდერთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ იგი თავს დაესხა და დაამარცხა „ყარაბაღისა და საქართველოს ხურჩინლუები, რომლებიც ცოტა ხნის წინათ ორ ელად წავიდნენო“ [1]. ხურჩინლუს ყიზილბაშური ტომი ორ ნაწილად გაყოფილა, შაჰს ერთი ნაწილისათვის ყარაბაღში, ხოლო მეორე ნაწილისათვის საქართველოში ჩამოსახლება უბრძანებია. ძნელი სათქმელია, თუ რა ბედი ეწია ამ ტომს, მაგრამ ხელთა გვაქვს საყურადღებო ფაქტი დამოწმებული ისეთ დოკუმენტურ წყაროში, რომლის ავტორი თვითონ შაჰ-თამაზია.

ამრიგად ცხადი ხდება, რომ უკვე XVI საუკუნეში, შაჰ-აბასამდე კარგა ხნით ადრე, ყიზილბაშური ტომები ცდილობენ ჩამოსახლდნენ საქართველოში. მაგრამ ყიზილბაშთა სახელმწიფო იმ დროს იმდენად ძლიერი არ იყო, რომ ეს ღონისძიება ისეთივე ფორმებით და მასშტაბით განეხორციელებინა, როგორც ამას ახორციელებდა ყიზილბაშური პოლიტიკის ყველაზე თანამიმდევრული გამტარებელი შაჰ-აბას I.

პოლიტიკურად დანაწევრებული საქართველოსათვის ძნელი იყო გამკლავებოდა ყიზილბაშთა აგრესიას. საქართველოში ოსმალებს ირანელები ცვლიდნენ, ხოლო ირანელებს კვლავ ოსმალები. საქართველოს პოლიტიკის მესვეურნი სხვადასხვა ხერხებითა და საშუალებებით იცავდნენ თავს ამ ორი

---

[1] خورچینلوی قراباغ و گرجی که قبل از این بدو ایلی رفته بودند. „თეზქერეს“ აკად. ს. ნ. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი, გვ. 8.

დამპყრობელისაგან. კახეთის, სამცხე-საათაბაგოს და ქართლის პოლიტიკა დიდად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან ირანთან და ოსმალეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით აღებულ ხანაში. ეს ჩანს საქართველოს სხვადასხვა ნაწილების (კახეთის, სამცხე-საათაბაგოს, ქართლის) შესახებ „თეზქერედან“ მოტანილი ცნობების ანალიზიდანაც.

„თეზქერეში“ ცნობები პირველად კახეთის შესახებ გვხვდება. კახეთი ძეგლის მიხედვით იწოდება „ლეონის გურჯისტანად“ ანუ ლეონის საქართველოდ (گرجستان لوند). შაჰს, ჩანს, მჭიდრო ურთიერთობა აქვს ლევან კახთა მეფესთან (1520 — 1574).

ლევან კახთა მეფე ნაკლებად იყო დაინტერესებული საქართველოს სხვა ნაწილების ბედით და უმთავრესად თავის ვიწრო, კუთხურ, ინტერესებს ემსახურებოდა. იგი ცდილობდა თავისი ქვეყნისათვის (კახეთისათვის) აეშორებინა ის ნგრევა-აოხრება, რომელიც თან სდევდა ირან-ოსმალეთის ომს, და დიპლომატიური მანევრირების საშუალებით მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონოდა როგორც ირანთან, ისე ოსმალეთთან. საჭირო შემთხვევაში, როდესაც მის ქვეყანას უშუალოდ ემუქრებოდა ომი, იგი მორჩილების აღიარებასაც არ თაკილობდა და დამპყრობელის წინაშე ვასალური მოვალეობის შესრულებას კისრულობდა. სწორედ ირანისადმი ვასალურ დამოკიდებულებას მიუთითებს ის, რომ შაჰ-თამაზი „თეზქერეში“ ლევან კახთა მეფეს ხანის ტიტულით იხსენიებს. ამით ირანის მბრძანებელი ხაზს უსვამს, რომ ლევან კახთა მეფე არა მარტო ირანის ხელდებული მეფეა, არამედ უფრო მეტიც — იგი ირანის შაჰის ერთ-ერთი მოხელეა.

მაგრამ ლევან კახთა მეფეს, ჩანს, შაჰი მაინც არ ენდობოდა. ერთ ადგილას იგი ამბობს: „ლევანს ზოგი რამ უმსგავსო საქციელი ჩაედინა და იგი უნდა დამეტუქსაო“ [1]. ერთგულების საწინდრად შაჰს ლევან კახთა მეფის ვაჟი ჰყავდა მძევლად. ძეგლში მოხსენებულია ლევან კახთა მეფის ვაჟი, რომელიც თან ახლდა შაჰ-თამაზ I-ს ომებსა და ლაშქრობებში. როდესაც შაჰი აგრძელებს თხრობას ოსმალთა მე-3 ლაშქრობის შესახებ, შენიშნავს: „ლევან გურჯს ამბავი მისვლოდა, რომ ხონთქარი მოვიდა, შაჰის ჯარის ერთი ნაწილი დაამარცხა და შეავიწროვა, ხოლო მისი (ლევან კახთა მეფის) შვილი, რომელიც ომში ჩვენ გვახლდა, ბრძოლის დროს ხელში დააშავესო“ [2]. კახელი უფლისწულის შაჰ-თამაზ I-ის კარზე ყოფნა ქართული წყაროებითაც დასტურდება. ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიაში ნათქვამია, რომ ლეონ

---

[1] از لوند بعضی اداهای ناخوش سرزده بود خواستم اورا گوشمالی د هم. Leut-Colonel D. C. Phillott, Memoirs, გვ. 160.

[2] خبر بلوند خان گرجی رفته بور که خواند کار آمده بعضی لشکر شاه را شکسته وزبون کرده و دست پسراو را که در جنگ همراه مابود درجنگ اند اخته اند. იქვე, გვ. 160.

მეფემ: „წარავლინა ძე თვისი იესე წინაშე ყენისა ძღუნით და ტყვითა ქალ-ყრმითა და აუწყა თავისი არა რისა შეცოდება“ [1].

მაგრამ ვახუშტის ეს ცნობა მოგვიანო, კერძოდ, 1558 წლის ამ-ბებს შეეხება, ხოლო „თეზქერეს“ ცნობა 1548 წლის ახლო ხანს განე-კუთვნება. უფლისწულის სახელი „თეზქერეში“ აღნიშნული არაა არც შემ-დეგ როცა შაჰი კვლავ აგრძელებს თხრობას ლევან კახთა მეფის შესახებ, რომელსაც, მისი თქმით, თავის ვაჟის ამბავი რომ შეეტყო „შეშფოთებულს ერთი კაცისათვის წერილი მიეცა და თავის ვაჟთან მისი ვექილი ხოჯა-თაჯი გამოეგზავნა, რომ ასეთი და ასეთი ამბავი მოვიდა და მდგომარეობის ნამ-დვილი არსი დაწვრილებით დასწერეთ და გამომიგზავნეთო“ [2].

დამოწმებულ ცნობაში მეტად საყურადღებოა ლევან კახთა მეფის ვექი-ლის ვინმე ხოჯა-თაჯის ვინაობა. ხოჯა შუა საუკუნეების აღმოსავლეთში მდიდარი და გავლენიანი ვაჭრის სინონიმი იყო. კახთა მეფის „ხოჯები“ (ვაჭრები) დასახელებულია ისკანდერ მუნშის თხზულებაშიც.

„თეზქერეს“ ცნობების მიხედვით კახეთის ძეფე ლევანი შაჰის „ყმაა“. შაჰს შეუძლია მისი დატუქსვა (داد گوشمالی). ყმის (ვასალის) მოვალეობაში შედის „პატრონისათვის“ (ამ შემთხვევაში შაჰისათვის) ძღვენის გამზადება და მის მხარეზე ჯარის გამოყვანა. პატრონი კი მოვალე იყო, რომ თავისი ყმა (ვასალი) სხვა უცხო დამპყრობელისაგან დაეცვა [3].

„თეზქერეში“ კახელების ჯარი არ იხსენიება, მაგრამ კახთა მეფის შვი-ლის ომში შაჰის მხარეზე მონაწილეობა „ყმის“ მოვალეობის შესრულების მაჩვენებელი იყო.

XVI ს-ის შუაწლებისათვის, როგორც ვხედავთ, ირანსა და კახეთს შორის მყარდება ურთიერთობის ის პოლიტიკური ფორმა, რომლის დარ-ღვევას შესაძლებელ შემთხვევაში კახთა მეფეები მუდამ ცდილობდნენ. ყი-ზილბაშები კახელებისთვისაც აგრესორები იყვნენ. კახთა მეფის ლევანის მოციქულები ინგლისელ ჯენკინსონს ეუბნებოდნენ, რომ მათი ქვეყანა თანაბ-რად იყო შეწუხებული ოსმალებისა და სპარსელებისაგან [4].

მაგრამ თუ ყიზილბაშური აგრესიის შესაჩერებლად კახეთისთვის მისა-ღები იყო ურთიერთობის შემუშავებული პოლიტიკური ფორმა, სამაგიეროდ იმავე ყიზილბაშური აგრესიის წინააღმდეგ, ხელსაყრელი საერთაშორისო ურთიერთობის პირობებში, კახეთი უკავშირდება იმას, ვინც მას აგრესორთა

---

[1] იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი. საქართველოს ცხოვრება 1469—1800-მდე. მეორე გამოცემა ხ. ჯიჯი-ნაძისაგან, ტფილისი, 1913, გვ. 165.

[2] تزلزلی درحالش افتاده کتابتی شخص داده نزدپسرش خواجه تاج وکیل خود فرستاده که این نوع اخبار رسید کیفیت احوالرا کما هو حقه نوشته ار سال دارند. Sani-ul-Daulah, Matla'ul—Shams, გვ. 205.

[3] კახეთ-ირანის ურთიერთობის შესახებ XVI ს-ში იხ. ნ. ბერძენიშვილის, — „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI — XVII საუკუნეთა მიჯნაზე“, მასალები საქ. და კავ. ისტორიისათვის, 1944, ნ. 1, გვ. 22.

[4] England's Quest of Eastern Trade by William Foster, London. 1933, გვ. 29.

წინააღმდეგ ბრძოლაში დამხმარე ძალად მიაჩნია. ცნობილია, რომ ლევან კახთა მეფემ პირველმა გააბა კავშირი ჩრდილოეთიდან მომავალ ახალ ძალასთან — რუსეთთან, რაც 1564 წელს კახეთის ციხეებში რუსი მეციხოვნეების ჩაყენებით დამთავრდა[1].

საზოგადოდ, ლევან კახთა მეფის პოლიტიკური განწყობილების დასახასიათებლად მნიშვნელობა აქვს შაჰ-თამაზის ნათქვამს რომ მას „ზოგი რამ უმსგავსო საქციელი ჩაედინა და იგი უნდა დამეტუქსაო". ცხადია „უმსგავსო საქციელი" შაჰისათვის არის ის, რაც მისთვის მოსაწონი და მისაღები არაა. ოსმალო ელჩებთან ლევან კახთა მეფის „უმსგავსო საქციელის" აღნიშვნა რაღაცნაირად უნდა იყოს დაკავშირებული მის ოსმალეთთან ურთიერთობასთანაც. ყოველ შემთხვევაში, ცნობილია, რომ შაჰ-თამაზს ლევან კახთა მეფის „ერთგულების" არცთუ ისე სწამდა და სწორედ მისი მოთხოვნით ლევან კახთა მეფე იძულებული იყო კახეთიდან რუსი მეციხოვნეები დაეთხოვნა.

„თეზქერეში" საინტერესო ცნობები გვხვდება სამხრეთ საქართველოს შესახებაც. ძეგლში სამხრეთ საქართველო მოხსენებულია როგორც ყვარ-ყვარეს ქვეყანა (الکای قرقره), ხოლო ცალკეული გეოგრაფიული პუნქტები თავიანთი ქართული სახელწოდებებით, მაგ.,— پاسین ბასიანი, ოლთისი — الطی, არტანუჯი — اردنوج და ა. შ.

ძეგლში დაცული ცნობების მიხედვით, სამხრეთ საქართველოს დიდი ნგრევა-გაპარტახება განუცდია ირან-ოსმალეთის პირველი ომის (1514 — 1555) დროს.

სამხრეთ საქართველოს, როგორც სანაპირო ქვეყანას, სომხეთის ტერიტორიასთან ერთად, ოსმალები გზად იყენებდნენ ირანის წინააღმდეგ ლაშქრობის დროს. მაგრამ „თეზქერედან" ჩვენ ისიც ვიცით, თუ რა საშუალებებს მიმართავდნენ ყიზილბაშები ოსმალთა შემოსევების დროს. სომხეთის ტერიტორიასთან დაკავშირებით იქ არაერთხელაა მოხსენებული სამხრეთ საქართველოს ცალკეული ოლქებიც, რომლებიც ირან-ოსმალეთის ომების ასპარეზს წარმოადგენდნენ. გადაწვა-გაუდაბურებასთან ერთად ყიზილბაშები სამხედრო ოპერაციებსაც აწარმოებდნენ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე. როდესაც ისკანდერ-ფაშამ შაჰს შემოუთვალა, რომ „მე გურჯისტანის არტანუჯის ციხეს შემოვადექი და შაჰი ჩემზე თავდასასხმელად თუ წამოვა უომრად არ გავეცლებიო"[2], ყიზილბაშებმა მის წინააღმდეგ საკმაოდ დიდი რაოდენობის ჯარი გაგზავნეს, რომელმაც რბევა-თარეშით მოიარა სამხრეთ საქართველოს ტერიტორია და იქ ოსმალთა ერთი რაზმიც დაამარცხა. საზოგადოდ, სამცხე-საათაბაგოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ირან-ოსმალეთის ქიშპში. ოსმალეთისათვის ეს იყო კარიბჭე, სადაც ბატონობა მას

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, გვ. 313.

[2] „თეზქერეს" ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი, გვ. 102.

საშუალებას მისცემდა უმოკლესი გზით შეეყვანა თავისი ჯარები აღმ. ამიერ-კავკასიაში და ჩრდილოეთ ირანში, ირანისათვის კი სამხრეთ საქართველოში ბატონობა ნიშნავდა მარჯვე პოზიციას ოსმალეთთან ომში. ამიტომ ფიქრობს ისკანდერ-ფაშა, რომ მის მიერ არტანუჯის დაპყრობა უომრად არ გათავდებოდა.

ძეგლის მიხედვით, სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე ხშირად შემოდიან და ხანგრძლივი დროით ჩერდებიან ყიზილბაშები. „თეზქერეში" არა ერთხელ მოუწოდებს შაჰი თავის წარჩინებულებს: „ყვარყვარეს ქვეყანაში დავდგეთ, ვიდრე ცხენები მოსუქდებიან" ან „ყვარყვარეს ქვეყანაში წავიდეთ, რათა ცხენები მოსუქდნენ" და ა. შ. ერთ ადგილას შაჰი იმასაც აცხადებს, რომ „ერთი თვის განმავლობაში შუშადის და ყვარყვარეს ქვეყნებში ვიდექით, ვიდრე რამაზნის დღესასწაული დასრულდებოდაო"[1]. ყიზილბაშთა ჯარის ამა თუ იმ ქვეყანაში ჩადგომის შედეგები ახლა ჩვენთვის კარგადაა ცნობილი.

„თეზქერეს" მიხედვით სამხრეთ საქართველოს ციხეებში ზოგან ყიზილბაში მეციხოვნეები მდგარან, ზოგან ოსმალები. ამრიგად, სამცხე-საათაბაგოს ერთი ნაწილი ოსმალებს, ხოლო მეორე ნაწილი ყიზილბაშებს სჭერიათ. ასეთ ვითარებაში, როგორც ძეგლიდან ვტყობილობთ, ათაბაგს სამცხიდან ოსმალთა განსადევნად ყიზილბაშები მოუპატიჟებია. ცნობილია, რომ სამცხის ათაბაგებს გულზე არც ირანის შაჰი ეხატათ და არც ოსმალეთის ხონთქარი, მაგრამ მათი არჩევანი უფრო ირანისაკენ იხრებოდა. ეს გასაგებიცაა, რადგან XVI საუკუნეში ირანი და ოსმალეთი სამცხის მიმართ სულ სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებულ, პოლიტიკას ატარებდნენ. ყიზილბაშები სამცხის სრულ ინკორპორაციას მიზნად არ ისახავდნენ, ოსმალები კი სწორედ ამ მიზნით იპყრობდნენ სამცხეს. „მესხეთის მიმართ თურქეთი სრულიად განსხვავებულ პოლიტიკას ადგა, ვიდრე საქართველოს სხვა ნაწილების მიმართ. მესხეთში იგი ხარკითა და ათაბაგების ვასალური დამოკიდებულებით არ კმაყოფილდებოდა (ასეთ წარმატებას მან ჯერ კიდევ XV ს-ის 70-ან წლებში მიაღწია) და XVI ს-ის პირველსავე ნახევრიდან ახორციელებდა ამ მხარის სრული ინკორპორაციის პოლიტიკას"[2]. „თეზქერედან" ჩანს, და საფუძველი გვაქვს ვერწმუნოთ მის ცნობებს, რომ ათაბაგი შაჰთან შეთანხმებით მოქმედებს. თუმცა საამისო ცნობების ანალიზისას გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ოსმალო ელჩებთან საუბარში შაჰ-თამაზი შეგნებულად და სრულიად გარკვეული მოსაზრებით აღნიშნავს ირანის „უფლებას" სამცხე-საათაბაგოზე, რომლის მმართველი ათაბაგი შაჰს მფარველობას სთხოვდა და „ერთგულებასაც" უმტკიცებდა.

„თეზქერეს" მიხედვით, მას შემდეგ რაც ყიზილბაშებმა სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე ერთი თვე დაჰყვეს, რამაზნის მიწურულს, მათთან

---

[1] تا مدت یک ماه در الکای شوشتاد و الکای قدبت گرجی وقرقره نشستیم. „თეზქერეს" ს. ნ. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი, გვ. 9.

[2] Н. Бердзенишвили. Очерк..., გვ. 31—32.

მოსულა იესე ხანის მსახური ვინმე აზარბარი, რომლისთვისაც „ბესბათს დაებარებინა აიაზ-ფაშა ოლთის ციხეში მარტო დგას, ხონთქარი კი არზრუმში არისო“ [1], და მოუწოდებია, რომ ოსმალები ოლთისიდან განდევნეთო.

ყიზილბაშებმა ოლთისის ციხეზე ლაშქარი გაგზავნეს: „ჩვენც ფორგუნ (پرگن) ციხის სანახებიდან შაჰ-ყული ხალიფა მეჰრდარი, მოჰამედ-ბეგ მოვსალი. ადჰამ-ბეგ რუმლუ. ალეფ-ბეგ საადლუ და თარხან-ბეგი, სხვა ამირებთან ერთად (ოლთისზე) გავაგზავნეთ. ყვარყვარე გურჯის შვილი, და ასევე გურჯები შათ ჩარხჩებად გაჰყვენ და ხუთი ათასი კაცით აიაზ-ფაშაზე თავდასასხ�გაემართნენ“ [2]; „თეზქერეს“ ამ ცნობიდან ჩანს, რომ ათაბაგის შვილი, რომლის სახელსაც შაჰი არ ასახელებს, მსგავსად ლევან კახთა მეფის შვილისა. მძევლად ჰყოლია შაჰ-თამაზს და მას თანა ხლებია. ათაბაგის შვილის მონაწილეობა ყიზილბაშთა ამ ლაშქრობაში ცხადად უჩვენებს ათაბაგის ორიენტაციის აზრსა და მიზანს აღებულ ხანაში.

ოლთისის ციხეზე ყიზილბაშთა გალაშქრების დროს მათ მიერ შეპყრობილი ხონთქრის მოხელის სენან-ბეგის ჩვენებით: „მთელი ლაშქარი, გარდა ხონთქრისა. ოლთისს მოვიდა და ხონთქარიც უკან მოჰყვებაო“. ამ ცნობიდან აშკარაა, რომ ამჯერად სამხრეთ საქართველო ხონთქრის ცალკეული მოხელეების მცირე მასშტაბის შემოსევას კი არ განიცდის, როგორიც იყო ისკანდერ-ფაშას ან აიაზ-ფაშას შემოსევა, არამედ ოსმალთა მთელი ლაშქრის შემოსევას. რომელსაც თვითონ ხონთქარი ხელმძღვანელობს. „თეზქერეს“ მიხედვით, აღწერილი ამბები ხდება ხონთქრის მე-4 ლაშქრობის დროს ირანის წინააღმდეგ. ე. ი. დაახლოებით 1554 წლის ახლო ხანში. შაჰი თავის „თეზქერეში“ ისეთნაირად აღწერს ამ ამბებს, რომ აშკარაა ცდილობს მკაფიოდ უჩვენოს. თუ როდის და რა პირობებში გახდა. შესაძლებელი საზავო მოლაპარაკება. რაც 1555 წლის საზავო ხელშეკრულებით დამთავრდა. სამცხისა და ქართლის შესახები ცნობები შაჰ-თამაზ 1-ის „თეზქერეში“ სწორედ ამ მიზნითაა მოტანილი. ყველაფერი ეს ადვილად გასაგებია, რადგან საქართველოს საკითხში შეთანხმება ომის შეწყვეტის და ზავის დადების ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო. როგორც ირანის, ისე ოსმალეთის მთავრობის თვალსაზრისით.

სამხრეთ საქართველოს ის შინაფეოდალური და დინასტიური ბრძოლაც შეხებია. რომელიც სულთან სულეიმანის ვაჟებთან სელიმთან და ბაიაზეთთან იყო დაკავშირებული. ამ ორი ოსმალო უფლისწულის პირველი შეტაკება, რომელიც იკონიაში მოხდა, სელიმის გამარჯვებით დასრულდა. უფლისწული ბაიაზეთი გამოიქცა და ბასიანში დადგა, საიდანაც მოლაპარაკება გააბა ირანის შაჰთან. შაჰი შენიშნავს, კაცმა, რომელიც ბაიაზეთისაგან შუამავლად მოვიდა შემდეგი განაცხადა: „სულთან ბაიაზეთი ბასიანს მოვიდა, ხოლო მე

---

[1] ბესბათი დაახლოებით მოურავს უდრის.

[2] „თეზქერეს“ ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი, გვ. 122.

[3] تمامی لشکر سوای خواندکار بالطی آمده اند و خواندکار نیز ازعقب میاید. იქვე, გვ. 123.

გამომაგზავნა (შესატყობად) შაჰთან რომ მივიდე მფარველობას გამიწევს თუ არაო"[1]. რამდენიმე დღის შემდეგ „ი „ამბავი მოვიდა, რომ ნუჰ-ფაშა სულთან ბაიაზეთს თავს დაესხა, იბრძოლეს და ბაიაზეთი დამარცხდა. რის შემდეგ ჩუხურ-საადში შაჰ-ყული სულთანთან მივიდაო"[2].

შაჰ-თამაზ I-ის „თეზქერეში" ქართლის შესახებ შედარებით უფრო ნაკლები ცნობები გვხვდება, ვიდრე კახეთისა და სამხრეთ საქართველოს შესახებ. ეს, ალბათ, აიხსნება ქართლის ირანთან დამოკიდებულების თავისებურებით. ქართლი, როგორც ცნობილია, ყველაზე უფრო თავგამოდებით ებრძოდა როგორც ყიზილბაშებს, ისე ოსმალებს. ქართლის მეფე ლუარსაბ I (1534 1558), რომელიც „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის თავდადებული ბრძოლის დროშად იქცა ირან-ოსმალეთის მოძალადეობის შავბნელ ხანაში"[3] არცერთ დამპყრობელს ნებით თავს არ უდებდა. იგივე შაჰ-თამაზ I ბევრს ეცადა ხელთ ეგდო ლუარსაბ მეფე. მაგრამ ყველა მისი ცდა ამაო იყო. ვახუშტის სიტყვით „ამისთვის მტრობდა უფროს ლუარსაბს ყენენი. რამეთუ არა მორჩილ ექმნა დღეთა მისთა არცა ყენენსა და არცა ხონთქარსა, რათა არა სხუანი მისნი ამძლავროს და დაატეეებინოს ქრისტე"[4]. ხოლო „უკეთუ მორჩილ მათდა ქმნილ იყო საეკველ-იყო, რამეთუ მრავალ-გზის დიდნი ძლევანი და მაგრებანი შესძინა ქვეყანათა სიმბნითა თვისითა"[5]. ასეთ ვითარებაში შაჰ-თამაზისათვის ძალზე უხერხული და უსიამოვნო უნდა ყოფილიყო ოსმალო ელჩებთან ქართლისა და მისი გმირი მეფის ლუარსაბ I-ის შესახებ ლაპარაკი. საქმე ისაა, რომ ლუარსაბის თავდადებული ბრძოლის გახსენებას ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა ის დასკვნაც, რომ 1555 წლის ზავით ირანისადმი მიკუთვნებული ქვეყანა არავითარ შემთხვევაში არ სცნობდა ბატონად ყიზილბაშებს და მისი დამორჩილება იარაღის ძალით იყო საჭირო. შაჰი საერთოდ ერიდებოდა ოსმალო ელჩების წინაშე იმის აღნიშვნას, რომ ამიერკავკასიის ხალხებს ცოცხალის თავით არ სურდათ ყიზილბაშთა უღელქვეშ ყოფნა და რომ ისინი განაგრძობდნენ ბრძოლას ყიზილბაშთა ბატონობისაგან თავის დასაღწევად. პირიქით, შაჰი ცდილობდა საქმე ისე წარმოედგინა თითქოს ამიერკავკასიის ხალხები არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდნენ ყიზილბაშებს.

შაჰ-თამაზი „თეზქერეში" გაკვრით იხსენიებს საქართველოს წინააღმდეგ მისი რიგით მე-4 ლაშქრობის დროს ქართლის აოხრების ამბავს. შაჰი რატომღაც არც ამ ლაშქრობის მიზეზს ასახელებს და არც მის მსვლელობას. იგი უბრალოდ, ვითომდა სხვათაშორის, შენიშნავს, რომ „ლუარსაბ ხანის გურჯისტანზე გავილაშქრეთ, იქაური ციხეთა და სიღნაღთა უმრავლესობა

---

[1] „თეზქერეს" მითითებული ხელნაწერი, გვ. 129.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 130.

[3] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. საქართველოს ისტორია, გვ. 300.

[4] ვ ა ხ უ შ ტ ი. საქართველოს ცხოვრება 1469—1800-მდე, მეორე გამოცემა ს. ბიჭინაძისაგან, ტფილისი, 1913, გვ. 38.

[5] ი ქ ვ ე.

დავლეწეთ. ოცდაათი ათასი ტყვე წამოვიყვანეთ და იქიდან ყარაბაღს მივედით"[1]. „თეზქერეს" ეს ცნობა ქართლის შესახებ მეტად საინტერესოა და მრავალმხრივ საყურადღებო. ჯერ ერთი, შაჰი მეფე ლუარსაბს, მსგავსად ლევან კახთა მეფისა, ხანის ტიტულით იხსენიებს, რაც ირანის მთავრობის გარკვეულ თვალსაზრისთან არის დაკავშირებული, მაგრამ რომლის რეალიზაცია ჯერ კიდევ არ არის მომზდარი. მეორე მხრივ საკუთრივ შაჰის სიტყვებიდან მკაფიოდ გამოსჩვივის, თუ როგორ წინააღმდეგობას წააწყდა ყიზილბაშთა ჯარი ქართლში, სადაც მათ აუარებელი ციხე და სიღნაღი დაულეწიათ.

„თეზქერედან" მოტანილი ცნობიდან ირკვევა, რომ ყიზილბაშებმა მიწასთან გაასწორეს ქართლის ქვეყანა, მოთხარეს და დალეწეს ციხეები, მუსრი ფაავლეს ნოსახლეობას, გაძარცვეს ქვეყანა და წაიყვანეს მრავალი ტყვე. საინტერესოა, რომ საამისო ცნობას გვაწვდის თვითონ ირანის შაჰი თამაზ I.

ყიზილბაშების შიერ ქართლის აოხრებას ძეგლში თარიღი არ ახლავს, მაგრამ ამის დადგენა ადვილი საქმეა. ცნობილია: შაჰი საქართველოდან ყარაბაღს რომ მივიდა. იქიდან დაზავების თაობაზე ხონთქარს ელჩები გაუგზავნა. რის შემდეგ ჩქარა ზავიც დაიდო. შაჰი იქვე კმაყოფილებით შენიშნავს: „მადლობა ღმერთს ზავი დაიდოო"[2]. აქ ლაპარაკია ირანსა და ოსმალეთს შორის 1555 წ. ქალაქ ამასიაში დადებულ ზავზე. რაკი მას წინ უსწრებდა ქართლის აოხრება. უნდა ვიფიქროთ, რომ შაჰ-თამაზის ეს ლაშქრობა ან 1554 წელს მოხდა, ანდა 1555 წლის დასაწყისში.

1555 წლის ირან-ოსმალეთის ზავის პირობებით ირანმა და ოსმალეთმა შუა გაიყვეს ამიერკავკასია. „თურქეთთან ამასიაში დადებული ზავის თანახმად (1555), ყიზილბაშთა სახელმწიფომ დაჰკარგა სამხ. სომხეთი (ვანის ტბის აუზი) მაგრამ შეინარჩუნა ჩრდ. სომხეთი, აღმ. საქართველო და მთელი აზერბაიჯანი"[3].

ზავის ძალით საქართველო ორად იქნა განაწილებული ირანსა და ოსმალეთს შორის. „ქართლი, კახეთი და სამცხე-საათაბაგო ირანმა ირგუნა, ხოლო იმერეთის სამეფო გურიისა და ოდიშის სამთავროებით—ოსმალეთმა"[4].

მაგრამ ამიერკავკასიის ქვეყნები არ შერიგებიან არც ყიზილბაშთა ირანის, არც ოსმალეთის ბატონობას. კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის გამოჩენაში ამიერკავკასიის ხალხებმა ის ძალა დაინახეს, რომლის აქტიურმა ბრძოლამ აღმოსავლეთის აგრესორების წინააღმდეგ რეალურად დასახა ამიერკავკასიის ირანისა და ოსმალეთის ბატონობისაგან გამოხსნა-განთავისუფლების გზა.

---

[1] متوجه گرجستان لرصاخان شدیم آکثر قلاع و سقاقات آنجارا فتح نموده موازی سی هزار اسیر گرفتیم و از آنجا بجانب قراباغ آمدیم. „თეზქერეს" მითითებული ხელნაწერი, გვ. 126.

[2] იქვე, გვ. 127.

[3] П. П. Петрушевский. Азербайджан в XVI—XVII веках, გვ. 268.

[4] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, გვ. 306.

## 3. ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო

ირან-ოსმალეთის 1639 წლის ხელშეკრულებაში. როგორც მისი ისტორიულ-კრიტიკული ანალიზი გვიჩვენებს, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა „გურჯისტანის საკითხსაც". ეს „საკითხი" XVI ს-ის დამდეგიდანვე განსაკუთრებულ ადგილს იკერს ირან-ოსმალეთის ურთიერთობაში. მისი ასწლოვანი განვითარება 1639 წლის აგრესიულ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებით დასრულდა.

1639 წლის ხელშეკრულება ფაქტიურად წარმოადგენს 1555 წელს ქ. ამასიაში დადებული ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების ერთგვარ ვარიაციას, რომელიც მოცემული ისტორიული ვითარებისა და პირობების მიხედვით იყო შეშუშავებული.

დამახასიათებელია, რომ 1555 წელს შემუშავებული დიპლომატიური ფორმულა (ირანი სცნობს ოსმალეთის „უფლებას" დას. საქართველოზე, ხოლო ოსმალეთი სცნობს ირანის „უფლებას" აღმ. საქართველოზე) ირან-ოსმალეთის შეთანხმების (ე. ი. ომის შეწყვეტის) მთავარ პირობად ითვლებოდა XVI—XVII საუკუნეებში. შესაძლებელ შემთხვევაში, მოპირდაპირე მხარე ან მთლიანად უარყოფდა მას და განაწილებულ „უფლებას" აერთიანებდა (1590 წლის საზავო ხელშეკრულება), ანდა (ომის მიხედვით, თუ როგორი იყო ძალთა განწყობილება მახლობელ აღმოსავლეთში) შესაფერისი კორექტივი შეჰქონდა მასში (1619 წ. და 1639 წ. ხელშეკრულებები).

ამრიგად, ირან-ოსმალეთის აგრესიულ პოლიტიკას მოწმობენ არა მარტო მათი გაუთავებელი ომები საქართველოს ტერიტორიაზე, დაპყრობა-მიტაცებას რომ ისახავდნენ მიზნად, არამედ საზავო ხელშეკრულებებიც, რომელთა მიხედვით გაელენის სფეროებად განაწილებულ საქართველოს საწინდარი უნდა შეექმნა მათი პოლიტიკური ბატონობისათვის.

დამპყრობელი ყიზილბაშები და ოსმალები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა არ დაეშვათ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, რაც, ცხადია, დასაპყრობ-მისატაცებელ ქვეყანას აგრესიულ მუსლიმანური სახელმწიფოების წინააღმდეგ დარაზმავდა. საამისო ლონისძიებანი მკვეთრად არის აღბეჭდილი 1555 წლის ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებაში, რომლის დარღვევა, როგორც წესი, ირან-ოსმალეთის მრავალწლოვან ომებს იწვევდა.

1555 წლის ზავი საფუძველს უქმნიდა ირან-ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკის წარმატებას საქართველოში. თუ როდის, რა პირობებში და როგორ ცდილობდნენ აგრესორები ამასიაში დასახული გეგმის განხორციელებას, ამას გვიჩვენებს ამასიის ზავის დიპლომატიური ფორმულის განვითარება, რაც, თავის მხრივ, მჭიდროდაა დაკავშირებული ირანსა და ოსმალეთს შორის სხვადასხვა დროს დადებულ საზავო ხელშეკრულებებთან.

ირან-ოსმალეთის მიერ საქართველოს დაპყრობის მიზნით შემუშავებული ამასიის პოლიტიკური შეთანხმების საბოლოო შედეგები აისახა 1639 წლის

საზავო ხელშეკრულებაში, სადაც უკვე მოცემულია აგრესიის შედეგების გაფორმება.

1555 წლის ზავმა სერიოზულად გაართულა საქართველოს საგარეო და საშინაო მდგომარეობა.

ამ შეთანხმების ძირითადი პირობის მიხედვით ირანი და ოსმალეთი ერთმანეთთან სწყვეტდნენ ომს და პირობას ჰკრავდნენ, რომ ამიერიდან მთელი ძალებით შეუტევდნენ საქართველოს მხოლოდ გარკვეულ ნაწილებს: ირანს მხოლოდ აღმ. საქართველოზე უნდა ეწარმოებინა შეტევა, ოსმალეთს კი დას. საქართველოზე; ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობდა, რომ არ ჩაერეოდა საქართველოს მეორე ნაწილის საქმეებში და იქ ხელს არ შეუშლიდა მოპირდაპირე მხარის „უფლების" რეალიზაციას. „თურქეთსა და ირანს შორის დადებულ ზავს,—წერს პროფ. ნ. ბერძენიშვილი,—საქართველოსათვის ჰქონდა განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა. ის გარკვეულად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს გაერთიანებას. ამის შემდეგ ყოველი მისი ნაწილის ბრძოლა დამპყრობელთან მიმდინარეობს შეუდარებლად მძიმე პირობებში. მანამ, ვიდრე თურქეთი და ირანი იცავდნენ 1553 წლის[1] საზავო ხელშეკრულების პირობებს, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართულ სამეფოებს არ უნდა ჰქონებოდათ დახმარების იმედი ამ მოქიშპე სახელმწიფოებისაგან; ისინი მთლიანად დამოკიდებული რჩებოდნენ საკუთარ სუსტ ძალებზე. გასაგებია, რომ თურქეთისა და ირანის მიერ ქართული სამეფოების და სამთავროების დაპყრობა, უფრო წარმატებით მიმდინარეობს 1553 წლის შემდეგ"[2].

ირან-ოსმალეთის 1555 წლის ზავი აღრმავებდა საქართველოს ფეოდალურ დაშლილობას, რაც ქვეყნის დამორჩილების გადამწყვეტ პირობას წარმოადგენდა. ამიერიდან ირანი და ოსმალეთი ეპვით უყურებდნენ დას. და აღმ. საქართველოს ნეფე-მთავრების კავშირ-ურთიერთობას და მას განიხილავდნენ როგორც მოპირდაპირე მხარის ვასალების „მტრულ მოქმედებას".

ირან-ოსმალეთის 1555 წლის ზავმა სათანადო გამოხმაურება ჰპოვა ფეოდალურ საქართველოში. „ამ გაყოფას (1555 წლის ზავს—ვ. ჩ.),—წერს გორგიჯანიძე,—სრულ საქართველოს ბატონები დასჯერდეს. მაგრამ მეფე ლუარსაბ არ სჯერიყო და კიდეც თაკილობდა, ამისთვის უფრო ურჩობდა და აქეთ ერანის თემსა და იქით ურუმის ქვეყანას არბევდეს"[3]. ქვეყნის შინაგანმა დამრღვევმა ძალებმა („სრულ საქართველოს ბატონები") ოსმალეთისა და ირანის შეთანხმებაში დაინახეს თავდაცვის საშუალება იმ ძალისაგან, რომელიც საქართველოს გაერთიანების იდეას არ ეხსნებოდა (საამისოდ შეუფერებელი საშინაო და საგარეო პირობების მიუხედავად). ხოლო ქართლის მეფემ (საქართველოს გაერთიანების პრეტენდენტმა) „ითაკილა" ირან-ოსმალეთის შეთანხმება. გარეშე მტრების ეს შეთანხმება აძლიერებდა ქვეყნის დამრღვევ ძალებს და, ამდენად, ქართლის მეფეს ხელს უშლიდა საქართველოს გაერთიანების საქმეში.

---

[1] უნდა იყოს 1555 წელი.

[2] Н. Бердзенишвили. Очерк..., გვ. 26—27.

[3] ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 7.

ირან-ოსმალეთის 1555 წლის ზავმა ყველაზე მძიმე მდგომარეობა შექმნა სამცხე-საათაბაგოში. აგრესორებმა შუაზე გაიყვეს საქართველოს ეს მხარე. ჩესხეთის დიდი ნაწილი (აღმოსავლეთი) ირანს ერგო, მისი დასავლეთი კი — ოსმალეთს.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა გამოწვეული იყო სამცხე-საათაბაგოს განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობით.

1555 წლის ზავი არ დარღვეულა 1578 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში ორივე მხარე ფორმალურად იცავდა ნაკისრ ვალდებულებებს. ქართველ ხალხს არახელსაყრელ საერთაშორისო პირობებში უხდებოდა ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართლის სამეფო, რომლის დაპყრობა ირანის მიერ 1555 წლის ზავით იყო გათვალისწინებული.

ქართლის მეფისათვის ცხადი იყო, რომ საქართველოს ბრძოლა ყიზილბაშური ირანის წინააღმდეგ მნიშვნელოვნად შემსუბუქდებოდა, თუ ოსმალეთსა და ირანს შორის კვლავ მკვეთრი დაპირისპირება მოხდებოდა. ირან-ოსმალეთის დაპირისპირების მიზნით სიმონ მეფემ (1558—1600) გადადგა სათანადო დიპლომატიური ნაბიჯი. მან ოსმალეთის ამხედრება სცადა იმ დროს, როდესაც ირანისა და ოსმალეთის ურთიერთობაში ადგილი ჰქონდა ერთგვარ გართულებას.

1559 წლის ზაფხულში სულთან სულეიმან კანუნის (1520—1566) აუჯანყდა უფლისწული ბაიაზეთი, მაგრამ მეამბოხე დამარცხდა და იმავე წლის შემოდგომაზე ირანის შაჰთან გაიქცა 12000 კაცით. სხვა შემთხვევაში ოსმალეთი ამას ომის საბაბად გამოიყენებდა, მაგრამ ამჯერად შეგნებულად მოერიდა ომს ირანთან, ვინაიდან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ავსტრიასთან. გარდა ამისა ირანის საშინაო მდგომარეობაც შედარებით მტკიცე იყო იმ მომენტში. ამ გარემოებას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალეთის წარმატება-წარუმატებლობისათვის მახლობელ აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში.

ირან-ოსმალეთის ურთიერთობის აღნიშნული გართულების დროს სიმონ მეფეს ელჩი გაუგზავნია სულთანთან. ამის შესახებ ცნობას ვხვდებით ჰამერის ოსმალეთის ისტორიაში. მისი შინაარსი ასეთია: „...საქართველოს მეფემ (prince) შაჰის (წინააღმდეგ) საჩივლელად ოსმალეთის კარზე მიავლინა თავისი დეფთერდარი აბდულ ბლამი; (მან) წინადადება მისცა სულთანს, რომ საქართველოს ააჯანყებდა სპარსეთის ბატონობის წინააღმდეგ და მიიღებდა ოსმალეთის მფარველობას, რაზეც მიიღო ასეთი პასუხი: „მიუხედავად იმისა, რომ შაჰმა ზავი მოიპოვა თერთმეტ წლიანი ომის შემდეგ, შაჰანშაჰი[1] მაინც მზად არის წამოვიდეს შენს დასახმარებლად და ტანჯვა შეგიცვალოს ბედნიერებად“[2].

---

[1] შაჰანშაჰი აქ სულთანს ნიშნავს.

[2] Hammer. Histoire de l'Empire Ottoman, VI, Paris, 1837, 134; ამ ცნობიდან მართალია არ ჩანს თუ როშელმა ქართველმა მეფემ გაგზავნა ელჩი სულთანთან. მაგრამ სიმონის გარდა იმ დროს არავინ დაუკავშირდებოდა სულთანს. ასეთი დასკვნის უფლებას გვაძლევს საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინება. სულთანთან

სულთნის მიერ საქართველოს მეფისათვის მიცემულ პასუხიდან ჩანს, რომ სულთანი სიმონს დახმარების იმედს აძლევდა, რათა წაექეზებინა იგი ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც თვითონ იგი შაჰთან დიპლომატიური მოლაპარაკების გზით აგვარებდა სადავო საკითხს (ბაიაზეთის თაობაზე) და ირანთან ომის განახლებას არ ფიქრობდა. ასეთი პოლიტიკით ოსმალეთი ვარაუდობდა, რომ გააძლიერებდა ბრძოლას ქართლსა და ირანს შორის და დაასუსტებდა ორივეს. ამას კი ოსმალეთისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალ ომში, რომელსაც ის ამიერკავკასიის დაპყრობის მიზნით ამზადებდა.

ოსმალეთის საომარი სამზადისი მარტო ამით არ ამოიწურებოდა. იმ დროს სულთანი მოკავშირეებს ეძებდა ირანის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებშიც. საინტერესოა სულთნის წერილი, რომელიც მან 1559 წელს გაუგზავნა ოზბეგთა ხანს. ამ წერილში ის პირდაპირ გამოთქვამს თავის სურვილს—განაახლოს ომი ირანის წინააღმდეგ. „ამ ამაყმა გვირგვინოსანმა სპარსმა, სულელმა შაჰმა,—წერდა სულთანი,—მას შემდეგ, რაც არაერთხელ დაიმცირა თავი, ელჩობა გამომიგზავნა და უმორჩილესად მთხოვა ზავი, რომელიც ვ უ ბ ო ძ ე ც ო ტ ა ს ნ ი თ[1], როგორც წყალობა. შემდეგ მან შეიფარა (ჩემი) დამნაშავე შვილი ბაიაზეთი და ეს ზავი დაარღვია ისე სულმდაბლად, რომ (მისი) კვალი შუბლზე ატყვია. გადავწყვიტე აღარ ვირწმუნო მისი სიტყვები და კვლავ ვეცადო მის მოსპობას"[2].

ამ ცნობიდან ნათელია, რომ ოსმალეთის სულთანი დროებით ზავად სთვლიდა ირან-ოსმალეთის 1555 წლის ხელშეკრულებას. ამასთან ირანის შაჰის მიერ ბაიაზეთის შეფარება სულთანს მიაჩნდა ზავის ფორმალურ დარღვევად. მაგრამ იმ მომენტში ოსმალეთმა, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, ვერ დაიწყო ომი.

ოსმალეთისაგან განსხვავებით ირანი ცდილობდა 1555 წლის ზავის შენარჩუნებას. ეს ზავი მას შესაძლებლობას აძლევდა მთელი ძალებით ეწარმოებინა ბრძოლა ქართლის დაუმორჩილებელი სამეფოს წინააღმდეგ. 1567 წელს ოსმალეთსა და ირანს შორის, შაჰ-თამაზის ინიციატივით, გახანგრძლივა 1555 წ. ზავი[3].

ქართლის სამეფო კვლავინდებურად საკუთარი ძალით განაგრძობდა მძიმე ბრძოლას ყიზილბაშების წინააღმდეგ. 1569 წ. ირანმა შეძლო სიმონ მეფის დამარცხება და თავისი მოხელის, პირველი მაჰმადიანი ხანის (დაუთ-

---

ელჩს არ გაგზავნიდნენ დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები. ისინი ვერ მოუწოდებდნენ ოსმალეთს „სპარსეთის ბატონობის" წინააღმდეგ იმიტომ, რომ დასავლეთ საქართველო ზავის ძალით ხონთქრის ქვეყნად ითვლებოდა. სულთანთან, ცხადია ვერც ათაბაგი გაგზავნიდა ელჩს. ნაკლებ საფიქრებელია, რომ ელჩი გაეგზავნოს კახეთის მეფეს, რომელსაც ვასალური ურთიერთობა ჰქონდა შაჰთან. მხოლოდ ქართლი აწარმოებდა მძიმე ომს ირანთან და, ცხადია, ყველაზე მეტად მისთვის იყო საჭირო ოსმალეთის ამხედრება ირანის წინააღმდეგ. მ. ბ რ ო ს ე აგრეთვე ფიქრობს, რომ ელჩი გაგზავნილი იყო სიმონ მეფის მიერ (B r o s s e t. Addition, V, გვ. 453, შენ. 1).

[1] ხაზგასმა ჩვენია,—ვ. ჩ.

[2] H a m m e r. დასახ. ნაშრ., გვ. 113.

[3] ი ქ ვ ე. გვ. 326.

ხანი) დასმა თბილისსა და სომხით-საბარათიანოში. აღმოსავლეთ საქართველოში ირანის გაძლიერება აშკარა იყო. ოსმალეთში, სადაც 1555 წლის ზავის მიუხედავად, ხელს არ იღებდნენ აღმოსავლეთ საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის დაპყრობაზე, უმაყოფილოდ უყურებდნენ როგორც ირანის „უფლების“ რეალიზაციას ქართლში, ისე ახალი ძალის (რუსეთის) გამოჩენას კავკასიაში. ასტრახანის ლაშქრობით (1569 წ.) ოსმალეთმა, მართალია, ვერ შეძლო რუსეთის უკუგდება კავკასია-კასპიის ზღვისპირეთიდან, მაგრამ ამ მარცხის შემდეგაც ის გამალებით ემზადებოდა კავკასიის დასაპყრობად.

ოსმალეთის დიდი შეტევა ამიერკავკასიაზე დაიწყო 1578 წელს. ამ ხანებში ირანში შინაფეოდალური ომები წარმოებდა, რის შედეგად სეფიანთა სახელმწიფო ფაქტიურად დანაწილებული აღმოჩნდა ყიზილბაშ ამირებს შორის. ოსმალეთმა ირანის საშინაო მდგომარეობის გართულებას დაუკავშირა ახალი ომის წარმატება. თავისი აგრესიული ზრახვების განსახორციელებლად ოსმალეთი ცდილობდა ირანის მოწინააღმდეგეთა დარაზმვას ამიერკავკასიის ქვეყნებში. სულთანი დაკარგული ტახტის დაბრუნებას ჰპირდებოდა შირვან-შაჰების დინასტიის ნაშიერს. ამავე დროს ოსმალემა „საგანგებო წიგნებით“ მიმართა საქართველოს მეფე-მთავრებს (გურიელს, დადიანს, იმერეთის მეფეს, კახეთის მეფეს და, ცოტა უფრო გვიან, ათაბაგ მანუჩარსა და დაუთ-ხანს) და სცადა მათი ამხედრება ირანის წინააღმდეგ [1].

1578 წ. 9 აგვისტოს ოსმალეთის ლაშქარმა დაამარცხა ირანელები ჩილდირის ტბასთან და სამცხე-საათაბაგოს შეესია. თავადურმა საქართველომ, რომელსაც ძალების გაერთიანების უნარი არ შესწევდა, მტერს დასაპყრობად დაანება ქვეყნის ეს ნაწილი. თვითონ მესხი ფეოდალებიც ვერ დაირაზმნენ და თავიანთი მოქმედებით ხელი შეუწყვეს მტრის წარმატებას. ზოგი მათგანი აშკარად გადავიდა ოსმალთა მხარეზე და მათ უბრძოლველად გადასცა ციხე-სიმაგრეები. ასე მოიქცა, მაგალითად, „ამილახორი შუილი ქოიარ“, რომელიც მიეგება „არტანს და ორი ციხე მან შესძღვნა ლალაფაშასა“ [2].

მესხეთში მოპოვებულმა სწრაფმა წარმატებამ ლალა-ფაშას შიდა ქართლში შეჭრის შესაძლებლობა მისცა. ორი კვირის შემდეგ მტერმა აიღო თბილისი (24 აგვისტოს) [3] და გზა განაგრძო აღმოსავლეთისაკენ. ოსმალეთის ლაშქარი უშუალოდ მიადგა კახეთს. კახეთის მეფე ალექსანდრემ (1574—1605) სულთანს ხარკი აღუთქვა. მუსტაფა ლალა-ფაშა საქართველოდან შირვანში გაიჭრა და მის დაპყრობას შეუდგა. ხოლო ოსმალთა სხვა ლაშქარი შირვანში შეიჭრა ჩრდ. კავკასიიდან (დარუბანდის გზით). ირან-ოსმალეთის ომი გაგრძელდა 1590 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში ოსმალებმა შეძლეს ირანელთა განდევნა ამიერკავკასიიდან და სამხრეთ აზერბაიჯანიდან. 1590 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის დაიდო ზავი, რომლის მიხედვით ირანმა ხელი აიღო მთელ ამიერკავკასიაზე.

---

[1] Hammer. დასახ. ნაშრ., VII, გვ. 76—85.

[2] სამი ისტორიული ქრონიკა, ე. თაყაიშვილის გამოც., გვ. 99; შდრ. ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს ცხოვრება, ჯიჯინაძის გამოც., 1913, გვ. 251.

[3] ფეჩევის ისტორია, (თურქ. ენ.), სტამბოლი 1283 ჰიჯ. ტ. II, გვ. 42—43.

1590 წელს ოსმალეთმა უარყო ის „უფლება“, რომელიც მან ირანს გაუნაწილა ამასიაში 1555 წელს. ეს იყო ოსმალეთის ცალმხრივი აგრესიული აქტი საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის მიმართ. 1590 წლის ზავით შაჰ-აბასი (1587—1629) ფორმალურად აღიარებდა ოსმალეთის განუყოფელ ბატონობას ირანის „ტრადიციულ“ საყმო ქვეყნებზე ამიერკავკასიაში.

ოსმალეთი, ჯერ კიდევ ირანთან დაზავებამდე, სადაც ეს შესაძლებელი იყო, დაჟინებით ცდილობდა საკუთარი სოციალ-პოლიტიკური სისტემის შემოღებას. დაპყრობილი ქვეყნებიდან ჩამოყალიბდა ვანისა და თავრიზის ვილაიეთი—ოსმალეთის სახელმწიფოს კიდევ ერთი ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც შედგა აქამდე სეფიანთა სახელმწიფოში შემავალი აზერბაიჯანისა და აღმოსავლეთ სომხეთისაგან.

ოსმალეთის ადმინისტრაციული სისტემა დამყარდა შირვანშიც, სადაც დამპყრობელმა, დაპირების მიუხედავად არ დაუშვა ადგილობრივი დინასტიის დაბრუნება ხელისუფლების სათავეში.

მოძალადისაგან თავის დაცვისა და წინააღმდეგობის გაწევის მეტი უნარი აღმოაჩნდა ქართლის სამეფოს. აქ „ოსმალობის“ შემოღების ცდა ქართველი ხალხის ისეთ ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა, რომ ქართლის ციხეებში შეყენებულ მტრის გარნიზონებს ქვეყნის დამორჩილების ღონე არ ეყოთ და იძულებული იყვნენ ხელი აეღოთ მის სწრაფ გაოსმალებაზე.

ქართლის ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კახეთისათვისაც. ვიდრე ეს ბრძოლა წარმოებდა, ოსმალეთს არ შეეძლო კახეთის დაპყრობა. „მაგრამ უეჭველი იყო, რომ ოსმალეთი, როგორც კი მოიცლიდა (ე. ი. როგორც კი ქართლის წინააღმდეგობას საბოლოოდ გასტეხდა), კახეთის მოხარკეობას აღარ დასჯერდებოდა და ამ ქვეყნის დაპყრობას შეეცდებოდა“ [1].

ასეთ ვითარებაში, 1587 წ. 28 სექტემბერს კახეთის მეფე რუსეთის ოფიციალური ხელდებული გახდა [2].

კახეთის შესვლას რუსეთის მფარველობაში თავისებური მნიშვნელობა ჰქონდა კახეთ-ირანის ურთიერთობის თვალსაზრისითაც. რუსეთ-კახეთის დაკავშირება ნიშნავდა კახეთსა და ირანს შორის მანამდე არსებული პოლიტიკური ურთიერთობის ფორმალურ დარღვევას. [3]

ოსმალეთის აგრესიის შედეგები ყველაზე მძიმე სამცხე-საათაბაგოსათვის აღმოჩნდა. ოსმალეთმა აქ შესძლო ის, რაც ვერ მოახერხა საქართველოს სხვა ნაწილებში. დამპყრობელი დაუყოვნებლივ შეუდგა ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური სისტემის რეორგანიზაციას. ქართველ ფეოდალთა მიწები ჩარიცხული იქნა ოსმალეთის სახელმწიფო მიწების ფონდში. ოსმალური წესის თანახმად მიწები სულთნისაგან პირობით მფლობელობაში უნდა მიეღოთ ოსმალო მხედრებსა და მოხელეებს. „ქართველი თავადისა თუ აზნაურის წინაშე მთელი სიმწვავით დადგა საკითხი: ან მაჰმადიანობის მიღება, ოსმალთა სამხედრო

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 11.
[2] იქვე, გვ. 21.
[3] იქვე, გვ. 23.

საბსახურში შესვლა და მიწის მფლობელობის შენარჩუნება (ახალი წესით), ან ამ მფლობელობის დაკარგვა, ქართველი ფეოდალები ან გამოიქცნენ ან გამაჰმადიანდნენ" [1],

მიწისმფლობელობის ოსმალური წესის და ოსმალურ საგადასახადო სისტემის შემოღებასთან ერთად დამპყრობელი ახლებურად სვამდა სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ორგანიზაციის საკითხსაც. ოსმალებმა სამცხე-საათაბაგოს ფეოდალური სამთავრო თავიანთი სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ერთეულად, „გურჯისტანის ვილაიეთად" გამოაცხადეს და დაანაწილეს ის რვა სანჯაყად ანუ ლივად.

ოსმალეთის გაბატონებამ ამიერკავკასიის ქვეყნებში XVI ს-ის ბოლოს გამოიწვია მწარმოებელი კლასის მაქსიმალური ექსპლოატაციის ზრდა და ამ ქვეყნების სამეურნეო-ეკონომიური მდგომარეობის გაუარესება. ხალხის ფართო მასებზე რომ არაფერი ვთქვათ, ოსმალეთის გაბატონებით უკმაყოფილო დარჩა ადგილობრივი გაბატონებული კლასის დიდი უმრავლესობაც. ოსმალთა ბატონობამ დაამძიმა არა მარტო გლეხების, ვაჭრების და ხელოსნების მდგომარეობა, არამედ მისი სუსხი საერო და სასულიერო ფეოდალებსაც მისწვდა.

ამიერკავკასიაში ანტიოსმალური განწყობილების ზრდას ფხიზლად ადევნებდა თვალს შაჰ-აბასი, რომელიც დიდის გულმოდგინებით ემზადებოდა 1590 წლის საზავო ხელშეკრულების პირობების დასარღვევად.

შაჰ-აბასის რეფორმებმა, XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე რომ განხორციელდა [2], ეკონომიურად წამოსწია ირანი და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მის მომავალ სამხედრო-პოლიტიკურ წარმატებებს. ამასთან ირანის გაძლიერებას ქრონოლოგიურად დაემთხვა ოსმალეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობის გართულება, რაც ძირითადად სამხედრო-ლენური სისტემის კრიზისის დაწყებით იყო შეპირობებული.

1602 წლის მიწურულს ირანმა ომი განაახლა ოსმალეთთან. ამ ომში შაჰ-აბასი თავის მთავარ საგარეო-პოლიტიკურ ამოცანად სთვლიდა 1555 წ. ხელშეკრულების განახლებას, ამიერკავკასიაში სეფიანთა სახელმწიფოს „პროვინციების" უკან დაბრუნებასა და აღმ. საქართველოზე ირანის „უფლების" აღდგენას.

ოსმალეთთან ომში შაჰ-აბასმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. ვინაიდან ამ დროს ანატოლიაში გლეხთა დიდი ანტიფეოდალური აჯანყება მძვინვარებდა [3], ოსმალეთმა ქმედითი დახმარება ვერ გაუწია ამიერკავკასიის ქალაქებში ჩაყენებულ თავის გარნიზონებს. შაჰ-აბასმა დაამარცხა ოსმალთა

---

[1] საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედ., გვ. 324.

[2] შაჰ-აბასის „რეფორმების" შესახებ იხ. Pietro della Vallé. Voyages, IV livre, Paris, 1745, გვ. 95—106; Bellan. Chah-Abbas I, sa vie, son histoire. Paris, 1932, გვ. 111—113; ნ. ბერძენიშვილი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 111—113. И. П. Петрушевский. Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX вв., ЛГУ, 1949, გვ. 89—144.

[3] А. С. Тверитинова. Восстание Кара Языджи—Дели Хасана в Турции.

მეცხრამეტე ჯარები და 1602—1607 წწ. მათგან გასწმინდა აზერბაიჯანი, აღმ. სომხეთი, შირვანი; 1606 წ. მას დანებდნენ აგრეთვე ლორეს, დმანისსა და თბილისში შეყენებული ოსმალნი. გამარჯვებული შაჰი ოსმალეთისაგან მოითხოვდა ამასიის 1555 წ. დიპლომატიური ფორმულის განახლებას, რომელიც აღმ. და დას. საქართველოზე ირანისა და ოსმალეთის „უფლებათა“ ორმხრივ აღიარებას ემყარებოდა.

მაგრამ ოსმალეთი ვერ ურიგდებოდა შექმნილ მდგომარეობას. 1606 წ. ის დაეზავა ავსტრიას და მთელი ყურადღება აღმოსავლეთში გადმოიტანა. ოსმალეთი 1590 წლის ზავის აღდგენას ლამობდა, ხოლო ირანი მასთან შეთანხმების მთავარ პირობად კვლავ 1555 წლის ხელშეკრულების განახლებას სთვლიდა. 1610 წ. შაჰ-აბასმა ამასიის შეთანხმებაზე ოსმალეთის დაყოლიების მიზნით ახალი მომენტი შეიტანა საზავო მოლაპარაკებაში: ის ყოველწლიურად 200 საპალნე აბრეშუმს აღუთქვამდა ოსმალეთს, თუ ეს უკანასკნელი 1555 წლის ზავის პირობებზე დათანხმდებოდა. ბოლოს ოსმალეთი, რომელმაც ვერ შეძლო მეტოქის დამარცხება, იძულებული გახდა მიეღო შაჰის წინადადება. 1613 წ. ირანსა და ოსმალეთს შორის განახლდა 1555 წ. საზავო ხელშეკრულების პირობები[1]. ოსმალეთი ირანის შაჰის სამფლობელოებად სცნობდა ქართლს, კახეთსა და აღმოსავლეთ მესხეთს. ირან-ოსმალეთის ძალთა წონასწორობის პირობებში ოსმალეთის მიერ ირანის „უფლების“ აღიარება აღმ. საქართველოზე მათ შორის დაზავების პირობას წარმოადგენდა.

ირან-ოსმალეთის ახალი ზავის ირანის სასარგებლოდ გამოყენებას შაჰ-აბასი დაუყოვნებლივ შეუდგა. შაჰი ჩქარობდა. რუსეთის ახალი გამოსვლის შესაძლებლობა კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ასპარეზზე მას სწრაფ მოქმედებას უკარნახებდა. რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის აღდგენა-განახლების აღკვეთას შაჰ-აბასი უკავშირებდა აღმ. საქართველოს პოლიტიკური რეორგანიზაციის საკითხს. შაჰს საკმარისად არ-

---

[1] ნაიმას ისტორია, (თურქ. ენაზე), ტ. II, სტამბოლი, 1281 ჰიჯ. გვ. 113; შდრ. Hammer, VIII, გვ. 190, Norandounghian, Recueil d'actes internationaux de l'Empire Ottoman, Paris, 1897, 46. სპეციალურ ლიტერატურაში ამ ზავის თარიღად (სპარსული წყაროების მიხედვით) მიღებულია 1612 წელიც. იხ. Bellan. Chah-Abbas I, sa vie son histoire, გვ. 221; საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედ., გვ. 328, იხ. აგრეთვე პროფ. პეტრუშევსკის დასახელებული ნაშრომი, გვ. 279, პეტრუშევსკი შეცდომით წერს, რომ ეს ზავი დაიდო აზერბაიჯანში, სერაფის ველზე (იქვე). მ. ს. ივანოვი ირან-ოსმალეთის დაზავების ადგილად სწორედ ასახელებს სტამბოლს, ხოლო თარიღად—1613 წ. მაგრამ ის უშვებს შეცდომას, როდესაც ზავის პირობებს ეხება. ივანოვი წერს: „В течение нескольких лет иранские войска заняли Азербайджан, Армению, Восточную Грузию, Курдистан, Луристан, а также Багдад, Мосул и Диарбекир. Священные для шиитов Кербела и Неджеф также попали в руки Ирана. После долгих переговоров в 1613 г. в Стамбуле был заключен мир, по которому Иран сохранил все свои завоевания“ (М. С. Иванов. Очерк истории Ирана, გვ. 66). სინამდვილეში შაჰ-აბასის ლაშქარს ამ დროს ფეხი არ შეუდგამს ბაღდადსა, მოსულსა და დიარბეკირში; შაჰს არ დაუკავებია არც ქერბელა და ნეჯეფი. ამ ადგილებში, როგორც ქვემოთ ვნახავთ, საომარი მოქმედება წარმოებდა უფრო გვიან, 1613 წლის შემდეგ.

მიაჩნდა ქართლისა და კახეთის სამეფოების ვასალური დამოკიდებულება ირანთან. მისთვის ცხადი იყო, რომ „საქართველოს ქრისტიან მმართველებს (მეფეები, მთავრები) თავისი ქვეყნები ერანის განუყოფელ ნაწილად სრულიადაც არ მიაჩნდათ და თავიანთ თავს უფლებამოსილად სთვლიდნენ შესაფერის პირობებში ამ ბოძალადეს ჩამოშორებოდნენ და, თუ აშას საქართველოს ინტერესები მოითხოვდა, ერანის მტრის მხარეზედაც კი დამდგარიყვნენ“ [1]. ამიერკავკასიაში ირანის განუყოფელი ბატონობისათვის შაჰ-აბასი აუცილებლად სთვლიდა ქართული ქრისტიანული სამეფოების ლიკვიდაციას და მათს შერწყმას სეფიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში. მაგრამ — ეს კარგად ესმოდა შაჰს—„გურჯისტანის“ საკითხის სასურველად გადაწყვეტა მოითხოვდა რუსეთის განდევნას ამიერკავკასიიდან და ოსმალეთის დამარცხებას იმავე ამიერკავკასიაში.

შაჰმა იცოდა, რომ ქართული სამეფოების ლიკვიდაციის ცდა სათანადო გამოხმაურებას გამოიწვევდა ოსმალეთში. მაგრამ საამისოდ მრავალი წლის სამზადისის შემდეგ მას იმედი ჰქონდა, რომ სწრაფად გასტეხდა ქართველი ხალხის წინააღმდეგობას და მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენებდა ირანის მეტოქესაც. ამას გარდა, შაჰს მოსყიდული ჰყავდა ოსმალეთის დიდვეზირი ნასუჰ-ფაშა, რომელსაც სულთნის კარზე უნდა გაექარწყლებინა ირანის აქციის გავლენა.

1614 წ. დამდეგს შაჰ-აბასი შემოესია აღმ. საქართველოს და თავისი გეგმის განხორციელებას შეუდგა. ქართველი ხალხი ჩაება ხანგრძლივ ბრძოლაში ვერაგი და ძლიერი მტრის წინააღმდეგ, რომელიც მას ფიზიკური მოსპობით ემუქრებოდა.

1613 წ. ზავისა და ოსმალეთის სახელმწიფო მოხელეების მოქრთამვა-გადმობირების მიუხედავად შაჰმა ვერ აიცდინა ოსმალეთის ჩარევა აღმ. საქართველოს საქმეებში. ოსმალეთი ხელს არ იღებდა აღმ. საქართველოსა და ამიერკავკასიის დაპყრობის განზრახვაზე. ოსმალეთში ესმოდათ. რომ ირანის შესაძლო წარმატება ქართლ-კახეთში ოსმალეთის აგრესიული გეგმების ჩაშლას უდრიდა. თუ შაჰ-აბასი თავის მიზნებს განახორციელებდა, მაშინ აღმ. საქართველოს მხრიდან ოსმალეთს უშუალოდ გაუმეზობლდებოდა ირანის ადმინისტრაციულ ერთეულად გადაქცეული „გურჯისტანის“ სახანო და სეფიანთა სახელმწიფოს პოლიტიკური საზღვრები დას. საქართველომდე გადაიწევდა. და, თუ ეს ასე მობდებოდა, ირანსა და ოსმალეთს შორის გაქრებოდა ისეთი ქვეყანა, რომელიც, მართალია, არც ოსმალეთის ბატონობას ითმენდა. მაგრამ (თუ საქართველოს ინტერესები ამას მოითხოვდა) შეიძლებოდა მისი „მოკავშირე“ გამხდარიყო ირანის წინააღმდეგ ომში. ოსმალეთი, თუ თვითონ ვერ შეძლებდა საქართველოს დაპყრობას. იმის მომხრე იყო. რომ ის ვერც ირანს დაეპყრა. „გურჯისტანის“ სახანოს ნაცვლად მისთვის გაცილებით ხელსაყრელი იყო ფეოდალური საქართველოს მეზობლობა. ასეთ ქვეყანას. მისი აზრით, ის უფრო ადვილად გადააქცევდა „გურჯისტანის“ ვილაიეთად.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. გვ. 115.

ოსმალეთის ასეთი განწყობილება ქართველებს ირანისადმი მისი დაპირისპირების შესაძლებლობას აძლევდა. ქართლ-კახეთის მეფეებმა: ლუარსაბმა და თეიმურაზმა, რომლებიც შაჰ-აბასის შემოსევის შემდეგ დას. საქართველოში იყვნენ შეხიზნული, ოსმალეთის სულთანს შეატყობინეს საქართველოში შექმნილი ვითარება, რის შესახებ დიდვეზირი ნასუჰ-ფაშა მას არასწორ ინფორმაციას აწვდიდა.

1614 წ. 17 ოქტომბერს დიდვეზირ ნასუჰ-ფაშას სტამბოლში თავი მოჰკვეთეს[1]. ოსმალეთში ირანის წინააღმდეგ ომის განახლება გადაწყდა. ამჯერადაც ოსმალეთის მიზანი საქართველოს დაპყრობა და მეტოქე ირანის დამარცხება იყო, მაგრამ ის სარგებლობდა შექმნილი ვითარებით და თავის აგრესიას საქართველოს მიმართ ყიზილბაშებისაგან მისი „დაცვის" განზრახვით ჰფარავდა[2].

1616 წ. როდესაც შაჰ-აბასი ცეცხლითა და მახვილით კახეთს აოხრებდა. ოსმალეთის დიდვეზირმა მეჰმედ-ფაშამ ლაშქრობა დაიწყო, ყიზილბაშებს ზურგი მოუქცია და ნაბჩავანამდე მიაღწია. მაგრამ ოსმალეთის სარდლობამ ვერ გამოიყენა ხელსაყრელი ვითარება. ერევნის, ნახჩავნისა და სხვა ქალაქების ციხეებში გამაგრებულმა ირანელმა მეთოფეებმა წარმატებით მოიგერიეს იანიჩრების ყველა შემოტევა, ხოლო მოაბეზრებულმა ზამთარმა და შიმშილმა ოსმალთ ომის გაგრძელების ხალისი დაუკარგა. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი დიდვეზირი შაჰს მოურიგდა და 1616 წ. მასთან შეთანხმებით განაახლა 1613 წლის ზავის პირობები[3]. ამან შაჰს საშუალება მისცა კვლავ გაეგზავნა ისა-ხან ყორჩიბაში კაიეთის „საქმეების მოსაგვარებლად".

მაგრამ ოსმალეთის სულთანმა აჰმედ I (1603—1617) არ დაამტკიცა მეჰმედ-ფაშას მიერ შაჰთან დადებული ზავი[4]. ვეზირი სულთანმა თანამდებობიდან გადააყენა. 1618 წელს ოსმალეთის ალალმა დიდვეზირმა, ხალილ-ფაშამ, დიდი ლაშქრით შეუტია სეფიანთა სახელმწიფოს მეტად მნიშვნელოვან ოლქს, საძარეთ აზერბაიჯანს. ოსმალო სერასქერს (მთავარსარდალი) სახელმწიფო დივანისაგან დავალებული ჰქონდა დაეტაცა ქ. არდებილი (სეფიანთა დინასტიის საძვლე) და გამარჯვებით დაემთავრებინა ომი. დიდვეზირს ევალებოდა აგრეთვე საქართველოსაკენ გაჭრა, თბილისის დაკავება და თეიმურაზის აღდგენა ტახტზე[5]. მაგრამ ოსმალთა ეს ლაშქრობაც, რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, წარმატებით ვერ დასრულდა.

---

[1] ამბის თანამედროვე იტალიელი დამკვირვებლის ოტავიო საპიენზას ცნობით სულთნის დას შეუტყვია ირანთან ნასუჰ-ფაშას „ვერაგული მიმოწერის („Correspondance perfide") ამბავი. Hammer. VIII. გვ. 211. შენ.

[2] ოფიციალური ოსმალო ყამთააღმწერელი მუსტაფა ნაიმა (გარდ. 1716 წ.) წერს, რომ ოსმალეთმა 1617 წ. ლაშქარი გაგზავნა „...საქართველოს დასაცავად ყიზილბაშთა ბოროტი განზრახვისაგან" (ნ ა ი მ ა. ტ. II, გვ. 151). საერთოდ ყველა ლაშქრობას, რომელიც ამიერკავკასიის დაპყრობის მიზნით ეწყობოდა, ოსმალეთში უწოდებდნენ ირანის შაჰის წინააღმდეგ ჩატარებულ ლაშქრობას. ოსმალეთის ოფიციალური ისტორიოგრაფიის ეს ტენდენციური თვალსაზრისი უკრიტიკოდ შეითვისეს ოსმალეთის ისტორიის ბურჟუაზიულმა მკვლევრებმაც.

[3] ნაიმას ისტორია, ტ. II, გვ. 143.

[4] ნაიმას ისტორია, ტ. II, გვ. 144.

[5] Della Vallé. დასახ. ნაშრ., IV, გვ. 131—132.

მარცხის მიუხედავად საზავო მოლაპარაკების დროს, ოსმალეთის სარდლობამ მოითხოვა 1590 წლის ზავის პირობების აღდგენა. ასეთი იყო ოსმალეთის აგრესიული მიზნები. მაგრამ ასეთ მოთხოვნის შესრულებას გამორიცხავდა ოსმალთა ჯარის წარუმატებლობა. ეს კარგად ესმოდა დიდვეზირსაც, რომელმაც სწრაფად შეცვალა თავისი მოთხოვნა, შაჰს ქრთამის მიღებით ადვილად მოურიგდა და სულთნის დაუკითხავად ზავი დასდო ირანთან [1].

ირან-ოსმალეთის 1618 წლის ზავი დაიდო სერაფის ველზე [2] (აზერბაიჯანში). ამ ზავით განახლდა სტამბოლის 1613 წლის ზავის პირობები, ე. ი. ფაქტიურად აღდგენილ იქნა 1555 წლის ზავის პირობები. მთელი აღმ. ამიერკავკასია და აგრეთვე კახეთი, ქართლი და სამცხე-საათაბაგოს აღმ. ნაწილი ირანის სამფლობელოდ ცხადდებოდა. ამრიგად, ოსმალეთმა ირანს ვერც ახლა ააღებინა ხელი ქართლზე, კახეთზე და, რაც მთავარია, სამცხე-საათაბაგოს აღმ. ნაწილზე. შაჰმა კარგად იცოდა, რომ სულთანი არ გაიზიარებდა ზავის ასეთ პირობებს. მართლაც სულთანმა თავის უკმაყოფილება გამოსთქვა იმით, რომ ლაშქრობიდან დაბრუნებული ხალილ-ფაშა გადააყენა დიდვეზირის თანამდებობიდან [3]. ასეთ ვითარებაში შაჰმა გადასწყვიტა ელჩი გაეგზავნა სტამბოლში, რათა სულთანთანაც შეეთანხმებინა ზავის პირობები. შაჰის ელჩი სტამბოლს ჩავიდა 1619 წლის 16 აპრილს [4]. ირან-ოსმალეთს შორის საომარი მოქმედება შეწყდა, მაგრამ გრძელდებოდა დიპლომატიური ბრძოლა.

ოსმალეთის მთავრობა ამ მოლაპარაკების დროს მთავარ ყურადღებას აქცევდა სამცხე-საათაბაგოს.

ირანი და ოსმალეთი შეთანხმდნენ, რომ მათ შორის განახლებულიყო 1555 წლის ზავი („განსვენებულ სულთან სულეიმანის დროინდელი ზავი“ [5]), ოღონდ მასში მნიშვნელოვანი შესწორების შეტანით: ირანი ოსმალეთს უთმობდა მთელ სამცხე-საათაბაგოს („ახალციხის ეიალეთს“), ხოლო ოსმალეთი ახალციხის სანაცვლოდ ირანს უთმობდა დერნესა და დერთენგის სანჯაყებს, რომლებიც მდებარეობდნენ „ბაღდადის საზღვრებზე“ [6].

1619 წლის ზავი იყო ირან-ოსმალეთის ახალი გარიგება საქართველოს დანაწილების თაობაზე. ეს ზავი ნიღაბს ხდის ოსმალეთის აგრესიულ პოლიტიკას, რომელსაც ის ფარავდა საქართველოსათვის დახმარების აღმოჩენის საბაბით. 1619 წლის ზავი გვიჩვენებს, თუ როგორი მიზნები ჰქონდა ოსმალეთს, როდესაც ის საქართველოს „დასაცავად“ მოდიოდა.

ამრიგად, XVII ს-ის დასაწყისში ოსმალეთი ცდილობს 1590 წლის ზავის პირობების აღდგენას, ირანი კი 1555 წ. ხელშეკრულების პირობების შენარ-

---

[1] Della Vallé. დასახ. ნაშრ., IV, გვ. 158.
[2] ნაიმას ისტორია, ტ. II, გვ. 168—169.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 172.
[5] იქვე.
[6] იქვე; შდრ. Hammer. დასახ. ნაშრ., VIII, გვ. 250.

ჩუნებას. ირანმა რამდენჯერმე აიძულა კიდეც ოსმალეთი ეცნო ეს პირობები (1613, 1616, 1618 წწ.). მაგრამ 1619 წელს ის (თუ არ ჩავთვლით 1590 წლის ზავს, რომლითაც ირანმა ხელი აიღო აღმ. ამიერკავკასიაზე) იძულებული იყო პირველად დაეთმო ოსმალეთისათვის მთელი სამცხე-საათაბაგო, თუმცა ოსმალეთმაც, თავის მხრივ, „ახალციხის ეიალეთის" მაგიერ ორი სანჯაყი დაუთმო ირანს. ეს გარემოება მოწმობს, რომ ოსმალეთი განსაკუთრებულ ყურადღებას სამცხე-საათაბაგოს დაპყრობას აქცევდა.

მაგრამ მოვლენათა განვითარებამ ცხადჰყო, რომ შაჰ-აბასი 1619 წელსაც ისევე „სთმობდა", როგორც 1590 წელს. მას ოსმალეთთან ზავი იმისათვის სჭირდებოდა, რომ სამხრეთ ირანში მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიური საქმეები მოეგვარებინა (ჰორმუზის, ყანდაჰარის დაპყრობა, ბენდერ-ბუშირის დაარსება). ამას გარდა შაჰმა იცოდა, რომ დასუსტებული ოსმალეთი იმ დროს სამცხე-საათაბაგოს ვერ გამოიყენებდა ქართლში შესაჭრელად. მოვლენათა განვითარებამ დაადასტურა შაჰ-აბასის დიპლომატიური ნაბიჯის სისწორე.

* * *

ირან-ოსმალეთის 1619 წლის ზავი არ დარღვეულა 1623 წლამდე. ამ პერიოდში ოსმალეთი და ირანი შეკავშირებული იყვნენ საქართველოს წინააღმდეგ და აგრძელებდნენ აგრესიას გავლენის სფეროებად გათიშული ნაწილების მიმართ. მაგრამ იმავე დროს ორთავე დამპყრობლის ყურადღება მიპყრობილი იყო საქართველოსაგან დაშორებული ქვეყნებისკენაც.

ირან-ოსმალეთის ომების დროს მეტად გააქტიურდნენ ყაზახები რომლებიც ოსმალეთის მხრივ სისტემატიურ აგრესიას განიცდიდნენ. 1616-17 წწ. მათ დაარბიეს სინოპი, საინუნი, ტრაპიზონი [1]. იმავე დროს ანტიოსმალური კოალიციის შექმნის შესახებ მათთან მოლაპარაკებას აწარმოებდა შაჰ-აბასი. კოალიციაში განზრახული იყო პოლონეთისა და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრების ჩაბმაც. იმერეთის მეფე მხარს უჭერდა ანტიოსმალური კოალიციის აღნიშნულ პროექტს და ხელსაც უწყობდა მის განიორციელებას. მის სამეფოს ყაზახები ოსმალეთზე თავდასხმების პლაცდარმად იყენებდნენ და აქედან უკავშირდებოდნენ ირანის შაჰსა და მის მოხელეს ქართლში, ბაგრატ-მირზას [2].

ოსმალეთში იცოდნენ ირანის, დასავლეთ საქართველოს, ყაზახებისა და პოლონეთის ურთიერთობის შესახებ. ამიტომ, როგორც კი ირანს დაეზავა, ოსმალეთმა პოლონეთს შეუტია.

ოსმალეთმა პოლონეთთან ომში წარმატებას ვერ მიაღწია. 1622 წლის დასაწყისში სულთანი ოსმან II (1618—1622) და იანიჩრები ფრონტიდან დამარცხებულნი დაბრუნდნენ. საგარეო ომში განცდილმა მარცხმა გააღრმავა ოსმალეთის საშინაო კრიზისი. ნადავლის გარეშე დარჩენილი იანიჩრები მკვეთრად დაუპირისპირდნენ ხონთკარს, რომელმაც თავის მხრივ მათი ფიზიკური მოსპობით სცადა ოსმალეთის ამ რეგულარული ჯარისაგან თავის დაცვა.

---

[1] Н. А. Смирнов. Россия и Турция в XVI—XVII вв., Ученые записки МГУ, вып. 94, т. II, 1946, გვ. 7.

[2] Della Vallé. დასახ. ნაშრ., livre III, გვ. 265—268.

მაგრამ სულთანმა იანიჩრების წინააღმდეგ საჭირო დასაყრდენი ვერ გამონახა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისაგან განსხვავებით. სადაც ფეოდალური საზოგადოების წიაღში ახალი სოციალური ძალის, ბურჟუაზიის, გაჩენამ სამეფო ხელისუფლებას ფეოდალთა კლასზე უპირობო დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების საშუალება ჰისცა, ოსმალეთში სულთნის ხელისუფლებას არ ჰქონდა ასეთი სოციალური დასაყრდენი და ის მთლიანად დამოკიდებული რჩებოდა საზოგადოების ძველ ძალებზე. იანიჩრებთან დაკავშირებული საერო და სასულიერო ფეოდალთა ჯგუფები ვერ ითმენდნენ რაიმე სიახლეს სახელმწიფოში და ცენტრალური ხელისუფლების მბრიე უნნიშვნელო რეფორმების ჩატარების ყოველ ცდას დაუყოვნებლივ ფუშავდნენ.

ოსმან II-მ ვერ მოახერხა იანიჩრების ალაგმვა. სახელმწიფოს დიდმოხელეთა გავლენიანი დასის მხარდაჭერით ჯარმა ის ტახტიდან ჩამოაგდო და მოკლა (1622 წ. მაისი). ამბოხებულებმა იპოვნეს სასახლეში გამომწყვდეული. უფლისწული, სულელი მუსტაფა, და ის ტახტზე აიყვანეს. მადლიერმა „მბრძანებელმა“ გამარჯვებულებს სტამბოლის მოსახლეობაში გადასახადების აკრეფის უფლება უწყალობა, რაც იანიჩრებმა იმავე დღეს დიდ ფასად გაჰყიდეს სულთან მეჰმედის მეჩეთში. მათვე (სულთნის „თანსმობით“) დანიშნეს დიდვეზირი, გამოსცვალეს მოხელეები და ახალ მთავრობას „ძველი წესების“ ურყევად დაცვა უბრძანეს.

სტამბოლში იანიჩრების განუკითხავი ბატონობა დაიწყო. მალე, 1623 წ. ზაფხულში, მოხელეთა ერთმა ჯგუფმა, იანიჩრებთან შეთანხმებით, მუსტაფა ტახტიდან გადააყენა და გაამეფა მცირეწლოვანი მურად IV (1623–1640). მაგრამ სულთნის შეცვლით მდგომარეობა არ გამოსწორებულა. ოსმალეთის სატახტო ქალაქში პოლიტიკური ანარქია კვლავ გრძელდებოდა.

სტამბოლში მომხდარმა ამბებმა, რაც ცენტრალური ხელისუფლების უმწეობას მოწმობდა, თვითნებობის მეტი შესაძლებლობა მისცა პროვინციელ მოხელეებს. მთავრობისაგან გადამდგარი ფაშების რიცხვმა ერთბაშად იმატა.

განსაკუთრებით სერიოზული იყო არზრუმის ბეგლარბეგის აბაზა-ფაშას განდგომა. 1622 წ. შემოდგომაზე აბაზა-ფაშამ გამოაცხადა, რომ ის არ სცნობს იმ მთავრობას, რომელმაც იანიჩრებთან ერთად კანონიერი სულთანი ოსმან II მოჰკლა. ამბოხებულმა მოხელემ ოსმანის მკვლელობაზე შურისძიება ოფიციალურად თავს იდვა. ასეთი მოტივით მთავრობისაგან განდგომა საზოგადოების თვალში ლეგიტიმური მოძრაობის ხასიათს იძენდა და მოხერხებულად ჰფარავდა ოსმალო მოხელის ნამდვილ განზრახვას—დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებას. 1623 წ. გაზაფხულზე „შურისმგებელი“ ფაშა არზრუმიდან დასავლეთისაკენ დაიძრა და სადაც შეძლო იანიჩრები გაწყვიტა. აბაზა-ფაშამ თითქმის მთელი ანატოლია (არზრუმიდან ბოსფორამდე) თავის კონტროლს დაუქვემდებარა.

ასეთი იყო ოსმალეთის საშინაო ვითარება 1619 წ. ზავის შემდეგ. ცხადია, რომ მას არ შეეძლო ირანს შესდავებოდა ქართლსა და კახეთს. ოსმალეთის ამოცანა ამ დროს სამცხე-საათაბაგოს შემომტკიცება იყო. მაგრამ მისი შესრულებაც საეჭვო გახდა აბაზა-ფაშას განდგომისა და ანატოლიაში მისი გაბატონების გამო.

1619 წ. ზავმა შაჰ-აბასს სეფიანთა სახელმწიფოს დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის საშუალება მისცა. 1622 წ. ინგლისის ფლოტის დახმარებით მან პორტუგალიელებს წაართვა კუნძული ჰორმუზი[1], რომელიც მათ ეკავათ 1515 წლიდან. ვიდრე ჰორმუზს უცხოელები ჰფლობდნენ, ირანს არ შეეძლო დიდი საოკეანო გზით დასავლეთ ევროპასთან დაკავშირება. ირანის საექსპორტო საქონელი (აბრეშუმი) ევროპაში რუმის (ოსმალეთი) გზით გადიოდა. ამის გამო შაჰის სავაჭრო ინტერესები ოსმალეთის მთავრობის საბაჟო პოლიტიკაზე რჩებოდა დამოკიდებული. ჰორმუზის ფლობა და საოკეანო გზის ათვისება, როგორც შაჰ-აბასი ვარაუდობდა, ირანს გაანთავისუფლებდა ოსმალეთის ბაჟებისაგან.

1623 წ. შაჰ-აბასმა სასტიკად დაამარცხა ოსმალეთის მოკავშირე ოზბეგები, ხოლო დიდ მოღოლებს ყანდაარი წაართვა. სპარსეთის ყურიდან პორტუგალიელების გაძევებას, ოზბეგთა და დიდ მოღოლთა დამარცხებას შაჰ-აბასისათვის ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მას ახლა მთელი ყურადღება შეეძლო მიეპყრო ამიერკავკასიისათვის. და შაჰ-აბასიც, რომელიც მუდამ მოთმინებით უცდიდა მარჯვე მომენტს, „გურჯისტანის საკითხის" ირანის სასარგებლოდ გადაწყვეტას ენერგიულად შეუდგა.

ახალი ომი დაიწყო ირანისათვის ხელსაყრელ ვითარებაში.

1623 წლის მაისში, ქ. ბაღდადი ოსმალო მოხელე ბექირმა იგდო ხელთ. ოსმალეთის მთავრობას მან ბაღდადის ფაშად დამტკიცება მოსთხოვა, მთავრობამ უარყო უზურპატორის მოთხოვნა, ბაღდადის ფაშობა სპვას მისცა და დიარბექირის ბეგლარბეგს ჰაფიზ-ფაშას უბრძანა შესულიყო ბაღდადში და დაესაჯა თავგასული მოხელე. ბექირს გაუძნელდა თავის დაცვა და დახმარება ირანის შაჰს სთხოვა. შაჰ-აბასმა იცოდა, რომ ბექირისათვის დახმარების აღმოჩენა ოსმალეთთან ზავის დარღვევას ნიშნავდა. მაგრამ ის ახლა ანგარიშს უწევდა ოსმალეთის საშინაო ვითარებას. შაჰმა გადაწყვიტა ხელიდან არ გაეშვა ხელსაყრელი შემთხვევა, რათა დაეკავებინა ბაღდადი, შუამდინარეთის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-საქარავნო პუნქტი. შაჰის ჯარებმა დაიწყეს ქალაქის გარემოცვა[2]. ბრძოლა გაგრძელდა რამდენიმე თვე. 1623 წლის მიწურულს ირანელებმა ქალაქი დაიკავეს.

---

[1] Bayani. Les relations de l'Iran avec l'Europe occidentale à l'époque Safavides, Paris, 1937, გვ. 75—91.

[2] ბაღდადისათვის წარმოებული ბრძოლა დეტალურად აქვთ აღწერილი ოსმალო ისტორიკოსებს. ისინი ერთხმად გვაუწყებენ, რომ ამ ბრძოლას ხელმძღვანელობდა ყარჩიხა-ხანი. მაგ., ნაიმა, როდესაც გვაუწყებს გარემოცულთა მდგომარეობას ბაღდადში, წერს: „(ქალაქიდან) გავიდა რამდენიმე კაცი და წერილით მივიდა ყარჩიხა-ხანთან; წერილი წასაკითხად გადასცეს ქაიიბს". بر قاچ آدملر چیقوب نامه ایله قارچغای خانه واروب مکتوبی اوقومغه کاتبی الینه ویردیلر (ნაიმას ისტორია, II, გვ. 282.). ეს ცნობები არ ეთანხმება იმ ქართულ წყაროებს, რომელთა მიხედვით ყარჩიხა-ხანი საკაძის მიერ მოკლული იქნა 1623 წ. იხ. თ. ეორდანია. ქრონიკები, წიგ. II, ტფ., 1897, გვ. 445, შდრ. ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს ცხოვრება, ხ. ჭიჭინაძის გამოც., 1913, გვ. 63; შდრ. აგრეთვე, საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედ., თბ., 1946, გვ. 341.

1624 წლის გაზაფხულზე ირანელებმა დაიკავეს მთელი ერაყი და ქურთისტანის ნაწილი. მათ ხელში აღმოჩნდა ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები, როგორიც არის მოსული, მარდინი, ქირქუკი[1].

ირან-ოსმალეთის 1619 წ. ზავი, როგორც ვნახეთ, შაჰ-აბასმა დაარღვია. მან კარგად გამოიყენა ოსმალეთის საშინაო ხასიათის სიძნელეები. შაჰ-აბასის ლაშქრობამ ერაყში ისე ჩაიარა, რომ ოსმალეთმა მას სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწია. საბოლოო ქალაქში ანარქია გრძელდებოდა. ანატოლია. აბაზა-ფაშას ეკავა და მთავრობა ერაყისაკენ ჯარს ვერ გზავნიდა. ამიტომ სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლის სიმძიმე მთლიანად დააწვა დიარბეკირის ბეგლარბეგს, ჰაფიზ-ფაშას, რომელიც სუსტ წინააღმდეგობას უწევდა მტერს. ის მთელი ძალებით შაჰ-აბასის ჯარებთან ბრძოლას ვერც ბედავდა, ვინაიდან ეშინოდა აბაზა-ფაშისა, რომელიც ჩრდილოეთით ანატოლიაში იყო გაბატონებული.

შაჰ-აბასმა გადასწყვიტა რაც შეიძლება მეტი ტერიტორია დაეკავებინა, ვიდრე ოსმალეთი შეტევას დაიწყებდა. შაჰს მხედველობაში ჰქონდა საქართველოს ის ნაწილი, რომელიც მან ოსმალეთს „დაუთმო“ 1619 წელს. ეს იყო სამცხე-საათაბაგოს აღმ. ნაწილი. მართლაც, 1624 წლის გაზაფხულ-ზაფხულს, ერევნის ხანმა ამირგუნამ (შაჰის ბრძანებით) გაილაშქრა სამცხეზე და აიღო ახალციხე[2]. ქალაქში ჩაყენებული იქნა 1000 მეთოფე სალიმ-ხან შამს-ედ-დინლუს მეთაურობით[3]. ეს მოხდა იმ დროს, როცა ირანელები წარმატებით ლაშქრობდნენ ერაყშიც.

ახალციხის დაკავებით შაჰმა აღადგინა 1555 წლის ზავის პირობები, ხოლო ბაღდადისა და ერაყის დაკავებით—მას ნნიშვნელოვნად გადააჭარბა. ახლა მან შეიერთა ის ქვეყნებიც, რომლებსაც სეფიანთა სახელმწიფო ფლობდა

---

[1] ამ ლაშქრობასაც ყარჩიხა-ხანი მეთაურობდა. ოსმალო ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი წერს: „გზადაბნეულმა შაჰმა რომ ბაღდადი აიღო, ალეპოსითა და მუქრით სავსე წერილები გაუგზავნა ველებში მცხოვრებ არაბებსა და მთებში მცხოვრებ ქურთებს და მათი დამორჩილება მოითხოვა. ხოლო ყარჩიხა-ხანი მრავალრიცხოვანი ლაშქრით მათ დასარბევად მარდინისკენ გაგზავნა“. شاه كمراه چون بغداده ظفر بولدى عربان صحرا نشينه و اكراد كوه تمكينه لطف و قهر ايله ممزوج نامه‌لر كوندردى و اطاعتنه دعوت ايلدى و قارچيغاى خانى عسكر فراوان ايله غارت و خسارت ايچون جانب ماردينه ارسال ايلدى (ფეჩევის ისტორია, ტ. II, გვ. 394). ანალოგიური შინაარსის ცნობა მოეპოვება ნაიმასაც: „შაჰმა მუქარისა და დაპირებების წერილები მისწერა არაბებსა და ქურთებს; (მათგან) დამორჩილება მოითხოვა, ხოლო ყარჩიხა-ხანი სათარეშოდ გაგზავნა მარდინის საზღვრებისაკენ“ شاه عربان و اكراده و عدو و عيدى مشتمل نامه‌لر كونروب كونددى اطاعته دعوت اتدى و قارچغاى خانى ماردين سمتلرينى غارته (ნაიმას ისტორია, II, გვ. 290-291). ოსმალური წყაროების მიხედვით ჰამერი აღნიშნავს: „Les kurdes et les Arabes des environs furent invités à la soumission par une circulaire menaçante et Kartschikai-Khan reçut l'ordre de faire une reconnaissance jusqu à Mardin“, (Op. cit, IX, გვ. 21).

[2] Bellan. დასახ. ნაშრ., გვ. 269.

[3] იქვე.

XVI საუკუნის დასაწყისში, შაჰ-ისმაილის დროს. ოსმალეთმა ერაყი წაართვა ყიზილბაშებს XVI საუკუნის 30-ან წლებში.

ახლა, ამ ქვეყნების გარდა, ირანს დაკავებული ჰქონდა კუნძული ჰორმუზიც, რომელსაც, შაჰის აზრით, ირანისათვის უნდა გაეადვილებინა დას. ევროპასთან დაკავშირება. ამასთან საგარეო პირობებიც მეტად ხელსაყრელი იყო ირანისათვის (ოსმალეთის საშინაო კრიზისი). საერთოდ 1624 წელს, ისე ჩანდა, ყიზილბაშური ირანი ძლიერების ზენიტზე იმყოფებოდა. და შაჰმაც ხელის ერთი დაკვრით სცადა „გურჯისტანის საკითხის“ ირანის სასარგებლოდ გადაწყვეტა.

მაგრამ შაჰის პოლიტიკამ კიდევ უფრო გააძლიერა ანტიირანული მოძრაობა საქართველოში. ოსმალო და ირანელ ისტორიკოსთა ცნობებიდან ჩანს, რომ საქართველოში სახალხო აჯანყება მწიფდებოდა. ამას გრძნობდნენ შაჰის მაჰმადიანი მოხელეებიც, რომლებიც ქვეყანას განაგებდნენ. ნაიმას ცნობით ფეიქარ-ხანი საგონებელში ჩაუგდია ქართველების აქტიურ მოქმედებას. „ფეიქარ-სულთანი,—წერს ნაიმა,—ქართველების სიმრავლემ შეაფიქრიანა, (მან) შაჰს შეუთვალა: ქართველები ისევ გამრავლდნენ, აჯანყება მოსალოდნელია; ამჟამად ისინი ათიათას ხმალს ითვლიან; ქართველები დაირაზმნენ. როგორი იქნება შენი ბრძანება“ [1]. მეორე ცნობა, რომელიც ისკანდერ მუნშს ეკუთვნის, აგრეთვე, მოწმობს, რომ „კახეთის საქმეები ვერ მიდიოდა შაჰისათვის სასურველად“ [2]. „...ამ წლის (1623—ვ. ჩ.) განმავლობაში,—წერს ისკანდერ მუნში,—ფეიქარ ხანის ხალხისაგან მიღებული იქნა ცნობები, რომლებიც შაჰის ერთგულმა ქართველებმაც დაადასტურეს, იმის შესახებ, რომ ადგილობრივ (კახეთის—ვ. ჩ.) არისტოკრატიასა და მეომრებს საიდუმლო კავშირი ჰქონდათ თეიმურაზთან და არსებობდა იმის საშიშროება, რომ აიყოლიებდნენ ხალხს და გამოიწვევდნენ მღელვარებას“ [3].

ასეთი ცნობები მისდიოდა შაჰს, როდესაც ის ბაღდადსა და მთელ ერაყს იპყრობდა 1623—1624 წლებში. მდგომარეობა სერიოზული იყო: ირანის საბჭედრო ძალების დიდი ნაწილი დაკავებული იყო ერაყში და ასეთ პირობებში ქართველების აჯანყებას (რაც მეტად მოსალოდნელი ჩანდა) შეიძლებოდა დიდი წარმატება ჰქონოდა, ეს კი კითხვის ქვეშ დააყენებდა ირანის ბატონობას ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებშიც, რომლებიც უთუოდ ისარგებლებდნენ შაჰის მდგომარეობის გართულებით და ეცდებოდნენ ყიზილბაშური ირანისაგან განთავისუფლებას. შაჰ-აბასმა გადასწყვიტა მიეღო საგანგებო ღონისძიება. მან შესწყვიტა ლაშქრობა ერაყში და 1624 წლის 6 ივლისს ისპაჰანს დაბრუნდა [4]. ის იქ დიდაანს არ დარჩენილა. იმავე წელს შაჰი მაზანდა-

---

[1] پیکر سلطان کورجیلرك کثرتندن اندیشه‌یه دوشوب شاهه خبر کوندروب کورجیلرینه جوغالدی شاید خروج ایلیه‌لر حالا موجود اولان اون بیك قلیچه ندر امرك کلور کورجی جمع اولشدر (ნაიმას ისტორია, ტ. II, გვ. 350).

[2] საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედ., თბილისი, 1946, გვ. 338.

[3] Brosset. Addition V, p. 48.

[4] Bellan. Chah-Abbas I, p. 270.

რანს ავიდა, საიდანაც დაუკავშირდა სულთნის წინააღმდეგ აჯანყებულ აბაზა-ფაშას.

აბაზა-ფაშას განდგომა საფუძვლიან შეშფოთებას იწვევდა ოსმალეთში, ვინაიდან სტამბოლს მოესპო სამცხე-საათაბაგოსთან დაკავშირების შესაძლებლობა. აბაზას მოქმედებამ ხელი შეუწყო შაჰს დაეკავებინა ახალციხე 1624 წელს. ამიტომ აბაზას დამარცხება და მესხეთში მდგომარეობის გამოსწორება ოსმალეთის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ამოცანად იქცა. აბაზას განდგომით გამოწვეული შიში მოჩანს ოსმალეთის ოფიციალური ჟამთააღმწერლის, ნაიმას, სიტყვებში: „აბაზა-ფაშამ,—წერს ნაიმა,—ის ხალხი (იანიჩრები—ე. ჩ.), როგორც. უზურპატორები, შეურაცხმყოფელები და მეამბოხენი, არ დაინდო და მათ მუსრი გაავლო. რადგან ადგილობრივი იანიჩრები მოსპობილი იქნენ, მათი რაზმებისაგან დაიცალა არზრუმის �ეე; ეიალეთის სატახტო (ქალაქის) გარდა 70-მდე იანიჩარი დაბოცილი იქნა ახალციხის ციხეშიც და მათგან დაცარიელდა საქართველოს საზღვრები"[1].

ოსმალეთის მთავრობას განსაკუთრებული ღონისძიება სჭირდებოდა აბაზას დასამორჩილებლად, რათა აღედგინა თავისი „უფლებები" სამცხე-საათაბაგოში. მაგრამ შეუძლებელი იყო სტამბოლიდან ამბოხებული იანიჩრების გაყვანა და მათი ჩაბმა აბაზას წინააღმდეგ ბრძოლაში. იანიჩრები თავს გაცილებით კარგად გრძნობდნენ სატახტო ქალაქში, სადაც ფაქტიური ბატონ-პატრონები იყვნენ. აბაზა-ფაშამ წერილი გაუგზავნა იანიჩრებს და შეუთვალა, რომ მათი მთლიანად მოსპობა სურს[2]. აბაზას წერილი თავის სასარგებლოდ გამოიყენა მთავრობამ და იანიჩრები დაიყოლია აბაზას წინააღმდეგ სალაშქროდ.

მთავრობის ჯარებს აბაზასთან ბრძოლა ჰქონდათ იმავე წლის ზაფხულში, ანატოლიაში. აბაზა დამარცხდა, მაგრამ ბრძოლაზე ხელი არ აიღო. 1624 წლის დამლევს აბაზა-ფაშა დაუკავშირდა შაჰ-აბასს, რომელიც მაზანდარანს იდგა. ამ დროს შაჰი ჯარების გამოგზავნას აპირებდა საქართველოში და ცდილობდა წინასწარი ზომები მიეღო ოსმალეთის შესაძლო შემოტევის აღსაკვეთად. აბაზასთან შეთანამებით მან აიობრა ვანის მაარე, საიდანაც მოსალოდნელი იყო ოსმალთა ლაშქრობა. შაჰის მდგომარეობა მტკიცე იყო იმითაც, რომ 1624 წლის გაზაფხულიდან მის ხელთ იყო ახალციხე. ამით ის ოსმალეთს უკეტავდა მთავარ გზას, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოსკენ მოდიოდა.

1625 წლის დასაწყისში შაჰმა საქართველოში გამოგზავნა დიდი ლაშქარი, რომელსაც მეთაურობდა ყარჩიბა-ხანი. ყარჩიბა-ხანს სისრულეში უნდა

---

بازه پاشا اول مقوله تسلط اوزره شتم و غوغا ایدنلری امان ویرمیوب قتل و صلب ایدوب بولدیغی یکچری‌یی تیروب اول طائفه‌دن قلعهٔ ارضرومی تخلیه ایلدی اندن تحت ایالتنده اولان بقاعدن اخسخه‌سنده بولنان نوبتجی یتمش قدر کمسنه‌لری دخی قتل ایدوب اول سمتلری و حدود کورجستانی انلردن قیلدی تهی قیلدی (ნაიმას ისტორია, ტ. II, გვ. 299).

[2] აბაზას წერილი მოთავსებულია ნაიმას ისტორიაში (ტ. II, გვ. 314—315); მისი თარგმანი მოტანილი აქვს ჰამერსაც (Hammer. t. IX, გვ. 39—41).

მოეყვანა შაჰის გეგმა, რომელიც ქართველი ხალხის ფიზიკურ მოსპობას ითვალისწინებდა.

მაგრამ შაჰმა ვერც ახლა შეისრულა განაზრახი. ქართველმა ხალხმა, გ. სააკაძის მეთაურობით, 1625 წ. 7 აპრილს გაანადგურა ირანის ლაშქარი და სანშობლო იხსნა სასიკვდილო საფრთხისაგან[1]. ნაიმას ცნობით ირანის 30 000-ანი ლაშქრიდან გადარჩა მხოლოდ 3 000 კაცი[2]. გ. სააკაძემ ირანის მთელ ამიერკავკასიაში ყიზილბაშების დამარცხების გეგმა დააწყო და ამ საქმეში ოსმალეთის გამოყენება სცადა, რისთვისაც ელჩები გაუგზავნა ოსმალეთის დიდვეზირს, ჰაფიზ-ფაშას, რომელიც ამ დროს დიარბექირთან იდგა. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობით საკაძის ელჩები დიდვეზირთან ჩასულან 1625 წ. 3 ივლისს (ჰიჯრის 1034 წ. 27 რამაზანი)[3]. მათ თან ჩაიტანეს ყიზილბაშთა

---

[1] ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიაში მარტყოფის ბრძოლის თარიღად მითითებულია 1623 წ. ქრისტიანული წელთაღრიცხვით (ვ ა ხ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ცხოვრება, გვ. 63), მაგრამ იქვე აღნიშნულია, რომ ყიზილბაშების გაწყვეტა მოხდა „თათრულსა ჩლდ", ე. ი. მუსლიმური წელთაღრიცხვის 1034 წელს, რაც შეადგენს პერიოდს 1624 წლ. 14 ოქტომბრიდან 1625 წლის 3 ოქტომბრამდე. ამას გარდა 1623 წ., როგორც მარტყოფის ბრძოლის თარიღს, აღოვევს ვახუშტის მიერ მოთხრობილი ამბების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. ვახუშტი ამბობს, რომ ყარჩიხა-ხანისა და საკაძის საქართველოში გამოგზავნამდე შაჰმა საკაძე „იახლა ბაღდადს და ყანდაარს" („საქართველოს ცხოვრება", გვ. 63). როგორც ვიცით, ბაღდადის ბრძოლა მხოლოდ 1623 წ. ბოლოს დასრულდა, ხოლო 1624 წ. გაზაფხულზე ყიზილბაშებმა მოსული და მარდინი დაიკავეს. ამ ლაშქრობას ხელმძღვანელობდა ყარჩიხა-ხანი, რომელიც. თუ მარტყოფის ბრძოლის თარიღად 1623 წ. მივიღებთ, საკაძის მიერ უკვე მოკლული უნდა ყოფილიყო საქართველოში. სომეხი ისტორიკოსის, ზაქარია სარკავაგის მიერ შედგენილ „ქამთა-აღწერილობაში" საქართველოში ყიზილბაშების გაწყვეტა 1624-25 წწ. ამბებშია მოთხრობილი (B r o s s e t. Collection d' historiens armeniens, II, S-pt., 1876, გვ. 21). სეფიანთა დინასტიის ოფიციალური ისტორიკოსისა და ამბის თანამედროვის, ისკანდერ მუნშის, ისტორიაში მარტყოფის ბრძოლის თარიღად აგრეთვე 1034 (1624—25) წელია დასახელებული (ისკ. მუნშის ისტორიის ლითოგრაფიული გამოცემა, თეირანი, 1314, გვ. 721). „პარიზის ქრონიკა" მარტყოფის ბრძოლის თარიღად სდებს 1626 წლის 25 მარტს ძველი სტილით (პარიზის ქრონიკა, ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს გამოც., თბილისი, 1903, გვ. 48). 1626 წ. სწორი არ არის, ვინაიდან ის სრულებით არ ეთანხმება იმ მოვლენების ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, რომლებიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მარტყოფის ბრძოლასთან. რაც შეეხება ამ ბრძოლის დღეს, 25 მარტს, იგი ერთი წლით უკან უნდა იქნას გადაწეული: რადგან ყიზილბაშები 1625 წლის დასაწყისში მოვიდნენ, ხოლო საკაძის ელჩები ოსმალეთში იმავე წლის ზაფხულში ჩავიდნენ ყარჩიხა-ხანის მოკრძალი თავით, ამიტომ, ცხადია რომ ყიზილბაშების განადგურება 1625 წლის დამდეგსა და ზაფხულს შორის უნდა მომხდარიყო. საამისოდ პარიზის ქრონიკაში აღნიშნული 25 მარტი. ახ. სტ. 7 აპრილი, მეტად საგულისხმო თარიღი ჩანს. მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლების თარიღების შესახებ საკუთარი დაკვირვება აქვს აგრეთვე მ. ს ვ ა ნ ი ძ ე ს (იხ. მარტყოფის და მარაბდის ბრძოლების თარიღის საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა IV კონფ. თეზისები, 1953, გვ. 56).

[2] ნაიმას ისტორია, გვ. 346.

[3] ფეჩევის ისტორია, ტ. II, გვ. 303. დოც. ს. ჯიქია, რომელმაც ფეჩევის ისტორიის ეს ადგილი თარგმნა, შენიშვნაში აღნიშნავს, რომ 1034 წლ. 27 რამაზანი უდრის 1624 წ. 3 ივლისსო (ენციკლ. მოამბე, ტ. V—VI, 1940, გვ. 384—85). ნამდვილად კი 1034 წლის რამაზანი არის 1625 წლის 3 ივლისი. ნაიმა გვაუწყებს ქართველი ელჩების ჩასვლის განსხვავებულ თარიღს,—1034 წლის 21 რამაზანს ე. ი. 1625 წ. 27 ივნისს (ნაიმას ისტორია, ტ. II, გვ. 347). პროფ. ს. კაკაბაძეს, რომელმაც ნაიმას ისტორიის ამ ადგილის ქართული თარგმანით ისარგებლა, შეეფოქით გადმოაქვს ეს თარიღი, როგორც 1624 წლის 8 ივლისი (მნათობი, № 5,

მოკრილი თავები, მათი დროშები და იარაღი. ნაიმა იუწყება, რომ ყიზილ-ბაშთა თავები სტამბოლში გაგზავნეს და სულთნის სასახლეში მიიტანეს 1035 წ. მუჰარემის თვეში[1], რაც შეადგენს პერიოდს 1625 წლის 3 ოქტომ-ბრიდან 1626 წლის 2 ნოემბრამდე.

შაჰ-აბასმა მაზანდარანს შეიტყო საქართველოში თავის ლაშქრის განა-დგურების ამბავი, მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მან სასწრაფოდ გა-მოგზავნა ახალი ლაშქარი ისა-ხან ყორჩიბაშის სარდლობით. შაჰმა საქართვე-ლოსკენ გალაშქრება უბრძანა აგრეთვე ერევნის ხანს ამირგუნას და აზერ-ბაიჯანის ხანს შაჰ-ბანდას. თვითონ შაჰი კი დასავლეთისაკენ გაემართა, რა-თა გამაგრებოდა დიდეზირი ჰაფიზ-ფაშას, თუ ის ირანისაკენ დაიძრებოდა დიარბეკირის მხრიდან.

ყიზილბაშთა ახალი ლაშქარი ქართველებს შეხვდა მარაბდასთან 1625 წლის 1 ივლისს (1034—25 რამაზანი)[2]. ამ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ მტერმა უფრო დიდი ზარალი განიცადა (მოკლული იქნა 14 000 ყიზილ-ბაში)[3]. მარაბდასთან პიროსის გამარჯვების მოპოვების შემდეგ მტერმა ფები ვერ მოიკიდა ქართლში. ქართველმა ხალხმა სააკაძის ხელმძღვანელობით მტერს თავს მოახვია ძლიერი პარტიზანული ომი, რის შედეგად დამპყრობელი იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია. შაჰ-აბასმა ვერ შეძლო იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც ირანს ჰქონდა მარტყოფის ბრძოლამდე. პირიქით, მარაბდის შემდეგ მდგომარეობა უფრო გაუარესდა. ამის შემდეგ შაჰი უნდა დარწმუნებულიყო, რომ ქართველმა ხალხმა საბო-ლოოდ ჩაშალა მისი გეგმები.

---

1942, გვ. 126). აღნიშნულ თარიღებთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი ფაქტის გათვალისწინებაც. ოსმალეთის დიდეზირი, რომელთანაც ქართველი ელჩები ჩავიდნენ, იყო ჰაფიზ-ფაშა. ის ამ თანამდებობაზე დაინიშნა 1034 წლის რაბი-ულ-

საქართველოში ირანის ლაშქრის განადგურებამ დიდი გავლენა მოახდინა მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო მდგომარეობაზე. ამიერიდან აშკარად რთულდება ირანის მდგომარეობა, რომელსაც, ოსმალეთთან შედარებით უკეთესი საგარეო-პოლიტიკური პირობები ჰქონდა 1623—1624 წლებში.

1624 წლის მეორე ნახევარში, როდესაც შაჰ-აბასმა (საქართველოს საქმეების მოწესრიგების მიზნით) მთელი ერაყი დააცარიელა თავისი ჯარებისაგან, ოსმალეთმა მცირე ძალებით ერაყი (ბაღდადის გარდა) ისევ დაიკავა[1]. ახალმა ვითარებამ გავლენა მოახდინა აბაზა-ფაშაზეც; ის განუდგა შაჰს (როგორც დამარცხებულს) და თავი გამოაცხადა სულთნის ერთგულად[2]. ამას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალეთისათვის. მას საშუალება მიეცა მიახლოებოდა სამცხეს, რომელიც ირანელებმა დაიკავეს 1624 წელს. მართლაც, აბაზას წყალობით ოსმალებმა შეძლეს ახალციხის დაკავება. „ერთ-ერთი მისი (სულთნის—ვ. ჩ.) მოხელე მურთეზ-ფაშა, რომელიც ყარაჯა არტაანს განაგებდა, დაიძრა ახალციხისაკენ; სალიმ ხან შამს-ედ-დინლუმ, რომელიც იმ ადგილის სარდალი იყო, იგრძნო, რომ განცალკავებული რჩებოდა ომით მოცულ ქვეყანაში და ისა-ხან ყორჩიბაშს შეუერთდა“[3].

ამრიგად, შაჰმა დაკარგა ახალციხეც. ამ დროს მას აუჯანყდა აგრეთვე ქურთისტანი. ამას გარდა, 1625 წლის შემოდგომის დასაწყისში დიდვეზირი ჰაფიზ-ფაშა დიარბექირიდან დაიძრა ბაღდადის ასაღებად და 1625 წლის ნოემბერში ქალაქს მიადგა[4].

ირანის ჯარების განადგურებამ საქართველოში სულ აუწეწა საქმეები შაჰ-აბასს ახლო აღმოსავლეთში. მაგრამ მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლების ნთავარი შედეგი ის იყო, რომ ქართველმა ხალხმა საკუთარი ძალებით სასიკვდილო ლახვარი ჩასცა შაჰის განზრახვას. ქართველმა ხალხმა დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა. კახეთიდან განდევნილი იქნა მაჰმადიანი ხანი, ხოლო თეიმურაზმა კახეთის ტახტი დაიბრუნა[5].

საერთაშორისო მდგომარეობამ, 1625 წლის ახლო ხანში რომ შეიქმნა მახლობელ აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში, ოსმალეთს თავის აგრესიული ზრახვების განხორციელების შესაძლებლობა მისცა. ამ წელს მან დაიკავა სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი (ახალციხის ჩათვლით). ეს, რა თქმა უნდა, ოსმალეთის მიერ საქართველოს ამ ტერიტორიის დაკავების პირველი შემთხვევა არ იყო, მაგრამ ოსმალეთის აგრესიულ აქტს ამჯერად თან ახლდა სხვა შედეგებიც. XVII საუკუნის მეორე მეოთხედის დამდეგს ოსმა-

---

[1] ნაიმას ისტორია, ტ. II, გვ. 344—345.

[2] Bellan. დასახ. ნაშრ., გვ. 274.

[3] იქვე.

[4] ფეჩევის ისტორია, ტ. II, გვ. 406—407.

[5] თუ რამდენად უკრიტიკოდ ეკიდებიან ბურჟუაზიული მკვლევრები თურქულ-სპარსულ წყაროებში დაცულ ცნობებს და ამახინჯებენ საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან ფაქტებს, მოწმობს ბელანის შეხედულება, რომ თეიმურაზი შაჰის დამარცხების შემდეგ ტახტზე ავიდა თითქოს არა ქართველი ხალხის გამარჯვების წყალობით, არამედ ოსმალთა დახმარებით („Tahmouraz remontait sur le trône du kakhet avec la protection ottomanne“, Bellan. დასახ. ნაშრ., 273).

ლეთმა სამცხე-საათაბაგოში მოსპო ათაბაგობა და მთელი ქვეყანა გადააქცია თავის ადმინისტრაციულ პროვინციად — ახალციხის საფაშოდ.

ამიერიდან ახალციხის საფაშო წარმოადგენდა ოსმალეთის დასაყრდენს ქართული სამეფო სამთავროების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთან, იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ოსმალთა ბატონობის ისეთ შედეგებთან, როგორიც იყო ტყვის სყიდვა დასავლეთ საქართველოში და „ლეკიანობა" (მთიელი ფეოდალების—ოსმალო ხონთქრების აგენტების რბევა-თარეში) აღმოსავლეთ საქართველოში.

* * *

მალე შაჰ-აბასმა კიდევ ერთხელ შეძლო მესხეთიდან ოსმალეთის განდევნა. 1627 წ. ყიზილბაშებმა, ისევ აბაზა-ფაშას დახმარებით, ახალციხე აიღეს და შაჰ-აბასმა ოსმალეთს შესთავაზა 1555 წ. ზავის პირობების განახლება. მაგრამ ირან-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა[1]. ოსმალეთი ხელს არ იღებდა სამცხეზე, თუმცა ძლიერ უჭირდა მისი მტკიცედ დაუფლება. შაჰთან საზავო მოლაპარაკების ჩაშლისთანავე ოსმალეთმა კავშირი შესთავაზა თეიმურაზს და მისი დახმარებით სცადა საქართველოს სხვა მეფე-მთავრების ამხედრება ირანის წინააღმდეგ[2].

მაგრამ ირან-ოსმალეთის ომს, რომელიც აღარ შეწყვეტილა 1623 წლის შემდეგ, თავის სასარგებლოდ იყენებდა თეიმურაზი. მარტყოფისა და მარაბდის შემდეგ მას სცნობდა როგორც ირანი, ისე ოსმალეთი. ირანმა აღიარა თავისი მარცხი და თეიმურაზი ქრისტიან მეფედ იცნო იმ ქვეყანაში, სადაც ვერ შეძლო მაჰმადიანი ხანების დამკვიდრება. აღსანიშნავია, რომ ირანის მთავრობა თეიმურაზთან მოლაპარაკებას აწარმოებდა სიმონ-ხანის გვერდის ავლით, თბილისში მდგარი ყიზილბაშ მეციხოვნეთა უფროსის, დაუთ-ხანის მეშვეობით...[3] სიმონ-ხანი 1629 წლამდე მხოლოდ სომხით-საბარათიანოს გამგებლად რჩებოდა. ირანი ახლა იმას ცდილობდა, რომ თეიმურაზი ლოიალურ ვასალად მაინც გაეხადა. მაგრამ თეიმურაზი მიზნად ისახავდა საქართველოსთვის სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას.

---

[1] ნაიმას ისტორია, ტ. II, გვ. 412; Ricaut. Histoire des trois empreurs des Turcs, Paris, 1683, გვ. 27; სავსებით აშკარაა, რომ ირანსა და ოსმალეთს შორის 1627 წ. ზავი არ დადებულა. მართალი არ არის ეგნატაშვილი ბერი, რომელიც დაახლოებით ამ პერიოდის შესახებ ამბობს: „ხონთქარი მაშინ ყეენის გარიგებული იყო"... (ეგნატაშვილი ბერი. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 162). ნ. ბერძენიშვილსაც აღნიშნული აქვს: „1627 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო და აღმ. საქართველო ისევ ირანის სამფლობელოდ იქნა ცნობილი" (საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედ., თბ., 1946, გვ. 345). სინამდვილეში ირანი და ოსმალეთი 1627 წ. ზავზე ვერ შეთანხმდნენ. ოსმალეთი აღმოსავლეთ საქართველოს მხოლოდ იმ შემთხვევაში იცნობდა ირანის სამფლობელოდ, თუ უკანასკნელი ახალციხეს დასთმობდა და ხელს აიღებდა მთელ მესხეთზე.

[2] ნაიმას ისტორია, ტ. II, გვ. 412.

[3] Brosset. Addition V, გვ. 287.

თეიმურაზი ირანთან ვასალური დამოკიდებულების აღდგენის შემდეგაც არ სწყვეტდა ოსმალეთთან ურთიერთობას. მისი ელჩი სტამბოლში იყო 1626 წელს[1]; ოსმალეთმა, თავის მხრივ, 1627 წელს მას მოუწოდა, შემოეკრიბა „საქართველოს მბრძანებლები“ და გაელაშქრა ირანის წინააღმდეგ. თეიმურაზი კი საქართველოს ინტერესებისათვის იყენებდა ირანისა და ოსმალეთის ქიშპს. იმავე დროს ის ცდილობდა დაკავშირებოდა ქრისტიანულ რუსეთს, რომელთან კავშირს შეეძლო მხოლოდ საქართველოს ხსნა „თურქობისაგან“[2]. თეიმურაზის საშინაო პოლიტიკა მიმართული იყო ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანებისაკენ. ის ებრძოდა ქართლის თავადებს, რომლებიც კიდევ უფრო გაძლიერებულიყვნენ და „უფლობდნენ ქართლში“[3]. მან დაიმოყვრა ზურაბ ერისთავი, რომელსაც თეიმურაზის „ყმობა ემძიმებოდა და თვითონ აპირებდა ხელმწიფობას“[4]. ვიდრე ამ საშიშ ყმისაგან თავს დაიხსნიდა, თეიმურაზს განზრახული ჰქონდა პატივმოყვარე თავადის გამოყენება სიმონ-ხანის წინააღმდეგ.

1629 წელს შესაფერი დრო დადგა. შაჰ-აბასი გარდაიცვალა და ირანში დინასტიური ომი იყო მოსალოდნელი. გარდა ამისა დასავლეთიდან ოსმალეთი აპირებდა ირანში შეჭრას. „თეიმურაზ მეფემ მტერს მარჯვე დრო შეურჩია, ზურაბ ერისთავის დახმარებით სიმონ ხანი დაღუპა და ქართლი ბოლიანად დაიპყრო“[5]. ამის შემდეგ თეიმურაზმა მოაკვლევინა არაგვის ერისთავიც.

სომხით-საბარათიანოს დაპყრობით და სიმონ-ხანის მოკვლით ქართველმა ხალხმა მოსპო ყიზილბაშური ირანის ხელისუფლების ნაშთი საქართველოში. ეს იყო ქართველი ხალხის დიდი გამარჯვება. ყიზილბაშურმა ირანმა, რომელიც ქართლისა და კახეთის ქრისტიანულ, ვასალურ სამეფოებსაც ვერ ითმენდა, ახლა იძულებული იყო ქართლ-კახეთის მეფედ ეცნო ქრისტიანი თეიმურაზი. ისკანდერ მუნშის სიტყვით, შაჰმა თეიმურაზი ქართლის მეფედ სცნო იმის გამო, რომ ქართლის ბაგრატიონებში ქრისტიანი მემკვიდრე ბატონიშვილი არ ჩანდა, ხალხი კი მეფედ ქრისტიანს მოითხოვდა.

---

[1] მ. თამარაშვილი. ისტორია კათალიკობისა ქართველთა შორის, თბილისი, 1902, გვ. 99.

[2] ცოტა უფრო გვიან თეიმურაზი წერდა რუსეთის მეფეს: „И того ради подобает православным царем и государем быти в великой любви и дружбе, чтобы иметь помощь и силу. И когда услышат народы турские и цари, что христианские цари имеют меж себя великую любовь и обединение и они тогда учнут себе имети великой страхи и боязнь...“ (М. Полиевктов. Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615—1640, Тбилиси, 1937, стр. 111).

[3] თავადებმა „მაშინ განმგეთ ქართლისა დაადგინეს დავით მეფის ძმის შვილისშვილი ქაიხსრო, მუხრანბატონი, და არც განმგეობითა ემორჩილებოდნენ მათ, არამედ თავის თავად. უფლობდნენ ქართლის თავადნი“. (ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 154).

[4] საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედ., თბ., 1946, გვ. 346.

[5] იქვე.

თეიმურაზმა ამ წარმატებას იმითაც მიაღწია, რომ მარჯვედ გამოიყენა საერთაშორისო მდგომარეობა მახლობელ აღმოსავლეთში,—ირან-ოსმალეთის ომი. ირანს ახლა ოსმალეთის შეტევა უნდა მოეგერიებინა.

1629 წ. ირანმა თავიდან აიცდინა დინასტიური ომი, რომელიც ჩვეულებრივი მოვლენა იყო შაჰის სიკვდილის შემდეგ. ამ საქმეში თავი გამოიჩინა ისფაჰანის ტარუღამ, ხოსრო-მირზამ, რომელიც დაუთ-ხანის შვილი და ქართლში მოკლული სიმონ-ხანის ბიძა იყო. მან შაჰ-აბასის სიკვდილის შემდეგ ტახტზე აიყვანა მისი შვილიშვილი შაჰ-სეფი (1629—1642). ირანის ახალი შაჰი მცირეწლოვანი იყო და გარკვეული დროის მანძილზე „ერანის საქმე როსტომ (იგივე ხოსრო-მირზა—ვ. ჩ.) მეფეს ეკითხებოდა“ [1]. შაჰის ერთგული მოხელე ირანის ყულარ-აღასად დაინიშნა და მისი მეცადინეობით ირანი შედარებით მომზადებული შეხვდა ოსმალეთის ლაშქრობას.

ირანის წინააღმდეგ ლაშქრობის დაწყება ოსმალეთმა შაჰ-აბასის სიკვდილს დაუკავშირა. დიდვეზირი ხუსრევ-ფაშა სტამბოლიდან გავიდა 1629 წ. მაისში [2]. მაგრამ ოსმალეთის ლაშქარმა სწრაფად ვერ შეძლო ირანის საზღვრებთან მისვლა. დიდვეზირს საკუთარ ქვეყანაშიც ომით დასჭირდა გავლა. ხუსრევ-ფაშა წარმატებით შეება ანატოლიის თურქმანულ ტომებს, დაამარცხა ისინი და წაართვა მათ ათი ათასი ცხვარი, დიდძალი ცხენი, აქლემი და სხვა საქონელი [3].

ოსმალეთის ლაშქარმა, რომელსაც ბრძოლით დასჭირდა ირანის საზღვრებამდე მისვლა, იმ წელს ვეღარ მოახერხა ირანში შეჭრა. ზამთრის დასაწყისისთვის მან მხოლოდ ქურთისტანს მიაღწია. ხუსრევ-ფაშამ იქ გადასწყვიტა ზამთრის გატარება. ადგილობრივი ამირების უმრავლესობამ, ოსმალეთის ლაშქრის მოახლოების გამო, თავი გამოაცხადა სულთნის „ერთგულად“ და ოსმალო სერასქერს ეახლა.

დიდვეზირმა მათთან ერთად დააწყო მომავალი გაზაფხულისათვის ირანზე გალაშქრების გეგმა. გაზაფხულისათვის ლაშქრობის სწრაფად დაწყება აუცილებელი იყო: დიარბეკირსა, მარდინსა და მოსულში დაბანაკებულ ჯარს საჭმელი შემოაკლდა, ჯამაგირის გაცემის დროს სიფაჰიებმა მოკლეს თავიანთი მულაზიმ-ბაში. ხუსრევ-ფაშა ლაშქარს გაჭირვებით აკავებდა და მათ დროდადრო ანატოლიის სხვადასხვა რაიონებში გზავნიდა სათარეშოდ. 1630 წლის გაზაფხულზე ოსმალეთის ლაშქარმა გაილაშქრა შეჰრიზორ-ჰამადანის მიმართულებით, ირანელები რამდენჯერმე დამარცხდნენ. ოსმალებმა დაიკავეს ჰა-

---

[1] გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, თბ., 1926, გვ. 30.

[2] ნაიმას ისტორია, ტ. II, გვ. 447; ხუსრევ-ფაშამ ამ ლაშქრობის დროს სიკვდილით დასაჯა გიორგი საკაძე, რომელიც იმ დროს ყარამანის ბეგლარბეგი იყო (ნაიმას ისტორია, ტ. III, გვ. 8). რიკოტი უხეშ შეცდომას უშვებს, როდესაც საკაძის დაღუპვის ამბავს გადმოგვცემს. მას ჰგონია, რომ საკაძე, იყო ირანის შაჰის მომხრე ქართველთა სარდალი. „Le grand vizir fit un carnage des Géorgiens qui estaient dans les intérêts du Roi de Perse; prit leur Générale Moroc, à qui il fit couper la tête“. (Ricaut. დასახ. ნაშრ., გვ. 28).

[3] ნაიმას ისტორია, ტ. III, გვ. 8.

მადანი და ყაზვინისკენ გაიჭრნენ. მაგრამ მიმართულება შესცვალეს და გაბრუნდნენ სამხრეთ დასავლეთისაკენ. დიდვეზირი 1630 წლის სექტემბერში უკვე ბაღდადთან იყო. მთელი სივრცე: ჰამადანი—ყასრ-ი შირინი—ბაღდადი გაპარტახებული იქნა.

ბაღდადის კედლებთან გადამწყვეტი იერიში დაიწყო 1630 წ. 9 ნოემბერს. იანიჩრებმა და სიფაჰიებმა ძლიერ შეავიწროვეს ირანელები, მაგრამ ქალაქის აღება ვერ შეძლეს. წარუმატებლობა იმანაც გამოიწვია, რომ ბრძოლის დროს ზოგიერთი იანიჩარი ხმას ავრცელებდა: თუ ბაღდადს ავიღებთ, სულთანს ჩვენ აღარ დავჭირდებით და დაგვხოცავენო. ასეთი განწყობილების ჯარით ხუსრევ-ფაშამ ვერ შეძლო ბაღდადის დაკავება და უკან დახევა გადაწყვიტა.

1630 წლის დეკემბერში ლაშქარი უკვე მოსულში იყო. აქ დიდვეზირმა გაიგო, რომ ქურთისტანის ამირები, ოსმალეთის ლაშქრის დამარცხების გამო, ისევ შაჰის „ერთგულნი" გამხდარიყვნენ. მაგრამ მას არ შეეძლო მათი დასჯა. დამარცხებულმა ხუსრევ-ფაშამ სულთანს მოსთხოვა მიეცა მისთვის ყირიმის სახანოს ლაშქარი, რათა მომავალ გაზაფხულზე განეახლებინა ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ.

ამ მარცხის მიუხედავად ლაშქრობის მოშლას არც სულთანი ფიქრობდა. მალე სტამბოლიდან ლაშქარს გაუგზავნეს ორასი იუქი ახჩა[1]; გარდა ამისა ყირიმის ხანს დაავალეს, რომ მომავალ გაზაფხულზე ყირიმის ლაშქრით გადმოსულიყო ანატოლიაში[2].

1631 წლის გაზაფხული და ზაფხული დიდვეზირმა ყირიმის სახანოს ლაშქრის ლოდინში გაატარა. ამ ხნის განმავლობაში ჯარმა შთანთქა ის ფული, რომელიც სატახტოდან მისდიოდა და, ამას გარდა, ძლიერ დააზარალა მოსულისა და მარდინის რაიონები. იანიჩრები და სიფაჰიები უკმაყოფილო იყვნენ იმით, რომ ხუსრევ-ფაშამ 1631 წელს ხელიდან გაუშვა ლაშქრობის საუკეთესო დრო, გაზაფხულ-ზაფხული. სექტემბრის თვეში ისინი აუმბოხდნენ დიდვეზირს[3] და მოითხოვეს, რომ ლაშქრობა მომავალი წლის გაზაფხულამდე გადადებულიყო. ხუსრევ-ფაშამ შეასრულა მათი სურვილი და ზამთრის გასატარებლად ჯარები დიარბეკირისკენ დასძრა. დიარბეკირისაკენ მიმავალ ლაშქარს გზაზე შეხვდა ყირიმის ხანის მხედრობა, რომელიც ამ დროს (1631 წ. ბოლო) გადმოეყვანათ აზიაში. „[ყირიმელმა თათრებმა],—წერს ნაიმა,—აღლუმი გამართეს მინდორზე. ქათიბ ჩელები ფეზლექეში ამბობს, რომ [მათმა] ასეულმა, რომელიც შიშველ-ტიტველი იყო, საქონელის ჯოგივით, ჯგუფ-ჯგუფად გაიარა. ისინი არ იცავდნენ სამხედრო წესრიგს; ვერც იმას გაიგებდით, თუ ვინ იყო მათ შორის დიდებული, მდაბიო ან ჩაუში, აწეწილ-დაწე-

---

[1] ნაიმას ისტორია, ტ. III, გვ. 66.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 75.

წილებმა ჩაიარეს. ისინი იმას [ფიქრობდნენ], რომ სადმე ეშოვნათ ნადაელი და დაერბიათ რომელიმე მოშენებული ქვეყანა"[1].

დიდვეზირისთვის ცხადი იყო, რომ თავის დამშეულ ჯარებთან ერთად დაბანაკებული ყირიმელი თათრები დიდ სიძნელეებს შექმნიდნენ ანატოლიაში. ამიტომ ხუსრევ-ფაშამ ყირიმელი თათრები არზრუმში გაგზავნა დასაბანაკებლად, ხოლო ოსმალეთის ჯარები დიარბეკირის, დამასკოსა და სხვა ყიშლაღებზე დაფანტა[2]. ამ გზით დიდვეზირი თავს იზღვევდა ლაშქრის ამბოხებისაგან. მაგრამ მოლაშქრეთა დაქსაქსვა გამორიცხავდა მის სწრაფად შეკრებასა და ლაშქრობის დაწყებას მომავალი, 1632 წლის, გაზაფხულზე.

ოსმალეთს წარმატებითი საგარეო ომის გეგმა ჩაეშალა. ეს კი საშინაო ხასიათის სიძნელეების ზრდას იწვევდა. 1631 წლის ნოემბერში უკმაყოფილო სულთანმა ხუსრევ-ფაშა გადააყენა და ოსმალეთის პირველ ვეზირად ისევ ჰაფიზ-ფაშა დანიშნა[3].

ხუსრევ-ფაშას გადაყენება ჯარებმა ხელზე დაიხვიეს და ამბოხდნენ დიდვეზირის რეაბილიტაციის საბაბით. დიარბეკირში ჯარმა მთელი სალარო მოითხოვა დეფთერდარისაგან. უღონო მოხელემ პოსტი მიატოვა და თავს გაქცევით უშველა. ჯარი ქალაქის ბაზრებს დაერია და რბევას შეუდგა[4]. ჯარის მოქმედება აჩქარებდა სხვადასხვა სოციალური ფენების უკმაყოფილების ზრდას. მდგომარეობა ისევე სერიოზული იყო, როგორც XVII საუკუნის დამდეგს, ყარა იაზიჯის აჯანყების დროს.

სულთანმა სატახტო ქალაქში გაიწვია ჯარები. 1631 წლის ბოლოს დივანმა წერილით შეუთვალა კაფი კულის ; (რეგულარულ) ლაშქარს დაბრუნებულიყო სტამბოლში[5]. ჯარიც გაემართა იქ, საიდანაც ის სამი წლის წინ, 1629 წლის დასაწყისში, გაიყვანეს ბაღდადის ასაღებად.

ჯარები ქალაქისაკენ გაემართნენ იმ განზრახვით, რომ იქ ეშოვნათ ის, რაც ვერ მოიპოვეს საგარეო ომში. მათ მოლოდინში „შიში გამეფდა ქალაქში და (სულთნის) სასახლეში"[6]. საზოგადოებრივი ადგილები: დუქნები, ყავახანები დაიხურა; მოსახლეობა სახლებში ჩაიკეტა. თითქოს უცხო სახელმწიფოს ლაშქარი უახლოვდებოდა ოსმალეთის სატახტო ქალაქს!

1632 წლის თებერვლის დასაწყისში იანიჩრები სულთნის სასახლეში შეიჭრნენ და მოითხოვეს, რომ მათთვის გადაეცათ დიდვეზირი, მუფთი, სახელმწიფოს დივანის ყველა წევრი და სულთანთან დაახლოებული დიდმოხე-

---

[1] صحراده الای کوستردیلر کاتب چلبی فذلکه‌ده دیر که بر بلوك عبالی کبه‌لی چیلاق طائفه حیوانات سوریسی کبی کوره کوره کیدرلر آلایلرنده نه ترتیب صفوف و نه اعالی و ادانی مراسمی و نه چاوشلری و اریر اکنده چکیلوب کیدرلر بر دیارلری عارته و بر معمور مملکتی تخریب و خسارته... (ნაიმას ისტორია, III, გვ. 76).

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 79.

[4] იქვე, გვ. 81.

[5] იქვე, გვ. 83.

[6] La terreur régna dans la ville et dans le serái (Hammer. IX, გვ. 169).

ლეები (دولت كارا), სულ 17 კაცი[1]. მურად IV იძულებული იყო მოეყვანინებინა და მათთვის გადაეცა სკუტარში დამალული დიდვეზირი. ამბოხებულებმა დიდვეზირი აჩეხეს სულთნისა და დივანის წევრების თვალწინ[2]. ზოგი დიდმოხელე ქალაქიდან გაიქცა, ზოგს კი სიკვდილი ვერ ასცდა. მურად IV გადასწყვიტა მოეკლა ხუსრევ-ფაშა, რომელიც ანატოლიიდან ხელმძღვანელობდა ამბოხებას. მალე ეს განზრახვა სისრულეში იქნა მოყვანილი. მაგრამ ამან კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა. რეჯეფ-ფაშამ, რომელიც ამ დროს დიდვეზირი გახდა, წააქეზა ხუსრევის სიკვდილით „შეწუხებული" ჯარები უფრო გაბედულად ემოქმედნათ. ამაში იგულისხმებოდა მურად IV ტახტიდან ჩამოგდება. ასეთ ვითარებაში ამბოხებულებმა მოითხოვეს, რომ მათთვის ეჩვენებინათ სულთნის ოთხი ძმა, რომლებიც სასახლეში ჰყავდათ დამწყვდეული. თუ ისინი მოკლული აღმოჩნდებოდნენ, მაშინ მურად IV დინასტიის ერთადერთ წარმომადგენლად დარჩებოდა, რაც, კანონის მიხედვით, მას სიკვდილისაგან დაიცავდა. იანიჩრებს თავიანთი მოთხოვნით სურდათ დარწმუნებულიყვნენ: მოუსპო თუ არა მათ მურადმა მოქმედების თავისუფლება. მაგრამ სულთანმა ვერ გაბედა იმ კანონის გამოყენება, რომელიც მას უფლისწულების დახოცვის უფლებას ანიჭებდა. მურადმა ამჯობინა ლოიალობა დაემტკიცებინა იანიჩრებისათვის. მისი ოთხივე ძმა აივანზე გამოიყვანეს და უჩვენეს ამბოხებულებს.

რეგულარული ჯარი სატახტო ქალაქის ბატონ-პატრონი გახდა. ვიდრე სტამბოლში ჯარისკაცების თვითნებობა გრძელდებოდა, ხოლო ცენტრალური ხელისუფლება მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობდა, ირანს საშუალება მიეცა გაეძლიერებინა აგრესია აღმ. საქართველოს წინააღმდეგ.

* * *

დიდი დაპყრობითი ომების ციკლი ოსმალეთმა XVI საუკუნის ბოლოს დაამთავრა. მრავალი ცდის მიუხედავად XVII ს. პირველ და მეორე მეოთხედში მან ვერ შეძლო ამიერკავკასიის ქვეყნების ხელახლა დაპყრობა და 1590 წლის ზავის პირობების განახლება. ამ პერიოდში ოსმალეთმა რამდენჯერმე დაიკავა ახალციხე, მაგრამ სამცხე-საათაბაგოს მთელი ტერიტორიის შენარჩუნება მაინც ვერ შეძლო. შეუძლებელი აღმოჩნდა აგრეთვე ბაღდადის უკან დაბრუნება. იქიდან ირანელთა განდევნის ყველა ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა. ბაღდადთან 1630 წელს განცდილი მარცხის შემდეგ ოსმალეთის ლაშქარი დეზორგანიზებული დაბრუნდა და ანატოლიას მოედო.

ირან-ოსმალეთის მრავალწლოვანი ომების შედეგად განადგურდა სოფლები, ქალაქები, უკიდურესად გაუარესდა მწარმოებელი საზოგადოების მდგომარეობა.

ოსმალო ფეოდალები ერთნაირად ანადგურებდნენ საკუთარ და დაპყრობილ ქვეყნებს. მათი თარეშის გამო გაპარტახდა მრავალი მხარე. XVII ს-ის ინგლისელი რეზიდენტი რიკოტი, ოსმალეთის შესახებ ამბობდა: „...ეს იმპერია,

---

[1] ნაიმას ისტორია, ტ. III, გვ. 87.

[2] იქვე, გვ. 89—90.

რამდენადაც დიდი არ უნდა იყოს, მაინც ზოგიერთ ადგილას დაუსახლებელია; სოფლები მიტოვებულია (ხალხის მიერ); ისეთი სასიამოვნო და ნაყოფიერი პროვინციები როგორიც არის ტამპე ან თესალია წარმოადგენენ გაუდაბურებულსა და დაუმუშავებელს. ასეთი გავერანება წარმოადგენს ბეგლარბეგებისა და ფაშების ტირანიისა და უსასრულო სისარბის შედეგს. ისინი, როდესაც საგამგებლო ადგილების დასაკავებლად მიდიან ან იქიდან ბრუნდებიან, თავიანთი რაზმების საშუალებით შეურაცხყოფენ და ძალადობას იჩენენ მოსახლეობის მიმართ. ისინი (ხალხს) უყურებენ როგორც მტერს და თავი ჰგონიათ დაპყრობილ ქვეყანაში“ [1].

ქვეყანაში შექმნილმა კატასტროფულმა ვითარებამ გაბატონებული კლასის წარმომადგენლები აიძულა გამოსავალი ეპოვნათ. მაგრამ მათ არ შეეძლოთ რაიმე ახალი საშუალების გამონახვა. ამჯერადაც მდგომარეობიდან გამოსავალი უნდა ყოფილიყო ან ახალი დაპყრობითი ომის გაჩაღება ან უშუალო მწარმოებელთა ექსპლოატაციის კიდევ უფრო გაზრდა. მაგრამ, როგორც კოჩი ბეი აღნიშნავს, უშუალო მწარმოებელი უკიდურეს მდგომარეობამდე იყო მიყვანილი. ამიტომ ოსმალო ფეოდალების წინაშე გარდუვალი აუცილებლობით დაისვა საგარეო ომის ჩატარების საკითხი. ოსმალეთის მთელი ისტორია გვიჩვენებს, რომ აღმოსავლეთის სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი სამი უწყებიდან [2] იქ განვითარებული იყო მხოლოდ ორი: საფინანსო ანუ საკუთარი ხალხის ძარცვისა და სამხედრო ანუ გარეშე ქვეყნების რბევის უწყება. ოსმალეთში სუსტად მოქმედებდა მესამე—საზოგადოებრივ სამუშაოთა უწყება.

კოჩი ბეიმ მოითხოვა მიწით შეწყალებული საშუალო ფეოდალების—სიფაჰიების—მდგომარეობის გაუმჯობესება. ეს უნდა მომხდარიყო მათი საკარგავების მოწესრიგების გზით. ამის შემდეგ, მისი აზრით, შესაძლებელი გახდებოდა ურწმუნოების წინააღმდეგ ლაშქრობის დაწყება. „ოღონდ,—წერდა კოჩი-ბეი,—დიდი და პატარა საკარგავები წინანდებურად წესრიგში იქნას მოყვანილი, ხოლო ჯამაგირზე მყოფ ჯარისკაცთა (რაოდენობა) შეძლებისდაგვარად შემცირდეს; (მაშინ) მაღალი (ალაჰის) ნებით წესრიგი აღსდგება სახელმწიფოში, უმაღლესი ხელისუფლება უწინდელ ბრწყინვალებას მოიპოვებს, ისლამის მახვილი ძლევამოსილი გახდება და სარწმუნოების მტრები დამორჩილებული იქნებიან“ [3].

აღებულ ხანაშიც აგრესიის მიმართულებად ოსმალეთში უწინდებურად დასახული იყო ამიერკავკასიის ქვეყნები. საინტერესოა, რომ კოჩი ბეი გრრიჯელი სულთნის წინაშე სვამდა სწორედ ამიერკავკასიისა და ერაყის კვლავ დაპყრობის საკითხს, რაზეც, მისი აზრით, დამოკიდებული იყო სულთნის ხაზინის მდგომარეობა. ამ ქვეყანაში სულთანს ჰქონდა დიდი ხასები, რომელთა დაკარგვამ გამოიწვია მისი შემოსავლის შემცირება. კოჩი ბეი შეაგონებდა მურად IV-ს: „მ ი ს ი უ დ ი დ ე ბ უ ლ ე ს ო ბ ი ს ხ ა ს ე ბ ი ს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ც კ ი ა ი რ დ ა ი რ ი ა; მ ი ნ დ ვ რ ე ბ ი დ ა ს ო ფ ლ ე ბ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს, გ ა ნ ჯ ი ს,

---

[1] Ricaut. L'état présent de L'Empire Ottoman, p. 404.
[2] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. XXI, გვ. 494.
[3] Смирнов. Кучи-бей.., გვ. 149.

ერევნის და ბაღდადის ფარგლებში, რომლებიც 484 იუქი ახჩის შემოსავალს იძლეოდნენ, მოექცნენ სარწმუნოების მტრის (შაჰის—ვ. ჩ.) ხელში"[1].

მურად IV საქმიანობა 1632 წლის გაზაფხულიდან გვაფიქრებინებს, რომ მან შეისმინა კოჩი ბეის რჩევა. სულთანი შეუდგა დიდი დაპყრობითი ომის მომზადებას. ამ საქმეში მას ბევრი მომხრე ჰყავდა. მურადი იზიარებდა ამიერკავკასიის დაპყრობის აბაზა-ფაშასეულ პროექტს, რომლის მიხედვით ოსმალეთს ირანის წინააღმდეგ (ამიერკავკასიის დასაპყრობად) უნდა გაელაშქრა ორი მიმართულებით: ჩრდილოეთის (დარუბანდ-შირვანი) და არზრუმის მხრიდან[2].

მურადს იმედი ჰქონდა, რომ შესძლებდა წესრიგის აღდგენას ჯარებში და სახელმწიფოში. 1632 წლის მაისში ის პირადად გავიდა ამბოხებულ ჯარში. მურადმა მოინდო ვეტერანი ჯარისკაცები, რომლებმაც ყურანზე დაიფიცეს, რომ ხელს აიღებდნენ ანარქიის დროს მიტაცებულ თანამდებობებზე, რომლებიც მათი შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა[3] (როდესაც გარეშე ქვეყნების ძარცვა წყდებოდა, სტამბოლში დარჩენილი ჯარისკაცები ითვისებდნენ სხვადასხვა შემოსავლიან თანამდებობებს). შედგენილი იქნა ოქმი, რომლის ხელმოწერის ცერემონიას ესწრებოდნენ სულთანი, დიდვეზირი, დანარჩენი ვეზირები, მუფთი და ჯარისკაცები. ეს უკანასკნელნი პირობას სდებდნენ, რომ დაიცავდნენ საზოგადოებრივ წესრიგს. ამის შემდეგ მურადი შეუდგა ჯარის წმენდას ურჩი ელემენტებისაგან. ის პირადად დადიოდა ქალაქის ქუჩებში და ჰფანტავდა ამბოხებულთა ბრბოებს. სულთანი ეყრდნობოდა ჯარის ერთ ნაწილს, რომელიც მას მიენდო და აგრეთვე ბოსტანჯიებს[4], რომლებიც მუდამ თან ახლდნენ. ყოველ ღამე ზღვაში ჰყრიდნენ დახოცილ მეამბოხეებს. როგორც ჰამერი ამბობს, თოკი და ხმალი დღედაღამ მუშაობდა ოსმალთა სახელმწიფოში.

მურადმა გამოსცა ბრძანება საზოგადოებრივი ადგილების (ყავახანები, ჩაიხანები) დახურვის შესახებ[5]. მთავრობას ეშინოდა იანიჩრებისა და მათთანაგამზრახთა ერთად შეკრებისა. ამავე მიზნით აიკრძალა თამბაქოს წევაც[6], ესეც, მთავრობის აზრით, ხელს უწყობდა ადამიანთა ერთად შეკრებას. წესრიგის აღდგენა მურადს დიდხანს გაუგრძელდა.

საგარეო ომისათვის ოსმალეთის სამზადისი დააჩქარა ცნობამ იმის შესა-

---

[1] Смирнов. Кучи-бей..., გვ. 142.

[2] Hammer. დასახ. ნაშრ., ტ. IX, გვ. 248—249.

[3] იქვე, გვ. 184—185.

[4] ბოსტანჯი (بوستانجى) ნიშნავს მებაღეს. ბოსტანჯიები ერქვა სულთნის სასახლისბაღის მცველებს. მაგრამ მათი მოვალეობა და უფლება უფრო ფართო სარბიელზე ვრცელდებოდა. ისინი შედგენდნენ დამოუკიდებელ სამხედრო ნაწილს, რომელსაც ევალებოდა შავი ზღვის სანაპიროს დაცვა სტამბოლიდან ვიდრე ვარნამდე. ისინი ასრულებდნენ აგრეთვე სულთნის სპეციალურ დავალებებს: რეგულარული ჯარის ძალადობით შევიწროებული სულთნები მიმართავდნენ ბოსტანჯიების ნაწილს და ცდილობდნენ მათ დაპირისპირებას იანიჩრების წინააღმდეგ.

[5] Hammer. t. IX, p. 208.

[6] იქვე, გვ. 209.

ხებ, რომ ყიზილბაშები აღმ. საქართველოში შევიდნენ და თეიმურაზი განდევნეს იქიდან. ეს ამბავი ნაიმას მოთხრობილი აქვს 1042 (1632 წლის 19 ივლისი—1633 წლის 8 ივლისი) წლის ამბებში: „ამ წელს,—წერს ნაიმა,—ირანის შაჰმა ლაშქარი გაგზავნა საქართველოში. თეიმურაზმა მას წინააღმდეგობა ვერ გაუწია და სხვა მხარეს გადიხვეწა. წითელთავიანთა ლაშქარმა მთელი საქართველო დაიკავა; მოსახლეობა დამორჩილდა. სტამბოლში ცნობა მოვიდა, რომ ამის შემდეგ (ყიზილბაშთა ლაშქარი) დაბრუნდა თავრიზისაკენ და ემზადება ვანზე სალაშქროდ“ [1].

საქართველოში ირანელების შეჭრამ დააჩქარა ოსმალეთის აგრესია ამიერკავკასიის მიმართულებით. ცხადი იყო, რომ მეორე აგრესორი, ირანი, სარგებლობდა ოსმალეთის სიძნელეებით. მიუხედავად იმისა, რომ სამზადისი დამთავრებული არ ჰქონდა, მურადმა 1633 წლის ოქტომბერში ლაშქარი სტამბოლიდან სკუტარში გადაიყვანა [2].

საქართველოს და ამიერკავკასიის წინააღმდეგ ამხედრებულ ოსმალეთის თავის სასარგებლოდ გამოყენებას აპირებდა თეიმურაზი. მან სულთანს გაუგზავნა ელჩი, დაუთ-ხანი [3], რომელიც სკუტარში გადმოსულ დიდვეზირთან მივიდა 1633 წ. ოქტომბერში [4].

ახლაც, 1633 წელს, ოსმალეთი ჩქარობდა მხოლოდ იმიტომ, რომ ირანი მას ეცილებოდა, და არა იმის გამო, რომ თეიმურაზი მისგან დახმარებას ითხოვდა. ამას ისიც მოწმობს, რომ ოსმალეთის ლაშქარი დაიძრა მანამ, ვიდრე თეიმურაზის ელჩი სტამბოლში ჩავიდოდა.

მაგრამ ეს ლაშქრობა მეტად ნაადრევი გამოდგა. მურადმა, რომელიც მცირე აზიაში იმყოფებოდა, ვალიდესაგან [5] ცნობა მიიღო, რომ მის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებოდა. მურადი სასწრაფოდ გადავიდა სტამბოლში და მოაკვლევინა მუფთი [6], რომელიც შეთქმულების მოთავე აღმოჩნდა. რაც შეეხება სკუტარში გადასულ დიდვეზირს, მან ლაშქარი ატარა მხოლოდ ალეპომდე და იქ დაიზამთრა [7].

---

[1] بوسالده شاه عجم كورجستان اوزرينه عسكر كوندروب واردقده طهمورث مقاومت ايدهميوب برطرفه چكلدى كتدى لشكر سرخ سر عموم اوزره كورجستانه مستولى اولوب خلقى اطاعت ايتديلر بعده دونوب تبريزده درنك ايدوب وان اوزرينه كلمك تدار كنده اولدوغى در دولته عرض اولندقده (ნაიმას ისტორია, ტ. III, გვ. 146). თეიმურაზი რუსეთის მეფისადმი გაგზავნილ წერილში წერს, რომ ირანელები საქართველოს შემოესივნენ ზამთარში („В те поры время было зимнее“. М. Полиевктов. Материалы..., გვ. 116). ნაიმას მიხედვით შემოსევა მომხდარა 1632 წლის 19 ივლისის შემდეგ, ვინაიდან 1042 წელი ამ დღეს დაიწყო. ამ ორი ცნობის შედარებით ჩანს, რომ ირანელების შემოსევა უნდა მომხდარიყო 1632 წლის მიწურულს ან 1633 წლის დასაწყისში, ე. ი. 1632—33 წლების ზამთარში.

[2] ნაიმას ისტორია, ტ. III, გვ. 174—175.

[3] М. Полиевктов. Материалы..., გვ. 116.

[4] ნაიმას ისტორია, ტ. III. გვ. 175.

[5] ასე ეწოდებოდა სულთნის დედას ოსმალეთში.

[6] ნაიმას ისტორია, ტ. III, გვ. 191—196.

[7] იქვე, გვ. 180—181.

1634 წლის 2 ივნისს (1043 წლის 5 ზილყიჯე) მიღებული იქნა მეტად სერიოზული შინაარსის ცნობა, რომელიც საქართველოს ეხებოდა. ეს იყო ქართლის მეფის, როსტომ-ხანის და დადიანის შეხვედრის ამბავი. ნაიმა მოგვითხრობს, რომ როსტომ-ხანმა (ხოსრო-მირზა) ცოლად შეირთო დადიანის ქალიშვილი[1]; რომ თეიმურაზი იმერეთიდანაც გადაიხვეწა, ხოლო ხოსრო-მირზა, დადიანისა და გურიელის დახმარებით, 30000 ყიზილბაშით აპირებს შავი ზღვის ნაპირზე გაჭრას, გონიოს და ტირებოლუს მიმართულებით[2].

ნაიმას ცნობიდან ირკვევა, რომ ქართლის მეფისა და სამეგრელოს მთავრის დამოყვრება ოსმალეთში მიაჩნდათ მის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ აქტად. ანგარიშგასაწევი იყო აგრეთვე ყაზახების გააქტიურება შავ ზღვაზე. აღნიშნული ფაქტები სტამბოლში ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ეჭვებს ბადებდა. მართალია, ირანის უახლოესი მიზანი ამ დროს იყო არა შავ ზღვაზე გაჭრა (თუმცა ასეთი განზრახვაც არ ჩანდა გამორიცხული), არამედ დადიანისათვის იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ დახმარების გაწევა[3], მაგრამ კაკას ხიდთან შემდგარი პაემანი ოსმალეთში გაიგეს შაჰის ჩარევად დას. საქართველოს („სულთნის სამფლობელოს") საქმეებში.

მაგრამ 1634 წლის მეორე ნახევარში ოსმალეთი იძულებული იყო (აღმ. ევროპის ამბებისა და ალეპოში ჯარების ამბოხების გამო) სანაპირო ფაშებისათვის მიენდო „არზრუმის მხარის დაცვა"[4]. აღმოსავლეთში დიდი ლაშქრობისათვის ოსმალეთმა მხოლოდ 1635 წ. მოიცალა.

1635 წლის დამდეგისათვის მურად IV-ს დამთავრებული ჰქონია საომარი სამზადისი. ოსმალეთის ჯარები სტამბოლიდან დაიძრნენ 1635 წლის 21 თებერვალს (1044 წ. 4 რამაზანი)[5]. ლაშქრობის მიზანი გარკვეული იყო: „(მურადი) პირადად გაუძღვა დიდ ლაშქარს, რათა ისევ დაეკავებინა კავკასია, აღმოსავლეთის ვილაიეთები და ერაყი, რომლებიც ირანის ხელში იყო გადასული"[6]. აალაც ოსმალეთის მიზანი იყო 1590 წლის ზავის აღდგენა.

აღმოსავლეთის ქვეყნების დასაპყრობად მიმავალი სულთანი და ლაშქარი საზეიმო ვითარებაში გააცილა სტამბოლის მთელმა მოსახლეობამ. მურადს ლაშქრობაში თან მიჰყავდა სახელმწიფოს მთელი დივანი[7]. ოსმალეთში სახელმწიფოს ორგანიზატორული როლი, განსაკუთრებით თავს იჩენდა საგარეო დაპყრობითი ომების მომზადებისა და ჩატარების საქმეში. ამ დროს იზრდებოდა სულთნის ავტორიტეტი საზოგადოებაში.

---

[1] ნაიმას ისტორია, ტ. III, გვ. 217. ნაიმა შეცდომით ასახელებს დადიანის დას მარიამს.

[2] იქვე.

[3] იხ. გრიგოლია. ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, ენიმკის მოამბე, ტ. XIII, 1942, გვ. 154.

[4] ნაიმას ისტორია, ტ. III, გვ. 217.

[5] იქვე, გვ. 237.

[6] „... İranlılar eline geçen Kafkasya ve Şark vilâyetlerinin ve Irakın istirdadına, büyük bir ordu başında bizzat yürüdü" (Tarih, III, İstanbul, 1932, გვ. 129).

[7] ნაიმას ისტორია, ტ. III, გვ. 237.

მურადმა მთელი ანატოლია გაიარა დაახლოებით ხუთ თვეში. ის მტკიცე ხელით სჯიდა ოდნავ წესრიგის დარღვევას ჯარისკაცების მხრივ. ჩვეულებისამებრ მას ყველა ქალაქში უხდებოდა გამდგარი მოხელეების ან ძუდამ დაუმორჩილებელი თურქმანული ტომების მეთაურთა სიკვდილით დასჯა [1].

1635 წლის ივლისის დასაწყისში ოსმალეთის მთელი ფეოდალური ლაშქარი და რეგულარული ჯარი არზრუმთან იყო. XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის შემდეგ საქართველოს საზღვრებთან აღარ ყოფილა ოსმალეთის ესოდენ მრავალრიცხოვანი და ორგანიზებული ლაშქარი.

აქ ყველა ჯარისკაცმა საჩუქარი მიიღო [2]. არზრუმიდან მურადი გაემართა ყარსისაკენ, სადაც მივიდა 1635 წლის 17/VII (1 საფარი—1045) [3]. ყარსთან მურადს შეუერთდა ჩილდირის ბეგლარბეგი საფარ-ფაშა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ერევნის ბრძოლაში [4]. აქვე ოსმალეთის სულთანს „მიერთვა გურიის ქვეყნების საჩუქრები და ხარაჯა“ [5].

ერევნისათვის ბრძოლა, რომელსაც მურადი პირადად ხელმძღვანელობდა [6], დაიწყო ივლისის მიწურულს. ერთი კვირის შემდეგ ქალაქის დამცველთა წინააღმდეგობა გატეხილი იქნა და 1635 წლის 8 აგვისტოს ერევანი ოსმალთ დანებდა [7]. ერევნის აღებამ და იქ შეძენილმა ნადავლმა დიდი ავტორიტეტი მოუპოვა მურადს. ის ლაშქარს მოაგონებდა მეჰმედ ფათიჰს, სელიმ იავუზსა და სულეიმან კანონის, რომლებიც ცნობილი იყვნენ, როგორც დიდი დამპყრობელი სულთნები.

მურადმა სათანადოდ გამოიყენა თავისი მდგომარეობა. მან სტამბოლს შეატყობინა ერევნის აღების ამბავი და საიდუმლოდ ბრძანა, რომ იქ...დაეხოცათ მისი ძმები [8]. სულთნები უფლისწულების დახოცვის უფლებას იყენებდნენ მაშინ, როდესაც მტკიცე მდგომარეობა ჰქონდათ.

ერევნის დაკავების შემდეგ მურადი ანისისაკენ გაემართა, აიღო ის და აზერბაიჯანში შევიდა. მთელი მხარე, სადაც ოსმალეთის ლაშქარმა გაიარა ნაცარტუტად იქცა. ამ ლაშქრობის დროს ოსმალო ფეოდალთა ბარბაროსობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ოსმალები თავრიზში სამი დღე გაჩერდნენ, დააქციეს მთელი ქალაქი და დიდი ალაფით უკან გაბრუნდნენ [9]. ოსმალეთის ლაშქარმა ისე დაარბია სომხეთი და აზერბაიჯანი, რომ იქ

---

[1] ნაიმას ისტორია, ტ. III, გვ. 237—252.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 253.

[4] იქვე, გვ. 255.

[5] იქვე, გვ. 253.

[6] თეიმურაზი რუსეთის მეფისადმი გაგზავნილ წერილში ამბობს, რომ 80 წელია, რაც სულთანს პირადად აღარ ულაშქრნია ყიზილბაშის წინააღმდეგ („...а тому уж больше 80 лет, что салтан на Кизилбаши не хаживал“, М. Полневктов, გვ. 109), მართლაც უკანასკნელად აღმოსავლეთში სულეიმან კანონიმ ილაშქრა 1554 წელს. 1555 წელს ირან-ოსმალეთს შორისზავი დაიდო. ამის შემდეგ 1635 წლამდე, ე. ი. 80 წლის განმავლობაში, სულთნებს ლაშქრობაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

[7] ნაიმას ისტორია, ტ. III, გვ. 260.

[8] იქვე, გვ. 283—284.

[9] ფეჩევის ისტორია, ტ. II, გვ. 439.

დიდხანს გაჩერება შეუძლებელი იყო. იმავე დროს ახლოვდებოდა ზამთარი, რაც კიდევ უფრო აძნელებდა აოხრებული ქვეყნის შენარჩუნებას. ოსმალები დიდი ნადავლით გავიდნენ აზერბაიჯანიდან და გაბრუნდნენ ერევნისაკენ.

ამ ლაშქრობის დროს მურადმა გადასწყვიტა სამცხის საკითხიც. ერევნის აღების შემდეგ (1635 წ. 8/VIII), ვიდრე თავრიზისკენ გაემართებოდა, მან ჯარის ერთი ნაწილი გამოჰყო ახალციხეზე სალაშქროდ. ამის შესახებ ფეჩევი წერს: „მას შემდეგ, რაც ერევნის ციხე მომარაგებული იქნა, ხოლო ახალციხისაკენ წასასვლელად დანიშნულ ლაშქარს მიეცა ყოველივე რაც საჭიროა, ბედნიერებამოსილმა (სულთანმა) სასწრაფოდ ინება თავრიზისაკენ გალაშქრება“ [1].

როგორც ვხედავთ, ახალციხისაკენ ლაშქრის გაგზავნა მოხდა თავრიზისაკენ გალაშქრებამდე [2].

ახალციხის დაპყრობა ეეალებოდა ვეზირ ქენან-ფაშას. ოსმალთა მიერ ახალციხის აღების შესახებ ცნობები მოეპოვებათ ფეჩევისაც და ნაიმასაც.

ნაიმას ცნობაში ნათქვამია: „ერევნის ლაშქრობიდან დაბრუნებისას ვეზირ ქენან-ფაშას მიეცა თოთხმეტი ჩორბაჯი (იანიჩართა ოფიცრებია—ვ. ჩ.), რამდენიმე ბეგლარბეგი და მოლაშქრეთაგან ერთი ბოლუქი. ერევანში სამი ოთხი დღის ყოფნის შემდეგ დაინიშნენ ახალციხის დასაპყრობად. ისინი გაემართნენ იქით და ოცდასამდღიანი გარემოცვის შემდეგ (ახალციხეში) მყოფ ყიზილბაშებს შენდობა აღუთქვეს და ციხე აიღეს. (ახალციხის) მბარეებში კიდევ ხუთი ექვსი პატარა ციხე დაიმორჩილეს, ლაშქარი ჩააყენეს და აზნაქიმში მის ფადიშაჰურ უდიდებულესობას შეხვდნენ“ [3].

საქართველოს, სომეთისა და აზერბაიჯანში ლაშქრობის შემდეგ მურადი დიარბექირისაკენ გაემართა, ხოლო იქიდან კი სტამბოლისაკენ. როდესაც სატასტოსკენ ბრუნდებოდა, სომხეთის ტერიტორიაზე, ქენან-ფაშასაგან მას მიუვიდა ცნობა ახალციხის დაპყრობის შესახებ.

---

[1] ფეჩევის ისტორია, ტ. II, გვ. 439.

[2] დოც. ს. ჯიქია, რომელმაც თარგმნა ფეჩევის ისტორიის ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ახალციხის აღებაზე, შენიშვნაში წერს: „ზემოთ მოთხრობილია ერევნის, თავრიზისა და ანის დაპყრობათა შესახებ, რომელიც 1044 წელს ხდება. ეს ცნობაც (ახალციხის აღების შესახებ—ვ. ჩ.) ამ თარიღს მოსდევს ჩვენი წელთაღრიცხვით — 1634 წ. (ენიმკის მოამბე, ტ. V—VI, 1940, გვ. 339) ფეჩევის ცნობიდან, როგორც ვნახეთ, ჩანს, რომ ეს ამბავი ანისა და თავრიზის აღებამდე მომხდარა. გარდა ამისა, ეს ამბები ხდება არა 1634, არამედ 1635 წლის შემოდგომაზე, ოქტომბრის თვეში. 1634 წელს მურადს არც ულაშქრნია აღმოსავლეთში. ის სტამბოლიდან გამოვიდა 1044 წლის 1 რამაზანს (1635 წლის 18/III)—ფეჩევის მიხედვით (იხ. ტ. II, გვ. 430), ნაიმას მიხედვით კი—1044 წლის 4 რამაზანს (1635 წ. 21/II) იხ. ნაიმა, III, გვ. 237.

[3] سفر رواندن عودت اولندقده وزير كنعان پاشايه اون درت چورباجى و برقاچ بكلربكى و صنوف عسكردن بر بلوك قوشيلوب رواندە اوچ درت كون اوتراقدنصكره آخسخه فتحنه مأمور اولمشيدى اول دخى واروب يكرمى اوچ كون محاصرەدن صكره ايچنده اولان قزلباشلره امان ويروب قلعەيى الديلر اطرافنده بش التى پاره خرده قلعەلر دخى تسخير اولندقدنصكره عسكر قويوب دونوب ازنكميده پادشاه خضرتلرينه يتشوب (ნაიმას ისტორია, ტ. III, გვ. 283).

* * *

ირან-ოსმალეთის ომმა, რომელიც ახალი ძალით განახლდა 1635 წელს, როგორც ვნახეთ, მოიცვა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ქურთისტანის ტერიტორია.

ამრიგად, ახლაც ირან-ოსმალეთის ომის ასპარეზს ძირითადად ამიერკავკასიის ქვეყნები წარმოადგენდნენ. ეს ომიც, ისევე როგორც ირან-ოსმალეთის წინა ომები, სპობდა და ანადგურებდა სამიწათმოქმედო მეურნეობას, ნაცარტუტად აქცევდა სოფლებსა და ქალაქებს, ფიზიკური მოსპობით ემუქრებოდა ამიერკავკასიის ხალხებს, რომლებიც მეტად მძიმე პირობებში კვლავინდებურად განაგრძობდნენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. მათთვის თანაბრად მიუღებელი იყო ირანიც და ოსმალეთიც. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ დროს ქართველებმა, თეიმურაზ მეფის მეთაურობით, სცადეს რუსეთთან კიდევ უფრო დაახლოება[1] და მისი დახმარებით მახლობელი აღმოსავლეთის აგრესიული სახელმწიფოების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.

ირან-ოსმალეთის ამ ომშიც ორივე აგრესორი: ირანი და ოსმალეთი ერთმანეთს უპირატესად ამიერკავკასიის ქვეყნებს ეცილებოდნენ. თვითეული მათგანი ცდილობდა სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს მტკიცედ დაპყრობას. მაგრამ წარმატებით ამის განხორციელებას დამპყრობლები ვერ ახერხებდნენ, რაც უპირველეს ყოვლისა, დამბდურთა მედგარი წინააღმდეგობით აიხსნება. ამიტომ თვითეული მათგანი ცდილობდა აქ ყველაფერი ბოესპო და გაენადგურებინა, მიწასთან გაესწორებინა სოფლები, დაექცია ციხეები და ქალაქები, აეყარა მოსახლეობა. ქვეყნების გაუკაცრიელების პოლიტიკას ოსმალეთი განსაკუთრებული მონდომებით ახორციელებდა 1635 წლის ლაშქრობის დროს.

ამ ველურ ღონისძიებას ჩვეულებრივ ორივე აგრესორი ბიმართავდა ხოლმე. ამ საშუალებების მიზანი იყო ერთის მხრივ ადგილობრივი ხალხების წინააღმდეგობის გატეხვა, ხოლო მეორეს მხრივ ის, რომ ერთიმეორესთვის მოესპოთ ამ ქვეყნებში მტკიცედ ფეხის მოკიდების შესაძლებლობა. განსაკუთრებით გამანადგურებელი იყო ის ღონისძიებანი, რომლებსაც ოსმალეთი მიმართავდა 1635 წელს. ამ ომის უშუალო შედეგი იყო ამიერკავკასიის ქვეყნების მწარმოებელი კლასის მკვეთრად შემცირება, ირანის და ოსმალეთის მონათა ბაზრების ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ტყვეებით გავსება, მეურნეობის შემდგომი დაქვეითება-დაცემა.

ირანი ვერ ურიგდებოდა ახალციხისა და ერევნის დაკარგვას. ერევნის აღებით ოსმალეთი მას გზას უკრიდა ამიერკავკასიის დანარჩენი ქვეყნებისაკენ, ხოლო ახალციხე (ამას კარგად ითვალისწინებდა ირანის ბრძანება) გზას უხსნიდა ოსმალეთს დანარჩენი ქართული საბეჟო-საბთავროებისაკენ, რომელთა დაპყრობა-დამორჩილებას, როგორც ვნახეთ, თვითონ ირანი დაჟინებით ცდილობდა.

---

[1] М. Полиевктов. Материалы, 33. 108—120

შაჰ-სეფი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა უკან დაებრუნებინა ოსმალთა მიერ ამიერკავკასიაში დაპყრობილი ქალაქები. შაჰმა შემოიყარა ირანის ლაშქარი და სცადა ერევნის აღება. იმავე დროს, ის ომში მონაწილეობას მოითხოვდა დამოკიდებული ქვეყნებისაგან, მათ შორის ქართლისაგანაც. მაგრამ ქართლის ვალი, როსტომი, ცოცხალ ძალას ვერ გაუგზავნიდა ირანს, რადგან ოსმალეთს ახალციხიდან შეეძლო შიდა ქართლში შემოჭრა და თბილისისათვის უშუალო საფრთხის შექმნა. როგორც ჩანს, როსტომმაც გაითვალისწინა ეს გარემოება, ამიტომ ყიზილბაშებს (ერევნის ალყისათვის) თბილისიდან გაუგზავნეს მხოლოდ ორი ზარბაზანი [1].

გარდა ამისა, შაჰ-სეფი ფიქრობდა სამცხის უკან დაბრუნებასაც. ამ საქმეში კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართლს, რომლის ლაშქარს ყველაზე ადვილად შეეძლო ახალციხის მიმართულებით გაჭრა.

1636 წლის გაზაფხულზე შაჰ-სეფიმ იერიში მიიტანა და აიღო ერევანი [2]. ხოლო როსტომ-ხანმა სამცხისაკენ გაილაშქრა [3]. მაგრამ ვერ შესძლო ახალციხის დაკავება. ეს იყო სამხედრო ძალით ახალციხის დაბრუნების უკანასკნელი ცდა. ამის შემდეგ ოსმალეთში სათანადო ღონისძიება იქნა მიღებული სამცხის შემოსამტკიცებლად. 1636 წლის ზაფხულში ოსმალებმა შეაკეთეს ახალციხის ციხე და შიგ ჩააყენეს დამატებითი ლაშქარი.

დასუსტებულ ირანს აღარ შეეძლო სამცხის უკან დაბრუნება, ხოლო ოსმალეთს — ერევნის კვლავ დაკავება და სამცხიდან შიდა ქართლში გაჭრა. ასეთ ვითარებაში შაჰმა სცადა დაკავშირებოდა ათაბეგების სახლის იმ წევრებს, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ ოსმალთა რენეგატი მოხელის, საფარ-ფაშას, პოლიტიკით და ბრძოლას განაგრძობდნენ დამპყრობელის წინააღმდეგ. სწორედ ამ დროს ირანის შაჰმა გადასწყვიტა თავის ვაჟზე დაექორწინებინა ათაბაგის ასული ელენე, რომელიც გაქცეული იყო სამცხიდან და თავს აფარებდა გურიაში მალაქია კათალიკოზთან [4]. ათაბაგის ოჯახის დამოყვრებას ირანის შაჰის კართან მხარს უჭერდა დადიანი, რომლის დახმარებით შაჰმა შესძლო ელენეს წაყვანა საქართველოდან და მისი დაქორწინება თავის ვაჟზე. მაგრამ ამ პოლიტიკურ ქორწინებას არ მოჰყოლია სასურველი შედეგები. სამცხე ისევ ოსმალთა მფლობელობაში დარჩა.

1638 წლის გაზაფხულზე მურადი ბაღდადისაკენ გაემართა. მან იცოდა, რომ ირანი ისარგებლებდა ოსმალეთის ლაშქრის ერაყში წასვლით და შეეცდებოდა სამცხის დაკავებას. ამიტომ სულთანმა დროზე დაიჭირა თადარიგი, რათა მომზადებული შეხვედროდა შაჰის შესაძლო შეტევას ახალციხისაკენ. მან ერაყს სალაშქროდ არ წაიყვანა საქართველოსა და სომხეთის სანაპირო საფაშოების ფეოდალური ლაშქარი. პირიქით, მურადმა გააძლიერა ისინი იმით, რომ აქ დასტოვა ყირიმის სახანოს ლაშქრის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ამ დროს გადმოიყვანეს ანატოლიაში; ვეზირი ქენან-ფაშა,

---

[1] ნაიმას ისტორია, ტ. III, გვ. 280.
[2] ი ბ ი ვ ე, გვ. 282—283.
[3] გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 37.
[4] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 161—162.

რომელმაც სამცხე დაიკავა 1635 წელს, არზრუმის ბეგლარბეგად დაინიშნა; მას, „ახალციხის მმართველ“ საფარ-ფაშასთან ერთად, ევალებოდა „მტრის ქვეყნების“[1] განუწყვეტელი რბევა.

ოსმალო ფაშებმა შეასრულეს მათზე დაკისრებული ამოცანა. 1638 წლის ზაფხულში ისინი შეიჭრნენ სომხეთში, სადაც დაამარცხეს ერევნის ყიზილბაშში გამგებელი ქელბ ალი-ხანი. ყიზილბაშთა მოკრილი თავები და ტყვეები ფაშებმა გაუგზავნეს მურადს,[2] რომელიც ბაღდადს უახლოვდებოდა.

ამრიგად, ამიერკავკასიის ქვეყნების რბევა, რომელიც 1635 წელს ახალი ძალით დაიწყო, გრძელდებოდა 1638 წელსაც. ოსმალეთი ასეთსავე მარბიელ ლაშქარს უსევდა ქურთისტანს. ამ ხანებში ოსმალებმა დაარბიეს ქ. შეკრიზორი[3]. ეს იყო ზემოთ დახასიათებული პოლიტიკის გატარება ცხოვრებაში, რომლის მიზანი იყო ქვეყნების გაუკაცრიელება, რათა მოპირდაპირე მხარეს (ამ შემთხვევაში ირანს) იქ ფეხი ვერ მოეკიდებინა.

1638 წლის 13 ნოემბერს (1048 წლის 8 რეჯები) ოსმალეთის ლაშქარი ბაღდადს მიადგა. მთელი მანძილი—სტამბოლიდან ვიდრე ბაღდადამდე მან გაიარა 197 დღეში, ისე რომ დაიბანაკა 66-ჯერ. ახლა ირან-ოსმალეთის ომი გაჩაღდა მთელ სივრცეზე—კავკასიიდან ბაღდადამდე.

ბაღდადისათვის ბრძოლა მეტად სასტიკ ხასიათს ატარებდა. ეს იყო ოსმალეთისა და სეფიანთა ირანის უკანასკნელი დიდი შეტაკება. საუკუნოვანი ომებით სისხლისაგან დაცლილმა ორმა მოძალადემ უკანასკნელად ბაღდადის კედლებზე გამოსცადა დასუსტებული ძალები. ბრძოლაში უშუალოდ (რიგითი ჯარისკაცის ტანსაცმელში) მონაწილეობდა მურადი, რომელიც თავის წინაპრების წაბაძვით ფიქრობდა, რომ ოსმალეთს დაუბრუნებდა ოდინდელ „ბრწყინვალე ხანას“. დიდი ბრძოლების შემდეგ, რომელთა მსვლელობაში მოკლული იქნა ოსმალეთის დიდვეზირი, ბაღდადი აღებული იქნა (1638 წლის დეკემბერი)[4].

ამის შემდეგ მურადი სტამბოლისაკენ გაბრუნდა, ხოლო ახალ დიდვეზირს, მუსტაფა-ფაშას, დაავალა დაეკავებინა ის ტერიტორიაც, რომელიც ოსმალეთმა ირანს დაუთმო 1619 წლის ზავით.

1619 წელს, როგორც ვნახეთ, ოსმალეთმა ირანს გადასცა დერნეს და დერთენგის სანჯაყები (ბაღდადის მხარეში) იმისათვის, რომ ირანს დაეთმო სამცხე. ახლა, როცა სამცხე დაკავებული იყო, ოსმალეთი ფიქრობდა სხვა მხარეების უკან დაბრუნებასაც. როგორც ვხედავთ, ოსმალეთი 1619 წელს ისევე „სთმობდა“ დერნესა და დერთენგის სანჯაყებს, როგორც ირანი—სამცხეს.

ირან-ოსმალეთის ასწლოვანი ომების შედეგი იყო მეზობელი ქვეყნების (ომების ასპარეზის), პირველ რიგში ამიერკავკასიის, მიწისმოქმედი მეურნეობის განადგურება. რაც დრო გადიოდა, დამპყრობელთა მიერ განადგურებუ-

---

[1] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 362.
[2] ი ქ ვ ე.
[3] ი ქ ვ ე.
[4] ი ქ ვ ე, გვ. 371.

ლი ქვეყნები სულ უფრო ნაკლებ შემოსავალს იძლეოდნენ, ხოლო ზოგიერთი მათგანის გაპარტახებამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ თვითონ დამპყრობლებიც უარს ამბობდნენ იქ გაჩერებაზე. თანამედროვე იტალიელი დამკვირვებლის ქვემოთ მოტანილი ცნობიდან ჩანს, რომ ოსმალო ფეოდალები უარს ამბობდნენ მიეღოთ ირანის საზღვრებთან მდებარე მიწები, რადგან ისინი სავსებით გამოუსადეგარი იყვნენ მეურნეობისათვის. იტალიელი დამკვირვებელი შემდეგს გვაუწყებს: „შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ სპარსეთის საზღვრები სულთნისათვის არის ის, რაც ფლანდრია—ესპანეთის მეფისათვის, ხოლო კრეტა—ვენეციელებისათვის. იქ დიდია ხარჯები, შემოსავალი კი—მცირე. ამ პირობებში თურქებს დაემართათ ის, რაც არ შემთხვევიათ სხვა დაპყრობითი [ომის] დროს. შეუძლებელი აღმოჩნდა [მიწაზე] თიმარის მფლობელებისა და ვასალების დამკვიდრება, რომლებსაც ქვეყნის დასაცავად უნდა გამოეყვანათ ჯარის ნაწილები და შეეგროვებინათ ლაშქარი სულთნის არმიისათვის. ქვეყანა გაუკაცრიელდა, ადამიანთა უდიდესი ნაწილი ტყეებში გაიქცა, ხოლო დანარჩენმა [ნაწილმა] თავი შეაფარა სპარსეთის მეფის ქალაქებს. თურქმა მსედრებმა არ ინდომეს მიეღოთ თიმარები, რომლებიც მათ ვერ მოუტანდა სარგებლობას. ისინი იქ ვერ იშოვნიდნენ პროდუქტს, რათა გაეზარდათ იმდენი ცხენი, რომ მათგან არმიის ცხენოსანი ჯარის რიცხვის გასადიდებლად მიეწოდებინათ განსაზღვრული რაოდენობა, რაც დაწესებული იყო ყველა ახალი თიმარის მფლობელისათვის. დაპყრობილი ქვეყნები არ იძლეოდნენ არავითარ გადასახადებს; ამიტომ, მურადი იძულებული იყო თავისი ხაზინიდან ეძლია ჯამაგირი მრავალრიცხოვანი გარნიზონებისათვის, რომელთა შენახვა საჭირო იყო დაპყრობილ ქვეყანაში, ძლიერი და საშიში სარწმუნოების მტრის საზღვრებზე“ [1].

1635 წელს გაჩაღებულმა ომმა ოსმალო ფეოდალებს ვერ მოუტანა დიდი სარგებლობა. მათ ვერ დაიპყრეს (გარდა სამცხისა) ამიერკავკასიის ქვეყნები, რომელთა ძარცვას, მათი აზრით, უნდა გამოესწორებინა ოსმალეთის გაბატონებული კლასის ეკონომიური მდგომარეობა. ამ ომმა, შენიშნავს ლავალე, მურადს მოუპოვა დიდი სახელი, სარგებლობა კი უმნიშვნელო [2]. ხაზინის მდგომარეობა არც ამ ომის შემდეგ გამოსწორებულა. სულთანი იძულებული იყო რეგულარული ჯარი ჩაეყენებინა სანაპირო ადგილებში, სადაც არ ჩერდებოდნენ ოსმალო ფეოდალები, რომელთა არსებობა დამოკიდებული იყო დაპყრობილი ქვეყნის უშუალო მწარმოებელთა ექსპლოატაციაზე. ფეოდალების (სიფაჰიების) მაგიერ ჩაყენებული რეგულარული ჯარის გარნიზონები კი, როგორც დამოწმებულ ცნობაში ვნახეთ, სახელმწიფო ხაზინას უნდა შეენახა. მაშასადამე, ამ ომმა, რომელზეც მურად IV დიდ იმედებს ამყარებდა, ვერ გამოიყვანა ოსმალეთის გაბატონებული კლასი ჩიხიდან და ვერ აანაზღაურა გაწეული ხარჯები. პირიქით, ომმა კიდევ უფრო გაზარდა ხაზინის გასავალი. ოსმალეთის გაბატონებული კლასი ისევ თავისი ქვეყნის განადგურებულ სოფლის მეურნეობაზე და ადრე დაპყრობილ ქვეყნებზე რჩე-

---

[1] Lavallée. Histoire de la Turquie, I, livre III, Leipzig 1859, გვ. 65.

[2] იქვე.

ბოდა დამოკიდებული. ოსმალეთის სამეედრო-ლენური სისტემის კრიზისი ამის შემდეგ კიდევ უფრო ღრმავდება. ოსმალეთი საბოლოოდ დაადგა დაცემა-დაქვეითების გზას.

ომმა მძიმე მდგომარეობა შეუქმნა აგრეთვე სეფიანთა სახელმწიფოს, რომლის დაქვეითების ნიშნებმა თავი იჩინა ჯერ კიდევ შაჰ-აბას I-ის სიცოცხლეში. შაჰ-სეფი, ისევე როგორც მურად IV, მზად იყო ზავი დაედო. მეომარ მხარეთა მოლაპარაკების საფუძველი გახდა ის, რომ ოსმალეთი უარს ამბობდა ერევანზე, ხოლო ირანი სამცხესა და ბაღდადზე. ეს პირობა ახლა საესებით შეესაბამებოდა ფაქტიურ მდგომარეობას.

საზავო მოლაპარაკების დროს, რომელიც ლურისტანში წარმოებდა, შაჰის წარმომადგენელმა მეჰმედ-ყულიმ მოითხოვა, რომ ყარსი ან ირანს გადასცემოდა ან გაუკაცრიელებულიყო, როგორც ამას ითვალისწინებდა „სულთან სულეიმანის დროს“ დაბებული ზავი[1] (ე. ი. 1555 წლის ზავი), მაგრამ ოსმალეთმა უარყო ირანის შაჰის პრეტენზია და არ დასთმო ყარსი, რომელიც თავის ადმინისტრაციულ ერთეულად ჰქონდა გადაქცეული. ამის შემდეგ შაჰმა დიდვეზირ მუსტაფა-ფაშასთან მოლაპარაკება დაავალა ახალ ელჩს, სარუ-ხანს.

ოსმალეთის დიდვეზირი და შაჰის ელჩი ერთმანეთს შეხვდნენ 1639 წლის 14 მაისს (1049 — 11 მუჰარემი)[2]. მათი მოლაპარაკება, დამთავრდა 17 მაისს (14 მუჰარემი). ამ დღეს, ნაშუადღევის ოთხ საათზე, დათქმული იქნა ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების ძირითადი პირობები (اركان صلح)[3].

მოლაპარაკება მიმდინარეობდა სოფ. ზოჰაბში, კასრ-ი შირინის მახლობლად. ამიტომ ირან-ოსმალეთის 1639 წლის საზავო ხელშეკრულებას უწოდებენ ზოჰაბის ზავს[4]. ლიტერატურაში მას ეწოდება კასრ-ი შირინის საზავო ხელშეკრულებაც[5]. მ. ივანოვი ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავის დადების ადგილად რატომღაც ასახელებს კონსტანტინოპოლს[6]. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პუნქტზე არ მიუთითებს არც ერთი დოკუმენტური და ნარატიული წყარო.

1639 წლის ზავით დასრულდა ომები, რომლებსაც ირანი და ოსმალეთი აწარმოებდნენ XVI—XVII საუკუნეებში. ამ ომების დროს ორივე სახელმწიფო მიზნად ისახავდა მეზობელი ქვეყნების დაპყრობას. ზოჰაბის ზავი შეეხო ყველა ქვეყანას, რომლებიც ამ ომების ასპარეზს წარმოადგენდნენ.

1639 წლის ზავმა საზღვარი გაავლო იმ ქვეყნებზე, რომლებიც ამ დროს დაპყრობილი იყო ირანისა და ოსმალეთის მიერ. ხოლო ის ქვეყნები, რომლებიც ისევ დასაპყრობი რჩებოდა, გავლენის სფეროებად განაწილდა.

---

[1] იქვე, გვ. 395.

[2] იქვე, გვ. 429.

[3] იქვე, გვ. 430.

[4] В. Минорский. Древности Маку, Восточный сборник, II, Издание общества Русских ориенталистов, 1916. გვ. 61.

[5] Tarih, c. III, İstanbul, 116—119, 1933, შდრ. А. Ф. Миллер. Краткая история Турции, გვ. 268.

[6] М. С Иванов. Очерк истории Ирана, გვ. 76.

დაპყრობილ ქვეყნებში ირან-ოსმალეთის საზღვარს შემდეგ პუნქტებზე უნდა გაევლო: „ბაღდადისა და აზერბაიჯანის ქვეყნებში,—ნათქვამია ხელშეკრულებაში,—ჯესანედ და ბადრად წოდებული ადგილები განეკუთვნის ჩვენს უავგუსტოეს მხარეს (იგულისხმება სულთანი—ვ. ჩ.); რაც შეეხება მიდელჯის დაბასა და დერთენგს, რომელთა საზღვრად წესდება სერმილად სახელდებული ადგილის მიჯნა, [ისინი] მათ შორის მდებარე ველებითურთ ჩვენი იყოს; მასთან მდებარე მთა მეორე მხარეს დარჩეს, ხოლო დერნე და დერთენგი საზღვრად დაწესდეს და ჩვენ მხარეს მიეკუთვნოს. ჯაკის ტომებიდან: ზიად-დინის და ჰარუნის ტომები ჩვენი პატიოსანი მხარისა იყოს; ბირეს და ზარდულისა—მეორე მხარეს განეკუთვნოს; მთაზე მდებარე ზინჯირის ციხე მოთხრილი იქნას. ხსენებული ციხის დასავლეთით მდებარე სოფლები ჩვენს უდიდებულესობას დარჩეს, აღმოსაელეთით მდებარე სოფლები კი—მეორე მხარეს. შეჰრიზორის მახლობლად ზალიმის ციხის ზემოთ მდებარე მთის ის მიდამოები, რომლებიც ამ ციხეს გადმოჰყურებენ, დაკავებული იქნას ჩვენი უდიდებულესობის მიერ. ორმანის ციხე მისთვის დაქვემდებარებული სოფლებით მეორე მხარეს დარჩეს. შეჰრიზორისათვის ჯიღანი [და] ქედუქი მიჯნად დაწესდეს, ხოლო კიზილჯა მისთვის დაქვემდებარებული [ადგილებით] ჩვენ უავგუსტოეს მხარეზე იქნას მიწერილი. მეჰრიბანი მისთვის დაქვემდებარებული (ადგილებით) მეორე მხარეს დარჩეს“ [1].

ხელშეკრულებიდან მოტანილი ადგილი ეხება ირან-ოსმალეთს შორის იმ მიწების დანაწილებას, რომლებიც მდებარეობს „ბაღდადისა და აზერბაიჯანის მხარეებში“. აღსანიშნავია, რომ ზოჰაბის ზავით, როგორც მოტანილი ადგილიდან ვნახეთ, ოსმალეთმა დაიბრუნა დერნე და დერთენგი, რომლებსაც ირანი ფლობდა 1619 წლიდან.

მაგრამ 1639 წლის ხელშეკრულება მხოლოდ ბაღდადისა და აზერბაიჯანის ქვეყნების დანაწილებას როდი ითვალისწინებდა. მასში გადაწყვეტილი იყო ოსმალეთის მიერ უფრო ადრე დაპყრობილი ქვეყნების საკითხიც. ეს აშკარაა ხელშეკრულების შემდეგი ადგილიდან: „ახალციხის, ყარსის, ვანის, შეჰრიზორის, ბასრას და სხვა საზღვრებისშიგნით არსებული ციხეები, მხარეები, სანახები, მიწები, მინდვრები, უდაბნოები, გორაკები და მთები შეუვალი და დაულაშქრავი იყოს მეორე მხრიდან“ [2].

ამრიგად, ირანს ხელი უნდა აეღო ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ქვეყნებზე. ზოჰაბის ზავით ოსმალეთი ისაკუთრებდა მთელ დაპყრობილ ტერიტორიას სამცხიდან ვიდრე სპარსეთის ყურემდე. ამასვე ადასტურებს ნაიმას ისტორიაში დაცული ხელშეკრულების ვარიანტის სათანადო ადგილი, სადაც ნათქვამია: „შაჰის მხრიდან აბსოლუტურად არ უნდა იქნას ხელყოფილი და დალაშქრული ახალციხის, ყარსის, ვანის,

---

[1] مجموعة معاهدات ‘استانبول’ ج ٢، ص ٣١٠

[2] იქვე. გვ. 311.

შეჰრიზორის, ბაღდადის, ბასრას და სხვა (საზღვრების) შიგნით არსებული ციხეები, მხარეები, სანახები, მიწები, მთები და გორაკები“ [1].

ირანელი ისტორიკოსი, ჰექმათი, რომელიც სარგებლობს ხელშეკრულების სპარსული ტექსტით, წერს: „ამ ხელშეკრულების მიხედვით ოსმალეთს დარჩა შემდეგი ქალაქები (აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული ადგილები): ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ: „ახალციხე, ყარსი, ვანი, შეჰრიზორი, ბაღდადი და ბასრა“ [2].

როგორც ვხედავთ, 1639 წლის ხელშეკრულებით გაფორმებულია ირან-ოსმალეთის აგრესიის შედეგები საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ქურთისტანისა და ერაყის მიმართ.

ახლა, როდესაც ჩვენთვის ცნობილია ირან-ოსმალეთის აგრესიის ნამდვილი შედეგები, რაც ასახულია 1639 წლის ზავში, შეუძლებელია გავიზიაროთ ხელშეკრულების ის ანალიზი, რომელსაც ვხედებით საბჭოურ ისტორიულ ლიტერატურაში.

ა. მილერის მიხედვით 1639 წლის ზავი ესაა „Каср-и Ширинский договор между Турцией и Ираном об определении границ в районе Азербайджана и Багдада (Багдад и Басра остались за Турцией).“ [3] მილერის მიხედვით ოსმალეთს მხოლოდ ბაღდადი და ბასრა დარჩა. ავტორისათვის, როგორც ჩანს, უცნობია 1639 წლის ხელშეკრულების ის პუნქტები, რომელთა მიხედვით ირანმა და ოსმალეთმა ერთმანეთში დაინაწილეს ამიერკავკასიის ქვეყნები და ქურთისტანი.

მ. ივანოვი უფრო ვრცლად გადმოსცემს ხელშეკრულების შინაარსს, მაგრამ ვერც ის იძლევა ამ შეთანხმების დამაკმაყოფილებელ ანალიზს. ავტორი წერს: „По Константинопольскому мирному договору, подписанному в 1639 г., Ереван и Азербайджан закреплялись Ираном, но Арабский Ирак с Багдадом так и остались в составе Турецкой империи. Таким образом, в 1639 г. шахский Иран и султанская Турция поделили между собой Армению. Иран захватил северо-восточную (так называемую восточную) Армению, а Турция — юго-западную часть её, обычно называемую Западной Арменией. Азербайджан также был захвачен Ираном“ [4].

---

[1] اخسخه و قارص و وان و شهرزور و بغداد و بصره‌نك سائرلری داخلنده اولان قلاع و بقاع و نواحی و اراضی و جبال و تلاله شاه جانبندن قطعا دخل و تعرض اولنمیه (ნაიმას ისტორია, ტ. III, გვ. 430.).

[2] „Aux termes de ce traité l'Empire Ottoman est en possession des villes suivantes (ainsi que de leur dependances): du Nord au Sud: „Akhsindja, Quars, Van, Chahrizeur, Bagdad et Bassora“ (Mahammad – Ali Hekmat. Essai sur l'histoire des relations politiques irano—ottomanes de 1722 à 1747. Paris, 1937).

[3] А. Ф. Миллер. Краткая история Турции, გვ. 268.

[4] М. С. Иванов. Очерк истории Ирана, გვ. 76.

ავტორის მიხედვით ირანმა და ოსმალეთმა გაინაწილეს მხოლოდ ერაყი, სომხეთი და აზერბაიჯანი.

ხელშეკრულების ასეთსავე არადამაკმაყოფილებელ კვალიფიკაციას ვხვდებით საზღვარგარეთული აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი ისტორიის სახელმძღვანელოში, რომელშიც ნათქვამია შემდეგი: „На западе длительные персидско-турецкие войны окончились миром 1639 г., оставившим за Персией Ереван и Азербайджан, а за султанской Турцией—Западную Армению, Багдад, Басру и Ирак“ [1].

აქაც არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ოსმალეთმა 1639 წელს დიპლომატიური გზით გააფორმა მთელი სამცხე-საათაბაგოს მიტაცება.

ეს საკითხი (სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა ოსმალეთის მიერ) უყურადღებოდ აქვს დატოვებული აგრეთვე ი. პეტრუშევსკის, რომელიც ასე გადმოსცემს 1639 წლის ხელშეკრულების შინაარსს: „По договору 1639 г. были вновь подтверждены границы, установленные серавским договором 1612 г.“ [2].

პეტრუშევსკის აზრით, 1639 წლის ზავმა ძალაში დასტოვა ის საზღვრები, რომლებიც დადგენილი იყო 1612 (=1555) წელს. გამოდის, რომ 1639 წლის ზავში ასახული არ ყოფილა საქართველოს ტერიტორიის დაპყრობა ოსმალეთის მიერ. ეს კი, როგორც ხელშეკრულებიდან ვიცით, სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს.

ზემოთ აღნიშნული ავტორები, როგორცა ჩანს, არ იცნობენ ხელშეკრულების ტექსტს და არც ნაიმას ისტორიაში დაცულ მის ვარიანტს. ამიტომ ისინი იძლევიან ამ აგრესიული ხელშეკრულების ისეთ კვალიფიკაციას, რაც მეტად არასრულად ხსნის მის შინაარსს. ყველა ავტორისათვის საერთო ის არის, რომ ისინი სრულებით არ იცნობენ ხელშეკრულების იმ პუნქტს, რომელიც ეხებოდა საქართველოს. მით უმეტეს, რომ „საქართველოს საკითხი“ ამ ხელშეკრულებაში არის მთავარი საკითხი. ეს არის ირან-ოსმალეთის პირველი საზავო ხელშეკრულება, რომელშიც ასახულია ოსმალეთის აგრესიის შედეგი საქართველოს მიმართ—მის მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა.

1639 წლის ზავი სწორედ სამცხე-საათაბაგოს შესახები პუნქტით გაჯსხვავდება 1555 წლის ზავისაგან, რომელიც შუაზე, გავლენის სფეროებად ჰყოფდა მთელ საქართველოს და ცალკე სამცხე-საათაბაგოსაც. 1555—1639 წლებში ოსმალეთმა შესძლო მთელი სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა. ხოლო ირანმა 1639 წლის ზავით ხელი აიღო საქართველოს ამ სამთავროზე, რომელსაც ის თავის „ტრადიციულ“ სამფლობელოდ სთვლიდა.

საინტერესოა, რომ XVIII საუკუნის ქართველ ისტორიკოსს ვახუშტი ბატონიშვილს სწორად აქვს გაგებული ირან-ოსმალეთის 1639 წლის საზავო ხელშეკრულების მნიშვნელობა საქართველოსათვის. ისტორიკოსი ამბობს: „ხოლო მოვიდა ხონთქარი მურად და აღიღო ერევანი ქს. ჩქლვ, ქრ. ტკდ, უკუნ

---

[1] Новая история стран зарубежного Востока, ტ. I, МГУ, 1952, გვ. 78.

[2] И. П. Петрушевский. Азербайджан в XVI—XVII веках, Сборник..., გვ. 279.

იქცა და წარვიდა: ნებიდგომად ზავ-ჰყვეს მურად ხონთქარმან და შაჰ-სეფიმ დაშთა ხონთქარსა იმერეთი, საათაბაგო და ქურთისტანის ნაცევარი. ხოლო ყეენს დაშთა ერევანი, ქართლი, კახეთი და ქურთისტანის ნახევარი" [1].

ცხადია, რომ ვახუშტი ლაპარაკობს 1639 წლის ზავის შესახებ. მისი სიტყვით სულთანმა და შაჰმა „ზავ-ჰყვეს" მურადის მიერ ერევნის აღების შემდეგ, ე. ი. 1635 წლის შემდეგ. ავტორი ეხება ირან-ოსმალეთის მიერ დანაწილებულ ქვეყნებს და აღნიშნავს, რომ იმერეთი და საათაბაგო ხონთქარს ერგოო, რაც სინამდვილეს შეეფერება. აღსანიშნავია, რომ ის, ქართული ქვეყნების გარდა, იხსენიებს სხვა ქვეყნებსაც, რომლებიც აგრეთვე ოსმალეთმა და ირანმა გაიყვეს. ვახუშტი სწორად შენიშნავს, რომ „ყეენს დაშთა ერევანი", რომ შუაზე იქნა გაყოფილი ქურთისტანი. მართლაც, როგორც ვნახეთ, ოსმალეთმა და ირანმა დაინაწილეს ქურთისტანი. მათ საზღვარს (ხელშეკრულების ტექსტის მიხედვით) უნდა გაევლო ქ. შეჰრიზორის დასავლეთით.

ვახუშტი ბაგრატიონს ზედმიწევნით აქვს გაგებული და შეფასებული ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავის საერთო შედეგები მათი მეზობელი ქვეყნებისათვის [2].

* * *

1639 წლის ზავში აისახა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ოსმალო და ყიზილბაში დამპყრობლების ასწლოვანი აგრესიის შედეგები. ოსმალეთმა და ირანმა მხოლოდ ნაწილობრივ განახორციელეს საქართველოს დაპყრობა-დამორჩილების ის განზრახვა, რასაც გულისხმობდა ამასიის 1555 წლის საზავო ხელშეკრულება. ამ პერიოდში ოსმალეთმა შეძლო ფეოდალური საქართველოს ერთი პოლიტიკური ერთეულის, სამცხე-საათაბაგოს, დაპყრობა-ინკორპორაცია. ეს ფაქტი გაფორმებული იქნა 1639 წლის ზავით, რომლის მიხედვით ოსმალეთმა საბოლოოდ ააღებინა ხელი ირანს საქართველოს ამ ნაწილზე. სამცხე-საათაბაგო ოსმალეთმა საბოლოოდ მოგლიჯა საქართველოს და XVII საუკუნის მეორე მეოთხედში ის აქცია თავის ადმინისტრაციულ ერთეულად. ამიერიდან დამპყრობელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ოსმალურ ყაიდაზე ორგანიზებულ ქართულ ქვეყანას. ახალციხის საფაშო იქცა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკის ინსტრუმენტად.

---

[1] ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს ცხოვრება, ჰიპინაძის მეორე გამოცემა, გვ. 72.

[2] პროფ. ვ. მინორსკიმ აღმოსავლური და ქართული წყაროების მიხედვით შეისწავლა სხვადასხვა საკითხები ირან-საქართველოს და ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. კერძოდ, 1639 წლის ზავზე მის სწორ დაკვირვებას მოწმობს ის, რომ 1639 წლის ზავის შესასწავლად ერთ-ერთ წყაროდ ასახელებს ვახუშტის ისტორიის ზემოთ მოტანილ ადგილს (იხ. Enzyk lopaedie des Islam. Band IV, Leipzig, 1934, გვ. 822). მინორსკი ვახუშტის ისტორიას იცნობს ბროსესეული ფრანგული თარგმანით (Brosset. Histoire de la Géorgie, II, partie, გვ. 48.). ვახუშტის გარდა, 1639 წლის ზავის მეორე წყაროდ მინორსკი ასახელებს ნაიმას ისტორიას. იგი ირაფერს ამბობს მხოლოდ ხელშეკრულების ტექსტის თურქული და სპარსული პუბლიკაციების შესახებ.

ოსმალეთი მთელ საქართველოს უპირებდა „გურჯისტანის“ ვილაიეთად გადაქცევას. ირანი კი მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ საქართველოს ინკორპორაციას, მის გადაქცევას მაჰმადიანურ სახანოდ. მაგრამ ეს მიზნები განუხორციელებელი დარჩა ორივე აგრესორს. ოსმალეთმა და ირანმა ვერ შესძლეს საქართველოს მთლიანად დაპყრობა.

საქართველოს სამეფო-სამთავროები ირან-ოსმალეთის 1639 წ. ხელშეკრულებით კვლავ გავლენის სფეროებად იქნენ განაწილებული.

ირან-ოსმალეთის 1639 წ. საზავო ხელშეკრულება აკანონებდა საქართველოს პოლიტიკურ დაშლილობას. ეს გარეშე მტრებს უადვილებდა ქართველი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლას. ირანი და ოსმალეთი დას. და აღმ. საქართველოს თავიანთ სამფლობელოებად სთვლიდნენ და ხელს უშლიდნენ ლიხთიმერეთისა და ლიხთამერეთის მეფე-მთავართა დაახლოებას. დას. და აღმ. საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობას ირანი და ოსმალეთი უყურებდნენ როგორც მოპირდაპირე მხარის ყმების ჩარევას თავიანთი სამფლობელოს საშინაო საქმეებში და ამას 1639 წლის ზავის დარღვევად სთვლიდნენ. ამას მოწმობს შემდეგი ფაქტი. XVII ს-ის 60-ან წლებში ქართლის მეფემ, ვახტანგ V, იმერეთის ფეოდალთა ერთი ჯგუფის დახმარებით იმერეთის ტახტზე აიყვანა თავისი შვილი არჩილი. სულთანმა ვახტანგ V-ის მოქმედება შეაფასა ირანის აგრესიად თავის სამფლობელოს მიმართ. მან იმერეთში სალაშქროდ გაგზავნა ახალციხის, ყარსისა და არზრუმის ფაშები[1], რომლებსაც იქ სულთნის „უფლება“ უნდა აღედგინათ. ამას გარდა ოსმალეთის მთავრობამ ელჩი მიავლინა ისფაჰანს და, ზავის დარღვევის გამო, პროტესტი განუცხადა ირანის შაჰს. ამ უკანასკნელმა „...ბრძანა, რომ შაჰნავაზ-ხანმა (ვახტანგ V—ვ. ჩ.) ხელი აიღოს ხსენებულ „ოლქზე“ და არჩილ-ხანი იმ ხალხთან ერთად, რომელიც იქ (იმერეთში—ვ. ჩ.) ჰყავს დატოვებული, უკან გამოიწვიოს, და რადგანაც ის ქვეყანა ოსმალეთის დიდებული ხელმწიფის ხელქვეითი (არის) და ზავი და კეთილსათნოება ამ ორ მხარეს (ე. ი. ირანსა და ოსმალეთს) შორის მტკიცეა, ამიტომ გაუშვას ისინი და როგორც უნდათ ისე მოიქცნენო. შაჰნავაზ ხანი ბრძანების შესაბამისად მოიქცა,...“[2] ამრიგად, ოსმალეთმა, 1639 წ. ზავის პირობების გამოყენებით, არ დაუშვა ქართლის პოლიტიკური გავლენის გავრცელება დასავლეთ საქართველოზე.

ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი არ დარღვეულა 1723 წლამდე. XVIII ს-ის 20-ან წლებში ოსმალეთმა კიდევ ერთხელ სცადა საქართველოს გაერთიანება (მისი „გურჯისტანის ვილაიეთად“ გადაქცევა) და აღმოსავლეთ საქართველოდან ირანის განდევნა. მაგრამ ნადირ-შაჰმა კვლავ აღადგინა ირანის „უფლება“ აღმოსავლეთ საქართველოზე და 1746 წელს ისევ განახლდა 1639 წლის ხელშეკრულება.

---

[1] Brosset. Addition XI, გვ. 346.

[2] მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტი, თარგმანი და შენიშვნები ვ. ფუთურიძისა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბილისი, 1954, გვ. 403.

ამრიგად, ირან-ოსმალეთის შეთანხმება ყოველთვის საქართველოს გავლენის სფეროებად განაწილების პირობით ხერხდებოდა. 1639 წლის ხელშეკრულება ხელოვნურად აუარესებდა ქვეყნის საშინაო მდგომარეობას და აბრკოლებდა ქართველი ხალხის განვითარებას. ვიდრე ირან-ოსმალეთის შეთანხმება ძალაში რჩებოდა, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება გამორიცხული იყო.

საქართველოს პროგრესულ ძალებს შინაგანი, ფეოდალური რეაქციის დამარცხება და მტრული მაჰმადიანური გარემოცვის გარღვევა მხოლოდ რუსეთის დახმარებით შეეძლოთ. საქართველოს რუსეთთან შეერთებით ოსმალეთისა და ირანის გავლენის სფეროებად განაწილებული საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა და სამეურნეო-კულტურული განვითარების გზას დაადგა. რუსეთის დახმარებით ქართველი ხალხი ოსმალეთის მიერ 1639 წლის ხელშეკრულების „ძალით“ მიტაცებული სამცხე-საათაბაგოს „გამოხსნას“ შეუდგა.

1555 წლის ზავმა და მისმა საბოლოო ვარიანტმა 1639 წლის ხელშეკრულებამ მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ დაკარგა ძალა.

## 4. ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი კლასები და კლასობრივი ბრძოლა ირანის და ოსმალეთის ბატონობის პერიოდში

საქართველოს მტრული სახელმწიფოებით (ირანი, ოსმალეთი) გარემოცვა მკვეთრ გამოვლინებას პოულობდა შინაკლასობრიეი და კლასობრივი ბრძოლის ხასიათსა და ფორმებში.

მტრულ გარემოცვას და მის უშუალო გამოვლინებას (უცხო ძალის მფლობელობა-ბატონობას) კლასობრივი თვალსაზრისით აფასებდა სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენი (ფეოდალები, ვაჭრები, ხელოსნები, გლეხები). თვითეული მათგანი არ ერიდებოდა „უცხო ძალის“ მოწვევას ან მასთან კავშირს, როცა საქმე საკუთარი კლასობრივი ინტერესების დაცვას და უზრუნველყოფას ეხებოდა [1].

კლასობრივი თვალსაზრისითვე ფასდებოდა პოლიტიკური ორიენტაციების საკითხი XVI—XVIII სს. საქართველოში.

ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესულ ნაწილს გეზი რუსეთთან ურთიერთობაზე ჰქონდა აღებული, რეაქციულს—ირანსა და ოსმალეთზე.

რუსეთთან ურთიერთობის გაძლიერებას უპერდა მხარს ყველა, ვინც კი დაინტერესებული იყო ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებით, მისი ეკონომიური და კულტურული დაწინაურებით, ფეოდალური შინაომების, „ტყვის სყიდვის“ და „ლეკიანობის“ ლიკვიდაციით.

ირანს ან ოსმალეთს მხარს უპერდა ყველა, ვისთვისაც მიუღებელი იყო ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება, რასაც არ შეიძლებოდა დღის წესრიგში

---

[1] კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეოპოლიტიკურ ურთიერთობაში შესწავლილი აქვს ნ. ბერძენიშვილს. იხ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I. 1955, გვ. 155—186.

არ დაეყენებინა სამეფო-სამთავროების და სათავადოების სისტემის არსებობის საკითხი.

1555 წლის ირან-ოსმალეთის ზავმა დააკანონა საქართველოს პოლიტიკური დაშლილობა. მისი დარღვევა ამიერიდან გადაულახველ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ამდენადვე ირანიც და ოსმალეთიც სათავადოების სისტემის და თავადების ბუნებრივ მოკავშირედ გამოდიოდა.

შემთხვევით არ აიხსნება, რომ „ამ გაყოფას (ლაპარაკია ამასიის ზავის შედეგებზე,—ვ. გ.) სრულ საქართველოს ბატონები დასჯერდეს“ [1]. 1555 წლის ირან-ოსმალეთის ზავი აძლიერებდა და აღრნავებდა საქართველოს პოლიტიკურ დაშლილობას. იგი ფაქტიურად აკანონებდა საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის უკვე მომხდარ ფაქტს. ამიტომ მეფე-მთავრები „დასჯერდეს“ ამ გაყოფას. მაგრამ „მეფე ლუარსაბ არ სჯერიყო და კიდეც თაკილობდა“. ბრძოლას ირანის წინააღმდეგ განაგრძობდა ქართლი, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების ამოცანას თავის ტრადიციულ უფლებად სთვლიდა.

საინტერესოა, რომ სპარსოფილური გაწყობილების ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე აღნიშნავს, თუ რა უწყობდა ხელს ირანის ან ოსმალეთის წარმატებას საქართველოში. მისი სიტყვით, „საქართველო თავად ცოტა იყო და მერმე მრავლად გაყოფილი და ერთმანეთის ურჩნი და ქიშპნი მტერნი, ერთმანეთისა მარბევარი და მაწყინარი [2]“. ფეოდალური შინაომებით მარჯვედ სარგებლობდა გარეშე მტერი: „ამისათვის იქით ურუმნი არბევდეს და აქეთ ყიზილბაშნი და ამისთანას ორს დიდს ჴელმწიფებს შვაში ბევრს ეცადნეს, აქეთ იქნიეს ჴმალი და იქით და მრავალი ნავნებიც ქნეს, მაგრამ არ იქნა და ვერც რას თავს გაუვიდნეს. ჴონთქარმან და ყაენმან საქართველო შვა გაიყვეს“ [3].

ასეთ ვითარებაში „უცხო ძალის“ მოწვევა (დასახმარებლად ან ჩასთან კავშირი) გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებთან და ფეოდალურ-კლასობრივ ინტერესებთან იყო დაკავშირებული.

ამიერიდან ქართული ფეოდალური საზოგადოება ორ ფრთად იყო გაყოფილი: ერთი ნაწილი (პროგრესული) რუსეთთან ურთიერთობას უკავშირებდა ქვეყნის გამოხსნა-განთავისუფლების საქმეს და მის მომავალს, მეორე ირან-ოსმალეთის დახმარებით ფეოდალური დაქსაქსულობის შენარჩუნებას.

როგორც ირანში, ისე ოსმალეთში სათანადო ანგარიშს უწევდნენ და სათანადოდ აფასებდნენ ახალი ფაქტორის (რუსეთის) გამოჩენას კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობის ასპარეზზე. ისინი ექვით და შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს ქართველების ურთიერთობას რუსეთთან. მათ კარგად ესმოდათ, თუ რას უქადდა მათს პოლიტიკურ განზრახვებს საქართველოს მიმართ რუსული ორიენტაციის გაძლიერება.

ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია სიტყვები, რომელთაც ფარსადან გორგიჯანიძე გიორგი სააკაძეს ათქმევინებს. ფარსადანის სიტყვით, „კიდევ

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 215.

[2] იქვე.

[3] იქვე.

მოურავს ყაენისათვის მოეხსენებინა: რადგან კახთ ბატონი თეიმურაზ ჩამოიყვანესო, ქართველნიც ეცდებიანო, რომ რუსები მოიყენონო და ხომალდი გამოუძახონო და მეფე ლვარსაბ ზღვით წაიყვანონო[1]". სულერთია სთქვა თუ არა ეს სიტყვები გიორგი სააკაძემ, მთავარი ისაა, რომ XVII ს-ის ქართველებს კარგად ესმით, რომ რუსეთი ის ძალაა, რომელიც ქართველებმა შეიძლება „მოიყენონ" ირანის წინააღმდეგ. მაგრამ, ცხადია, იგულისხმება, რომ ირანის „მოყენება" შეეძლოთ რუსეთის ორიენტაციის მოწინააღმდეგე ქართველებსაც. მით უმეტეს, რომ იმ დროს ირანი და ოსმალეთი გაცილებით ახლოს იყო, ვიდრე რუსეთი.

მსხვილი მიწისმფლობელები (საფეოდალოების „ნახევარ-ხელმწიფეები") „უცხო ძალას" მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ იყენებდნენ განსაკუთრებით იმ მომენტში, როცა მეფის ხელისუფლება თავადების უფლებების შეზღუდვას ცდილობდა. მხოლოდ მისი უმნიშვნელო ნაწილი უჭერდა მხარს მეფის ხელისუფლების პროგრესულ ღონისძიებებს (ბრძოლა „ტყვის სყიდვის" წინააღმდეგ, „ბატონყმობის რიგის" დაცვა, ურთიერთობის გაძლიერება რუსეთთან და სხვ.).

მეფის ხელისუფლების მომხრე იყო ეკლესია.

საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის შესაბამისად მიმდინარეობდა ეკლესიის ორგანიზაციული დაშლაც. საქართველოში ორი საკათალიკოსო არსებობდა. მცხეთის საკათალიკოსოს მოქმედების არე აღმ. საქართველოთი შემოიფარგლა. მაგრამ აქაც მის განუყოფელ ბატონობას ემუქრებოდა სეპარატისტული განწყობილებანი. ცენტრმსრბოლი ძალები იმთავითვე ცდილობდნენ მცხეთის საკათალიკოსოსაგან ჩამოშორებას (ალავერდელის დაპირისპირება მცხეთისადმი, მაწყვერელისათვის დამოუკიდებელი ძმგომარეობის შექმნის ცდა სამცხე-საათაბაგოში...). საამისო ღონისძიებების რეალიზაციას უნდა გამოეწვია არა მარტო მცხეთის საკათალიკოსოს დასუსტება, არამედ აუარებელი ყმა-მამულის მფლობელობის დაკარგვაც. ამავე დროს გაბშირდა ფეოდალების მიერ ეკლესიისათვის შეწირული მამულების „გამოწირვა". ყველა ამასთან ერთად „ყიზილბაშობის" ან „ოსმალობის" საფრთხე უპირველეს ყოვლისა საეკლესიო-სამონასტრო მფლობელობას ემუქრებოდა მოსპობით. სამცხე-საათაბაგოს მაგალითი, სადაც ეკლესია-მონასტრებმა ნთლიანად დაკარგეს დიდძალი ყმა-მამულები და საქონებელი, ეკლესიას უკარნახებდა გაეჩაღებინა ანტიმაჰმადიანური პროპაგანდა და გვერდში ამოსდგომოდა მეფის ხელისუფლებას „ქართველობისათვის" ბრძოლაში.

XVI—XVIII სს. მეფის ხელისუფლების დასაყრდენი სოციალური ბაზა მეტისმეტად იყო შეზღუდული.

მეფის ხელისუფლება ეყრდნობოდა სამეფო აზნაურებს, მაგრამ აზნაურების დიდი ნაწილი თავადებს ემორჩილებოდა. იქ სადაც თავადის აზნაური არ იყო (XVI ს-ის კახეთში) შედარებით მტკიცე იყო მეფის ხელისუფლება.

აზნაურები შეადგენდნენ საშუალო და წვრილ მიწისმფლობელთა მრავალრიცხოვან ფენს XVI—XVIII სს. საქართველოში. მაგრამ ისინი კუთვნილების მიხედვით იყვნენ განაწილებული (სამეფო, ეკლესია-მონასტრების და საბატონო აზნაურები). ამიტომ მათი გაერთიანება და საერთო ბრძოლა მსხვილ მიწისმფლობელთა ძალადობის წინააღმდეგ შეუძლებელი იყო.

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 230.

აზნაურები უფლებრივადაც და ეკონომიურადაც მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. აზნაურთა „გაღარიბება“ წყაროების მიხედვით ჩვეულებრივი მოვლენაა. რაც დრო გადიოდა, აზნაურის უფლებრივი მდგომარეობა მით უფრო იზღუდებოდა, წესად შემოდიოდა აზნაურებზე „უდების დადება“[1]. ეს აზნაურს აიძულებდა გაეზარდა რენტა, რაც შედეგად აზნაურისაგან ყმა-გლეხის წასელას იწვევდა.

მსხვილი მიწისმფლობელების ძალადობა სხვადასხვა ფორმით პოულობდა თავის გამოხატულებას აზნაურებთან დამოკიდებულებაში. თავადი ზოგჯერ არც აზნაურის გაყიდვას ერიდებოდა. ასე მაგ., ფარსადან ციციშვილმა მამულისა და ყმის გამოსაღებში ყიზილბაშებს მისცა აზნაური ლომი გვარამაძე და მისი ძმა ბეჟანი[2]. ჩვეულებრივი მოვლენა იყო თავადების მტრობა-ქიშპის დროს ერთმანეთის აზნაურების და ყმა-გლეხების დარბევა. უფლებრივად და ეკონომიურად შეევიწროებული აზნაური მეფეს ჩივილით მიმართავდა. თუ მეფეს ძალა ჰქონდა თავადს აზნაურიშვილის გაღარიბების ნებას არ აძლევდა[3]. ჩივილთან ერთად აზნაურები ბრძოლის სხვა ფორმასაც იყენებდნენ. ცალკეული სათავადოს აზნაურები ერთიანდებოდნენ და გაერთიანებული ძალით ებრძოდნენ აღვირახსნილ თავადს. ამას გარდა, აზნაური „თავადის წინააღმდეგ მოწყობილ გლეხთა აჯანყებებით სარგებლობდა და ცდილობდა ეს აჯანყება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა“[4]. გლეხთა მოძრაობებს თავადის წინააღმდეგ (თავაშვებული თავადების დახოცვა, სახლ-კარის დაწვა, გაქცევა, კოლექტიური გამოსვლები) ხშირად აზნაურები ედგნენ სათავეში[5].

დ. გვრიტიშვილს მოაქვს მეტად საინტერესო საბუთები, საიდანაც ჩანს თუ რატომ ერთიანდებოდნენ აზნაურები თავადის წინააღმდეგ და რატომ სდებდნენ ძმობა-ერთობის პირობებს. 1796 წელს საამილახოროს აზნაურებმა პირი შეკრეს იმის თაობაზე, რომ „... ვიყვნეთ ერთიმეორის კაი მდომნი და, რომელიც უფლისწულებისაგან უსამართლოთ ცემა, ჭრილობა, აკლება და შვილების ნოსახლეთ წართმევა გვქირებია, ამაებს ნუღარ ვიყაბულებთ. თუ რომელიც ჩვენში ან გაილახოს, ან დაიჭრას, ან დაირბეს, ერთიანათ ერთმანეთთან დავიბარნეთ, ბატონთანაც საჩივარი ერთი იყოს და ჩვენს ბატონს ამილახორთანაცა და ლაპარაკიც ერთი იყოს. სადაც აზნაურიშვილი სოფელში იდგეს და უფლისწულმა იქ უსამართლო მოინდომოს, აზნაურიშვილმან გლეხს კაცს უქომაგოს და გლეხმა აზნაურიშვილსა და ერთიმეორეზედ ვინც შორს იდგეს, კიდევ [ერ]თი მეორეს მივეშველნეთ[6]“.

განსაკუთრებით მძიმდებოდა აზნაურთა მდგომარეობა „ყიზილბაშობისა“ და „ოსმალობის“ დროს. გაღარიბებული აზნაური თათრის გამოსაღებებს ვერ აუდიოდა, კიდევ უფრო ღარიბდებოდა, ხელიდან ეცლებოდა ისედაც შემცირებული ყმა-გლეხი. „ყიზილბაშობა“-„ოსმალობის“ დროს გლეხები უპირველ-

---

[1] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 250.
[2] ი ქ ვ ე. გვ. 247.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 245.
[4] ი ქ ვ ე.
[5] ი ქ ვ ე, გვ. 231.
[6] ი ქ ვ ე, გვ. 246.

ლეს ყოვლისა ეკონომიურად შევიწროებული აზნაურების მამულებიდან გარბოდნენ. გასაგებია, რომ აზნაურები აქტიურად იბრძოდნენ ყიზილბაშების და ოსმალების წინააღმდეგ.

აზნაურები დაინტერესებული იყვნენ მეფის ხელისუფლების განმტკიცებით. მეფის გაძლიერებას უკავშირებდნენ ისინი თავიანთი უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. შემთხვევით არ აიხსნება თავადის აზნაურების სამეფო აზნაურობაში გადასვლის ტენდენციის გაძლიერება XVII—XVIII საუკუნეებში. ამავე დროს, აზნაურები უაღრესად იყვნენ დაინტერესებული რუსეთთან ურთიერთობით, რადგან რუსეთის დახმარებას უკავშირებდნენ ისინი მშვიდობიანი ცხოვრების პირობების უზრუნველყოფას, დაუსრულებელი ფეოდალური შინაომების აღკვეთას და წარმატებით ბრძოლას ყიზილბაშების და ოსმალების წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, ყიზილბაშებთან ან ოსმალებთან დამოკიდებულებას აზნაურებიც კლასობრივი თვალსაზრისით აფასებდნენ. ცნობილია, რომ XVII ს-ის დამდეგს ბევრი აზნაურიშვილი აღმოჩნდა ირანში „გასაკეთებლად“ და შაჰის „წყალობის“ მოსაპოვებლად. მაგრამ როდესაც „ყიზილბაშობის“ საქართველოში შემოღებას შაჰ-აბასი ენერგიულად შეუდგა, აზნაურები აქტიურად ჩაებნენ ქვეყნის გაყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლაში.

კლასობრივი თვალსაზრისით აფასებდნენ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს ვაჭრებიც, სრულიად გარკვეული პოზიცია ეკავათ მათ ირანის მიმართ.

ქართული ქალაქების ვაჭრები მუდამ ირანული ორიენტაციისანი იყვნენ. ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ირანის საერთაშორისო ვაჭრობასთან. ამიტომ მხარს უჭერდნენ ირანს და მოქმედებდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ. ამგვარადვე იქცეოდნენ სომეხი ვაჭრები აღმ. ამიერკავკასიაში. არაქელ თავრიზელს აღნიშნული აქვს, თუ რატომ იყო სასურველი ირანული ორიენტაცია მიუხედავად ირანელთა ძალადობისა. თვითონ იგი შაჰ-აბასს უარყოფითად უყურებდა, მაგრამ პირადად ირანული ორიენტაციის თვალსაზრისზე იდგა[1].

ქართულ ქალაქებში ვაჭრების უმეტესობა ეროვნებით სომეხი იყო (მცირე რაოდენობით იყვნენ ებრაელი ვაჭრებიც ქართლის, კახეთის და იმერეთის ქალაქებში). სომეხი ვაჭრების ხელთ იყო მთლიანად ირანის ვაჭრობა. ისინი გაბატონებული იყვნენ თავრიზ-ალეპოს გზაზე, რომლითაც აღმ. ამიერკავკასიის ქალაქები ალეპოს უკავშირდებოდნენ, ხოლო ალეპოს საშუალებით დას. ევროპას. ბატონობდნენ ისინი აგრეთვე ბაღდად-ალეპოს გზაზე—ირანის დას. ევროპასთან ვაჭრობის მთავარ მაგისტრალზე.

თბილისის და სხვა ქალაქების ვაჭრებს უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ აღმ. ამიერკავკასიის და ირანის ქალაქებთან, ირანის საშუალებით აქტიურად მონაწილეობდნენ მსოფლიო ვაჭრობაში. ამიტომ მათთვის მნიშვნელობა ჰქონდა არა ირანის პოლიტიკურ ძალაუფლებას, არამედ ირანის მეშვეობით აღმო-

---

[1] Livre d'histoire par le vartabed Arakel de Tauris, Collection d'histoirens Armeniens, traduits par M. Brosset, I, p. 287—288, 294.

სავლეთის და დასავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობას. ამით იყო შეპირობებული მათი ირანული ორიენტაცია აღმ. ამიერკავკასიაში, საქართველოში[1].

დიდ ვაჭართა სპარსოფილურ განწყობილებას სხვა ფაქტორიც აძლიერებდა. ქართველი ფეოდალების ძალადობისაგან დაცვას, ვაჭრობა-აღებმიცემის ნორმალურად განვითარებას, ისინი მაჰმადიანი მეფის გაძლიერებას უკავშირებდნენ, რამდენადაც ასეთ მეფეს, გასაგებ გარემოებათა გამო, ზურგს ირანის მთავრობა უმაგრებდა. ქართველი ფეოდალებისათვის კი მეფის გაძლიერება მიუღებელი იყო. მაჰმადიანი მეფის პოლიტიკა მკვეთრად აძლიერებდა მათს ანტიირანულ განწყობილებას. ამ ნიადაგზე სრულიად გარკვეულ გამოხატულებას პოულობდა კლასობრივი ბრძოლა ქალაქებში ფეოდალებსა და ვაჭარ-მოქალაქეებს შორის.

სპარსოფილი და მოქალაქეთა წრიდან გამოსული ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე არა ერთგან აღნიშნავს მოქალაქეთა (ქალაქის ზედაფენის) ირანის სასარგებლო განწყობილებას 1614—1625 წლებში, როდესაც საქართველოში შაჰ-აბასი მოქმედებდა[2]. სპარსოფილურ და ანტიირანულ დაჯგუფებათა ბრძოლას უკავშირებს იგი აგრეთვე ბაინდურ თუმანიშვილთან დაკავშირებულ ინციდენტს, რომელიც ლუარსაბ ბატონიშვილის მკვლელობას მოჰყვა[3]. დამახასიათებელია ისიც, რომ როსტომ-ხანი აშკარად ბაინდურ თუმანიშვილის მხარეზე იყო.

მოქალაქეები მხარს უჭერდნენ როსტომ-ხანს, ხოლო ეს უკანასკნელი თავადების წინააღმდეგ ბრძოლაში ეყრდნობოდა მოქალაქეებს. ისფაჰანის ტარუღად ნამყოფი როსტომი საერთოდ ახლოს იდგა ვაჭრებთან. ევროპული წყაროებიდან ვიცით, რომ კრიტიკულ მომენტში (შაჰ-აბასის გარდაცვალებასთან დაკავშირებული არეულობის დროს) ხაზინის დასაცავად მან გამოიყენა არა ყულის ჯარი, არამედ ვაჭარ-ხელოსნებისაგან შემდგარი რაზმი.

თბილისის მოქალაქეების კლასობრივი თვალსაზრისისათვის მეტად დამახასიათებელია ის, რომ ისინი ხშირად იმოწმებდნენ შაჰ-აბასის მიერ ნაბოძებ წესდებას, რომლითაც მოქალაქეების უფლებრივი მდგომარეობა იყო უზრუნველყოფილი.

მსხვილი ვაჭრები ირანის მთავრობის და მაჰმადიანი მეფის საშუალებით ცდილობდნენ თავიანთი კლასობრივი ინტერესების უზრუნველყოფას. წვრილი ვაჭრები და ხელოსნები ძალადობას განიცდიდნენ ქალაქის ზედაფენის მხრივ.

---

[1] აღნიშნული, რა თქმა უნდა, იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ სომეხი ვაჭრები არ განიცდიდნენ ირანელთა ძალადობას (გავიხსენოთ ჯულფის სომეხ ვაჭარ-ხელოსნების აყრა და ირანს გადასახლება) და არ ებრძოდნენ ამ ძალადობას. XVII ს-ის დამდეგისათვის სომხურ საზოგადოებაში მკაფიოდ გამოიკვეთა სასულიერო და საერო ფეოდალებისაგან და ვაჭრებისაგან შემდგარი პროგრესული ნაწილი, რომელმაც ამოცანად ქვეყნის განთავისუფლება დაისახა. Н. Т. Арутюнян. Освободительное движение армянского народа в первой четверти XVIII века, М., 1954, გვ. 118—120.

[2] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 233—234.

[3] ქართველი ფეოდალების ერთი ნაწილი ბაინდურ თუმანიშვილს სდებდა ბრალს ლუარსაბის დალუპვას. ფარსადან გორგიჯანიძის თხრობიდან გამკვირვალედ მოჩანს ამ კონფლიქტის კლასობრივი ხასიათი. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 264—265.

ამათ (ხშირ შემთხვევაში მეფე-დედოფლის და ფეოდალების ყმებს) საკუთარი ბატონები მფარველობდნენ, მაგრამ მათთვის ძნელი იყო მეტოქეობა გაეწიათ მსხვილი ვაჭრებისათვის, რომელნიც მრავალნაირად იყვნენ დაკავშირებული მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ვაჭრობასთან. ამასთან დიდვაჭრები გაერთიანებული ჩანან ამხანაგობებში, რომელთაც ურტალის მსგავსი ფუნქციები უნდა ჰქონოდათ XVII—XVIII სს. საქართველოში. ისინი მხოლოდ „ოსმალობის“ დროს გამოდიოდნენ უცხო ძალის მფლობელობის წინააღმდეგ და მხოლოდ ამ შემთხვევაში უჭერდნენ მხარს დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლას.

საქართველოს მტრული სახელმწიფოებით გარემოცვის პოლიტიკური და ეკონომიური შედეგები ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მწარმოებელ საზოგადოებას აყენებდა. „ყიზილბაშობა“-„ოსმალობის“ დროს კი ქართველ გლეხს ერთდროულად ორი ექსპლოატატორი უჩნდებოდა: ადგილობრივი ფეოდალი და უცხო მოხელე.

სათათრო გამოსაღები, მრავალრიცხოვან ადგილობრივ გადასახადებთან და ვალდებულებებთან ერთად, მძიმე ტვირთად აწვებოდა მხრებზე ქართველ გლეხობას.

სათათრო გამოსაღები კი თითქმის მუდმივი მოვლენა იყო ნაგვიანევი შუა საუკუნეების მანძილზე.

ამას გარდა, მონღოლთა დროიდან მოყოლებული მეტად ძლიერი იყო სათათრო გამოსაღების სახელმწიფო ან ფეოდალურ გადასახადად გადაქცევის ტენდენცია. ქართველი ფეოდალები ცდილობდნენ სათათრო გამოსაღების დანიშნულების თუ მნიშვნელობის შეცვლის გზით გაეძლიერებინათ გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაცია. ამის მაგალითია მალი, ყალანი, ტამღა, ულაყი (საიამე) და სხვ., რომლებიც დროთა განმავლობაში ქართულ ფეოდალურ გადასახადთა და ვალდებულებათა რიგში მოთავსდნენ.

ამრიგად, იმ პერიოდშიც, როცა „მტერი განდევნილი და უკუქცეული იყო“ გლეხის მდგომარეობა ოდნავადაც არ უმჯობესდებოდა. ოფიციალურად ამოკვეთილი მალი ან საერი ახალი შინაარსით ივსებოდა და გლეხთა ექსპლოატაციისათვის გამოიყენებოდა.

ქართველი გლეხობაც, რა თქმა უნდა, კლასობრივი თვალსაზრისით აფასებდა პოლიტიკურ მოვლენებს (ამის ყველაზე მკაფიო ნიმუშია ბატონყმობის უღელში ახლად შებმული გლეხობის დამოკიდებულება მონღოლთა შემოსევისადმი). კლასობრივი თვალსაზრისითვე ფასდებოდა „ლეკიანობა“ (გლეხების გაქცევა ლეკთა უბატონო თემებში), ყიზილბაშებთან და ოსმალებთან დამოკიდებულების საკითხი[1].

მძიმედ ექსპლოატირებული გლეხი ადვილად შეიძლებოდა მიმხრობოდა გარეშე მტერს, თუ მასში მისი მჩაგვრელი ფეოდალების დამასუსტებელ ძალას დაინახავდა. მით უმეტეს, რომ პირველ ხანებში დამპყრობლები მიმართავდნენ სოციალურ დემაგოგიას. სეფიანთა შაჰები ადგილობრივ მმართველებს და მფლობელებს, რომელთა დამორჩილებასაც ისინი ცდილობდნენ, დემაგოგიურად გლეხთა მჩაგვრელებს, მტარვალებს და მოძალადეებს უწოდებდ-

[1] ნ. ბერძენიშვილი. XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, 1944, ნაკვ. I.

ნენ[1]. ასეთსავე ხერხს მიმართავდა ირანი (და ოსმალეთიც) საქართველოში.

მაგრამ ყიზილბაშების და ოსმალების შემოსევებისა და რბევა-თარეშის შედეგები უპირველეს ყოვლისა გლეხთა მდგომარეობას აუარესებდა. ამიტომ დამპყრობელთა წინააღმდეგ ყველაზე აქტიურად ქართველი გლეხები იბრძოდნენ.

ყიზილბაშობა-ოსმალობის უშუალო გამოვლინებანი: „ტყვის-სყიდვა", „ლეკიანობა", დატყვევება და აყრა-გადასახლება, მძიმე სათათრო გამოსაღები და ხარკი უკიდურესად აუარესებდა გლეხთა ისედაც მძიმე მდგომარეობას. ცნობილია, რომ შაჰ-აბასის აგრესიის შედეგად ყველაზე მძიმედ კახეთის და ქართლის გლეხობა დაზარალდა.

ისკანდერ მუნშის მიერ დაწვრილებით აღწერილი ქართველი ხალხის მედგარი და შეუპოვარი ბრძოლის ეპიზოდები ყიზილბაშების წინააღმდეგ ფაქტიურად გლეხთა ბრძოლასთანაა დაკავშირებული. მაშინ როდესაც იმავე ისკანდერ მუნშის სიტყვით შაჰ-აბასს ნრავლად ჰყავდა აგენტები კახელ გლეხობაში.

განსაკუთრებით უარესდებოდა გლეხთა მდგომარეობა „ყიზილბაშობის" და „ოსმალობის" დროს. სათათრო ხარკის მაგიერ გლეხებს ახლა „თათრის გადასახადების" გადახდა ევალებოდათ. ამით ქართველი გლეხის სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა უახლოვდებოდა „რაიათის" მდგომარეობას.

დამახასიათებელია, რომ სიტყვა „რაიათი" ქართველი გლეხის აღსანიშნავად სწორედ „ყიზილბაშობა"-„ოსმალობის" დროს ჩნდება (XVIII ს-ის მეორე მეოთხედში) და კვლავ ჰქრება „ქართველობის" აღდგენის პერიოდში. ამასთან „რაიათი" დამოწმებულია ქართულ საბუთებში, რომლებიც მაჰმადიანი ხანების ან ქართველი მეფეების მიერაა გაცემული.

ასე მაგ., ქართლის ხანის ვაჰიდარბეგის ბრძანებაში გლეხების მაგიერ დასახელებულია რაიათნი: „აწ გიბრძანებთ, ყულარის ქ ე თ ხ უ დ ე ბ ო და რ ა ი ა თ ნ ო[2]". შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აქ „რაიათნი" მწიგნობრული ტერმინის მნიშვნელობითაა ნახმარი, რაკი საბუთი ხანის სამდივანმწიგნობროდანაა გამოსული. მაგრამ „რაიათნი" გლეხის სინონიმური მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე თეიმურაზ II-ის 1742 წ. დათარიღებულ ბრძანებაშიც.

ცნობილია, რომ „ყიზილბაშობა" (განსაკუთრებით საგადასახადო სფეროში) 1749 წლამდე გაგრძელდა. ამიტომ ვითარებას არ სცვლიდა ის, რომ ქართლში მეფედ თეიმურაზ II იჯდა, ხოლო კახეთში ერეკლე II. ამიტომ 1735—1749 წწ. საბუთებში „ყიზილბაშობის" ამსახველი არა ერთი ცნობა მოიპოვება.

თეიმურაზ II-ის 1742 წ. ბრძანებაში ნათქვამია: „ქ. ჩვენი ბრძანება არის, სულ ერთობით საამილახვრო ა ზ ნ ა ურ ო, გ ლ ე ხ ო და რ ა ი ა თ ო...". შემდეგ ლაპარაკია ამირინდო ამილახვრიშვილისათვის, წესისამებრ, ამილახვრობის მიცემაზე და იმაზე, რომ „ამ ახლო ხანს ჭელმწიფის რაყამსაც მოუტა-

---

[1] ჰ ა ბ ი ბ ა ს-ს ი ა რ, III, გვ. 85.

[2] ს ა ქ. ს ი ძ ვ. II, გვ. 380.

ნინებთ. ზემო ქართლის საბატიოს კაცის შვილნო, აზნაურო და რაიათნო, ვითაც სხვას ამილახვრის მორჩილნი იყავით, ზემო ქართლის ამილახრობა ამას უბოძეთ[1]".

XVIII ს-ის მეორე მეოთხედის სხვა საბუთებიც, რომლებშიაც გლეხის მაგიერ რაიათია დასახელებული, არა ერთი კიდევ შეიძლებოდა მოგვეტანა, მაგრამ ვფიქრობთ საამისოდ დასახელებული მაგალითებიც საკმარისია.

აღებული ხანის ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში „რაიათი" შემთხვევით არ უნდა გაჩენილიყო. ამ დროს ქართველი გლეხის გადასახადები და ვალდებულებანი დაემსგავსა რაიათის გადასახადებსა და ვალდებულებებს. „ოსმალობა"-„ყიზილბაშობის" დროს გაჩნდა: მირი, ბაჰრა, ისფენჯი, სალიანი, სურსათი, მალუჯათი და სხვ. გაჩნდნენ მუბაშირები, რომლებიც ქართველ გლეხებში აღმოსავლური საგადასახადო სისტემის მიხედვით კრებდნენ გადასახადებს.

რაიათი, უეჭველია, ნახმარია იმის გამო, რომ გლეხები დაკავშირებული აღმოჩნდნენ აღმოსავლურ საგადასახადო სისტემასთან, უკეთ მიმაგრებული იქნენ გადასახადებზე, და არა გლეხის ქართველ ფეოდალზე დამოკიდებულების ხასიათის შეცვლის გამო. ფეოდალური ექსპლოატაციის ქართული ფორმები (გადასახადები და ვალდებულებანი) ამ დროსაც შენარჩუნებული იყო და ადგილობრივი ფეოდალები ახლაც მონაწილეობდნენ გლეხთა ორმაგ ექსპლოატაციაში[2].

„ყიზილბაშობა"-„ოსმალობამ" მკვეთრად გააუარესა ქართველ გლეხთა მდგომარეობა. „თათრის ხარაჯობამ" უკიდურესად გაამწვავა კლასობრივი ბრძოლა. ქართველი გლეხები ებრძოდნენ „თათრის მფლობელობას", რომელთანაც უშუალოდ იყო დაკავშირებული „თათრის ხარაჯობა". საამისოდ ისინი იყენებდნენ როგორც კლასობრივი ბრძოლის აქტიურ (მონაწილეობა ანტიოსმალურ ან ანტიირანულ აჯანყებებში), ისე პასიურ ფორმებს (აყრა-გაქცევა).

მეტად გამჭვირვალედაა აღბეჭდილი ქართველი გლეხების კლასობრივი ბრძოლა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში".

„დავთრის" მიხედვით მთელი რიგი სოფლები „ცარიელია რეიასაგან"[3] ე. ი., აყრილ-გაქცეული გლეხებისაგან. „დავთრის" ნაგვიანევ ჩანაწერებშიც (XVIII ს-ის მეორე ნახევარი) ლაპარაკია „გადახვეწილთა, დაკარგულთა. მოძებნილთა, გაქცეულთა" შესახებ[4]. ყველაფერი ეს დოკუმენტურად მოწმობს გლეხთა ბრძოლას ოსმალების წინააღმდეგ XVI ს-ის დამლეგიდან XIX საუკუნემდე.

---

[1] საქ. სიძვ. III, გვ. 458.

[2] ყიზილბაშური „არბაბობა" ნიშნავდა იმას, რომ ირანის მთავრობა სცნობდა ქართველი ფეოდალების საკუთრებას მათს მიწებზე. ამ თვალსაზრისით ქართველი ფეოდალების მამულები ითვლებოდა „არბაბად" ანუ „მულკად". მაგრამ იმდენად, რამდენადაც მულკსაც დაედებოდა მალუჯათი, ირანის შაჰი ნომინალურად ყველა მიწის უზენაეს მესაკუთრედ გამოდიოდა.

[3] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 36, 37, 81, 83, 85, 97, 98, 107, 109, 111, 115, 126 და შემდეგ.

[4] ი ქ ვ ე. თურქული ტექსტი, გვ. 262, ქართული თარგმანი, გვ. 258.

საინტერესოა, რომ გლეხთა „დაფანტვა“ დაკავშირებული ჩანს ბეგრის აღმოსავლურ სახეობასთან. ამ შემთხვევაში გარბიან იმ სოფლის გლეხები, რომელთაც ხიდების შეკეთება ევალებათ. ასე დაიფანტნენ, მაგალითად, სოფ. ყუთარ-მელიქის გლეხები. „დავთრის“ მიხედვით მათ დაკისრებული ჰქონიათ ხიდების შეკეთება ხსენებული სოფლიდან არტაანამდე. გაქცეული გლეხების უკან დაბრუნების პირობად მოხელეები აუცილებლად სთვლიან მათს სხვადასხვა გადასახადებისაგან გათავისუფლებას და მხოლოდ ხიდების მოვლა-შეკეთების დაკისრებას[1]. ოსმალო მოხელეების ამგვარი მზრუნველობის მიზეზი იქვეა განმარტებული: „ვინაიდან ზემოხსენებული სოფელი (ყუთარ-მელიქი,— ვ. გ.) არზრუმის, არტაანისა და ახალციხის გზებზე მდებარეობს და ვინაიდან (მას) გამვლელ-გამომვლელთა განუწყვეტელი მგზავრობისა და დაბანაკებისაგან მოსვენება არა აქვს, მისმა მცხოვრებლებმა ამის გამო დაფანტვა იწყეს და (სოფელი) ლამის გაპარტახდეს“[2]. აღწერილი სურათი ზედმიწევნით მოგვაგონებს გზების გასწვრივ მდებარე სოფლების მდგომარეობას მონღოლთა ბატონობის ხანაში.

გლეხთა კლასობრივი ბრძოლის პასიური ფორმის (აყრა-გაქცევა) გამო მრავლად მოიპოვება ცნობები XVIII ს-ის ქართულ დოკუმენტურ წყაროებში.

XVIII ს-ის დამდეგის ერთ საბუთში ნათქვამია: „მე ხეჩუას-შვილმა გიორგიმ, ჩემ[მ]ა ძნამ ზურაბამ ჩვენის ორის შვილით არუთინათი და ავთანდილათი და ჩემის ცოლით და ორის ქალითა ოცდარვა წელიწადი ჯავახეთს ვიყავით, თათრის ჭელისაგან და ხარაჯისაგან ძალა დაგვე: მართა. მოვედით ერთობილათ, დაგვეპირა და მოგყიდეთ ჩვენი თავი“[3]. საბუთის მიმცემი, რომელიც „თათრის ხარაჯობას“ გამოექცა, ძმითა და ცოლშვილით ნასყიდობის წესით თბილისელ მოქალაქეს ყმად უხდება.

1749 წ. კათალიკოსი ანტონ I კახეთში აყრილსა და უკან დაბრუნებულ გლეხს ასე მიმართავს: „ოსმალისა და ყიზილბაშის გამოსალებისაგან ველარ დამდგარიყავ, აყრილიყავ და კახეთს ხიზნათ გასულიყავ[4]“.

1749 წ. ახლო ხანში სხვა ფეოდალებიც ცდილობდნენ აყრილი და დაფანტული გლეხების უკან დაბრუნება. ისინი თეიმურაზ II-ს საამისო ოქმის წყალობას სთხოვენ, მეფეც „ურუმობას აქეთ გამოსული“ გლეხების უკან მიცემას მოითხოვს ფეოდალებისაგან[5].

„ოსმალობა“-„ყიზილბაშობის“ დროს გლეხთა აყრა-გაქცევამ მასიური ხასიათი მიიღო. ქართველი ფეოდალები ამ მოვლენას ოსმალო ან ყიზილბაში მოხელეების საშუალებით ებრძოდნენ, მათი შემწეობით ცდილობდნენ აყრილ-გაქცეული გლეხების უკან დაბრუნებას.

---

[1] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქ. ტექსტი, გვ. 286, 453, ქართ. თარგმანი, გვ. 280, 442—443.

[2] იქვე, თურქ. ტექსტი, გვ. 453, ქართ. თარგმანი, გვ. 442—443.

[3] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 117.

[4] დოკუმენტები..., I, გვ. 117.

[5] იქვე, გვ. 109.

ისაყ-ფაშის 1732—1735 წწ. დათარიღებულ ბრძანებაში ნათქვამია: „ქ. ვეზირი ისჰ[ა]ყ-ფაშა ვიკაღრრებ. ჩვენს მაგიერად ამილახვარს გივს ასე უანბეთ: „მერმე ამ თუმანიშვილის გლეხი სადაც იყოს აყრილი კაცი, თქვენ კაცი გაგზავნეთ, მუბაშირად აუყარეთ და ისევ თავის მამულში მოაყვანინეთ. ნურა კაცი თავის მეძკვიდრე გლეხს ნუ დაუჭერენ, თვარემ პასუხს ვერ მოგვცემენ, ისევ თავის სამკვიდრო მამულში ჭნას (sic) და თესონ, სხვაგან რატომ ან ჭვნენ ან დგანან[1]“.

იმავე წლებით დათარიღებულ მეორე ბრძანებაში ვკითხულობთ: „ქ. ვეზირი ისჰ(ა)ყ-ფაშა ვიკადრებ. ჩვენ მაგიერად მუხრანის ბატონის შვილს მამუკას ასე უანბეთ: მერმე შენის აზნაურიშვილის რატისშვილის სოფელი ხანდაკი და ან სხვა სოფელი აყრილი იყოს, ვისცა მამულში იყოს, ყველა მოაგროვე და ნურავის გაცარცვინებ (sic) და, სადაც შენ გინდოდეს, იქ დააყენე. თუ წართვა ვინმე, მწვედ გარდავახდევინებ[2]“.

ქართველი ფეოდალების ინტერესებს უზრუნველყოფდნენ ყიზილბაში მოხელეებიც. საამისო ცნობები მოგვეპოვება სპარსულ დოკუმენტურ წყაროებში.

სეფი-ხანის 1737 წ. ბრძანებაში ნათქვამია: „კათალიკოსის სოფლებისა და მხარეების გაფანტული გლეხები და გურგენისა და სოლომონ მდივნის ხელქვეითნი, რომელ კუთხეშიც იყონ, შეკრიბონ და დაამკვიდრონ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე, რათა მიყონ ხელი თავის ჩვეულ საქმიანობას. ქართლისა და კახეთის თავადებმა და აზნაურებმა, ზემო-ქართლის, სომხეთის, საბარათიანოს და დანარჩენ საქართველოს მიწა-წყლის ქართველებმა წინააღმდეგობა არ გასწიონ მიმოფანტული გლეხების თავიანთ ადგილ-მამულისაკენ დაბრუნებაში, რომ ხელი მოჰკიდონ თავის ხვნა-თესვით საქმიანობას[3]“.

ნადირ-შაჰის 1744—1745 წწ. განაჩენით დადგენილია, „რომ მონამორჩილთა კუთვნილი სოფლებიდან გაფანტულები, რომელ კუთხეშიც კი აღმოჩნდებიან, თავმოყრილ და დაბინავებულ იქნენ თავიანთ სამკვიდრო სოფლებში, რათა თავიანთ გლეხურ საქმიანობაში გართული გახდნენ მიზეზი საბელმწიფოს დოვლათიანობის გამრავლებისა და გაზრდისა[4]“.

მუბაშირ-დავთარდრები აღმოსავლური წესით მოითხოვდნენ ყმა-მამულის გამოსაღებს. მოქმედებაში იყო ხალხის აღწერის დავთარი, რომელშიაც ყვე-

---

[1] საქ. სიძვ. III, გვ. 418—419.

[2] იქვე, გვ. 49.

[3] საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები, გვ. 66, იხ. აგრეთვე, გვ. 82—84.

[4] იქვე, გვ. 86. საინტერესოა სპარსულ საბუთებში დამოწმებული ტერმინები: „დაფანტული“ („მოთაფარაკე“) და „შეკრება-შეგროვება“ (ჯამა ავური, შდრ. XVIII ს-ის სპარსული საბუთების „ჯუჩიდან“). ამავე დროს აღნიშნულია, რომ „დაფანტული“ გლეხები თავიანთ „თავდაპირველ ადგილზე“ უნდა დაბრუნონ. ამ ტერმინებს მნიშვნელობა აქვთ გლეხთა მიწახე მიმაგრების საკითხის გამოსარკვევად აღმ. ამიერკავკასიაში.

ლა სოფელი იყო აღწერილ-აღნუსხული[1]. ვისაც უჭირდა და გადასახადებს ვერ იხდიდა, მას მუბაშირები იქერდნენ და ყიდდნენ, ზოგი კი მამულის გაყიდვით ან დაგირავებით აღწევდა თავს მუბაშირებს.

1730 წ. გირავნობის წიგნში ვკითხულობთ: „ქ. ესე წიგნი და პირი მოგეცით მუ, შენმა ბიძაშვილმა მამუკამა და ჩემმა ძმამ თამაზამა შენ, ჩენს ბიძაშვილს მურვანსა, ძმასა შენსა ბაკას, ლუარსაბსა და რევაზსა, ასრე რომე მირის თეთრი დამედვა თვრამეტი თუმანი, დამიჭირეს მუბაშირებმა, ვერსით ილაჯი ვერ (ვქენი)[2]“. საბუთის მიმცემი თავის ბიძაშვილებს სოფელს უგირავებს მირის თეთრის გასასტუმრებლად.

1749 წ. საბუთში ოსმალობის დროინდელი ვითარებაა გახსენებული: „ასე რომე არეშიანთ ზალისშვილი სოლაღა თავიანთ სოფლის მირისათენ (sic) დაეჭირათ თათრებს და ჰყიდდენ, არავინ პატრონი არ გამოუჩნდა, თვითან თავისთავი მე მომყიდა, ფასი თავიანთ მირში მისცა“[3].

ყიზილბაში და ოსმალო მოხელეები ფეოდალებისაგან თხოულობდნენ გადასახადებს, ფეოდალები ყმა-გლეხებისაგან. ზოგი მამულს ჩალის ფასად ჰყიდდა, ზოგი ყმა-გლეხებს, რათა როგორმე თათრის გადასახადი გადაეხადა. ამას უნდა დავსძინოთ ისიც, რომ „ოსმალობას“ დაუყოვნებლივ „ყიზილბაშობა“ მოჰყვა. ოსმალური „მირი“ ყიზილბაშურმა „მალუჯათმა“ შეცვალა.

გლეხის მეურნეობა ამდენ გადასახადს ვერ უძლებდა, თანაც გლეხებს უნდა გამოეყვანათ ურმები სამხედრო ტვირთის და სურსათის გადასაზიდად, რაც მათს მეურნეობიდან მოცდენას იწვევდა. „ყიზილბაშობის“ დროს კიდევ უფრო გახშირდა გლეხთა აყრა-გაქცევა.

გლეხთა აყრა-გაქცევა მასიური მოვლენა იყო „ულუსობის“, „ოსმალობის“ და „ყიზილბაშობის“ დროს. ეს კი იწვევდა სოფლის მეურნეობის დაქვეითებას, მის გაპარტახებას. მეურნეობის წარმოება აზრს კარგავდა. განუხრელად მატულობდა გადასახადები. ამიტომ „თათრის მფლობელობა“ საქართველოში მიუღებელი იყო როგორც მფლობელებისათვის, ისე მწარმოებლებისათვის.

აყრილ-გაქცეული გლეხი „ღონიერი და შეძლებული“ ფეოდალის მიწაწყლისაკენ გარბოდა. გლეხი ჯდებოდა იმ ფეოდალის მიწაზე, სადაც მას საგლეხო მეურნეობის წარმოების შესაძლებლობა ჰქონდა.

აყრილ-გაქცეული გლეხების ლტოლვა „მოშენებული“ და „გამართული მამულებისაკენ“ დადგენილი ფაქტია. ამით აიხსნება გლეხთა მოძრაობა დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით—მდიდარი და დაწინაურებული კახეთისაკენ.

აღსანიშნავია, რომ კახეთში მოდიოდნენ და სხდებოდნენ აზერბაიჯანელი და ყარაბაღელი გლეხებიც. ისინი „ოსმალურ ხარაჯობას“ გაურბოდნენ.

---

[1] ოსმალო ვეზირი ისაყ-ფაშა ყაფლანიშვილს ელიზბარს და ვახტანგს ატყობინებს: „მერმე საბარათიშვილოში რომ ოთხი მირის სოფლები გიბოძეთ, რაც იმ სოფლებს დავთარში მირი ეწეროს, ის მირი ჩვენს მაჰმად-ბეგს მი[ა]ბარე, რომე საბარათაშვილოს სოფლები იმასაღელია დავთარადრისაგან და სოფლები ოთხივ“. ს ა ქ. ს ი ძ ვ. II, გვ. 366.

[2] ს ა ქ. ს ი ძ ვ. II, გვ. 353.

[3] ს ა ქ. ს ი ძ ვ. I, გვ. 140—141.

საამისო ცნობები მოტანილია ისკანდერ მუნშის საისტორიო თხზულებაში „გამოქცეული რაიათების“ ირანში გადასახლებასთან დაკავშირებით. ეს ცნობები ი. პეტრუშევსკიმ, როგორც ვნახეთ, გამოიყენა გლეხთა მიწაზე მიმაგრების და ბატონყმური მდგომარეობის საბუთად XVI—XVII სს. აღმ. ამიერკავკასიაში. ამხელად ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ რაიათების კახეთის მიწებზე დასხდომის ფაქტი.

ისკანდერ მუნში ამბობს: „ვინაიდან აშლილობის ჟამს (იგულისხმება ოსმალთმფლობელობა—ვ. გ.) შირვანისა და ყარაბაღის ბევრი რაიათი წავიდა გურჯისტანის კახეთში (გურჯისტან-ი კახეთ) და იქ დასახლდა, გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება, რომ რადგანაც ეს ადამიანები (ტექსტშია „ბრბო“) გურჯისტანის მკვიდრი რაიათები არ არიან, ყველა ისინი—ებრაელები, მუსლიმანები და სომხები—გამოვიდნენ იქიდან და გაემართონ სამოთხის მსგავსს მაზანდარისისაკენ“ [1].

აზერბაიჯანელი და სომეხი გლეხები „თათრის ხარაჯობას“ ისევე ებრძოდნენ, როგორც ქართველი გლეხები. მაგრამ აზერბაიჯანელი და სომეხი გლეხები უკვე რაიათებად (გადასახადებზე მიმაგრებულ გლეხებად) იყვნენ გადაქცეული, ქართველი გლეხი კი XVI საუკუნიდან რაიათად გადაქცევის მუქარის ქვეშ იმყოფებოდა. ქართველ გლეხს არ სურდა რაიათად გადაქცევა ისევე, როგორც ეს არ სურდა მის ექსპლოატატორ ქართველ ფეოდალს.

„თათრის მფლობელობა“ და „თათრის ხარაჯობა“ ქართული ფეოდალური საზოგადოების ყველა ფენისათვის მიუღებელი იყო.

„თათრის მფლობელობის“ დროს ქართველი ფეოდალი იძულებული იყო წილი დაედო ირანის ან ოსმალეთის ხაზინისათვის. ამავე დროს, გადასახადებით დამძიმებული გლეხი სტოვებდა მეურნეობას და გარბოდა. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ „თათრის მფლობელობა“ ქართველი ფეოდალის მამულებს ყიზილბაშური ან ოსმალური მიწისმფლობელობის წესებს უქვემდებარებდა.

ქართველი გლეხისათვის „თათრის მფლობელობა“ მიუღებელი იყო იმის გამო, რომ იგი ორმაგი ექსპლოატაციის მსხვერპლი ხდებოდა, თანაც „თათრის ხარაჯობას“ ახალი გადასახადები შემოჰქონდა.

ქართული ფეოდალური საზოგადოების გაერთიანება ადვილად ხერხდებოდა, როდესაც საქმე „თათრის მფლობელობის“ წინააღმდეგ ბრძოლას ეხებოდა. „თათრის მფლობელობის“ შემოღების ცდებს ანდა „თათრის მფლობელობის“ დამყარებას ჩვეულებრივ თან სდევდა აჯანყებები (შაჰ-აბასის წინააღმდეგ XVII ს-ის პირველ მეოთხედში, ნადირ-შაჰის წინააღმდეგ XVIII ს-ის მეორე ნეოთხედში). ასეთ ვითარებაში დამპყრობელს უძნელდებოდა კვლავინდებურად გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ ფეოდალურ საქართველოს სოციალური სტრუქტურა, შინაკლასობრივი და კლასობრივი ბრძოლა.

ასეთი ვითარება შეიქმნა კერძოდ XVII ს-ის პირველ მეოთხედში, როცა ახალი ძალით განახლდა ქართული მიწების მიტაცებისათვის ბრძოლა და ირანმა მტკიცედ გადაწყვიტა საქართველოს მაჰმადიანურ სახანოდ გადაქცევა.

---

[1] თარიხ-ი ალემ არა, გვ. 622.

შაჰ-აბასი (1587—1629) ნრავალი წლის განმავლობაში ემზადებოდა საქართველოს დასაპყრობად. „გურჯისტანის საკითხი“ ერთნაირი სიმწვავით იდგა ირანის წინაშე როგორც რუსეთთან, ისე ოსმალეთთან ურთიერთობაში. შაჰი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ არ დაეშვა საქართველოს ურთიერთობის გაღრმავება-გაძლიერება რუსეთთან. ამიტომ, მისი აზრით, საქართველოს დაპყრობა აუცილებელი იყო. შაჰს ესმოდა, რომ საქართველოს ურთიერთობა განამტკიცებდა იმ ძალებს, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას ცდილობდნენ.

შაჰ-აბასი შესანიშნავად ერკვეოდა ქართული ფეოდალური საზოგადოების წინააღმდეგობებსა და ძალთა განწყობილებაში. მის აგენტებს კავშირი ჰქონდათ მეფე-მთავრებთან, თავადებთან, აზნაურებთან, ვაჭრებთან, გლეხებთან.

შაჰ-აბასი მარჯვედ იყენებდა ფეოდალურ საქართველოს სოციალურ სტრუქტურას, ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში მიმდინარე შინაკლასობრივ და კლასობრივ ბრძოლას, რათა ადვილად დაეპყრო ფეოდალურად დაშლილი ქვეყანა.

საამისოდ შაჰ-აბასი მიმართავდა სხვადასხვა საშუალებას ქართული ფეოდალური საზოგადოების სხვადასხვა ფენის მისამხრობად, ირანის მხარეზე გადასაყვანად, ირანის სამსახურში გამოსაყენებლად. ამ მხრივ ერთი უმთავრესი საშუალებათაგანი იყო ქართველების დაწინაურება ირანის პოლიტიკურ და სამხედრო სარბიელზე.

ვინც კი საქართველოში რითიმე უკმაყოფილო იყო ირანში ეძებდა სამართალს, მეტოქე-მოწინააღმდეგის წახდენას, გაკეთება-გამდიდრებას, სახელის მოხვეჭას. შაჰ-აბასი ყველას პატივით იღებდა, ჯამაგირს უჩენდა, თიულებს ურიგებდა, „წყალობასა“ და სახელს არ აკლებდა. მათგან იგი მხოლოდ გამაჰმადიანებას მოითხოვდა.

ჯავახიშვილებთან დავის დროს გიორგი სააკაძე სასამართლოში აღნიშნავდა: „ბევრი საბატიოს კაცისშვილი სხვაც წავიდა ბედნიერის ყენენთანა, დღესაც სრულ საბატიოს ქართუელთ კაცის შვილებიც იქ არიან“ [1]. ვისაც დაწინაურება-წარმატება სურდა ირანში მიდიოდა, ყულის ჯარში შედიოდა. მაგრამ ყულის ჯარში შესაყვანად შაჰი მუქარ-იძულებასაც მიმართავდა.

შაჰ-აბასმა სწრაფად გაავსო ქართველი მეომრებით ყულის ჯარი, ყულარაღასადაც მუდამ ქართველი იყო. მანვე ირანის მთავარი ქალაქების (ისფაჰანი, ყაზვინი...) ტარუღებად ქართველები დანიშნა. ამ დროიდან ისფაჰანის ტარუღად ყოველთვის ქართველი იყო. ქართველებივე იყვნენ უფლისწულის აღმზრდელად („ლალად“), ამირსპასალარებად, მდივანბეგებად, სოჰბათიასულებად. პროვინციების უმეტესობაში ბეგლარბეგ-ხანებად გამაჰმადიანებულ-გასპარსელებული ქართველები ისხდნენ.

ამგვარი პოლიტიკით შაჰ-აბასი ორ მიზანს ისახავდა: ქართულ-კავკასიური ელემენტის (ე. წ. „ახალი არისტოკრატიის“) დაწინაურებით იგი საკუთრივ ირანში ყიზილბაშური მომთაბარული არისტოკრატიის დასუსტებას ლამობდა, ხოლო საქართველოში ფეოდალური შუღლის გაღვივებას, განხეთქილების გაღრმავებას, ფეოდალური ძალების დაქსაქსვას.

---

[1] საქ. სიძვ. II, გვ. 56.

დამახასიათებელია, რომ თუ ყიზილბაშური ელემენტი შაჰ-აბასს ამიერკავკასიაში გადმოჰყავდა, სამაგიეროდ ირანის ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში ამიერკავკასიიდან კულტურული მეურნეები, ვაჭრები და ხელოსნები შეჰყავდა. ამგვარ ღონისძიებებს შაჰი უშუალოდ უკავშირებდა ამიერკავკასიის ეკონომიურ დაქვეითებას, რასაც პოლიტიკური დაპყრობის მტკიცე საწინდარი უნდა შეექმნა.

შაჰ-აბასის პოლიტიკურ გეგმებთან ორგანულად იყო დაკავშირებული ქართული მიწების მიტაცების საკითხიც.

XVII ს-ის დამდეგს განახლებული ირან-ოსმალეთის ომის პირველმა შედეგებმა შაჰ-აბასს შესაძლებლობა მისცა განეხორციელებინა შესაფერისი ღონისძიებები ქართული მიწისმფლობელობის გასაუქმებლად.

აღმ. კახეთში მან შექმნა ელისუს ანუ კაკის სასულთნო, ქვემო-ქართლში ლორის სასულთნო. ამავე დროს, მან აიძულა კახთა მეფე ალექსანდრე, რათა თავის სამეფოში თურქმან მოთაბარეთა ერთი ტომი ხიზნად მიეღო[1]. XVII ს-ის დამდეგს უნდა ყოფილიყო შემოღებული აგრეთვე „სოიურღალის“ ფეოდალური ინსტიტუტი სამელიქოში. ყველაფერი ეს მიზნად ისახავდა ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის ირანულ-ყიზილბაშური მიწისმფლობელობით შეცვლას. ამ განზრახვის წარმატებით გადაწყვეტაზე იყო დამოკიდებული აღმ. საქართველოს სამხედრო-ადმინისტრაციული რეორგანიზაცია ყიზილბაშურ საფუძველზე—მაჰმადიანურ სახანოს შექმნა.

ამ განზრახვასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული შაჰ-აბასის ის „წყალობა“, რომელიც კახეთის და ქართლის მეფეებისათვის ირანში სოფლების მიცემას გულისხმობდა. ამით, უეჭველია, შაჰს სურდა ქართველი მეფეების ირანის მოხელეებად გადაქცევა. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ გიორგი ქართლის მეფეს შაჰ-აბასმა „მოსცა ფუშტუკუნი და ხუინი და სამასი თუმანი ლაიჯანს ყოველს წელს“[2]. ფეოდალური ირანის წესისამებრ მოხელეობის საფუძველი შაჰის მიერ ნაწყალობევი მიწა იყო. აღსანიშნავია, რომ უფრო გვიან ფუშტუკუნის, გილანის და ლაჰიჯანის სოფლები ქართლის მაჰმადიანი მეფეების („ვალიების“) მფლობელობაში იყო და მათს ირანის შაჰისადმი სამოხელეო დამოკიდებულებას აპირობებდა.

ყველაფერი ეს მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართული მიწისმფლობელობის გაუქმებასთან, საქართველოს მაჰმადიანურ სახანოდ გადაქცევის განზრახვასთან.

1614 წელს შაჰ-აბასი მთელის ენერგიით შეუდგა „გურჯისტანის საკითხის“ ირანის სასარგებლოდ გადაწყვეტას. მან დაარღვია ირან-ოსმალეთის 1613 წლის საზავო ხელშეკრულება და თავისი ჯარები საქართველოში შემოიყვანა. შაჰი სასტიკად ახორციელებდა „ეკონომიური ომის“ საშუალებებს კახეთის მიწა-წყალზე: მისი ბრძანებით ყიზილბაშებმა დაანგრიეს სასახლეები, ციხეები, ეკლესია-მონასტრები, სამეურნეო ნაგებობანი, აჩეხეს კახეთის ბაღ-ვენახები,

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, მიმომხილველი, III, გვ. 78.

[2] ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, ს. ჯიჯინაძის გამოც., გვ. 52.

ძირიანად ამოაგდეს თუთის ხეები (მეაბრეშუმეობის საფუძველი), 40 000 კომლი (უპირატესად გლეხ-კაცობა) ირანს გადაასახლეს. შაჰმა კახეთის სოფლები დააცარიელა კულტურული მეურნეებისაგან. ყველა ამან მდიდარი კახეთი წელში გასტეხა, ქვეყანა კი სახანოდ იქცა.

რისხვად მოეევლინა შაჰ-აბასი ქართლსაც. აქ მან ხანად გამაჰმადიანებულ-გასპარსელებული ბაგრატ-მირზა დასვა. შაჰი დაუყოვნებლივ შეუდგა ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის გაუქმებას. დაიწყო ქართული მიწებისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი. ყველა ამან კითხვის ქვეშ დააყენა „ქართველობის" (ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის), ქართული სახელმწიფოს არსებობის საკითხი.

შაჰ-აბასი აგრძელებდა XVI ს-ის ირანის შაჰების იმ პოლიტიკას, რომლის რეალიზაციამ აღმ ამიერკავკასიაში ყიზილბაშური სახანოები წარმოქმნა. „საქართველოს მიმართ შაჰ-აბასი ყველაზე თანაბიმდევრული ყიზილბაში იყო. მისი მოღვაწეობა ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში თურქმან-ყიზილბაშ მომთაბარეთა მიერ ქართული მიწების მიტაცებისათვის ბრძოლის ახალ ეტაპს მოასწავებდა"[1]. ასე განახლდა ქართული მიწების მიტაცებისათვის წარმოებული ის ბრძოლა, რომელიც XVI ს-ში ყიზილბაშებმა წამოიწყეს.

შაჰ-აბასის მთავარი მიზანი ქართული მიწისმფლობელობის გაუქმება იყო: „საქართველოს სამხრეთით და აღმოსავლეთით, მის ყოფილ მიწა-წყალზე, გაქრა ქართული მიწისმფლობელობა, გადაშენდა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა. საბოლოოდ განმტკიცდა ამ ადგილებში სახანო-სასულთნოები (ლორე-ბამბაკი, შორაგილი, შამშადილუ, ყაზახი, ბორჩალუ, ბაიდარი და მტკვრის მარცხენა მხარე—დემურჩი ასალუ) თურქმანულ-ყიზილბაშური მოსახლეობით"[2].

უკვე 1603—1606 წწ. შექმნილ სახანო-სასულთნოების განმტკიცება-გაფართოებასთან ერთად შაჰ-აბასი ქართლის შიდა ოლქებში ქართული მიწისმფლობელობის გაუქმებას შეუდგა.

შაჰ-აბასი ხელს სდებდა ქართულ მიწებს, ქართველი ფეოდალების მამულებს. ეს ჩანს 1614—1626 წწ. ქართული საბუთებიდან, აგრეთვე შედარებით ნაგვიანევი იმ საბუთებიდან, რომლებშიაც 1614—1626 წწ. საადგილმამულო ვითარებაა გახსენებული მამულის მფლობელობის განახლებასთან დაკავშირებით.

ზაქარია და იესე ჯავახიშვილების და მოურავის (გიორგი საკაძის) 1624 წ. გაერთიანების პირობაში ვკითხულობთ: „ამად რომე ჩვენი სამკვიდრო თავა მისთა დღეში ჩვენი ყოფილიყო და მერმე ბედნიერის ყეენისაგან არ წაგვრთმეოდა და ისრევ ჩვენი იყო"[3]. დამოწმებული საბუთიდან ირკვევა, რომ იყვნენ ისეთი ქართველი ფეოდალებიც, რომელთაც „სამკვიდრო მამულები" წაერთვათ. ქართული ფეოდალური სამართლით „სამკვიდრო მამული", განსაკუთრებით „ნასყიდი",

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, მიმომხილველი, III, გვ. 78.
[2] იქვე, გვ. 78.
[3] საქ. სიძვ. II, გვ. 61.

როგორც წესი, „დაუნაშავებლად არავის წაერთმოდა". შაჰ-აბასს ეს წესი შეიძლებოდა გამოეყენებინა იმ ფეოდალების მიმართ, რომლებიც მის ღონისძიებებს წინააღმდეგობას უწევდნენ და შაჰს ებრძოდნენ. მაგრამ მამულის მფლობელობისათვის რომ ახლა საერთოდ „ყაენის ფარვანა" იყო საჭირო, აბას 1615 წლით დათარიღებული მამულის წყალობის წიგნის შინაარსიდან ვგებულობთ.

ლუარსაბ მეფე დავითიშვილი დავითის და მისი შვილების კონსტანტინეს, ელიზბარის და შიოშის აჯას აკმაყოფილებს და უბოძებს მათ, რისაც მამულისა და ყმის მქონებელი იყვნენ „ანუ ვაჭრისა და ანუ აზნაურის შვილისა, ანუ ძველად ნაქონი და ანუ ჩუენგან ნაბოძები, ყველა უკლებლად შენთუის და შვილთა თქუენთათუის გუიბოძებია, ყოვლის კაცისაგან ქელშეუვალად". ამას მოსდევს განმარტება: „რა რიგაცა ბედნიერის ყაენის ფარვანა გქონდეს, ჩუენცა ისრე გაგუითავებია"[1], მაშასადამე, ირანის შაჰის ფირმანი მამულისა და ყმის მფლობელობისათვის აუცილებელი იყო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასეთი ფირმანები (ერთენოვანი) უკვე არსებობდა ანდა ქართველი ფეოდალები ჩქარობდნენ მიეღოთ ის ირანის შაჰისაგან. საინტერესოა გაცემული საბუთის თარიღი: 1615 წელი. ამ დროისათვის ლუარსაბ II-ის ბედი ჯერ კიდევ არ იყო გამორკვეული და მამულისა და ყმის მფლობელობის სიმტკიცისათვის შეიძლებოდა მიემართათ შაჰის „საპატიო ტყვესათვის", რომელიც ჯერ ისევ მეფედ ითვლებოდა. მართალია, მამულის მფლობელობის სიმტკიცე გამომდინარეობდა ფეოდალის უფლებიდან და არა მეფის გადაწყვეტილებიდან, მაგრამ სახლის კაცებთან უთანხმოება-წინააღმდეგობის დროს ფეოდალს სჭირდებოდა მეფის დასტური იმაზე, რომ „არას შენის გუარის კაცს შენს მაბულზედ ქელი არა ჰქონდეს", როგორც ეს დამოწმებულ საბუთშია ნათქვამი.

შაჰ-აბასს უნდა შემოეღო ერთენოვანი სპარსული ფირმანები მამულის მფლობელობისა და განახლებისათვის, მოესპო ორენოვანი საბუთები (ქართულ-სპარსული) და, ამრიგად, რეალური შინაარსით შეევსო მათი სპარსული ნაწილი. აღსანიშნავია, რომ 1626 წლამდე ჩვენ არ მოგვეპოვება ორენოვანი საბუთები. ხელახლად ჩნდება ორენოვანი საბუთი 1626 წლისათვის, როდესაც შაჰ-აბასის პოლიტიკამ საქართველოს მიმართ მარცხი განიცადა და შემუშავდა საქართველოსთან ურთიერთობის კომპრომისული ფორმა.

ორენოვანი საბუთების არარსებობა შაჰ-აბასის პოლიტიკის განხორციელების წლებში საყურადღებო ფაქტია. საეჭვოა, რომ ეს შემთხვევით აიხსნებოდეს (მაგ., ამგვარი საბუთების დაკარგვა-დაღუპვით), რადგან შაჰის პოლიტიკა ქართული მიწისმფლობელობის გაუქმების ხაზით თავისთავად გამორიცხავდა ორენოვანი საბუთების არსებობას.

სოფლების გაცემა რომ შაჰზე იყო დამოკიდებული, ეს ჩანს ერთი ნაგვიანევი საბუთის შინაარსიდან. როსტომ მეფის 1654 წ. საბუთში ყურადღებას იქცევს სოფლის ბოძება „ბედნიერის ყაენის" მიერ. საინტერესოა, რომ ამ ფაქტით წარსული ვითარებაა გახსენებული: „მას ჟამს ოდეს ბარათაშვილს

[1] საქ. სიძვ. II, გვ. 228.

საჩინოს თურქისტანიშვილი ბაგრატ ცუდუბრალოდ დაუბალთავს და ბედნიერ ყეენსაც ენახა, და აკურისი თქვენისავ მეზობლის საჩინოსა და თაკაიანთ საკერძოდამე გამრეკლური მამული თურქისტანიშვილის ბაგრატისათჳს ებოძა, და მას უკან ბაგრატიშვილებს თქვენთჳს მოეყიდა“ დასხვ.[1]. მამულის „მომყიდველებს“ ახლა, 1654 წელს, როსტომ მეფე ნასყიდს „წყალობის წიგნით და ნიშნით“ უმტკიცებს.

როგორც ვხედავთ, ნასყიდობის კანონიერება იმითაა დასაბუთებული, რომ მამული თურქისტანიშვილს ბაგრატს შაჰის მიერ ჰქონდა ნაბოძები, ბაგრატის შვილებმა კი შემდეგ ეს მამული სხვას მიჰყიდეს.

დამოწმებული საბუთებიდან ჩანს, თუ როგორ ერეოდა შაჰ-აბასი ქართული ფეოდალური საზოგადოების საადგილმამულო ურთიერთობაში.

მაგრამ შაჰ-აბასი უფრო შორს მიდიოდა, ვიდრე ამას ფეოდალებისათვის მამულების ბოძება გულისხმობდა. მას განზრახული ჰქონდა, გამარჯვების შემთხვევაში, ქართლის თავადების ირანს გადასახლება. ამ განზრახვის გამეღავნებამ (მარტყოფის აჯანყების წინ) გააერთიანა და დარაზმა ქართველი ფეოდალები, გააძლიერა ანტიირანული განწყობილება.

შაჰ-აბასის წინააღმდეგ ახლა მოქმედებდნენ ისინიც, ვინც ქართლში ხანად გამოგზავნილ გამაჰმადიანებულ-გასპარსელებულ სიმონ II-ეს თან მოჰყვნენ ირანიდან. საქმე ეხებოდა თავადის უფლებებს, თავადის ძალაუფლების ბატერიალურ საფუძველს (ყმა-მამულის მფლობელობას), თავადურ-ბატონყმურ სახელმწიფოს არსებობას. ასეთ ვითარებაში თავადებმა ძველი შუღლი და მტრობა ადვილად დაივიწყეს და ერთმანეთს გაუერთიანდნენ ყმა-მამულებისათვის საერთო ბრძოლაში.

შაჰ-აბასს სწრაფად მოეშალა სოციალური დასაყრდენი აღმ საქართველოში. მას აღარ შეეძლო კვლავინდებურად გამოეყენებინა არც შინაკლასობრივი და არც კლასობრივი ბრძოლა

შაჰ-აბასის შემოსევების შედეგებმა ყველაზე მძიმედ ქართველი გლეხკაცობა დააზარალა. დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტა, სოფლების გადაწვა, აყრა-გადასახლება, ყველაფერი ეს რისხვად დაატყდა თავს გლეხობას. კახეთი ნასოფლარებით მოიფინა. ქართლის სოფლები ასეთივე საფრთხის წინაშე იდგა. გლეხობა უბრძოლველად არ სთმობდა თავის სახლ-კარს, ოჯახს, სოფელს. მრისხანე განმანთავისუფლებელი ბრძოლის მთავარ ძალად გლეხობა იქცა.

საინტერესოა, რომ შაჰ-აბასის პოლიტიკით საქართველოს მიმართ უკმაყოფილონი იყვნენ გასპარსელებულ-გაყიზილბაშებული ქართველებიც. უკმაყოფილო უნდა ყოფილიყო უპირველეს ყოვლისა ირანში მყოფი და გამაჰმადიანებული ქართველების თავადური ნაწილი. გამაჰმადიანებულ-გასპარსელებულ ქართველ ფეოდალებს კავშირი არ ჰქონდათ გაწყვეტილი ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასთან და წილი ედოთ თავიანთი ფეოდალური „სახლების“ ყმა-მამულში. ამიტომ შაჰ-აბასის პოლიტიკა უშუალოდ ეხებოდა გამაჰმადიანებულ-გასპარსელებული ქართველების კლასობრივ ინტერესებსაც.

---

[1] საქ. სიძვ. I, გვ. 113.

„ყიზილბაში ქართველების“ უკმაყოფილების მიზეზები აღნიშნული აქვს ინგლისელ ჰერბერტს, რომელსაც 1627 წელს მოუხდა ირანში ყოფნა. ქართველებს იგი გაეცნო შირაზში ფარსის ბეგლარბეგ იმამყული-ხანის კარზე. მათგან მოისმინა მან გიორგი საკაძის აჯანყების ამბავი. საქართველოს ამბებს იგი გაეცნო აგრეთვე რობერტ შერლის საშუალებით. რობერტ შერლიმ 30 წელი გაატარა ირანში, კარგად იცნობდა ირანს, მის შაჰს და ტრიალებდა გამაჰმადიანებული ქართველების წრეში. ქართველებთან და რობერტ შერლისთან საუბრების დროს ჰერბერტს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ „ყიზილბაში ქართველები“ უკმაყოფილონი იყვნენ შაჰის პოლიტიკით საქართველოს მიმართ [1].

ასეთსავე ცნობებს გვაწვდის იტალიელი პიეტრო დელლა ვალლე. რომელიც კარგად იცნობდა საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ირანში მყოფ ქართველებთან.

პიეტრო დელლა ვალლე თავის ერთ-ერთ წერილში საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მოკლე დროში სპარსეთში შეიძლება დიდი არეულობა მოხდეს. „სპარსეთის სამხედრო ძალის ნერვს. — ამბობს პიეტრო დელლა ვალლე. — ახლა წარმოადგენს ქართველობა. რომლებიც საუკეთესო მეომრები არიან. თვითონ შაჰი კი უკვე ახალგაზრდა აღარაა. ქართველმა მეომრებმა კი საკუთარი თვალით ნახეს თუ როგორ გაანადგურა მათი ქვეყანა შაჰმა და რა ზიანი მიაყენა მათს ხალხს“ [2]. ამას პიეტრო დელლა ვალლე დასძენს: „მართალია, გარეგნულად ისინი სპარსეთის შაჰს ემსახურებიან და გაბაჰმადიანებული არიან, მაგრამ ღმერთმა უწყის რა უდევთ გულში. ჩემი ღრმა რწმენით, ბევრი მათგანი მტკიცედ სდგას (თავის სარწმუნოებაზე). მათი ქვეყანა უკეთესია სპარსთა ქვეყანაზე. მამა-პაპური სარწმუნოება, დაკარგული მამული და ქონება, შვილები, მშობლები, ცოლები და სხვა ნათესავნი, რომელნიც ომის ქარცეცხლში გახვეულ სამშობლოში დარჩათ ან (სხვა ქვეყანაში) დაეფანტათ. ყველაფერი ეს აღაშფოთებს ყველა პატიოსანი ადამიანის გულს. იმ შემთხვევაში თუ მარჯვე მომენტი დაუდგათ ბევრი მათგანი თავს გაინთავისუფლებს და შურს იძიებს“ [3].

ასეთი მარჯვე მომენტი მარტყოფში დაუდგათ ქართველებს. საინტერესოა, რომ მარტყოფის აჯანყებასთან, სომეხი ისტორიკოსის ზაქარია სარკავაგის ცნობის მიხედვით, დაკავშირებულია ირანის დიდმოხელე და განჯის ბეგლარბეგი დაუდ-ხან უნდილაძე [4].

---

[1] Herbert Thomas. Some Yeares Travels ed. by W. Foster in the Broadway Travellers, London. 1928, გვ. 123—126.

[2] P. della Valle. Viaggi, გვ. 354.

[3] იქვე, გვ. 354.

[4] დაუდ-ხანი ირანის პირველი ყულარაღასის და ფარსის ბეგლარბეგის ალავერდი-ხანის შვილი იყო. მისი ძმა იმამყული-ხანი ფარსის ბეგლარბეგად იჯდა. უნდილანთ ფეოდალური სახლი ნათესაური ურთიერთობით იყო დაკავშირებული ქართველ მეფე-ფეოდალებთან. თეიმურაზ I-ის და ელენე ცოლად ჰყავდა დაუდ-ხანს, იმამყული-ხანის ქალი ანდუყაფარ ამილახორს, მეორე ქალი გათხოვილი იყო დაუდ-ბეგ საკაძეზე, ირანის ამირსპასალარის და თავრიზის ბეგლარბეგის ძმაზე.

ზაქარია სარკავაგის სიტყვით, დაუდ-ხანს ახლო ურთიერთობა ჰქონდა გიორგი საკაძესთან. მასთან საუბრების დროს, ამბობს სომეხი ისტორიკოსი, ის ყარჩიხა-ხანის ლანძღვა-გინებას არ ეხსნებოდა. აჯანყების საკითხი გადაწყვიტა მოურავის მიერ შეპყრობილი შაჰის შიკრიკის წერილმა. ეს საიდუმლო წერილი, რომელშიაც შაჰი ყარჩიხა-ხანის მისამართით ქართველების დახოცვაზე და საქართველოს მოთხრაზე ლაპარაკობდა, მოურავმა უჩვენა დაუდ-ხანს. ამ უკანასკნელმა მოურავს ურჩია გაეკეთებინა ყველაფერი, რის გაკეთებაც შესაძლებელი იყო, თვითონ კი განჯას წავიდა[1]. საინტერესოა ზაქარია სარკავაგის ის ცნობაც, სადაც ნათქვამია, რომ დაუდ-ხანმა არ შეასრულა შაჰის ბრძანება და არ შეუერთდა ყორჩიბაშის ლაშქარს (მარაბდის ომის წინ), ავადმყოფობა მოიმიზეზა და განჯაში დარჩა[2].

დაუდ-ხანი შემდეგაც აქტიურად მონაწილეობდა თეიმურაზ II-ის აჯანყებაში. ქართველი ისტორიკოსები (არჩილი, ვახუშტი ბაგრატიონი), სპარსოფილი ფარსადან გორგიჯანიძის გამოკლებით, დადებითად აფასებენ დაუდ-ხან უნდილაძის მოღვაწეობას. თეიმურაზ II კი თავის პოემა „ქეთევან დედოფლის წამებაში“ აქებს მის ძმას იმამყული-ხანს — ფარსის ბეგლარბეგს, რომელიც სახელმწიფოში მეორე პირი იყო შაჰის შემდეგ. უნდილაანთ ფეოდალური სახლის პოლიტიკური განწყობილება მეტად ნიშანდობლივია XVII ს-ის 20-ანი წლებისათვის შექმნილი ვითარებისათვის. მით უმეტეს, რომ ეს ფეოდალური სახლი ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობდა მთელს ირანში და განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილში.

შაჰ-აბასისათვის „ყიზილბაში ქართველების“ განწყობილება საიდუმლოებას არ წარმოადგენდა (მისთვის, რა თქმა უნდა, უცნობი იყო დაუდ-ხანის მოქმედება. თორემ მას განჯის ბეგლარბეგად არ დატოვებდა). შაჰი იძულებული იყო ანგარიში გაეწია ამ განწყობილებისათვის. რობერტ შერლის სიტყვით, ნათქვამი აქვს ჰერბერტს, შაჰი არწმუნებდა ყიზილბაშ ქართველებს, რომ ის მზადაა შეურიგდეს თეიმურაზს.

მაგრამ შაჰი იძულებული იყო ანგარიში გაეწია უპირველეს ყოვლისა ქართველი ხალხის მედგარი წინააღმდეგობისათვის საკუთრივ საქართველოში. 1625 წლისათვის ომი საქართველოში მას წაგებულად მიაჩნდა. იმავე წელს მან, დაუდ ხან უნდილაძის შუამავლობით, მოლაპარაკება დაიწყო თეიმურაზთან თბილისის მახლობლად. შაჰი მზად იყო თეიმურაზი ქრისტიანობით ეცნო მეფედ, თუ ის „ოსმალურ ხალათს გაიხდიდა და ყიზილბაშურ ხალათს ჩაიცვამდა“.

შაჰი ახლაც ქართული ფეოდალური ძალების დაქსაქსვის ნაცად გზას დაადგა. ოსმალეთის იზოლაციის განზრახვა (თეიმურაზ-საკაძის ბრძოლაში) შაჰს უკარნახებდა კომპრომისის გზას დასდგომოდა და „გურჯისტანის საკითხში“ ის დაეთმო, რასაც იგი 1614—1626 წწ. არა გზით არ სთმობდა.

შაჰ-აბასს ესმოდა, რომ კომპრომისული პოლიტიკა მას შესაძლებლობას მისცემდა გადაეყვანა ქართველი თავადები ირანის მხარეზე. ამას ქარ-

---

[1] Collection d'historiens Armeniens, traduits par M. Brosset, t. II, p. 23.

[2] იქვე.

თველი თავადები აკეთებდნენ კიდეც, როდესაც საესებით იყო უზრუნველყოფილი მათი კლასობრივი ინტერესები. მეხარკეობა ან მეძღვნეობა, როგორც ვასალური დამოკიდებულების გარკვეული ფორმა, უშუალოდ არ ეხებოდა ყმა-შამულის მფლობელობას. დამოკიდებულების ეს ფორმა არ გამორიცხავდა „ქართველობას". ამიტომ, შაჰის ვარაუდით, კომპრომისულ პოლიტიკას უნდა გაემრავლებინა ფეოდალური დაჯგუფებანი და გაეძლიერებინა წინააღმდეგობანი ამ ფეოდალურ დაჯგუფებებს შორის. საყურადღებოა, რომ სწორედ ამ მიზნით იგი თბილისში სტოვებდა მაჰმადიან სიმონხანს. მანვე ხელახლად აღადგინა ორენოვანი საბუთი. ქართლში თავისებური „ორიანობა" შეიქმნა. თბილისში მაჰმადიანი ხანი იჯდა, სოლო ამავე დროს შაჰი თეიმურაზ I-ს ქართლ-კახეთის ქრისტიან მეფედ სცნობდა[1].

შაჰის ვარაუდი გამართლდა. საქართველოში ფეოდალური შინაომი კვლავ განახლდა. მოწინააღმდეგე ფეოდალები სიმონ II-ის და თეიმურაზ I-ის გარშემო დაირაზმნენ. მაგრამ თავადების მნიშვნელოვანი ნაწილი თეიმურაზს ემხრობოდა, რადგან „ქართველობის" გადასარჩენად ბრძოლა ჯერ კიდეე არ იყო დამთავრებული. შაჰ-აბასს სახელი გატეხილი ჰქონდა და ადვილად ნას ახლა არავინ ენდობოდა.

„ქართველობისათვის" ბრძოლა მაინც ძირითადად მოგებული იყო. ქართველი ხალხის შეუდრეკელმა წინააღმდეგობამ და თავგადადებულმა ბრძოლამ შაჰ-აბასი აიძულა ხელი აეღო საქართველოს გაყიზილბაშებაზე. ქართველი ხალხის ბრძოლამ შაჰი დაარწმუნა, რომ „საქართველოს მოთხრა" მის შესაძლებლობას აღემატებოდა. შაჰი იძულებული იყო თავი დამარცხებულად ეცნო.

ქართველი ხალხი მის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მარტო არ იყო. მას დიდი მორალური დახმარება აღმოუჩინა რუსეთმა თავისი დიპლომატიური დემარშებით ირანის შაჰის კარზე. ამას ერთხმად აღნიშნავენ თანამედროვე ევროპული წყაროები. შაჰი იძულებული იყო უკან დაეხია, რადგან არ სურდა საქართველოში გაეძლიერებინა რუსეთის მომხრეთა დასი.

ქართველი ხალხის ბრძოლას ირანის წინააღმდეგ დახმარება აღმოუჩინეს და ხელი შეუწყვეს ამიერკავკასიის მოძმე ხალხებმა. საქმე ისაა, რომ 1614 წლიდან შაჰ-აბასს საქმე ჰქონდა აჯანყებებთან აღმ. ამიერკავკასიაში. აჯანყებულნი კი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი იმ აჯანყებებთან, რომელთაც თეიმურაზ I და გიორგი საკაძე მეთაურობდნენ.

1614 წელს აჯანყებამ იფეთქა შირვანში. აჯანყებაში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანელი ხალხის ფართო მასები. აჯანყებულებმა კავშირი შეკრეს თეიმურაზთან და აიღეს ქ. არეში[2].

1625 წ. ჩრდ. აზერბაიჯანში დაიწყო სომეხ გლეხთა მოძრაობა, რომელიც გარეგნულად რელიგიურ სამოსელში იყო გამოხვეული და რომელსაც

---

[1] აღსანიშნავია, რომ თეიმურაზ მეფის სახელთან დაკავშირებული არაა არც ერთი ორენოვანი საბუთი. როგორც ჩანს, ორენოვანი საბუთები მხოლოდ მაჰმადიანი ქართველი მეფეების დროს არსებობდა.

[2] თარიხ-ი ალემ არა, გვ. 626—627; П. П. Петрушевский. Очерки..., გვ. 329.

ული მეხლუ-ბაბა მეთაურობდა. საინტერესოა, რომ მეხლუ-ბაბას მფარველობას უწევდა განჯის ბეგლარბეგი დაუდ-ხანი[1].

მიუხედავად იმისა, რომ ეს აჯანყება ანტიფეოდალური ხასიათის მატარებელი იყო, ის არ შეიძლებოდა მიმართული არ ყოფილიყო ირანის წინააღმდეგაც, რამდენადაც სომეხ გლეხთა ექსპლოატაციაში მთავარი ადგილი ყიზილბაშ ფეოდალებს ეჭირათ. ამასთან, ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ანტიფეოდალური ბრძოლა სომხეთსა და აზერბაიჯანში არა ერთხელ გადაზრდილა განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ამ თვალსაზრისით აფასებს პ. არუთუნიანი სომეხ გლეხთა მოძრაობას მეხლუ-ბაბას მეთაურობით. საამისო მონაცემების ანალიზმა მას საფუძველი მისცა აღენიშნა, რომ ეს მოძრაობა მიმართული იყო არა მარტო სასულიერო და საერო ფეოდალების წინააღმდეგ, არამედ სეფიანთა ბატონობის წინააღმდეგაც[2]. საამისო არგუმენტად მას მოაქვს კერძოდ დაუდ-ხანის კავშირი გიორგი სააკაძის აჯანყებასთან[3].

ქართველი ხალხის ბრძოლის წარმატებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი შაჰ-აბასის „რეფორმების" მარცხმაც. ირანის საშინაო ვითარების გართულებამ.

შაჰ-აბასმა ვერ შესძლო ირანის გაძლიერება მუდმივად მოქმედი ფაქტორების საფუძველზე, სახელმწიფოს მტკიცედ ცენტრალიზება. გადასახადების განუხრელმა ზრდამ ეკონომიური დაქვეითების პირობებში მკვეთრად გააუარესა ირანელ გლეხთა მდგომარეობა. ირანში უკიდურესად გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა, დაიწყო გლეხთა მოძრაობანი, რაც მალე გადაიზარდა გლეხთა სერიოზულ აჯანყებაში[4].

გართულდა ირანის საგარეო პოლიტიკური ვითარებაც. მრავალწლოვანი ომი ოსმალეთთან ისევ გრძელდებოდა. გაუთავებელმა ომმა ერთნაირად დაასუსტა ორთავე მეტოქე სახელმწიფო. ამით მარჯვედ სარგებლობდნენ დაპყრობილი ხალხები და აჯანყებით ცდილობდნენ თავისუფლების მოპოვებას (ქურთები, არაბები, სომხები, აზერბაიჯანელები, ქართველები...).

ასეთ ვითარებაში შაჰ-აბასს არ შეეძლო განეხორციელებინა ის, რაც 1614 წელს მან მიზნად დაისახა. ერთადერთი გამოსავალი იყო საქართველოს მიმართ კომპრომისული პოლიტიკის გამოყენება, საქართველოსთან ურთიერთობის მეხარკეობაზე და ვასალურ დამოკიდებულებაზე დაფუძნება.

შაჰ-აბასის გარდაცვალების შემდეგ ირანის შინაგანი და საგარეო ვითარება (ოსმალეთის შემოტევა) იმდენად გართულდა, რომ შაჰაბასისეული გეგმების აღდგენაზე საქართველოში ფიქრიც არ შეიძლებოდა. პირიქით, ახალ ვითარებაში ქართველები ირანის პოლიტიკური ბატონობისაგან მთლიანად განთავისუფლებას ცდილობდნენ. ამას ისახავდა მიზნად თეიმურაზ I-ის აჯანყება, რომელსაც ქართველი მეფე-მთავრებიც შეუერთდნენ და რომელშიაც

---

[1] ზაქარია სარკავაგი, გვ. 48; Н. П. Петрушевский Очерки..., გვ. 329—331.

[2] „Связи Мехлу-баба с Давут-ханом представляются нам важным свидетельством того, что движение Мехлу-баба в значительной мере было направлено против Сефевидского владычества" П. Т. Арутюнян. დასახ. ნაშრ., გვ. 124.

[3] იქვე.

[4] Н. П. Петрушевский. Народное восстание в Гиляне в 1629 году, Ученые записки ИВ, III, გვ. 225—226.

მონაწილეობდა განჯის ბეგლარბეგი დაუდ-ხანი, აგრეთვე ალვანეთის სომეხთა კათალიკოსი[1]. აჯანყებასთან დაკავშირებული იყვნენ თავისუფლებისათვის მებრძოლი სომხები და აზერბაიჯანელები.

ახალი აჯანყება თეიმურაზ I-ის მეთაურობით მარცხით დამთავრდა. მაგრამ ამ მარცხს არ გამოურიცხავს საქართველოსთან ურთიერთობის კომპრომისული ფორმა. შაჰ-აბასის მემკვიდრე შაჰ-სეფი (1629—1642) იძულებული იყო თავისი წინამორბედის ის პოლიტიკა გაეგრძელებინა, რომელიც 1625 წლისათვის შემუშავდა.

ამ პოლიტიკის გამტარებელი იყო ქართლის ვალი როსტომ-ხანი. საქართველოსთან კომპრომისული ურთიერთობის პოლიტიკურმა ფორმამ მკაფიო გამოხატულება და რეალიზაცია მის მოღვაწეობაში ჰპოვა.

განსხვავება 1625 წელთან შედარებით იმაში იყო, რომ ახლა ქართლის მეფედ მაჰმადიანი ინიშნებოდა. მაგრამ ეს ოდნავადაც არ სცვლიდა და არ ეხებოდა ქართულ სოციალურ-ეკონომიურ წყობას, რომლის წარმონაქმსაც თავადურ-ბატონყმური სახელმწიფო წარმოადგენდა.

თეიმურაზთან ბრძოლაში როსტომმა იმით გაიმარჯვა, რომ მან უზრუნველყო თავადების კლასობრივი ბატონობის ყველა ის პირობა, რომელიც ქართული სოციალ-პოლიტიკური სისტემიდან გამომდინარეობდა.

როსტომ-ხანის დროს ძირითადად უცვლელი დარჩა ფეოდალურ საქართველოს სოციალურ-ეკონომიური წყობა.

ირანის პოლიტიკური ბატონობის მიუხედავად არსებობას განაგრძობდა ქართული ფეოდალური საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, აგრარული სისტემა და სახელმწიფო წყობილება.

გაბატონებული კლასი წარმოდგენილი იყო თავადებით და აზნაურებით.

თავადობა იყოფოდა სამ კატეგორიად: „დიდებული თავადები", „შუა თავადები" და „დაბალი თავადები".

ასევე აზნაურობა შედგებოდა: „დიდი აზნაურებისაგან", „შუა აზნაურებისაგან" და „ცალმოგვი აზნაურებისაგან". ცალმოგვიანი აზნაურები წვრილ აზნაურებს ეწოდებოდათ.

უცვლელი დარჩა გლეხთა-სოციალური კატეგორიებიც: მკვიდრი, ნაწყალობევი, შეწირული, ნებიერი, აზატი, ბოგანო, ხიზანი...

მიწის ფეოდალური საკუთრების გაბატონებული ფორმების საფუძველზე ხორციელდებოდა გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაცია. ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობა უცვლელი და ძირითადად ხელუხლებელი დარჩა XVII საუკუნეშიც.

სოციალურ-ეკონომიური წყობა, რომლის ნიადაგზეც თავადურ-ბატონყმური სახელმწიფო განვითარდა, ყალიბდება XV—XVI სს. მაგრამ დამთავრებული სახე მიიღო მან XVII ს-ში. თავადური ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი განვითარების ეს საფეხურია აღბეჟდილი ვახტანგ VI-ის

---

[1] ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 238—239.

სამართლის წიგნში და „დასტურლამალში“ — სახელმწიფო. ადმინისტრაციული და სამეურნეო სამართლის წიგნში.

ამდენადვე ირანის პოლიტიკური ბატონობა XVII—XVIII სს. არ ნიშნავდა ირანის მფლობელობას. ამიტომ გლეხთა ანტიფეოდალური მოძრაობანი მიმართული იყო ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგ და არა ირანელი ფეოდალებისა და მოხელეების წინააღმდეგ, როგორც ამას აღმ. ამიერკავკასიაში ვხედავთ. გლეხთა გამოსვლები და ანტიფეოდალური მოძრაობანი ოსმალო ფეოდალებისა და მოხელეების წინააღმდეგ წარმოებდა ახალციხის საფაშოში, რადგან აქ, საქართველოს დანარჩენი ნაწილებისაგან განსხვავებით, ოსმალეთის მფლობელობა იყო დაცყარებული. აღსანიშნავია, რომ გამაჰმადიანებული ადგილობრივი ფეოდალები ხშირად უკავშირდებოდნენ ოსმალებს, რათა არ დაეშვათ გლეხთა ანტიფეოდალური მოძრაობის გაძლიერება.

ქართველი გლეხები იყენებდნენ კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა საშუალებებსა და ფორმებს (უპირატესად აყრა-გაქცევას) გლეხი მიმართავდა ყაზახობას, აბრაგობას, მეკობრეობას, ფეოდალზე თავდასხმას, მოკვლას და მისი სახლ-კარის გადაწვას. მაგრამ გაერთიანებულ და მასიურ გამოსვლას, კლასობრივი ბრძოლის პასიური ფორმების აქტიურ ფორმებში (აჯანყებებში) გადაზრდას. ხელს უშლიდა გლეხთა სოციალური კატეგორიების სხვადასხვაგვარობა, პოლიტიკური დაქსაქსულობა და სუსტი კავშირი ცალკეული სათავადოების ყმა-გლეხებს შორის. დამახასიათებელია, რომ ყველაზე აქტიურად ის გლეხები იბრძოდნენ, რომელთა ბატონყმური უღელი ახლად იყო დამძიმებული, ახალი გადასახადებით იყვნენ დახარკული [1]. საბუთები, მართალია, ურუდ, მაგრამ მაინც აღნიშნავენ ცალკეულ სათავადოებში გლეხთა შეიარაღებულ გამოსვლას ფეოდალების წინააღმდეგ [2].

მეტად მძიმე იყო გლეხთა მდგომარეობა ფეოდალურ საქართველოში. კიდევ უფრო უარესდება მათი მდგომარეობა ნაგვიანევ შუა საუკუნეებში. მაგრამ საძულველ ქართულ ბატონყმობასთან ერთად კიდევ უფრო მიუღებელი იყო მათთვის „თათრის ბატონობა“ და „ხარაჯობა“. უშუალო მწარმოებლების „ექსპლოატაციის აღმოსავლური ფორმა“ მკვეთრად აუარესებდა გლეხთა მდგომარეობას. „ბატონყმურ რიგს“ ან „დებულებას“ ფეოდალური აღმოსავლეთი არ იცნობდა. ეს ფართო ასპარეზს უქმნიდა ფეოდალების თვითნებობას, გადასახადების განუხრელ ზრდას, აღვირახსნილ ექსპლოატაციას. ა. ჰაქსტჰაუზენი წერდა: „Персидские крестьяне лично свободны, но несравненно угнетенее и более заслуживают сожаления, нежели крепостные“ [3].

ირანში და ოსმალეთში მთავრობას აზრადაც არ მოსდიოდა გლეხთა ვალდებულებათა რეგლამენტაცია.

---

[1] С. П. Какабадзе. Крестьянский вопрос и крестьянские движения Восточной Грузии в XVIII веке. Сб. „История Классовой борьбы в Закавказье“, Тб., 1930, გვ. 170.

[2] დ. გვრიტიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 232.

[3] А. Гакстгаузен. Закавказский край, ტ. I, გვ. 246.

ფისკალური და საგადასახადო პოლიტიკა აღმოსავლეთში იღებდა მოსახლეობის და უწინარეს ყოვლისა, გლეხობის ძარცვის ორგანიზებულ ხასიათს. „თათრის ხარაჯობას“ სრულს გაჩანაგებამდე მიჰყავდა გლეხის მეურნეობა აღმოსავლეთში.

გლეხი აღმოსავლეთში მიმართავდა კლასობრივი ბრძოლის როგორც პასიურ (აყრა-გაქცევა), ისე აქტიურ ფორმებს (აჯანყებები).

გლეხთა აჯანყებას მასიურ ხასიათს ანიჭებდა ის, რომ აღმოსავლეთში ძირითადად გლეხთა ერთიანი კატეგორია იყო წარმოდგენილი რაიათების სახით. ამავე დროს, რაიათების უმრავლესობას სახელმწიფო გლეხები შეადგენდნენ.

XVI—XVIII სს. ირანში და ოსმალეთში ხშირი იყო გლეხების და ხელოსნების აჯანყებები. ირანში ან ოსმალეთში აჯანყებულ გლეხებს უერთდებოდნენ აღმ. ამიერკავკასიის გლეხებიც[1]. ცნობილია, რომ ოსმალეთში დაწყებული ჯალალიების მოძრაობა გავრცელდა აღმ. ამიერკავკასიაში, აგრეთვე სამცხე-საათაბაგოში.

მასიურ ხასიათს იღებდა გლეხთა აჯანყებანი აღმ. ამიერკავკასიის სახანოებში. ანტიფეოდალური მოძრაობანი აქ ეროვნული ელფერის მატარებელიც იყო იმის გამო, რომ გლეხთა აჯანყება უწინარეს ყოვლისა ირანელი და ოსმალო ფეოდალების წინააღმდეგ იყო მიმართული.

აღმ. ამიერკავკასიაში ირანელი მიწისმფლობელები მძლავრობდნენ. უცხო დამპყრობელთა ბატონობა უკიდურესად ამძიმებდა გლეხთა ისედაც მძიმე მდგომარეობას, რადგან გამოსაღებისა და გადასახადების გადამხდელი გლეხობა იყო[2].

გლეხთა აჯანყებებმა ირანელი ფეოდალებისა და მოხელეების წინააღმდეგ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სეფიანთა ბატონობის დასუსტების საქმეში. ასეთივე როლი შეასრულეს სახალხო მოძრაობებმა ბალკანეთში ოსმალეთის მიმართ.

XVII—XVIII სს. ირანის და ოსმალეთის დასუსტების ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორთაგანი იყო დაპყრობილ ხალხთა გამანთავისუფლებელი ბრძოლა. ამ ბრძოლის აქტიური მონაწილე იყო ქართველი ხალხიც სომხეთის და აზერბაიჯანის მოძმე ხალხებთან ერთად.

---

[1] И. П. Петрушевский. Очерки.., გვ. 322—327.
[2] იქვე, გვ. 331.

## შ ი ნ ა ა რ ს ი


წინასიტყვაობა 3
შესავალი. 5

### I. მახლობელი აღმოსავლეთი მონათმფლობელობიდან ფეოდალიზმში გარდამავალ პერიოდში

1. ფეოდალიზმის გენეზისის პრობლემა (ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი) 15
2. სასანური ირანის სახელმწიფო (ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი) . . . 18

§ 1. სასანური ირანის წარმოშობის დრო და პირობები . 18
§ 2. სასანური ირანი III—IV საუკუნეებში 23
§ 3. ქალაქები, ხელოსნობა, ვაჭრობა . . 30
§ 4. ირანი ფეოდალიზაციის გზაზე 36
§ 5. მაზდაკელთა აჯანყება . . . . . 41
§ 6. ხოსრო ანუშირვანის „რეფორმები" . 45
§ 7. სასანური ირანის მოსპობა-გადაშენება 49

### II. მახლობელი აღმოსავლეთი ადრეფეოდალურ ხანაში

1. არაბთა სახალიფო . 54

§ 1. არაბები (ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი) . . . . . 54
§ 2. არაბთა სახალიფო VII—VIII საუკუნეებში (ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი) . . . . . 57
§ 3. აბასელთა სახალიფოს სოციალურ-ეკონომიური ვითარება VIII—IX საუკუნეებში (ე. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე) . . . . 74
ა) მიწისმფლობელობის კატეგორიები 80
ბ) არაბული გადასახადები . 86
გ) გლეხთა მდგომარეობა 100

2. ხალიფოს ფეოდალური დაშლა (ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი) . 107

§ 1. დამოუკიდებელი საამიროების წარმოშობა 107
§ 2. ალ-მუთასიმის სამხედრო რეფორმა . . . . . 112
§ 3. დაპყრობილ ხალხთა ბრძოლა არაბების წინააღმდეგ და გლეხთა აჯანყებები 113

### III. მახლობელი აღმოსავლეთი განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში

1. მახლობელი აღმოსავლეთი X—XII საუკუნეებში (ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი) . 118
2. თურქ-სელჩუკების შემოსევები და ბატონობა . 122

§ 1. დიდ სელჩუკთა სახელმწიფო (ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი) . . . . . 124
§ 2. ქალაქები, ხელოსნობა და ვაჭრობა X—XII საუკუნეებში (რ. კ ი კ ნ ა ძ ე) 141

### IV. მონღოლთა გატონების ხანა

1. მახლობელი აღმოსავლეთი მონღოლთა შემოსევების პერიოდში . . . . . 157

§ 1. მონღოლები (ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი) . . . 158
§ 2. მონღოლთა შემოსევები (რ. კ ი კ ნ ა ძ ე) . 163

2. ილხანთა სახელმწიფო . . . . . 177

§ 1. ილხანთა ირანი XIII საუკუნის მეორე ნახევარში (რ. კიკნაძე) . . . . . 177
§ 2. ქალაქები ილხანთა ირანში (რ. კიკნაძე) . . . . . 183
§ 3. ილხანთა ირანი XIV ს-ის პირველ ნახევარში (ვ. გაბაშვილი) . . . . . 203

## V. მახლობელი აღმოსავლეთი XIV—XVI საუკუნეებში

1. ირანი (ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი) 215

§ 1. თემურ-ლენგი . . . . . 215
§ 2. თურქმანები . . . . . 225
§ 3. სეფიანთა სახელმწიფო . . . . . 234

2. ოსმალეთი . . . . . 245
§ 1. ოსმალთა სახელმწიფოს წარმოშობა (გ. ფ უ თ უ რ ი ძ ე) . . . . . 245
§ 2. ოსმალთა დაპყრობითი ომები XIV—XVI საუკუნეებში (გ. ფ უ თ უ რ ი ძ ე) . . . . 246
§ 3. ოსმალური ფეოდალური მიწისმფლობელობა (გ. ფ უ თ უ რ ი ძ ე) . . . . . 250
§ 4. გადასახადები და საგადასახადო სისტემა (გ. ფ უ თ უ რ ი ძ ე) . . . . . 255
§ 5. ქალაქები, ხელოსნობა, ვაჭრობა (ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი) . . . . . 260
§ 6. სოციალური მოძრაობები ოსმალეთში (გ. ფ უ თ უ რ ი ძ ე) . . . . . 272
§ 7. ოსმალეთი XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე (გ. ფ უ თ უ რ ი ძ ე) . . . . . 276

## VI. ამიერკავკასიის ძვეყნები და მახლობელი აღმოსავლეთი

1. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთი XIII—XIV საუკუნეებში (ვ. გ ა ბ ა - შ ვ ი ლ ი) . . . . . 284
2. ამიერკავკასიის ქვეყნები და სეფიანთა სახელმწიფო (შაჰ-თამაზ I-ის „თეზქერეს" მიხედვით) (კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე) . . . . . 297

ა) „თეზქერეს" ცნობები აზერბაიჯანის შესახებ . 310
ბ) „თეზქერეს" ცნობები სომხეთის შესახებ . 318
გ) „თეზქერეს" ცნობები საქართველოს შესახებ . . . . . 326

3. ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო (ვ. ჩ ო ჩ ი ე ვ ი) . . . . . 335
4. ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი კლასები და კლასობრივი ბრძოლა ირანის და ოსმალეთის ბატონობის პერიოდში (ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი) . . 377

რედაქტორი ვ. გაბაშვილი
კორექტორი მ. ინასარიძე

*

Очерки по истории
Ближнего Востока
(феодальная эпоха)
Под редакцией
Валериана Николаевича Габашвили
(на грузинском языке)

Издательство ТГУ им. Сталина
Тбилиси
1957

УЕ 00608. შეკვეთა № 825. ტირაჟი 4 000.

გადაეცა წარმოებას 29/V. 56 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/V. 57 წ. ანაწყობის ზომა 7×11. ქაღალდის ზომა 70×108. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 34,6. საალრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდენობა 29,5.

ფასი 18 მან. 70 კაპ.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია, უნივერსიტეტის, 1.

Типо-литография издательства Тбилисского государственного университета им. Сталина, Университетская, 1.

## შეცვლილი შეცდომების გასწორება

| გვერდი | სტრიქონი | არის | უნდა იყოს |
|---|---|---|---|
| 49 | 14 ქვ. | შაპრამ ჩობანის | ბაპრამ ჩუბინის |
| 51 | 8 ქვ. | VII ს-ის | VI ს-ის |
| 79 | 16 ზევ. | ხარაჯის | ხარაჯას |
| 84 | 4 ზევ. | ხარაჯის | ხარაჯას |
| 92 | 1 ზევ. | ალ ქითაბის | ალ-ქითაბის |
| 93 | 18 ქვ. | صبرفى | صيرفى |
| 93 | 18 ქვ. | ესენი არიან | ესენი არიან: |
| 94 | 12 ზევ. | გამეფსლიმანებული | გამეფსლიმეტული |
| 94 | 19 ქვ. | ეფესლიმანური | მეფესლიმანი |
| 95 | 11 ქვ. | სამრს | საყს |
| 97 | 21 ქვ. | მეფესლიმან | მეფესლიმ |
| 99 | 8 ზევ. | იჯარათ | იჯარით |
| 99 | 14 ზევ. | ეევალებათ | ეევალებათ. |
| 100 | 5 ზევ. | ბაპლ ალ-ხარაჯა | ბაპლ ალ-ხარაჯი |
| 100 | 6 ზევ. | الذمة)[5] | الذمة)[3]. |
| 101 | 3 ზევ. | ქითაბ ალ-ხარაჯში | „ქითაბ ალ-ხარაჯში“ |
| 106 | 5 ზევ. | არამეფსლიმანი | არამეფსლიმი |
| 134 | 6 ქვ. | ილდიზლიზების | ილდიგიზების |
| 170 | 4 ქვ. | 186=1866 | 1863=1864 |
| 182 | 3 ქვ. | Kahan | Khan |
| 191 | 9 ქვ. | كوچل | كوچك |
| 213 | 7 ქვ. | სებზეერი | სებზეარი |
| 214 | 7 ქვ. | ᲒᲔᲠᲓᲘᲞᲝᲕ | ᲒᲔᲠᲓᲘᲞᲝᲕ |
| 225 | 18 ქვ. | დიარბეკრის | დიარბეკირის |
| 234 | 8 ზევ. | ქარებები | ქარები |
| 262 | 9 ქვ. | ნეჯეფი | ნეჯეფი |
| 301 | 9 ქვ. | შაჰ-თამაზ I-ის, | შაჰ-თამაზ I-ის |
| 323 | 16 ზევ. | იყილშალეფეთლ“ | იყიშალეფეთლ“ |
| 325 | 20 ქვ. | არაპაჰი | არეფაჰი |
| 326 | 4 ზევ. | შაჰ-თამაზ I-ს | შაჰ-თამაზ I-ს: |
| 349 | 17 ქვ. | მეტარით | მეტარით |
| 353 | 19 ქვ. | 1616 | 1625 |
| 368 | 21 ქვ. | ათაბეგების | ათაბაგების |
| 387 | 20 ქვ. | სოფზეთის | სომხეთის |